8 (05)
д- 80

# მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

№ V.

მაისი, 1897

ტფილისი

სტამბა [illegible] ამხანაგობისა ТИП. ГРУЗ. ИЗД. Т-ВА.
1897

Дозволено цензурою Тифлисъ, 6 мая 1897 г.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


გვ.

I—მოლიპულ გზაზე.—მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება) . . . . . . . . 1

II—მარტოობა.—ამბავი მოხსანისა.—თარგმანი ილ. გგ—მისა . . . . . . . . 38

III—იუდა.—(სააღდგომო ეტიუდი) შ. არაგვისპირელისა . 45

IV—მიჯაჭული პრომეთე.—დრამა ესხილისა . . 58

V—სისხლი.—ნინონასთვის ნათქვამ ზღაპრებიდან, ემილ ზოლასა, თარგმანი თ. სახოკიასი . . . 84

VI—ჩემს ასულს.—(ვიქტორ ჰუგოდან), ლექსი, თარგმანი დ—ი წ—ესი . . . . . . . 101

VII—გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი პირველი.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა (დასასრული პირველი ნაწილისა). . . . . . 103

VIII—„ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები.—XXXV—XXXVI—ალ. ს—შვილისა . . . . . 1

IX—საქმე ნადელების შესყიდვისა.—ალ. ფრონელისა . . . . . . . . 27

X—აფხაზები.—ა. ქორწინება აფხაზეთში.—(ეტნოგრაფიული მასალები) ნ. ჯანაშიასი . . . . 65

XI—ბიუიოს აზრები შესახებ ზნეობისა და აღზრდი-
სა.—თარგმანი ბეს. სა—ლისა . . . . . 82

XII—ბიბლიოგრაფია.—Левонъ З. Мсеріанцъ. Къ интерпретаціи ванскихъ надписей. (Отдѣльный оттискъ изъ Χαριστήρια—юбилейнаго сборника въ честь проф. О. Е. Корша. · Москва, 1896 г.). . . . . . . . . . 92

ქრონიკა:

XIII—ჩვენსა და სხვაგან. — თავად-აზნაურთა გაჭირებული მდგომარეობა და მართებლობის დახმარება.—ქალაქის არჩევნები. სომხების შეცდომა და შედეგი ამ შეცდომისა.—საბერძნეთის და ოსმალეთის ბრძოლა . . . . . . 95

XIV—განცხადებანი

# მოლიპულ გზაზე

მოთხრობა

## XXIII*)

ოქრო ფიქრიანად ბოლთასა სცემდა აივანზე, საქანაო სავარძელში გადაწოლილიყო ტიტიკოც, როგორც ეტყობოდა ესეც ოცნებას გაეტაცა, ამათ შორი-ახლო დაედგა მაგიდა ანიკოს, ანთებულ ლამპარის შუქზე ჰკერავდა. ოქრო განაგრძობდა წინ და უკან სიაურულს, ხმა ამოუღებლად; შედგებოდა, თვალებს შორს გაუწვდენდა, შემდეგ ისევ მოჰყვებოდა სიარულს. ამისი გონება შეპყრობილი იყო მოუსვენარი აზრებით. აგერ ამოღო საათი, დახედა, არც ამან დააკმაყოფილა. ამასობაში მშვენიერი ბუნება ცდილობდა მიეზიდნა თავისკენ ოქროს სული და გული დაეტკბო, აღტაცებაში მოეყვანა, მაგრამ ეს ისევ განაგრძობდა სევდიანად ყურებას... სხვა-დასხვა ფერ ცეცხლებით ანთებულ ცას ფიანდაზად გაეშალა გულმკერდი... შორიდგან მოჩინარ მაღალ მთების ძირში არე მარე შესაზარ სიბნელეს მოეცვა, თითქო უზარ-მაზარი მხეცი გაწოლილიყო გარდიგარდმო. მარტო ორ ადგილას მბჟუტავი ცეცხლები მიემგზავსებოდნენ მობრიალე თვალებს, ეძებდნენ მსხვერპლს ჩასანთქავადა. ცის მნათობნი ხან რომ ბჟუტავდნენ, ხან ისევ ქრებოდნენ, ილეოდნენ... მეორე მხრიდან შავი-ღრუბლები უქადოდნენ მშვენიერების გაქრობას, რათა მის ნაცვლად ადგილი დაეთმოთ წყვდიადისათვის. ძირს დედა-მიწაზეც ხმიანო-

---

*) „მოამბე“, № IV, 1897 წ.

ბა არ ჩერდებოდა.. ალაგ-ალაგ აეყენებინათ სიმინდის ბჯები, ხშირად მოისმოდა ფუჩეჩის შრიალიც. დედა-კაცები, თუ კაცები შემოსხდომოდნენ საზრდოს და გაშურებით არჩევდნენ... ხან-დის-ხან მორეულ სევდების გასაფანტავად დაღიღინებდნენ სიმ-ღერას:

გარჩევ და გარჩევ, სიმინდო!
ბევრიც გაცურვე წყალშია!
ბედ-შავო, გლეხო, ტლუ, ბიჭო,
ნუ დაეცემი ცდაშია.
მიჰყევი შენსა მარჯვენას
ღმერთი არ გრისხავს აროდეს,
მშრომელი მოჭირნახულე,
ერთ დღეს ხომ გაიხარებდეს!...

ოქრო მოისმენდა გულმოდგინედ ამ ღიღინს, წინანდელზე მეტად თავს ავალებდა გაჭირებული ხალხის შველასა.

— დიაღ, მათ უნდათ შემწეობა ნივთიერად, განათლებით, ძალმომრეობა-უსამართლობისგან დაცვა, დაფარვა.... მერე ყვე-ლა ეს იკისროს მარტო ოქრომ?... ვის მიენდოს? ტიტიკოს? ეს აკი ძმის ერთგული არ არი!... არა ოქრო მსხვერპლად შეეწირება ხალხსა, აპატიებს ტიტიკოსაც დანაშაულს, რადგან დარწმუნებულია, რომ ბოლოს ნანობს... ეხლა რომ ოქრომ არ აპატიოს, მაშინ გულ-ქუდჯო, თვით-რჯული, ბოროტი გამო-დგება! ეს ხასიათები კი ოქროსთვის უცხონი არიან. დიაღ, აპა-ტიებს ტიტიკოს, ფრთხილად კი მოიქცევა, რომ მერე კიდევ არ შეიყვანოს წინანდელ შეცოდებაში. ოქრომ ტყუილად დაანება თავი მაკინეს და ტიტიკოს შერიგებაზე ფიქრსაც. ოქროს გუ-ლიდან ნაღველი გადეყარა, კვალად ყური მიუგდო სიმღერას, რომელიც ისევ და ისევ იმ სიტყვებს იმეორებდა...

— ვიშრომოთ, ოღონდაც უნდა ვიშრომოთ. — გულში ბანს აძლევდა ამათ აგრეთვე ოქროც.

— ნუ თუ ამ ნათელ სურათს, სიცოცხლეს უნდა შეეხოს სიბნელე?.. განა მიუტევებელი ცოდვა არ არი? ამა საკითხით მოუალერსა ამ დროს ნიავმა ოქროს. ცელქათ შემოირბინა კალმუხანაზე.

— ოღონდაც, ჩემო კარგო, სინათლემ უნდა სძლიოს სიბნელე. — უპასუხა ოქროს გულმა დაუყენებელ მობაასეს, რომელიც დაკმაყოფილებული გადავიდა სხვა საგანზე. ოქრო შედგა ტიტიკოს წინ და მიაჩერდა; მოესურვა მასთან დალაპარაკებაც.

— როგორა გგონია, ტიტიკო, აქამდის არ მივიდოდა ჩვენი ბიჭი №-ში? ხვალ დილაზე ადრე უნდა მოვიდეს ექიმიც, ჰა? — ჰკითხა ამან.

— რასაკვირველია... ერიჰა!.. აქამდის დასვენებულიც იქნება... — მიუგო ფიქრებიდან გამოსულმა ტიტიკომ.

— რა შემცდარია ის, ვინც ამბობს — მზგავსი მზგავსსა შობსო... — განაგრძო ოქრომ, თითქო უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა, ვიდრე ძმას. — შეხედე ამ ბუნებას, რამდენადაც ეს გულის-წარმტაცია, უმანკოა, იმდენად მისი ნაშობი ავსილია ყოველის სისაძაგლითა. რა უსამართლოება არა ხდება ჯერ ამ პატარა სოფელში. სხვაგან ხომ, ეჭვი არ არის, ერთი-ორად მეტი იქნება!

— აგრეა, ჩემო ძმაო, შენ ახლა ხედავ, ამჩნევ, მე კი სულ მაგ გარემოებას შევყურებ, შევეჩვიე და აღარ მაოცებს, თითქმის ბუნების კანონად მიმაჩნია!

— მაშ ბუნების კანონია მოტყუება? გაუტანლობა? გაყვლეფ-გაგლეჯა? — შესძახა ოქრომ და თვალი თვალში გაუყარა ძმას.

— რასაკვირველია, — მიუგო ტიტიკომ და მთლად გაწითლდა. თვალები ძირს დახარა, ამას კვალად წარმოუდგა ვერაგი მაკინე და მისი რჩევაც.

— მე კი მეგონა, დროებით შეცოდებაა, რომელსაც მოჰყვება სინანულიც-მეთქი? — დაუმატა თითქმის ღონე-წართმეულმა ოქრომ.

— ეგეც მოხდება ხოლმე, მარტო კი იშვიათად...

— იშვიათად, მაგრამ ხომ არის?

— არის ათას'ში ერთი.

— ღმერთო, მერე როგორ იცხოვროს პატიოსანმა კაცმა? ვის მიენდოს?

— მარტო თავისთავს, სხვას არავისა...

ოქრო გაშტერებით ისმენდა ტიტიკოს ორ-აზროვან სიტყვებსა და ვერ გაეგო, თუ რას ნიშნავდნენ. უეჭველია იმ ხალხში თავის თავსაც ასახელებს, მაგრამ, რომლებს ეკუთვნის? შემთხვევით შემცოდეთა, თუ სამუდამოდ, თითქმის ბუნებისაგან მოვლინებულთ, როგორც თვითონა სთქვა ეხლა? ოქრო მაინც ვერ მიმხვდარიყო. ტიტიკოს კი უხაროდა, რადგან ძმისთვის სწორედ სასარგებლო საგანზე ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი და აფრთხილებდა, როგორც გამოცდილი გამოუცდელს.

— ოხ, დღევანდელმა დღემ ძალიან შემაწუხა. დღეს კვლავინდელზე ცხადად დავინახე, თუ რა გულქვაობა, რა შეუბრალებლობა ტრიალებს ადამის შვილთა შორის, როგორ არბევს, სჩაგრავს ძლიერი სუსტსა...— დაიწყო კვალად ოქრომ.— წარმოიდგინე ეხლა თვით მემამულეთა მდგომარეობაც... ორ წყალშუა არიან ჩაცვივნულნი: აპატიონ გადასახადი, თვითონ რილათი იცხოვრონ? არ აპატიონ და მართლაც შესაცოდავნი არიან.

— ოღონდაც, რომ უნდა აპატიონ და თვითონ მოიკლონ... დღეს მეც სწორედ ანგრე მოვიქეცი... თითქმის ნახევარი ლალა ვაჩუქე.— ტიტიკოს ამის გაგონებაზე სახეზე უკმაყოფილება დაეტყო...

— რავდენი?— ბოლოს ძალდატანებულის გულ დამშვიდებით ჰკითხა.

— სამოცი კოდი.

— ჰმ, კარგა მოწყალება გაგიცია!— ტიტიკო წამოდგა ზეზე, ცხადად ეტყობოდა მღელვარება, რომელიც თვით ოქროსაც არ გამოჰპარვია... გაიარა პატარაზე, მერმე მოუბრუნდა ძმას.

— შებრალება გაჭირებულთა, ჩემო ძმაო, დიდი რამ არის... თვითონ იესო ქრისტეც გვიბრძანებს სწორედ აგრევე მოვიქცეთ... მაგრამ...

— მაგრამ რა?—ოქრო მოუთმენლად ელოდა ვრცელ პასუხს...

— ცხოვრებაში უანგარიშობაც საზარალოა... სამოცი კოდი?., ჰმ!.. კარგა ზორბა საჩუქარია!—დააბოლოვა ტიტიკომ და კვალად გაიარა.

— მაშ მაზარალებელია ჩემი მოქმედება? არ მეგონა... მაგ ზარალს ჩემს წილში გამოვიბრი... სხვა ნაირად მოქცევა კი არ შემიძლიან... არა!..

— ჩემი აზრით, ოქრო, არც გლეხკაცებისთვის არის სასარგებლო მაგისთანა შემწეობა... მეყურება, აჩუქო მაშინ, როდესაც რაიმე უბედურობის გამო შემოაკლდებათ სარჩო, თორემ უმისოდ მაგისთანა ჩუქებ-ბოძება ვერ გამოიყვანს მათ გაჭირებიდან, არამედ შემატების მაგიერ მეტ ვნებას მოუტანს, რადგან გაზარმაცდებიან შენ ხელში შემოყურების გამო.

— მეორე ესტატეს ვახლავარ! თავი დაუკრა ნაღვლიანის ღიმილით ოქრომ ძმას. ტიტიკო აილანძა, მაგრამ გადასწყვიტა განეგრძო, ეთქვა ყველაფერი რაც დღემდის გულში დამალული ჰქონდა.

— ესტატეობისგან ღმერთმა მიხსნას. არას დროსაც არ მომსვლია თავში აზრად ხალხი გამეძარცვა, შემევიწროებინა, მე მათ ზომერად ტკბილად ვეკიდები ისე, რომ ჩემი თავიც ვაცხოვრო და ისინიცა.

— გახსოვს, ტიტიკო რა ალტაცებით ჩამომართვი, როდესაც გითხარი დაცემულ ხალხს უნდა შევეწიო, აქ ვიშრომო ვიმოღვაწეო მეთქი? შენც ორის ხელით მომეჭიდე და ალმითქვი?..

— არც ეხლა ვიხევ უკანა, ხალხის შველა ჩემი სანატრელი სურვილია, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ არა ვარ შენსავით მომზადებული, რომ ჩემმა ოცნება-სურვილმა ფართოდ გაშალოს ფრთანი. როგორც გაუნათლებელი, უვიცი მივდევ ისევ ჩემს მამაპაპურ წესზე დაყენებულ ცხოვრებას, ჩავკიდებივარ ჩვენს ძველს, ამაგდებულ გუთანს, განვაგრძობ მას, რაც უკვე დაუწყვიათ წინაპართა. სხვის დამოუკიდებლად ახალი

გეგმის შეტანა ცხოვრებაში მიმძიმს. აი, ძმაო, მოხვედი, უეჭველია შენ უფრო შეიძლებ მათს შემწეობასა შრომით. ახალის ცოდნა გამოცდილებით არის, თვალ წინ დაუდექი, იმუშავე, იმოღვაწევე, მათი გარემოება გარჯით და გონების განვითარებით წინ წასწიე, რათა გაიგონ რაში მდგომარეობს ნამდვილი ცხოვრება. გააღებინე მისი ვემო, შეატყობინე თვითვეულ დავალებას რა ფასი სძევს, რომ კაცი უნდა იყვეს დამყარებული თავის მარჯვენასა და ჭკუაზე და არ უცდიდეს სხვის გამოღებულ მოწყალებას, რომელიც მალე დაივიწყება. მეც ყველაფერში მხარს მოგცემ, რავდენადაც შემეძლება, ცოლ-შვილისა და ოჯახის პატრონს.

— ეგ ანგრე იქმნება... ამ დღეებში უნდა მოველაპარაკო ხალხს მომავალ სკოლაზე. მასწავლებელსაც ჩემს ხარჯზე გამოვიწერ, გარდა ამისა მინდა აფთიაქი გავხსნა, მკურნალიც მოვიწვიო.

— მერე ერთბაშად მაგდენის გაკეთება შეგიძლიან? ხარჯს ისინი ვერ აუვლენ, შეშინდებიან, სულ შენ შემოგეხვევა თავსა, კისრულობ?

— ვკისრულობ.

— ხომ დაიღუპე, კაცო?

— შეიძლება აგრეც მოხდეს, მაგრამ ასე კი მოვიქცევი.

— დაიღუპები, ეგ აზრიც განუხორციელებელი დაგრჩება. არა, ოქრო, ანგრე ნუ მოიქცევი. შენ ჯერ ცხოვრებას არ იცნობ. შენ წრფელ სულსა და გულს სწყურიან, რაც შეიძლება მალე ამაღლდეს ეს ჩვენი უბედური ხალხი, მაგრამ სურვილის გავლება ერთის წუთის საქმეა, მის აღსრულებაში მოყვანამ კი შეიძლება მთელი სიცოცხლე კაცისა, თვით საუკუნეც კი ზედ შეილიოს. მაგდენის ერთბაშად დაწყობას არ გირჩევ, მეორეც ესა არც ანგრე დაუზოგავად ჩუქებ-ბოძებასა.

— მაშ როგორ ასრულდეს, თუ კი ხარჯს არ გავიმეტებ? გლეხებს სადა აქვთ ღონე, თუ ჩვენც არ დავეხმარებით, ან რითი მივიზიდო ხალხი, რითი დავაჯერო, რომ მათთვის კე-

თილი მინდა? რითი შევიჩვიო, თუ არ ჩუქებ-ბოძებით, რომ ცოტათი მაინც სული მოიდგან?

— არა... ვიმეორებ მაგისთანა შემწეობა სარგებლობას არ მოუტანს. გავა რავდენიმე კვირე და მისი ნასახი არც კი დარჩებათ... გაჭირებული მდგომარეობა წინანდელზე მეტად შეაწუხებთ. დახარჯე, მიეცი არა ჩუქებით, არამედ დაავალე რომ დაგიბრუნონ მაშინ, როდესაც ღონის ძიება ექმნებათ. მე სულ ანგრე ვიქცევი და ისინი არ არიან ჩემი მონდურავნი. თუ გინდა იმ ნასესხებ ჭირნახულს მიუმატე ცოტა რამეს და ავთიაქიც დაუარსდებათ.

— რას ლაპარაკობ?! უკანვე წავართვა და მითვე ახლა სხვა ხარჯი თავს მოვახვიო?... რას ეგვანება?! არა, ტიტიკო, მე საკმაო შეძლება მაქვს, შემიძლიან ხარჯითაც აუვიდე მათს მოთხოვნილებასა,— დაუმატა მტკიცედ ოქრომ.

— შენი ნებაა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.— უთხრა ნაღვლიანად ტიტიკომ და თავი დაჰკიდა ძირსა.

— ოჰ, ტიტიკო, გატყობინებ, რომ თავი უნდა შევწირო ჩემ ხალხსა. არაფერს არ დავიშურებ მათთვის სულს აქეთ რაც კი გამაჩნია... მაგრამ ამ ხარჯებით, რომ შენ ზარალში არ შეგიყვანო, რადგან ცოლ-შვილის პატრონისთვის ძნელია ამ გზაზე სიარული, ემჯობინება მამულები დავყოთ, ჩვენ ჩვენთვის დავისაკუთროთ, გავხდეთ ხელშეუვალი ბატონი და პატრონი.

— რახან მაგ ნაირად გინდა მოღვაწეობა, არ დაგიშლი. რასაკვირველია ანგრე უნდა მოხდეს, რადგან გატეხით გეტყვი, რომ არ შემიძლიან ვიკისრო ეგეები... არც ისეთი თავმოყვარე ვარ, ჩემო ძმაო, რომ მარტო ჩემთვის ვფიქრობდე... მაწუხებს შენი გარემოებაც... გთხოვ, გევედრები, როგორც შენი ერთგული ძმა, თავი დაანებე მაგ გვარ ფიქრებს. — შეეხვეწა ტიტიკო.

— არ შემიძლიან, არა!— დაჟინებით გაიძახოდა ოქრო — არა, არ შემიძლიან მარტო ჩემს თავზე ვიფიქრო, როდესაც გარშემო ასეთი სიღარიბე და შევიწროებაა!— ძმებმა კარგა ხანს ილაპარაკეს, მაგრამ ესენი მაინც თავთავიანთ აზრებზე დარჩნენ... ანო ყურს უგდებდა, მდუმარებდა, არ ერეოდა მათს ლაპარაკში,

უხაროდა კი გულში, რომ ტიტიკო ასე გონივრულად სჯიდა, თითქმის სჯობნიდა ძმას...

— რაც გნებავდეს, ის მოიქმედე... ჩემს ტიტიკოს კი თავი დაანებე; გეთაყვა, სად შეუძლიან შენს ოცნებას მიჰყვეს, როდესაც საზრუნავად ცოლ-შვილი, სახლ-კარი და მტერ-მოყვარე გახდომია?.. წაიღე რაც გერგოს და მაკინეს ჩააყარე გაუმაძღარ პირში. — ფიქრობდა ეს ამდროს, თან განაგძობდა კერვასა. მეორე დღეს ძალიან ადრე მოვიდა ექიმი. ის კარგი ნაცნობი იყო ოქროსი, ეგონა თავისთვის სჭირდებოდა და საჩქაროდ წამოსულიყო.

ოქრომ მაშინვე წაიყვანა ავადმყოფთან. ექიმმა აღმოაჩინა წელების ანთება, რომელიც თუმცა გამწვავებული იყო, მაგრამ მაინც მორჩებოდა. ოქრომ აღუთქვა ყოველ დღე ევლო, რათა წამალი ესმია სვიმონასთვის, დანარჩენი ავად მყოფებიც უჩვენა მკურნალს და, როდესაც დასაჩუქრებული გაისტუმრა, თვითონ შეუდგა დანაპირევის ასრულებას. რავდენსამე დღის შემდეგ მართლადაც ავადმყოფი რჩენაში შევიდა. სიცხემ უკლო, სახლში მყოფებმა აღარ იცოდნენ, რითი გადაეხადნათ მაგიერი. თვალ-წარბში შეჰყურებდნენ, თითქმის ეხვეწებოდნენ ებრძანა მათთვის რამე... ყმაწვილმა ქალმა ხელი დაავლო სამ-ფეხა სკამსა, ახლო დაუდგა და უთხრა მოწიწებით:

— ამაზე დაბრძანდი, შენი ჭირიმე, ბატონო, ზეზე დგომით მუხლები გეტკინება. ნინიკა წელში გასწორდა, მის ჩამქრალ თვალებში გამოკრთა სურვილი სიცოცხლისა, მთელი ოჯახი ბედნიერი იყო, მიზეზი ამ ბედნიერებისა კმაყოფილი გამოემართა სახლისკენ, თან მისდევდა ლოცვა-კურთხევა იმ ხალხისა, რომელნიც გაახალისა, ხვალინდელ დღეს შავ-ბნელ ძაძებში არ მიაგება. ოქრო დიდ სიყვარულს, ნდობას აღვიძებდა მდაბიო ხალხში, მაგრამ რავდენადაც გლეხები აღმერთებდნენ, იმდენად მეზობლები ტუჩს უბზუებდნენ, დასცინოდნენ. ახლო-მახლო სოფლების მცხოვრები მებატონენი ენდურებოდნენ, რადგან ეს ასე ურევდა სოფელს, რყვნიდა, აჯანყებდა მამულის მეპატრონეებს წინააღმდეგ, რომ ამათი საქმე ახლა სულ უკან,

უკან წავიდა, პირველი მსხვერპლი დაღუპვისა თვითონვე ოქრო შეიქმნებოდა... ბევრი ამისთანა მითქმა მოთქმა ეყურებოდა ოქროს, ეს მაინც ყურს არ იბერტყავდა, აწერდა უმეცრება-თავმოყვარეობას. დიდი ცივი უარი მიიღო მათგან, როდესაც ოქრომ სთხოვა მხარი მოეცათ სკოლის გახსნასა და ექიმის მოწვევაში. ტიტიკოს წინასწარმეტყველება სრულდებოდა, ხარჯი კისერზე ეხვეოდა. მაინც წარბს არ იხრიდა და რადგან ყველაფრის ერთბაშად გაკეთება მართლა არ შეიძლებოდა, ამისთვის არჩია პირველად ექიმზე ეზრუნა, რადგან სიცოცხლე-ჯანსაღობა ჯერ ყველაზე აუცილებელი იყო. მეზობლები გარდა ბარძიმისა, თუმცა ზურგს უკან სძრახავდნენ, არ ინდობდნენ, პირადად კი პატივსა სცემდნენ და გზას უფარცხავდნენ, როცა დაიწყებდა სოფელზე ლაპარაკს.

— შენგან არ მიკვირს! მოგიცლია! ამ გაჭირებულ დროს ყველამ თავის ოჯახზე უნდა იზრუნოს... ნეტავი იმდენი შევიძლო, ცოლ-შვილს ლუკმა შევუნახო, თორე სხვის ჯავრი არა მაქვს. ქვეყანაზე ბევრი გაჭირებულია.—მიუგებდა ესტატე.

გავიდა ენკენისთვე, ოქრომ და ტიტიკომ დაჰყვეს მამული. კარგა მიწები დახნეს. ესტატესთან რაც საქმე გაათავეს მიწის შესახებ, შუაზე გაუყვეს: თუმცა ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სრული მისი საკუთრება იყო, მოსწრებული გლეხ-კაცები, მოწმები, მის წინაალმდეგს ლაპარაკობდნენ; ოქრო გაფაციცებული იყო საქმეზე. აგერ მოახლოვდა გიორგობისთვეც, მაკინე დაჟინებით ეძახოდა თბილისიდან, აგონებდა დანაპირევს. ოქრომ დაატყო, რომ წრეულობით მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა, მოუნდა თვითონაც ქალაქში ჩასეირნება. დროებით მამულზე ზედამხედველობა მიანთო ტიტიკოს. თვითონ გასწია დაიმედებულმა, რომ მის ხვედრს მამულს ველარავინ გამოაპარებდა, რადგან მისხლობით გაეცნო, შეეგნო თუ სად რა ჰქონდა. გამოეთხოვა ძმასა და რძალს და წავიდა.

## XXIV

ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ოქრო მოვიდა ეტლით მაკინეს სახლთან, აირბინა კიბე, შინ მარტო მაკინე დახვდა, იასონი სამსახურში წასულიყო. მაკინეს ძალიან გაუხარდა ძმის მოსვლა, მალე იასონიც დაბრუნდა და რაც კი ღონისძიება ჰქონდათ პატივისცემას, ალერსსა და სიამოვნებას არ აკლებდნენ. მაკინე დაწვრილებით მოუყვა ქალაქის ამბებს, ყოველივე წვლილს. ოქროც გადასცემდა სოფლად ნახულს და გაგონილს.

— ოხ, მაკინე, რომ იცოდე, რა ძნელია ჩვენს მეზობლებთან ცხოვრება!

— ვიცი, ჩემო ძვირფასო, ისინი შენზედ ადრე შემისწავლია და გამიცვნია, თუ რამდენად ნადირები და უსინიდისონი არიან. შენც კი დაგდებია სოფლის ელფერი. გამტვერიანებულხარ, თუმცა კი მაინც ყოჩაღად იყურები. შენ, ჩემო ოქრო, სასოფლოდ არა ხარ დაბადებული. რა ნაირად მოგელიან აქაურები! ისე არ შემხვდებიან, რომ არ გიკითხონ, მეტადრე გასათხოვრების პატრონები.—დაუმატა ღიმილით მაკინემ და აკოცა.

— ახლა შენც თავი მოგწონს, არა?—უთხრა იასონმა და ცხელ-ცხელი ჩაი გადაჰკრა.

— რასაკვირველია! ვენაცვალე, არა მაქვს თავი მოსაწონებელი ამის პატრონსა თუ?—დაუმატა მაკინემ და კვალად აკოცა ძმას.

— თებერვლამდის შენ ხელში ვარ, მაკო, რაც გინდა მიყავი. მერე კი ისევ ჩემს საქმეს დავუბრუნდები.

— ძალიან კარგი, ჩემო სიცოცხლევ, ძილიან... იყავი იქამდის, ვიდრე მაკოს მოსწყინდებოდე და დაგითხოვდეს.

მაკინე წავიდა ოთახის დასამზადებლად. ოქრო გარემოების-და გვარად გამოფხიზლდა, ნახა ყველა თავისი ნაცნობი ამხანაგები. ეს თუმცა წინადაც იცნობდა ტფილისის საზოგადოე-

ბას, მაშინ კიდევ სხვა აზრით უყურებდნენ, ბავშვადა სთვლიდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ, დღეს კი ხელის სატაცებლადა ჰყავდათ. ოქრომ თავი მისცა მხიარულებას; ყოველ ოჯახისთვის სანატრელი სტუმარი იყო, არც ერთი საცეკვაო საღამო ან რაიმე საქმის კრება არ ჩაივლიდა უმისოდა. მაკინესაც უხაროდა, რაკი ხედავდა ოქროს ასეთ გართობასა. უპატიჟებდა მალ-მალ ყმაწვილ კაცებს, დღე როგორ გაივლიდა ისე, რომ ხუთი-ექვსი უცხო არა ჰყოლოდათ. თავისუფალი დრო გულ-ახდილ ლაპარაკისთვის იშვიათად ეძლეოდათ. გარნა ოქროს არ ავიწყდებოდა განზრახული მოღვაწეობა სოფლად, ეს ხშირად გატაცებით მჭერმეტყველურად იწვევდა ამხანაგებს სამოქმედო ასპარეზზე, როდესაც ისინი თავიანთ კრებებში დიდი ზათქითა და ზეიმით ჰქადაგებდნენ სოფლად ცხოვრებას, ლაპარაკობდნენ, ურჩევდნენ სხვა-და-სხვა თანხები დაედგინათ და თვითონ კი ბევრ მათგანს თავი დაენებებინათ საკუთარ მამულებისთვის, ჩაეგდოთ მოურავების ხელში, თვეში ექვსი-შვიდი თუმნის გულისთვის შესულიყვნენ სხვა-და-სხვა სამსახურში და ტრიალებდნენ ქალაქის უფერულ გაღალულ-დამჩატებულ მღვრიე მორევში. ზოგი სწავლის ანაბარა იყო, სინიდისიერადაც ასრულებდა თავის თანამდებობას, სანუგეშო სიტყვებთან ერთად აწვდენდა ღარიბ ლუკმასაც გაჭირვებულ მოძმეთა. ამათ შორის იყვნენ ისიკო ზაალიშვილი, გიორგი შრომაშვილი და სვიმონ ქარვაშვილი.

— წეღანაცა ვთქვი, ბატონებო, ეხლაც ვამბობ, რომ თუ ასპინძაშვილს აარჩევთ მაგ საქმის მეთაურადა, არავითარ სასარგებლო ნაყოფს არ გამოიღებს; მაგ დაწესებულებას არ ექნება საზოგადო იერი, არამედ გარდაიქცევა კერძო ჯიბის გასასუქებელ ღონისძიებად.—დაიწყო ახალგაზდა კაცმა ერთხელ, როცა ისიკო ზაალიშვილს მიეწვია კარგა ბლომად ქართველი ინტელიგენცია სასარგებლო საკითხავების გასარჩევადა, მათ შორის ოქროც ერია. მყუდრო ოთახში გაშლილ მაგიდას შემოსხდომოდნენ რამდენიმე ყმაწვილი კაცი. ზოგი პაპიროზს ეწეოდა, ზოგი გულმოდგინებით შეჰყურებდა ორატორს. ყურად-

ღებას არ აქცევდნენ, თუ იმ დროს ოთახში როგორ მოუსვენრად შედი-გადიოდნენ სახლის პატრონები, რომ შესაფერად დახვედროდნენ სტუმრებსა.

— აგრე დარწმუნებით რომ ლაპარაკობთ, გიჭირავთ რაიმე საბუთი? — ჰკითხა გიორგი შრომაშვილმა. სახეზე უკმაყოფილება აღუჩნდა.

— ალბად მიჭირავს, რომ ვამბობ... ის ხარბია, შურიანი, გაუტანელი, თავ-მოყვარე და გულქვა... ამისთანა კაცი არას დროს არ უნდა ჩაერიოს საზოგადო საქმის წევრადაც კი, არამც თუ მოთავედ.

— ეგეც რომ არ იყოს, რა საერთოა ჩვენსა და ასპინძაშვილის დროის ხალხთა შორის?! — წამოიძახა მეორემ.

— დრო მიდის, განათლებას წინ მივყევართ. მაშ, აზრები და მისწრაფებანი ახლდებიან, სხვაფერდებიან, ძველებს აღარ უდგებიან. ჩვენი თაობა, — განაგრძო მეორე ორატორმა, — ერთს წრეს შეადგენს, ერთ მიზანს ემსახურება. ჩვენსა და იმათ შუა სუსტი ძაფია გაბმული, რომელიც შეიძლება ყოველ შემთხვევაში გაწყდეს. ამისთვის, ბატონებო, რაც დავადგინოთ, დავადგინოთ სხვების დამოუკიდებლად, რომ სრული უფალნი ვიყვნეთ მისი.

— ჭეშმარიტებაა! — შესძახეს ერთხმად და გაისმა ტაშის ცემაც.

— ბატონებო! — წამოდგა ახლა ისიკო. — ამ ჟამად, რასაც მოგახსენებთ, ჩემს სიტყვას საზოგადო აზრი ექნება და არ შევეხები პირადად ვისმეს. თქვენ ბრძანებთ: არ ვარგა ასპინძაშვილი მეთაურადო... კეთილი... მეც გეთანხმებით მაზედ, რომ იმ კაცს ბევრი ნაკლულევანება აქვს. მაგრამ შეგიძლიანთ იპოვნოთ მაზე უკეთესი?

— რასაკვირველია!

— რა საკითხავია?!

— დარწმუნებულიცა ბრძანდებით, რომ ის ახალი თქვენ მიერ ნაჩვენები თავის გამოუცდელობით კარგა წაიყვანს საქმესა და სპეტაკი და პატიოსანიც იქნება?

— ოღონდაც!

— დამისახელეთ ურწმუნო თომას, რათა ეჭვები მოვიშორო, რადგან წმინდა ანგელოზად არავინ მიმიჩნევია...

ოთახი სიჩუმემ მოიცვა.

— რითი არა სჯობს მიხეილ მძიმაშვილი?

— ჩინებულია!

— პატიოსანია!

— მიხეილ მძიმაშვილი?! — განიმეორა ფიქრიანად ისიკომ. — მაგას მართლა ამბობთ? მაშ დარწმუნებული ხართ იმის პატიოსნებაზედა?

— ასპინძაშვილს კი სჯობია და! იმდენს ცუდს არ იკადრებს...

— ალბად არ ჰქონია შემთხვევა, თორემ მერწმუნეთ, უკან არ დადგებოდა.

— არა, ბატონებო, მე მწამს, სრულიადაც ვეთანხმები იმ აზრსა, რომ საზოგადო მოღვაწე სრული პატიოსანი უნდა იყოს. — დაუმატა ოქრომ.

— მოიგონეთ მიხეილმა რა უყო შარშან-წინ თავის ბიძაშვილს? იმოდენა ცხოვრებიდან ცარიელი დასტოვა, არ დაზოგა, არ გაიტანა. თქვენ კი მეთაურად გინდათ აირჩიოთ? — შესძახა მესამემ.

— რა ვუყოთ, მერე! რა იცი, რომელი მხარე სტყუოდა იმაში? აგრე შიგნიშიგან რომ ვარჩიოთ, მართლა ანგელოზი ხომ არავინ იქნება? შეიძლება რომელსამე პირთან, ან ოჯახთან ვერ იყოს პირნათლად, მაგრამ საზოგადოებისთვის დიდად საჭირო და სასარგებლო გამოდგეს.

ის იყო ეს სიტყვები დააბოლოვა მოლაპარაკემ, რომ აღელვებული ოქრო სკამიდან წამოხტა!

— დარისპან, რას ლაპარაკობ, ყმაწვილო! მაშ ის, რომელიც ღალატობს რომელსამე ოჯახს, მოძმეს, ერთგული იქნება მთელი საზოგადოებისა? მაშ ის კაცი, რომელიც არ დაგზოგავს არაფერში, შენს სიკვდილზედაც მოჰყვება ბოროტ ხარხარს, ან ნიშნს მოგიგებს, ჭირისუფლად დავუყენოთ ხალხსა?

განა კერძო პირი, ან ოჯახი ნაწილი არ არ არის საზოგადოებისა? განა ეს უკანასკნელი მათი რაოდენობისგან არ შესდგება?

— ეჰ, ოქრო, შენც მეტის-მეტი სასტიკი ყოფილხარ აზრებში. მაშ, რადგანაც ადამიანი ყველა შემთხვევაში წმინდა არ არის, ზურგი შევაქციოთ, გულ-ხელი დავიკრიფოთ?

— რათა? მოვძებნოთ. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ არ ვიპოვოთ. რაკი ერთხელ უარს-ჰყოფთ უზნეობის გამო, მეორეც კარგა უნდა გავჩხრიკოთ.

— არა, ოქრო, ისეთს უნაკლულოს, როგორსაც შენ გვითითებ, ვერსად ვერ შევხვდებით. ან რა არის პატიოსნება? პატიოსნება თვითეულ კაცს თავისებურად განუმარტავს. ერთისგან დასახული პატიოსნება მეორეს საკიცხავად მიაჩნია. თუ ერთი უფრო მაღლა სდგას მეორეზე, ეგ გარემოების ბრალია და არა პატიოსნებისა. ნუ ვენდობით ნურავის ისე, რომ თვალები ავიხვიოთ, პირები დავალოთ, რათა ბრმა—ყრუდ მოვლინებულ წმიდა არსებამ სურვილისამებრ გამოგვიწოდოს ნაყოფი თავის მოღვაწეობისა, არამედ ჩვენ უნდა ჩავუდგეთ კრიჭაში, რადგანაც, ის რავდენათაც ჩვენი მოთავე იქნება, იმდენად მორჩილი მონა მუშაა და მოვალეა გვაძლიოს ანგარიში ჩვენების ჩამორთმევის დროსა. მერწმუნეთ მარტო მაშინ ვეღარ შეიძლებს ის პირად ანგარიშების გახელებასა. თორე თუ ვიწყეთ ანგელოზების ძებნა, მერწმუნე ამაო და საუკუნო ძებნა იქმნება.—აღელვებით დააბოლოვა გიორგიმ.

— ჩემის აზრით, ბატონებო, მაშინაც მოტგუებულნი ვიქმნებით, თუ ვიტყვით ასპინძაშვილის თანადროის ხალხთან საერთო არა გვაქვს რაო—განაგრძო ისიკომ.

— აი რისთვის... თუ ცოდნით წინ წავსულვართ, ისინი გამოცდილებით გვჭარბობენ. მათ ცხოვრება შეუსწავლიათ მაგალითებით და არა მარტო თეორიით... მეორეც ესა იმათაც დიდი სამსახური მიუძღვით სამშობლოს წინაშე. ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ, რომ მათ მოღვაწეობას ნიღაბი ჩამოეფაროს, რადგან ჩვენი შემდეგნიც ისევე მოგვექცევიან მაშინ,

როდესაც იქნება ჩვენი სიცოცხლე, ფიქრი, გონება თან გადავაყოლოთ. არა, ჩვენ უერმანეთოდ არ ვარგივართ. თუ ერთ საგანში ისინი სცდებიან, მეორეში არც ჩვენა ვართ წმინდანნი, ამისათვისაც ერთმანეთს ველარაფრით დავაყვედრებთ... მხარი მივცეთ, მათი გამოცდილება ჩვენს მეტს ცოდნას ჩავუწონოთ, საქმე ჩინებულად წავა და შთამომავლობა დაგვიმადლებს.— გაისმა ზარის წკარუნი... თავმჯდომარე მოუბრუნდა კრებას შემდეგი სიტყვებით:

— გადაწყვეტილია კიდევ მოხდეს კრება, არა კერძო, დღევანდელი არამედ საზოგადო, სადაც ყველა ქართველი უნდა დაესწროს... უნდა დავაარსოთ ფულის თანხა, საიდანაც მიეცემა შველა ყოველ აუცილებელ საჭიროებას... პირველში ეს კმარა, შემდეგ ისევ თანხა დავანაწილოთ და მივცეთ ცალცალკე თავისი დანიშნულება... სირცხვილია მართლაც, რომ ამდენი განათლებული ქართველობაა და ჯერ კი არ წაგვიწევია წინ სამშობლოს კეთილდღეობა. ვინც წინააღმდეგი იყვეს ამ აზრისა წარმოადგინოს საბუთი! სვიმონმა მოავლო თვალი კრებას, რომელიც განაგრძობდა კმაყოფილების ნიშნად მდუმარებასა. ოქროსთვის, რომ გეთქვათ შენი ქონება სულ ამ დაწესებულებას შესწირეო, არ შეფიქრდებოდა, დიდის სიამოვნებით მიართმევდა. რანაირის თანაგრძნობით უძგერდა გული, რა სურვილები არ უტრიალებდნენ თავშია! თუ კი ისიკო, რომელიც მარტო ას ორმოც და ათი თუმნის პატრონი წელიწადში, ისიც ჯამაგირისა, რომელიც შეიძლებოდა უბედურ შემთხვევის გამო წართმეოდა, ასე გულ-უხვად, თავ-დადებით ზრუნავდა ქვეყნისთვის, აგრეთვე გიორგი, თუ სხვები, ნუ თუ ოქროს, იმ ოქროს, რომელსაც კარგი შეძლება ჰქონდა, არ უნდა გაეწვდინა ხელი?! ოლონდაც... ეს წამოდგა ზეზე, მიმართა კრებას.

— რაც კი შესაძლებელი იქნება ჩემის მხრივ, თავს არ დავზოგავ მაგ თანხისათვის. ჩავეწერები წევრად, ყოველ წელიწადს ოც და ათ თუმანს შემოვიტან. მეორეც ესა, ყმაწვილებო, სოფლისკენ მინდა გამოვიწვიო მკურნალი, აღნიშნული

მაქვს მისთვის წლიური ჯამაგირი ასი თუმანი. იმედია, ჩვენი ხალხის გულშემატკივარი ქართველი ექიმად გამოსული უკან არ დადგება, იკისრებს ჩვენკენ წამობრძანებას.—დაურთო ოქრომ და შეხედა ერთ ახალგაზდა ყმაწვილს, რადგან ის ექიმი იყო. ამ წუთამდის მჟერმეტყველებდა, ჰქადაგებდა ხალხისთვის თავ-შეწირვაზე, მაგრამ რა მოისმინა ოქროს წინადადება, სწრაფლ ჩაჩუმდა, ხმა აღარ ამოუღია. ბოლოს დიდი ბოდიშით უარი განაცხადა, რადგან აქ უკვე შებმოდა იმისთანა საქმეებს, რომლის თავის დანებება არ შეიძლებოდა. დანარჩენები აღტაცებით მიეგებნენ ოქროს სიტყვებსა, ძმურად გადაჰკოცნეს. ბაას მოჰყვა ვახშამიც, სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა.

არ დარჩენიათ არც ერთი საგანი, რომ არ გაეჩხრიკათ, არ აეწონათ. პოლიტიკა, მეცნიერება მთელი კაცობრიობა შეირყა, შეინძრა, განიკითხა ამ პატარა ოთახში. ყველაზე მხიარულად სჩანდა ოქრო, განუწყვეტლად ლაპარაკობდა.

— შრომა! ძმობა! ერთობა! შორს სიზანტევ, ნებივრობავ! ეს სულით და გულით დემოკრატია, ამისათვის არსებობს ერთი წოდება, რომელიც შეადგენს გონიერებას, ჭკუას, სათნოებასა და შრომასა. ოქროს დანიშნულება სოფელია!...

— ხვალ როსტომიანთსა კრებაა, არჩევენ სალიტერატურო ნაწერებს. ხომ იქნები? ჰკითხა გიორგიმ ოქროს, როდესაც ესენი გამოდიოდნენ ისიკოს სახლიდან.

— ვიქნები. ჰა, გიორგი რას იტყვი თან და თან ვიღვიძებთ არა?

— ოღონდაც მეტადრე შენა... მგონი კიდევაც გადააჭარბე.— უპასუხა ღიმილით გიორგიმ.

— არ მეყურება რაზე მეუბნები!

— დიდი ამბები გაქვს თურმე. ხელით სატარებელი გამხდარხარ ქალაქის საზოგადოებისათვის.

კოსტაშვილმა და სვიმონ საბაძემ მიამბეს წუხანდელ—თქვენ სალამოს თავ-გადასავალი. ქალები ბუზებსავით გეხვევიან.

— ტყუილი უთქვამთ.

— მე კი მჯერა. ეხლა ხომ თვითო ყმაწვილ კაცზე რაც უნდა გლახა იყვეს ეს უკანასკნელი, ხუთი ექვსი ქალი მოდის. აბა ახლა შენ ივარაუდე შენისთანაზე რავდენილა იქნება?.. მგონი ოციცა!...

— შენ თავზე ხომ არა სჯი?

— შეიძლება ანგრეც იყვეს. ასე გავიგონე, თადეოზ სვიმონიშვილს ძალიან თურმე უნდიხარ სასიძოდ... კარგი სამოყვრო კაცია, სამსახურში დაწინაურებული, მდიდარი...

— ნუ დაივიწყებ, რომ ყველა ეგ ღირსება თადეოზისაა და მგონი მას არავინ ირთავს! იმისი ქალი შესახვედრად, სალაპარაკოდ ურიგო არ არი, შესართავად, მეუღლედ კი ძნელი გადასაწყვეტია.

— თამარ ზანარაშვილი? —ამის წამოთქმაზე გიორგის სახე გაუცოცხლდა, ლოყები შეუწითლდნენ; ოქრომ თვალები შეაცეცა, მიხვდა, რომ ეს მაზე გულ გრილად არ იყო.

— თამარ, კარგია!—მიუგო ამან, კვალად შეხედა. გიორგი პირდაპირ იყურებოდა.

— მაშ შენ ის მოგწონს? —ყრუდ ჩაილაპარაკა მან.

— მომწონს... ზეგ საღამოზე ვაპირებ იმათთან. თუ გინდა გამოგივლი ერთად წავიდეთ.—გიორგის პირველში იამა; მერე კი ისევ მოიწყინა.— წავიდეთ, გიორგი!—უთხრა ოქრომ.

— იქნება მკურნალადაც გამოგადგე.

— მე ავად არა ვარ!..

— ვნახოთ... დრო გამოაჩენს.—ამ დროს ესენი კიდეც უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს, რადგან სხვა და სხვა მხარეს მიდიოდა ამათი გზა.

ისბ ტ-31958 10.402

## XXV

მაკინეს დარბაზი გაჩაღებულია. მეორე ოთახში სამხედრო მუსიკა უკრავს, დერეფნის კარი ხშირ ხშირად იღება, ეტლი ეტლთან ჩერდება. გამოდიან სტუმრები, მსახურნი ეგებებიან კარებთან. იასონი დგას დარბაზში შემოსასვლელთან. ხ...

იწვევს... დედოფლურად მორთული მაკინე იღებს მომხიბვლელის ღიმილით, შავ ხავერდის კაბაზე გულთან გაუკეთებია ოქროსაგან მოტანილი ბრილიანტის პეპელა, სახეზე ელვარება უკრთის, უციმციმებს... სტუმრები ჰკოცნიან დიასახლისს ხელზე. ოქრო გვერდზე მოსდგომია დას, გრძნობს უჩვეულო დიდებას, სიამოვნებას. მაკინე მიუღია მეფად, რომელთანაც თაყვანის საცემლად მოსულან მონანი. მაკინე თავაზიანად ელაპარაკება განურჩევლად ყველასა. დარბაზის გვერდზე ოთახიც მომხიბვლელად მოუწყვიათ. ამჟამად ოთახს აღარა ჰგავს, არამედ წარმოადგენს წალკოტს, შემკულს სამხრეთ სხვა-და-სხვა მცენარის გრეხილ ყვავილებით. პატარა ბუჩქებთან დაწყობილია სავარძლები აგრეთვე მწვანე ფერისა... შემომსვლელს მომაღლო ბეგობად ეჩვენება. ქვევით იატაკად კედელზე გაკრულია მწვანე ნაქსოვი, ალაგ ალაგ ელექტრონული სინათლე ცის ფერ შუქს აყენებს იქაურობას. სტუმრები წალკოტის წყალობით თავს ხალვათად, თავისუფლადა გრძნობენ, განგებ საოცნებოდ არის მოწყობილი. მაკინე დასცურავს ამ ედემში თავის მშვენიერებით, თითქო დარაჯობს ხეს ცხოვრებისას, თანაც მოვალეა არავინ მოიწყინოს. ოქრო დირიჟორია. ანგელოზებრივ მორთული ყმაწვილი ქალები გულის-ძგერით მოელიან ცეკვის დაწყობას, მაგრამ დიასახლისი ვიღასაც ელის. აგერა მტკიცის ნაბიჯით შემოდის მაღალი ტანის ჩასხმული გენერალი. მეტისმეტად გაბერილს კისრის ძარღვები დასჭიმიან ძალ-დატანებისაგან. თავ-შემაგრებით სუნთქავს, თვალები ეძებენ რჩეულთა. სალამს აძლევს დიასახლისს, თავაზიანად ულიმის ოქროს, დანარჩენთ კი ამაყად თავს უკრავს, შედის ქალალდის სათამაშოდ მომზადებულ ოთახში. კნეინა კატინა კი უფრო თავდაბალია, მეტადრე ყმაწვილ კაცებს ალერსით ეპყრობა.

— დიდება ღმერთსა! — შესძახა იასონმა, როდესაც უფროსი მიაცილა ოთახის კარებამდის, გამოუბრუნდა მის ცოლშვილს და ხელზე აკოცა კნეინას.

— უთუოდ დიდ ხანს გაცდევინეთ... ბოდიშს ვიხდი! — სთქვა კატინამ.

— დიდი რამ მომხდარა, თუნდ დაგვეცადნოს!—უპასუხა ქმრის მაგივრად მაკინემ, რომელიც საჩქაროდ მოვიდა.

— ჩემი ლიზას ბრალია. მარწმუნებდა ჯერ არც კი იქნება დაწყობილიო, სანთლებს ხომ ჩვენ ვერ ავანთებთო.—განაგრძო კნეინამ და შეხედა გვერდზე მდგარ პირისფერ ვაზის კაბაში მორთულ ქალსა.

უიმისოდაც გაწითლებულ ლიზას ჯიგრის ფერი დაედო. დიდი კეხიანი ცხვირი, პაწია ჩაძვრენილი თვალები არ დააკმაყოფილებდნენ მშვენიერებისკენ მლტოლველ ახალგაზდას. ქალი თითქო გრძნობდა უსახობას, მოკრთალებით იყურებოდა. ოქრო თუმცა თავაზიანად გამოელაპარა, მაგრამ მალე მოშორდა.

— თამარი!—გაისმა ამ დროს ყმაწვილ კაცებში, ოქრომაც იგრძნო ეს ხსენება, მიიხედა. თეთრებში მორთული ქერა ქალი მოუძღოდა დედას. სუბუქად ჩაცმული არ შეედრებოდა აკოფაანთ შუშას, ან ბანკიანთ კატინას, რომელთ თვითეული ნივთი გულზე გაკეთებული ორას თუმანზე მეტი ღირდა. თამარი მაინც არ შემდრკალა ძვირფასი სანახავებით, თამამად ეჭირა თავი. ის პირდაპირ სახეში უყურებდა ყმაწვილ-კაცებს, თითქო უსიტყვოდ, ეუბნებოდა:

— მიყურეთ და დასტკბით!—ეს გამბედაობა ოქროს არ უკვირდა, რადგან ყველა ლამაზი არსებისა თითქმის ჩვეულება იყო. თამარი არ მოსტყუვდა. მაკინეს სტუმარი ქალები ერთი მეორეზე უარესები მოსჩანდნენ სახით, ორ სამს ეტყობოდა ეშხი, ისიც დათხოვილებს... მარტო მაკინე და თამარი იყვნენ ამ სალამოს მშვენებანი. ყველა ამათკენ მოეშურებოდა, ცდილობდნენ მეტი ნაწილი დრო სალამოსი მათთან გაეტარებინათ ლაპარაკსა და ტრფიალებაში.

— ვალსი!—დაიძახა ამ დროს ზარიანი ხმით ოქრომ. ხალხი გამოფხიზლდა, მუსიკამ დაიგრიალა. ოქრო და მაკინე გასცურდნენ, მათ უკან სხვებიც მოჰყვებოდნენ. შემდეგ ოქრომ მიირბინა ლიზასთან, რომელიც მალე სხვა დამაზედ გასცვალა.

— შეიძლება, კნიაჟნა, ვალსი გთხოვოთ?—ბოლოს გაჩერდა თამარის წინ.

— რატომ!—მიუგო ქალმა, მკლავი მხარზე დაადო. ოქროს ამ რამდენისამე წუთის წინად სრულიად დამშვიდებით მიჰყავდა თითეული დამა, მაგრამ შეახო თამარს ხელი თუ არა, თითქო თავბჭყვიალი დაეხვაო, სიცხემ დაურბინა სახეში, გულმა ძგერა დაუწყო, თავი დავიწყებას მისცა, თითქო ზეცაში აიყვანესო. ყმაწვილი ქალის თვალები ხშირად შემოჰყურებდნენ ამის თვალებს, ამისი სუნთქვა ასე ახლო ეყურებოდა, გული ასდიდასდიოდა. თამარისთანა ლამაზი აქ არავინ იყო, ესეც ოქროს მკლავებს ჩაებოჭათ. თამარი იღიმებოდა. ვალსს მოჰყვა კადრილი, შემდეგ ლეკური, ბოლოს ისევ განმეორდნენ ევროპიული თამაშობები ისე, რომ ოქრო მოიქანცა, დირიჟორობა გადასცა კოტაშვილს; თვითონ დასასვენებლად წავიდა წალკოტად მორთულ ოთახში, დაეშვა სავარძელზე, იწმენდავდა ოფლის ხვითქსა, რომელიც გადასდიოდა შუბლზე, მერე კი შესცურდა ზღვა ფიქრ-ოცნებაში.

— რას ფიქრობთ, კნიაზო?—მოისმა ამ დროს. ოქრომ მოიხედა, წინ უდგა თამარი.

— თქვენს მშვენიერებას.—უპასუხა ღიმილით ოქრომ.

ქალს კმაყოფილებისაგან ლოყები შეუწითლდნენ, ჩაჯდა სავარძელში.

— ხომ არ მოგეწყინათ, კნიაჟნავ?—ჰკითხა ოქრომ.

— სრულებითაც არა. ასე მხიარულად არას დროს არა ვყოფილვარ. ახ, უკაცრავად, ახლა კი უნდა წავიდე კადრილი იწყობა და კავალერი მიცდის. დაურთო თამარმა, საჩქაროდ წამოდგა, გარდადგა რავდენიმე ნაბიჯი, მერე ისევ მოტრიალდა— ზეგ ხომ მობრძანდებით?—ჰკითხა ოქროს.

— უეჭველად.

— სკრიპკა არ დაგავიწყდეთ.

— რას ბრძანებთ, რა დამავიწყებს?... თქვენი ფორტოპიანი და ჩემი სკრიპკა სწორედ ციური ჰანგების დუეტია ხოლმე.

— ია, თუ ვარდი?—ამ სიტყვებით ოქროს წინ გაჩერდა კოხტაშვილი, რომელსაც მოჰყავდა ლიზა და კატინა.

— ია, მიუგო უგულოდ ოქრომ. ლიზა აღმოჩნდა იად. ოქრომ საცეკვაოდ წაიყვანა. ღამის მეოთხე საათმა დაჰკრა, მხიარული სტუმრები არ ჩქარობდნენ დაშლას, ეძლეოდნენ უზომო მხიარულებას. მარტო გათენების დროს გაახსენდათ ოჯახის სხვა-და-სხვა განკარგულებანი.

— იმედია არ დაგავიწყდებათ ზეგისათვის მობრძანება!— მოაგონა თამარმა, როდესაც ოქრომ გააცილა დერეფნის კარამდე. ოქროს ძლივას ეღირსა მოსვენება, თუმცა კი არ აყო მონდურავი განვლილი საღამოსი.

## XXVI

რამდენსამე თვის შემდეგ ოქრო იჯდა კაბინეთში, სწერდა თავის მეგობარ ვანოს მოსკოვშია.

„კარგა ხანია მას აქედ რაც არ გამოგლაპარაკებივარ, ძვირფასო მეგობარო, უეჭველია ფიქრობ: ის თავმოყვარე ქართველია: ვიდრე სჭირდები, აგონდები, მერე მეტად ჩაგთვლის, ზურგს მოგაქცევსო. ეგ აზრი მაინც სასარგებლოა ჩემთვისა, რადგან ყოველთვის მიჭირდა და მიჭირს შეუდარებელი მეგობარი, რომელსაც მინდა გული გადვუშალო, გავუზიარო ცხოვრების ყოველი წვლილი. რაც საქართველოში მოვედი, განუსაზღვრელ გარემოებაში ვიმყოფები. ცხოვრება წარმოადგენს იმ დიდებულ სურათს, რომელიც გამოფენილია პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში და ეწოდება: „არეულობა“. გადაღებულია ქვეყნის გაჩენის პირველი დღე, სადაც წერტილებად მოსჩანს ყოველი არსი ბუნებისა, მაგრამ გამოურკვეველია. დიაღ, ჩემი ცხოვრებაც ასეა. არ ვიცი, როდის დაწმინდავდება ეს აღელვებული მდინარე ცხოვრებისა და რომ დაწმინდავდება, უეჭველია, რადგან იპოვნის დიდის ცდის შემდეგ კვალსა და გაწანწკარდება უშიშარ, უზადო მშვიდობიან ადგილზე. მანდ დაწყობილმა გეგმამ ჩემის მოქმედებისამ არ ივარგა ნიადაგი, ხალხი და ჰაერი თითქო წინ აღუდგა, ერთ-ხმად შესძახეს: ჯერ ადრეა, ჩვენთვის უცხოა. გადავწყვიტე ჯერ გავიცნო ხალხი, მა-

გრამ მგონი მთელი სიცოცხლე შევალიო ამ სურვილსა. მახლობლები, თუ ნაცნობები ყურში ჩამძახიან განუწყვეტლად: გაფრთხილდი, ოქრო! გაუფრთხილდი ყველა სულიერსა და მეტადრე ადამიანსაო. შენც არა ერთხელ გითქვამს. წარმოიდგინე თვითეული ამას მეუბნება, მაშ, ნეტავი, ვიღა დარჩენილა გასაფრთხილებელი? ხანდისხან მთელ საათებს ვანდომებ ხოლმე ამ ფიქრებსა.

ღმერთო, ნუ თუ ამ მშვენიერ ნიჭიერ ხალხში უნდა იმალებოდეს ბოროტება? ნუ თუ სინათლე და სიბნელე ერთად მოთავსდება? მაგრამ ერთი მეორეს რომ სდევს, ეს კი ნამდვილია. ჩემი ცხოვრება ორ-წყალ შუაა, არ ვიცი რომლის ნაპირას გამიყვანს ბედის ნავი. შენ კარგა იცნობ ჩემს იდეალს, მისწრაფებასა, რომელიც მდგომარეობს გაჭირვებულ მოძმეთა დახმარება-აღდგენაში... მოვედი თუ არა, სოფლისკენ გავწიე. ძმა მკლავებ გაშლილი დამიხვდა, ფრთები შეასხა ჩემს სურვილთა, აღმითქვა დახმარება, მაგრამ, მერე, როცა ხალხს დავუწყე ძლევა, ძმა და მეზობლებიც განზე გამიდგნენ. ჰაერში კოშკების მშენებელი, ბედოვლათი მიწოდეს; იძულებული ვიყავ მშვიდობიანად გავყროდი ტიტიკოს. ის მეუბნება: ადრეაო; მეორეც ესა—მარტო მე ვერას გავხდები, მას კი არ შეუძლიან მომყვეს, რადგან ცოლშვილის პატრონს ეს ნაბიჯი ძვირად დამიჯდება. ამ აზრისაა ტიტიკო, და ნუ თუ ვიწრო ჩარჩოში არ არის ჩასმული ეს მისწრაფება? ეს ხომ პირუტყვმაც იცის, თავის შვილებს საზრდო შეუნახოს, სხვისთვის კი არ იზრუნოს? ზოგჯერ თითქო კიდევაც ვამართლებ, მეც გავიფიქრებ ცოლი შევირთო, ოჯახი დავადგინო, მაგრამ იდუმალი ხმა ჩამძახის და ხმას აკმენდინებს ამ უეცარ სუსტ მოსაზრებას. სულსა და გულს სწყურიან უფრო მეტი მოღვაწეობა. ჯერ მინდოდა ხალხის ნდობა დამემსახურებინა, რადგან მტრულად გვიყურებენ.

ბევრს ნივთიერი დახმარებაც აღმოვუჩინე, თითქო შევიძელი მათი ჩემსკენ გადმოყვანა, ვურჩიე სკოლის გაღება; ამაში კი არ მომენდვნენ. გამომიცხადეს, რომ ამ რამდენისამე წლის

წინად ვინმე თავადმა როგორ გამოართვა ფული ამ მიზნისთვის და შეჭამაო; მეზობლებიც ჯიბრს მიწევენ, იქნება ჰგონიათ ვცდილობდე მარტო სახელისთვის, მინდოდეს ყველგან პირველი ადგილი? არა, შემცდარნი არიან, დიდის სიამოვნებით დავთანხმდებოდი სულ უკანასკნელი უძლურის ადგილის დაჭერას, თუ კი მართლადაც ჩემი ნატვრა-სურვილი, ჩვენი ქვეყნის კეთილ-დღეობაზე შედარებით სხვებთან ასე დაკნინებული გამოჩნდება, რომ ყოველი ქართველი დაშორებით მაღლა იდგეს თავის მოღვაწეობით! მერწმუნე, ძმაო, შეშურების ნაცვლად ვიდღესასწაულებ, რადგან დარწმუნებული ვიქნები, ჩვენი ქვეყანა მალე აყვავდება ერთგულ თავ-შეწირულ ხალხისგან. რა მტკიცე ხასიათი, ფოლადი გული და მოთმინება უნდა მოვიშველო, რომ ეს ალმაცერად შემომყურე ხალხი მივიზიდო. ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება! თითქმის ყოველ ღამ შევთხოვ სალოცავსა. მაგრამ იქნება მართლა ჯერ ადრეა?... ჯერ წელიწადიც არ არის რაც მოვსულვარ... ხალხმა მაინც ყურადღება მომაქცია. ზოგიერთ შემთხვევაში მომენდო. ესეც დიდი ნაბიჯია. რა უმადურია ადამიანი! ხშირად ვერ ხედავს, არ აფასებს ღირსეულად კაცისგან მინიჭებულ შველასა. როდესაც ხალხმა უარი გამოაცხადა სკოლის აშენებაზე, მაშინ ვარწმუნებდი, რომ ხარჯი ჩემი იქნებოდა, მარტო შრომით მიეცათ შემწეობა, თვალ-ყური დაეჭირათ. უნდა გენახა, რა ეჭვის თვალით, უნდობრად დამიწყეს ცქერა, მაინც არ მიიკარეს ჩემი წინადადება; მაგრამ რომ ჩაუფიქრდეს ადამიანი, არც ამაში არიან გასამტყუნარნი. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ თავადიშვილს, იმ მებატონეს, რომლის მამა-პაპა ოდესმე ცხვრებსავით ჰყიდდა, სტანჯავდა შეუბრალებლად, დღეს მათი ჰირისუფლება მონდომებია? განა მგლისგან ბატკანი ვის უნახავსო? ალბად ამბობენ ასე, გარნა თან და თან რბილდებიან...

მაინც ყველა მებატონეთაგან მე უფრო პატივის-ცემით და სიყვარულით მეპყრობიან. მე კი მინდა, მენატრება ყველა მათგანმა გადამიშალოს გული და სული შიგ ჩამახედოს, მომთხოვოს თვითეულ გამრუდებულ გაზიანებულ ძარღვის გა-

მთელება..... აი რას გეტყვი.... მაშ მოთმინება, და იმედი.... ჩვენი ხალხი გამოფხიზლდა, ტფილისში დაწესდა სხვ-და-სხვა თანხები. მეც ვირიცხები წევრად — ჩვენი ყმაწვილ კაცობა მისცემია უფრო მეტ ლაპარაკს, მაგრამ რაკი საქმეზე მიდგება რიგი, სიჩუმეა... არ არის ერთობა, ამის გამო სუსტნი ვართ. ყველა ერის ხალხი გვჯობნის, წინ გვისწრობს, ჩვენ კი მშრალზედა ვრჩებით. ბევრი პრაკტიკას დაღირსებული მკურნალი, თუ ისე განათლებული ყმაწვილი კაცი, რომელიც აგრეთვე თავკადაგლეჯილი ეძებს სამსახურს, თვითო გროშიან ადგილს, ქალაქს არ შორდება, არ მიდის სოფლად, სადაც მომეტებული ასპარეზია მოქმედებისათვის. მიზეზად იდებენ სოფლის უჟიცად ყოფნასა, მის უმეცრებით სავსეობას, უგზო-უკვლობის გამო მიმოსვლა გაძნელდებათ, რომ შეუგნებელ ხალხში ცხოვრება წამებაა... დიაღ, პირველი ნაბიჯი! გადადგმას ვერავინ ბედავს, იძახიან ერთი ორი რას გახდებაო და მრავალი არსადა სჩანს. წვეთები წვიმისა, რომ ერთად არა გროვდებოდნენ, არ უერთდებოდნენ ზღვას, ისე უზარმაზარი წყალიც დაშრებოდა. მაშასადამე მისთვის წვეთსაც მნიშვნელობა ჰქონია. ყველას სარდლობა უნდა, უბრალო ჯარის კაცი, რომელიც ისევე საჭიროა ბრძოლისათვის, როგორც სარდალი, არა სჩანს. ბრძოლის ასპარეზი დაუცავად რჩება, უმეცრება კი დათარეშობს წინანდებურის ვერაგობით... მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ იმედი გამქრალიყვეს. იქ, სადაც იპოვებიან გიორგი შრომაშვილისა, ასიკო ზაალაშვილისა და სვიმონ ქარვაშვილისთანა ქართველობა, არა მგონია, იქ კეთილიც არ იმარჯვებდეს... ხომ გახსოვს ჩვენი მხიარული უზრუნველი გიორგი?... აბა ნახე ეხლა რა რიგად გამოიცვალა! მას საკუთარ სულის გარდა სხვა სულიც დაჰპატრონებია, იზიდავს თავისკენ; მეორე სული ჭეშმარიტი გიორგია, რომელიც მოუჯადოებია თამარ ზონარაშვილს, ეს უკანასკნელი კი არ თანაუგრძნობს, თუმცა ეკეკლუცება. თუ შეგხვედრია ოდესმე ლურჯ თვალება, თეთრ ყირმიზი, მაღალი ტანის ქალი, მისი სურათი ცხვირი იწყება კალამა წარბებიდან, თავდება მარწყვა ტუჩების გასწვრივ, ეს ტუჩები ილიმებიან,

აჩენენ მარგალიტ კიჭებს... სიცოცხლით სავსე გულ-მკერდი, მაყურებელს ატყვევებს, მიბნედილი თვალები ბურუსში შეხვეულად მოჩანან, მეტადრე მაშინ, როცა თეთრი ბუდეშურისავით მოყვანილი თითები ეხებიან ფორტოპიანის კლავიშსა. აკორდს აკორდზე იღებენ, გაისმის ხან დაწყნარებითი კვნესა-ჩივილი, ხან გამედგრებული ქარიშხალი აზეირთებული ზღვისა... უნებურად გულ-ხელი დაგიკრეფია, გაშტერებული გაწამებით წინ უდგეხარ ფერიას, რომელიც გაწვეთებს ყურში მომხიბვლელსა და მასთანვე საშიშო ხმებსა. ეს ხმები გარდიქცევიან ელექტრონულ მავთულებად, გივლიან სხეულის ძარღვებში, გათრობენ, გაძინებენ. პირველად ამისთანა შთაბეჭდილების მომხდენი არსება თუ გინახავს, მაშ გინახავს თამარ ჩოხარაშვილი. იქნება იფიქრო, საწყალი ოქრო, გადარეულა ჩვეულებრივ ქალისთვის, ახლა მეც მიხატავს ზეციურ არსებადაო. არა, გადარეული არა ვარ, თუმცა კი ვეძებ მის საზოგადოებას. იყო დრო, როცა მთელ საათობით ვფიქრობდი მაზე, მაგრამ უფრო მეტ ნაწილ დროს მის ფაფუკ სიმშვენიერეზე ვიდრე სულზედა, რომელიც პირველ გაცნობაშივე ვერ შევამჩნიე. მისთან შეხვედრის დროს ჩემი არსება გრძნობდა მწვავ სიცხეს, მზად ვიყავ თავი დავიწყებისთვის მიმეცა. გარნა ეს გრძნობა ნელ ნელა შესამჩნევად შესუსტდა, ჩაქრა... დარჩა ჩვეულებრივ მშრალი სინამდვილე. თამარი პირველად იოსების-შვილის ოჯახში გავიცანი. მერე ხშირად ვხვდებოდი. ჩვენ სახლშიაც დაიარებოდა, რადგან მაკინეს ვთხოვე და ისიც იპატიჟებდა. თვითონაც მართავდნენ საუცხოვო საღამოებს, სადაც ჩემს სკრიპკას დიდი ფასი ედო. ჩემს გარდა შეუმცნეველი ადგილი არ ეჭირათ გიორგის, ისიკოს თუ სხვა მრავალ ყმაწვილ კაცობას... ხომ იცი ლამაზი ქალის ბინის ადგილს შორიდანვე ავიღებთ ხოლმე კაცები!... მოცლილ დროს იმათსა ვიკრიბებოდით. გიორგი მოხიბლული იყო ქალისთვის, ისიც თვალთ მაქცურად იზიდავდა მაყურებელს, სილამაზის მეფა თვალ-წინ გვეყენა; გარდა ამისა ქაღალდს ვთამაშობდით, ვცეკვავდით; გემრიელი ვახშამი, წითელი კახური ღვინო და წარმოიდგინე თუ რა განცხრომაში უნდა იყვეს

სიცოცხლის ვნებათა ღელვით აღვსილი ახალ გაზდა კაცი!..
თამარი ცდილობდა ჩემს ახლოს ყოფნასა, ჩემთან ლაპარაკს;
რა უნებურის საყვედურით გადმომხედავდნენ როგორც გიორგი
ისე სხვები! ვგრძნობდი მართალია ამ ყურებას, მაინც როგორც
შემცოდე არ ვიმჩნევდი, ვსარგებლობდი წუთებით.

— მოწონება!.. მერე რა ვუყოთ, რომ სხვებსაც მოსწონთ?!
განა ვარდი, რომ ვისმეს მოეწონოს და თავის ადგილზე ხელ
მიუკარებელი დარჩეს, სხვას ნება აღარ აქვს მივიდეს ახლო,
იყნოსოს მისი დამათრობელი სუნელება? ვფიქრობდი, ვტკბე-
ბოდი აწმყოთი სწორედ იმ დროს, როდესაც ჩემს ახლო ერთი
არსება იტანჯებოდა.

თამარმა ინსტიტუტი დაამთავრა, უფრო კი მომზადებულია
მოტრფიალეთა მოსახიბლველად. მაგრამ ღარიბია. ამის გამო
სხვა ქალები უფრო ადვილად თხოვდებიან. ჩემ დას მაკინეს
არ მოსწონს, თუმცა კი არას მეუბნება... მოჩენილია შევირ-
თო ლიზა სვიმონაშვილი. ნათესაობა აღტაცებულია ამ აზრით;
თვითონ ლიზაც დარწმუნებულია, რომ ის ჩემი მომავალი მე-
უღლეა, აქამდის მოკრძალებული, ეხლა თან და თან მილაღ-
დება; რა უსიამოვნოა თავისი წვრილი უსიცოცხლო თვალე-
ბით, როდესაც დაიწყებს ხოლმე სიცილს, მისი უხერხული თან
მობოხებული, თან უეცრად მოწვრილებული ხმა უნებურ უსია-
მოვნობას გაგრძნობინებს; თავაზიანობისა და ხათრის გამო კი
ვალდებული ვარ დროებით ქედი მოვუხარო. მაკინე მართავს
საღამოებს, ხშირ-ხშირად ჰპატიჟობს მას და სხვებსაცა. თამარი
კი მარტო ერთხელ იყო. მაკინე ძალიან გამოიცვალა, ძილი
აღარ აქვს მოსვენება... ფერიც დაჰკარგა, აშკარად ვანჩნევ რა-
ღაც აწუხებს; ეშინიან, ფიქრობს, დარწმუნებულია რომ ამ
ცოტა ხანში ცოლს შევირთავ, მას კი თავს მივანებებ. საწყალს
ძალიან ვუყვარვარ. ვერ მორევია გულს, ვერ შესჩვევია აზრს,
რომ უჩემოდ გასძლოს. დავუჭირე ხელები, შევფიცე ჯერ ცო-
ლის შემრთველი არა ვარ-მეთქი. უნდა გენახა რა რიგად გაე-
ხარდა. მაგრამ საკვირველია, რომ არ უნდა ჩემი ცოლის შერ-
თვა და კი მირჩევს ლიზას.

ერთხელ თამარმა გამართა ვახშამი, შემომითვალა მარტო მე. რა ლამაზი რამ იყო იმ ღამეს!... მაშინაც მე დამრჩენოდა კავალრებში უპირატესობა. აგერა თამრო, ფორტოპიანოს უკრავს, მე სკრიპკა აღარ ავიღე ხელში, არამედ ყური მივუგდე დაკვრასა. ქუჩუნა თვალებს ხშირად შემომანთებდა, მესროდა მწვავ ისრებს. მეც ვუყურებდი გაშტერებული, მინდოდა შემეტყო მართლა კუპიდონისგან იყო მოგზავნილი სამუდამოდ იდეალის დასაკმაყოფილებლად, თუ მარტო წუთიერ სიამოვნებისთვის გაჩენილ არსებად? კაბის სახელი, მოკლე ნიდაყვამდე შიშველი ხელი, გაბრწყინებული სხვა-და-სხვა ფერ თვალებიან სამაჯურებით ხშირად კრთებოდა ჩემ თვალ-წინა, სამაცდუროდ მახელებდა. წუთს თავი ხელთ ველარ ვიგრძენ, უეცრად შევეხე ტუჩებით მის ხელს სწორედ იმ დროსა, როცა ქალმა ნაზად ამართა ერთ-ერთი მათგანი ჰაერში, რომ ისევ დაეშო.

— შვენებავ!—წავჩურჩულე. ის არ განძრეულა, არამედ განაგრძობდა დაკვრასა, ლოყები შეუწითლდნენ, აკორდები განუწყვეტლად ღუღუნებდნენ სიყვარულის ნეტარებასა, მაგრამ აცა ეს რა ამბავია? გული წყრომით აივსო, გონებამ თანაუგრძნო, რაღამაც ჩამძახა:

— თაყვანება მიუწდომელს, ლოცვა-დიდებისი უზენაესს და არა ჳედა-მიწას, რომელიც ფერხთა ქვეშ მოგვიქცევიაო. თამარს შევხედე, ის თუმცა განაგრძობდა წინანდებურადვე კეკლუცობას, აღტაცების მაგიერად გამელვიძა დაცინვა. აკორდებიც ამაოდ ჩურჩულებდნენ მოგონილ ტრფიალებასა... არა, უსულო ხეს არ შეუძლიან ჭეშმარიტების გამოხატვა, სიყალბეა ჩემს გარშემო!... დავუმატე ჩემთავად და რავდენისამე წუთის შემდეგ ქალს მოვშორდი, სხვებს შევუერთდი, თუმცა თვალ ყური ისევ თამარისკენ მეჭირა. ჩემს ადგილზე გიორგი დამჯდარიყო, მომეტებულად დაბანგული შეჰყურებდა. ნუ თუ თვალები არ მატყუებდნენ? თამარს სახის მეტყველება ისევ წინანდელი დარჩენოდა, თვალები ისევ შესცინოდნენ ახალ მოტრფიალეს. თამარი ჩემს თვალში ძლიერ დაბლა, კიბის უკანასკნელ საფეხურზე ჩამოვიდა, მაინც გადავწყვიტე არ შემემჩნევინა, განმე-

გრძო მასთან თავ-შემაგრებული თავაზიანი ურთიერთობა. გიორგი აღტაცებულია; თამარისთვის კი გიორკი, ოქრო, თუ ისიკო და სხვები ყველანი ერთნი ვართ. მაგრამ იქნება ასე მომეჩვენა? იქნება გიორგის ბედია, კი არ შევნატრი ამ ბედსა! იმ საღამომ უმნიშვნელოდ არ ჩაიარა გარეშე ხალხისთვისაც. გარდასწყვიტეს, რომ ჩვენში საქმე გათავებულია, მეორე დღეს მაკინეს მოულოცეს. მაკინე განწირულებაში შევიდა, იქამდის იმოქმედა ამ ელდამ, რომ ავად გახდა, ნერვები მოეშალა, ექიმმაც გვირჩია მისთვის ჰაერი გამოგვეცვალა... სწორედ გითხრა მეც მომწყინდა ქალაქში, მოვიღალე, მოვიქანცე. რაც დღესაა ის ხვალა, მეგონა რაიმე ახალი სულის ᲓᲐ გულის გამამხიარულებელ რასმეს შევხვდებოდი, მაგრამ ამაოდ. ყველანი მომბეზრდნენ, დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს; შეგროვდებიან ხოლმე ყმაწვილები ჩემს ოთახში, გათენებამდე ქაღალდს თამაშობენ. ცარცმა, ოთახში ჯდომამ, ქალაქის მოწამლულმა ჰაერმა თითქო ყელიც ამომიხლანძა.. სოფლისკენ, ჭეშმარიტებისკენ! დიაღ, ამ ორ დღეში იქით გავწევთ. გაიანესთან მიმყავს მაკო, მეც ერთ ორ კვირეს იქ დავრჩები, მერე დავუბრუნდები ჩემ სოფელსა. გაირბინა ზამთარმა, თეატრი, ბალები, ქალების საზოგადოება, საქველ-მოქმედო საქმეების კრებები, ყველა ერთი მეორეს მოსდევდა და შეუმცნევლად თავი დაგვიკრა მაისმა. თამარი აღარ მინახავს, გიორგი კი მარწმუნებს ამ დღეებში საქმე გათავდებაო. ვნახოთ... ნახვამდის, შენი ოქრო".

მართლაც მაისის დამდეგს ოქრომ წაიყვანა მაკინე გაიანესთან. თუმცა მაკინე ცოტატი გამხდარიყო, მაინც არ მოჰკლებოდა თავისი მშვენება, სოფელში გამხიარულდა, მოსუქდა, გაუკეთდა წინანდელი ღაბაბი...

— დავისვენებ და წავალ!.. იმეორებდა ოქროც. რავდენიმე დღის შემდეგ იასონიც ამოვიდა. როსტომმა დაუპატიჟა მეზობლები, გაუმართა მშვენიერი სადილ-ვახშმები, რომელნიც წინად მოვიხსენიეთ.

## XXVII

— აბა, ოქრო, არ წავიდეთ?. . მოესმა ხმა. ოქრო გამოერკვა ფიქრებიდგან, მოიხედა. გაიანე და მაკინე უკვე მომზადებული თეკლესთან წასასვლელად წინ უდგნენ.

— განა დრო არი?.. ჰკითხა ოქრომ, საათს დახედა.

— ბიჭოს! მეორე დაიწყო?—შესძახა გაოცებულმა.

— მიკვირს რით ვერ მოგწყინდა მაგდენი ოცნება?—ღიმილით უპასუხა განომ.

— ეხლავე მზადა ვარ, პატარა მომიცადეთ... როსტომი კი არ მოდის?...

— არა, საქმე მაქვსო. პატარა ხანს უკან ოთახიდგან ოქრო გამოვიდა მორთული, უთავაზა მკლავი დებსა და ერთად წავიდნენ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ქეთინოს სახლსა, მით მოუსვენრობა ეტყობოდა ოქროს, უმატებდა ქალებთან ლაპარაკს, რათა აღელვება დაეფარა, მაგრამ მაკინე ცხადად ამჩნევდა, თუმცა არას ამბობდა. დერეფანში გამოეგება თეკლე. ოთახიდან გამოისმოდა ფორტოპიანის ხმა და ლაპარაკი. ეტყობოდათ სხვა სტუმრებიცა ჰყავდნენ. მაკინე ეჩქარებოდა ქეთინას ნახვაგაცნობას, რადგან წინად სადარბაზოდ რომ მოსულიყო, ის არ დანახვებოდა თვალით, ახლა კი იმედი ჰქონდა უეჭველად გაიცნობდა. გაიანესაც გადაეწყვიტა დღესვე შესდგომოდა მაკინესგან მინდობილ საქმეს. ესენი შევიდნენ. აგერა მარიკა, ზაქარო, პალიკო, არჩილ და სხვები... ყველას, ვისაც კიიცნობდა ოქრო, აქ მოეყარათ თავი, ზოგი ქალალდს თამაშობს, ზოგი მიჩვევიან ფორტოფიანოს, რომელზედაც უკრავს მაშო. მაშო ჩვეულებრივზე მოხდენილი, სუბუქ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილია. კარი გაიღო, შემოვიდა ქეთინო პირისფერ ტანისამოსით, ეს ყველაზე მეტად შვენოდა. ოქრომ მაშინადვე შეხედა მაკინეს, რომელიც დაკვირვებით უყურებდა ახლად შემოსულს; ქეთინო მივიდა მაკინესთან, როდესაც თეკლემ დაუძახა, გააცნო.

— რა ანბავია ქალო, რომ ანგრე დამალულხარ! არა გრცხვენიან?—ჰკითხა გაიანემ. ქეთინოს თვალები გაუბრწყინდნენ, ბოდიში მოიხადა ნახვის დაგვიანებაზე. ოქროს გულით უნდოდა ქეთინოსთან ლაპარაკი, ჯერ ჯერობით ვერ ახერხებდა, რადგან ქალი თითქო გულ მოდგინებით ყურს უგდებდა ფორტოპიანოს ხმას. ეშხში მოსული მაშო გრძნობდა და ხელოვნება საკრავის კლავიშებზე გადაჰქონდა. შეწყდა ფორტოპიანოს ხმა. ოქრო მივიდა ქეთინოსთან.

— როგორა ბრძანდებით? – მოწიწებით მოიკითხა ამან, თან ალერსით დაუწყო ყურება.

— გმადლობთ, კარგა გახლავართ.—უპასუხა ქალმა და თვალები ძირს დახარა.

— როგორი კმაყოფილი დარჩით გამოგზავნილ წიგნებისა?

— ჩინებულია. გმადლობთ.

— ნებას მომცემთ თქვენს ახლო დავჯდე?...

— რატომ.—ოქრო დაეშვა ქეთინოს გვერდით დადგმულ სკამზე, მაგრამ იმ დროს მათთან მივიდა განო, სხვები და ლაპარაკმა სრულიად სხვა მიმართულება მიიღო. ქეთინო დღეს უჩვეულო სიამოვნებას გრძნობდა, ყურადღებას არ აქცევდა პალიკოსგან კრძალვით, მაგრამ ვედრებით მოპყრობილ თვალებსა; ეს ხედავდა მარტო ოქროსა. ქეთინო მიემგზავსებოდა იმ დიდი ხნის დამწყვდეულ ფრინველს, რომლისთვისაც ის იყო გაეღოთ გალიის კარი, პირდაპირ ლაჟვარდ კამარაში აესროლათ, ფრთები გაეშალა და ამდენ მშვენიერ სანახავისა, სუბუქ ჰაერის წყალობით გარინდებული ფრთასა სწურავდა. გონება ვერ მოეკრიფა, აღტაცებულს სიტყვა ძლივსღა ეპოვნა წარმოსათქმელად. მას დღეს აქეთ, რაც ოქრო შეხვდა მაღლობ ადგილზე ჯეროს თანადასწრებით, ქეთინო გრძნობდა, რომ ამისი გული ძალზე სძგერდა, ატყობდა აგრეთვე ოქროსაც, თუ რავდენად ეყურადღებებოდა მას ქეთინო, აგრძნობინებდა გაოცებასა.

— თითქო მაშოს ეტრფისო!.. მერე შეიძლება ერთსა და იმავე დროს ორ არსებასთან ტრფიალი? რატომ თვითონ ქე-

თინოს არ შეუძლიან ასე მოიქცეს?... განა შაქრო, პალიკო, სხვა ყმაწვილები და ოქრო ერთ ნაირ შთაბეჭდილებას ახდენენ ქეთინოზე? თუმცა არც ისინი აბეზრებენ თავსა, მეტადრე პალიკო, რომელიც ამისთვის გადარეულა, მაგრამ ოქრო, ოქრო სულ სხვაა... ოღონდაც.—იმეორებდა ეს, როცა ბრუნდებოდა ჯეროსთან ერთად სახლში... ქეთინომ აღარ დაუშალა მაშოს, უკანასკნელი შემაგრებულის გულის ტკივილით უსმენდა.

— ჩემთვის სულ ერთია... თუნდ შენ შეურთავხარ, თუნდ მე,—აი, რა პასუხი მიიღო ქეთინომ დისგანა. რატომ ქეთინოსთვისაც არ არის სულ ერთი? მაშ ერთ გვარად არ ყოფილან მომართული ამათი გულები, თუ რა მიზეზია?! ქეთინო ატყობს მაშოს, რომ ყველას ერთ გვარის სიამოვნებით ელაპარაკება ხოლმე... ქეთინოს კი სხვის ლაპარაკი არც კი ესურება, ამას მარტო ოქრო ჩაესმის ყურში, ბუნების ყოველი წერტილი წინ უყენებს ოქროს მშვენიერის სახით; ზარსავით დაწმენდილი ხმა, ცოცხალი ცქვიტი მოქმედება სიზმარშიაც არა ერთხელ მოსჩვენებია; ქეთინოს კიდევაც ესურებოდა მისი სუნთქვა, სტკბებოდა; ეპვები კი თავიდან არ მოსცილებია. თუმცა საკითხი წიგნებიც მიიღო, თვალით აღარ დანახვებია, თითქო ეშინოდა, თან კიდევაც სწყუროდა, შიოდა მისი ნახვა, თვალებით მიალერსება... ხშირად როცა სახატი ხელში ეჭირა, დააჩერდებოდა რომელსამე ლამაზ ადგილს ქაღალდზე აღსანიშნავად, უეცრად სახე გაუბრწყინდებოდა, თითები იწყობდნენ თრთოლასა, ქეთინოს ბაგე გაესხნოდა და დაიჩურჩულებდა:

— ვინ მაღირსებს ქვეყნის სათაყვანოს? ვინ მაღირსებს ქვეყნის ღმერთსა?—ქეთინო დარწმუნებული იყო, რომ ამ საუცხოვო ადგილებთან კავშირი ჰქონდა ოქროსაც, წარმოუდგებოდა თვალ-წინ და წარმოდგენის ზეგავლენით იტყოდა ამ სიტყვებსა. არც მარიკასთვის დაემალა, მაგრამ საკვირველია, რომ მარიკაც არაფერს სანუგეშოს აღარ ეუბნებოდა, აღარც ურჩევდა წინანდებურად ხალხში გამოსვლასა, არამედ მარტო ძალდატანებით უღიმოდა.

— ნუ თუ ამასაც არ ემეტება ჩემთვის ოქრო? მერე მარიკას?! — შესძახებდა ქეთინო გაოცებული, როდესაც მეგობარს მოშორდებოდა... — რა მიზეზია? ოხ, ცხადად ეტყობა მარიკას, თუ ქეთინოს სიტყვებს მისთვის ვერაფერი სიამოვნება მიეტანათ. ამასაც ხომ არ უყვარს? ან რა გასაკვირველია? ვის არ ეყვარება მერე უმანკო ანგელოზი ოქრო? მერე პალიკო? რა მოუვა საბრალოს? ის დიდი ხანია, რაც აღარ უნახავს ამასა, უსათუოდ იმედი გადაიწყვიტა... ოხ, ახლა კი მიმხვდარა ქეთინო, თუ რათა სწყინს მარიკას, რომ მან ყურადღება მიაქცია ოქროსა... ძმის გულისათვის? უეჭველია... არა, არა, ოქროს, მარტო ოქროს შემოევლება ქეთინო, მაგრამ როგორ? სად შეხვდეს? ხალხში გამოვიდეს? ქეთინო, მაინც ვერ ბედავდა, ეშინოდა. რა ვუყოთ, რომ ჯერას დახატვა უნდა... მერე? დახატავს, წავა, თვალით აღარც კი დამენახვება... ჩემამდის ვინ მოაღწევინებს! დღეს თუ ხვალ წაიყვანენ. ქეთინოს ყური მოეკრა თამარზე, აგრედვე განოსგან გაეგო, რომ მაკინე ურიგებდა ვიღაც მდიდარ ქალსა.

არა, ვერავის ვათქმევინებ, რომ მე მას უკან დავდევდი! წარმოსთქვა ქეთინომ, — ფეხი აღარ გადადგა იქ, სადაც ოქრო შეხვდა, თუმცა გული სულ სხვას შესთხოვდა. მოუვიდა განოსაგან დაპატიჟების წერილი, არ წავიდა; მოვიდა სადარბაზოდ მაკინე, არც მაშინ გამოსულა.

— რა საერთოა ჩემსა და მედიდურ ქალს შორის?! გული არ მისწევდა მაკინესკენ. კიდევაც ეშინოდა იმისი.

— სჯობს რაც არ იქნება, ნუ იყვეს. — განაგრძობდა ქეთინო უიმედოდა. გაიანე მოვიდა, შეეხვეწა წაჰყოლოდა, რადგან მაკინეს უნდოდა ქეთინოს ნახვა.

— რისთვის? — ჰკითხა გაოცებით ქეთინომ, როდესაც განო არწმუნებდა, თუ რა თავდაბალი ქალი იყო მისი და.

— თავდაბალი? მერე რა თავდაბლობა მართებს ქეთინოსთან? — თავმოყვარეობამ ხმა გაიღო ახალ გაზდა ქალში, უნდოდა განოსთვის ეკითხა, მაგრამ გონებამ დააკმაყოფილა შემდეგის პასუხით: — უფროსებისა და სიმდიდრის გამო ქეთინოს გულში

ეცინებოდა.—არა, ეს ვერავის გაიბატონებს, თუმცა ღარიბია მაინც სხვებზე მდიდრად მიაჩნია თავი.—ქეთინო ჩაჩუმდა.—არ, შემიძლიან წამოსვლა!— გადაწყვეტით უთხრა განოს.

— თუ კი აქამდის დადიოდი?...

— მაშინ შემეძლო, ეხლა ველარ.

— ახლა კი მიმხვდარი ვარ. ოქროს ერიდები, განა? გაიანემ თვალი თვალში გაუყარა ქალსა, ქეთინო გაწითლდა, თავი ჩაღუნა.

— მე ოქროსთან მოსარიდი რა მაქვს?—უთხრა ამან.

— რა ვიცი. ალბად შეატყე, რომ მოსწონხარ, შორს უდგები, ეთამაშები!

— ოქროს მოვწონვარ, ვეთამაშები?!—ქეთინო ჯერ პირველში გაწითლდა, მერე ფერმაც გადაჰკრა.—მერწმუნე, განო, ეგ ჩემთვის პირველი გაგონებაა! ვეთამაშები?! არა, შემცდარი ხარ!

— რა არის მერე კიდევაც, რომ ანგრე იყვეს?.. განა ღირსი არ არის ოქრო? განა არც ის მოგწონს? არა, ქეთინო, ის შენთვის გადარეულია.—ქეთინომ სიამოვნებით გაიღიმა, სახე გაუცოცხლდა, აღარა ათქმევინა-რა განოს, პირზე ხელი მიაფარა.

— არა გჯერა?... ღმერთს გეფიცები, მართალს გეუბნები!...

— სსუუ!... მჯერა! მაგრამ ნუ ამბობ... არაფერი არა იქნება-რა... მაგ აზრითაც არ ვუყურებ ოქროს.—განომ ხელი გაუწკაპუნა ლოყაზე და ჩაჩუმდა. ის იყო ქეთინო მოლბა უნდოდა დამორჩილებოდა განოს, რომელსაც უმალავდა. ამას მოუნდა განოსთან დამეგობრება, დაახლოვება, სწყუროდა სულ მასთან ყოფილიყო, თვალები მოეხუჭა და განოს ეღუღუნა, ეჩურჩულა სულ ერთსა და იმავე საგანზე, სულ ოქროზე. რომ არ შერცხვენოდა კიდევ ხელმეორედ ათქმევინებდა, გაამეორებინებდა, თუ როგორ მოსწონდა ეს ოქროს, რა სიტყვებით იხსენიებდა, მაგრამ არჩია გაჩუმება, თავს ძალა დაატანა, შეეკავებინა აღძრული სურვილი. განო შემოსწყრა და წავიდა, და რომ გაესწორებინა თეკლეს ქეთინოსგან მოუფიქრებელი

ბავშვური საქციელი, გამართა სადილი, მოიწვია განო და-ძმით. მამო პირველში ძალიან სწუხდა, რომ ოქრო ყურა-დღებას აღარ აქცევდა, მერე დღითი დღე შეეჩვია იმ აზრს, რომ სრულიად დაკარგვას, მტრის გულისად გახდომას ისევ სჯობდა, თავის დას შეერთო და თავიანთ ოჯახს გარედ არ გასულიყო ოქრო. თეკლეც ასე ფიქრობდა, ცდილობდნენ ახლა ქეთინოსთვის, თუმცა მამო მაინც განაგრძობდა ოქრო-სთან კეკლუცობას, იქნება კიდევ როგორმე დავიბრუნოთ... ქეთინო მოუთმენლად ელოდა სტუმრებსა. გამოუცხადეს თუ არა, დღეს წვეულება გვაქვსო, უარის უთქმელად დაეთანხმა გამოსულიყო. მეზობლები შეგროვდნენ, ყმაწვილ კაცობა, შაქრო აღარ შორდებოდა მარიკას; ყველაზე მეტად დაღვრემა ეტყობოდა პალიკოს, რომელიც მოწიწებით, მორიდებით ეპყ-რობოდა ქეთინოს, ცდილობდა იშვიათად დალაპარაკებოდა. სტუმრებმა თავი მოიყარეს, გაიმართა ცეკვა-თამაში, სანა-ტვრელები კი იგვიანებდნენ. უცბად დერეფნიდან გაიგონა ქეთინომ ოქროს ხმა, ეს გავარდა თავის ოთახში, აღელვებულს სული ვეღარ მოეთქვა, თითქო არც მადლიერი იყო ამის მო-სვლისა, რადგან გული აღარ უმშვიდდებოდა, უჩქროლავდა. გაფითრებული სახე, ათრთოლებული ხელები უსათუოდ ადვი-ლად გასცემდნენ საიდუმლოში. ეს იდგა სარკის წინ, სავარ-ცხლით ისწორებდა ჩამოწეწილ თმას, რომელშიაც გაებნია მინდვრის გაცრიაგებული ყვავილი. დაკვირვებით უყურებდა სახეს, ტანს, ჩაცმულობას, ერთხელ კიდევ მოჟუტა თვალები, გადგა განზე, ალმაცერად გახედა სარკეს, შემდეგ გაღიმებული გამოვიდა, მიესალმა განოს, დაჰკოცნა; ამ კოცნით თითქო სთხოვდა მოტევებასა.

— რა მშვენიერებაა!... დაუმატა ამან, როდესაც შეხედა მაკინეს.

— რა ანბავია, კნიაჟნა, რომ ამის მეტად ვერსადა გნახეთ? — ეკითხებოდა მაკინე მედიდურად, თვალებში გამოუკრთოდა დაცინვაც... ეს მამოსთან შენობით იყო; ქეთინოს მაინც არ გაჰკვირვებია მაკინეს თავაზობა, კიდევაც შეიფერა.

— არ მიყვარს არსად სიარული.—მოკლედ და თამამად მიუგო ამან.

— რა თავ-გასული გომბიო ყოფილა!—გაიფიქრა მაკინემ, მაინც არჩია დროებით მიჰფერებოდა.—იმედი გვაქვს დღეის იქით მოხვალთ განოსთან და უფრო დაახლოვებით გავიცნობთ ერთმანეთსა!—განაგრძო იმავე კილოთი მაკინემ.

— გმადლობთ... ვეცდები... ჩემთვისაც საჭიროა თქვენთან მოსვლა, თუ დრომ ნება მომცა.

— თქვენისთანა ახალგაზდა ქალისთვის დროსა და მოუცლელობას რა საქმე აქვთ?...

— არა, იმედია კნიაჟნა გვეწვევა.—ჩაერია ამ დროს ოქროც.

— კნიაჟნა, ახლა თქვენი რიგია შეგვაქციოთ ფორტოპიანოს დაკვრით!—სთხოვა მაკინემ.

— დიდის სიამოვნებით ავასრულებდი თქვენს თხოვნასა, რომ მცოდნოდა დაკვრა...

— სამაგიეროდ მხატვრობისთვის ხელი მაგიყვიათ! ხომ შეიძლება ვნახოთ?

— მაპატიეთ, კნეინავ, ჩემი ხელოვნება იმ ღირსებამდის არ არის მიღწეული, რომ გამოქვეყნდეს...

— დაფასება თქვენის ნახატებისა გარეშე პირზეა დამოკიდებული და არა თქვენზედვე. სად გახლავთ ჩემი მეგობარი ჯერო? დაუმატა ოქრომ, როდესაც მაკინე წავიდა იქით. ქეთინომ უფრო თავისუფლება იგრძნო.

— ის ბაღჩაშია, ბალახსა სძოვს, თქვენზე გაჯავრებულია, რაკი დაპირებული არ აუსრულეთ.

— უმადურს ხომ არ მეძახის? ისე ალერსით მომექცა პირველში, მე კი თითქო დავივიწყე.

— რა ხან თავს დამნაშავედა გრძნობთ, შეცდომა გაასწორეთ. ჯერო კეთილია, სულგრძელი, მოგიტევებთ.

— ეჭვი არ უნდა, რადგან აღზრდილია თქვენს სურვილსა და ხასიათზე. საროდიოდ შეიძლება საკანონოს გადახდა?

— როცა მოისურვებთ.

— ხვალ?

— შეიძლება.

— არ შეგაწუხებთ?

— არა. — აქ მყოფნი თვალს ადევნებდნენ ქეთინოს და ოქროს, რომელნიც უფრო სახის მეტყველებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მუდამ ცდილობდნენ ერთად ყოფნასა. მანდილოსნები კიდევაც ჩურჩულებდნენ იმათზე. მაკინეც არ აკლებდა ყურადღებას, თუმცა ვითომ არ იმჩნევდა, განაგრძობდა დიასახლისსა და სხვა ქალებთან უზრუნველად ბაასსა. განოც, როდესაც კი ხელში მოიგდებდა ქეთინოს, მუდამ ჩასჩიჩინებდა, თუ როგორ გადარეულიყო მისთვის ოქრო.

— ქეთინო, რას იტყვი ჩემი რძალი რომ გახდე? მერე როგორ შემოგხარის ბეჩა და რაზე გადაგვითიე ის ყმაწვილი, ქალო?! — ქეთინო ხმას არ იღებდა, მარტო ნეტარებით იღიმებოდა. ოქროც კმაყოფილი იყო დღევანდელის დღითა, გადასწყვიტა დარჩენილიყო კიდევ რავდენსამე ხანსა, რადგან ქეთინომ ნება მისცა რომ მათთან ევლო. ოქრო უეჭველად მივიდოდა... თუმცა მაშო და თეკლე ხშირად დაუშლიდნენ, მაგრამ ხშირადაც მიეცემოდათ დრო თავისუფლად ყოფნისა, ქეთინოსთან მარტოდ?! საკმაო იყო წარმოედგინა ოქროს, რომ გამოუთქმელი სიამოვნება ეგრძნო.

— რა კარგი ხარ! რა უმანკო! — განუწყვეტლად იმეორებდა ეს გულში. დღევანდელი დღე უჩვეულოდ ლამდებოდა ყველასთვის. ქალებს ახალი საჭორაო გასჩენოდათ, ქეთინო და ოქრო ერთი-მეორეს დაახლოვებოდნენ, თეკლესა და მაშოს დაეჭეშმარიტებინათ, რომ საქმე მალე გათავდებოდა, ოქროზე იმედ დაკარგული მარიკა აღარ უფრთხოდა შაქროს, რომელიც აგრეთვე კმაყოფილი განაგრძობდა ტრფიალებასა. გაფითრებული პალიკო ხშირად უყურებდა ამ ორ არსების ფარულ ალტაცებასა, გული უწყალოდ ეგმირებოდა. მაკინეც ფიქრობდა, რა მოეხერხებინა, რომ ქეთინოსა და ოქროს შორის მტკიცე კავშირი არ დამყარებულიყო. განო ცდილობდა ქეთინოს აზრები შეეტყო, დანარჩენი ყმაწვილ-კაცები ჩვეულებრივად მხია-

რულებდნენ, იქ მყოფთ შეაქცევდნენ სხვა-და-სხვა სათამაშოებით. არჩილ არ შორდებოდა მაკინეს, ადარებდა მზეს, ქეთინოს კი მბჟუტავ ვარსკვლავსა, მიმქრალებულს, უჩინარს, მზის ბრწყინვალე სხივისგან დაჩაგრულ მილეულსა. ამგვარად გაატარეს მთელი დღე, კარგი ბინდი იყო, როდესაც დაიშალნენ, ოქრო დაბრუნდა სახლში ხვალინდელის დღის მომლოდინე. წერილი დასწერა ძმასთან, ატყობინებდა, რომ ჯერ ვერ მივიდოდა და ეხვეწებოდა ყური ეგდო მამულისთვის, სახარჯ ფულსაც იბარებდა.

ანასტასია ერისთავი

(შემდეგი იქნება)

# მარტოობა

## მოპასანის ამბავი

(ვუძღვნი ან. დეკანოზიშვილს)

ეს იყო ერთი სადილის შემდეგ, რომელშიაც მარტო მამა-კაცები იღებდნენ მონაწილეობას. ყველანი მეტად გამხიარულდნენ. ერთმა იქ მყოფთაგანმა, ძველმა ჩემმა მეგობარმა, მითხრა:

— არ გინდა, გავისეირნოთ ელისეის მინდვრებისაკენ?

და ჩვენ გავემართენით წყნარი ნაბიჯით გრძელს ხეივანში ხეების ქვეშ, რომლებიც ახლად იბურებოდნენ ფოთლებით. სულ უბრალო ხმაურობა არსაიდამ ისმოდა, გარდა იმ ყრუ და განუწყვეტელი გრგვინვისა, რომელიც გააქვს მუდამ პარიჟს. გრილი პირქარი გვისისინებდა, აუარებელს რიცხვს ვარსკვლავებისას თითქო ოქროს ფერი ხრილი დაეყარა ცის სივრცეზედ.

ჩემმა თანამგზავრმა მომმართა:

— არ ვიცი რისთვის, ან რად, მხოლოდ ღამე აქ უფრო უკეთ ვსუნთქავ, ვიდრე სხვაგან, სადაც უნდა იყვეს. ისე მეჩვენება, თითქო აქ ჩემი აზროვნობა უფრო ფართოვდება. ზოგჯერ ჩემი გონება იმისთანად გაცისფროვანდება რაღაც სინათლის შუქით, რომ ერთის წამით მაინც ვრწმუნდები — აგერა, აი განვსჭვრეტ არსებათა ღვთაებრივ საიდუმლოებას. შემდეგ ფანჯარა ისევ უცბად იხურება და ყველაფერი ქრება.

ხან გამოშვებით ჩვენს წინ ვამჩნევდით ორს აჩრდილს, რომელნიც ხან-და-ხან უცბად გამოკრთებოდნენ ხოლმე ბუჩქნარის სია-

სლოკეს. ერთი სკამის გვერდზე გავიარეთ, რომელზედაც ქალ-ვაჟი ისე მჭიდროდ მისუტულიყვნენ ერთმანეთთან, რომ ერთის ბნელს წერტილს წარმოადგენდნენ.

ჩემმა მეზობელმა წაიბუტბუტა;

— საცოდავნი! არა ზიზღს, არამედ განუსაზღვრელ სიბრალულს მიღვიძებენ იგინი. ყველა საიდუმლოებათა შორის ადამიანის ცხოვრებაში არის ერთი, რომელსაც მივხვდი. უდიდესი წამება ჩვენის არსებისა არის ის გრძნობა, რომ მარად მარტონი ვართ, და ყოველი ჩვენი ცდა და მოქმედება მიმართული არის იმაზედ; რომ როგორმე გავექცეთ ამ მარტოობას. აგერ ისინი, ის შეყვარებულნი სკამზედ თვალ-გაუწვდენელი ცის ქვეშ, ცდილობენ, ვითარცა ჩვენ, ვითარცა ყველა დაბადებულნი, როგორმე; ერთის წამს მაინც შესწყვიტონ თვისი მარტოობა. ხოლო იგინი, როგორც წინად ჩვენებრ მარტონი რჩებიან. ერთნი გრძნობენ ამას მძლავრად, მეორენი ნაკლებ. გარჩევა მხოლოდ ამაშია.

ეს რამდენიმე ხანია, რაც მე ვგრძნობ ამ აუტანელს წამებს,— მე მივხვდი, მივწვდი და შევიგენ ის მარტოობა, რომელიც მუდმივი ჩემი თანამგზავრია; და მშვენივრად ვიცი, რომ არაფერის არ შეუძლიან მისი მოსპობა, გესმის თუ არა, სრულიად არაფერის! მიუხედავად ყველა ჩვენის ცდისა, ყველა ბეჯითობისა, მიუხედავად ყველა ჩვენი გულის აღმაფრენი გრძნობისა, მოწოდებისა და ხვევნა ალერსისა, ჩვენ მარად მარტონი და სულით ობოლნი ვრჩებით.

მე გამოგიწვიე, გაგიტაცე დღეს საღამოზე სასეირნოდ, განსაკუთრებით იმისთვის, რომ სახლში არ მომსდომოდა დაბრუნება, რადგანაც დღეს ნამეტნავად მდევს, მაწუხებს მარტოობა, სიობლე ჩემის სულისა. ხოლო მიშველის რამეს ეს? მე გელაპარაკები, შენ მისმენ და მაინც ჩვენ მარტონი, ობოლნი ვართ. არ ვიცი გესმის, რასაც გეუბნები, თუ არა? «ნეტარ არიან გლახაკნი სულითა», გვიწერს სახარება; მათ სწამთ ბედნიერება, სწამთ რომ არიან ბედნიერნი. ისინი არა გრძნობენ ჩვენებრ ტანჯვას, მწუხარებას, გამოწვეულს მარტოობით, სულის ობლობით. ისინი ისე არ დაფოთიარებენ ცხოვრებაში, როგორც მე, მათი დამოკიდებულება ხალხთან გარეგანია, მათ სხვა სიხარული არა აქვთ, გარდა ეგოისტური დაკმაყოფილე-

ბისა მით, რაც გესმის, ჰხედავ, მიმხვდარხარ და დაუსრულებლად იტანჯები იმ შეგნებით რომ ჩვენ მარად მარტონი, სულით ობოლნი ვართ.

შენა გგონია, რომ თითქმის შეშლილი ვარ, გამოტყდი?

ყური დამიგდე. მას აქეთ, რაც ვიგრძენ მარტოობა მთელი ჩემი არსებისა, მე მგონია, რომ დღითი-დღე გაქანებული მივისწრაფვი რაღაც ბნელი უფსკრულისაკენ, რომლის კიდეთ თვალი ჩემი ვერა სჭვრეტს, ვერა ჰპოულობს, დასასრული მისი არ ვიცი და შეიძლება არც დასასრული აქვს, არც კიდე. მავდივარ იქით და არც თანამგზავრი მყავს, არც ახლო მყოფი. არ არის არც ერთი ქმნილება, რომელიც მიდიოდეს იმავ წყვდიადის გზით. ეს უფსკრული არის ცხოვრება. ხან-გამოშვებით მესმის გრგვინვა, ხმაურობა, ყვირილი... ცეცხლით მივიღვწი იმ შფოთიერი გრგვინვისაკენ, გარნა არ ვიცი ნამდვილად, საიდამ ისმის და მომდინარეობს იგი. თავის დღეში არავის შევხვედრივარ,—ვერა ვპოულობ სხვა კაცის ხელს იმ ნისლში, რომელიც გარშემო მარტყია. გესმის, რასაც გეუბნები?

მომხდარა, რომ ზოგიერთს ადამიანს უგრძვნია ამ გვარი მწარე ტანჯვა.—მიუსსე ჩივის:

ვინ მოდის? ვინ მიხმობს? არავინ.
მარტო ვარ... საათმა პირველი დაჰკრა.
ოხ, მარტოობავ! ოხ, სიგლახაკევ!

ხოლო მიუსსესთვის ეს იყო მსწრაფლ წარმავალი ეჭვი და არა გარდაწყვეტილი რწმუნება, რომელიც მე მტანჯავს. ის პოეტი იყო ცხოვრებას ოცნებით ავსებდა, ზმანებით. ის არას დროს არა ყოფილა ნამდვილად მარტო. გარნა მე მარტო ვარ.

მარტო გუსტავ ფლობერი, ერთი უდიდესი უბედურთაგანი მთელი მსოფლიოსი იმიტომ, რომ იგი იყო ერთი უდიდესთაგანი ნათელ-მხედველი ცხოვრებისა, სწერს თავისს მოყვასს ამისთანა საშინელს სიტყვებს: «ჩვენ ყველანი ვიმყოფებით უდაბნოში. არავის არა ესმის-რა».

არა და არა, არავის არავისი არა ესმის-რა, რაც უნდა ილაპარაკოთ, როგორი მცდელობა და უნარიც კი უნდა გამოიჩინოთ. განა იცის ქვეყანამ, რა ხდება აიმ ვარსკვლავებზედ, რომელნიც განფენულან

დაუსრულებელს ცაზედ, ვითარცა მარგალიტის მარცვალნი,—ისეთს მიუწდომელს სიშორეზედ, რომ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ შუქს ზოგიერთებისას, მაშინ როდესაც უთვალავი ლაშქარი დანარჩენებისა იღუპება უსამზღვროებაში, გარნა ისე ახლო არიან ერთმანეთზედ, რომ, შეიძლება შეადგენდნენ ერთს რამეს სრულს, მარტივს, როგორც უთვალავნი კერძნი ერთის სხეულისა. და აი სწორედ ამ რიგად ადამიანმაც არ იცის, რა ხდება სხვა ადამიანში. ჩვენ უფრო შორსა ვართ ერთმანეთზე, ვიდრე ის ვარსკვლავები,—მეტს ვიტყვით—უფრო განცალკევებულნი, განყენებულნი, რადგანაც სხვის აზრის და ფიქრის გაგება შეუძლებელია.

იცი თუ არა სხვა რამე უფრო დიდი საშინელება, ვიდრე ეს ერთმანეთზედ ქმნილებათა მუდმივი დამოკიდებულება, რომლის გაგების, აღნუსხვის ძალი არა გვაქვს! ჩვენ ყველას გვიყვარს ერთმანეთი, თითქო მჭიდროდ მიგვბორკეს ერთმანეთზე, ვიწვდით ერთმანეთისაკენ ხელებს, გარნა ვერას გზით ვერ მივწდომივართ მთლად შესისხლხორცებას, გარდაქმნას. მტანჯველი საჭიროება კავშირისა გვწულავს, ხოლო ყოველი ჩვენი ცდა რჩება უნაყოფოდ, თმობა ამაოდ, ყველა გულის თქმა უსარგებლოდ, ხვევნა ულონოდ, ალერსი ანაზდად. ჩვენი აღფრთოვანება, მისწრაფება ერთმანეთისაკენ შესაერთებლად, ბოლოვდება მით, რომ ერთმანეთს ვეჯახებით.

მე არას დროს ისე ძლიერ ობლად, მარტოდ არა ვგრძნობ თავს, როგორც მაშინ, როდესაც ჩემს გულს ვაძლევ რომელსამე მეგობარს, რადგანაც სწორედ მაშინ უფრო ნათლად ვამჩნევ უძლეველ ზღუდეს. აი იგი, ეს ადამიანი. ვხედავ მის ნათელს თვალებს, რომლებიც ჩემსკენ აქვს მიპყრობილი! გარნა მის სულიერ არსებას, რომელიც იმალება იქით, მე სრულებით არ ვიცნობ. ვხედავ, ყურს მიგდებს. ნეტა რას ფიქრობს? რას ფიქრობს მეთქი? ვერ მიმხვდარხარ, არ გესმის ეს მწუხარება, ტანჯვა? შეიძლება ვძულვარ? ან თუ ვეზიზღები? იქნება დამცინის? ხინჩში უდგია ჩემს სიტყვას, ჩემს განსჯაში შედის, მკიცხავს, მგმობს, უსაშუალოდ მხდის, რეგვენად. რა ვიცი, რას ფიქრობს? როგორ შევიტყო, ვუყვარვარ თუ არა ისე, როგორც მე? ნეტა რა ჰბუდარეობს მის პატარა მრგვალ თავში? რა დიდ საიდუმლოებას შეადგენს ჩვენთვის უცნაური აზრი სხვა ქმნი-

ლების, აზრი დაფარული და თავისუფალი, რომლისა ჩვენ არც გაგება შეგვიძლიან, არც ცოდნა, არც მიმართვა, არც დაქვემდებარება და არც დამონავება!

გარნა რაც უნდა ძალიან ვეცადო, გადვუშალო, მივაყრდნო მთელი ჩემი არსება სხვა ქმნილებას, გავუღო ყველა შესავალი ჩემის სულისა და გულისა,—მაინც ამას ვერაფრის გზით ვერ მივასწვე-სიღრმეში, სულ შიგ გულისა და სულის სიღრმეში, მაინც დამრჩება დაფარული კუნჭული «მე», სადაც არავინ არ შთამჭვრეტს, არავის არ შეუძლიან მისი ფარდის ახდა, შესვლა, რადგანაც არავინა მგავს მე და არავის არავისი ესმის-რა.

ახლა, ამ წამს მაინც მიხვდი რასაც გეუბნები? არა შენ უგუნური გგონივარ! შენ მაცქერდები, მერიდები, შენ კითხვას აძლევ შენ თავს «რა მოუვიდა ამას დღეს საღამოზე?» გარნა თუ ოდესმე განსჭვრიტო და მიხვდე კნინს ჩემის საშინელის გვემამოწამეობისას, მოდი და მითხარი მხოლოდ: «მე განვიცადე შენ» და ამით გამაბედნიერებ, თუნდა, ერთის მყისით მაინც.

განსაკუთრებით დედაკაცნი უფრო მაგრძნობინებდნენ ხოლმე ჩემს მარტოობას, ობლობას. ვაგლახ მე! ვაგლახ მე! როგორ ვიტანჯებოდი მათი გამოისობით, რადგანაც ხშირად, მამაკაცებზედ მეტად,—შთამინერგავდნენ ხოლმე ოცნებას, რომ მე მარტო, ობოლი არა ვარ. როდესაც მთელს შენს არსებას აძლევ საყვარელს, ასე გგონია, თითქო ვფართოვდებით. შენ გაგიტაცებს არა მიწიერი ნეტარება! იცი კი რატომ, რისთვის? იცი რითი აიხსნება ეგ შემეცნება მიუწდომელის ბედნიერებისა? განსაკუთრებით იმითი, რომ ადამიანი საგონებელს არს,—იგი მარტო არ არის. მარტოობა, ადამიანის უილაჯობა, თითქო სწყდება, თავდება. რა ცდომილებაა!

უდიდესი და უძლიერესი შეცდომა ცხოვრებაში ის გრძნობაა, რომ ვფიქრობთ, ვითომ ვიკურნებით ამ სენისაგან დედაკაცისადმი სიყვარულით.

შენ გახსოვს დამატკბობელნი წამნი, რომელნიც გაგიტარებია პირისპირ გრძელ თმიან მომჯადოებელ ქმნილებასთან. რა უგუნური ახტაცება გვიბნელებს მაშინ ჩვენ გონებას! რა ილიუზიები გვიმონავებენ ჩვენ!

ხედავ, რომ აგერ-აგერ მოვა ის წამი, როდესაც მე და ის შევერთდებით, შევსისხლხორცდებით. ხოლო ეს წამი არასდროს არა დგება და შემდეგ მთელის კვირების ლოდინისა, იმედისა და გაცთუნებული სიხარულისა, უცბად ერთს მშვენიერს დღეს, ვგრძნობ უფრო მეტს სიობლეს, მარტოობას, ვიდრე ოდესმე. ყოველი კოცნის შემდეგ, ყოველი სკვნისა და ალერსისა შემდეგ მარტოობა ჩემი იზრდება. მერე როგორი მწარეა იგი, რა საშინელებაა!

პოეტმა სიულლი პრიუდომმა ტყუილად კი არა სთქვა:

> ალერსი შეადგენს მხოლოდ ბუნდოვან ალმაფრენასა,
> უნაყოფო ცდას უბედური სიყვარულისას, რომელიც ესწრაფება
> მიუწდომელს: შედუღებას სულისას სხეულთა კავშირის წყალობით...

მერმე კი მშვიდობით, ყველაფერო გაითავებულია! ჩვენ ძლივღა ვცნობთ იმ დედაკაცს, რომელიც ერთს წამს იყო ჩვენი ყველა და რომლის გულითადი აზრი, იქნება ჩვეული, გაცვეთილი, ჩვენ არა დროს არა გვცოდნია!

ასე გასინჯე იმ წამებშიც კი, როდესაც ჰგონია, რომ ქმნილებათა საიდუმლო ერთხმობაში, სურვილთა და ყველა ტრფიალებათა სრულს შედუღებაში შენ განსჭვრიტე იგი სულის სიღრმემდის, უცბად ერთი რომელიმე სიტყვა, მხოლოდ ერთი, გიმჟღავნებს შენს შეცდომას, ვითარცა წყვდიად ღამეში ელვა შავს ღრანტეს, მდებარეს შენის თვესის წინ.

მიუხედავად ამისა ყველაზედ სათუთესო ქვეყანაზედ არის საღამო, რომელიც გაუტარებია კაცს საყვარელ ქალთან მდუმარებაში, როდესაც თავს თითქმის სრულიად ბედნიერად, ჰგრძნობ მისი სიახლოვით, მისი სუნთქვის გუმაგობით. ნუ მოვითხოვთ მეტს, რამეთუ ორს ქმნილებას არ ძალუძთ ერთ-სულ და ერთ-ხორც გარდაქმნა.

რაც შემეხება მე ამის შემდეგ ჩემის პირისათვის დამიდვია კლიტე. არავის აღარ ვეუბნები, რა მწამს, რას ვფიქრობს და რა მიყვარს. ვიცი რა, რომ მე მისჯერპლი ვარ საშინელის მარტოობისა, სულის ობლობისა, შევყურებ საგანს, ხოლო არას დროს არ ვამბობ მაზედ ჩემს აზრს. რა საქმე მაქვს სხვის მსჯელობასთან, უთანხმოებასთან, განცხრომასთან, რწმენასთან! მოკლებული ყოველს

შემლებას რომ გავუყო სხვას რამე,—მე გავხდი ყოველისფრისადმი გულგრილი.

უხილავი ჩემი აზრი რჩება განუცხადებლად. მე მაქვს გაცვეთილი პასუხები ჩვეულებრივ ყოველ-დღიურ კითხვებზედ, და ღიმილი იმ შემთხვევაში, თუ პასუხის მიცემაც კი არ მომესურვა.

მიმიხვდი, თუ არა?

ჩვენ გავიარეთ მთლად გრძელი ხეივანი და შემდეგ ისევ ჩამოვეშვით «თანხმობის» მოედნისაკენ, რადგნაც ის მეტად ნელა ლაპარაკობდა და თან კიდევ ბევრს რამეებს უმატებდა, რაც ეხლა მე უკვე აღარ მახსოვს.

უცბათ შედგა, განაპყრო ხელნი მაღალი ობელისკისაკენ, რომელიც პარიზის ქვა-ფენილზედ იყო ამართული. გრძელი ეგვიპტური პროფილი მისი, იმ განდევნილის მეგლისა, იკარგებოდა ვარსკვლავთა სისწვრივ სივრცეში. ობელისკის გვერდზედ უცხო ნიშნებით იყო ნაკვეთი მისი სამშობლოს ისტორია.

ჩემმა მეგობარმა შეჰყვირა:

— შეხედე, ჩვენ ყველანი ამ ქვასა ვგევართ.

შემდეგ იგი გაჰშორდა ისე, რომ ერთი სიტყვაც არ დაუმატებია.

გუშინდელი ლოთობის გავლენის ქვეშ იყო იგი? უგუნურებისა? თუ მისი პირით ღაღადებდა თვით სიბრძნე? არ ვიცი. ხან-და-ხან მგონია, რომ იგი მართალი იყო, ხოლო ზოგჯერ ისე მეჩვენებოდა, თითქო ჭკუაზედ შემცდარი არისო.

ილ. გზ—მამე

# იუდა

(სააღდგომო ეტიუდი)

I

— . . . . მომგვარეთ კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისა. მეც განვიკითხე, მაგრამ, როგორც თქვენ თითონ ჰნახეთ, ბრალი ვერა ვპოვე-რა. ეს არას დროს არა ყოფილა გარდამაქცეველი ერისა. სრულებით უბრალოა. იროდმაც, რომელსაც ვაახელ, ვერა ჰპოვა-რა. ამისათვის ვაკმარებ, რაც სასჯელი მივაყენეთ და განვათავისუფლებ.—მაღალის ხმით ეუბნებოდა პილატე ბრბოს და დრო გამოშვებით გადაჰხედავდა ხოლმე იესოს, რომელიც მის წინ ღრმად ჩაფიქრებული, ფერ-მიხდილი ეკლის გვირგვინით იდგა და, თითქოს მის სიკვდილ-სიცოცხლეზედ არ იყოს ცილაობაო, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. იგი დაღვრემილის თვალებით ძირს ჩაიცქირებოდა და ევედრებოდა უფალსა, რომ ბრბოსთვის მიეტევებინა ეს საქციელი.

ბრბო კი მღვდელთ-მთავრებისაგან წაქეზებული ჰყვიროდა პილატეს საპასუხოდ:

— ეგ მაცდურია!... ხალხს ჰრყვნის!... კეისრის წინაალმდეგია!...

— გაიგონეთ, ეს უბრალოა და ყოველივე თქვენი ნაამბობი ცილის წამებაა!...

— როგორცა ვხედავთ, შენც კეისრის წინაალმდეგი ჰყოფილხარ, რომ მაგ მეამბოხის, ტახტის მაძიებელის განთავისუფლება მოგისურვებია!...—წამოიძახეს აქა-იქ ბრბოდან მღვდელ-

თა და მღვდელ-მთავართა, რაც ბრბომ აიტაცა და ერთ ხმად იგრიალა:

— ჰაა, შენც კეისრის წინააღმდეგი ჰყოფილხარ!..

პილატე შეკრთა, არ მოელოდა, რომ ამგვარ ცილს თვით მასაც შესწამებდენ. „ეს ბრბო—გაიფიქრა შეშინებულმა უნებურად—არავითარ საშუალებას არ დაერიდება, რომ ნიშანში ამოღებული კაცი დაამხოს და, შესაძლებელია, მეც თან მიმაყოლოსო·“ ამისათვის სასოწარკვეთილმა თავი ძირს დახარა და იესოს განთავისუფლების იმედი დაჰკარგა.

— ხალხნო!—უეცრივ თავი მაღლა აიღო ცოტახნის წუხილის შემდეგ პილატემ და გაბრწყინვებულის სახით ხალხს მიჰმართა: დღესასწაული მოახლოებულია. მამა-პაპათ ჩვეულება თხოულობს სადღესასწაულოდ ერთ-ერთ პყრობილის განთავისუფლებას. ხომ იცით, ამჟამად შეპყრობილია ბარაბა, ავაზაკი, კაცი-კალია. იმის სახელს სულ რამდენიმე დღის წინად შიშით და ძრწოლით ახსენებდით. ის არ ინდობდა არც კაცს, არც ქალს და უსუსურ ბავშვებსაც კი. რომელი გნებავთ განვათავისუფლო: ბარაბა თუ ეს უბრალო კაცი?

— ბარაბა, ბარაბა მოგვიტევე ჩვენ!..—იღრიალა ბრბომ, და ეს ხმა შორს, შორს გაისმა...

— ვინ?.. ბარაბა?.. ჩაფიქრდით, ვის განთავისუფლებას თხოულობთ?..—თავ-ზარ დაცემული პილატე ეკითხებოდა ბრბოს. მაგრამ დაბრმავებული ბრბო მაინც თავისას გაიძახოდა:

— ბარაბა, ბარაბა მოგვიტევე ჩვენ!...

— მაშ რა ვუყო ამ კაცს, რომელსაც „მეფე ურიათა“-ს უწოდებთ?...—განრისხებული პილატე დაეკითხა ბრბოს.

— ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგე!..

პილატე მოიშალა, მოდუნდა და წყალი მოითხოვა.

— მე უბრალო ვარ და ამ კაცის სისხლი მე ნუ მომეთხოვებით!..—გადიბანა ხელები და შემდეგ იესოს შოლტი გადაჰკრა იმის ნიშნად, რომ უკვე ყოველივე გათავებული იყო, და იესო შეეძლოთ წაეყვანათ ჯვარსაცმელად*)

*) მთლად ეს ამბავი თითქმის სიტყვა სიტყვით მოყვანილია სახარებიდან: იხილე სახ. მათ. XXVII; მარკ. XV; ლუკ. XXIII; იოან. XIX.

— ჩვენ თავს და ჩვენ შთამომავლობას მოეთხოვოს მაგისი სისხლი!..—ალტაცებით შესძახა ბრბომ და იესოს გარს შემოეხვია, რომ კაიაფთან**) ცემა-ტყეპით წაეყვანა.

— ხა, ხა, ხა, ხა!..—გვერდიდგან მოესმა იესოს გულის სიღრმიდგან ამონახეთქი შხამით და გესლით გაჟღენთილი ყრუ ხარხარი, როდესაც პილატემ ბრბოს თხოვნისამებრ ჯვარ-ცმა მიუსაჯა.

იესომ იცნო ეს ხმა, და ცემა-გვემას, დამცირებას ისე არ უმოქმედნია, როგორც ამ ხარხარმა იმოქმედა...

გული დაეკოდა და ლმობიერად გაიხედა იქით, საიდგანაც ხარხარი შემოესმა.

წყვილი მოელვარე თვალი, რომელშიაც გამარჯვებული გულის სიღრმე იხატებოდა დაჰხვდა იესოს თვალებს...

— მაცდურო, ეხლა-ღა იხსენ თავი შენი!..—ისარივით სტყორცნა იესოს ეს სიტყვები მოელვარე თვალების პატრონმა და, თითქოს ემალება ვისმეო, გვერდით მდგომთ ეფარებოდა და ძირიდგან გამოაკვესებდა თვალებს...

იესომ არ მოარიდა თვალი. თვალი თვალში გაუყარა და უნდოდა ეთქვა რამ, მაგრამ სიტყვის მაგივრად თავი ოდნავ ჩაიქნივა და წყვილი ცრემლი ქუთუთოებზედ გამოეკიდა და ფერ-მიხდილ ღაწვებზედ ჩამოსაგორებლად კრთომა დაიწყო.

— ხააა!...—მოპირდაპირე კი უფრო მოიხარა, გველსავით თვალები შეაკვესა და უნდოდა გამარჯვების ხარხარი მიეხალა იესოს ცრემლებისათვის, პირიც დააღო და მხოლოდ ყრუდ „ხააა“-ღა ამოჰხდა, რადგანაც ვერ შეუძლო იესოს თვალებს, და ხარხარი შუაზე გაუწყდა. საჩქაროდ რიდე ჩამოიფარა და გატრიალდა.

## II

— ფუი, საზიზღარი, როგორ შემომაშტერდა?!. როგორ მეც შევკრთი?!. ხა, ხა, ხა!.. ბავშვივით კი გამაჩუმა და გამომაბრუნა. სწორედ მომჯადოვებელია, მომჯადოვებელი.. პილა-

---

**) კაიაფი უფროსი მღვდელთ-მთავარი იყო.

ტეც როგორ მოუჯადოებიჲ!.. რანაირად სცდილობდა იმის განთავისუფლებას... ისაც, ისაც ეგრე მოაჯადოვა... ისაც... ოხ, მარიამ, მარიამ!.. ისე როგორ მოგაჯადოვა მაგ მაცდურმა, რომ... რომ... მაგრამ, ზოგი ეხლა მოაჯადოვოს, როდესაც ჯვარს აცვამენ... მარიამ, მაშინ ხომ დარწმუნდები, რომ ეგ საზიზღარი მატყუარა იყო, რომ.. ოხ, რანაირად მეშინოდა, როცა პილატე განთავისუფლებას სცდილობდა... რო გაენთავისუფლებინა?!.. არა, ეგ შეუძლებელი იყო!.. თვით ძალნი ცისანიც რომ ჩამოსულიყვნენ მაგის დასახსნელად კაიაფს ბრჭყალებიდან ვერ გამოჰგლეჯდნენ... შენ უნდა მოჰკვდე და მოჰკვდები კიდევაც...—ასე მიბუტბუტებდა რიდე ჩამოფარებული და თან ბრბოს მიარღვევდა, რომ ნაპირას გასულიყო.

ბრბო კი ყვიროდა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველა სცდილობდა, ეკლის გვირგვინით შემოსილ იესოს მიახლოვებოდა, რომ რაიმე შეურაცყოფა მიეყენებინა და შეურაცყოფის დროს, რაც შეიძლება ჭკუა-მახვილობა გამოეჩინა, რომ ბრბო გაეცინებინა. იესო კი ძალა მიხდილი, ხმის ამოუღებლივ მისდევდა შეიარაღებული ლეგიონით, რომელთაც გზა ტაძრისკენ ეჭირათ, სადაც კაიაფი და სხვა მღვდელთმთავრები შემოსილები ელოდნენ იესოს...

ბრბომ რამდენჯერმე შეაყენა ლეგიონები. ქუჩა, ამ ქუჩისპირა სახლების ბანები, სარკმლები მთლად მოკირწყლული იყო დიდით და პატარით, ქალით და კაცით. ლეგიონები იძულებულნი შეიქმნენ წათებისთვის მიემართნათ და იმათ საშუალებით გაეპოთ ბრბო, რომ ცოტათი მაინც ფეხი აეჩქარებინათ...

— ვის ვემალები? რა მაქვს მოსარიდებელი, რომ რიდე ჩამოფარებული ვსდგევარ?!—ამაყად წარმოსთქვა რიდე ჩამოფარებულმა, როდესაც ბრბოს განაპირას გავიდა და თავისუფალ ადგილიდან მზერა დაუწყო ამ საოცარ ბრბოს მსვლელობას. ამ სიტყვებთან ერთად რიდე მოიგლიჯა და შორს გადასტყორცნა...

— ეს იუდაა, იესოს მოწაფე, რომელმაც მასწავლებელი გაყიდა და ეხლა, ვერა ხედავ, როგორ ურცხვად სტკბება იმის ტანჯვით! — ანიშნა ერთმა ჭაბუკმა მეორეს და ხალხში შეერია.

მეორე ჭაბუკი კი შეფერხდა და დააშტერდა. იუდამ ვერ შეუძლო ამ ჭაბუკის მზერას. სახე დაეღრიჯა და პირი უკუღმა წაიღო. ჭაბუკმა კი ზიზღით მიაფურთხა და გვერდით ჩაუარა.

გულს ლახვარი მოჰხვდა, როდესაც პირველმა ჭაბუკმა ანიშნა ამაზედ მეორეს, და მეორეს მიფურთხებამ ხომ გული სულ გაუპო.

— ამან ოც და ათ ვერცხლად გაჰყიდა თავის მასწავლებელი. — ახლა სხვებმა წამოილაპარაკეს და ცხვირ წინ ჩაუარეს...

— ოც და ათ ვერცხლად!... ვინ გამოამჟღავნა ეს?! — წაილუღლუღა და საჩქაროდ განშორდა ამ ქუჩას.

რაკი რიდე ველარ იპოვა, თავი ღართით მოიბურა და თითქმის სირბილით გასწია მისახვევ-მოსახვევ ქუჩებით...

„...მღვდელ-მთავარნი უმადურნი არ იქმნებიან. ისინი გამიწევენ მფარველობას და ხმას გააწყვეტინებენ ბრბოს... უმადურნი! იესოს სიკვდილი უხარიანთ და თან კიდევ მე მიკიჟინებენ, მკიცხავენ. მე მივანიჭე ეგ სიხარული და მევე კი მაფურთხებენ!... — მილაპარაკობდა იუდა გზა და გზა და ღართით თავს უფრო და უფრო იბურავდა.

ჩქარა გაირბინა ქუჩები. თითქმის არც კი ვინმე შეჰხვედრია გზაში. ტაძართან მივიდა თუ არა, მაშინვე დიდ დარბაზში შევიდა.

ლურჯად შეღებილი და ოქროს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა-დაქნილი, რომელიც სამოც და ათ წმინდა პორფირის ოქროთივე მოვარაყებულ სვეტებს ენაბრებოდა, ოქროსივე ლამპრები, კანდელები და ჭაღები, ოქროს ქსოვილებით შემოსილი მღვდელთ-მთავარნი და მღვდლები პირველ შესვლაზედ ადამიანს თვალებს უბლატებდა. იუდასაც ეს დაემართა. ის ცოტა ხანს შესდგა კარებში და, თვალი რომ შეაჩვია, წარსდგა კაიაფის წინაშე.

— ამბავი, იუდავ?! — დაეკითხა კაიაფი იუდას, რომელსაც სირბილისგან გულ-ამომჯდარს სუნთქვა თავის დონეზედ არ დასდგომოდა.

— მშვიდობა!... პილატემ იესოს ჯვარცმა მიუსაჯა და ეხლა აქეთ მოჰყავთ.

— ეგ ჩვენც ვიცით... ხომ გახარებს, იუდავ, ეს ამბავი?

— მახარებს, მაგრამ...

— რა იყო?...

— მე... ხალხი გამცემს მეძახის...

— ხომ არა სტყუის?...

— ოც და ათ ვერცხლად გაჰყიდა თავის მასწავლებელიო, მიყვირის!...

— ეგაც ხომ მართალია.

— ზიზღით მაფურთხებს.... ურიდულოდ ვერ გავსულვარ გარედ...

— მერე „ჩვენ და რა?."*) ნუ ჩაიდენდი მაგ სამარცხვინო საქმეს და არავინ გიკიჟინებდა...

— რაო?! — დაიყვირა იუდამ და თვალები გააკვესა: — თქვენ მოვალენი ხართ...

— ჩვენ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ. ოც და ათი ვერცხლი ხომ სრულად მიიღე?... — სიტყვა გააწყვეტინა კაიაფმა და ზეზე წამოდგა.

— ეი თქვენი ვერცხლი!.. — ზიზღით მიაყარა იუდამ ოცდა ათი ვერცხლი მღვდელ-მთავართ და კაიაფს, თითქოს საზიზღოვლად იწვავსო, ისე დაუწყო ცქერა.

— იუდავ!.. წადი!..

— მე ეხლავ წავალ პილატესთან და ვეტყვი, რომ თქვენ მართალი კაცის სისხლის დალევა გინდათ!

— გვიან-ღაა.

— მაგრე მიხდით, ბილწებო, მადლობას?!. თქვენ მაწანწალა-მატყუარა ხელთ მოგეცით და თქვენ კი... იმაზედ უარესი

*) სახ. მათ. XXVII, 4—5.

შაწანწალა-მასხარეები თქვენა ჰყოფილხართ!.. —შეჰყვირა იუდამ და გამოტრიალდა...

— საზიზღარო, შენთვისაც მოვიცლით!..—მიაძახა კაიაფამ და მძიმედ ქშენვა დაიწყო. სხვა მღვდლები კი ამდროს უკმაყოფილოდ თავებს იქნევდნენ.

## III

უკანასკნელ წუთებამდის კიდევ იმედი ჰქონდათ მოწაფეებს. ეგონათ, იესო მიეცა მტრებს ხელთ, თავიც მიალურსმინა იმისთვის, რომ უეცარ თავის დახსნით ამ უკიდურესს ტანჯვისაგან შთაბეჭდილება ძლიერი იქმნება და ამ განცვიფრების დროს მეფედ გამოცხადება ადვილად შესაძლებელიაო. მაგრამ იესომ სული განუტევა. დაკრძალეს კიდევაც და ეხლა...

გათავდა ყოველისფერი. მოწაფეებს იმედი გაუცრუვდათ. დაიქსაქსნენ ყველანი, აღარა სწამდათ-რა ადამიანისა. როგორ წარმოიდგენდნენ, რომ ის, რომელიც სამს წელიწადს მათთან სცხოვრობდა და ამ სამის წლის განმავლობაში თითის გაქნევაშიაც კი სიცრუვე არ შეუმჩნევიათ, მთელის თავის ძლიერებით მოატყუებდა?!. რწმენა შეერყათ და პირველ ხანში მკვდრებსავით დადიოდნენ... ამათ სასოწარკვეთილებას ის უბედურებაც თავს დაატყდა, რომ მღვდელ-მთავართ მათი შეპყრობის ბრძანება გასცეს. ისაც აღარ შეეძლოთ ეხლა, რომ ერთად შოეყარათ თავი და აეხსნათ ერთმანეთისათვის ეს მოვლენა, თავიანთი აზრი ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ. ესენი იძულებულნი შეიქმნენ სათითაოდ სამალავები მოენახათ. ზოგი, ვითა ნადირი ქალაქ გარეთ უდაბნოში იმალებოდა და ზოგი კიდევ ქალაქში—ნაცნობებთან.

იოანე მოციქულიც ქალაქში მოჰყვა და იმალებოდა ვინმე მარიამთან, მეტად მშვენიერ და იესოს დიდად თაყვანის-მცემელთან. ორნივე ერთად სტიროდნენ თავიანთ დაობლებას და ემდუროდნენ ცას. მარიამის მამა კი ამშვიდებდა ორთავეს და ანუგეშებდა...

შუა ღამისას მოვიდა ვინმე ჭაბუკი და უთხრა იქ მყოფთ, რომ კაიაფს იოანეს აქ ყოფნა გაუგია და შეიძლება ამის შესაპყრობლად ამაღამვე თავს დაგესხათო. ამისთვის, საჭიროა— დასძინა ჭაბუკმა—ეხლავე თავს უშველოსო.

ჭაბუკმა და მარიამის მამამ მაშინვე გაიყვანეს იოანე გარედ და დასამალავად სხვაგან წაიყვანეს. მარიამმა კი კარი ჩაიკეტა და მამას ლოდინი დაუწყო.

— ეხლა კი დროა!—სახარულით წამოიძახა ლარჯით მობურულმა და კარი დააკაკუნა.

— ვინა ხარ?—დაეკითხა მარიამი შიგნიდან.

— მე ვარ, კარი გამიღე!...

— როგორ?! შენ?! აქ რამ მოგიყვანა, შე წყეულო?!

— მარიამ, მარიამ!... ნუ მწყევლი, კარი გამიღე!... მეც ხომ....

— წადი, წადი, შე გამცემო, შე მოღალატევ!...

— მარიამ, განა ვის ვუღალატე?... შენ ხომ არა! ის მაცდური იყო. ხომ ჰნახე ეხლა, რომ მატყუარა იყო და შენის სიყვარულის ღირსი არ იყო. მარიამ... გამიღე კარი და დაწვრილებით გიამბობ. ყველამ მაფურხოს; გამკიცხოს, ოღონდ შენ ნუ!..

—ოხ, საზიზღარო არსებავ!.. დაიღუპე, სახლს ნუ მიბილწავ!...

— მარიამ, ჩემს გრძნობას მაინც ნუ შეურცხყოფ!

— წყეულიმც იყოს შენი გრძნობა და შენც მასთან!

— გააღე კარი, თორემ შემოვალ და შენთვის უფრო ცუდი იქმნება!—მრისხანედ შესძახა და კარებს ნჯღრევა დაუწყო.

— არ გაჰბედო, თორემ ფეხს შემოსდგამ თუ არა, მაშინვე მახვილით გულს გაგიპობ...

— ვნახოთ!..—წამოიყვირა და უფრო გაძხეცებით დაუწყო კარებს ნჯღრევა.

— საზიზღარო!.. წყეულიმც იყოს შენი სახელი და ზიზღით იხსენიებდეს მას ყოველი ერი უკუნითი უკუნისამდე!..

—ააა!..—დაიღრიალა იუდამ გარედ და შორს გადახტა.

— რა გინდა ეხლა შენ აქ; რაა?!—ღრიალებდა იუდა და თან გარბოდა, მარიამი კი განცვიფრდა და არ იცოდა რითი აეხსნა იუდას გაქცევა და ღრიალი.

## IV

—... მაცდურო, მატყუარო!.. შენ ხომ მოგკლეს, მოგკლეს, ჯვარს გაცვეს და ლოდით დაგკრძალეს?!.—შეუტია იესოს, რომელსაც ის ნატანჯის სახით, ოდნავ თავის რხევით, თვალის ქუთუთოებზედ წყვილის ცრემლით შებინდებისას წინ გამოეცხადა...

მთელი დღე უდაბნოში წოწიალობდა. გაურბოდა ყველას. ერთი ადგილიდან მეორე ადგილას მშველის სისწრაფით გადადიოდა. შებინდებისას კი აპირობდა მარიამის სახლისკენ წასვლას, რომ იმის ახლოს მოესვენებინა თავისი ტანჯული სული. სწორედ ამ დროს გამოეცხადა იესო.

—... სანამ ცოცხალი იყავ, შენი სახე ყველაფერში ხელს მიშლიდა, მიცარავდა და მოჰკვდი და ახლა სიკვდილის შემდეგაც არ გინდა მომასვენო?!... ჰა?.. ხომ გუშინ დაგკრძალეს?... ჰა?... მომშორდი, მომშორდი, შე წყეულო!—დაიღრიალა იუდამ და მახვილი იძრო...

— მომშორდი, თორემ მკვდარს ხელმეორედ მოგისპობ ამ მახვილით სიცოცხლეს.—შეუტია და რამდენიმე ნაბიჯი იესოსკენ წასდგა. იესო კი ისევ ისე შესცქეროდა, ისევ-ისე თავის რხევით, და წყვილი ცრემლი ისევ-ისე ლაწვებზედ ჩამოსაგორებლად უკრთოდა თვალის ქუთუთოებზედ.

ააახ, წყეულო!...—თვალები მაგრად მოხუჭა შეყვირებასთან ერთად და მახვილი პირ-და-პირ იესოსკენ სტყორცნა...

საღამოს მკრთალი ნათელი კი მთლად სიბნელით შეიცვალა და არე-მარე დაჰბურა...

—„იუდა, ამბორის ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა?!“*)—ყურში ჩაეწვეთა იუდას ნაღვლით და ღმობიერებით სავსე ხმა იესოსი.

---

*) სახ. ლუკ. XXII, 48.

— ჰა?! ხა, ხა, ხა, ხა!—თვალებ დაჭყეტილმა მიიხედ-მოიხედა და, რაკი ვერავინ დაინახა, სიხარულით ხარხარი მორთო.

—„იუდავ, ამბორის ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა?!"— შემოესმა ეხლა მეორე მხარიდან ისევ ის ლმობიერი, ნაღვლითსავსე ხმა.

— ააა, მშიშარავ, მშიშარავ!... ჩემმა მახვილმა შეგაშინა და ახლა იდუმლად მებაასები.—ხარხარით წამოიძახა და მახვილის ასაღებად წავიდა, რომ მახვილის ტყორცნითვე მოესპო იდუმალი ხმაც ისე, როგორც იესოს სახე გააქრო...

— რა გინდა?!—დაიღრიალა საცოდავად იუდამ და უკან ისე გადმოტორტმანდა, რომ კინაღამ წაიქცა.

ერთი ფეხი წინ-წადგმული დარჩა, მეორე სადსარში საშინლად მოეხარა, ტანი კი უკან გადმოეზნიქა და ასე მუსტებ წინ წავდენილი მოელვარე თვალებით ხმის ამოუღებლივ შესცქეროდა იესოს, რომელიც ისევ ისე ლმობიერებით ღრმა ნაღველით აღსავსე სახით უეცრივ იმისა და მახვილის შუა გაჩნდა.

დიდ ხანს არ უმზერია იუდას. ჩქარა პირი უკუ იბრუნა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა.

სად გარბოდა იუდა?.. თითონაც არ იცოდა. ის ანგარიშმიუცემლად გარბოდა და უკან მოხედვისა ეშინოდა. თუნდ სულ ასე ერბინა, ოღონდ ის კი ნუღარ ეჩვენებოდა.

სამი დღე-ღამის უჭმელ-უსმელობით და უძილობით ჩამომხმარი იუდა აჩრდილსავით მიჰქროდა და ვიდრე, თავის და უნებურად გესთიმანის ბაღში არ შევარდა, არ შემდგარა. აქ ის მოეხვია ერთ ხეს. ხელები გარს შემოურკალა და მაგრად, მაგრად ეკვროდა ზედ. უნდოდა სახე, სახე კი არა, მთელის სხეულით შეერთებოდა ამ ხეს, რომ უკან მოხედვა აღარ შესძლებოდა, რადგანაც ის წყეული, ის მაცდური ეგონა უკან ედგა...

მაგრამ...ოხ!.. ხეს ეკვრის და აკერ ხიდგანაც გამოიჭვრიტება ის... ის...

— ახ!..—სასოწარკვეთილებით ხმა აღმოჰხდა იუდას.

მუხლები მოუდუნდა, მოეკეცა და უგრძნობლად პირქვე დაემხო...

— „იუდა, რომელი გეგულების საქმედ, ჰყავ ადრე."*) — გამოარკვია იუდა უგრძნობლობისგან ამ სიტყვებმა და აწმყოს დაუბრუნა.

— ვყავ ადრე და ისე ადრე, რომ ისე ადრე არცკი მოელოდი... შენ გინდოდა კითევ... დედამიწიდგანაც ამოიპყრიტები?! ააა?!... აქ კი ქვეშ მიძევხარ!... დაგგლეჯ, დაგფლეთ!... თუმცა მახვილი იქ დამრჩა, მაგრამ კბილით, ხელებით დაგხოკავ!..—მართლადაც იუდამ დედა-მიწას დაუწყო კბილებით და ხელებით ხოკვა და დიდხანს, დიდხანს ჩაჰბღუოდა.

— ჰეეე, ჩაგნთქე, თუ არა?!.

განშორდა მოჩვენება. იესო ჩანთქა. იუდა წამოდგა და წელში გაიმართა.

შავად ჩამომხმარი სახე, დასისხლიანებული პირი და ცეცხლის მფრქვეველი თვალები შესაზარ შეხედულობისას ჰხდიდნენ იუდას...

იუდა იდგა წელში ამართული და ჩაყინებით სივრცეს გასცქეროდა...

— დედი, დედი, რად მიცქერი მაგრე სასტიკად?!... განა შენცა მკიცხავ?! აჰ აჰ აჰ!...—ღართის კალთა უეცრივ აიფარა თვალებზედ და მუხლ-მოდრეკილმა მწარედ, მწარედ ქვითინი მორთო...

—შვილო, იწამე... ის ძე ღვთისაა!—გამოეხმაურა აჩრდილი.

— როგორ?!... შენც მაგას იძახი?!... მაშ არა ჰყოფილხარ დედა-ჩემი. თუ მაგისთვის შეარყიე საფლავი, ისა სჯობია წახვიდე და მოასვენო შენი ძვლები. წადი, წადი!...—ფეხზედ წამოჰრით მიაძახა აჩრდილს და რამდენიმე ნაბიჯი წინ წარსდგა.

განქრა აჩრდილი. იუდამაც თავისუფლად ამოისუნთქა. ეგონა, ეხლა კი სულ გავიმარჯვეო, მაგრამ ამ დროს ხმა გაისმა: „აგერ იუდა სად იმალება. მასწავლებელი გასცა და ეხლა კი იმალება.

---

*) იოან. XIII, 27.

— მე ვიმალები?!... არა... არა! მე არ ვიმალები!... მე სხვა მოწაფეებს არა ვგევარ, რომ დავიმალო. მე აქა ვარ!...—შეჰღრიალა და წინ წარსდგა.

— სხვა მოწაფეებს სდევნიან და შენ კი, როგორც გამცემს, არ გეშინიან!...

— მეე?...

— მაგრამ...

— რა, „მაგრამ“?

— შენც ჯვარს გაცვამენ!...

— ხა, ხა, ხა!... მე ჯვარს მაცვამენ?! არა, არა და არა!...

ამ დროს უეცრივ შემოესმა ფეხის ხმა, რის გამოც ფოთოლსავით შეირყა და იქით გაიხედა, საიდანაც შრიალი მოესმა.

— იუდა, იუდა, ეხლა კი ველარსად დაიმალები!.. ხა, ხა, ხა!.. გეშინიან განა?!

— უცნაური ყიჟინი გაისმა იქიდანვე, და იუდამ იმ მხარესვე შორს, შორს, ხეებ შუა მოკრთალო ჩირაღდნების სინათლე შენიშნა

— ალზდეგით ეხლა ჩემზედ?!... ჰააა, უმადურნო!... მაცდური მოგეცით ხელში, მოგაკვლევინეთ თქვენი მტერი და მადლობის მაგივრად მეც გინდათ ჯვარს მაცვათ?!

ყიჟინი კი თან და თან ახლოვდებოდა, სინათლე უფრო ჩაღდებოდა...

— თქვენ, თქვენ!.. ბრბოვ, ბრბოვ, საზიზღარო ბრბოვ, ვერ სცნობ მტერსა და მოყვარეს, ვერ გაგიგია ვინ გმოკეთობს!... საკმარისია იმ საზიზღრებმა მღვდელთ-მთავრებმა და ფარისევლებმა თითი მიგიშვირონ ვიზედმე, რომ შენც ცხვარსავით ბლავილს მოჰყვე!... მაგრამ, ხა, ხა, ხა, ხა!... იმ მხდალსავით არ დაგნებდები!...—იუდამ მახვილის გაივლო ქარქაშს ხელი, მაგრამ მახვილი აღარ დაჰხვდა. ამისთვის კეტს წამოავლო ხელი და საბრძოლველად გაემართა...

— ხა, ხა, ხა!... ვერ ჰხედავ იუდას, ოც და ათ ვერცხლად გამსყიდველს, როგორ მამაცობას იჩენს?!... ჯვარს ვაცოთ ეგა!—

ხარხარით დაახალა ყიჟინა ბრბომ და თან და თან უფრო უახლოვდებოდა...

— მე... მე... ოც და ათ ვერცხლად?! არა, არა!... ჯვარს არ გეცმევინებით, არა?! მე საზიზღარი სიკვდილით არ მოვკვდები, არა!...—ხრიალით მიაძახა ბრბოს და საჩქაროდ ზეზედ აიქრა. კეტი კი ბრბოსკენ სტყორცნა.

იმავე სისწრაფით მოიხსნა სარტყელი, ხის ტოტს მოაბა, გამოამარყუშა და...

— შშრრ!... — ხე მთლად შეირყა და ფოთლებმა შრილი მორთეს.

ხეზედ ფრინველთ გამოეღვიძათ ამ უეცარ შრიალზედ და დაფეთიანებულები უგზო-უკვლოდ გესთიმანის ბაღს მოედვნენ.

ხე კი კარგა ხანს შრიალებდა, ტოტს ჭაჭა-ჭუჭი გაჰქონდა, და ოდნავი დრო გამოშვებითი ხრიალი გამოისმოდა.

ამ დროს იესოს საფლავისკენ მიმავალთ მარიამ მაგდალინელმა, მარიამ იაკობისმან და სხვა მანდილოსანთა წყნარის ბაასით ნელსაცხებელით ხელში ჩაუარეს ამ ხეს გვერდით; მაგრამ ხეზედ ჩამოკიდული იუდა კი ვერ შეჰნიშნეს...

შ. არაგვისპირელი

ყარა-თაფა. 97 წ.

# მიჯაჭული პრომეთე

## დრამა ესხილისა

### მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| ხელი | ოკეანე |
| ძალი | იო, ასული ინაქისა |
| ჰეფესტო | ჰერმეს |
| პრომეთე | |

ხორო ოკეანეს ასულთაგან.
მოქმედება სწარმოებს სკვითეთში.

---

უდაბური მთა-გორა. ზღვის პირი.

**ხელი.**

ჩვენ ვართ სკვითეთში, იმ ქვეყნის კიდეს
და უდაბნოსა, სადაც კაცისს ფეხს
არ გაუვლია. აბა, ჰეფესტო,
მამი-შენისა ბრძანება სრულ ჰყავ, (მიუთითებს პრომეთეს)
მიჰსჭედე ეგე ძვირის მოქმედი
შეუმუსვრელის მაკარის ჯაჭვით
ციცაბო კლდესა: მაგან მოგპარა,
რაც უძვირფასეს ყოვლისა გქონდა, —
ცეცხლი, რომელიც ყოველს ხელოსანს
მეტად სჭირია, და კაცთ ასწავლა
მისი ხმარება. ბრალი აქვს მაგას

ღმერთთა წინაშე და უნდა იქმნეს
მისთვის დასჯილი, — დაე ისწავლოს,
თუ იმ ზევსისა ხელმწიფებასა
როგორ შეშვენის პატივის ცემა,
და კაცთ სიყვარულს გადაეჩვიოს!

ჰეფესტო.

ზევსის ნებისა სრულ ყოფა ვალად
თქვენ გედოთ თავსა, ძალო და ხელო,
არც არრა გიშლისთ, — მე კი არ მომდევს
გული მივსჭედო ძალად, გრიგალისგან
დაუცველ კლდესა, ღმერთი, ის ჩემი
მონათესავე; მაგრამ ხომ უნდა
გავბედო მაინც. საშინელება
არი ვეურჩო მამის ბრძანებას, (პრომეთეს)
შენ უნებურად, თუმც არც მე მინდა,
მართალ თემიდის ვერაგმა ძემან
უნდა მიგჭედო მაგარის ჯაჭვით
ამ უდაბურ კლდეს, სადაც კაცის ხმას
შენ ვეღარ ისმენ, ვეღარ იხილავ
კაცის სახესა, სადაც მნათობ მზის
მცხუნვარე სხივნი ფერსა უცვლიან
ემაგ შენს კანსა. დღისით — უყურებ,
რათა ღამემან, ვარსკვლავ მოსილმა
დაჰფაროს შენგან დღის ბრწყინვალება,
ღამით — რათა მზემ კვალად გააშროს
ცვარი დილისა. საზარმა ტანჯვამ
გლახვროს უწყვეტლივ, — დამხსნელი შენი
ჯერ არ შობილა ამ ქვეყანაზე...
ეგეც ნაყოფი შენის კაცთ მიმართ
სიყვარულისთვის! შენ, თვითონ ღმერთი
არ შეუშინდი ღმერთთ გულის წყრომას
და კაცთა უჴვ სიკეთე ერთობ,
მაშინ როდესაც ხელი არ გქონდა...

აი მაგისთვის შენ უდარაჯებ
ამ ქურუხ კლდესა, დაუჯდომელად,
თავ-მიუდებლად, მუხლ-მოუდრეკლად...
დაიწყებ მწარედ ჩივილს, ვაებას,
მაგრამ ამაოდ: გული ზევსისა
ულმობელია, — თავდაპირველად
მეფენი მუდამ მკაცრნი არიან.

**ხელი.**

რას ცოდვილობ და ჰსჩივი ამაოდ?
რად გაგიხდია მეგობრად ღმერთი,
დაუძინებლივ ვინც ღმერთებსა ჰმტრობს,
და ვინც მოგპარა შენ საკუთრება
კაცთა გულისთვის?

**ჰეფესტო.**

ნათესაობის
და მეგობრობის კავშირი დიდ არს...

**ხელი.**

ეგრემცა იყოს, შესაძლო არი
განა ჰსთქვა რამე წინააღმდეგი
მამის ნებისა? თუ არრად აგდებ?

**ჰეფესტო.**

შენში არას დროს არ განიღვიძებს
სიბრალულისა გრძნობა, შენ მზად ხარ
ყველაფრისათვის.

**ხელი.**

სულ ერთი არი,
რაკ შენი ცრემლი მის ჯავრს წამლობას
ვეღარ გაუწევს, ნუღარ ირჯები
ტყუილ უბრალოდ, რაკი მაგითი
ვერრას გახდები...

**ჰეფესტო.**

ათასჯერ კრულვა

ჩემს ხელოვნებას!

**ხელი**

ეგრე რისათვის
მოგძულებია? მართლა, ემაგ შენს
ხელოვნებასა და მის გარეგან
სატანჯველ შუა არაფერია,
რომ აერთებდეს.

**ჰეფესტო**

რაც უნდა იყოს,
მე კი მწადია, რომ სხვას ვისმე
იგი ხელთ ჰქონდეს!

**ხელი**

ყოველი მადლი,
რომელიც თვითონ ღმერთთაგანს წილად
მიჰნიჭებია, ერთის მხრით ბნელად
გამოიცქერის,—მას გარდა, ვინც რომ
ღმერთებზე ჰსუფევს: არვის ჰმორჩილებს
მარტოკა ზევსი.

**ჰეფესტო** (უჩვენებს ჯაჭვს, ხელში რომ უჭირავს)

საბუთი ხელთ მაქვს
და მეც ვმდუმარებ.

**ხელი**

მაშ რად არ ჩქარობ
მაგის მიჯაჭვას? მამაშენს ძალუძს
შენიშნოს შენი დაგვიანება.

**ჰეფესტო**

აი ბორკილიც ხელებისათვის.

**ხელი**

ბარემ აიღე, ხელთ გაუყარე,
ჰკვერე ძლიერ და ციცაბს მისჭედე.

**ჰეფესტო** (პრომეთეს მისჭედს)

ახია, — ტყვილად დროს არ დავკარგავ.

**ხელი**

დასჭკარ დონივრად, ლურსმები ახლო
ახლო დაარჭვე, ნუ იზამ, რომე
მიჯრით არ იყვეს: სასოწარმკვეთელ
შემთხვევასაც კი ძალუძს გაუძვრეს,

**ჰეფესტო**

ცალი ხელი მე მაგრად მივსჭედე.

**ხელი**

ცალიც მიჭსჭედე, ჭკუის კოლოფმა
ჩვენმა შეიტყოს, რომ ზევსი მაინც
მაგაზე უფრო ჭკვათა-მეოიგია.

**ჰეფესტო**

მხოლოდ ემაგას ემართლება, რომ
მისაყვედუროს...

**ხელი**

ეხლა გაუშე,
არ შედრკე კია, მასვილის რკინის
სოლით გულმკერდი.

**ჰეფესტო**

ჰოი, პრომეთე
შესაბრალისო, შენის ტანჯვისა
მაყურებელი თვალთაგან ცრემლებს
ვედარ ვიმაგრებ!..

**ხელი**

კიდევ შეჩერდა,
ზევსის მტერთათვის კიდევ ჰქვითქვითებს.
უფრთხილდი კია, ადრე იქმნება,
თუ გვიან, თვითონ შენ არ გაკიხდეს
თავი სატირელ!

**ჰეფესტო**

ნახე, თვალთათვის
თუ რა საზარი სანახავია!

**ხელი**

ვხედავ იმას, რომ ახალ იტანჯვის.
აბა, შემოარტყე გვერდებზე ჯაჭვი!

**ჰეფესტო**

საქმის მცოდნე ვარ, ნუ ჩამჩიჩინებ.

**ხელი**

მე არ გაკმარებ ჩიჩინს, მასთანვე
კიდევ შეგძახებ: დაბლა დაიწი
და მიუჭედე მაგრად ბარკლები!

**ჰეფესტო**

გაუჭირვებლად საქმე გავჩარხე.

**ხელი**

მაგრად დალურსმე ჯაჭვის რგოლები,
და ახლო-ახლოც, — შენის ხელობის
მსაჯულს არ უყვარს მასხარაობა...

**ჰეფესტო**

რაც სახით ხარ, იგივ ენითა...

**ხელი**

ინებიერე, რამდენიც გინდა,
არ შემომკადრო კია, უგულო
და მძვინვარე ხარ წყრომის ჟამსაო.

**ჰეფესტო**

წავიდეთ, — იგი მიჯაჭვულია
ყოველის მხრითა. (გადის)

**ხელი** (პრომეთეს)

აბა, დაჰსცინე ეხლა ღმერთებსა,
მოჰპარე იმათ საკუთრება, რომ

გარდასცე იგი დღე-მოკლე არსთა.
რას იზმენ შენნი კაცნი შენ ტანჯვათ
დასასამებლად? ტყუილ-უბრალოდ
სახელი ღმერთებს უწოდებიათ
შენთვის პრომეთე — «განგებიანი»,
თვითონ გჭირია პრომეთე, რათა
გასწავლოს თავის ჭირთაგან დახსნა... (გადის)

**პრომეთე**

წმინდა ეთერო, ფრთა-მარდო ქარნო,
მდინარეთ წყაროთ, საბრალო მხეპნო
ზღვის ტალღებისავ, მიწავ დედაო
ყოვლის არსისავ, მზევ, ყოვლის თვალო, —
გიწოდებთ მოწმად: თქვენ ერთი მნახეთ,
რას ვიჭირვებ მე ღმერთი, იმ ნაირ
ღმერთებისაგან, როგორც თვითონ ვარ!..
ნახეთ, რა ტანჯვა უნდა გამოვვლო
მრავალ ათას წელს... აი ბორკილი
თუ რა სასირცხვო გამოიგონა
ჩემთვის ახალმა უკვდავთ მეუფემ!
უჰ, უჰ! ვიტანჯო აწმდგომ, ვიტანჯო
მეოთვად ჟამს — ესე საზარელია!..
მერმე ექმნეს-და ბოლო ჩემს ტანჯვას?
რას ვამბობ მეცა? — მე კარგად ვუწყი,
თუ რა მომელის: ჭირი არც ერთი
არ იქმნეს ჩემთვის მოულოდნელი.
მაგრამ ის რაც მე წილად მხდომია,
ხამს ავიტანო გულდამშვიდებით:
უაზრობაა სვებედთან ბრძოლა.
ვერ გავჩუმდები, ვერცა ვუჩივლებ
ჩემს ბედის წერას... საბრალო, მისთვის
ვიტანჯვი, რომე კაცთა ვუყავი
კეთილი საქმე, მოვიტაცე მე
ლერწმისა ღერში მალული ცეცხლი,

ის დასაწყისი ყოვლის ხელობის,
ძალა დიადი და კაცთ ვასწავლე
ხმარება მისი. დასჯად ამ ჩემის
დანაშაულის, ბორკილ-შეყრილი
ჭაერს ვკიდივარ .. (ჰგოდებს)
ვაგლახ! ჩუ, რაღაც ხმაურობაა?
ეს რაღა სუნი მომედინა მე,
არ ვიცი კია, ღვთისა, კაცისა,
თუ იმ არსისგან, შეერთებულად
ვისაც თვისს შორის აქვს დასაწყისი
ერთიც მეორეც?.. ხომ არ მოსულა
ვინმე ამ კლდეზე, ქვეყნის კიდესა,
ჩემთა ტანჯვათა საყურებელად
ან სხვა რისთვისმე? აბა მიყურეთ
შესაბრალისსა, გულით კაცთ მიმართ
სიყვარულისთვის — მიჯაჭვულს ღმერთსა,
ზევსის მტერს ისე, ვით სხვა ღმერთების,
ვინც ზევსის ჩარდახს დაბრძანდებიან!
ვაი, ვაი მე! კიდევ რა მესმის?
ფრინველნი ახლოს მიჭფრინვენ,— მათი
მსუბუქ ფრთებისა შემოქნევითა
ჭაერსა შიგან ხმა გავარდება.

**ხორო** (ჰაერში)

ნუ შიშობ, შენი მეგობრები ვართ.
ჩქარის ფრენითა, ვინ ვის გასწრებით,
მოვიწიენით გუნდად შენს კლდემდე
ძლივსღა მამასთან მორიგებულნი.
ძლიერმა ქარმა მოგვყარა აქა
სულ დაგვავიწყდა გრძნობა სიმხდალის
ჩვენი მაშვენი, ფოლადის კვერის
კვეთებამ, ჩვენთა მღვიმეთ შეჭრილმა;
ფეხშიშველანი მოვედით ჩვენის
ფრთიან ეტლითა.

**პრომეთე**

ვაჰ? მრავალ-წყლა-
ტეთისა ქალნო, შვილნო მოხუცის
ოკეანესი, დაუღალავად
რო მიმდინარებს მრთლად ქვეყნის ირგვლივა,
მნახეთ, მიყურეთ, თუ მიჯაჭვულბ
როგორ ვდარაჯობ, არავისაგან
სახარბიელოდ, ამ უმწვერვალეს
კლდისა ციცაბოს!..

**ხორო**

გხედავ, პრომეთე,
მაგრამ დრუბელი გულის წუხილის,
ცრემლებთან ერთად, თვალთა გვებურვის,
ოდეს გიცქერით, თუ ვით იტანჯვი,
მანდ მიჯაჭვული, სასირცხოდ კლდეზე.
დიაღ, ახალნი მეფენი მართვენ
ოლიმპოს, ზევსი ახალ სჯულებსა
ჰსდებს უსამართლოდ: უწინ ძლიერნი, —
აწ იღუპვიან მისის ხელითა...

**პრომეთე**

უმჯობეს იყო ქვესკნელ ჩავეგდე
ანუ ჰადესის, მკვდართა მეუფის
საბრძანებელს, დიდს სატარტაროზოს
მძიმე ბორკილით სამუდამ ყამოდ,
ოღონდ არც ღმერთებს და არც სხვა ვისმე
ჩემი ჭვრეტა არ გახარებოდათ!..
აწ კი საწყალი ვიტანჯვი, ჰაერს
დაკიდებული, მტერთ სასაცილოდ!..

**ხორო**

ვინ არს ღმერთთ შორის ისე უგულო,
ამ სანახავმა რო გაახაროს?
ვინ არ შეწუხდეს შენის ტანჯვითა? —

ერთი ზევსი თუ! მუდამ მრისხანე
შეუდრეკელად მუსრს ავლებს ღმერთებს,
და მხოლოდ მაშინ შედგება, ოდეს
გულს გაილაღებს, ანუ ოდეს მას
ვერაგობითა მიუხვენ ძალას,
რომელიც ხელთა უპყრავს მაგრად.

**პრომეთე**

მე ღმერთთა მეფეს კვლავ დავჭირდები;
მაგარ ბორკილით თუმც დაქანცულვარ,—
მაინც ვერავინ გამაფრთხილებს მე
იმ საშინელის შეთქმულობისაგან,
რომელსაც ძალუძს წაართვას ტახტი,
პატივ-დიდება!.. მაგრამ ამაოდ
დაატრიალებს თაფლოვანს ენას,
რომ შემირიგდეს: ვერ გამომტყუებს
საიდუმლოსა, მაშინაც კი რომ
გამიპირქუშდეს,— ვიდრე არ მიხსნის
მძიმე ჯაჭვთაგან და არ ზღავს ჩემდა
მოყენებულსა შეურაცხყოფას...

**ხორო**

შენ არ იტეხ გულს, არცა ჰსნებდები
თავზარ დამცემსა უბედურებას
შენდა მოწეულს; ეგ შენი ენა
ერთობ კადრულობს, მაშინ როდესაც
შიშისა გამო ჩვენ გული გვითრთის:
ეგ ბედის წერა შენი გვაშინებს,—
ნეტავ ოდესმე თუ გათავდეს ეგ
შენი წამება. კრონოს ძე უჯათ
და უწყალოა.

**პრომეთე**

დიახ, ვიცი, რომ
ზევსი მკაცრია, ირვის უგონებს,

მაგრამ გჯეროდეს, ადრე თუ გვიან,
გულით მოლბება, როს ხელმწიფებას
მისას მუქრობას დაუწყებს შიში;
მის გულისწყრომას მკაცრი დასცხრება
და ერთ დღეს სწრაფად კავშირ-მოყვსობის
ხელს გამომიწვდის, რისც უარს ვერ ვყოფ.

**ხორო**

წილადობილად გვითხარ, აგვიხსენ,
თუ ზევსი ეგრე მდაბლად, უწყალოდ
რისთვის გეპყრობა; გაგვეც პასუხი,
თუ ეგ არაფერს არ დაგიშავებს.

**პრომეთე**

მიმძიმს მაგის თქმა, მაგრამ დუმილიც
მიმძიმს.—შემთხვევა ერთიც მეორეც
გასახარელს მე არაფერს მაძლევს.
აშლილ ღმერთებმა შექმნეს ცილობა:
ზოგი ერთთ ჰსურდათ, რომ ჩამოეგდოთ
კრონო ტახტიდგან, რათა, ცხადია,
ზედ აეყვანათ ზევსი; სხვები კი
თანხმად არ იყვნენ, ეცნოთ თავიანთ
მეუფედ ზევსი. მაშინ ტიტანოზთ,
ცისა და ქვეყნის შვილთა ვაძლევდი
ყოვლად ბრძნულ რჩევას, მაგრამ ამაოდ:
გაუკონარის ამპარტავნობით
არად ინდომეს ცბიერების გზა
და ფიქრობდენ, რომ სულ უშრომელად
ეუფლებოდნენ ხელმწიფებასა
აშკარა ძალით. დედა ჩემი კი,
თემიდა-გეა, ის ერთი პირი,
მრავალ-სახელა, არა ერთ გზობის
მეტყოდა ხოლმე, თუ ბრძოლა რითი
გათავდებოდა — ღმერთთ დამარცხება

შეიძლებათ მარტო ხერხითა,
და არა ღონით ან გულ-ახდილად.
ეს ვუთხარი მათ, მაგრამ არც კი ჰსცნეს
საჭიროდ, რომ მათ ჩემის სიტყვისთვის
ყური მოეკრათ. მაშინ თანახმად
დედისა, ვსცანი საუმჯობესოდ
ნებაყოფლობით მეთქვა ზევსისთვის
გემსახურები — მეთქი; კარგით,
ჰსთქვა, ჩემის რჩევით მან გადმოჰყარა
მოხუცი კრონო და მის ერთგულნი
სატარტაროზოს წყვდიადს უფსკრულში.
და აი ჩემი ნამსახურობის
სამაგიეროდ, ღმერთთა მეუფემ
სატანჯველს მიმცა: დაუნდობლობა
მეგობართ მიმართ რაღაც ჭირად აქვს
ტიტანოზით ზნესა... ეხლა თქვენს კითხვას
ვაგებ პასუხსა, — თუ რისთვის მტანჯავს.
რა კი დაბრძანდა წინაპართ ტახტზე,
მყისვე შეუდგა პატივ-დიდების
დარიგებასა ღმერთთ შორის, თვისის
სამეფოისა საქმეთ მოწყობას,
მაგრამ სრულიად გადაივიწყა
საწყალი ხალხი. ეს რაა? ჰსურდა,
მოესპო სრულად კაცთ ნათესავი
და გაეჩინა ახალი მოდგმა.
მარტო მე ერთი წინააღვუდექ
მის განზრახვასა, რის გულისთვისაც
მომეგო ტანჯვა, რომლისაც თმენა
შემზარავია, რომელსაც კაცი
აუთრთოლებლად თვალს ვერ დაუჭერს,
დამნანდა ხალხი, მაგრამ კი არვის
დავენანებივარ, შეუბრალებლად

მომექცნენ; სახე ჩემის ტანჯვისა
გამტეხი არი ზევსის სახელის...

ხორო

რკინის გული აქვს იმას, პრომეთე,
ქვა უძევს გულში, ვინც არ გაიყოფს
შუა შენს ტანჯვას. არ გვსურს ვუმზერდეთ:
მის შემხედვარეთ მწარ გასაჭირი
გულსა გვიხეთქავს.

პრომეთე

დიად, სამძიმოდ
უჩნთ ჩემს მეგობრებს ყურება ჩემი.

ხორო

მაგრამ ეგები უფრო შორს წახველ,
ვიდრე მეტყველებ?..

პრომეთე

დიახ, სიკვდილის
შიში მივუღე მე ადამიანთ.

ხორო

ვით მოურჩინე იმათ ეს ჭირი?

პრომეთე

მთავუნერგე რა მათ ბრმა იმედი.

ხორო

მაგით კაცთათვის შენ დაგიყრია
დიდი სიკეთე.

პრომეთე

მას გარდა, იმათ
ცნობით ვასწავლე ცეცხლის ხმარება.

ხორო

აწ იმ ხანმოკლე სულიერებსა
ჩალი ცეცხლი ავსთ?

**პრომეთე**

რის წყალობითაც
მრავალ ხელობას შეიმეცნებენ.

**ხორო**

მერმე ზევსი ამ დანაშაულის
სამაგიეროდ...

**პრომეთე**

მტანჯავს და არც აქვს
ბოლო ჩემს ტანჯვას.

**ხორო**

განა სამუდმოდ
უნდა იტანჯო?

**პრომეთე**

დიახ, დუ ზევსის
ნება იქმნება.

**ხორო**

ინებებს კია?
განა იმედი არი რაიმე?...
ხომ არ გრძნობ რამე შენს დანაშაულს?
მაგრამ სათქმელ ჩვენთვის არ არი
დაგისაბუთოთ შენი შეცდომა,
თუმც სამწუხარო იქნება შენთვის
ამის მოსმენა. ამის ლაპარაკს
ვანებოთ თავი, ჯსჯობს მოიფიქრო,
ვით გამოიხსნა თავი ჭირთაგან...

**პრომეთე**

არაფრად უჩანს მას, ვინც არა სწუხს,
აძლიოს რჩევა და დარიგება
უბედურებსა. ეს ყველაფერი
წინეთ ვიხილე. დანაშაული
ჩამიდენია გულისხმის ყოფით,

დიახ, გულის ხმის ყოფით და იმას,
არცა გადავთქვამ, რაც ერთხელ მითქვამს;
ტანჯვა-წამება თავსა აღვუთქვი,
მაგრამ ჩემს დღეში არ მიფიქრია,
თუ მიმაჭედდენ, ჩემდა სასჯელად,
კლდეზედ, ზეცისა და ქვეყნის შუა,
ამ უდაბურს და ობოლ ციცაბზე.
ნუ ჰსტირით ეხლა ჩემს უბედობას,
უმჯობესია ქვეყნად მოიქცეთ
და მოისმინოთ, თუ რა მომელის,
ყოველისფერი შეიტყოთ სრულად.
მომაპყართ ყური, მომაპყართ ყური,
დაიტანჯენით ერთად ჩემთანა.
ჭირი ყოველ კაცს მოევლინება
ერთნაირად და არც არვის ზოგავს...

**ხორო**

სიამოვნებით მზად ვართ, პრომეთე,
რომ აგისრულოთ გულის წადილი,
ჩვენის მაგვარი. გვიყურე, ძირსა
ჩვენ ჩამოვხტებით სწრაფის ეტლითგან
დამტოვებელნი სპეტაკ ჰაერის,
სადაც ფრინველები დაჰფრინვენ, კლდეზე
შენთან ამოვალთ,— ისე დიდია
ჩვენში სურვილი ყური დავუგდოთ
შენ ტანჯვათ ამბავს..

ოკეანე (რაშზედ)

შორით მოვსულვარ
შენთან, პრომეთე, ჩემის რაშითა,
მით, რომელიც ჰსრბის თვით უსადავოდ.
გჯეროდეს, რო მე თანა ვგრძნობ შენსა
გაჭირვებასა; არ დაივიწყო,
იძულებულ ვარ ამას შენდამი

ნათესაობის გრძნობითა, მაგრამ
მას გარდა, რომ მე შენ გნათესაობ,—
უმახლობელეს მეგობრად გსახავ.
შენ ერწმუნები ჩემს გულ-წრფელობას,
მას რომ არ ძალმიძს ტყვილ მოგეფერო;
აბა მითხარი, რით შემიძლია,
რომ გამოგადგე; არასოდეს არ
გემართლება ჰსთქვა ოკეანეზედ
უფრო ერთგული მოყვასი მყავსო.

პრომეთე

როგორ?—შენც მოხველ ჩემის ტანჯვისა
საყურებლად? ვით გაბედე, რო
დასტოვე წყალი შენის სახელის
მატარებელი და ბუნებისაგან
სალ-კლდეთა შორის ნაღვაწი მღვიმე,
და ენახულე ამ დედამიწას,
სადაც პირველად რკინა აღმოჩნდა?..
თუ მოხველ მნახო, რა ყოფაში ვარ
და ჩემი ტანჯვა გაიზიარო?
დახედე, ზევსი რა უკაცურად
ეპყრობა მოყვასს, რომელმაც ტახტზედ
ასვლა უშველა!..

ოკეანე

ვხედავ, პრომეთე,
და მსურს კეთილი რჩევა გირჩიო,
თუმც თავისთავად შენც ჭკვიანი ხარ.
გულს შთაიჭვრიტე და ხასიათი
გადაიკეთე: ღმერთთაც განაგებს
ახალი მეფე. თუ თავხედობით
და უშვერადაც ილაპარაკებ,
ზევსს ძალუძს, რომე გაგიგონოს, თუმც
ჩვენზედ უმაღლეს ჰგიებს, მაშინ კი

ეგ შენი ტანჯვა მოგეჩვენება
მღერად იმასთან შედარებითა,
რასაც დაითმენ შემდეგ. საწყალო,
გაგულკეთილდი, გამოირჩიე
გზა თავის ხსნისა შენ ტანჯვათაგან.
ჩემი ნათქვამი, უეჭველია,
შენ გეგონება ძველი ზღაპარი,
მაგრამ პრომეთე, ხედავ რა ჯილდო
მოგეცა შენის ერთობ ამაყის
სიტყვებისათვის. შენ ურჩობ, ჭირში
გულს არა იტეხ, და ძველს ახალი
გსურს რომ დაურთო. თუ გინდა ჩემის
რჩევის მოსმენა, ნუ დაუდგები
ჯიქსა პირდაპირ, — შენ იცი, ჩვენი
ახალი მეფე პირქუშია და
გამგებლობს ისე, რომე არავის
ემორჩილება. მე წავალ მასთან
დღეს და ვეცდები, თუ შესაძლოა,
გამოგიტანო თავისუფლება.
შენ კი გაჩუმდი, ენა ჩაკმინდე.
ეგრე ჭკვიან ხარ და კი არ იცი,
რომ კადნიერი სიტყვა უბრალოდ
არ გადაივლის...

**პრომეთე** (დაცინვით)

მშურს, რომ არა გრძნობ
დანაშაულსა არა თუ ჩემი
თანამგრძნობელი, არამედ ჩემთან
ერთად მოქმედიც. ანებე თავი
ჩემთვის ზრუნვასა: ვერ დააჯერებ
იმას ვერაფერს, — ჟინიანია.
უმჯობესია იფიქრო, წასვლამ
თვით არ გავნოსურა..

ოკეანე

დამრიგე სხვების
უკეთესი ხარ, ვიდრე თავისა,—
მალაპარაკებს ამას ეგ შენი
სიტყვა კი არა, არამედ საქმე.
ნუ რას დამიშლი,— ვიმედობ, დიახ,
ვიმედობ ზევსი ტკბილად დამიხვდეს,—
და გამოგიხსნას სატანჯველთაგან.

პრომეთე

გმადლობ მაგისთვის და მადლობელიც
ვიქნები მუდამ: ყოველნაირად
ამტკიცებ, რომე შენ გყვარებივარ,
მაგრამ ნუ შვრები,— ამაოდ ეგე
შრომა ჩაგივლის, კიდეც რომ გსურდეს
ჩემთვის რაიმე მოიმექმედო.
დაწყნარდი, თავი დამანებე, მე
უბედური ვარ, მაგრამ ამისთვის
არ მსურს გამრავლო უბედურთ რიცხვი,
არა, ისედაც ვწუხვარ გულითა
უბედურს ბედსა იმ ჩემის ძმისა,
ატლანტოსასა, რომელიც მხრებით
დასავლეთისკენ იმაგრებს სვეტსა,
ზეცისა გამყოფს დედამიწისგან,—
საშიშ-მძიმეა! მებრალებოდა
კილიკიისა მღვიმეთ მკვიდრიცა
დედამიწის ძე, მრისხანე დევი
ასთავიანი, დაუცხრომელი
გულ-ფიცხი ტიფონ, ვისაც არ ჰქონდა
შიში არც ერთის ღმერთთაგანისა
სიკვდილი სტვენით გამოფრინვიდა
მის პირისაგან საშინელისა.
თვალები მისი ისროდა ცეცხლსა,

თავზარ დამცემსა, სულ კი იმისთვის,
ტახტიდან ზევსი რომ ჩამოეგდოთ,
მაგრამ ზევსმა მას ჰსტყორცა ისარი,
მოუსვენარი, ცეცხლისაებრი,
ციით მომავალი ელვა და იგი
განმეხა მისის ტრაბახობისთვის,—
გულს განეწონა, კიდეც დაიწვა:
ელვამ ძალღონე მისი შემუსრა.
ეხლა იგი წევს ღონე მიხდილი,
სიგრძით განრთხმული, ზღვისა სორეტთან,
ქთნისა ფსკერში, და მის მწვერვალზე
მჯდომი ჰეფესტო ჰსჭედს მაზედ რკინას
გახურებულსა. მაგრამ დრო მოვა,
იქითგან ცეცხლი გადმოდინდება
და შთანთქავს უღვთოდ ნაყოფიერის
სიცილიისა თვალგადუწვდენელ
ჭალებსა. ტიფონ განმეხა ზევსმა,
მაგრამ თვისს რისხვას მაინც გვაჩვენებს
ნაცარტუტისა, ცეცხლის გრიგლისა
აღმოტევებით... შენ კი სულ სხვა ხარ,
შენა ხარ კაცი ნასმენ — ნახული:
ჩემგან სწავლება არა გჭირია.
ჭირთაგან იხსენ თავი თვითონვე,
როგორც უწყოდე, მე კი გავუძლებ
ჩემდა მოწევნილ უბედურებას,
ვიდრე გულისა წყრომას შესცვლიდეს
ზევსი წყალობად...

ოკეანე

მაშ შენ პრომეთე
არა გცოდნია, რომ შესაძლოა
რისხვა დააცხრო მარტო სიტყვითა?

პრომეთე

დიახ, თუ დროზედ უწამლებ გულსა
და ამაყ სულსა არ აწყენინებ...

ოკეანე

მაგრამ რას ჰპოვებ ცუდსა, რომ სხვები
შენის გულისთვის ზრუნვასა ჰსწევენ?
აბა, რას ჰხედავ?

პრომეთე

მაგაში ვხედავ
მე მეტის მეტსა გულკეთილობას,
შეზავებულსა...

ოკეანე

მომეცი ნება
რომ ვიავადო ამ სნეულებით,
ხანდახან მეტად ხელ-საყრელია
ჭკვათა-მყოფისთვის მოისულელოს.

პრომეთე

ხოლო მაგისთვის მე ბრალი დამდვეს...

ოკეანე

რასაც კი ამბობ, ცხადად მაჩვენებს
შენს გულის წადილს, რომ შინ წავიდე.

პრომეთე

დიახ, რომ ჩემთვის გულის ტკივილით
არ დაიტეხო თავზედა რისხვა.

ოკეანე

მის, ხელმწიფება განუსაზღვრელი
ვინაც მიიღო ამ ცოტა ხანში?

პრომეთე

უფრთხილდი იგი არ გადიმტერო.

ოკეანე

უბედურება შენი, პრომეთე,
ჭკუას მასწავლის.

პრომეთე

გასწი, გაიფრინდი,
გრძნობა ჩემდამი არ გამოსცვალო.

ოკეანე

ახლად ჰსთქვი ეგე, — ვაპირებ წასვლას.
მიფრინავი ცხენი ჩემი ფრთებსა ჰშლის
განუსაზღვრელსა ჰაერის სივრცეს
და, უეჭველად, სიამოვნებით
მიწვება იგი თავისს თავლაში. (მიდის)

ხორო

ჩვენ ვსტირით შენსა უბედურებას,
პრომეთე, მასთან ცხარე ცრემლები
თვალთაგან მოგვდის ჩვენ, დედაკაცებს,
ჩნჩვილებს გულითა; ლოყები ცრემლითა
ღენით სველი გვაქვსთ: შეუბრალებლად,
თავის საკუთარ კანონებითა,
ზევსი გამგებლობს და ღმერთებს უწევს
თვისს უმანდელსა მტარვალობასა.
ჰსტირის სრულიად ქვეყანა, ჰსტირის
დასავლეთი მას, რომ შენ და შენს ძმებს
პატივისცემა სახარბიელო
მოგაკლდათ, დიდის ხნითგან ჩვეული;
ჰსტირიან წმინდა აზიის ხალხნიც
შენს ბედს მწარესა; ჰსტირიან მკვიდრნი
კოლხიდისანი, მბრძოლნი ქალწულნი,
სკვითნი, მცხოვრებნი ქვეყნის კიდესა,
მეოტიდის ტბის პირად, მამაცნი
არაბნი, მასთან გულადი, ბასრის

ლახვრებით ბრძოლად მოსწრაფე ხალხი,
რომელიც ცხოვრებს მთის სიმაგრეში,
კავკასიონის მთების მახლობლად.
ტიტან ატლანტო აქამდე იყო
ერთად ერთი ღმერთი, რომლის ტანჯვას
ჩვენ მოვსწრებივართ; მას მწუხარება
საშინელი თავს დაატყდა, იგი
კვნესის, სამუდმოდ თვისის ძლიერის
მხრებით დამჭერი ცისა და ქვეყნის,
ზღვის ტალღაც იმის კვნესას ბანს აძლევს,
ჰკვნესენ უფსკრულნი ზღვისანი; კვნესა
გაისმის მიწის ქვეშეც, გადესის
წყვდიად სამკვიდროს; საწყლად სტირიან
წყალნიც მათ წმინდა მდინარეთანი.

### პრომეთე

ნუ ფიქრობთ ვჴსდუმდე მისთვის, რომ ვიყო
ამაყი ანუ ჩემის თავისა
იმედნეული. არა გულს მიკლავს,
როს მაგონდება თავის შერცხვენა...
თუ არ მე, მაშ ვინ მისცა ამ ახალ
ღმერთებს უფლება?.. მაგრამ კმარა ეს, —
ბეტყოდით იმას, რაც უკვე იცით;
ჰსჯობს გაიგონოთ, თავდაპირველად
ხალხი რა საწყალ იყო, და რა ბრძენ
ჭკვათა მყოფელი ეხლა გავხადე.
მე მოგახსენებთ კაცთ საყვედრებლად
კი არა, მისთვის, რომ დაგანახოთ,
იმათ რამდენი სიკეთე ვუყავ.
პირველად იგინი თვალ-ხილულები
ვერას ხედვიდნენ, ყურთა მქონნი
ვერას ისმენდნენ, და მრთლად სიცოცხლეს
ვითარცა ლანდნი, ეხეტებოდნენ,

ყველაფრის ბედად მომუშავენი.
მათ არ იცოდნენ არც ქვითკირისა
ჩადი—სახლი, არც ხუროთ მოძღვრება
და ცხოვრებდნენ, ვით მოუსვენარი
ჭინჭვლები, მიწას ქვეშ, ღრმა ქვაბებში
სადაც მზის შუქი ვერ შეიჭვრეტდა.
ვერ ტყობილობდნენ ვერცა ზამთარსა,
ვერც ყვავილოვან გაზაფხულისა,
ვერცა ხილითა მდიდარ ზაფხულის
მოახლოვებას,—ყოველის ფერსა
შეუგნებელად შვრებოდნენ, ვიდრე
არ ავუხსენი მნათობთ ამოსვლა
და ჩასვლა მათი მქრალი; მასუკან
გამოვიგონე მათვის რიცხვების
სწავლა, სწავლათგან საუკეთესო —
ანბანი; იმათ მივმადლე ხსოვნა,
დედა მუზათა, ყოვლის მიზეზი,
მუშა საქონელს უღელი პირველ
მე დავადგი, რომ კაცთათვის იმას
სამსახური რამ აღმოეჩინა,
მათ მაგივრობის გამწევს მათ ღონის
შეუფერებელ სამუშაოში;
პირველ მე ვიყავ შემბმელი ლაგმის
მორჩილ ცხენების, სიმდიდრის პატრონთ
რომ გაუხდიათ თავ მოსაწონად;
მევე პირველმა ჩავუშვი წყალში
ზღვისა ტალღების გამაპობელი
ფრთიან ხომალდი... აი რა და რა
გამოვიგონე მე უბედურმა
კაცებისათვის, ჩემის თავისთვის
კი ვერას ვღონობ, გავთავისუფლდე
სატანჯველისგან, რომელიც ეხლა
მე მავიწროებს...

**ხორო**

დიახ, ტანჯვანი
შენნი გარცხვენენ; მოგაკლდა ჭკუა
და დაძაბუნდი, ვით უვარგისი
მკურნალი, რომელს, რაკი გახდება
ავად, არ ძალუძს რამე იღონოს,
ფეხზე წამოდგეს.

**პრომეთე**

მომეცით ნება,
რო დავასრულო, თქვენ გაჰკვირდებით
კიდევ უმეტეს, თუ კაცთ ვასწავლე
რა და რა ხელი და კიდევ მათთვის
რა მოვიგონე. აი უმთავრეს:
თუ რამდენიმე ავად ხდებოდნენ
და არც გააჩნდათ წამალი რამე,
სახმარებელი არცა გარეგან,
არცა შინაგან, არც რამ მალამო,
სულსაც თან ჰლევდნენ მკურნალისაგან
დაუხმარებლად, ვიდრე ვეტყოდი,
თუ რა უნდოდა ტკივილებისა
დამაამებლის წამლის კეთებას,
რის წყალობითაც ყოველ სენისგან
იკურნებიან აწ იგინი. მე
გავაცანი მათ სხვა-და-სხვა სახე
მკითხაობისა და ვაჩვენე მათ
თავდაპირველად, ვით გაერჩიათ
ძილი სიზმრისგან; მე ავუხსენი
ძნელ გასაგები ნიშნები კაცის
სიტყვათ ბგერისა, ისიც, შეხვედრა
თუ რას ნიშნავდა; მათ გავუკვიე
გზა მკითხაობის ველურ ფრინველებით,
ისიც ვუთხარი, მათგან რომელი

მოასწავებდა სვე-ბედს. ვურჩიე
თვალი ჰქონოდათ, თვითო მათგანი
რით სულდგმულებდა, იბრძოდნენ თუ არ,
ან მეუღლობდნენ, ნაშიერობდნენ.
მე ვასწავლე მათ, თუ შესაწირავ
პირუტყვებისა შიგნეულთ ფერით
და ვარგისობით როგორ შეეტყოთ.
მსხვერპლი საამურ იყო თუ არა
ღმერთებისათვის, ენახათ, ფერი
როგორი ჰქონდა მის ნაღველს და ღვიძლს.
რა სამსხვერპლო ხორცს და მის გრძელ ბარკლებს
ცმელი დავადევ, დავსწვი იგი და
კაცთ ავუხსენი ძნელი ხელობა,—
მე ვასწავლე მათ მარჩიელობა
მსხვერპლის კვამლითა, რაც უწინარეს
მათ არ იცოდნენ. ესე ამითი
არა თავდება.—ვინ იტყვის, რომე
ჩემს უწინარეს იმას ეპოვოს
ჩაფლული მიწის გულში კაცთათვის
საჭირო რკინა, სპილენძი, ვერცხლი
და ოქრო?—მჯერა,—ვერავინ—თუ კი
არ მოიტყვილებს. გადაჭრით რო ვჰსთქვა,
ხელოვნებანი მრთლად მიანიჭა
კაცთა პრომეთემ...

**ხორო**

ხალხისთვის დიდო
მოამაგე, თავს ნუ დაივიწყებ
გაჭირვებაში. ვიმედობთ, ბორკილს
თავ-დაღწეული შენ იქმნე ზევსზედ
არა ნაკლებად ძლევა-მოსილი.

**პრომეთე**

არა, იმ ყოვლად შემძლე ბედისა
ნება ჯერეთ არ აღსრულებულა;

ბორკილისაგან თავისუფალი
გავხდები მაშინ, როს გამოვივლი
ათას წვალებას, ათას გასაჭირს.
სვე-ბედი უფრო ძლიერი არი,
ვიდრე გონება.

**ხორო**

ვინ არი გამგე
ბედისწერისა?

**პრომეთე**

სამი მერი და
ერინნი შურის მეძიებელნი.

**ხორო**

ზევსი განა კი მათზე სუსტია?

**პრომეთე**

დიახ, არ ძალ უძს რო წაუვიდეს
ის ბედისწერას.

**ხორო**

მაშ, ზევსსა რაღა
უწერია, თუ მისი სუფევა
არი საწუთრო?

**პრომეთე**

მაგისი ცოდნა
შენ არა გიხამს, ნურც მეკითხები.

**ხორო**

უეჭველია
შენ ჰმალავ რაღაც საიდუმლოსა.

**პრომეთე**

შევსცვალოთ ჩვენი ჩვენ საუბარი, —
ჯერ ლაპარაკი მაგის ადრეა:
რაც შეიძლება უნდა დავფარო, —

თუ გავამჟღავნე, ვეღარ დავაღწევ
თავს ჩემს შემრცხვენელ ბორკილს და ტანჯვას.

### ხორო

ნუ გვემტერები, ზევსო შენ მეფევ
სამყაროისავ, ღმერთთ პატივი ვსცეთ
წყნარად ხარების სამღთო ზორვითა
მამიჩემისა ოკეანესი
შხუვილა წყალთა ნაპირებზედა,
ნუ ვსცოდავთ ბაგით, მაგრამ ნურას დროს
ნურც დავივიწყებთ, მუდამ გვახსოვდეს
საწყუთირო წესი: ტკბილი არს ცხოვრება
მრთლად სიცოცხლეში მტკიცე იმედით,
როს მასთან გულიც შვებით მტკბარია,
მაგრამ საშინელ გვიჩანს, როდესაც
გხედავთ უწყალოდ ტანჯულ-გვემულსა,—
ზევსის უშიშარ შენ პრომეთესა
გულის თქმათ ამყოლს გადაჭარბებით
გიყვარან კაცნი; მოყვასო ჩემო,
აბა იფიქრე, თუ მოგაგებენ
სიკეთეს შენის სიკეთის წილად?
მითხარ, საითგან იშოვნიან ძალს,
რით უნდა იქმნენ გამოსადეგნი
შენთვის ხანმოკლე ეგ არსებანი?
განა არ იცი, ეგენი სუსტნი,
უძლურნი, აჩრდილთ მსგავსნი არიან,
რის წყალობითაც ეგ თვალდამდგარნი
მონობის ბორკილს დაატარებენ?
ვერა, ვერას დროს ვერ შეებრძვიან
კაცები წესრიგს, ზევსის დადებულს!
ჩვენ დავიჯერეთ ესე, პრომეთე,
ოდეს გიხილეთ გაწირვებული.
რა გარჩევაა ამ ჩვენს სიმღერას

და საქორწილო იმ სიმღერაში,
რასაც ვმღერილით შენის ქორწილის
დღეს, როდესაც რომ ვეღარ გაუძლო
შენს საჩუქრებსა გეზიონემან,
ჩვენმა დამ, მოგცა მან თვისი ხელი
და გექმნა ცოლად! (სცენაზე შემორბის იო).

(დასასრული იქნება).

# სისხლი

## ნინონასთვის ნათქვამ ზღაპრებიდან

### ემილ ზოლასი

(ფრანგულიდან)

ვინ იცის, რამდენი მზის სხივი, რამდენი ფერადი ყვავილები უნახავს შენს თვალებსა, რამდენი სურნელება შეგიყნოსია! ნინონა, ნუ თუ არ მოგბეზრდა ეს საუკუნო, დაუსრულებელი გაზაფხული? სად გაგონილა სულ მუდამ სიყვარული, სულ მუდამ ხოტბა და ქება-დიდება თექვსმეტის წლის ქალის ოცნებისა! ჩემო ავგულო გოგონა, საღამოთი, ის-ის არის, ვარდის კოპწიაობასა და ჭრიჭინის უდარდელობაზე ლაპარაკს გაგიბამ თუ არა, შენ იძინებ. რომ მოგეწყინება, დაჰხუჭავ შენს დიდრონს საუცხოვო თვალებსა; მეც, რაკი შენის თვალების ცქერა აღარ შემეძლება, ენა მებმება, ვდუმდები, ველარ ვათავებ დაწყებულს ამბავსა.

მაგრამ დამაცა, ნინონა, შენს ზარმაცს თვალებს გაგახელინებ. ერთი ისეთი საშინელი ზღაპარი გიამბო, მთელი კვირა თვალები ვერ მოჰხუჭო. შენ ყური დამიგდე! მეტად ხანგრძლივის ღიმილის შემდეგ შიში საამურია ხოლმე.

# ჩემს ასულს

(ვიქტორ ჰიუგოდან)

მახსოვს, რომ ერთხელ ჩჩვილი, პაწია
იწექ აკვანში ტკბილად გეძინა.
შენსა ფუნთუშა, წითურ სახეზედ
უმანკოებას დაედვა ბინა.

ფრთოსანთა სტვენა, ამო ჭიკჭიკი
აღარ გესმოდა, იყავ ღრმა ძილში.
იყო ბინდ-ბუნდი — გარედ ბნელოდა
და მეც შევტოპე ოცნება-ფიქრში.

მეჩვენებოდა, რომ ანგელოსნი
ჩამოდიოდნენ ზეცით შენთანა.
ვევედრებოდი ემღერათ შენთვის
სანეტარ-ძილოდ ტკბილი რამ ნანა.

ია და ვარდი მომქონდა კრძალვით,
აკვანს გიმკობდი და თან ვსტიროდი..
შიშითა ვძრწოდი, ამ ღამეს ბედი
რას გვიმზადებდა, რომ არ ვიცოდი.

ჩემი საათიც დაჰკრავს, ძვირფასო!
უფრო ღრმა ძილით დამეძინება.
ბნელი დამფარავს, სადგური ჩემი
საპატიმროზედ ვიწრო იქნება.

ფრთოსანთა სტვენას ვეღარ მოვისმენ,
გრძნობა-გონება გამიუქმდება.

სანაცვლო ლოცვებს, ცრემლებს, ყვავილებს,
რითაც აკვანსა გიმკობდი გარე,
მაშინ სავსებით, ჩემო სულის დგმა́ვ,
მიიღებს შენგან ჩემი სამარე.

ლ—ი წ—ე

# გლეხი-კაცის ისტორია

## ნაწილი პირველი

### 1789

### ერკმან-შატრიანისა*)

„ყველამ ვიგრძენით, რომ საერო კრება დიდ განსაცდელში იმყოფებოდა. ის იყო შვიდი საათი დაჰკრა და კიდეც შემოალეს კარი მ. იაკობმა და ჟერარმა. კრება დანიშნული იყო რვა საათზედ. საჩქაროდ ვისაუზმეთ და გადავწყვიტეთ, რაც შეიძლებოდა მაგრად ეყოფილიყავით და გაგვემაგრებინა ჩვენი თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენდა ჩვენს ერთობას და მაშასადამე ჩვენს ძალას. სწორე მოგახსენოთ, გულში ძალიანი შევუკურთხეთ იმათ, ვინც მთელი ერის წინაამღმდეგობას ბედავდა. მეტი თავხედობა-ღა შეიძლება? თავისი დღენი სხვის ნამუშევარით უცხოვრიათ, და ასე ჰგონიათ საუკუნოდ ასე უნდა იყოსო. საკუთარი არც გამოცდილება აქვთ რამე, არც ნიჭი და მოხერხება, არც ადამიანური გრძნობა! თუ ჩვენზედ მეტნი არიან რითიმე, მხოლოდ იმითი, რომ უვიცის, გულ-უბრყვილო ხალხის უცოდინარობით სარგებლობენ! ჩვენს ხალხს ოღონდ ოქრო-მკერდით მორთული ლაქია დაანახვე, და ეგონება ციური არსება არისო; იმას ხომ არ იფიქრებს, რომ ეს ოქრო-მკედი და იმასთან ერთად ეს ძვირფასი ტანსაცმელი, ძვირფასი ეტლი და ცხენები ჩემი ოფლი და სისხლიაო! იმას ხომ არ იფიქრებს, რომ იმის უვიცობით უსარგებლიათ, ნაშრომ-ნადა-

*) იხ. „მოამბე“ № IV, 1897 წ.

გი ხელიდან გამოუცლიათ და ახლა თითონ იმასვე თვალს უყენებენ!

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ საერო კრებას დარბაზის კარი დაუკეტეს, ეს იმისთანა სამარცხვინო საქციელად მივვაჩნდა, რომ თითონ ჩვენვე გვეცოდებოდა ამის მომქმედები.

ჩვენმა კეთილმა მეფემ ამ ამბებისა, რასაკვირველია, არა იცოდა-რა. მეფის სათნოებითა და სიმშვიდით აღსავსე გული ასე როგორ დამდაბლდებოდა! ჩვენ ძველებურად ლოცვა-კურთხევით ვიხსენიებდით ჩვენს დიდებულს, კეთილს და თავმდაბალს მეფეს და ჩვენს მტრობას და სამარცხვინო საქციელს კარის კაცთა თავხედობას ვაბრალებდით.

რვა საათს 15 წუთი-ღა აკლდა, რომ გზას გავუდექით. შორიდანვე დავინახეთ, რომ საერო კრების დარბაზის კართან ასამდე ხალხის წარმომადგენელი მოგროვილიყო, რომელთა შუა ჩვენი თავმჯდომარე ბ. ბაილი მოჩანდა. ჩვენი თავმჯდომარე აქამომდე არაფრით განირჩეოდა სხვა დეპუტატთაგან და თუ თავმჯდომარეთ ავირჩიეთ, მარტო იმიტომ რომ ამობდნენ ძალიან მსწავლული და პატიოსანი კაციაო. 50—55 წლისა იქნება, საკვირველი ჭკვიანი და მშვიდი სახის გამომეტყველება აქვს. აუჩქარებელი კაცია და სამაგალითო ზრდილობით ექცევა ყველას. დიდი ხანი ისმენს და უკვირდება საქმეს, ვიდრე გარდაწყვეტილებას დაადგება რასმე, მაგრამ რაკი გარდასწყვეტს, უთუოდ აასრულებს კიდეც

აქეთ-იქიდან მესამე წოდების წარმომადგენელნი მოდიოდნენ. ის იყო ცხრა საათი დაჰკრა და საერო კრების დარბაზსაც მივუახლოვდით; წინ ბ. ბაილი და მისი ორი მდივანი მიგვიძღვოდნენ. კარებთან რამდენიმე „მეფის მცველი“ ჯარის-კაცი იდგა. დაგვინახეს თუ არა, აქეთ მოდიანო, წინ ერთი უმფროსთაგანი მოგვაგებეს, რომელმაც მდაბლად სალამი მოსცა ჩვენს თავმჯდომარეს. რაღაცა ცხარი ბასი ატყდა მათ შორის, მაგრამ მე ძალიან შორს ვიყავ და ვერ გავიგე, რას ამბობდნენ. ის კი იყო, რომ გაგვაგებინეს—კარი დაკეტილიაო. ჩვენთან მოლაპარაკე ჯარის უმფროსი დიდად ზრდილი იყო და ბოდიშს

იმითი იხდიდა, ბრძანება მაქვს და უნდა ავასრულოვო. თან-და-თან ბრაზი გვერევოდა. არ გასულა ოცი წუთი, რომ ყველანი მოგროვდნენ, ჩვენს კრებას აღარავინ აკლდა. და რადგან „მეფის მცველი“ ჯარის უმფროსი ჩვენ დარბაზში არ გვიშვებდა, რამდენმამე დეპუტატმა აღშფოთებით გამოაცხადა ამ საქციელის უკანონობა. ყველანი აღელვებულნი ვიყავით, ყველანი აღშფოთებულნი ვიყავით ამ შეურაცყოფით და ხმა-მაღლივ გაეიძახოდით ჩვენს სამდურავს; თან სასახლისკენ მივდიოდით. ზოგნი იძახდნენ, აქვე ცის ქვეშ სასახლის ფანჯრებთან გავხსნათ კრებაო! ზოგნი კიდევ უარესს გაიძახოდნენ: მეფესა ნებავს ერთმანეთს შეგვაბრძოლოს სამი წოდება, ძმათა სისხლი გვაღვრევინოს, ქვეყანა დაარბიოს და დაღუპოს! მტარვალები ჩვენს ქვეყანას სხვებიც ჰყოლია, ლუი მეთერთმეტე, რიშელიე და მაზარინი, მაგრამ ამისთანა უჯიათი და ულმერთო თავის დღეში არავინ ჰყოლიაო!

მთელი ვერსალი ფეხზედ იდგა. გარს გვეხვევოდნენ ყველანი, ქალი და კაცი და ისინი უფრო აღშფოთებულნი იყვნენ, თუმცა ხმას არ იღებდნენ.

ათ საათზედ ბ. ბაილი სადღაც წავიდა. ცოტა ხანს უკან სამი დეპუტატი მოვიდა და გვითხრეს, ბაილიმ პოლიციელი მოხელეს თანადასწრებით საერო კრების დარბაზიდან ჩვენი კრების ქაღალდები გამოიტანა და წმინდა ფრანსუას ქუჩაში ერთი დიდი დარბაზი იქირავა, რომელშიაც ჩვენი კრება თავისუფლად მოთავსდება; ეს დარბაზი თითქმის ჩემი ბინის პირდაპირ არის და საბურთაოდ არის აგებული.

მაშინვე „საბურთაო“ დარბაზისკენ წავედით და იმოდენა ხალხიც თან აგვედევნა. შუადღე დაჰკრა, როდესაც დარბაზში შევედით. ჩვენ იმასთანა შეურაცყოფა მოგვაყენეს, იმისთანა სილა გვკრეს, რომ ეტყობა თავად-აზნაურთ და სასულიერო წოდებას ძველებური ბატონ-კაცური ბრძანება გაუცია: პანღური, მაგ...! და რაკი ეს გაბედეს, დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავით, რომ ამას არ გვაკმარებდნენ და ხვალ უარესს გვიზამდნენ. მაშასადამე, ყოველი ღონისძიება უნდა გვეხმარნა არა მარტო

ჩვენის ვალდებულების ასრულებლად, არამედ თვით ჩვენი არსების დასაცავადაც. იმათ ხომ ძალის მეტი არა სწამთ-რა!.. მართალი ის არის, ვინც გაიმარჯვებსო, აი იმათი კანონი და რწმენა. ჩვენდა საბედნიეროდ პარიზი ძალიან ახლოა და ეს აშინებთ, თორემ იქნება აქამდინაც ბოლო მოეღოთ ჩვენი კრებისთვის.

მაგრამ განვაგრძოთ.

საბურთაო დარბაზი—ერთი უზარმაზარი, თვალ-გადუწვდენელი დარბაზია, თლილი ქვით მოკირწყლული; სინათლე პატარა ფანჯრებიდან შემოდის, ისე რომ უფრო ბნელია და არა ნათელი. ვიდრე უმთავრესს დარბაზში შევიდოდეს, კაცმა რამდენიმე რიგი ოთახი და გალერეია უნდა გაიაროს. ისე მჭიდროდ ❀ საშვილიშვილოდ არის აგებული ეს შენობა, ისეთ გონივრულ გეგმაზედ არის მოთავსებული შიგ საბურთაო დარბაზი, რომ ერთობ ცხადია, ამ დიდი ხნის შენობას საბურთაოდ არ ააგებდა მისი პატრონი. დარბაზში, რასაკვირველია, არც სკამი მოიპოვებოდა, არც სტოლი. იძულებული ვიყავით იქვე მეზობლებში გვეთხოვნა. დარბაზის მოიჯარადრე—ერთი პაწაწკინტელა, თავგატვლეპილი კაცი, ძალიან ნასიამოვნები იყო, რომ საერო კრებამ პატივისცა და თავისი სხდომა იმის დარბაზში დანიშნა. შუა დარბაზში სტოლი დავდგით, გარშემო რამდენიმე სკამი შემოვურიგეთ და კრება კი ფეხზედ იდგა. გალერეია ხალხით გაივსო.

ბოლოს ბ. ბაილი სკამზედ ავიდა და მოკლედ მოაგონა კრებას, რაც კი იმ დღეებში მოხდა. მერე ცერემონიის გამგე—ბატონი დებრეზეს წერილები წაგვიკითხა, რომლითაც იგი თავხედურად უბრძანებდა ჩვენს თავ-მჯდომარეს—კრება შესწყვიტეთ, ვიდრე მეფის თანადაწრებითი სხდომა არ მოხდებაო. მეორე წერილიც ამასვე იმეორებდა, ოღონდ თან იმასაც დასძენდა, რომ ეს მეფის ბრძანებაა და უთუოდ უნდა ასრულებულ იქმნასო. დასასრულ ბ. ბაილიმ გვთხოვა განგვეხილა აწინდელი ჩვენი მდგომარეობა და გადაჭრილი დაგვედგინა რამე.

განაღა საჭიროა, ბატონო ივანე, აგიწეროთ ჩვენი აღშფოთება? მარტო ჩვენ ხომ არა, ეს შეურაცყოფა მთელს ერს ხვდებოდა! იმოდენა უჯიათობა არ იკმარეს და პანდურის ცემით დაგვირეკეს საერო კრების დარბაზიდან ერის წარმომადგენელნი! ან ვის უნდა დარიდებოდნენ? ჩვენი მამა-პაპანი ყოველთვის დამონავებული და დაჩაგრული ჰყოლიათ ქვეყნის მპყრობელ მებატონეთ, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი ჭირნახულითა ხარობდნენ და ჩვენს დამონავებასა ცდილობდნენ. გუშინ არ იყო თვით მეფემ წამოგვძახა, რომ საერო კრების მოწოდებით მან გააუქმა ყოველი განსხვავება, რომელიც არსებობდა ჩვენი ქვეყნის დიდებულ დამმარცხებელთა და მათ მიერ დამარცხებულ-დამონავებულთა შორისო! განა ცხადი არ არის, რომ არც მეფეს და არც დიდებულთ აზრადაც არ მოსვლიათ ამ განსხვავების გაუქმება და მარტო იმასა ცდილობენ, რომ ეშმაკობით და ფლიდობით წაგვიტყუონ და მარტო ჩვენ კი არა ჩვენს შვილებსაც და შვილის-შვილებსაც კი საუკუნო მონობის დაღი დაასვან! ჰოდა, თუ კაცნი ვართ, თუ მართლა-და სულით ხორცამდე მონებად არ შევქნილვართ, და ცოტაც არის ადამიანური თავმოყვარეობა შეგვრჩენია, ყველაფერს გავწირავთ, და ჩვენი უფლების აღიარებას კი ვაიძულებთ ჩვენი ლაჩრობით გალაღებულ მუქთა-ხორა მებატონეებს!

იმოდენ აღშფოთებულთა შორის მხოლოდ მუნიე იყო დამშვიდებული და განსაცდელიც იმან აგვაცდინა თავის წინადადებით. მუნიემ ჯერ ისა სთქვა, რამდენად სამწუხაროა, რომ საერო კრების დარბაზში ჯარი იმყოფება და ჩვენ კი — საერო კრების წევრნი — სამარცხვინოდ ქუჩა-ქუჩა დავწიალებთ და მებატონეების და იმათი ლაქიების დასაცინავად გავმხდარვართო. რა გაეწყობა, რათა არ შეგვეწყვიტა ჩვენი შრომა, იძულებულნი ვიყავით საბურთაო დარბაზში შევკრებილიყავით; მაშ ნუარვინ დაივიწყებს, რომ აქამომდის თუ მალვით, ფარულად გვმტრობდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ეხლა, ეტყობათ, აღარას გვერიდებიან და პირდაპირ გვცემენ, შიგ გულისგულში; ნურავინ დაივიწყებს, რომ ამის შემდეგ უფრო მეტს

გვიზამს ჩვენი დაუცხრომელი მტერი, რომელიც არავითარ საშუალებას არ დაერიდება, ოღონდ კი ჩვენს კეთილ მეფეს ჩვენზედ გული ააყრევინოს და თავისი ერთგული ხალხის წარმომადგენელნი შეაძულოს. ამგვარ მდგომარეობაში ერის წარმომადგენელთ მხოლოდ ერთიღა დარჩენიათ: იგინი უნდა შეუერთდნენ სამშობლოს კეთილდღეობას და წმინდა ფიცით უნდა შეუსისხლხორცონ თავიანთი სიცოცხლე საფრანგეთის სიცოცხლეს.

ვერ წარმოიდგენთ, რა რიგ გაგვახარა ამ წინადადებამ! ხომ მოგეხსენებათ, გაიძვერას ისე არაფრისა ეშინიან, როგორადაც პატიოსან კაცთა შეერთებისა.

განაჩენი ასე ჩავწერეთ:

საერო კრებამ გაიხსენა რა, რომ იგი მოწოდებულია საფრანგეთის კონსტიტუციის შესადგენად და მით სამეფო წესყობილების რიგზედ მოსაყვანად, რომლის აღსრულებას მას ვერავითარი დევნა და შეურაცხყოფა ვერ დაუშლის, რადგან დევნილი იგი იძულებული იქნება იქ იქონიოს თავისი კრება, სადაც შეკრებილ იქნებიან ერის წარმომადგენელნი,

დაადგინა: საერო კრების ყველა წევრები შეიფიცებიან და წმინდა აღთქმას დასდებენ, რომ ერთმანეთს არ განშორდებიან და საერო კრებას შეადგენენ ყველგან, სადაც კი გარემოებანი ხელს შეუწყობენ იმ დრომდე, ვიდრე სამეფო კონსტიტუცია დადგენილ არ იქნება მჭიდრო და ურყეველ საფუძველზედ; გარდა ამისა, ზემოდ მოხსენებულ აღთქმას და ფიცს ყოველი წევრი საერო კრებისა თავისი საკუთარი ხელის მოწერით შეამოწმებს.

ნეტავი იქ ყოფილიყავით, ბატონო ივანე! ნეტავი თქვენი თვალით გენახათ იმოდენი თვალ-გადუწვდენელი დარბაზი, შუაში დაღონებული, დაღვრემილი დეპუტატები, ირგვლივ სმენად გადაქცეული ხალხი... ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით მივეგებენით ყველანი ასე მოულოდნელს ჩვენს მხსნელს წინადადებას, თითქო იჭექა, ისე შეინძრა იქაურობა და ერთიერთმანეთს ახალი აღტაცებული ხალხი და ხალხზედ უფრო მეტად აღტაცებული დეპუტატები. ბ-ნი თავმჯდომარე კვლავ სკამზედ

ავიდა და ისე წაგვიკითხა, რა სიტყვით უნდა შეგვეფიცნა კრების დაუშლელობა. სამარისებური სიჩუმით მოისმინა ხალხმა ეს ფიცი და მერე უცბად ერთხმივ იგრიალა:

— ვფიცავთ, ვფიცავთ!...

მგონი რომ ჩვენი მრავალ-ტანჯული მამა-პაპანი თავიანთ საფლავში უნდა შენძრეულიყვნენ იმ წამს. გულ-ჩვილი არა ვარ, ღმერთმან უწყის, მაგრამ ისე გამიყოლია იმ ნეტარმა ალტაცებამ, რომ ცრემლი მომერია. იმისთანას მგონი ჩემს დღეში ვერასა ვნახავ. მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამისთანა იღბლიანი ვიქნებოდი და ამ დღეს შევესწრებოდი. მამა იაკობი ტიროდა; ვიკელი ქურარი სამარიდან ამოღებულსა ჰგავდა. ბოლოს ისე აგვიჩქროლდა ყველას გული, რომ ერთმანეთს მოვეხვივენით და სიხარულისგან აჩქროლებული გული ისე დავიმშვიდეთ.

გარეთ მთელს ძველ ქალაქში საშინელი ყვირილი ისმოდა; მაშინ მომაგონდა სახარების სიტყვები, რომლითაც აწერილია იესოს სულის განტევება: „დედა-მიწა შეინძრა და კრეტსაბმელი იგი ტაძრისა მის განიპო ორად ზეითგან ვიდრე ქვედმდე“.

როდესაც დავმშვიდდით და წესიერება ჩამოვარდა, ყველა ჩვენგანი რიგ-რიგით მივედით თავმჯდომარის სტოლთან, გავიმეორეთ ჩვენი ფიცი, რომელსაც მდივნები სიტყვა-სიტყვით სწერდნენ და ხელი მოვაწერეთ. ჩემს დღეში არსადა მომიწერია ხელი ამისთანა სიამოვნებით. ვწერდი და თან სიხარულისგან ცრემლი მდიოდა. ღმერთო, რა ბედნიერი დღე იყო!

მარტო ერთმა დეპუტატმა—მარტენ დოშმა მოაწერა: წინააღმდეგი ვარო. ვალენტინი ძალიან გაიხარებს, როცა გაიგებს რომ მარტო არა ყოფილა და საფრანგეთში ერთიც არის მაინც ამხანაგი ჰყოლია, ვალენტინივით ხალხის შვილი, რომელსაც თავის თავზედ და თავისავით საწყალ ხალხზედ უმეტესად დიდებულნი ჰყვარებია.

რასაკვირველია, დოშის წინააღმდეგობაც განაჩენში შეიტანეს და რადგან რამდენიმე დეპუტატი ამბობდა, მეფეს

დეპუტაცია ვაახლოთ, რათა ჩვენი გულითადი მწუხარება მოვახსენოთო და სხ. და სხ., კრება გადადებულ იქმნა 22-ს ორშაბათამდე; ამასთანვე დავადგინეთ, რომ თუ მეფის დანადასწრებითი კრება საერო კრების დარბაზში მოხდა, მესამე წოდების წარმომადგენელნი იქვე დარჩებიან კრების დახურვის შემდეგაც, რათა განიხილონ თავიანთი, ესე იგი ერის, საქმენი.

ექვსი საათი იყო რომ დავიშალენით.

თ. არტუამ გაიგო თუ არა ეს ამბავი, ძალიან თურმე იღუცხოვა ჩვენი მოხერხება და საბურთაო დარბაზში კრების მოხდენა და—აქაც მე უნდა გაჯობთო—საბურთაო დარბაზი 22-ისთვის თავისთვის დაიქირავა: დროს გასატარებლად მინდა, ბურთაობა მომინდაო.

მეორე დღეს მეფის ბრძანება მოგვივიდა: კრება 22 კი არა 23 იქნებაო, ერთი სიტყვით, ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდნენ, ხაცსსაც კი ექიდებოდნენ; თითქო ვერსალში საბურთაო დარბაზის გარდა სხვა დარბაზს ვერ ვიშოვიდით და იქ ვერ შევიკრიბებოდით. 22-ს, რაკი საერო კრების და საბურთაო დარბაზის კარები ჩაკეტილი დაგვხვდა, საერო კრება ჯერ რეკოლლეს ეკკლესიისკენ გაემართა, რომელმაც ვერ დაიტია ყველა წევრები და იქიდან წმ. ლუის ტაძრისკენ, სადაც მშვენივრად მოვთავსდით ყველანი.

რამდენს შემოგვიკურთხებდნენ თავადი ხრტუა და უბრწყინვალესი თავადები კონდე და კონტი, რომელთ ეშმაკობა ვერ გაუვიდათ? არა, ვინ წარმოიდგენდა, რომ საერო კრება იძულებული გახდებოდა წმინდა ტაძარს შეჰფარებოდა? ვინ წარმოიდგენდა, რომ სასულიერო წოდება, მიუხედავად მართებლობის დევნისა, ხალხის წარმომადგენელთ მიემხრობოდა? მე უფრო ის გამიკვირდა, რომ სასულიერო წოდება ნელ-ნელა ჩვენკენ იწევდა, თორემ დიდებულ მებატონეთაგან კარგი რამ გვჰირდეს, გიკვირდეს ავი რა საკვირველია?! აგერ რამდენი საუკუნეა საქონელივით ქედ-მოხრილ მონებად ვყევართ და დღეს რაღა სიკეთეს დაგვაყრიან! თუმცა რომ დაუკვირდეს კაცი, მზის შუქივით ნათლად დაინახავს, რომ ჩვენი დამოუნაგვება ჩვენი

უვიცობისა და უვარგისობისაგან იყო და დიდებულთ არას უნდა ვუსაყვედურებდეთ.

შუა დღე იქნებოდა, როდესაც ბაილიმ გვითხრა, სასულიერო წოდების უმრავლესობა მობრძანდება ერის წარმომადგენელთა უფლებათა ჩვენთან ერთად შესამოწმებლადაო. სასახლეში ეს გარდაწყვეტილება სასულიერო წოდებისა ჯერ ისევ 19-სა სცოდნოდათ და საერო კრების დარბაზი იმიტომ თურმე დაგვიკეტეს, რომ ჩვენი და სასულიერო წოდების შეერთება არ მომხდარიყო. ამას ხომ არ იტყოდნენ და თავის გასამართლებლად ისა სთქვეს—მეფესა სურს სამივე წოდების საერთო კრებას დაესწრასო.

სასულიერო წოდება ჯერ გალავანში შეგროვდა, მერე ჩვენ შემოგვიერთდა თვით ეკკლესიაში და აქაც ბევრს აუჩქროლდა სიხარულით გული. მღვდლებს ეპისკოპოზებიც წამოჰყოლოდნენ და სასულიერო წოდება თითქმის მთლად ჩვენთან იყო. თუმცა გვიან, მაგრამ ჭკუაზედ მოსულიყვნენ.

მარტო ერთ მღვდელს —მ. მორისს—ვენესსენელი ხარაზის შვილს თავის ღირსების დამცრობად ეცნა ხალხის წარმომადგენლებში გარევა და არ წამოჰყოლოდა უმრავლესობას. რამდენს საკვირველებას შეხვდება წუთი-სოფელში ადამიანი!

კრებამ მოისმინა რამდენიმე სიტყვა, რომლითაც შეერთებას ვულოცავდით ერთმანეთს; მერე წაკითხულ იქმნა უკვე დადგენილი გარდაწყვეტილებანი და დაიშალა, რომ მეორე დღეს სამშაბათს დილის 9 საათზე შეკრებილიყო საერო კრების დარბაზში.

აგერ 23-იც გათენდა, როდესაც თვით მეფე უნდა დასწრებოდა საერო კრებას.

გამომეღვიძა თუ არა, წამოვხტი და ფარდები გადავწიე; საშინელი დარი იდგა; ჯერ არა წვიმდა, მაგრამ მოქურუშებულ ცას თავ-პირი ჩამოსტიროდა. ქუჩები მაინც სავსე იყო ხალხით. ცოტა ხანს უკან ამოვიდა ჟერარი და მერე მამა იაკობიც, რადგან საუზმეს ჩემთან გიახლებიან. საუკეთესო ტანისამოსი გვეცვა სამივეს, სწორედ ისე, როგორც იმ დღეს

ვიყავით, როდესაც ვეახლენით. ნეტა რას უნდა მოასწავებდეს მეფის თანადასწრებითი კრება? ვეკითხებოდით ერთმანეთს,—რა უნდა გამოგვიცხადონ? წუხელის ხმა გავარდა, მეფის მცველი და შვეიცარიელი ჯარი სულ თოფ ქვეშ არის და მხოლოდ ბრძანებას-ღა ელისო. ამბობდნენ, ვერსალის ექვსი რაზმი კიდევ სხვა მოდისო. საუზმის დროს რამდენჯერმე აიარ-ჩაიარეს ჩვენს მიყრუებულ ქაჩაში მოდარაჯე რაზმებმა. ჟერარი იძახდა, რად უნდად ჯარები, თუ სამეფოს ავს არას უქადიან? გარშემო ჯარებს შემოგვახვევენ და ვალის გადახდას ძალად გვაკისრებინებენ; მერე მოგვდგებიან და პანდურის ცემით გაგვრეკავენ შინისკენაო.

მამა იაკობი სხვა აზრისა იყო: აგრე რომ მოგვექცნენ, ეგ იმის დარი იქნება, რომ პირდაპირ გვითხრან, ან ფული გამოიღეთ, ან არა სიკვდილი ირჩიეთო! „მაგას თავის დღეში არ იკადრებს ჩვენი კეთილი მეფე, თუმცა, ღვთისა წინაშე, ძალიან პატივსა სცემს და ყოველს თხოვნას უსრულებს დედოფალს და თავად არტუას. მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენ, რომ ჩვენმა კეთილმა მეფემ მაგისთანა მუხანათობა იკადროსო...“ მეც ამავე აზრისა ვიყავი. მაგრამ რაც შეეხება იმას, თუ რა აზრით დანიშნეს მეფის თანადასწრებითი კრება, მაგისი კი არავინ რა ვიცოდით. განა არა ვფიქრობდი, უნდა შეგვაშინონ-მეთქი, მაგრამ ამის თქმას ვერა ვბედავდი.

დაჰკრა ცხრა საათი და გავემგზავრენით კიდეც. ქუჩები ხალხით გაჭედილი იყო და ამ ხალხში მიდი-მოდიოდნენ საომრად გამზადებული მოდარაჯე რაზმები. რაღაც აღელვება ეტყობოდა ყველას—მოქალაქეს, მუშას, ჯარის-კაცს; ყველას რაღაცა უნდობლობა და მოუსვენრობა ეხატებოდა პირისახეზედ.

როგორც კი მივუახლოვდით საერო კრების დარბაზს და წინწკვლაც დაიწყო, ეტყობოდა მალე შხაპუნა წვიმას დაუშვებდა. კარები ჯერ არ გაეღოთ და იქვე კარებთან შეგროვილიყვნენ მესამე წოდების წარმომადგენელნი—ასნი მეტნი იქნებოდნენ; ჩვენთვის კარი დაკეტილი იყო, არ შვიშვებდნენ და სასულიერო წოდების და თავად-აზნაურთა დეპუტატები

კი თავისუფლად შედიოდნენ. მე რომ მივედი, სწორედ მაშინ გამოვიდა ვიღაცა ლაქია და გვითხრა: დარბაზში ქვემო ქუჩიდან შებრძანდით, რომ სივიწროვის გამო არეულობა არა მოხდეს-რაო.

ცერემონიის გამგე დე ბრეზე პირველ დღეს საერო კრებისას იმდენს ეწვალა, ვიდრე ყველას თავ-თავის ალაგს დაგვსხამდა, რომ იძულებული შეიქმნა ეხლა ეს განკარგულება თავისად მოეხდინა, რათა ის წვალება აღარ დასჭირებოდა.

ბრაზი გვერეოდა, სისხლი ყელში მოგვებჯინა, მაგრამ კოკის-პირულადა წვიმდა და გავექანენით, რომ ქვემო ქუჩიდან მაინც შევსულიყავით დარბაზში; რასაკვირველია, დარწმუნებული ვიყავით, რომ კარი იქ მაინც ღია დაგხვდებოდა. მაგრამ ჯერ თურმე ბატონს ცერემონიის გამგეს ორი წოდების წარმომადგენელნი თავის გუნებისად ვერ დაებრძანებინა და ამიტომ არც ჩვენ გვიღებდა. კარი დაკეტილი დაგვიხვდა. იქვე ჩვენს მარცხნივ რაღაც ფიცრული იყო; იქ შევეფარენით და ველოდით, როდის გვაღირსებენ დარბაზში შესვლასაო, სწორედ იმ დროს, როდესაც სასულიერო წოდების და თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი ამაყად და თავისუფლად შედიოდნენ უმთავრესი კარით. სხვა რომ ყოფილიყო ჩვენს ალაგას კიდევ ჰო, მაგრამ ჩვენ... აბა ჩვენ რას დაგვერიდებოდა მის ბრწყანვალება ბატონი ცერემონიის გამგე? ან რისთვის ვიყავით ჩვენ მიწვეულნი? მარტო სახელისთვის—აი ხალხის წარმომადგენელნიც აქა ყრიანო, თორემ საქმით კი—ჩვენ რა სახსენებელნი ვიყავით? არა, ჯერ ხალხი რა არის, რომ ხალხის წარმომადგენელნი რა უნდა ყოფილიყვნენ? რა არის მესამე წოდება? მყრალი ბრბო—ბატონის ყმად და მონად გაჩენილი!... ალბად ასე ფიქრობდა ბატონი ცერემონიის გამგე. ჰოდა, თუ კი მე და ჩემსავით გლეხებს და უბრალო მოქალაქეთ ბრაზისაგან თავი ვეღარ შეგვეკავებინა, წარმოიდგინეთ, რა ყოფაში იქნებოდა კეთილშობილი მირაბო. ჯერ ჩვენ ვერ აგვეტანა ეს შეურაცხება მეფის ლაქიისაგან და მირაბო აიტანდა? თმა ყალხზე უდგა, თავით ფეხამდე თრთოდა. თან ისე წვიმდა, რომ წარღვნა

გეგონებოდათ. ორჯერ მივიდა ჩვენი თავმჯდომარე და ორ-ჯერვე უკან გამოისტუმრეს: ბატონს ცერემონიის გამგეს ჯერ თქვენზედ უკეთესებიც ბევრი ჰყავს, რომ შესაფერი ადგილი ვერ უპოვნიაო. ეს რომ ნახა, მირაბომ საშინელი ხმით მიმართა ბაილის:

— ბატონო თავმჯდომარე, წინ გაგვიძეხით ერის წარმო-მადგენელთ და მეფესთან მიგვიყვანეთ!

ბოლოს მესამედ მიუახლოვდა ბ. ბაილი კარს და დააკა-კუნა. დებრეზემ იკადრა ბ თითონ გამობრძანდა; ეტყობოდა, უკვე გაეთავებინა თავისი ბრწყინვალე დანიშნულება. აჰა სასახლის ერთგული მონა-მოსამსახურე ეს არის, აი, ჩემო ივანე! ჩვენმა თავმჯდომარემ გამოუცხადა, რომ თუ ეხლავე კარი არ გაგვიღეთ, მესამე წოდების წარმომადგენელნი აღარ იცდიან და დაიშლები-ანო. მაშინ კი გაგვიღეს კარი. დარბაზი ისევე მოერთოთ, რო-გორც პირველ დღეს იყო; თავად-აზნაურობის და სასულიერო წოდების სკამები ძვირფასი დეპუტატებით შეემკოთ; ჩვენ კი... ჩვენ წურწურით წყალი გვდიოდა, რომ შევედით. თავად-აზნაურნი და რამდენიმე ეპისკოპოზი იცინოდნენ: ეტყობოდათ სრული კმაყოფილნი იყვნენ, რომ ასე დამცირებულს გვხედავდნენ.

ძვირად დაუჯდებათ ეს დამცირება, ჩემო ივანე!

ის იყო დავსხედით და დარბაზის მეორე მხარით მეფეც შემობრძანდა მშვენიერი ამალით, უბრწყინვალესი თავადებით და წარჩინებული სამხედრო კაცებით. ჩვენგანს ერთს არ წამოსცდენია—მეფეს გაუმარჯოსო! შემოვიდა, მოგვესალმა და ბრძანა: „მე მგონია, ჩემი ერთგული ხალხის კეთილ-დღეო-ბისათვის ყოველი ღონისძიება ვიხმარე და ახლა თქვენ უნდა დაამთავროთ ჩემგან დაწყებული საქმე; და რადგან აგერ ორი თვე სრულდება თქვენ იმის შესახებაც ვერ შეთანხმებულხართ, რაც თვით საქმეს კი არა, საქმის დასაწყისამდე უნდა გარიგებულ-იყო, ამიტომ მე მოვალე ვარ ეგ განყოფილება და უთანხმოება მოვსპო. ამიტომ გიცხადებთ, ჩემს სურვილს...

ამის შემდეგ დაბრძანდა და ერთმა სახელმწიფო მდივანმა წაგვიკითხა მეფის სურვილი:

მუხლი 1. მეფესა სურს, რომ უწინდელი განყოფილება სამეფოისა სამს წოდებად ხელშეუხებლად და უცვლელად დარჩეს და საერო კრებაც სამს კერძო კრებად იყოს განყოფილი. მეფე არავითარ კანონიერ მნიშვნელობას არ აძლევს მესამე წოდების კრებას ამ თვის 17-მდე და მის დადგენილებათ.

მუხლი 2. მეფეს კანონიერად მიაჩნია დეპუტატთა უფლებანი, ცალ-ცალკე იქმნებიან იგინი შემოწმებული თუ არა; ოღონდ შედეგი ამ შემოწმებისა ცნობილ იქმნას სამივე წოდებისათვის.

მუხლი 3. მეფე უარ-ჰყოფს და არღვევს ყოველ დადგენილებას, რომლითაც შევიწროებულ იქნება დეპუტატის უფლებანი.

ხედავთ, სადა სცემს? მაშ ყოველს დეპუტატს შეუძლიან, რაც უნდა, ის ჩაიდინოს! ათასობით და ათიათასობით საჩუქრები არიგოს სახელმწიფო ხაზინიდან, ხალხს ერთი-ათად გადამეტებული ხარჯი დაადვას და იმავე დროს იმავე ხალხს ყოველი უფლება მოუსპოს და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ისე იქცევოდეს, რომ ყურადღებასაც არ აქცევდეს იმ ვალდებულებას, რომელიც მას ამომრჩევლებმა მოანდეს.

მუხლი 4. თუ გაბედეს დეპუტატებმა და თავხედი ფიცი დასდეს, ჩვენ ამომრჩეველთა მინდობილობას არ ვუღალატოთო, მეფე ნებას აძლევს — მისწერონ ამომრჩეველთ და სთხოვონ, რომ ამ ვალდებულებიდან განთავისუფლებულ იქმნან; მაგრამ წასვლით კი ჯერ ვერსად წავლენ, რათა საერო კრების დადგენილება მათი თანადასწრებით უნდა მოხდეს და მით მნიშვნელობა გაუძლიერდეს.

მუხლი 5. მისი დიდებულება მეფე აცხადებს, რომ ამის შემდეგ საერო კრებაში აღარავის ექნება უფლება „სავალდებულო მინდობილობა“ მიიღოს თავის ამომრჩეველთაგან.

მაშ არა-და! ეგ რომ არ აკრძალონ, ხომ საქვეყნოდ შერცხვებიან ის გაიძვერა დეპუტატები, რომელნიც კენჭით ვაჭრობენ.

შემდეგ ამისა მეფემ გვიბრძანა საქმის დაწყება ასე უნდაო: უპირველეს ყოვლისა ნუ შეეხებით სამის წოდების განსხვავებას და ურთიერთ შორის დამოკიდებულებას, რომელიც ჟამთა და საუკუნეთა განმავლობაში არსებობს და თვით ღმერთის დაწესებული არისო; ნუ შეეხებით სამეფო კონსტიტუციის შედგენას, მებატონეთა საკუთრებას და თავად-აზნაურთა და სასულიერო წოდების უფლებათ და მათთან შეკავშირებულ უპირატესობასაო. გარდა ამისა, ამით გიცხადებთ, რომ ყოველ დადგენილებას, რომელიც კი სარწმუნოების, ესე იგი საეკკლესიო ® მონასტრების წეს-წყობილებას შეეხება, საჭიროა სასულიერო წოდების თანხმობაცა ჰქონდეს, რათა კანონიერი ძალა მიიღოსო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო ივანე, ჩვენ იქ მარტო იმიტომ ვიყავით მიწვეულნი, რომ ვალი გადაგვეხადნა და დაგვედგინა, რომ „ხალხი თანახმაა სახელმწიფო ხაზინის ზარალი დაჰფაროს და ვალი გადაიხადოს"; სხვა ჩვენ არა გვეკითხებოდა-რა; სხვა სუყველაფერი კარგად იყო, და უცვლელად და ხელშეუხებლად უნდა დარჩენილიყო. ჩვენგან ფულის მეტი არა უნდოდათ-რა.

ეს რომ წაიკითხა მდივანმა, ისევ მეფე წამოდგა და გვიბრძანა: სხვა მეფე თავის დღეში არავინ ყოფილა, რომ თავის ერის კეთილ-დღეობისათვის ჩემოდენი ეზრუნოს და ვინც თქვენგანი მხარს არ მომცემს, რომ ჩემი განძრახვა აღვასრულო, ის არც ფრანგი ყოფილა და არც ერთგული მამულის შვილიო.

მერე ისევ დაბრძანდა. ახლა სხვა მდივანი წამოდგა და წაგვიკითხა მართებლობის განძრახვა შესახებ ხარჯის მომატებისა და ხელახლად სახელმწიფო ვალის აღებისა.

პირველიდან მარტო ის გამომდინარეობდა, რომ ხალხს ხარჯს უმატებდნენ, თუმცა ამ ხარჯს ხარჯად კი არ იხსენიებდნენ, სახელს უცვლიდნენ. დიაღ, ბატონო ივანე! მეფესა სურდა სახელი გამოეცვალა: უწინ რომ აბაზობით და უზალ-

ფუნობით გვითვლიდნენ, ახლა მანეთობით დაგვითვლიან; უწინ რომ კარ-და-კარ დაიარებოდა ხარჯის ამკრეფი, ახლა თვით მამასახლისი მოაგროვებს ხარჯს და ხაზინაში წარადგენს. ხედავთ როგორა ზრუნავენ ხალხის კეთილ-დღეობისათვის! განა ეს ხალხის ტვირთის შემსუბუქება არ არის?!

„დიაღ, სხვა მეფე თავის დღეში არავინ ყოფილა, რომ თავის ერის კეთილ-დღეობისათვის ამოდენი ეზრუნოს!“

მეფეს ძალიან უნდოდა მწერლობის თავისუფლება, ოღონდ ცუდი მიმართულების გაზეთები და წიგნები კი არ დაბეჭდილიყო.

მეფეს ძალიან უნდოდა საერო კრების თანხმობა ახალი ვალების ასაღებად; ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ომი ატყდებოდა, მეფეს ნებავდა საერო კრების თანხმობა ჰქონოდა ვალად ასი მილიონის აღებისა, საქმის დასაწყისად, „რადგან ჩვენი კეთილი მეფის ერთად-ერთი საზრუნავი ის არის, რომ საფრანგეთის ერის კეთილ-დღეობა თვით ერზედ იყოს დამოკიდებული და სხვა არავიზედ.“

მეფეს ძალიან უნდოდა ჩვენი თანხმობა გამოგვეცხადებინა აგრეთვე იმ მრავალ-გვარ უპირატესობის შესახებ, რომელიც თავადაზნაურთ და სასულიერო წოდებასა აქვთ და რომლითაც ჩვენდა საუბედუროდ ასე სამარცხვინოდ სარგებლობენ.

ერთის სიტყვით, ერთი უბოლოვო, დაუსრულებელი რაღაცა წაგვიკითხეს, რომელშიაც დომხალივით იყო არეული მთელი ქვეყნის საგნები და აზრები; წაგვიკითხეს და გვითხრეს: აბა, თქვენი აზრიც გაგვიზიარეთ, თუმცა ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ რაც უნდა სთქვათ, მეფე, თუ თქვენი არ მოიწონა, თავის სურვილისამებრ მოიქცევა და რასაც მოისურვებს იმას იზამსო. თქვენ მარტო ფული უნდა გამოძებნოთ და ვალი გადაიხადოთ... ამაში უპირატესობას არავინ შეგეცილებათ, რადგან ფულის გაღება თქვენს უპირატესობას შეადგენსო!

ბოლოს ერთხელ კიდევ აბრძანდა მისი დიდებულება და გვიბრძანა:

— „ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ არც ერთი თქვენი დადგენილება, არც ერთი თქვენი განაჩენი არ იქმნება კანონიერად აღიარებული, ვიდრე მე ხელს არ მოვაწერ. ჩემი ერთგული ერის ბედ-იღბალი მარტო ჩემს ხელთ არის და თქვენი საქციელის ბუნებრივი პასუხის მგებელიც მარტო მე ვარ. იქნება სხვაგან ვეღარც კი შეხვდეთ სადმე იმ იშვიათ მოვლენას, რომ თვით მეფე ემუდარებოდეს თავის ქვეშევრდომთ—აბა შეთანხმდით და ჩემი უხვი წყალობით ისარგებლეთო.

მე გიბრძანებთ, ბატონებო, ეხლავ დაუყოვნებლივ დაიშალნეთ და ხვალ დილით კვლავ შეიყარნეთ სამს კრებად, ცალ-ცალკე, სამივე წოდება თავთავიანთ დარბაზებში და განაგრძოთ თქვენი საქმენი".

როგორც ხედავთ, ბატონო ივანე, აღარას დაგვერიდნენ და პირდაპირ გვითხრეს, თქვენგან ფულის მეტი არა გვინდარაო. პარიზის პარლამენტს რომ არ გამოეცხადებინა, საუკუნეთა განმაელობაში რაც მართებლობამ ხალხს ხარჯი გადაახდევინა, სულ უკანონოდ გადაახდევინაო, მეფეს აზრადაც არ მოუვიდოდა საერო კრების მოწოდება. საერო კრება მოიწოდა—და დახე უბედურებას!—საერო კრება უფრო ჯიუტი და მავნე გამოდგა, ვიდრე პარლამენტი იყო. რა ქნან? ისე გვიტევენ და გვიბრძანებენ, თითქო ამათი ლაქიები ვიყვნეთ. „მე გიბრძანებთ, ბატონებო, ეხლავ დაუყოვნებლივ დაიშალნეთ!..."

თავად-აზნაურნი და ეპისკოპოზნი იმისთანა გესლიანი დაცინვით გვიყურებდნენ, თითქო დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ წინაშე თავს დავხრიდით და შერცხვენილნი გაპარვას დავაპირებდით. მაგრამ ჩვენ მით უფრო ამაყად ვისხედით ჩვენს ალაგას და გაბრაზებით შევცქეროდით ჩვენს მოწინააღმდეგეთ.

მეფეს ამის მეტი აღარა უთქვამს-რა, ადგა და გაბრძანდა. თან გაჰყვა თავისი დიდებული ამალა, თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი, თითქმის ყველა ეპისკოპოსები და რამდენიმე მღვდელი. ყველანი დარბაზის უმთავრესი კარით გავიდნენ.

ჩვენ კი დარბაზის უკანა კარით უნდა გავსულიყავით—აბა რა ღირსნი ვიყავით იქ გაგვევლო, სადაც თავად-აზნაურობამ გაიარა?!.. მაგრამ ადგილიდან არც ერთი არ დაძრულა. ვისხედით და გულში ბრაზს ვიგროვებდით.

ერთი თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მირაბო წამოდგა. ლომივით ამაყად აელო მაღლა თავისი უშველებელი თავი, ცოფმორეულს თვალთაგან ნაპერწკლები სცვივოდა და სთქვა:

— უნდა ალვიარო, ბატონებო, რომ რაც ეს არის ეხლა მოისმინეთ, გაჭირებულ სამშობლოს უებარ წამლად გამოადგებოდა, მტარვალთა შიში რომ არა გვქონდეს. მართლაცა და რა არის ეს ჩვენი სულთამხუთავი მართებლობა, თუ არ უსამძღვრო მტარვალობა? რა არის, რომ მთელს სამეფოში არავინ რად მიაჩნია და ყველას შემუსვრას და შეგინებასა ბედავს? რა არის, რომ ჯარზედ და იარაღზედ დამყარებული მთელი ერის წარმომადგენელთ ამისთანა თავვასულ ბრძანებას და შეურაცხებას გვიბედავს?...

გავშრით ყველანი, შიშით კანკალი დაგვაწყებინა. ყველანი ვხედავდით, რომ მირაბოს განწირული ჰქონდა თავი. თითონაც კარგად ხედავდა, რა განსაცდელში ჩავარდა, მაგრამ ბრაზისაგან თავი ეღარ შეეკავებინა და სახე-შეშლილი—მშვენიერი რამ იყო იმ წამს, თითქო თავს ნათელი ადგასო, რადგან ვინც თავის თავს გასწირავს და უსამართლოებას გაუმკლავდება, მშვენიერი კი არა, ქვეყნად იმაზედ უმშვენიერესი სხვა არა იქნება-რა!—ისე მკაფიოდ ამბობდა ყოველს სიტყვას, თითქო ბეჭედს ასვამსო:

— მერე ვინ არის ჩქვენი მბრძანებელი? ვინ გვიწერს ამისთანა სამარცხვინო კანონებს? **ის, ვინც ჩვენგან უნდა იყოს ამორჩეული! ის, ვინც ჩვენგან უნდა მიიღებდეს ბრძანებას, ბატონებო, რადგან მარტო ჩვენა ვართ ერის უწმინდესი, ყველასაგან ხელშეუხებელი ნდობით და უფლებით აღჭურვილი წარმომადგენელნი!** დიაღ, ჩვენგან, რადგან მარტო ჩვენგან მთელის 25 მილიონი ადამიანი შვებას და რაც უნდა სთქვან

და ჰქმნან სამშობლოს მტრებმა, ხალხს შვება უნდა მიეცეს და **მართლა ჩვენგან უნდა მიეცეს!**

ზარბაზნის ყუმბარასავით ხვდებოდა ყოველი სიტყვა დაფუტუროვებულ ტახტს, რომელზედაც განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი მეფე ბრძანდება!

„ვერა ხედავთ, რას ჩადიან? საერო კრების თავისუფლების შეზღუდვას გვიქადიან!—გრგვინავდა კვლავ მირაბო.—საერო კრებას გარს ჯარები შემოარტყეს! — ჯარები?! მერე ვის წინააღმდეგ? იქნება სამშობლოს მტრები ვგონივართ?! ბატონებო, არ დაივიწყოთ, რომ თქვენ ერისაგან მონიჭებული გაქვთ კანონმდებლობითი ძალა, რომლითაც საჭიროებისა-დაგვარად უნდა ისარგებლოთ, თუ მოწადინებული ბრძანდებით—არ უმტყუვნოთ თქვენს ღირსებას და არ უღალატოთ იმ წმინდა მოვალეობას, რომელიც ერმა მოგანდოთ. არ დაივიწყოთ თქვენი ფიცი, ბატონებო, და არ დაიშალნეთ, ვიდრე კონსტიტუცია არ შეადგინოთ.“

ვიდრე მირაბო თავის სიტყვას გაათავებდა, ცერემონიის გამგე, რომელიც მეფეს გაჰყვა, უკანვე შემობრუნებულიყო და ნელ-ნელ გვიახლოვდებოდა. გაათავა თუ არა მირაბომ, იმან რაღაცა სთქვა, სულ რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ისე ჩუმად, რომ ბევრმა ვერა გაიგო-რა და აქეთ-იქიდან გაბრაზებით ყვირილი დაუწყეს:

— მაღლა! არა ისმის-რა!

და იმანაც, როცა სიჩუმე ჩამოვარდა, მაღალი ხმით წარმოსთქვა:

— ბატონებო, მეფის ბრძანება ხომ გაიგონეთ?

მირაბო ჯერ ისევ ფეხზედ იდგა. ბრაზისა და ზიზღისაგან ტუჩები უთრთოდა.

— დიაღ, ბატონო,— მიუგო მირაბომ წყნარი კილოთი, სწორედ ისე, როგორც დიდებულს შეშვენის, როდესაც ზემოდან თავის შინა-ყმებს უბრძანებს რასმე,—დიაღ, ჩვენ მოვისმინეთ ყველაფერი, რაც კი მეფისთვის შთაუგონებიათ და, რადგან თქვენ არ შეგიძლიანთ საერო კრების წინაშე მეფის სა-

ხელით წარსდგეთ, რადგან თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ აქ იყოთ და ლაპარაკობდეთ, მეფის სიტყვას თქვენ არ უნდა მოგვაგონებდეთ“.

მერმე წელში გასწორდა, თავით ფეხამდე თვალი გადაავლო ცერემონიის გამგეს და განაგრძო:

— მაგრამ რათა გამოურკვეველი არა დარჩეს-რა და ტყუილად დრო არ დაიკარგოს, ამით გიცხადებთ, რომ თუ ჩვენი განდევნა თქვენ დაგავალეს, ჯარი უნდა მოიშველიოთ, თორემ ჩვენ აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით, ვიდრე ჩვენზედ ძალას და იარაღს არ იხმარებთ!“

ისე წამოდგა მთელი კრება, თითქო ერთი კაციაო და ერთ ხმივ შესძახა:

— დიაღ! დიაღ! ჩვენ არსად წავალთ!

საშინელი ხმაურობა ატყდა.

ცოტა ხანს უკან, როცა კრება დაწყნარდა, ჩვენმა თავმჯდომარემ მიმართა ცერემონიის გამგეს:

— გუშინ კრებამ დაადგინა, მეფის თანადასწრებითი კრება რომ გათავდებოდა, არ დაშლილიყო და თავის საქმეთა განსჯას შესდგომოდა. მე არ შემიძლიან კრება დავშალო, ვიდრე ამას თვით კრება არ დაადგენს და ამის დასადგენად საჭიროა კრებას სრული თავისუფლებით შეეძლოს სჯა და ბაასი“.

— შემიძლიან, ბატონო ეგ პასუხი მეფეს მოვახსენო?

— დიაღ, ბატონო! მიუგო თავმჯდომრემ.

ცერემონიის გამგე გავიდა. მართალი უნდა მოგახსენოთ, ბატონო ივანე, დიდ შიშში ვიყავით ყველანი, გვეგონა კინწიკვრით დაგვირეკავენო. მაგრამ ორი საათი რომ შესრულდა, ჩვენი განმდევნელი ჯარის მაგივრად, დარბაზში დურგლები შემოვიდნენ და თითქო იქ არავინ არის, თითქო ჩვენ ვერცკი გვხედავენო, დაუწყეს ნგრევა იმ ბალკონებს, რომელიც მეფის მობრძანებისათვის დაემზადებინათ. ესეც დედოფლისა და თავადი არტუას ეშმაკობა იყო: ჯარის გამოგზავნა რომ ვერ გაბედეს, დურგლები შემოგვისიეს და საშინელი ხმაურობა აგვიტეხეს,

ამითი მაინც დავუშალოთო. ამაზე უსამაგლესი განა-ლა იქნება რამე?!

ხომ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ იმ ხმაურობას არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდით და ჩვენს ბაასს განვაგრძობდით. ისინი ჩაქუჩს და ხელეჩოებს არაკუნებდნენ, ჩვენ ჩვენსას ვამბობდით; იმისთანა მშვიდად და აუღელვებლივ ვიყავით ყველანი, რომ თვით დურგლებმაც გაიკვირვეს, ცოტა ხანს უკან მუშაობას თავი დაანებეს, გარს შემოგვეხვივნენ და სმენად გადაიქცნენ. თავად არტუას რომ ენახა, რა გულმოდგინეთ ისმენდნენ ჩვენს სიტყვებს დურგლები, რა ტაშით აჯილდოებდნენ მოლაპარაკეს, როცა იგი ვაჟ-კაცურად გვიწვევდა დიდებულთაგან ფეხ-ქვეშ გათელილი სიმართლის აღსადგენად, დარწმუნდებოდა, რომ ხალხი ისე უცოდინარი არა ყოფილა, როგორც ბევრსა ჰგონია.

ილაპარაკეს კამუსმა, ბარნავმა, სიესმა. სიესმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— ყურადღებასაც ნურას მიაქცევთ: თქვენ დღესაც იგივე ხართ, რაც გუშინ იყავით!

ხმები შეკრიბეს და აღმოჩნდა, რომ **„საერო კრებამ ერთხმივ დაადგინა აქამდე დადგენილი განაჩენები სისრულეში მოიყვანოს“**. მაშინ კვლავ წამოდგა მირაბო. უკვე დამშვიდებულიყო და თუმცა იცოდა, რომ დღევანდელს განსაცდელს იქნება ვერც კი გადარჩენოდა, მაინც ძალიან მშვიდი კილოთი სთქვა:

— ბატონებო, დალოცვილ იყოს თავისუფლება, რომელმაც ჩვენს კრებაში დღევანდელისთანა ძლიერი ნაყოფი გამოიღო. ვეცადნეთ მჰიდრო საფუძველზედ დავამყაროთ ჩვენი საქმე — გამოვაცხადოთ, რომ საერო კრების წარმომადგენელი ყველასაგან ხელშეუხებელი უნდა იყოს. ეს შიში კი არ გახლავთ, მარტოდ-მარტო სიფთხილეა და დამეთანხმეთ, მარტო ამითი შეგვიძლიან ალვირი ამოვდოთ იმ უსირცხვ მრჩეველთ, რომელნიც მეფეს გარს ახვევიან“.

ეს წინადადება მიღებულ იქმნა 493 ხმით 34 წინააღმდეგ. კრებამ შემდეგი განაჩენი მიიღო:

„საერო კრებამ დაადგინა, რომ ერის წარმომადგენელი ყველასაგან ხელშეუხებელ პირად არის აღიარებული; რომ ყოველი კერძო პირი, საზოგადოება, ან სასამართლო, რომელიც გაბედავს და სდევნის, დააპატიმრებს, დააპატიმრებინებს, ან დაამწყვდევს დეპუტატს კრებაზედ წარმოთქმული რაიმე აზრის, წინადადების, მოხსენების ან სიტყვისა გამო, როგორადაც ყოველი პირი, რომლის დახმარებით დეპუტატის ხელშეუხებლობა შებღალულ იქმნება, აღიარებულ იქნება ერის მტრად და მოღალატედ და დასჯილი იქნება ერისადმი ღალატის-და კვალად. საერო კრებამ დაადგინა, რომ ამგვარ შემთხვევაში იგი ყოველ გვარ ღონისძიებას იხმარს, რათა იპოვნოს და ღირსეულად დასაჯოს ყოველი დამნაშავე ან დამნაშავის დამრიგებელი“.

ამის შემდეგ კრება დაიშალა საღამოს ექვს საათზედ.

ახლა კი შიში აღარა ჰქონდა მირაბოს და არც ჩვენ. თუ მეფეები ყველასაგან ხელშეუხებლად ირიცხებიან, ეგ იმიტომ არის, რომ თითონვე დაუდვიათ კანონად, როგორც ჩვენ მოვიქეცით, და კანონებში ჩაუწერიათ. გული ერთობ დამშვიდებული აქვს კაცს, როდესაც იცის, რომ ვერავინ რას გაუბედავს. რომ გაბედონ და შეეხონ ვისმე ჩვენგანს, ერთი ბეწვი რომ ამოჰგლიჯონ თავიდან, მთელ საფრანგეთს ვაცნობებთ და ფეხზედ წამოვაყენებთ. თუ მართალი გნებავთ, ჩვენ სწორედ ამ დადგენილებით უნდა დაგვეწყო, მაგრამ რას იზამთ, რომ კარგი აზრები ერთად არ მოუვლენ კაცსა.

მგონი მმართებლობამ კარგი ქნა, რომ მეტი არა გვიმუხთლა-რა, თორემ 23-ს მთელი დღე ხალხით სავსე იყო ვერსალის ქუჩები და შემსვლელ-გამსვლელნი დაწვრილებით უზიდავდნენ ხალხს ჩვენს ამბებს. ხალხმა ყველაფერი იცოდა, რაც კი საერო კრებაზედ ხდებოდა; თითქმის ყოველ 15 წუთში კრების ამბავი მისდიოდა; ჩვენს გასარეკად რომ ჯარი გამოეგზავნათ, იმოდენა ხალხი და მასთან მთელი ერი ჩვენკენ იქმნებოდა.

იმავე დროს ხმა გავარდა ნეკკერი დაუთხოვნიათ და მის ალაგას თავადი არტუა დაუნიშნავთო. გამოაცხადა თუ არა თავმჯდომარემ კრების დახურვა, იგრიალა იმოდენა ხალხმა და

სასახლისაკენ გაეშურა. მეფის მცველ ჯარს ბრძანება მისცეს— თოფები ესროლეთო, მაგრამ ჯარის კაცთ ეს ვერ გაბედეს და ხალხი თავისუფლად შევიდა ნეკკერის სახლამდე და მარტო მაშინ დათანხმდა დაშლილიყო, როდესაც თვით ნეკკერისაგან გაიგო და დარწმუნდა, რომ ეს ხმები უსაფუძვლო ჭორები იყო.

პარიზში ხომ უფრო აღშფოთებული იყო ხალხი. მე მითხრეს: როდესაც ხმა გავარდა, რომ მეფემ გააუქმა საერო კრების დადგენილებანი, გვეგონა მიწას ცეცხლი ეკიდება და მხოლოდ ნიშანს-ღა ველოდით, რომ მართებლობისთვის იარაღით ხელში ბრძოლა აგვეტეხაო.

სწორედ ასეც იქნებოდა, რომ ჭკუაზედ არ მოსულიყვნენ, რადგან მიუხედავად დიდებულთა რჩევისა და დაქირავებულ გერმანულ და შვეიცარულ ჯარებისა, რომელნიც საფრანგეთის ყოველი კუთხიდან პარიზში შეაგროვეს; მიუხედავად ზარბაზნებისა, რომლებიც დედოფლის საჯინიბოში დაალაგეს, სწორედ საერო კრების დარბაზის პირდაპირ და ტუჩები ჩვენკენ გამოაშვერინეს — ეს ჩვენი ფანჯრებიდან მშვენივრადა ჩანდა; მიუხედავად იმისა, რომ თვით მეფემ გვიბრძანა სამ კრებად იყავით ცალ-ცალკეო; მეფემ თითონვე მისწერა ბრძანება თავად-აზნაურთა წარმომადგენელთ—ხალხის წარმომადგენელთ შეუერთდით საერო კრების დარბაზშიო და 30 თიბათვეს—მაშასადამე გუშინ ჩვენთან მობრძანდნენ **„ჩვენი ქვეყნის დიდებულ დამმარცხებელთა შთამომავალნი“** და გვერდთ მოგვისხდნენ ჩვენ **„მათ-მაერ დამარცხებულ-დამონავებულთა“** შთამომავალთ. ახლა კი აღარ იცინოდნენ, როგორც 23 დილით, როდესაც წვიმისაგან დასველებულნი შევედით საერო კრების დარბაზში და იმათ მასხარად აგვიგდეს.

აი, ჩემო ივანე, როგორ არის ჩვენი საქმეები: პირველ— შეტაკებაში გამარჯვებულნი ჩვენ დავრჩით! და ახლა კონსტიტუცია უნდა შევადგინოთ. დიდი და მძიმე საქმეა კონსტიტუციის შედგენა, მაგრამ დროსა და მეცადინეობას არ დავზოგავთ და ვეცდებით კარგად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა.

გარდა ამისა ხალხის საჭიროებათა აღმწერი რვეულები აქა გვაქვს და ისიც საკმარისი იქნება, თუ ამ რვეულებში გამოთქმული აზრებით ვიხელმძღვანელეთ.

კონსტიტუციას ხალხის სიკეთე უნდა ჰქონდეს საფუძვლად დადებული: გაუქმებულ უნდა იქმნას ყოველი უპირატესობა, რომლითაც აქამდე თავად-აზნაურნი ტყავს გვაძრობდნენ; გაუქმებულ უნდა იქმნას ყოველი საბაჟოები; სრული თანასწორობა უნდა იქმნას დამყარებული ხარჯის გაღებაში; სრულიად თანასწორნი უნდა ვიყვნეთ ყველანი კანონის წინაშე; შემოღებულ უნდა იქმნას პირადი ხელ-შეუხებლობა; ყველანი თანა-სწორად უნდა იქმნენ მიღებული სახელმწიფოსამსახურში; სასტიკად დაცული უნდა იქმნას საიდუმლო წერილისა; კანონ-მდებელობითი ძალით მხოლოდ ერის წარმომადგენელნი უნდა იყვნენ აღჭურვილნი; მართებლობის მოხელენი თავიანთ ნამოქმედარის პასუხის მგებელნი უნდა იყვნენ; კანონები, საზომი, სარწყავი და სასწორი ზომები ერთი და იგივე უნდა იყვნენ მთელს სამეფოში; სწავლა-განათლება და მართლმსაჯულება უსასყიდლო უნდა იყოს; მემკვიდრეობა თანასწორად უნდა იყოს განაწილებული შვილებ შორის. შემოღებულ უნდა იქმნას თავისუფლება ვაჭრობისა, მრეწველობისა და შრომისა. ერთი სიტყვით, ყველაფერი! ყველაფერი ნათლად უნდა იყოს განმარტული და რიგზედ დაწყობილი, ადვილად გასაგები ენით, რომ სულ უკანასკნელ გლეხ-კაცსაც კი შეეძლოს შეიგნოს თავისი უფლებანი და ვალდებულებანი.

მერწმუნეთ, ჩემო კეთილო მეგობარო, კაცობრიობას დიდი ხანი აღარ დაავიწყდება 1789 წელი.

დღეს ესეც კმარა. იქნება მოახერხოთ როგორმე და მანდაური ამბები შემატყობინოთ, რაც შეიძლება ადრე. ჩვენთვის ძალიან საჭიროა სოფლის ამბები. მიხოსა სთხოვეთ ჩემ მაგიერ, დღეში ერთი საათი შემომაწიოს, მუშაობის შემდეგ, და დაწვრილებით ამიწეროს ხოლმე სულ ყველაფერი, რაც კი ჩვენს სოფელში მოხდება ან მანდვე ახლო-მახლო სოფლებში; თვის გასულს მოაგროვოს თავისი ნაწერები და გამომიგზავნოს.

ამგვარად მე და თქვენ ყოველთვის ერთმანეთთან ვიქნებით, როგორც უწინ, და ერთმანეთთან განუწყვეტელი საუბარი გვექნება.

ყველას გაკოცებთ. მარგალიტამ სიყვარულით მოგიკითხათ და გთხოვათ არ დამივიწყოთო. თქვენ წერილამდის.

თქვენი ერთგული შოველი.

მანამ მე ამ წერილს ვკითხულობდი, ნათლია-ჩემი, მამა ქრისტეფორე და იმისი ძმა მატერნი განცვიფრებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. ამ რამდენიმე თვის წინად რომ გაებედნა ვისმე და მეფე-დედოფლის ან ეპისკოპოზთა შესახებ ამგვარი ეთქვა რამე, საუკუნოდ გამოასალმებდნენ თავის სამშობლოს. მაგრამ უცვალებელი არა ყოფილა-რა ამ წუთი-სოფელში და რაც გუშინ მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა, დღეს ყველასაგან აღიარებულ ჭეშმარიტებად ხდება.

გავათავე წერილი, მაგრამ მსმენელნი ისევ ისე განცვიფრებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს და ხმა ვერავის ამოეღო. ბოლოს მაინც ნათლია-ჩემმა დაარღვია სიჩუმე:

— რას იტყვი, მამაო ქრისტეფორე? როგორ მოგწონს ეს ამბები? ხედავ, რა დაურიდებლად იწერება ჩვენი შოველი!

— დიაღ, ძალიან დაურიდებლად იწერება, — უპასუხა მამა ქრისტეფორემ, და ეტყობა მესამე წოდებას დიდი ძალა და იმედი ჰქონია, რომ შოველი, ჩვენი ფთხილი შოველი, მაგისთანა წიგნსა გვწერს. მღვდლების შესახებ რასაც იწერება, სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენ ხალხის შვილნი ვართ და საცა ხალხი იქნება, ჩვენც იქ ვიქნებით, ჩვენ ხალხს ვერ ვუღალატებთ. იესო ქრისტე ღმერთი იყო და ისიც კი ფარეხში დაიბადა, თავისი დღენი ღარიბთათვის და ღარიბთა შორის გაატარა და ღარიბთათვის ჯვარცმულ იქმნა. განა რომ ის უნდა იყოს სამღვდელოების მაგალითი?

ჩვენი საჭიროებანი რომ ავწერეთ, — განაგრძო მ. ქრისტეფორემ, — ჩვენც, როგორც მესამე წოდებამ, ის სურვილი გამოვაცხადეთ, რომ საჭიროა კონსტიტუცია იქმნას შემოღებული, რომლითაც კანონმდებლობითი უფლებით ერის წარმომადგე-

ნელნი იქმნებიან ალჭურვილნი; კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი ვიქნებით; დამყარებული იქნება თავისუფლება ყოველი ჩვენგანისა; სასტიკად დასჯილი იქნება ყოველი დანაშაული მართებლობის მოხელისა და თვით სასულიერო პირისაც; პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება ყველასთვის სავალდებულო და ამასთან უსასყიდლო იქნება; მთელს სამეფოში ერთი და იგივე კანონები იქნება შემოღებული. აი საწყალი მღვდლების სათხოვარი. დიდებულ თავად-აზნაურთ სულ სხვა სათხოვარი შეიტანეს თავიანთ რვეულებით: ნება უბოძეთ ჩვენს მანდილოსნებს—საკუთრივ კეთილშობილთათვის მიღებული ლენტებით დაიმშვენონ ტანსაცმელი, რომ მით განირჩეოდნენ უბრალო დედაკაცთაგანაო! დიდებულ თავად-აზნაურთ ამას მეტი არა სდომებიათ-რა და ხომ იცით, ვისაც თავისი გაჭირება ვერ დაუნახავს, სხვისასაც ვერ დაინახავს. საკუთარი საქმეებისა რომ ვერა უზრუნიათ-რა, ხალხისთვის რა უნდა იზრუნონ? იმათ რვეულებში ხალხის ხსენებაც არსად არის, რადგან, იმათი აზრით, ხალხი ყმად არის გაჩენილი და ყმას ხომ არც რამე უფლება აქვს; ხალხს მარტო იმ შემთხვევაში ახსენებენ, როდესაც ხარჯის გადახდაზედ არის ბაასი. ჩვენი ეპისკოპოზებიც—თითქმის ყველანი დიდებულ თავად-აზნაურთა შვილები—ასევე უყურებენ საწყალ ხალხს და ხალხისკენ მარტო ჩვენა ვართ, ხალხის შვილი მღვდლები. დღეს, მაშასადამე, სამად კი არა, ორ ნაწილად არის გაყოფილი საფრანგეთის ერი: არისტოკრატია და ხალხი ესე იგი თავად-აზნაურნი და უმაღლესი სასულიერო წოდება ერთ მხრივ და ხალხი და საწყალი მღვდლები მეორე მხრივ.

შოველი ყველაფერს მართალს ამბობს, მაგრამ ძალიან თავისუფლად ლაპარაკობს მეფე-დედოფალზედ და მეფის სახლობაზედ. დიდი, წმინდა რამ არის მეფე და მეფობა და სწორედ აქა ჩანს, რომ შოველი კალვინისტია, რომელსაც ჰგონია, ახლა კი ხელთ ვიგდე იმ მეფეთა შთამომავალი, რომელთაც ჩემი წინა-პარნი აწამესო. ნუ წარმოიდგენთ, ბატონო ივანე, რომ შარლ მეცხრე, ლუი მეთოთხმეტე და თვით ლუი მეთხუთმეტე ისეთ სასტიკ დევნას დაუწყებდნენ კალვინისტებს მარტოდ-მარტო სარწმუნოებისა გამო! არა, მეფეებმა ხალხში გაავრცელეს ეს ხმა, რაკი იცოდნენ, რომ ხალხის მიმხრობა კალვინისტების წინაალმდეგ მხოლოდ სარწმუნოებით შეეძლოთ, რადგან ხალხს სხვაფრივ ვერაფრით გაიტაცებდნენ. დიაღ, ეგ

მარტო ხალხის მისამხრობად სთქვეს — სარწმუნოების მტერნი არიანო, თორემ სარწმუნოებისა გამო კი არა, კალვინისტებს იმიტომ სდევნიდნენ, რომ სარწმუნოებრივი ქადაგების საშუალებით ისინი ცდილობდნენ იმისთანავე რესპუბლიკა დაედგინათ, ჩვენში, როგორიც შვეიცარიაში არის. ქ. ლაროშელში დაედოთ ბუდე და იქიდან მთელს საფრანგეთში ავრცელებდნენ თავიანთ აზრებს თავისუფლების და თანსწორბოისას. ხალხი მეფეებს მიემხრო და დარწმუნებული იყო, სარწმუნოების მტრებსა ვჟლეტამო; ნამდვილად კი მტარვალთ შველოდა და თავისუფლების და თანასწორების წინასწარმეტყველთ ხოცავდა. ასე იყო, ჩემო ივანე. კალვინისტები სარწმუნოების მტრები კი არა, მეფეების მტრები იყვნენ, და შოველსაც კარგად ახსოვს ეს მტრობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ გულის სიღრმეში შოველსაც ეგევე წადილი აქვს დაფარული და კიდეც ეგ არის საშიში: მანდამდე სრულიად თანხმანი ვიქნებით შოველი და ჩვენ, და მანდ კი, მანდ ველარ მოვრიგდებით.

— მანდაც კარგად მოვრიგდებით, შეჰყვირა ნათლია-ჩემმა — არა რცხვენიათ, რომ ისე დაამცრეს ჩვენი წარმომადგენელნი! მთელი ხალხის წარმომადგენელნი! დაიცადონ! ამოდენა აღმართს დაღმართიც ექნებაო, ნათქვამია! ერთხელაც იქნება ძალა ჩვენკენ იქნება და მაშინ გვიფთხილდნენ!

— ეჰ, კარგი ერთი, ჩემო ივანე! უპასუხა მამა ქრისტეფორემ. რომ უწყოდნენ, რასაც სჩადიან, ხომ აღარც მაგრე სამარცხვინოდ მოიქცეოდნენ. ამპარტავნებამ დაღუპა თვით სატანა და უფსკრულში შთააგდო იგი. ამპარტავნება ისე დააბრმავებს ხოლმე კაცს, რომ თავის ცხვირს იქით ველარას ხედავს, და საცა უსამართლო და სამარცხვინო არის რამე, სწორედ იქით მიჰყავს უბედური! ჩვენს მეფეს და დიდებულთაც ამპარტავნება ღუპავს, თორემ... სწორედ დღევანდელ დღეზედ არის ნათქვამი — უკანანი წინა და წინანი უკანაო! მარტო ღმერთმა იცის, რითი გათავდება ეს ყველაფერი. ჩვენ ჩვენი ჯვარი კეთილსინიდისიერად ვზიდოთ, ძმანო, ამაზედ უკეთესი არა იქნება-რა.

ყველანი გაჩუმებულნი უსმენდნენ.

მამა ქრისტეფორე და იმისი ძმა დაფიქრებული გაემართნენ შინისკენ.

(დასასრული პირველი ნაწილისა)

# ვეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები

## XXXV *)

ავთანდილმა რა ტარიელის საშველად წასვლა დააპირა, სოგრატ ვეზირთან მივიდა და მისი მეოხება სთხოვა მეფისაგან წასვლის დასტური აეღო. ვეზირმა ჯერ დიდი უარი სთქვა, მაგრამ გმირმა ხვეწნით მაინც დაიყოლია. თავ-შენასხული კარის-კაცი გაბრიყვდა და მეფეს ეახლა ავთანდილის სათხოვარის მოსახსენებლად... და რაც ავთანდილის მოსარჩლეს მას კადნიერებისათვის მოუვიდა, მკითხველს, რასაკვირველია, ეხსომება, რადგან როსტევან მეფის განრისხების სცენა დაუვიწყარია.—«ვეზირი გაწბილებული მივა ბედითა შავითა» თავისს სახლში, სადაც ავთანდილი მის მოციქულობის პასუხს ელის, და მწარედ შესჩივის თავისს უბედურობას. სპასპეტმა, რა ნახა რომ ვეზირის მეოხებამ ვერ გასჭრა, გადასწყვიტა თავისი განზრახვა მეფისათვის «ერთხელ კვლავაცა მოეხსენებინა» და, თუ მეფე ნებით არ დაითხოვდა, გაპარულიყო. ეს არის, შემოკლებით, შინაარსი პოემის თავისა «დათხოვნა ავთანდილისაგან როსტევან მეფისა და ვეზირის საუბარი და ხვეწნა», რომელიც ესრე თავდება (გვ. 168):

764. მოიუბნეს, ვეზირმან ჰქმნა ჭამა-სმანი მათნი ფერნი,
უმასპინძლა, ძღვენი უძღვნა შვენიერსა შვენიერნი;
მისნი მყოლნი ავეავსნა მოყმენი, თუ უნდა ბერნი;
გაიყარნეს, ყმა წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი.

საქმეს რომ მორჩნენ, ვეზირმა და სპასპეტმა მოიუბნეს, სვეს და ჭამეს, მერმე მასპინძელმა სტუმარს ძღვენი უძღვნა, მისნი

*) „მოამბე," 1897 წ. № IV;

მხლებლნიც დაასაჩუქრა, ბოლოს გაიყარნენ და მოყმე შინ წავიდა. ამაზედ სრული, გადაწყვეტილი და უცილო დასასრული საქმის გარიგების და სტუმრობის ამბავისა, ვგონებ, ვერც კი მოხერხდებოდა. თითქო სათქმელი და საქნელი აღარა დარჩა, მაგრამ ვიღაც ყალბის-მქნელმა დასრულებულს ამბავს კუდი მაინც მიაბა (გვ. 169):

766. შესთვალა თუ: „რაცა გმართებს, ვით მოგცე და ვით გაქონო,
„ვალთა შენთა გარდსახდელი რა ნაცვალი მოგიგონო?
„თუღა დავრჩე შენთვის მოვკვდე, თავი ჩემი დაგამონო;
„სიყვარული სიყვარულსა შეგიცალო, შეგიწონო.“

767. მე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი!
კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყვისი;
ასრე უნდა სამსახური, გავიდოდეს ვისცა ვისი,—
ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

ავთანდილის შეთვლილობაში უწინარეს საოცარია მისი უდრო-ობა. ავთანდილისაგან მადლობის გადახდა ვეზირის დახმარებისათვის თვით ამ სამსახურს კი არ მოსდევს, არამედ ვეზირისაგან ძღვენის შეძღვნას: სოგრატი რომ თავის მოციქულობის ამბავს უამბობს, ავთანდილ ერთის სიტყვითაც არ უხსენებს მადლიერებას, თუმცა ვეზირი, ხუმრობით, ქრთამსა სთხოვს (ხანები 757—763); როდე-საც კი ავთანდილმა ძღვენი მიიღო და შინ წავიდა, მაშინღა ვეზირს მადლობას უთვლის. ამის გამო შესაძლებელია მკითხველს ეგონოს, რომ გარდაუხდელი «ვალი» ავთანდილისათვის სოგრატის მეფესთან მოციქულობა კი არ იყო, არამედ მისი საჩუქარი იყო. რასაკვირ-ველია, მკითხველმა თუ ავთანდილის ხასიათი იცის, გმირის ამისთანა დამამცირებელს ფიქრს როდი გაივლებს, მაგრამ მთხრობელის მოუხერხებლობამ მაგვარი ეჭვი მაინც რად უნდა დაჰბადოს?

ავთანდილის დაგვიანებულს მადლობას იქნება კიდევ რომელიმე საბაბი ჰქონოდა, თუ მე-765 ხანა ტექსტიდან არა ყოფილიყო გამოკლებული. ვახტანგ მეფის და ჩუბინაშვილის გამოცემულთ «ვეფხის-ტყაოსანში», ავთანდილიც, შინ რომ მივა, ვეზირს ძღვენს გაუგზავნის:

765. შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან,
სამასი თავი სტავრა-ატლასი უხვმან ნიადაგ მიუმცდარომან,

სამოცი თვალი, ლალ-იაგუნდი, ფერად არ მათმან საუაროხმან,
კაცი გაგზავნა ვეზირისასა, ესე ყველაი მისთვის არო მან.

ეს ხანა რომ ყოფილიყო, მეთქი, მაშინ ავთანდილს შემთხვევა ექნებოდა საჩუქრის გაგზავნისთანავე ვეზირისთვის მადლობა შეეთვალა. მაგრამ მე-765 ხანის სიყალბე მეტად აშკარაა და სურათებიან «ვეფხის-ტყაოსანის» რედაქციამ დიად სამართლიანად განდევნა ტექსტიდან ეს ტლანქი ოც-მარცვლიანი სიცრუე, ამიტომ თუ მე-765 ხანას რუსთველისეულად ვერ მივიჩნევთ, მე-766 ხანასაც არავითარი ყოფნის საბაბი (raison d'être) არ ექნება.

ესლანდელს ტექსტის მდომარეობაში, ავთანდილმა რომ ჯერ ილაპარაკა, ჭამა, სვა, საჩუქარი მიიღო და შინ წავიდა და მას შემდეგ ვეზირს მოციქულობისთვის მადლობა გადუხადა,—საკითხავია: აქამდის მადლობას რაღას აგვიანებდა? ნუ თუ მაგისათვის წასვლამდის ვერ მოიცალა? საქმეს რომ მორჩნენ და მერე «მოიუბნეს,— ნეტა, რას უბნობდნენ, თუ ავთანდილმა მადლობის თქმაც ვერ მოასწრო და მაშინღა მოაგონდა, შინ რომ წავიდა? მაგრამ, ვთქვათ, იმ არაბეთში, სადაც ავთანდილ და სოგრატ ცხოვრებდნენ, ისეთი ზდილობა იყო, რომ დავალებისთვის მადლობას იქვე, მის მიღების დროს და პირისპირ კი არ გადიხდიდნენ, არამედ ჯერ შინ წავიდოდნენ და მერმე შინიდან შეუთვლიდნენ. თუ მადლობის ასეთს ფორმას მაინცა და მაინც არ ვიუცხოვებთ, თითონ მადლობა იმდენად გადაჭარბებულია, რომ დავალების ღირსებას აღარ შეეფერება.

მე-766 ხანაში, ავთანდილ სოგრატის «ვალთა» იმდენად აზვიადებს, რომ გარდასახდელი ვითომც ვერა მოუგონებია და სამაგიეროდ სიყვარულისა, თავის დამონებას და მისთვის თავის-დადებას ჰპირდება. გმირის თავს-გამოდება იქამდის მიდის რომ უდიდესსა და უაღრესს გარდასახადს უქადის ვეზირს ვინემც ღმერთსა. მოიხსენიეთ ავთანდილის ლოცვა გაპარვის წინ (გვ. 179):

805. ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვლიდე:
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ლამით მავნე განმარიდე!
თუ ლა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევწირვიდე.

მგზავრობის დროს შეწევნისათვის, მტერთა ძლევისათვის, ზღვის ღელვისა და ღამით მავნეს განრიდებისათვის გმირი ღმერთს სამსახურსა და მსხვერპლის შეწირვას აღუთქვამს; ვეზირს კი მეფის წინაშე მეოხებისათვის—სიყვარულსა, თავის დამონებას და თავის დადებას! მერე რისთვის უძღვნის ავთანდილ ამოდენა მადლობას?—იმისთვის რომ ვეზირმა საქმე ვერ გაურიგა? ნეტა, მეფეს რომ სოგრატის მეოხება შეეწყნარა და ავთანდილისათვის წასვლის ნება მიეცა, მაშინ რითიღა გადუხდიდა სპასპეტი სამსახურსა? ან რად ქმნულება ესლა «ვალთა» სამაგიეროსი მოპოვება, როდესაც სოგრატის სამსახური წინადვე ღირსეულად დააფასა? მოყმე ვეზირს რომ შველას სთხოვდა მაშინვე ცხადად უთხრა (გვ. 163):

735..... მიაჯე ამოდ გაშვება და თავი გაიგმირეო,
ასი ათასი წითელი შენ ქრთამათ შეიწირეო.

ეს ქრთამი, რასაკვირველია, ვეზირს მაშინ ერგებოდა, თუ მეფე ავთანდილს «ამოდ გაუშვებდა», ესე იგი თუ ვეზირის თხოვნა გასჭრიდა—ესლა კი, როდესაც სოგრატმა ვერა უშველა-რა, როგორღა ჰპირდება ავთანდილ თავის დამონებას?! გამოდის, რომ ავთანდილ თავისს თავს «ასი ათას წითელზე» ნაკლებ აფასებს. აი სადამდის მიიყვანს კაცს უზომო სიტყვის გაზვიადება და გადაჭარბება,—«ესე გვარი დია მისკდეს სიტყვა-მცდარსა, ენა-მეტსა!»

მე-767 ხანა ვეზირის ქებაა და დიდება, რომელსაც ვითომ დასძენს თავის მხრით პოეტი ავთანდილის მადლობის შეთვლილობას.*) ჩემის აზრით ამ ქებაში ყველაზე გასაკვირალი ახირებული თავხედობაა ყალბის-მქნელისა, რომელიც ჰლამის ამისთანა აშკარა ტყუილით გაგვაბრიყვოს!... გადაიკითხეთ ვეზირის მოციქულობის სცენა, მისი კუდ-ამოძუებით წამოსვლა მეფის დარბაზით და მისი სინანული ჩადენილის კადნიერებისა (ხანები 746—760), დააკვირდით მისს საცოდავს მდგომარეობას, ყური დაუგდეთ პოეტის მოთხრობის კილოს,—და უთუოდ დარწმუნდებით, რომ ვეზირი სწორედ სასაცილოდ არის გამოყვანილი. მეფემ ძლივს მოუსმინა მოციქულობა,

*) ჩუბინაშვილის რედაქციით, ვეზირის ქებას ავთანდილ ამბობს, მაგრამ ეს ცხადი შეცდომაა. მაგ ფორმით ავთანდილ ვეზირს ქებას ვერ შეუთვლიდა, და ვის ეუბნება ვეზირის ქებას თითონ ხანიდან არა სჩანს.

თხოვნაც არ დააცალა, გაურისხდა, აგინა, აორია, მასხარად აიგდო, ქეციანს მადლისავით სკამი შემოსტყორცა,—და კიდაც მწიგნობარმა უნდა დაგვარწმუნოს, ვითომც ეს «კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყვისი?!...» ვეზირის დიპლომატობაზე პოეტი ღიმილით გვეუბნება: «შეისხასობს, კაის ქუშობს, ენა ასრე მოაყივნებს,»— მწიგნობარს კი ჰგონია, რომ «ასრე უნდა სამსახური გავიდოდეს ვისცა ვისი!» მეფისაგან გაგდებული ვეზირი ავთანდილს რომ შესჩივის: «ვაი, კარგი თავი უზრო დავკარგე, დავაშავეთა,»—ვითომც ამისთანა მოსარჩლეზე უნდა ითქვას: «ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო?!....» ვეზირი მეფის ტუქსვით იმდენად დაფეთიანებულია, რომ მეორე დღესაც, როდესაც როსტევანის წყრომა დასცხრა, მაინც ვერ გაუბედვია ავთანდილის გაპარვა მოახსენოს (ხანა 811, გვ. 182): «მე დარბაზს ვერ შევალ,—ამბობს სოკრატ,—მასხოვან დღენი წინანი; ვინცაღა ჰკადრებს, მან ჰკადროს, რაცა ვთქვი, მასცა ვინანო,»—მწიგნობარი კი ამისთანა მამაცობას გამტერებული შესცქერის და იძახის: «მე ვითა ვსთქვა უზრობა, სიკეთე და ქება მისიო!»

ცხადია, რომ მწიგნობარი ვერ მიმხვდარა ვეზირის მდგომარეობის კომიზმსა და რუსთაველის ჰუმორით სავსე კილო ვერ გაუგია, ამიტომ ნამდვილ სჯერა სოკრატის «უზრობა და სიკეთე» და მისი შესაფერი ქებაც ვერ მოუფიქრებია. არა, ათასწილ მართალი იყო რუსთაველი, რომ ავთანდილს მადლობის ერთი სიტყვაც არ ათქმევინა. თუმცა ვეზირი დაწვრილებით უამბობს გმირს რაც შეურაცყოფა მიაყენა მეფემ მისი გამოსარჩლებისათვის, ცდილობს შეაგონოს თუ რა ღვაწლი იკისრა მის გულისთვის, როგორ დააშავა თავს თავისის გამბედაობით, კინაღამ სოფელსაც არ გამოესალმა, სუმრობით ქრთამისაცა სთხოვს, რომ გმირის მადლობა გამოიწვიოს, და რათა უფრო დაუმტკიცოს თავისი სიყვარული და თავს-გამოდება, არწმუნებს, ვითომც «შენთვის სიკვდილი ლხინად მჩანს, ჭირნი არ გამტყუდებიანო»,—ყოველი მისი ცდა ამაო რჩება; ავთანდილი არაფრად აგდებს თავის მოსარჩლის თავს-გამოდებას, თითქო ვეზირი მისთვის არც კი გარჯილაო, და არამც თუ მადლობას არ უხდის, თანაგრძნობასაც არ აღირსებს იმ უბედურო-

ბისთვის, რომელიც მისი მიზეზით ჯეზირს თავს დაატყდა. ეგრეც უნდა ყოფილიყო, რადგან ავთანდილს კარგად ესმის ჯეზირის მამაკაცობის ღირსება, ხედავს მისს სულ-მოკლეობას; ამ შემთხვევაში მადლობის გადახდა გულწრფელი არ იქნებოდა და მხოლოდ დაცინვით თუ ითქმოდა.

რამდენად მე-766 და 767 ხანების აზრი და კილო ჯეზირის მოციქულობის ამბავს ეწინააღმდეგება, იმდენადვე მათი სტილი ეპიზოდის ენას არა ჰგავს. ამ ხანებსაც სჭირს ჩვეულებრივი ნაკლი აპოკრიფისა,—გაზვიადებული და ფუჭი სტილი. ჯეზირმა თუ ავთანდილ დაავალა, ქალი იმოდენაა, რომ მოკალეს ვერც კი მოუფიქრებია «რა ნაცვალი მოიგონოს.» ამ ქალის გაბერვას და გაზვიადებას ყალბის მქნელი ორს ლექსს მოანდომებს და მაინც ვერ მიმხვდარვართ, რაში მდგომარეობს მაგ ქალის მიუწდომელი ღირსება. ამ გვარისავეა სოკრატის ქება, რომელიც მელექსეს კითომც ვერ გამოუთქვამს და იმდენად გასცილდება კაცის ღონის-ძიებას. პლეონაზმებით ხომ ორივე ხანა აჭრელებულია: «ვით მოგცე და- და ვით გაქონო», «შენთვის მოვკვდე, თავი ჩემი დაგამონო», «შეგიცალო, შეგიწონო», «შესაფერი შესატყვისი».

## XXXVI

ავთანდილ რომ თავისს გაპარვის განზრახვას შერმადინს უცხადებს, სხვათა შორის, ეუბნება (გვ. 170—171):

769 ...... „როსტენ არ გამიშვა, არცა სიტყვა მომისმინა;
„მან არ იცის, რად ვინა და სულ-დგმულია ვისგან ვინა;
„უმისომცა ნუ ვცოცხალვარ, ნურცა გარე, ნურცა შინა!
„რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!

770. „თუმცა მისი არ გაწირვა ჩემგან მტკიცობს, არ სათუობს,
„ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს
„გული, მისი უნახავი, სტირს და სულ-ჰთქვამს, ვაებს, უობს,
„ლხინსა არ იახლებს, ჰკრთების, კუშტობს, ვაშობს, უშობს.

771. „სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
„პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,

„მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა,
„გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა".

პირველის წაკითხვითვე, მე-770 ხანა იზიდავს ჩვენს ყურადღებას თავისის უცნაურის ენით და ძალდატანებულის გრძნობებით: ვაებს, უობს, კაშობს, უშობს... გეთაყვათ, რა მოსდათ და რა ემართება საწყალს ავთანდილს, გაიფიქრებს მკითხველი. მაგრამ ამ აჭრელებულს ლექსებს თუ ახლო დავაკვირდით და მისი ვაი-ვაგლახი თუ გავჩხრიკეთ,—ვაი თქვენს მტერს,—რაც აზრის ფუჭობასა და სიტყვის უგვანობას წავაწყდებით!

მე-769 ხანაში ავთანდილ ცხადად ეუბნება შერმადინს, რომ მისის წასვლის მიზეზი ტარიელის სიყვარულია და მეგობრობა, მე-771 ხანაში იგივე აზრია გამოთქმული, ხოლო საერთოდ, ზნეობითი—სწავლად; ასე რომ ერთის ხნით ვცნობთ გმირის გრძნობას და მეორით—მისს აზრს მეგობრის მოვალეობაზე და ეს აზრი ასაბუთებს და ამკვიდრებს გმირის გრძნობას გონებითს ნიადაგზე. ამ წინადადებასა და საბუთს შუა ჩართული მე-770 ხანა რაღას აკეთებს და რას გვაუწყებს?

რამდენიც უნდა გამოვიძიოთ, მე-770 ხანის მრავალ-მეტყველობიდან მხოლოდ ერთს აზრს გამოვიკვლევთ, იმას რომ ავთანდილ ტარიელის ერთგული მეგობარია და უმისოდ ვერ გაუძლია. თითონ აზრს არა უშავს-რა, მაგრამ ავთანდილის ნათქვამს აბა რას უმატებს? «მან (მეფემ) არ იცის, რად ვის და სულდგმულია ვისგან ვინა; უმისომცა ნუ ვცოცხალვარ, ნურცა გარე, ნურცა შინა»,—ამის მთქმელი რისთვის-ღა უნდა იმეორებდეს: ჩემს მოყვარეს ვერ გავწირავ და უმისოდ ვერ გავძლებო? განა პირველი მისი ნათქვამი ბნელი და მიუხდომელი რამ აზრი იყო? იტყვიან, ნათქვამის გამეორებას დამარწმუნებელი ძალა აქვსო. ეგ დიაღამც უგანასკნელი ღონის ძიებაა მოსაუბრის დასარწმუნებლად, თუ მთქმელს საბუთი შემოაკლდა; მაგრამ რა ძალიან უჭირს ავთანდილს თავისი ყმა დაარწმუნოს, უტარიელოდ ვერ გავძლებო? ძნელი დასაჯერებელია თუ? ან იქნება შერმადინმა უნდა «გაზრჭოს გული მისი ვით იწვის და ვით ენთების», შეიბრალოს თავისი ბატონი და წასვლის დასტური მისცეს?

თუცა მე-770 ხანის სიყალბე მის მეტობისა და გამოუდეგრობისაგან «მტკიცობს, არ საბუთობს»,—მისი სტილის სიდუხჭირე უკეთ გვიმტკიცებს, რომ რუსთაველის დაწერილი არ არის. მწიგნობარი ავთანდილს ათქმევინებს: «თუმცა მისი არ გაწირვა ჩემგან მტკიცობს, არ სათუობს», და ამ «ღრმა ქართულით» უნდა გვანიშნოს, რომ ავთანდილ ტარიელის გამწირველი არ არის. ვთქვათ ამასაც მივხვდით, მაგრამ ეს თუობითი წინადადება რომელს ფრაზას უნდა შევაუღლოთ? თუმცა მისი არ გაწირვა ჩემგან მტკიცობს, მაგრამ რაო?... გული, მისი უნახავი, სტირს და სხვა? უნდა დავიჯეროთ, რომ ეს რუსთაველის ქართულია!

ავთანდილმა შერმადინს რომ უთხრა, ჩემი მოყვრის გამწირველი არა ვარო, მასი ყმა, რასაკვირველია, მაგისთანა სიტყვას ბატონს არ დაუჯერებდა, ამიტომაც გმირი თავისს ნათქვამს მაშინვე ფიცით ამტკიცებს: «ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობსო». ოღონდაც, ყოვლი ცრუ აგრე ტყუილად ფიცულობს. რად უნდა ავთანდილს ტარიელის ერთგულობისთვის ფიცი, როდესაც მისი წასვლა მეგობრის საშველად ყველა ფიცზე უმტკიცესია? ან ისეთი არა-დასაჯერებელი რა წარმოსთქვა, რომ ფიცი დასჭირდა? რასაკვირველია, ფიცი აქ სრულებით მეტი იყო, მაგრამ რა ჰქნას მწიგნობარმა თუ მიბაძვა აიძულა?!... მე-769 ხანაში პოეტი ავთანდილს ათქმევინებს: «უმისოდ თუ ნუ ვცოცხალვარ,......—რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!» ამით ავთანდილ ამბობს, რომ ტარიელის გაწირვა, ჩემგან ისეთი უსამართლობა იქნება, რომელსაც ღმერთი არ შემარჩენსო. მწიგნობარმა კი ეს აზრი ავთანდილს ესრე ათქმევინა: თუ მე ტარიელის გამწირველი ვიყო,— ღმერთის მგმობელი და ცრუ ვყოფილვარო.

მკითხველს შეუმჩნეველი არ გადურჩებოდა მე-770 ხანის პირველს ორს ლექსში მწიგნობრული პლეონაზმა «მტკიცობს, არ საბუთობს» და «ცრუ ცრუობს»; მაგრამ ეგ კეთილის სტილის მაგალითადაც ჩაითვლება, თუ ორს უკანასკნელს ლექსს შევადარეთ: «გული, მისი უნახავი, სტირს და სულ-ჰთქვამს, ვაებს, უობს, ლხინსა არას არ ისლვებს, ჰკრთების, კუშტობს, ვაშობს, უშობს». გასაოცვიფრებელია მწიგნობარის მოთმინება და შრომა, ამდენი სინონიმი

რომ მოაგონდა და შეაგროვა! საუბედუროდ კი, ერთ-მნიშვნელობის სიტყვების აკინძვა ლექსში მაინც პოეზიად ვერ ჩაითვლება, რადგან სინამდვილესა და სიტურფეს მეტად დაშორებულია.

ნუ გგონიათ, რომ ეს ახირებული გროვა ზმნებისა მწიგნობარის მოგონილი სტილისტიური ფორმა იყოს,—ესეც რუსთაველის მიბაძვაა, რადგან ბევრგან ნახავდით, რომ პოეტს უყვარს ზმნეობის ხშირად ხმარება. ზმნების სიხშირე აუცილებელი თვისებაა რუსთაველის მჭიდრო სტილისა. ამ ღონისძიებით პოეტი თავისს ნახატს აცხოველებს, მოთხრობის მიმდინარეობას ასწრაფებს და გმირის სულის მდგომარეობის სხვა-და-სხვაობას ახასიათებს. თუ გახსოვთ საუცხოო სცენა, ზღვის პირს ფრიდონ რომ ტარიელს შემოეყარა, ამ ლექსსაც, ფრიდონზე ნათქვამს, მოიგონებთ: «მტერთა ექადდა, სწყრებოდა, იგინებოდა, სჩიოდა.» (ხანა 587, გვ. 129). რა ნამდვილად და ნათლად არის ნაჩვენები ამაყის და დამარცხებულის გმირის სულის ვითარება და ყოველი მისის გულის მოძრაობა! მტერთა ექადდაო,—რადგან შურის ძიებას ლამობდა; სწყრებოდა,—რადგან დამარცხებული იყო; იგინებოდა,—რადგან მტერი მუხთლად მოექცა; სჩიოდა,—რადგან უღონო და დაკოდილი იყო. ოთხი ზმნა არის და ყველას თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და არც ერთი მათგანი მეტი არ არის. თითო სიტყვა სხვა და სხვა გვარს გრძნობას მოასწავებს, რომელიც ერთს გულში მოთავსებულა და თითო თავისებურის ტკივილით ჰქვენის.

მწიგნობარის ჩხირკედელაობისაგან კი არა გამოდის-რა, იმის გარდა რომ ავთანდილ ტარიელის უნახაობით სწუხს. მისი მრავალსიტყვაობა მაინც ვერ ჰსახავს გმირის გრძნობის სხვა და სხვა ფერობას, გრძნობის თვისებას დაწვრილებით ვერ არკვევს და ვერ საზღვრავს. თუ გმირი თავის მეგობრის უნახაობით «სტირს და სულთქვამს», რას უმატებს მწუხარების ესრედ გამოხატვას სიტყვა «კაებს და უობს?» თუ გმირი ესეთს მწუხარებაშია, რაღა სათქმელია, რომ «ლხინსა არას არ იახლებს?» მწუხარების რომელს მხარესა ან თვისებას ახასიათებს სიტყვები: «ჰკრთების, კუშტობს, გაშობს, უშობს?» რა განსხვავებითი მნიშვნელობა აქვთ კაებს და უებსა, გაშობს და უშობსა? ზმნების სიმრავლე აქ ფსიხოლოგიური

ანალიზი კი არ არის, რუსთაველის ლექსში ზემოთ რომ ვნახეთ, არამედ უაზრო და უგვანო სიტყვების გროვა, რომელიც ზოგი-ერთის რუსულს ლაპარაკს მოგვაგონებს,—სახარ-მახარ, ჩაი-მაი და სხვა.

*

შერმადინმა რა შეიტყო, ავთანდილ გაპარვას აპირებსო,—«ცრემლი ცხელი თვალთა სდინდა» და თავისს ბატონს სთხოვს, სამსახურად თან წაიყვანოს, მაგრამ (გვ. 172...

776... ყმამან უთხრა: «ვერ წაგიტან, რაზომსაცა ცრემლსა ჰღვრიდი.

777. „შენგან ჩემი სიყვარული ვითომც არა დამეჯერა.
„მაგრამ საქმე არ მოხდების, ჟამი ასრე დამემტერა
„ვის მივანდო სახლი ჩემი, შეგან კი ვინც მეფესა?
„გული დასდევ, დაიჯერე, ვერ წაგიტან, ვერა, ვერა!

778. „თუ მიჯნური ვარ, ერთი ცხამ ხელი მინდორთა მე რებად,
„არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?!
„გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად!
„ასრეა ესე სოფელი, შეჯერდი კვლა შეჯერებად».

«შერმადინის საუბარი ავთანდილისაგან, ოდეს გაიპარა» მალიანა ჰგავს—შინაარსითა და ფორმითაც—მათსავე საუბარს, როდესაც სპასპეტი ვეფხის-ტყაოსანის საძებრად პირველად წავიდა (ხანა 150—163, გვ. 32—35). ეგრეც უნდა ყოფილიყო, რადგან ბატონს და ყმას ორსავე შემთხვევაში სასაუბრო საგანი ერთი აქვთ და მათი მდგომარეობა და ურთიერთობა მაშინ და ახლაც თითქმის ერთგვარია. პირველადაც შერმადინ სთხოვდა თავისს პატრონს: «სჯობს, ორნივე გავიპარნეთ, წამოგყვები, წამიტანეო» (ხანა 160, გვ. 34), მაგრამ

161. ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლა გითხრობ, არა ჭრე-
„რა მიჯნური ველთა ჰრბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად; [ლად,—
„მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო-უვაჭრელად,—
„კაცი ცრუ და მოღალატე ჰხამს ლახვრითა დასაჭრელად.“

ორის საუბარის შეფარდებით სჩანს, რომ მე-778 ხანა აზრით და ფორმით მე-161 ხანას უდრის; ორსავე საუბარში ამ ხანებს

ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს: ავთანდილ შერმადინს თან ვერ «წაიტანს», იმიტომ რომ მიჯნური მარტო უნდა ველთა რბოდეს. თუ მხოლოდ ამ მსგავსებას მივენდეთ და მივყვეთ, აუცილებლად უნდა დავასკვნათ, რომ თუ მე-161 ხანა რუსთაველის შეთხზულია, რაიცა უეჭველია, მე-778 ხანაც იმისივე იქნება. მაგრამ ასეთი აჩქარებული მსჯელობა შეცდომა იქნება.

მე ორჯელ მქონდა შემთხვევა*) მკითხველისათვის მეჩვენებინა, თუ რა მნიშვნელობისაა და როგორ უნდა გვესმოდეს რუსთაველის სიტყვა «გაჭრა» და «ველთა რბენა». როგორც ზემოთა ვთქვი, ეს სასოწარკვეთილობით გასულებულის მიჯნურის განდეგილობაა და მარტოობა, ხოლო ესეთი ყოფა განსაკუთრებით ტარიელს შეჰფერის და იმ დროს, როდესაც მიჯნურმა თავის სატრფოს მოპოვების იმედი დაჰკარგა. ვისაც უიმედობის გამო ტირილისა და ვაების მეტი აღარა დარჩომია და ჭმუნვის მიზეზი ვერავისთვის გაუნდვია, იმას კაცობრიობის სიახლოვეც არ იამება; რადგან თავის გულის-თქმას ვერავის გაუზიარებს, ნუგეშსაც ვერ ჰპოვებს. ამისთანა ყოფაში კაცს, რასაკვირველია, მარტოობა ურჩევნია. ამიტომაც ტარიელ «არას კაცსა არ იახლებს საუბრად და შემაქცევრად», «სევდად ეცემა კაცთა ნახვა» და «მინდორს იჭრება» იმ იმედით, რომ «ნუთუ მხეცთა სიახლემა უკუ-ჰყაროს გულსა ურვა.» ასმათ თუ ახლავს, «სულთადგმად და ჭირთა თმენად,» და იმიტომ რომ ტარიელისავით უიმედო მდგომარეობაშია. თუ ტარიელმა ავთანდილ შეითვისა, იმიტომ რომ თავის ტოლი და გულ-შემატკივარი მიჯნური იცნა, რომელსაც შეუძლიან მიენდოს და თავისი სულის ვითარება გაუზიაროს.

დიდი განსხვავებაა ტარიელისა და ავთანდილის მდგომარეობათა შორის, ამიტომ მის ვითარების დაგვარად ავთანდილს არ შეშვენის ტარიელის ყოფა-ქცევა, არც მისებური «ველთა რბენა» და არც «გაჭრა». მეტყვიან: მაშ რაღა ამბობსო მე-161 ხანაში ავთანდილ თავის თავზე: «რა მიჯნური ველთა ჰრბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად?»—დიაღაც ამბობს, მაგრამ იმასაც მიაქციეთ ყურადღება თუ რა განსაკუთრებული და თავისებური მნიშვნელობა

*) იხილე ამ წერილის მე-XXIV და XXXI თავი.

ემლევა მისს გაჭრასა და ველთა რბენას მეორე ლექსის დამატებით: «მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო-უვაჭრელად.» ეხლაც ავთანდილმა შერმადინს აუხსნა, რომ «მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა» უადრესი არის «გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა.» შემდეგაც, ავთანდილ რომ ტარიელისას მივა, ასმათს ეუბნება (გვ. 190):

849. .... „უმართლე ხარ, არ-მამართლო მდურვად მისად,
„მაგრა გაბჭევ, რა მიქნია სამსახური ტყვესა-ტყვისად:
„გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად,
„მას ვეძებ და მას ვიგონებ, ვიარები ველთა ვლისად."

ავთანდილის სიტყვებიდან ცხადად სჩანს, რომ «ველთა რბენა და გაჭრა» მას თავისთვის მიუჩნევია, ღვაწლად, «მარგალიტის» საფასედ, მოყვრის სამსახურად და შეწირვებად, რომლითაც ლხინი მოიმკის, და არა როგორც ტარიელს—უნაყოფო და უსარგებლო ტანჯვად. ამიტომაც, როდესაც პოეტი ავთანდილის «ველთა რბენასა და გაჭრასა» ახსენებს, მაშინვე ამ სიტყვებს თავისებურს ფერს მოჰფენს, რომელიც საკუთრივ ავთანდილის მხნესა და მოქმედებითის ხასიათს შეეფერება.

ვნახოთ ეხლა რამდენად ეთანხმება გმირის ხასიათს მე-778 ხანაში გამოხატული მისი «გაჭრა და ველთა რბენა.» მე-161 ხანაში ავთანდილი შერმადინს ეუბნება: «რა მიჯნური ველთა ჭრბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად,—მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო, უვაჭრელად», ესე იგი თუ მიჯნურსა ჰსურს სატრფოს სიყვარული დაიმსახუროს, მარტო უნდა იღვწოდეს, თორემ მისს ღვაწლს, თუ სხვას მეშველად მოიმხრობს, ფასი აღარ ექნებაო. ამაზედ ძლიერი და დამარწმუნებელი საბუთი შერმადინის არ-წაყვანისა, არა მგონია სხვა რამ მოიპოვებოდეს. ბატონი რომ თავის ყმას ეუბნებოდეს: ჩემს ღვაწლს სატრფოს თვალში ფასი მხოლოდ მაშინ დაედება, თუ მარტო მე ვიკისრებო, და თუ მოვიმხრე ვინმე მეშველად, ნარემ საქმეს ხელს ნუ მოვკიდებო!—ყმა როგორ-ღა აიხირებს: არა, მაინც გიშველიო?!. რასაკვირველია, ავთანდილისაგან მოყვანილი მიზეზის შემდეგ, შერმადინ თავის თხოვნის გამეო-

რებას ვეღარ გაუბედავდა, თუ არ უნდოდა, რომ სიბრიყვე და სისულელე დასწამებოდა.

მე-778 ხანაში კი ავთანდილ როგორ უშლის შერმადინს წამოსვლას?—«თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდორთა მე რებად» და მიჯნურობის წესის საბუთად ის მოჰყავს, რომ «არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?!.» ვერ წაგიყვან, რადგან მიჯნური ვარ და გაჭრილი მიჯნური მარტო უნდა ტიროდეს და იტანჯებოდესო. ასე რომ ავთანდილ თურმე არც ტარიელის საშველად მიდის, როგორც მეგობრობამ და პირობამ დაავალა, არც თინათინის სამსახურისათვის, არამედ «ცრემლისა სისხლისა ფერებად,» თითქო ტარიელისავით უიმედო მიჯნური იყოსო, რომელსაც ტირილის მეტი სხვა ილაჯი აღარა აქვს. აი პირველი სიცრუე, რომლის გამოც ავთანდილის წასვლის საგანი სულ სხვად გარდაიქცა და თვით მისი მდგომარეობა და ხასიათი შეიცვალა. ამ სიცრუეს საბუთიც ცრუ მოსდევს: საიდან მოიგონა ავთანდილმა ისეთი წესი, ვითომც «ცრემლისა სისხლისა ფერებად» მიჯნური უთუოდ მარტო უნდა გაიჭრეს? მისსავე «გაჭრილს» მეგობარს ტარიელს განა ასმათ არ ახლავს, რომელიც მასთან ერთად ცრემლსა ჰღვრის? შერმადინ ერთგული ყმა რით ვერ არის, ან რაში ჩამორჩება ასმათს, რომ თავისს პატრონს სატირლად თან არ გაჰყვეს? ტირილი არ იცის თუ?

«გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად!» დასძენს ავთანდილ ერთს საბუთსაც, და კვლავაც გვიმტკიცებს, რომ ტარიელის მეგობრობა, მისის «სიშორის ვერ მოთმენა», მის გულისათვის თვით სატროფოს დათმობა, მისთვის თავის გამოდება, «გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა», ყველა ესენი თურმე ტყუილი ყოფილა და ავთანდილს მაგეებისა არა ჰგამა, მას თურმე მხოლოდ გაჭრა ნდომებია და მისი დარდი მხოლოდ მიჯნურთა წესის ასრულება ყოფილა. რადგან მიჯნურის ხელობა გაჭრაა, ავთანდილიც იჭრება. ეს არის დასაბამი ყალბის მქნელის სიცრუვისა, მისის აზრით, მიჯნურის გაჭრის მიზეზი თვით მიჯნურობაა, მისი მიჯნური თავისს გულის-თქმას კი არა, მიჯნურობის წესსა და ხელობას მისდევს, და ამის გამო მისებური მიჯნურობა წესი-

სამებრ მიჯნურობაა, სიყვარულის კარიკატურა და პაროდია. სწორედ ესრე ესმოდა მიჯნურობა დონ-კისოტსაც, რომელიც ტობოზელის დულსინესათვის ცეცხლს იდებდა, სიყვარულის გამო კი არა, არამედ იმიტომ რომ სრულს რაინდსა ულმობელი სატრფო უნდა ჰყვანდესო. ყალბის-მქნელი თუმცა ბევრსა ცოდვილობს და ჭკუას ძალს ატანს,— რომ თავისი მოგონებული მიჯნურობა ავთანდილს გადაჰკიდოს, მაგრამ მისის სიცრუის სამხილებლად ერთი უბრალო მოსაზრებაც კმარა. თუ მართლა «გაჭრა ხელია მიჯნურთა,» ავთანდილ რატომ ხრსად არ იჭრებოდა, სანამ თინათინმა ვეფხის-ტყაოსნის საძებრად არ გაგზავნა, ან სანამ თითონ არ მოინდომა ტარიელის საშველად გაპარვა? ავთანდილზე არა ნაკლები მიჯნური ტარიელ, სანამ ნესტან-დარეჯან არ დაეკარგა, რად არ გაიჭრა და ველთა რად არ რბოდა?

თავის ნათქვამის დასამტკიცებლად ავთანდილს საბუთი მოჰყავს, ისეთივე ბრძნული როგორც თვით გაჭრის ხელობა არის: «ასრეა ესე სოფელი, შეჯერდი გვლა შეჯერებად.» გაჭრა ხელია მიჯნურთა, რადაო? ჭ სოფელი ასრეაო!.. სწორედ ჭკუა-მოკლე კაცის პასუხია, რომელიც ფავის ჟინისა ან ინსტინქტისამებრ ცხოვრებს და როდესაც თავის საქციელის მაზეზს სხვას ვერ აუხსნის,—რა ვქნა? ესეთი ხასიათი მაქვსო,—იძახის. ავთანდილიც ესრე არწმუნებს შერმადინს: ვერ წავიყვან, რადგან მიჯნური ვარ; მიჯნური კი მარტო უნდა იჭრებოდეს; მიჯნური მარტო იმიტომ უნდა იჭრებოდეს, რომ მარტო უნდა ტიროდესო; მიჯნური თუ იჭრება, ეგ იმიტომ რომ გაჭრა მიჯნურის ხელობაა; და გაჭრა მიჯნურის ხელობა იმიტომ არის, რომ ეს სოფელი ესრე არისო.—დამიჯერე, სოფელი ესრეაო,—აი ყალბის-მქნელის უზენაესი და უკიდურესი საბუთი! რამდენადა ჰგავს ეს გონება-ჩლუნგი საბუთი ავთანდილის საბუთს, მე-161 ხანაში მოყვანილსა, ამას, ვგონებ, გამეორება აღარ უნდა.

მაგრამ ყალბის-მქნელის ფუჭი მსჯელობის სამხილებლად შორს წასვლაც საჭირო არ არის. მე-777 ხანაში ავთანდილ შერმადინს ეუბნება: «შენგან ჩემი სიყვარული კითამც არა დამეჯერა, მაგრა საქმე არ მოხდების, ჟამი ასრე დამემტერა!» ცხადია, რომ გმირი თავისს ყმას წაიყვანდა, ჟამი რომ არ დამტერებოდა, და ამ ჟამის დამტერებას, დამაბრკოლებელს გარემოებას ბატონი ესრე უხსნის: «ვის

მივანდო სახლი ჩემა, შენგან კიდე ვინც მეფესა?» მაშასადამე, ავთანდილს რომ სხვა ვინმე სანდო კაცი ჰყოლოდა, ვისთვისაც თავისი სახლი მიებარებინა, შერმადინს წაყვანის უარს არ ეტყოდა. ამას იქით ავთანდილ თუ შერმადინს ეტყვის: ვერ წაგიყვან, იმიტომ რომ მიჯნური ვარ და მიჯნური მარტო ჰხამს გაჭრილიო,—ეს იმასა ნიშნავს, რომ ავთანდილს სხვისთვისაც რომ ჩაებარებინა თავისი სახლი, მაშინაც შერმადინს ვერ წაიყვანდა. მაშ თუ შერმადინის დატოვების მიზეზი სხვა სანდო კაცის უქონლობა არ არის, არამედ მიჯნურთა გაჭრის წესია,—რისთვის-ღა ეუბნებოდა ავთანდილ თავისს ყმას იმ პირველ საბუთს, თუ მეორე საბუთის თქმით პირველის ძალას გააუქმებდა? ბარემ პირდაპირ მეორე უძლიერესი საბუთი ეთქვა და გაეთავებინა!

*

შერმადინის გამოთხოვების საუბარს ავთანდილ ესრე ათავებს (გვ. 172):

779. რა მოგშორდე, მახსენებდი, სიყვარული ჩემი გქონდეს;
არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს;
ჰხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს,—
მძულს, რა კაცსა სააუგო საქმე არა არ შესწონდეს.

780. მე იგი ვარ, ვინ სოფელსა აოა მოვკრეფ კიტრსა ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად:
ჩემსა მზესა დავეთხოვე, გავუშვივარ, დავდეგ მე რად!
მაშ თუ დავთმობ სახლსა ჩემსა, ველარ დავთმობ ვისსა ვერად?!

781. აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტენს წინა დაწერილსა,
შენ შეგვედრებ, დაგიჭიროს, ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა;
მოვკვდე, თავსა ნუ მოიკლავ, სატინისგან ნუ იქმ ქმნილსა,
ამას ზედა იტირებდი, დაიდებდი თვალთა მილსა.

ამ სანებთაგან შუათანა მე ყალბად მიმაჩნია, მაგრამ სანამ ჩემის აზრის დასაბუთებას შევუდგებოდე, გადავათვალიეროთ თავიდან ბოლომდის ავთანდილის საუბარი.

ავთანდილ, სანამ სასაუბრო საგანს შეეხებოდეს, შერმადინს ანიშნებს, რომ საგანგებო რამ უნდა აცნობოს, რომელიც პატრონისა და ყმის გულს განსიკუთრებითა ჰხვდება, და ესრედ მიიწვევს

შერმადინის გულის-ყურსა (ს. 768); მას შემდეგ აცნობებს, რომ მეფემ წასვლად არ გაუშვა, ხოლო არ-წასვლა კი მისთვის ყოვლად შეუძლებელია (ს. 769), და გაუზიარებს თავის აზრს «მოყვრობის» მოვალეობაზე, რომელიც იძულებულ ჰყოფს მეფის ბძანებას გადავიდეს (ს. 771). ამ საბუთით სრულიად ცხადდება ავთანდილის წასვლის აუცილებლობა და ამაზედ მეტი სათქმელი არაღა არის-რა, ამიტომაც დასძენს გმირი: «რაღღა ვაგრძელებ სიტყვასა, ჟამია შემოკლებისა, აწ გაპარვაა წამალი ამა გულისა ლხებისა» (ს. 772). ახლა, რა ავთანდილის წასვლა გადაწყვეტილი საქმეა, გმირი ასწავლის თავისს გაზრდილს ყმას მეფის სამსახურსა, აბარებს თავისს სახლსა, მსედრობას და თანამდებობას, და ჰპირდება სამსახური გადაუხადოს, როდესაც შემოიქცევა (ს.ს. 773 და 774). ამის გამგონი შერმადინ თავისს პატრონსა სთხოვს თან წაიყვანოს და იმსახუროს, რადგან თავისს პატრონს ჭირში მარტოდ ვერ დასტოვებს და უმისოდ ვერ გასძლებს (ს.ს. 775 და 776); მაგრამ გმირი ერთგულის ყმის თხოვნას თავაზიანად თავიდან იშორებს, და რადგან ყმისათვის ამ გვარის თქმა მაინც საწყენია, პატრონი გულს უდებს მით რომ მისი სამსახური სახლში უფრო უჭირს, სინემც მგზავრობაში (ს. 777). ავთანდილმა რა შერმადინს გადაჭრილი უარი უთხრა, გამოსასალმებლად სთხოვს არ დაივიწყოს და მისი სიყვარული ჰქონდეს, ანუგეშებს რომ მარტოობით მას არა დააკლდება, რადგან მტრისა არ ეშინიან თავის თავს მოიმსახურებს (ს. 779). ბოლოს, შერმადინ რომ გაამხნევოს, ჰპირდება მეფეს შეავედროს, რომ შესაფერად მოუპყრას; ხოლო თუ პატრონი მოუკვდეს, სთხოვს თავი არ მოიკლას და მოიტიროს (ს. 781).

ამ საუბრის კონსპექტიდან სჩანს ყველა ხანის დანიშნულობა და დედა-აზრი. ეს ხანები შინაარსით ერთმანეთს ისე გადაბმულნი და დაკავშირებულნი არიან, რომ ვერც ერთს მათგანს ვერ ვამოაკლებთ, რომ საუბრის მიმდინარეობა არ დაიშალოს, და მხოლოდ მე-770, 778 და 780 ხანების გამოკლება საუბარს არას დაუშავებს. ყოველ ხანას შეგვიძლიან მისი ყოფნის საბაბი მოვთხოვოთ: რად და რისთვის ხარ აქა? რამ წარმოგშობა და რას წარმოშობ? და თუ რომელმა ამის პასუხი ვერ მოგვცა, სრული სი-

მართლა გვექნება საუბრიდან განვდევნოთ, როგორც უქმი ყბედობა, ყალბი ხანა.

მე-780 ხანას რომ ამ საკითხავის პასუხი მოვთხოვოთ, ვერც ერთი მისი ლექსი გამოძიებას ვერ გაუძლებს და რუსთაველის ჩამომავლობას ვერ დაიმტკიცებს.

ავიღოთ პირველი ლექსი: «მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვკრეფ კიტრსა ზრად.» ამ მეტაფორით ავთანდილმა შერმადინს უნდა შეაგნებინოს, კითომც თავის მეგობრის შველას დაუყოვნებლივ ჭლამის, დროზედ უნდა მიეშველოს. მერე, რისთვის ეუბნება მაგას ავთანდილ თავისს ყმას? განა ყმამ ჯერ არ იცის პატრონის განზრახვა, ან იცის და უშლის—მოიცა, ჯერ ნუ წასვალო? ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ყმამ შეიტყო თავის პატრონის განაჩენი და არამც თუ წასვლას არ უშლის, პირიქით თან წაყოლებასაც სთხოვს. მაშ რაღას არწმუნებს ავთანდილ, უთუოდ დროზე უნდა წავიდეო, და რა საბაბი აქვს ავთანდილის ნათქვამს, რომ შესაფერის დროისა და შემთხვევის ხელიდან გაშვება ჩვეულებად არა მაქვსო? არაფერი.— ცარიელი ყბედობაა, რომელიც თავისის კილოთი უგემურს ტრაბახობას მოჰგავს,—ხედავ თუ, რა მარჯვე და ხერხიანი ბიჭი ვარო, კიტრს თუ მოვკრეფ ქორფასაო!

თვით ლექსის მეტაფორაც,—მებოსტნეებისა და ბაყლების დიალ მოსაწონი,—რუსთაველის გემოვნებისა არ არის. იმავე აზრს პოეტი სხვაგან აი რა მეტაფორით ჰმოსავს (გვ. 168):

> 761. ...აღარ წასვლა არ ეგების ჩემგან აროს;
> იადონი მაშინ მოჰკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭკნაროს,
> ჰხამს, უძებნოს ცვარი წყლისა, მისთვის თავი ყოვლგნით აროს;
> ვერ უპოვოს, რა ჰქნას, ანუ გული რითა დაიწყნაროს!

ძნელად დასაჯერებელია, რომ გაჭირებულის შველა, ესრედ ტურფად გამოსახული, იმავე ავტორმა შემდეგ ქორფა კიტრის მოკრეფას დაადაროს.

პირველის ლექსის ბაქიაობის კილოთივე ავთანდილ მეორე ლექსში იძახის: მე იგი ვარ, «ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.» ეს წამოძახილი ისევე უადგილოა და უმი-

ზეზო, როგორც პირველი ლექსი იყო, რადგან შერმადინს არავი-თარი ეჭვი არ გამოუთქვამს, რომ მისი პატრონი მეგობრისათვის თავის გასწირავად მზად არ იყოს. როდესაც შერმადინ ეხვეწება ავთანდილს, თან წამიყვანეო, და ეუბნება:

776. ვის ასმია მარტოსაგან ღარიბობა ეგზომ დიდი,
ვის ასმია პატრონისა პირსა შიგან ყმისა რიდი!
დაკარგულსა გიგონებდე, რა ვიქნები აქა ფლიდი?...

განა არ ესმის, რომ ავთანდილის წასვლა ტარიელის გულის-თვის თავის გაწირვაა და თავდადება? მაშ რამ ათქმევინა ავთანდილს, მოყვრისათვის სიკვდილი თამაშად მიჩანსო, თუ არ ბაქაობამ?! მაგრამ რაც უნდა უადგილო და უსაბაბო იყოს ეს ლექსი და რაც უნდა აშკარა იყოს მისი სიყალბე, ვიცი, ჩემს აზრს მაინც არ დაეთანხმებიან. აქ ერთს გარემოებას ვემთხვევით, რომლის აცილება ერთობ ძნელია—ცრუმორწმუნეობას.

ბევრს მოსწონს ეს ფრაზა—მე იგი ვარ, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად—და ამაში ეგულება უზენაესი, უმღიერესი და უტურფესი გამოსახვა მეგობრობისა, გულუხვის სიყვარულისა და ალტრუიზმისა. კაცს არამც თუ მო-ყვრისათვის სიკვდილი არ ეძნელება, მღერად და თამაშად მიაჩნია, ამაზედ მეტი სიყვარული და სიმამაცე რომელიღა იქნებაო?... ვინც ესეთის თავდადებისაგან განცვიფრებაშია, აბა როგორღა დამეთანხმება, რომ ეგ სიმსხო «მარგალიტი» პოემის ტექსტიდან ამოსაგდები იყოს?! ძნელი საქმეა, მით უმეტეს რომ ამ ყალბი საუნჯის დაჩე-მებისა და ტრივიალის მიზეზი თვით ჩვენს ხასიათშია. ტრაბა-ხობით გაბერილი ფრაზა ჩვენს ქარაფშუტობას ერთობ ეფერება და მოსწონს, და რადგან მაგ ფუჭს ფრაზას ჩვენის გენიოსის სახელი ჰფარავს, სახარების სიტყვად მივიჩნიეთ. არაფრად ჩაგდება სიცოცხლისა ჩამომავლობით მოგვდევს, სამკვიდროდ ჩვენ წინაპართ-გმირთა, რომელთაც მოყვასისა, სამშობლოს და რჯულისათვის სიკვდილი სასიქადულოდ მიაჩნდათ. ეს სამკვიდრო პრინციპი ეხლა უთაურს და დაუდევნელს თაობასა ჰხვდა, რომელსაც სიცოცხლის საგანი აღარა აქვს და მაშასადამე სიცოცხლის გამოყენება და ღირსება

არ იცის. ამიტომაც ვინც ადვილად და სუმრობით თავს გამოიმეტებს, ვინც-გინდა-ვისთვის და რაც-გინდა-რისთვის თავის თავს შეაკლავს, ჩვენ დიდი მამაცი გვგონია.

იმ ყალბი ლექსის მოტრფიალენი მის აზრს რომ დაჰკვირებოდნენ, ნახვიდნენ, რომ აზრი თავის-თავად უგუნურია და თავის თავისივე გამაუქმებელი: თუ მოყვრის გულისათვის სიკვდილი თამაში და მღერაა, მაშ რაღა ფასი დაედება მაგისთანა სიცოცხლის დათმობას? თავ-დადებას ფასი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ თითონ შემწირველს თავი თვისი რადმე უღირს, თუ არა და მსხვერპლი თავისს სანაცვალოს ღირსი არა ყოფილა და მაშასადამე უქმი და უვარგისია. როგორც თავის-შეწირვის გაზვიადება სულ-მოკლეობას მოასწავებს, ისე თავის სიცოცხლის არაფრად მიჩნევა ქარიანობასა და ბაქიაობას ნიშნავს. არც ერთი და არც მეორე უკიდურობა გმირს ავთანდილს არ შეეფერება.

პოემის მრავალ ადგილებიდან სჩანს ავთანდილის აზრი სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ. მის თვალში სიკვდილი არაოდეს არ არის «მღერა და თამაში», და ამ მე-780 ხანის გარდა, მთელს «ვეფხის-ტყაოსანში» ვერსად ვერ ჰპოვებთ, რომ ავთანდილს ამისთანა ქარიანი ფრაზა წარმოეთქოს, თუმცა თავდადების საქადებლად შემთხვევა ხშირად შეხვედრია. პირიქით, ავთანდილი ყოველთვის კრძალვით და უსუმრად იხსენიებს სიკვდილსა.

ვეფხის-ტყაოსნის საძებრად პირველად რომ მიდის, გმირი შერმადინს ეთხოვება (ს.ს. 156—163, გვ. 23—35) და არიგებს, როგორ უნდა მოიქცეს თუ პატრონი მოუკვდეს: «არ მოუბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე, მაშინღა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურველია....» «გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია...» «მეტად კარგად დამიურვე, სული ჩემი შეივედრე». ესეთი ზრუნვა თავის სულისათვის და თვით საუბრის კილო გვიმტკიცებს, რომ თუმცა გმირი თავის სატრფოს სამსახურისათვის სასიკვდილოდ მზად იყო, მაგრამ სიკვდილი მაინც «თამაშად და მღერად» არ მიაჩნდა. მერმე, თავისს ყმებს გამოსალმების წიგნში ავთანდილი სწერს (ს. 168, გვ. 37): «მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებთ, არ სიცილი.»—საკითხავია, კაცს თუ სიცოცხლის

გამოსალმება კადრილება, თავისს ყმებს რაღას ავალებს, თუ მოვკვდე, მომიგლოვეთო?.. ესლაც, ავთანდილ ტარიელის საშველად რომ მიდის და ვიდაც მწიგნობარი უშვერს ტრაბახობას რომ ათქმევინებს, ვითომც მოყვრისათვის სიკვდილი თამაშად და მღერად უჩნს, ესლაც ავთანდილ ეუბნება შერმადინს (ს. 781): თუ მოვკვდეო, «ამას ჩქედა იტირებდი, დაიდებდი თვალსა მილსა.» როგორ მოათავსოს თავისს გუნებაში ერთგულმა ყმამ ეს ურთიერთის წინააღმდეგი ბატონის ნაბძანები: მე სიკვდილი თამაშად მიჩანს, შენ კი, თუ მოვკვდე, იტირეო? ან ჩვენ, მის მსმენელთა, ამასთანა დისონანსის მოსმენამდის, «რად არ ყურნი შეგვეჭედნეს!....»

ხოლო უკეთესი გამომეტყველი ავთანდილის აზრისა სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ მისი ანდერძია მეფე როსტევანთან მოწერილი (ს. ს. 782—802, გვ. 174—178). ანდერძის სიტყვით, კაცის ყოველი საქმე, მისი სიცოცხლე და სიკვდილი ღვთის გარდუვალს განგებაზედა დამოკიდებული, და გულში ღრმად ჩასახული რწმუნება, რომ «არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა», გმირს მოაგონებინებს სიკვდილის სიახლოვესა და მის აუცილებლობას, მოამზადებინებს მამაცურად და შეუდრეკლად დაუხვდეს და კვლავ იზრუნოს თავის სულისათვის. სჩანს, ის სიკვდილი, რომელსაც გმირი თავის მოყვრის გულისათვის ნატრულობს, ადვილი და სახუმრო საქმე არ არის. სიკვდილის ხსენებისაგან გმირის გული სევდით განსჭვალულია და სიტყვა—ნაღვლიანი (გვ. 176):

794. ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი:
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

795. ...სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად.
მოვა შემყრელი ყოვლთათვის ერთგან დღისა და ღამისად!

ნუ თუ ეს ბინიანი ჭკუის მსჯელობა, ფილოსოფიური მოსაზრებანი კაცისა, რომელიც ცხოვრების ვითარებასა, მსოფლიო მოვლინებათა და სიკვდილს დაჰფიქრებია, იმ ბავშვურსა და მოუფიქრებელს შეუპოვრობას უნდა დაედაროს, რომელიც გაიძახის: «მე

იგი ვარ, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერა-დაო?» განა ესეთი სიცოცხლისა და სიკვდილის გაუგებლობა, ეს «ბედითი მღერა და კაცთა უმაწვილობა» და შემოყვანილი ბრძნული აზრი ერთი კაცის გულებაში დაიბადება და ერთი კაცის პირით წარმოითქმის?

თუ ავთანდილს მართლა მოყვრისათვის სიკვდილი თამაშად და მღერად უჩნდა, მაგისთანა თავსგამოდება ვისთვის უნდა გამოეცხადნა, თუ არ ტარიელისათვის? დიაღამც, გმირს არა ერთხელ აღუთქვამს თავის მეგობრისათვის სიყვარული, ერთგულობა, სამსახური, სიკვდილამდის სდება, შველა და მისთვის სიკვდილი, მაგრამ არასოდეს არ უთქვამს, რომ ეგ სიკვდილი მისთვის თამაში და მღერა იყოს. როდესაც ავთანდილ ნესტან-დარეჯანის საძებრად მიდის, თავისის მოსალოდნელს და შესაძლებელს სიკვდილზე ტარიელს ეუბნება (გვ. 207):

931. ამა დროსა გარდავცილდე, აქავ ქვაბსა არ მოვიდე,
სცან, ცოცხალი არ თურე ვარ, ულონიოდ მოვკვდე კიდე,
ეს ამისად ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ჰღვრიდე;
მაშინ გწადდეს, იხარებდი, გწადდეს, ჰმუნვა გაადიდე.

აქაც ისევე გონივრულად, მოკრძალებით და სიფთხილით უბნობს ავთანდილ თავისს სიკვდილზე, როგორც შერმადინსა და მეფე როსტევანს ელაპარაკებოდა: მეგობრის წინ, ვისის გულისთვის სიცოცხლე არა ჰშურს, თავისს მოსალოდნელს სიკვდილს თამაშად და მღერად კი არა ჰსახავს, არამედ არა-სასატრელს შემთხვევად, რადგან მისი საწადელი ტარიელის შველაა, ნესტან-დარეჯანის პოვნა, და არა მხოლოდ მისთვის სიკვდილი, რომლითაც თავისს მეგობარს ვერას უშველიდა.

ამიტომაც ავთანდილს სძულს უსარგებლო და ამაო სიკვდილი მოყვრისათვის, თვით ცოდვადაც მიაჩნია. მოყვარე მოყვრისათვის მაშინ უნდა მოკვდეს, როდესაც ყოველი ღონისძიება მის საშველად და სახსნელად უნაყოფო დარჩება და სიკვდილი უკანასკნელს ნუგეშად შეექმნება (გვ. 168):

761. ...იადონი მაშინ მოჰკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭკნაროს,
ჰხამს, უძებნოს ცვარი წყლისა, მისთვის თავი ყოვლგნით აროს;
ვერ უპოვოს, რა ჰქნას, ანუ გული რითა დაიწყნაროს!

ამავე აზრს ავთანდილ გაშმაგებულს ტარიელს ესრე ჩააგონებს (ს.ხ. 868 და 870, გვ. 194): «რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?.. ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სიკვდილსა მოიძულებ.» ავთანდილს ისიც არ მოსწონს, რომ მის გულისთვის მისი ყმა თავს იკლავდეს, და ამიტომ გამოსალმებისას შერმადინს ეუბნება (ს. 781): «მოვკვდე, თავსა ნუ მოიკლავ, სატანისგან ნუ იქმ ქმნილსა.»

მაგრამ რაც უნდა მხნე და გონიერი იყოს ავთანდილ, და რაც უნდა სძულდეს ამას სიკვდილი, ზოგჯერ ისეთს გაჭირებაში ვარდება, რომ მისთვისაც სიკვდილი სანატრელი ხდება. როდესაც გმირმა ნახა, რომ ვეფხის-ტყაოსნის ძებნაში თითქმის სამა წელიწადი ტყუილად მოსცდა და ამდენს ხანს თავისს სატრფოს ვერ ეახლა და სამსახური ვერ აუსრულა, დიაღამც სასოწარკვეთილებას თავს მისცემდა; საკვირველიც არ არის, თუ ამ ყოფაში ავთანდილ თავისს გუნებაში საყვარელს ეუბნება (ს. 181, გვ. 40): «საყვარელო, მოგშორდი, გული შენ დაგრჩა, ვთქვა ვისად! შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისად.» გვესმის აგრეთვე გმირის სიცოცხლის გამწარება და სიკვდილის ნატვრა, როდესაც სატრფო დასთმო, გამზრდელს-მეფეს გამოეპარა და, ტარიელის საშველად, «ვით ირემი ძებნად წყლისად» გამოჭრილი, თავისი მეგობარი ვერ ჰპოვა, თუმცა მან მოცდა აღუთქვა. არ გვეუცხოვება, თუ ესრედ გულ-მოკლულმა ავთანდილმა დაიძახოს (ს. 853, გვ. 191): «წავალ, ვძებნი, ანუ ვპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო!» ან კიდევ (ს.855)— «მოვკვდე, თავი არ მეწყალვის, ჩემი სისხლი ჩემსა ქედსა!« მაგრამ ეს სასოწარკვეთილის გოდება განა იმასა ნიშნავს, ვითომც ავთანდილს მოყვრისათვის სიკვდილი თამამად და მღერად მიაჩნია?...

ავთანდილ გონიერი და მხნე ჭაბუკია, პრაქტიკულის ჭკუისა, ამასთანავე ბედნიერი მიჯნურია, რომელსაც თავისი გულის-წადილი თუმცა ჯერ არ აუსრულებია, მაგრამ, იმედით აღფრთოვანებული, მომავალში სრულს სვიანობას მოელის, ამიტომ მოყმე სიცოცხლეს

ტრფიალება და სიკვდილი სძულს; სიკვდილს თუ როდისმე სიცოცხლეს ამჯობინებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც სიკვდილი სახელოვანია, და ეს სახელოვანი სიკვდილი სიცოცხლეს თუ სჯობს, მხოლოდ ნაძრახსა. მაგრამ სიცოცხლის ტრფიალი და სიკვდილის სიძულვილი გმირის სულმოკლეობისა და სიჯაბნისაგან როდი წარმოსდგება. ავთანდილს გული ღვთის სასოებით აღსავსე აქვს და არსება მისი—რელიგიური გრძნობით განსჭვალული, სწამს, რომ მისი სიცოცხლე და სიკვდილი ღვთის განგებაზეა დამოკიდებული და იმიტომ ძალ-გულოვანია და მამაცი, საშიშისა, განსაცდელისა და სიკვდილის არ ეშინიან. თავისს გულოვნობას ავთანდილ აი როგორ უხსნის მხდალს მოქარავნეებს, როდესაც მეკობრეთ შეებრძვის (გვ. 229):

1033. უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნეს ხმელთა სპანი,
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი,
ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი,—
ვინა იცის ესე ასრე, ჩემებრვეა გულოვანი.

ყოველი სიძნელე, წინააღმდეგობა, დაბრკოლება და ბრძოლა გმირს უფრო ამხნევებს და აგულოვნებს, რადგან იცის, რომ ძლევა მის მამაცობაზე ჰკიდია, მისი დარჩენა და არ დარჩენა კი ღვთის ხელშია. ამიტომაც, როდესაც ნესტან-დარეჯანის ტყვეობის ამბავს შეიტყობს, ფრიდონსა სწერს (295 გვ.):

1314. იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია;
მუნ მისვლა მიჩანს თამაშად, თუმცა გზა საომარია...

აი, თურმე, რა მიაჩნდა ავთანდილს თამაშად: «გზა საომარი», ბრძოლა და მოღვაწეობა! თორემ მოყვრისათვის სიკვდილზე უქმი უბედობა, მეტადრე თავის ყმის წინ, რის მაქნისია და «რა სასაუბრო პირია?» მეგობრისათვის თავდადებაზე წარამარად ლაპარაკი ავთანდილს ჩვეულებად არა აქვს, რადგან სიტყვის წამოთქმა და მისი საქმედ გარდაქცევა ავთანდილისათვის ერთია, ხოლო თავდადება ადვილი საქმე არ არის და მაშასადამე ამისი თქმაც ადვილი არ უნდა იყოს. სიტყვით სიცოცხლის გამომეტება მხოლოდ ქარიანს ტრაბახს ეადვილება, ან მოლიზღარს მლიქნელსა. სოკრატ ვეზირიც ეუბნება

ავთანდილს (ს. 745, გვ. 165): «ვიტყვი, მოვკვდე, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგხვდებისო», და კვლავაცა არწმუნებს, ვითომც (ს. 760, გვ. 168) «შენთვის სიკვდილი ლხინად მჩანს, ჭირნი არ გამცუდებია.» მაგრამ ამ მამაცურის სიტყვის ფასიც ხომ ვნახეთ, როდესაც გაგულისებულმა მეფემ ავთანდილის მოსარჩლე კუდ-ამოძუებული იფარინა!?

ავთანდილის აზრი სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ, მგონებ, იმდენად გარკვევითა და ნათლად ისახება პოემიდან ჩემ მიერ ამოკრებილს ლექსებით, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ აზრს მე-780 ხანის მოუფიქრებელი ფრაზა შეეთანხმოს. ამიტომაც დასაჯერებელი არ არის, რომ რუსთაველს თავის გმირისთვის ეთქმევინოს ორი ისეთი ურთიერთის შეუთვისებელი აზრი, რომელსაც ერთი კაცი გულწრფელად ვერ ადიარებდა.

ამ არსებითის და მთავარის განსხვავების გარდა მე-780 ხანის ლექსს ისეთი უცილობელი სიყალბის ნიშანი აზის, რომ კაცი მის ღირსებაზე ვერ შესცდება. ეს ლექსი ჩვეულებრივის მწიგნობრულის გემოვნებისამებრ შეთხზულია,—სიტყვის გადაჭარბებით. ყალბისმქნელს სწადდა გამოესახა ავთანდილის სიყვარული ტარიელისათვის, მისთვის თავის გამომეტება და ერთგულობა, და რაია მის გრძნობის უაღრესი ხარისხი წარმოედგინა, უკიდურესს შედარებას წასწვდა: თავდადება თამაშისა და მღერასავით სასურველი გამოესახა, ესე იგი ორი ურთიერთის თან-შეუზომელი, შეუთვისებელი და შეურიგებელი საგანი,—ბუნებისა და გონების წინაამდეგ,—შეატყუპა. ამის გამო მისი ანტიტეზა,—«სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად»,—თავით თვისით უგუნურია და სტილით—უშნო.

მეორე ნახევარი მე-780 ხანისა—«ჩემსა მზესა დავეთხოვე, გავუშვივარ, დავლევ მე რად! მაშ თუ დავთმობ სახლსა ჩემსა, ველარ დავთმობ ვისსა ვერად?!»—მიზეზია, რომელსაც ავთანდილი შერმადინს წარუდგენს მარტოდ წასვლის გასამართლებლად. ამ სიტყვით პატრონი თავისს ყმას არწმუნებს, რომ რადგან სატრფომ დაითხოვა, ველარც შინ დადგება, და რადგან თავისს სახლსაც სტოვებს, თავისს ყმასაც ადვილად დასთმობს. მერე, რისთვის-და არწმუნებს? ეცილებოდა შერმადინ თავისს პატრონს,—შენი წასვლა საჭირო არ არისო?

ან უშლიდა, კვლავ უჩემოდ ნუ წახვალო? ავთანდილის წასვლა გადაწყვეტილი საქმეა, თავის განზრახვის გამოცხადებისთანვე, გმირმა შეატყობინა შერმადინს წასვლის მიზეზი და დაყოვნების საბაბი, ყმას არც კი გაუფიქრებია პატრონს წასვლა დაუშალოს და მისი თხოვნა მხოლოდ ის იყო, რომ მეც თან წამიყვანეო. ამაზედ გმირმა მიუგო: ვერ წაგიყვან, რადგან შენი სამსახური სახლში დამჭირდებაო (ხანა 777) და მარტო რომ წავიდე არა მიშავსო (ხანა 779). ამას იქით რაღა საჭიროა, ყმას ხელ-ახლა არწმუნებდეს, უთუოდ უნდა წავიდეო ან თან არ წაგიყვანო? როდესაც ავთანდილმა წასვლის მიზეზები შერმადინს ჩამოუთვალა, ხომ დასძინა (ხ. 772): «რადღა გაგრძელებ სიტყვასა, ჟამის შემოკლებისაო?» ნუ თუ ეს სიტყვა იმისთვისა სთქვა, რომ საუბრის ბოლოს ნათქვამი გაიმეოროს და საუბარი თავიდან დაიწყოს? ეგ საუბარი კი არა—ლაყლაყი იქნება.

მე-772 ხანის ლექსს—«რადღა გაგრძელებ სიტყვასა, ჟამის შემოკლებისა,» — რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა აქვს. ეს ლექსი შემდეგის საუბრის კილოს ამღებია. ამის მთქმელი ავთანდილი ლაპარაკს აღარ გააგრძელებს და ნათქვამს როდი გაიმეორებს, არამედ სიტყვას შეამოკლებს და მხოლოდ იმას იტყვის, რაც აუცილებლად საჭიროა. ასრედაც უნდა იყოს, თუ ავთანდილის მდგომარეობას და მისსა და შერმადინის ურთიერთობას სახეში მივიღებთ: პირველი, ავთანდილი საგზაოდ უნდა მოემზადოს, ანდერძი დასწეროს, ილოცოს და დროზე გაიპაროს, ამიტომ ბევრი ლაპარაკისთვის არა სცალიან. მერე, ნუ დავივიწყებთ, რომ ავთანდილ ბატონია და შერმადინ—მისი ყმა. რაც უნდა მოყვარული და ალერსიანი იყოს ავთანდილის საუბარი, შერმადინისათვის ეგ ტკბილი საუბარი ბატონის ბრძანებაც არის, რომელსაც ვალდებულებითი და იძულებითი ძალა აქვს, ამიტომ ბატონს არ ეჭირება თავის განზრახვის ბევრი გამართლება.

საინტერესოა ავთანდილის შერმადინთან საუბარი ამ მხრით შეედაროს მის ანდერძს მეფესთან მიწერილსა. თავისს წასვლის მიზეზს, რომელსაც ბატონი თავისს ყმას მოკლედ უბრძანებს, სპასპეტი თავისს ხელმწიფეს ვრცლად მოახსენებს, თავისს განზრა-

ხვას ზნეობითის სწავლითა და ფილოსოფიურის მოსაზრებით ამართლებს. დიაღამც ასე უნდა იყოს, რადგან ავთანდილ თავის საქციელისთვის მეფის წინაშე პასუხის გამცემია; ბატონმა კი თავისი საიდუმლო განზრახვა ყმას რომ გაანდოს, ყმისათვის ესეც დიდი პატივია და წყალობა.

ასე რომ, რა მხრითაც უნდა გაისინჯოს, მე-780 ხანა ყალბია: მასშივან გამოსახული აზრი მოყვრისათვის თავდადებაზე იმდენად გაზვიადებული და მოუფიქრებელია, რომ ავთანდილის ხასიათსა და ფილოსოფიას არ ეთანხმება, რადგან ავთანდილ სიცოცხლის დაუდევარი და ქარიანი ტრაბახი არ არის; და ამ ტრაბახობაზე დამატებული ავთანდილის წასვლის გამართლება კი არც პატრონ-ყმის ურთიერთობას შეეფერება და არც მათის საუბარის კილოს, და ამას გარდა საუბრის მიმდინარეობას ჰშლის, რადგან გმირმა თავისი განზრახვა საუბრის დასაწყისშივე დაასაბუთა და საუბრის დასრულებისას იმავე საბუთების გამეორება მეტიღაა და უადგილო.

ალ. ს—შვილი.

# საქმე

## ნადელების შესყიდვისა

### I

როგორც ვიცით, სახელმწიფო ქონებათა მინისტრის სანდო კაცის ტაინი სოვეტნიკის ი. ი. ტიხეევის განკარგულებით გამოკვლეულ იქმნა საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამიერ-კავკასიის გუბერნიების სახელმწიფო გლეხ-კაცობისა. პატივცემულ მკვლევართა ნაშრომი მდიდარი და ძვირფასი შეძენაა ჩვენის ღარიბის საეკონომიო ლიტერატურისათვის და ამასთანავე საფუძვლადაც დაედო მთავრობის-მიერ მიღებულს ყოველ-გვარს ღონისძიებას, რომელიც კი მიმართული იყო ამიერ-კავკასიის რიცხვ-მრავალ სახელმწიფო მკვიდრთა და გლეხ-კაცთა ყოფა-ცხოვრების განკარგებად. ამ გამოკვლევათა წყალობით გამოირკვა პირველად, რა გაჭირვებაშიაც არის ჩავარდნილი ჩვენებური გლეხ-კაცი უმამულობითა და ამ სახით ხელი შეეწყო იმ გავრცელებულის ზღაპრის დამხობას, რომ ვითომ ჩვენს ქვეყანაში აუარებელი სიუხვე ყოფილიყოს თავისუფალ მიწებისა. ასეთი შედეგი მოჰყვა საქმით იმ გამოკვლევათა, ხოლო სათეორიო ინტერესი მათი კიდევ უფრო დიდია. ის გამოკვლევანი წარმოადგენენ დიდს ტომებს, რომელთა შორისაც თითოში 700—800 გვერდია, სავსე ციფირებითა, აჭრელებული მრავალის ცხრილ-სქემებითა და ერთის სიტყვით შეზავებული ყოველ იმ სამკაულით, რომლის გამოც წიგნი ნაკლებად ხელ-მისაწვდენია, მძიმე საკითხავია და მოსაწყენია მკითხველის საზოგა-

დობის უმრავლესობისათვის. მაგრამ ამ გარემოებამ მაინც არ შეაშინა მკითხველები და ამ ჟამად მათის სურვილის დასაკმაყოფილებლად საჭირო შეიქმნა ხელ-მეორედ დაბეჭდვა ამ ყოვლად საფუძვლიან გამოკვლევათა, რასაც შეუძლებელია გულწრფელის თანაგრძნობით არ მივეგებნეთ.

ადვილი მისახვედრია ის მიზეზი, რისთვისაც აღეძრა ასეთი ინტერესი მკითხველს საზოგადოებას სახემწიფო გლეხ-კაცთა საეკონომიო ყოფა-ცხოვრების მკვლევართა ნაშრომ-ნაღვაწისადმი. ჩვენში თითქმის სულ არ არსებობს ცოტად თუ ბევრად სარწმუნო სტატისტიკა, რომელიც ისე სამაგალითოდ დააყენეს ფეხზე შიდა გუბერნიებში საერობო დაწესებულებათა ორგანოებმა. ჩვენთა მკვლევართა ზემოხსენებულ ნაწერებში შეგროვილი სასტატისტიკო მასალა პირველი ცდაა — და მერე ისიც ყოვლად რიგიანი ცდა, — ამ ნაკლის შესავსებად. ამ ნაწერების მეოხებით შეძლება გვეძლევა ცოტად თუ ბევრად დაახლოვებით გავიცნოთ საეკონომიო ძალ-ღონე მკვიდრთა იმ გამრჯელის ნაწილისა, რომელსაც ჟურნალისტები და პუბლიცისტები „სახელმწიფოს მკვებავსა და მარჩენელს" უწოდებენ და რომელიც დიდის მოთმინებითა და უდრტვინველობით ეწევა თვისის მდევურის ბეჭებით სახელმწიფო ტვირთვის სიმძიმესა. ვინც კარგად ჩაუღრმავდება და გულდასმით შეისწავლის იმ მასალას, რომელიც შეკრებილია იმ მკვლევართა ნაწერებში, ადვილად მიხვდება, ჯერ რამდენი რამა აქვს კიდევ გასაკეთებელი მთავრობას გლეხ-კაცთა ყოფა-ცხოვრების განსაკარგებლად, რამდენი შრომა და ჯაფა უნდა გასწიოს კიდევ, რომ კეთილ-დღეობა დაუმკვიდროს სახელმწიფო ხარჯისა და სხვა გვარ გადასახადთა გამღებელთ უმრავლესობასა. გარნა, ვიმეორებთ, ეგ ნაწერები, რომელსაც დაემყარა მთავრობა სხვა და სხვა ღონისძიებათა მისაღებად სახელმწიფო გლეხ-კაცთა ყოფა-ცხოვრების განკარგებისათვის, კიდევ უფრო მეტს სამსახურს გაუწევს მთავრობასაცა და ქვეყანასაც, თუნდა სულაც რომ თავი დავანებოთ იმ დიდს სათეორიო ინტერესს, რომელიც ამ ნაწერებსა აქვს საეკონომიო ლიტერატურაში.

ბევრად უფრო გლახა მდგომარეობაში არიან წინანდელნი ნაყმევნი—დროებით ვალდებულნი გლეხ-კაცნი და ის საკუთარის მამულის პატრონებიცა, რომელთაც შეისყიდეს მთავრობის დახმარებით თავიანთი ნადელები. ამ გვარ გლეხ-კაცთა შესახებ არამც თუ არ არსებობს ისეთი ცნობანი, როგორნიც შეგროვილ და დაბეჭდილ იქმნა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სანდო კაცის განკარგულებით ამ ათიოდე წლის წინად სახელმწიფო გლეხთა შესახებ, არამედ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სრულიად არა ვიცით-რა ამგვარ მხვნელ-მთესველთა ყოფა-ცხოვრებისა. დაბეჭდილი ნაწერები იმათ შესახებ ისე მცირეა და მწირი, რომ ერთი თხზულებაც არ შეგვიძლიან დავასახელოთ ისეთი, რომელიც თვისის ღირსებით სახელმწიფო გლეხ-კაცთა საეკონომიო ყოფა-მდგომარეობის მკვლევართა ნაწერების ტოლი და ბადალი იყოს. გამოკვლევა ა. დობროვოლსკისა, დაბეჭდილი 1873—1874 წწ. ტფილისის გუბერნატორად ნამყოფის კ. ი. არლოვსკის განკარგულებით დროებით ვალდებულ გლეხ-კაცთა რაოდენობის შესახებ მთელს გუბერნიაში და აგრეთვე იმ მამულების შესახებ, რომელიც ნადელად მიეცათ იმათა; ამას გარდა 1893 წელს გამოცემული კრებული სასტატისტიკო ცნობათა მიწად-მფლობელობის შესახებ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში, დამყარებული აქაურ საგლეხ-კაცო დაწესებულებათა ცნობაზედ, რასაკვირველია, სათვალავში ჩასაგდები არ არის. ამ წიგნებში მოთავსებულია ბევრი სასარგებლო ცნობანი, მაგრამ მაინც მათის შემწეობით სწორესა და მართალს აზრს ვერ შეადგენს მკითხველი ეხლანდელ დროებით-ვალდებულ გლეხის სამეურნეო ყოფა-მდგომარეობის თაობაზედ. ხოლო მოგონებანი მხცოვანის სახელმწიფო კაცისა ბარონის ა. პ. ნიკოლაისა, დაბეჭდილი **Русскій Архивъ**-ში 1892 წელს ბატონ-ყმობის გადავარდნის შესახებ საქართველოში, ამ საგანს იმ მხრივ არა ჰფენს ნათელს, რა მხრივაც ჩვენთვის არის ამ ჟამად საინტერესო. ეს არის ყველა ის დაბეჭდილი მასალა, რომელიც შეგვიძლიან დავასახელოთ. როგორცა ჰხედავთ, მათი რიცხვი ფრიად მცირეა და

იმ ცნობათა მიხედვით, რაც ამ ნაწერებშია მოთავსებული, ძნელია დაასკვნას რამე კაცმა საფუძვლიანად და ან ერთი აზრი დაამყაროს, ან მეორე.

ეს არის მიზეზი რომ ძალიან ძნელია ჯეროვანი აზრი შეადგინოს კაცმა საბატონო გლეხებად ნამყოფთა საეკონომიო მდგომარეობაზე ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში. ოც და ათ წელზე მეტი გავიდა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველოში და ამდენის ხნის შემდეგაც კი შეუძლებელია კაცმა სთქვას დარწმუნებით, განკარგდა თუ არა მდგომარეობა ნაბატონარ გლეხთა, თუ პირიქით უარესობაშია; როგორ იმოქმედა ბატონ-ყმობის გადავარდნამ გლეხ-კაცთა ნივთიერ მდგომარეობაზედ, იმათ საკულტურო ზრდაზე და კერძოდ რა მოუტანა „ახალს მოქალაქეს“ ნადელების შესყიდვის დებულებამ?

ჩვენ ვერ ვიტვირთებთ და ვერ გავბედავთ, რომ ვსთქვათ რამე პასუხად ამ საკითხავებისა, რომელთაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენის გლეხ-კაცობის საეკონომიო ცხოვრებაში; ჩვენ წარვუდგენთ მხოლოდ მკითხველს იმის სურათს, თუ რა ყოფაში არიან თელავის მაზრის სოფელ კონდოლის გლეხნი მოსაკუთრენი და დეე ქვემორე მოყვანილმა ციფირებმა და ცნობებმა თვით ილაპარაკონ. მაგრამ ვიდრე წარმოვადგენდეთ ჩვენს ცნობებს კონდოლელ მოსაკუთრე გლეხთა საეკონომიო ყოფა-ცხოვრების შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავიხსენიოთ, რა მდგომარეობაშია ნადელების შესყიდვის საქმე, როგორც შიდა გუბერნიებში, ისე ჩვენს ქვეყანაშიაც.

გამოცხადდა თუ არა საგლეხ-კაცო დებულება 1861 წლის 19-ს თებერვლისა, მაშინვე გამოცემული იყო ნადელების შესყიდვის დებულებაცა, რომლითაც დაწესებულ იქმნა, თუ რა პირობით უნდა მოსპობილიყო დროებით სავალდებულო ურთიერთობა ყმა-ბატონთა და რა გზით უნდა შეეძინათ ნადელები საკუთრებად გლეხთ მთავრობის დახმარებითა. თუმცა მთავრობა შემწეობას აძლევდა გლეხ-კაცობას მით, რომ საშეღავათო პირობით შეეძლო ესესხნა ფული მთავრობისაგან, მაინც შეძენა ნადელე-

ზისა გლეხ-კაცთა მიერ საკუთრებად ძრიელ დაყოვნებით სწარმოებდა, და ეს საქმე რომ თავის ბუნებრივს მსვლელობაზე ყოფილიყო დამოკიდებული, დღემდის ნახევარზე მეტი ყმებად ნამყოფ გლეხ-კაცებისა ისევ სავალდებულო ურთიერთობაში იქნებოდა თავიანთ ნაბატონართა მიმართ.

ამ გარემოების ასაცილებლად მთავრობამ მოინდომა აეჩქარებინა ნადელების შესყიდვის საქმე და განიზრახა შემოეღო სავალდებულო შესყიდვა, რაიცა კიდეც განახორციელა პირველს იანვარს 1883 წელსა, ისე რომ ამ ჟამად არსად იმპერიაში, საცა კი რუსის გლეხ-კაცობა მოსახლეობს, აღარ მოიპოვებიან დროებით ვალდებულნი გლეხნი და იმათის საქმეების გამგე საგლეხ-კაცო დაწესებულებანი, როგორც მაგალითად: მომრიგებელნი შუა-კაცნი, კრებანი მომრიგებელ შუა-კაცთა და საგლეხ-კაცო საქმეთათვის დაარსებული პრისუტსტვიები*). ბოლოს 1887 წლის პირველ იანვრიდამ შეასყიდვინეს ნადელები სახელმწიფო გლეხებად ნამყოფთ, რომელნიც მკვიდრობენ 45 გუბერნიასა და ოლქში. მთავრობის ამ განკარგულებასა, რომელსაც ძალდატანებითი ხასიათი ჰქონდა, საფუძვლად ის რწმენა დაედო, რომ გლეხ-კაცი მხოლოდ მაშინ ეცდება მამულის განკარგებასა და ხვნა-თესვის კარგად წარმოებასა, როდესაც მტკიცე იმედი ექმნება, რომ ჩემს ნაშრომსა და ნაღვაწსა სხვა ვერ შეეხებაო. ეს იმედები არ გამართლდა მომეტებულ ნაწილად, მაგრამ ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ ყოვლად სამწუხარო გარემოების მიზეზთა გამოკვლევას.

საკანონმდებლო წესით დადგენილია, რომ ყოველ წლივ სახელმწიფო გლეხ-კაცთა იხადონ მამულების შესყიდვისათვის აღებულ სესხის თავნ—სარგებელში 49,036,884 მ. გადაწყვეტილ ვადამდე, ესე იგი, 1931 წლამდე. ეს ასე იქნება, რასაკვირველია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობამ არ განაგრძო ვადა სესხად აღებულის თავნ - სარგებლის გადახდისა, რადგანაც გლეხ - კაცობა ვერ იხდის ხვედრს გადასახადსა და

*) იმპერიის შიდა გუბერნიებში რაც საგლეხ-კაცო პრისუტსტვიებია დღეს, იმათ სულ სხვა საქმეები აქვთ საწარმოებელი და საუწყებელი.

ბლომად რჩება ნედოიმკები, რომელიც შესაძლოა ზედ შეაკეცონ თავნსა. ზემოხსენებული ფული მეტის-მეტად სხვადა-სხვაობით არის განაწილებული გუბერნიებ შორის. მაშინ როდესაც ვიატკის გუბერნიას შეაქვს წელიწადში ნადელების შესყიდვის გადასახადი 4,285,009 მ., ვარონეჟისას—3,759,363მ., ყაზანისას—3,131,817 მ., კურსკისას, პერმისას, ხარკოვისას, ტამბოვისას, სარატოვისას და სამარისას—სამ-სამ მილიონამდე თვითეულს, არხანგელსკის გუბერნიას შეაქვს ყოველ-წლივ 139,775 მ., ყუბანის ოლქს—28,368 მ., თერგისას—8,566 მ., ხოლო ესტლიანდიისას მარტოოდენ 54მ. *) ასეთი უსწორ-მასწორობა გადასახდელის ფულისა ნადელების შესყიდვისათვის აიხსნება მით, რომ სვა-და-სხვა გუბერნიაში ერთი და იგივე რიცხვი არ მოსახლობს სახელმწიფო გლეხ-კაცებისა, ხოლო რაოდენობა გადასახდელის ფულისა ნადელების შესყიდვისათვის საბატონო გლეხ-კაცთა მიერ ბევრად აღემატება ზემოხსენებულს 49,036,884 მან., რომელსაც იხდიან ყოველწლივ სახელმწიფო გლეხ-კაცნი.

ნადელების შესყიდვის გადასახადი მძიმე ტვირთად დააწვა გლეხ-კაცობას. იმის გამო რომ რაოდენობა ნადელების შესყიდვის გადასახადისა აღემატება შესყიდულ მამულების შუათანა შემოსავალსა, ამ გადასახადის უნედოიმკოდ შეტანა თითქმის შეუძლებელი შეიქმნა და ნედოიმკები წლითი-წლობით მატულობდა საკვირველის სისწრაფითა. აი მაგალითად, 1893 წ. სახელმწიფო ბანკმა გამოაცხადა ანგარიში ნადელების შესყიდვის გადასასახადისა ოცდა-ათის წლის განმავლობაში და ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1892 წ. დამდეგისათვის ეგ ნედოიმკა 22 მილიონს მანათზე მეტი იყო. ბევრს გუბერნიაში ნედოიმკა უფრო მეტი იყო, ვიდრე ის ფული, რაც წინა წელს იყო შესატანი, ზოგან ორჯელ-სამჯერ მეტი წინა წლის შესატანზედა; მაგალითად, ვარონეჟის გუბერნიაში ნადელების ნედოიმკა იყო 102% 1891 წ. შესატანისა, ნიჟნინოვგოროდისა—183%, პენ-

*) იხ. „Св. узак. и расп. прав. объ устр. сельскаго состоянія и учр. по кр. дѣламъ" ი. ლ. გორემიკინისა. ტ I, გვ. 491. გამ. 1891 წ. ს.-პ.

ზისა—158%, სიმბირსკისა—173%, მოსკოვისა—221%, ტფი-ლისისა—258%, ყაზანისა—380%, უფასი—474% და ორენ-ბურგისა—562%.

სანადელო მიწის ერთს დესეტინაზე მოდიოდა ამ გადასა-ხადის ნედოიმკა ორიოლის გუბერნიაში—1 მ. 4 კაპ., რიაზანი-საში—1 მ. 50 კაპ., სარატოვისაში—1 მ. 77 კაპ., ვარონეჟი-საში—1 მ. 80 კაპ., ტამბოვისაში—2 მ. 78 კაპ., სიმბირსკისა-ში—2 მ. 80 კაპ., მოსკოვისაში—3 მ. 36 კაპ. ორენბურგისა-ში—4 მ. 32 კაპ., უფისაში—5 მან. 41 კაპ. და ტფილისისა-ში—8 მ. 45 კაპ.

ამ საყურადღებო ციფირების დასამატებლად მოვიყვანთ კიდევ ცნობილის პოლიტიკო-ეკონომის და საზოგადო მოღვა-წის პროფესორ ი. ივანიუკოვის მოწმობას.

პატივცემული პროფესორი ამბობს: „ცენტრალურმა სას-ტატისტიკო კომიტეტმა დაამყარა თავისის გამოკვლევით, რომე-ლიც მოახდინა ორის წლის შემდეგ მასუკან, რაც მოუსავლო-ბა ეწვია რუსეთსა, რომ ჩვენში მთელი გუბერნიებია ისეთი, საცა იშვიათად შეხვდები ისეთს სამამასახლისოსა, რომელსაც ნედოიმკები არა ჰქონდეს. ყაზანის გუბერნიაში, მაგალითებრ, ერთი სოფელი არ აღმოჩნდა უნედოიმკოდ სამი-ათას სოფელში; ორენბურგის გუბერნიაში მხოლოდ ხუთი აღმოჩნდა ამისთანა ბედნიერი სამამასახლისო 871-ში, პენზისაში რვა 2,337-ში, სამარისაში — ოცდა-ორი 2,127-ში, ვარონეჟისაში — ცამეტი 2,099-ში. ბევრს გუბერნიაში მთლად გლეხ-კაცობას უდევს წილი სახემწიფო ხარჯის პირნათლად გადაუხდელობაში; ვა-რონეჟისა, ყაზანისა, ორენბურგისა, ორიოლისა, რიაზანისა, სამარისა, სიმბირსკისა, სარატოვისა, ტამბოვისა, ტულისა და სხვა გუბერნიებში პროცენტი პირ-ნათლად ხარჯის გადამხდე-ლებისა არის 3—2% და კიდევაც ნაკლები. ასეთია დავალია-ნება ხალხისა მარტო ერთის ხაზინის წინაშე.“ (ხაზინის ვალ-შია ჩარიცხული, რასაკვირველია, ნედოიმკები ნადელების გა-მოსყიდვის გადასახადისაცა).

ხოლო ამ ვალთან ერთად, განაგრძობს პროფესორი ივანიუკოვი, ხალხს აწევს კიდევ დიდი ვალი კერძო კაცებისაცა და ამ ვალში იხდის მომეტებულ ნაწილად მეტის-მეტად დიდს და უღვთო სარგებელსა. სავარაუდო ანგარიშით გლეხ-კაცობის ვალის რაოდენობა თითქმის ერთ მილიარდ მანათამდე ადის. სოფლის ხალხის მეტის-მეტმა დავალიანებამ და სხვა გვარმა საეკონომიო ვითარებამ ის მოიტანა შედეგად, რომ რაოდენობა საქონლისა ხვნა-თესვის და მიწად-მოქმედების საქმეში ძალიან შემცირდა და რაოდენობა უცხენო მეკომურთა მეტად გამრავლდა. 1888 და 1891 წელს იყო აღწერა სამხედრო აზრით ცხენებისა და ამ აღწერამ აღმოაჩინა, რომ საევროპიო რუსეთში $10\frac{1}{2}$ მილიონ მეკომურთაგან $2\frac{1}{2}$ მილიონს არც ერთი ცხენი არ მოეძევებოდა, ესე იგი მეოთხედს ნაწილს გლეხკაცობისას არ აღმოაჩნდა უმთავრესი ღონისძიება თავის მეურნეობის დამოუკიდებლად წარმოებისათვის. ზოგიერთს გუბერნიებში (კიევისა, პოლტავისა და პოდოლისაში) უცხენო მეკომურთა რიცხვი აღემატება მათის საერთო რიცხვის ნახევარსა“ *).

ახლა განვიხილოთ ის ღონისძიებანი, რომელთა შემწეობითაც შეიძლება აცილებულ იქმნას მატება ნედოიმკებისა ნადელების გამოსყიდვის საქმეში.

## II

ზემოდა ვსთქვით, რა უზომოდ არის დავალიანებული გლეხკაცობა და რა დიდ-ძალი ნედოიმკები აქვს თავს დატეხილი იმ მიზეზით, რომ გადასახადი არ ეშესაბამება ნადელების შუათანა შემოსავალს; განვმარტეთ ისიცა, თუ რაოდენად შერყეულია და დაქვეითებული გლეხ-კაცთა მეურნეობა და მეოჯახეობა. წლითი-წლობით ეგ დავალიანება თან და თან მატულობდა, იმიტომ რომ მისი დამბადებელი ვითარება კვლავ სჩაგრავდა მხვნელ-მთესველთა. როგორც მოსალოდნელიც იყო,

*) იხ. Очерки провинціальной жизни, ივანიუკოვისა „Рус. Мысль,“ №5, 1896 წ. გვ. 139—140.

უფრო მეტის ძალით იწყო მატება ნედოიმკებმა ნადელების გამოსყიდვის ფულის გადახდაში 1891 და 1892 წელს, როცა 20-მდე შუაგულ გუბერნიაში საშინელი მოუსავლობა და შიმშილობა ჩამოვარდა. მთავრობის მიერ მიღებულ არა ჩვეულებრივ ღონისძიებათა არც შეეძლო შეეყენებინა ზრდა ნედოიმკებისა. მაშინ მთავრობა იმისთვის კი არა ჰზრუნავდა, რომ გაწერილი ხარჯი იქმნას გარდახდილიო, არამედ იმის ზრუნვა ის იყო მხოლოდ, რომ დამშეული ხალხი გამოიკვებოს როგორმე ახალ მოსავლამდეო.

18 მოუსავლიანს გუბერნიაში 1892 წლის 1 იანვრისათვის ნედოიმკა ავიდა 58.591,721 მანეთამდე, რაიცა შეადგენს 112%-ს წლიურად შესატანისას. იმავე გუბერნიებში 1892 წლის 1 ოქტომბრისათვის იყო ხალხზედ გამოსაკვებად მიცემულის სესხის ვალი 129 მილიონი მანათი, ესე იგი ეს ვალი ორჯელ მეტი იყო ნადელების გამოსყიდვის ნედოიმკაზედ; ამასთანავე ნედოიმკები მეტის-მეტის უთანაბრობით იყო განაწილებული გუბერნიებ შორის; ისეთი გუბერნიებიც იყო, საცა ნედოიმკები შეადგენდა 200 პროცენტს და ზოგან 300 პროცენტსაც წლიურად შესატანისას.

ამ სახით, ზრდა ნედოიმკებისა ნადელების გამოსყიდვის საქმეში ჩვეულებრივ სამწუხარო მოვლენად გადიქცა, რაიცა შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. მას შემდეგ, რაც შემოღებულ იქმნა დებულება ნადელების გამოსყიდვისა, უმაღლესმა მთავრობამ ბევრნაირი საშეღავათო ღონისძიება მიიღო, რათა გაეადვილებინა გლეხ-კაცობისათვის შეტანა მამულების გამოსასყიდლად აღებულის ფულისა. ოთხმოციან წლებში, მაგალითად, ეპატივა გლეხ-კაცობას 17½ მილიონი მანათი ნედოიმკა; იმავე წელთა ათეულში, 1881 წლის 28 დეკემბრის კანონის ძალით, გამორიცხულ იქმნა ნადელების გამოსყიდვის ფულიდან 102 მილიონ მანათზედ მეტი. 1881 წლის 28 დეკემბრის კანონი დიდს შეღავათს აძლევს მოსაკუთრე გლეხ-კაცობას, რადგანაც ამ კანონის ძალით გამოსყიდვის ფულს ამცირებენ თითო მანათით იმის და მიხედვით, თუ რამდენია სული იმათი, რო-

მელთაც მიეცემათ ნადელი გამოსასყიდლად, ხოლო იქ, სადაც მცირე-რუსეთისთვის შედგენილი დებულება ჰმოქმედობს, გამოსასყიდელ თითო მანათზედ 16 კაპეიკს უკლებენ*). საზოგადოდ ამ კანონის ძალით შემცირდა ნადელების გამოსყიდვისათვის შესატანი გადასახდი 12 მილიონით წელიწადში. ამ საყურადღებო კანონს გარდა, რამაც შესამჩნევად შეამცირა რაოდენობა ნადელების გამოსყიდვის გადასახადისა, რომელიც უნდა შეეტანათ ხაზინაში მოსაკუთრე გლეხებს, მთავრობა სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ღონისძიებას იღებდა იმ აზრით, რომ შეემსუბუქებინა გლეხ-კაცობისათვის შეტანა ნადელების გადასახადისა, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ამ მიგვაჩნია დავაყოვნოთ ყურადღება მკითხველისა მათის განხილვით.

ნამდვილმა საქმის ვითარებამ არ გაამართლა იმედიანი ფიქრი, რომ ვითომ ნადელების გამოსყიდვის გადასახადთა შემცირებით შემდეგ 1881 წლის 28 დეკემბრის კანონისა, პირდაპირი სახელმწიფო გარდასახადნი გლეხ-კაცთა უფრო ზომიერი შეიქმნა და შესაბამი სოფლის მხვნელ-მთესველთა ძალ-ღონისა. სახელმწიფო ბანკის ანგარიში ნადელების გამოსყიდვის საქმისა ამტკიცებს, როგორც ზემორე ვნახეთ, რომ ნადელების გამოსყიდვის გარდასახადი ზოგადის და დამატებულის შემცირების შემდეგაც მაინც ძნელი გასასტუმრებელია გლეხ-კაცობისათვის. ჩვენებური წესი ხარჯის გადახდევინებისა,—ამბობს „Русскія Вѣдомости“ (№ 211, 1893 წლ.), რომელსაც ა. ს. ერმოლოვმა სამართლიანად უწოდა „გლეხ-კაცის გატყავება“, სრულიად ჰფანტავს ყოველგვარს ეჭვს იმის შესახებ, ვითომ დიდი ნედოიმკები იმიტომ ედებათ გლეხ კაცებს, რომ ადმინისტრაცია ერთგულად არ იქცევა ამ საქმეში. ცხადია, აქ საქმე სხვაფრივ არაფრით აიხსნება, თუ არ იმითი, რომ სახელმწიფო გადასახადი და მათ შორის უპირველეს ყოვლისა ნადელების გადასახადი, მეტია იმაზედ, რის გა-

*) იხ. უკვე მოხსენებული კრებული ი. ლ. გორემიკინისა, ტ. I, გვერდი 170—171. ამ კანონის 1 მუხლში მოხსენებულია გუბერნიები, რომელშიაც ძალა აქვს ამ კანონს. მათ რიცხვში ჩვენ ვერ შევხდით ტფილისის გუბერნიას, რომელიც, როგორც ზემორე იყო მოხსენებული, ნედოიმკების სიდიდით, შუაგულ გუბერნიებს არ ჩამოუვარდება.

დახდაც შეუძლია გლეხ-კაცობასა. ეს შეუსაბამობა და შეუწონლობა კიდევ წარმომდგარია არა იმისაგან მხოლოდ, რომ გლეხ-კაცის შემოსავალს მეტად ბევრი აკლდება სახელმწიფო და სხვა გადასახადთა გაღებითა. არა, მაგის მიზეზი სხვა გარემოება და ვითარებაც არის გლეხ-კაცის სამეურნეო ცხოვრბისა. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს გლეხ-კაცთათვის დარიგებულ მამულების სიმცირესა. თითო სულზედ ორთა შუა რიცხვით მთლად საევროპიო რუსეთისათვის მოდის 3,7 დესეტინა მამული*). ადვილი მისახვედრია, რომ სიმცირე ნადელისა ისეთი გარემოებაა, რომელსაც უთუოდ მოჰყვება უპირულობა გადასახადისა და ხარჯის გაღებაში, რაც უნდა ზომიერად ჰქონდეს გლეხ-კაცს შეწერილი იგი ხარჯი და გარდასახადი. არა-მცირედი მნიშვნელობა აქვს აგრეძვე თვით წესსაც სახელმწიფო ხარჯის გადახდევინებისას. ყოველივე ეს გარემოებანიო, —ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, თავისთავადაც აქვეითებს გლეხ-კაცებს ეკონომიურად და ამას გარდა კიდევ აძლიერებს მჩაგვრელს ძალას იმ დიდის გადასახადისას, რომელიც დაწესებულია ნადელების გამოსყიდვისათვისაო.

ნადელების გამოსყიდვის დებულებითა და დარიგებით, რომელიც გამოცემულ იქმნა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისათვის, ნება მიეცათ სამაზრო და საგუბერნიო კრებულთ ეშუამდგომლათ ხოლმე, რომ გადადებულიყო მოკლე ვადით გადახდა ნედოიმკებისა და წლიურის შესატანის ფულისაცა. მაგრამ ეს ღონისძიება საკმაო არ აღმოჩნდა და მის მიღებით ვერავითარი შეღავათი ვერ ეძლეოდა გლეხ-კაცობას. ერთის მხრით, აქაურნი საადმინისტრაციო დაწესებულებანი საკმარისის ყურადღებით ვერ ჰხმარობდნენ ამ უფლებას და რამდენი-

*) უსტავნი გრამოტებიდან ამოღებულნი ცნობანი გვაუწყებს, რომ ტფილისის გუბერნიაში ორთა-შუა რიცხვით მოდის კომლზედ 3,9 დესეტინა, თუ ვიანგარიშებთ, რომ კომლში 4 სულია ვარაუდით, აღმოჩნდება, თითო სულზედ 1 დესეტინამდე სანადელო მამული მოდის. ხოლო თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ უსტავნი გრამოტები შედგენილია ამ 30 წლის წინად, გარნა ამ ხნის განმავლობაში ხალხის რაოდენობამ ერთი ორად იმატა, გამოვა, რომ დღეს ერთს სულზედ მოდის არა უმეტეს $1/2$ დესეტინასი, ანუ ერთის დღიურის მიწისა, ესე იგი, რომ ტფილისის გუბერნიაში გლეხ-კაცებს 8 ჯერ ნაკლები მამული უჭირავთ ნადელში.

მე შემთხვევა იყო, რომ ულმობლად ჰკრებდნენ ნედოიმკებს ნადელების გამოსყიდვისას ისეთ სოფლებში, საცა ხალხს არა-ვითარი ღონისძიება არა ჰქონდა ამ ხარჯის გადახდისათვის, ხოლო მეორეს მხრით თვით ნაწყალობევი შეღავათიც—გადადება წლიურის ხარჯისა და ნედოიმკების შეტანისა—საკმაო ვერ აღმოჩნდა. იმ აზრით, რომ დავალიანებულს გლეხ-კაცობას უფრო მეტი შეღავათი მისცემოდა და მეტი შემსუბუქება ეგრძნო, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა 1893 წელს განსაკუთრებული წეს-რიგი ხარჯის გადახდის გადადებისა და ნედოიმკების წვრილ-წვრილად გადახდისა რამდენისამე წლის განმავლობაში. სამინისტრომ ეს წეს-რიგი ამავე წელს წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს. საბჭოს აზრი უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა 7 თებერვალს 1894 წელსა და ამ სახით ზემოხსენებული წეს-რიგი კანონად გადიქცა იმავე წლიდანა.

ამ კანონის წესიერად გამოყენებისათვის საჭირო შეიქმნა ცალკე ყოფილიყო მოხსენებული, რა წესით და რომელს დავალიანებულს გლეხ-კაცს მისცემოდა შეღავათი ახალის კანონითა. ეს ცალკე მოხსენება დარიგებითურთ, დამტკიცებული 9 სეკტემბერს 1894 წ. ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ივაშჩენკოვის მიერ, დაიბეჭდა „მთავრობის დაკანონებათა და განკარგულებათა კრებულში“ 1894 წ. № 153, გვ. 1135.

ეს ღონისძიება, მიღებული ფინანსთა სამინისტროს-მიერ, შესამჩნევად ამსუბუქებს გლეხ-კაცობის მდგომარეობას, რომელიც მეტის-მეტად დაქვეითებული და ღონე-მიხდილი იყო აქამდე. თვით უმაღლესი მთავრობა დიდს მნიშვნელობას აძლევდა ამ კანონს და ბევრს სიკეთესაც ელოდა მისგანა. რომ ეს ასე იყო, სჩანს იმითიცა, რომ 1894 წლის 14 ნოემბრის უმაღლესს მანიფესტში პირდაპირ არის ნახსენები ეს კანონი. ამ მანიფესტში ნათქვამია, რომ რაკი ასეთი კანონი გამოიცა, ეხლა მეტი-ღაა სხვა-და-სხვა შემსუბუქება გლეხ-კაცობისთვის სანადელო ფულის გადახდაშიო. მართლაც, სიმართლე უმაღლესად ნაბრძანების სიტყვებისა ცხადი შეიქნება იმ წამსვე, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თვითეულთათვის ნაწილ-ნაწილად

აღმოჩენილი შემსუბუქება ტვირთისა ვერ მოიტანს იმ სარგებლობას, რა სარგებლობასაც უეჭველია მისცემს ხალხს საზოგადო ღონის-ძიება, ისეთი ღონისძიება, რომელსაც აზრად აქვს შეეხოს მთლად ერთიანს კრებულს სამწუხარო გარემოებათა, იმ გარემოებათა, რომელიც აქვეითებს და არყევს გლეხ-კაცობის მეურნეობას.

1894 წლის 9 სექტემბრის დარიგების ძალითა და იმავე წლის 7 თებერვლის კანონით საგუბერნიო კრებულნი მოვალენი არიან სამაზრო კრებათა შემწეობით აგროვებდნენ დაწვრილებულს ცნობას იმ თვითეულის სამამასახლისოსა, სოფლისა და კომლის საეკონომიო ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომელსაც უნდა აღმოეჩინოს შემწეობა და მიეცეს შეღავათი 7 თებერვლის კანონის ძალითა. სამაზრო კრებას უნდა ესწრებოდნენ: მაზრის უფროსი, ხარჯთ-აკრეფის ინსპექტორი და მომრიგებელი შუა-კაცი. შეკრებილნი ცნობანი უნდა განხილულ იქმნას საგუბერნიო კრებულის მიერ სახაზინო პალატათა გამგებელთ აუცილებელის თანადასწრებით და შემდეგ გაეგზავნოს შუამდგომლობის ქაღალდი ფინანსთა სამინისტროს. უკეთუ იგი შუამდგომლობა შეწყნარებული იქნება, მაშინ შესაძლებელია ნედოიმკების გადახდა განაწილებულ იქმნას ნადელების გამოსყიდვის ვადის გადაცილებითა, ესე იგი, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, შესაძლებელია ნედოიმკები ზედ-შეეკეცოს თავის ვალსა, ხოლო ვადა მისის გადახდისა განგრძობილ იქმნას.

ფინანსთა სამინისტროს თავოსნობით მიღებული ღონისძიება, რომელსაც აზრად აქვს შეუმსუბუქოს გლეხ-კაცობას გადახდა ბლომად მოგროვილ სანადელო ნედოიმკებისა; დიდად საყურადღებო ღონისძიებაა თავის-თავად, მაგრამ, ჩვენის აზრით, ისიც საქმეს ვერ გაასწორებს და ამ სახით ვერ იქმნება აცილებული ის მიზეზები, რომელიც ხელს უწყობს ნედოიმკების მოგროვებას. რადგან გლეხ-კაცს არ შეუძლიან ისე გადიხადოს ყოველ წლიური შესატანი ნადელის გამოსყიდვის ფულისა, რომ ზედ არა დარჩეს-რა ნედოიმკებად, რა არსებითი სარგებლობა

უნდა მოუტანოს უკვე ბლომად მოგროვილ ნედომკების თავნს-ვალზედ შეკეცვამა და გადასახდელ ვადის განგრძობამა? საიმისო სარგებლობას ვერას მოუტანს, იმიტომ, რომ, სულ-ერთია, მეორე წელსვე ისევ დაატყდება თავს ნედოიმკა. და აი ასეთი პროწიალი ერთსა და იმავე ადგილას მანამდე არ მოისპობა გლეხ-კაცისათვის ამ საქმეში, ვიდრე უფრო ძირითადნი ღონის-ძიებანი არ იქმნება მიღებული. საქმე ის არის, რომ გლეხ-კაცი იხდის 6 მანათს სარგებელს ათ თუმანზედ წელიწადში სესხად აღებულის ფულისათვის 49 წლის ვადით, ხოლო ეს სარგებელი მეტად დიდი და სამძიმო სარგებელია და ამოდენა სარგებლის ხდა არც შეესაბამება ფულის ბაზრის მდგომარეობას. ამიტომა ჩვენ გვგონია, რომ სწორედ ახლი დროა და მოსახარხებელიც შემცირებულ იქმნას მამულების გამოსყიდვის ყოველ-წლიურ შესატან ფულის რაოდენობა, რაიცა შესაძლოა განხორციელ-დეს 5%-იან შინაგან სესხის კონვერსიით, იმ სესხისა, რომელ-მაც დაიჭირა ადგილი წინანდელ გამოსყიდვის მოწმობათა. რაც უფრო მალე იქმნება მიღებული ასეთი ძირითადი ღონის-ძიება, მით უფრო მალე გასწორდება და გაკეთდება საქმე, იმიტომ რომ, სულ ერთია, ადრე თუ გვიან, თვით ვითარება საქმისა ამას მოითხოვს უეჭველად. ამიტომ ყოველივე პალია-ტივა, როგორც მაგალითად 7 თებერვლის კანონია, მხოლოდ ამაოდ შეაყენებს გლეხ-კაცობის შერყეულ საეკონომიო მდგო-მარეობის წინ-სვლასა და წარმატებასა.

ამ ძირითადის ღონისძიების საჭიროებას ასე გადაწყვეტით ვადგევართ შემდეგის მოსაზრების ძალითა. სულ დიდი სესხი, რომელიც მისცა მთავრობამ გლეხ-კაცს მამულების გამოსყიდვი-სათვის (10 დღიურ სარწავისა, ან 20 დღიურ ურწყავისათვის სამოსახლო ადგილითურთ), არის 350 მან. ამაზედ მეტი ფული არავის მისცემია და არც მიეცემა. ამ ფულისათვის უნდა იხა-დოს წელიწადში გლეხმა 21 მან. ადვილი მისახვედრია, რა ძნელი უნდა იყოს გლეხ-კაცისათვის, რომ უნედოიმკოთ გა-დაიხადოს 21 მან. და თან გაუძლვეს მრავალ-გვარ სხვა ხარჯ-საც, სახელმწიფოსა, საეროზოსა და აგრეთვე თვით სამამა-

სახლისოსას) რომელიც ზოგი ფულადა ჰხდება, ზოგი ბეგრითა. რასაკვირველია, ყოველ ამ ხარჯს ვერ გაუძლვება ისე, რომ არ შეირყეს მისი მეურნეობა და მეოჯახეობა. როცა სოფლად ჯერ ისევ ბუნებრივი წესი სუფევს მეურნეობისა, როცა ბაზარი თითქმის არ არსებობს, ისეთი ბაზარი, საცა შეიძლებოდეს ხეირით გაყიდვა სოფლად ნაჭირნახულევისა, როცა რიგიანი გზები არსად არის, მეტადრე ჩვენში, როცა, როგორც ყველა კარგად ჰხედავს, ასე დაეცა ფასი სოფლის ნამუშევარისა, ყოვლად შეუძლებელია, რომ გლეხ-კაცმა შეიძლოს გადახდა ამოდენა ფულისა ნადელების შესასყიდლად. კერძო შემსუბუქებამ, რომელიც აღმოუჩინეს შუა-გულ გუბერნიების გლეხკაცობას, ვერავითარი ნაყოფი ვერ მოიტანა, როგორც ზემორე ვნახეთ. ნედოიმკა იქ მაინც დიდი დაატყდა თავს ხალხსა. იქ, საცა მოქმედებდა დებულება დიდისა და მცირე რუსეთისა, სესხი ეძლეოდა ხალხს არა კომლობრივ, როგორც ტფილისის გუბერნიაში, არამედ თითოეულ ჯგუფს, ამხანაგობას, სოფელს ანუ მთელს საზოგადოებასაც კი; ამასთანავე წევრნი ჯგუფისა, ამხანაგობისა, სოფლისა და საზოგადოებისა ხელ-წერილს სდებდნენ, რომ მოვალენი ვართ ურთიერთის თავდებობით პირნათლად გარდავიხადოთ ჩვენი ხვედრი ფული ყოველ-წლივაო. ჩვენ არ ვიცით, რაოდენობა იმ ფულისა, რომელიც შეჰხვდა თითოეულს კომლს მთავრობის მიერ სესხად მიცემულ ფულიდან, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მამულის სიძვირეს დიდ-რუსეთის გუბერნიებში, აგრეთვე ნადელების სიდიდეს ჩვენებურ გლეხ-კაცების ნადელებთან შედარებით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველ-წლიური შესატანი ნადელების ვალის სახდელად იქ ბევრად მეტია 21 მანათზედ, რომელიც ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცს შეაქვს. ცხადია, მაშასადამე, რომ ექვსის პროცენტის გადახდა ვალად აღებულ ფულში, როგორც სახელმწიფოს შუა-გულ, ისე მის განაპირად, ყოვლად შეუწყნარებელ საქმედ უნდა იქმნას მიჩნეული.

დაკლება და შემცირება სარგებლისა და ამის გამო შემცირება იმ ფულისა, რომელიც შეაქვს გლეხ-კაცობას ნადელების

გამოსყიდვისათვის, არავითარს საძნელო საქმეს არ წარმოადგენს ამ ჟამად. რადგან ფული ბლომად არის ახლა და ფულის პატრონები პირიქით იხვეწებიან, წაიღეთ სარგებლითაო, მერე კიდევ, რაკი-ღა საფინანსო მდგომარეობა რუსეთისა განკარგდა და საუკეთესოდ გაიწონა უდეღი სავაჭრო ბალანსის სასწვრისა, შესაძლოა სახელმწიფომ ისესხოს ფული $3\frac{1}{2}$ და 3%-ადაც კი. ვერავითარს საბუთს ვერა ვხედავთ იმის წინააღმდეგ რომ მთავრობამ არა სცადოს სესხად აღება ფულისა, ან შიგ რუსეთშივე, ან საზღვარ გარედ $3\frac{1}{2}$ ან 4%-ად ნადელების შესყიდვის ფონდის საჭიროებათათვის, და მაშინ, როცა ასეთის პირობით ფული იქმნება ნასესხები, შესაძლებელია შესამჩნევად შემცირდეს ყოველ-წლიური გადასახადი სანადელო ფულისა.

სარგებლის დაკლებას სანადელო ფულის გადახდის საქმეში ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხარჯის გადამხდელთათვის ეკონომიურად, რომ სწორედ ჰღირს ამ საგნისათვის თავის შეწუხება. ხუთ-პროცენტიანის სესხის მაგიერ რომ აღებულ იქმნას სესხი სამ ანუ სამ ნახევარ პროცენტად, იმდენი დააკლდება გლეხ-კაცის ყოველ წლიურს შესატანს, რომ თითქმის განახევრდება ეს შესატანი; ხოლო გადახდა 21 მანეთის მაგიერ 11 მანათისა ანუ 12 მანათისა წელიწადში დიდი საქმეა გლეხ-კაცისათვის. არავითარი საბუთი არ არის, რომ ისვე არ იქმნას გაკეთებული გლეხ-კაცობის მეურნეობის ფეხზედ დასაყენებლად, რაც იქმნა გაკეთებული მთავრობის მიერ თავად-აზნაურთა მიწად-მფლობელობის ინტერესებისათვის.

ხოლო ის ხარჯი, რაც საჭირო იქმნება ნადელების შესყიდვის საქმის გამგეობისათვის, აგრეთვე ხდა პროცენტებისა სესხად აღებულის თავნის ვალის გასასტუმრებლად, უნდა იტვირთოს მთლად სახელმწიფო ხაზინამა იმ სიმართლიანის მოსაზრებითა, რომ სახელმწიფო ხაზინისათვის ბევრად უფრო სახეიროა ყოველ-წლივ ცოტ-ცოტა გაიღოს გლეხ-კაცობის მიწად-მფლობელობის შესაწევად, ვიდრე უცბად მოსჭრას და გააბათილოს ანგარიშებში დიდ-ძალი ნედოიმკები, რომლის შემოსვლის იმედიც დაკარგულია.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აქ ის ფრიად საყურადღებო გარემოებაცა, რომ, როცა შესამჩნევად შეცოტავებულ იქმნება ნადელების შესატანი ფული, გლეხ-კაცის მეურნეობა ზურგს გაიმაგრებს და მაშინ ძნელი აღარ იქმნება მისთვის პირნათლად გაუძლვეს სხვა სახელმწიფო ხარჯებსა, და ამ სახით, თუ ხაზინა თავისას დაჰხარჯავს ნადელების შესყიდვის საქმეში, ანუ თუ ხაზინას დააკლდება რამ ერთგან, ერთი ორად შეემატება სხვაგან მით, რომ პირნათლად შეუვა სხვა გვარი გადასახადი გლეხ-კაცობისაგან.

III

ამ უკანასკნელს დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მთავრობამ იმ უწეს-ურიგო გარემოებას, რომელიც გამოიწვია დიდის ფულის ხდამ გლეხ-კაცობის მიერ ნადელების გამოსასყიდლად; მაგ ფულის ხდა არ ეშესაბამება გამოსასყიდელ მამულების შემოსავლიანობას და იმიტომ უჭირს გლეხ-კაცობას შესყიდვა ნადელებისა. ამ უწეს-ურიგობის ასაცილებლად მთავრობამ მიჰმართა სხვა-და-სხვა ღონისძიებას, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ის ღონისძიებანი, რომელთაც უნდა მიჰმართონ, ანუ რომელთაც უკვე მიჰმართეს ამ საქმეში ჩარეულმა სამინისტროებმა, სიმტკიცესა და გაბედულობას მოკლებულია. თითქო თვით სამინისტროებს არა სწამთ, რომ ეს ღონისძიებანი უშველის რასმე საქმესაო. ასეთის გაუბედაობისა და მერყეობის ხასიათისაა, მაგალითად, ის აზრიცა სახელმწიფო საბჭოსი, რომელიც უმაღლესად იქმნა დამტკიცებული 13 მაისს წარსულის 1896 წლისას და რომლითაც მოწონებულ იქმნა შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრისა, რომ ესა და ეს ღონე ვიღონოთ, რათა შევუმსუბუქოთ ყოველგვარ სოფლის მკვიდრთ ხდა მამულების შესყიდვის ვალისაო.*)

*) უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება იქმნას მიღებული, რათა გაუადვილდეთ სოფლის ყოველ-გვარ მკვიდრთ ხდა ნადელების შესყიდვის ვალისა, დაბეჭდილი იყო შარშან გაზ. „Кавказъ-“ში, № 131.

13 მაისის კანონის 1 მუხლით ფინანსთა მინისტრს ნება აქვს,—ოღონდ კი შინაგან საქმეთა მინისტრი და სახელმწიფო კონტროლიორიც დაიყაბულოს, ხოლო, როცა საჭიროა, დაითანხმოს სამხედრო მინისტრიცა,—ახალი ხანგრძლივი ვადა დაუდოს გლეხ-კაცობას ნადელების შესყიდვისათვის აღებულ ვალის სახდელად იმ შემთხვევაში, როცა ყოველ წლიური გადასახადი ამ ვალისა სამძიმოდ მიაჩნია სოფლის მკვიდრსა. მხოლოდ ამისათვის საჭიროა, რომ საგუბერნიო კრებულმა და საგუბერნიო და საოლქო საგლეხ-კაცო კრებულმა იშუამდგომლოს ვალის ვადის ასე გახანგრძლივებისათვის. გახანგრძლივება ვალისა მე-2 მუხლის ძალით შეიძლება 56 წლის ვადით, 41 წლის ვადითა და 28 წლის ვადითა, ხოლო მე-3 მუხლის ძალით სოფლის მკვიდრნი მოვალენი არიან იხადონ ყოველ წლივ მამულების შესყიდვის ვალის გასასტუმრებლად, თუ 56 წლით არის გახანგრძლივებული ვადა 4½% თუ 41 წლით—5%-ი და თუ 28 წლით—6%-ი მთლად იმ ფულისა, რომელსაც ვადა გახანგრძლივებია.

ამ სახით, სამგვარი გახანგრძლივება იქმნა შემოღებული 13 მაისის კანონით მამულების შესყიდვის ვალისა. ამ სამგვარში ცოტაოდნად შესამჩნევად შეუმსუბუქებს ტვირთს ვალით გაჭირვებულს გლეხ-კაცობას მხოლოდ პირველ გვარი გახანგრძლივება ვადისა 56 წლით, რადგან დანარჩენი ორი გვარი გახანგრძლივებისა შესამჩნევად არაფრით არ განირჩევა ნადელების შესყიდვის ვალის გადახდის დღევანდელ წესისაგან. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ 49 წლის ვადა ნადელების ვალის გადახდისა, დაწესებული შესყიდვის დებულებითა და ამ ოპერაციის წარმოების დარიგებითა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში შესამჩნევად გაგრძელდება ახალის კანონის განხორციელებისათანავე. ასეთი გაგრძელება ვადისა ხელ-საყრელი არ იქმნება მეტადრე იმ გლეხ-კაცთათვის, რომელთაც უხდიათ შესყიდვის ფული ცოტად თუ ბევრად დიდის ხნის განმავლობაში, მაგალითად, 30—35 წელს და რომელნიც დღეს იძულებულნი იქმნებიან 13 მაისის კანონი გამოიყენონ. ამ

გვარმა გლეხ-კაცებმა უნდა აძლიონ ხაზინას სარგებელი სესხად ალებულ ფულში დანარჩენ 19—24 წლის მაგიერ, მთელის 56 წლის განმავლობაში,. მართალია, მანეთ-ნახევრით ნაკლები ყოველ ნასესხებ ათ თუმანზედ, გარნა სამაგიეროდ 37—41 წლით მეტის ხნის განმავლობაში.

მთავრობის მიერ ამ ბოლოს დროს მიღებულ ღონისძიებათა შორის, რომელთაც აზრად აქვთ შეუმსუბუქონ გლეხკაცობას გადახდა ყოველ წლიურის შესატანისაცა და ძველის დარჩენილის გადასახადისაცა, 13 მაისის კანონი უფრო თავისებურია და ნიშნობლივი. თუ ერთის მხრით სჩანს, რომ მთავრობას ძალიან უნდა შეამციროს ნადელების შესყიდვის გადასახადი და მით წესიერს გზაზედ დააყენოს ნადელების შესყიდვის საქმე; მეორეს მხრით 13 მაისის კანონიც ვერ გადურჩა წინანდელ ღონისძიებათა ხვედრს, რომელთაც პალიატივების ხასიათი ჰქონდათ და რომელთაც არამც თუ არ მოსპეს მიზეზი ნედოიმკების გაზევრებისა, არამედ თითქო კიდევაც დააკანონეს წესიერად არ გადახდა ნადელების შესყიდვის ფულისა.

ეს ორმაგი ხასიათი ჩამოაცლის, ჩვენის აზრით, 13 მაისის კანონს იმ მნიშვნელობას, რომელსაც აძლევდა ფინანსთა სამინისტრო, როცა მის გამოცემას თხოულობდა. მნიშვნელობა მისი უფრო საეჭვო შეიქმნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ კანონის განხორციელება მოითხოვს მეტად დიდს მუშაობას, რომელსაც, ვეჭვობთ, გაუძლვნენ საგუბერნიო კრებულნი მოკლე ხანში. საქმე ის არის, რომ ყოველ თითოეულს შუამდგომლობას, ფულის ხდის შემსუბუქებისათვის აღძრულს 13 მაისის კანონის ძალით, წინ უნდა უძღოდეს დაწვრილებული გამოკვლევა ვალის უპირულ მხდელთა საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა. ვიმეორებთ, რომ ასეთი დიდი უბედურება, როგორიც არის სავსებით შეუტანლობა ნადელების შესყიდვის ფულისა, სხვა უფრო შესაბამის ღონისძიებით უნდა იქმნას თავიდან აცილებული; უბედურებას პირდაპირ უნდა გაუსწოროს კაცმა თვალი, უნდა აღვიაროს მისი არსებობა და შემდეგ ისე წავიდეს წინ დაუბრკოლებლივა და შე-

უჩერებლივ, თორემ მერყეობა და უსრული ღონისძიება, 13 მაისის კანონის მსგავსი, უფრო აწეწ-დაწეწავს საქმეს და ისე დახლართავს, რომ ბოლოს შეუძლებელიღა იქმნება მისი გამორკვევა და გათავება.

ასეთ შესაბამ და ძირითად ღონისძიებად უნდა იყოს მიჩნეული უეჭველად, როგორც ზემორედაც მოვიხსენეთ, ხუთპროცენტიანის ვალის შეცვლა სამ პროცენტიანად. ეს ჩვენი აზრი რომ შეუძლებელსა და აღუსრულებელს არას წარმოადგენს, ამის საბუთი არა ერთი და ორი შეიძლება წარმოადგინოს კაცმა. ჯერ ისევ შარშანვე დამტკიცდა ახალი კანონი სამელიორაციო კრედიტის შესახებ. ამ კანონის თანხმად, ფული ეძლევა სესხად ერობათა, სოფლის საზოგადოებათა და კერძო მამულის პატრონთა 20 წლისაზე არა მეტის ვადით, ხოლო სარგებელი უნდა იხადონ ფულის ამღებთ წლიურად ასზედ ოთხი მ. ანუ 4%. ეს არის სულ ფულის სარგებელიცა და თავნის ვალის გადახდის პროცენტიც.

ცხადია ყველასთვის, რომ ახალს კანონს გამოიყენებენ სამელიორაციო აზრით მხოლოდ ქალაქნი და კერძო მემამულენი. ეს კერძო მემამულენი, რა თქმა უნდა, უფრო დიდის მამულების პატრონები იქმნებიან. ფულის სესხება ჭაობიან ადგილთა გასაშრობად, ხევების გასამაგრებლად და ქვიშიან ადგილების გადასაქცევად სახნავ-სათეს მინდვრებად და ტყეების გასაშენებლად ძნელი მოსახერხებელია გლეხ-კაცობისათვის. ჩვენი უმეცარი უმრავლესობა გლეხ-კაცობისა ჯერ იქამდე არ მისულა, რომ გამოიყენოს ისეთი რთული კრედიტი, როგორიც არის სამელიორაციო კრედიტი. ცხადია, მაშასადამე, რომ ამ კრედიტს ხელს ჩასჭიდებენ უფრო შეძლებულნი და განათლებულნი ჯგუფნი მკვიდრთა, როგორნიც არიან მოქალაქენი და მემამულენი და აი სწორედ მათთვის მოახერხა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გაჩენა კრედიტისა 4 პროცენტად წელიწადში თავნ-სარგებლის გადასახდელად. გლეხ-კაცობას კი, ამ რიცხვით ყველაზედ მეტს და მასთან ყველაზედ უმწეო ჯგუფს მცხოვრებლებისას, უჩენენ კრედიტს $4^1/_2$, 5 და

6 პროცენტად და ისეთის ვადით, რომელიც ორჯელ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ის ვადა, რა ვადითაც აძლევენ სესხს სამელიორაციო აზრითა.

იმ სხვა-და-სხვა საეკონომიო და საფინანსო თვისების ღონისძიებათა დამახასიათებლად, რომელთაც აზრად აქვთ განკარგება სოფლის მეურნეობის ვითარებისა, მივაქცევთ პატარა ხანს ყურადღებას სათავად-აზნაურო და საგლეხ-კაცო ბანკების ისტორიას, აგრედვე ისტორიას ჩვენის პრიკაზისას. იქვე დაბადება-გაჩენიდანვე სათავად-აზნაურო ბანკს მტკიცედ აჩემებული მიმართულება დაეტყო. მაშინ როდესაც ბირჟაზედ თავისუფლად მუშაობდა ხუთ-პროცენტიანი ნადელების შესყიდვის მოწმობანი, რომელიც შემდეგ ხუთ-პროცენტიან სესხის ფურცლებად გადაიქცა, თავად-აზნაურობის ბანკმა შესაძლოდ დაინახა ეძლია სესხი მიწად-მფლობელთათვის 4½ პროცენტად. მაგრამ შეღავათად ეს არ იკმარეს. გაცემა სესხად ამ ბანკის მიერ იმოდენა ფულისა, რომ იგი ფული 75%-ს და კიდევ მეტს შეადგენდა დაგირავებულის მამულის ღირებულობისას, გადადება და თავ-წვრილად გადახდა შესატანის ფულისა, გადადება ვაჭრობისა, პატიება ჯარიმისა პირნათლად და ვადაზედ შესატანის გადუხდელობისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო სათავად-აზნაურო ბანკისა და მის საპროვინციო განყოფილებათა საქმეთ-წარმოებაში. ამ შეღავათიანის საკრედიტო დაწესებულების მსესხებელთ არ იკმარეს ესა და, ალბად, იმ აზრის მიმდევრობით, რომ „ნუ მოიღალება ხელი, გამცემი საბოძვარისა ხშირისაო“, დაუწყეს თხოვნა უმაღლესს მთავრობას კიდევ გვიშეღავათეთ რამე და კიდევ დაგვიკელით სარგებელიო. შესაძლოა, რომ ამისთანა თხოვნა-მუდარანი არ იქმნას შეწყნარებული, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი მეტად ახირებული და თავისებური პროექტი რომელლაც აზნაურშვილისა, ვგონებ, ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიის მცხოვრებლისა, რომელიც სთხოვდა მთავრობას, ასზედ ორი უნდა გამოართვათ სარგებელი, როცა თავად-აზნაური აგირავებს თავის მამულს ბანკშიო, იმიტომ რომ, თავად-აზნაურნი დიდს

მსხვერპლსა სწირავენ სამშობლოს საკურთხევლის წინაშე; ისინი ინახავენ და თავიანთის ხარჯით უძღვებიან გვარდიის კორპუსს და ამიტომ თავად-აზნაურნი ღირსნი არიან განსაკუთრებულის ყურადღებისა და მთავრობის მიერ შეწყნარებისაო.

სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს ისტორია საგლეხ-კაცო ბანკისა. ეს ბანკი დაარსდა იმ კეთილის აზრით, რომ შემწეობა აღმოეჩინა იმ გლეხ-კაცთათვის, რომელნიც მოინდომებდნენ მამულების შეძენასა. ამ აზრით, ბანკს უნდა ეძლია გლეხ-კაცთათვის ფული სესხად საშეღავათო პირობითა. აზრი ეს იყო და საქმე კი სულ სხვა დარჩა ძირსა. ათი წელიწადია არსებობს ამნაირი ბანკი და ამ ხნის განმავლობაში ხელი შეუწყო უფრო დარღვევას უიმისოდაც შერყეულ საგლეხ-კაცო მეურნეობისას, ვიდრე მის გამაგრებასა და გამტკიცებას. საქმე ის არის, რომ ეს ბანკი, აძლევდა რა სესხს გლეხ-კაცებს, თხოულობდა 20%-ი შემოიტანეთ ნაღდად იმისი, რაც ჰღირს მამული, რომელსაც ჰყიდულობთ ჩემის შემწეობა დახმარებითაო. გლეხ-კაცები შოულობდნენ ამ ფულს უღვთო სარგებლით, მიჰქონდათ ბანკში დასამატებლად, მაგრამ მალე სულ წელი სწყდებოდათ და სამის ოთხის წლის შემდეგ არა თუ ნაყიდს მამულსა ჰკარგავდნენ, არამედ ის ფულიც ეკარგებოდათ, რომელიც ნასესხი იყო დიდის სარგებლით და ნაღდად ჰქონდათ ბანკში შეტანილი მამულის ფასის დასამატებლად. ასეთმა სამწუხარო ნაყოფმა, რომელმაც თავი იჩინა ბანკის არსებობის ხანს ათის წლის განმავლობაში, საბედნიეროდ, მალე მოიყვანა გონს მისის ბედის გამგებელნი და, როცა გადასინჯეს წესდება საგლეხ-კაცო ბანკისა, სრულიად გამოტოვებულ იქმნა ის ადგილი, რომლის ძალითაც დასამატებელს ნაღდს ფულსა თხოულობდა ბანკი და რომელიც იქვე უხუთავდა სულს მათ მიერ წარმოებულს საქმეს.

რაღა ვსთქვათ ახლა კარგი და კეთილი შესახებ ჩვენის სვე-უბედურის პრიკაზისა, რომლის სავალალო სამკვიდრებელს ბოლოს უღებს ლიკვიდაციით აქაური განყოფილება სახელმწიფო ბანკისა და არ იქმნა ვერ კი მოუღო ბოლო? ამ დაწესებუ-

ლების დაარსების დღიდან, მეორმოცდა ათიან წელთა-შორის, თ. მიხ. სვ. ვორონცოვის ნამესტნიკობის დროს, დღევანდლამდე, ვგონებთ ერთი ისეთი უმაღლესი მანიფესტი არ გამოსულა, რომ მით რაიმე შეღავათი არ მიჰნიჭებოდეთ მის მსესხებელთ. უკანასკნელის მანიფესტით ეპატივათ უპირულ მსესხებელთ $1/6$ ნაწილი თავნის ფულისა და ზედ დარჩენილ შესატანისა, რომლის რაოდენობაც იმოდენა იყო, რომ ორჯელ-სამჯერ აღემატებოდა პირველში ნასესხებ ფულის რაოდენობას.

ყოველივე ესე იმიტომ კი არ მოვიხსენეთ, რომ ვითომ ჩვენ აზრად გვქონდეს ამ ამბავ-გარემოებათა განხილვა და განსჯა კრიტიკის თვალითა, არამედ იმიტომ რომ გვსურს მკითხველის ყურადღება ერთს მოსაზრებას მივაპყრათ. ეს ის მოსაზრებაა, სახელდობრ, რომ სამართლიანობა მოითხოვს ერთნაირად და თანაბრად მოვექცეთ მცხოვრებთა ყოველგვარს ჯგუფსა, მიუხედავად იმისა, თუ რომელს ჯგუფს რა საფეხურამდე აუღწევია საზოგადოებრივს კიბეზედა და იერარქიაში. თუ შესაძლებელია სესხი იქმნას გაცემული სამელიორაციო აზრით $4\%$-ად, თუ შესაძლებელია მიწად-მფლობელ თავად-აზნაურთ მივცეთ ფული სესხად $4\frac{1}{2}\%$-ად, ხოლო პრიკაზის მოვალეთ დაუსრულებლივ ეპატივოთ ხოლმე ნედოიმკები და თავდაპირველის თავნის ვალის ნაწილიცა, მაშ, უნდა ვიფიქროთ შესაძლებელია სესხი მიეცეს მიწად მომქმედს და მხვნელ-მთესველს გლეხ-კაცობასაც იმავ $4\%$-ად. ჩვენის ღრმა რწმენით, თუნდაც რომ ეს შესაძლო არ იყოს, უსათუოდ საჭიროა, ეგ შეუძლებელი საქმე შესაძლოდ გარდიქმნას როგორმე. დროა მიტოვებულ იქმნას გზა პალიატივებისა და შეკრეჭილ-შეკვეცილ ღონისძიებათა და ბოროტება, მღრღნელი ერის მეურნეობისა, ამოითაქოს ძირიან-ფესვიანად. ნადელების შესყიდვის ვალის ყოველ-წლიურ გადასახადთა ერთი ორად შემცირება, რასაკვირველია, ყველაფრის გამკურნავი მალამო არ არის და ეგ ღონისძიება ვერ მოსპობს ყველა იმ უბედურებას, რომელიც ძირს უთხრის ხალხის მეურნეობას, მაგრამ გლეხ-კაცის ყოფა-ცხოვრებაში იმ გარდასახადის ძლევას ისეთი

დიდი და შესამჩნევი მნიშვნელობა აქვს, რომ, უეჭველია, ამ გარემოებას საპატიო ადგილი უნდა დავუთმოთ იმ უმთავრეს გარემოებათა შორის, რომელნიც ერის საეკონომიო ცხოვრებას, საითაც უნდათ, იქით უტრიალებენ თავს.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ კიდევ უფრო საოცარ ამბავს მოგითხრობთ იმისას, თუ რაოდენად დამღუპველია გლეხ-კაცობისა, როცა ნადელების შესყიდვისათვის დიდის ვალის ყოველწლიური შესატანი არა აქვს შეწონილი მამულების შემოსავალს. ხოლო ახლა ვიტყვით, რომ რუსეთის მილიარდამდე ასული ბიუჯეტი, რომელიც იტანს, უმაღლესის სახელმწიფო მოსაზრების სასარგებლოდ, ყოველ-წლივ 200—300 მილიონ მანათის გადადებას დიდის საციმბირო გზის კეთებისათვის, იმ გზის კეთებისათვის, რომელიც მხოლოდ შემდეგ საუკუნეში მოიტანს შესამჩნევს სარგებლობას, აიტანს და გაუძლებს ნადელების შესყიდვის გადასახადთა ერთი-ორად შემცირების სიმძიმესაც.

## IV

საუკეთესო დასურათება იმისი, თუ რა დამღუპველი იყო დიდის სარგებლით ხდა ნადელების შესყიდვისათვის აღებულის ვალისა იმ გლეხ-კაცთათვის, რომელთაც საკუთრებად შეიძინეს მთავრობის დახმარებით თავისი სანადელო მამულები, არის საეკონომიო გამოკვლევა სოფ. კონდოლის გლეხ-კაცთა ყოფა-ცხოვრებისა თელავის მაზრაში. ეს გამოკვლევა მოჰხდა ზემოხსენებულის 7 თებერვლის 1894 წლის კანონის ძალითა და თანხმად იმ პროგრამისა, რომელიც ზედ ჰქონდა დართული ინსტრუქციას ნადელების შესყიდვის ნედოიმკათა შეტანის გადადებასა და ნაწილ-ნაწილ გადახდის შესახებ. მაგრამ ვიდრე მოვიყვანდეთ სამაზრო კრების მიერ აღმოჩენილ ცნობათა, საჭიროდ მიგვაჩნია წინ წავიმძღვაროთ რამდენიმე შენიშვნა ნადელების შესყიდვის საქმის შესახებ ტფილისის გუბერნიაში. უამისოდ შემდეგს ჩვენს საუბარს ნათლად ვერ გაიგებს ის

მკითხველი, რომელმაც არ იცის, როგორ სწარმოებდა ისტორიულად ეს საქმე.

ტფილისის გუბერნიაში ჰმოქმედობს არა საზოგადო დებულება ნადელების შესყიდვისა, არამედ მასთან შეფარდებული და უმაღლესად მოწონებული 1868 წელს ბრძანება-დარიგება ნადელების შესყიდვისათვის ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში,ესრედ წოდებული „ნაკაზი". ამ უკანასკნელს გუბერნიას, თვისის განსაკუთრებულის საეკონომიო ვითარების გამო, რაზედაც აქ უადგილოა სიტყვა განვაგრძოთ, სრულიად არ მიუმართავს ნადელების შესყიდვის ფონდისათვის და ერთი შემთხვევაც არა ყოფილა იქ ნადელის შესყიდვისა მთავრობის დახმარებით. აქ არ გამოვეკიდებით დაწვრილებით იმ მიზეზების გამოკვლევას, რომელმაც გამოიწვია ეს ფრიად საინტერესო და მასთან საოცარი ამბავი ჩვენის საერო ცხოვრებისა, ხოლო არ შეგვიძლიან მაინც არა ვსთქვათ, რომ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ამისი უნდა ყოფილიყო მცირე-მამულიანობა ქუთაისის თავად-აზნაურობისა. თუ სხვა გარემოებანიც ერთი და იგივეა, იმ გლეხ-კაცს უფრო ადვილად შეუძლიან შეიძინოს მამული ქუთაისის გუბერნიაში 10—15 ქცევის პატრონისაგან, რომელსაც 400—500 მანათი შეუქუჩებია, ვიდრე იმ გლეხ-კაცს, რომელსაც, თუმცა ამდენივე ფული აქვს ხელად, მაგრამ სამაგიეროდ მემამულეს, მომეტებულ ნაწილად 2.000 და 3,000 დღიური მიწები აქვს საკუთრებად გადაჭიმული, როგორც ეს ტფილისის გუბერნიაშია.

დიდის მემამულესათვის 400-500 მან., რომელსაც გლეხი შეაძლევს მამულის ამა თუ იმ ნაჭრისათვის, სრულიად არავითარი სულის-წასაძლევი არ არის. თუ გაუჭირდა და ფული გაუხდა საძებრად, იმდენი დასჭირდება, რომ იმოდენა ფულს თხელი ჯიბე გლეხ-კაცისა ვერ შეაძლევს. ასე იყო აქამდე და ასე იქნება ალბად ჯერ კიდევ დიდხანსა. აი სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დიდის მამულის პატრონები ტფილისის გუბერნიაში უფრო მეტის სიამოვნებით მიჰმართავდნენ ხოლმე ნადელების შესყიდვის ფონდს და სრულიად უარ-ჰყოფდნენ სათითაო, ცალ-ცალკე წინადადებას გლეხისასა ნადელის შესყიდვის

თაობაზედ. კანონი, რასაკვირველია, წინააღმდეგი არ არის, რომ შემწეობა მიეცეს ყოველს ცალკე კომლსაც, რომელიც კი მოინდომებს თავის სანადელო მამულის შესყიდვას, მაგრამ ნამდვილად კი ასეთი შემთხვევა იშვიათია ცხოვრებაში, იმიტომ რომ შედგენა შესყიდვის განაჩენისა უფრო მეტს ხარჯს მოითხოვს, ვიდრე რასაც ფულს მთავრობა გადასწყვეტს, მიეცით სესხად ნადელის შესყიდვის მსურველსათ.

ასეა თუ ისე, ნამდვილი მაინც ნამდვილი დარჩება. ქუთაისის გუბერნიის გლეხ-კაცობამ არ მიჰმართა ნადელების შესყიდვის ფონდს, არ მოინდომა მისი დახმარება და იქიდან ფულის აღება ვალად და მიჰყო ხელი ნადელების შესყიდვას საკუთარის ხარჯითა და შეძლებითა, რისთვისაც ნება-ყოფლობით მოურიგდებოდა ხოლმე თავის ნაბატონრებს. სულ დროებით ვალდებულ გლეხთა რიცხვი იყო 1869 წელს ქუთაისის გუბერნიაში უსტავნი-გრამოტებით 49,261 კომლი; ამათში 1889 წლამდე შეისყიდა ნადელები 24,244 კომლმა, ყველა დროებით ვალდებულ გლეხთა ნახევარზედ მეტმა რიცხვმა. ყველაზედ უფრო სანდო ცნობით, ქუთაისის გუბერნიის გლეხ-კაცობამ შეიძინა საკუთრებად, მთავრობის დაუხმარებლად, 104,165 დესეტინა და გაიღო ამ მამულებში 4.833,258 მილ. *) ამას რომ მივუმატოთ ის ფულიცა, რაც დაიხარჯებოდა განაჩენების შედგენასა, ნასყიდობის წერილებისა და სხვა საჭირო საბუთების შეძენისათვის, გამოვა რომ 30 წლის განმავლობაში, მას უკან რაც ბატონყმობა გადავარდა, ქუთაისის გუბერნიის დროებით-ვალდებულ გლეხ-კაცობას დაუხარჯავს საკმაოდ დიდი ფული, დაახლოვებით 6 მილიონამდე სახნავ სათესის მამულების შესაძენად; დაუხარჯავს ამასთანავე ეს ფული ისე, რომ ერთი კაპიკიც-კი არ უსესხნია მთავრობისაგან.

სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს ტფილისის გუბერნია, სადაც ნადელების შესყიდვა საკუთარის ხარჯითა და შეძლებით

*) იხ. Сводъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи въ Тифлисской и Кутаисской губерніяхъ, изд. закав. стат. комитета, г. Тифлисъ, 1893 г. стр. 13

ყოვლად მცირე პროცენტს შეადგენს იმასთან შედარებით, რაც ამ მხრივ მეზობელ ქუთაისის გუბერნიაში მოჰხდა. აი, მაგალითად, ბატონ-ყმობის გადავარდნიდან (1864 წელი) 1 იანვრამდე 1895 წლისა ტფილისის გუბერნის გლეხ-კაცობის მიერ შეძენილ იქმნა მთავრობის დაუხმარებლად სულ სამოსახლ-კარო ადგილი 25 დესეტინა 925 ოთხ-კუთხი საჟენი, მინდვრის მამული 655 დესეტ. 1897 ოთხ-კუთხი საჟენი, ხეხილიანი ვენახები 80 დესეტ. 1636 ოთხ-კუთხი საჟენი და ტყე 50 დესეტ. აი მთლად ის რაოდენობა მამულ-დედულისა, რომელიც შეიძინეს დროებით-ვალდებულმა გლეხებმა ტფილისის გუბერნიაში თავიანთის ხარჯით 30 წლის განმავლობაში! ეს რაოდენობა კიდევ უნდა შეცოტავდეს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ 80 დესეტინა ხეხილიანის ვენახებისა შეუსყიდველადაც გლეხებს უნდა ჰრგებოდათ. საქმე ის არის, რომ კახეთში ისეთი წესია, რომლის ძალითაც ვენახი, გაშენებული გლეხ-კაცის შრომით მემამულეს მიწაზედ, თუ ეს მიწა შემდეგ გლეხ-კაცის ნადელში მოჰყვა, უნდა შუა გაიყოს და ნახევარი ერგოს მემამულეს და ნახევარი გლეხს. მაშასადამე, 80 დესეტინა ვენახები, რომელიც დღეს გლეხ-კაცობის საკუთრებაა, ფულის გაუღებლადაც გლეხებს ერგებოდათ ახლა.

ბევრად უფრო წარმატებით მიდიოდა საქმე ნადელების შესყიდვისა ტფილისის გუბერნიაში მთავრობის დახმარებითა. ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს იყო 14,230 კომლი დროებით ვალდებულ გლეხთა, ანუ 57,632 სული მამრობითის სქესისა. სახლ-კარის ადგილი და ვენახები რომ არ ვიანგარიშოთ, ნადელში ერგოთ თითქმის ნახევარი იმ მამულისა, რაც მიწები ეჭირათ, სახელდობრ 55,670 დესეტინა მინდვრის ურწყავი და სარწყავი მიწები, ორთა შუა რიცხვით კომლზედ 3,9 დესეტ., ხოლო სულზედ ერთს დესეტინაზედ ნაკლები. *) რაღა თქმა უნდა, რომ ნადელში არ ერგოთ ტფილისის გუბერნიის

*) იხ. ზემორე ნაჩვენები Свѣд-ი, გვ. 12.

გლეხებს, როგორც არც სხვა გლეხებსა ამიერ-კავკასიისას, არც ცალკე ადგილები საძოვრად, არც საიალალო საძოვრები, არც ტყეები და არც პატარა კორდი მინდვრები, რომლებიც თითქმის სულ არც-კია ამიერ-კავკასიაში. რაც ნადელები იყო, იქიდან გამოსყიდული იქმნა გლეხ-კაცების მიერ 1 იანვრამდე 1895 წლისა 13,580 დესტ. 404 ოთხ-კუთხი საჟენი 3164 კომლისაგან. შესყიდვის ფული იქმნა სესხად მიცემული 755, 082 მან. 79 კაპ. ამ ცნობათაგან სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში მოსაკუთრედ გადაიქცა თითქმის ¼ ყველა ნაყმევ გლეხთა რიცხვისა და ამ შედარებით მცირე ნაწილმა გლეხ-კაცობისამ დაიდო ნედოიმკად შესყიდვისათვის ნასესხებ ფულის თავნ-სარგებლის ხვედრ შესატანის შეუტანელობისათვის 160,000 მანეთამდე, ორთა-შუა რიცხვით, თითქმის 54 მანეთი. კომლზედ. *) რაოდენობა ნადელის შესყიდვის სესხისა, რომელიც ეძლევა თითოეულს კომლს, ერთისა და იმავე ზიდიდისა არ არის მუდამ. მეტ-ნაკლებობა მისი დამოკიდებულია იმაზედ, თუ რაოდენი ნადელი აქვს მიზომილი გლეხ-კაცს და ამ ნადელიდან რამდენის შესყიდვას აპირობს. არიან ისეთნი კომლნი, რომელნიც აღებულის სესხისათვის იხდიან თანვ-სარგებელში წლიურად სულ ბევრს 21 მან., გარნა არიან ისეთნიცა, რომელთაც შეაქვთ ხაზინაში სულ 10—12 მან. ორთა-შუა რიცხვით 15 მან. რომ ვივარაუდოთ შესატანი ფული კომლზედ, აღმოჩნდება, რომ ნედოიმკად დასდებიათ თითქმის სამის წლის შესატანი. ცალკ-ცალკე სოფლობითა და მამულების შესყიდვით სოფელ-სოფელ სულ სხვას დავინახავთ, ისე რომ ზემოხსენებული სავარაუდო ანგარიში ნამდვილს სურათს ვერ დაგვიხატავს მამულის საკუთრებად შემძენელ გლეხ-კაცთა სილატაკისას, რადგან ზოგიერთ სოფლებში ნედოიმკა 10—15

*) უადგილოდ არ მაგვაჩნია ვსთქვათ აქა, რომ ნადელების შესყიდვის ოპერაცია სრულიად არ შეეხება გუბერნიებს: ბაქოსას, ერევნისას, განჯისას და ნაწილს ტფილისისას, სახელდობრ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს და ტფილის-ბორჩალოს მომრიგებელ განყოფილებას. აქ მოსახლე გლეხებს და ხიზნებს ნება არა აქვთ მიჰმართონ დახმარებისათვის ნადელების შესყიდვის ფონდს, თუ ვინიცობაა მოინდომეს შეძენა საკუთრებად იმ მამულებისა, რომელიც სახმარად უჭირავთ.

წლის შესატანს უდრის, როგორც, მაგალითებრ, სოფელს ნაფარეულში, სადაც 1 იანვარს 1896 წელს იქაურ გლეხ-კაცობას ჰქონდა ნედოიმკა 40,633 მან., ანუ საშუალოდ თვითეულს კომლს, მამულის შემსყიდველს, დაედო 226 მანეთამდე; ხოლო თუ გამოვრიცხავთ 40 ამომწყდარს კომლს, გამოვა, რომ თვითეულს დღევანდელს კომლს ადევს 310 მანეთამდე ნედოიმკა.

ზემორე მოვიხსენიეთ უკვე რომ ნადელების შესყიდვის ნედოიმკებით ტფილისის გუბერნიას ერთი საპატიო ადგილთაგანი უჭირავს შიდა გუბერნიების ნედოიმკიან სიაშიო. აქ მოყვანილი ციფირები უფრო ნათლადა და ცხადად ჰმოწმობს, რა უმწეო და საცოდავს ყოფაშია დიდი უმრავლესობა მამულის საკუთრად შემძენის გლეხ-კაცობისა, ვიდრე ის ცნობანი, რომელიც გამოაქვეყნა სახელმწიფო ბანკმა. რომელღაც გერმანელმა პოლიტიკო-ეკონომოსმა სთქვა, რომ თუ სულ ნედოიმკად დარჩა გლეხ-კაცზედ ის, რაც წლის განმავლობაში უნდა შეეტანა, ამ ამბავს ისე უნდა შევხედოთ, როგორც ისეთს გარემოებას, რომელიც საშიშოა სახელმწიფოს კეთილ-დღეობისათვისაო და იმიტომ არა-ჩვეულებრივი ღონის-ძიებანი უნდა იქმნას მიღებული ასეთის უწესო მოვლენის მიზეზთა მოსასპობადაო. თუ ეს აზრი გერმანელის სწავლულისა მართალია, მკითხველისათვის მიგვინდვია, მაშ, რომ მან განსაჯოს, რაოდენად საშიშია სახელმწიფოს ინტერესებისათვის საარაკო დავალიანება ჩვენთა ნადელების მოსაკუთრე გლეხ-კაცთა, რომელთა შორის ზოგნი უკვე ამოწყვეტისა და გადაშენების გზაზედ სდგანან.

## V.

შევუდგეთ ახლა იმ ცნობათა განხილვას, რომელიც შეჰკრიბა სამაზრო კრებამ სოფელ კონდოლის საკუთარ მამულის პატრონ გლეხ-კაცთა საეკონომიო ყოფა-ცხოვრების შესახებ.

1893 წელს ოქტომბერში ამ გლეხთა ამორჩეულმა კაცებმა მიართვეს საგუბერნიო მთავრობას არზა და აუხსნეს, რომ ზედი-ზედმა მოუსავლიანმა წელიწადებმა და უამინდობამ ჩვე-

ნის სოფლის ხალხი დიდს გაჭირვებასა და სილატაკეში ჩაავდოვო; რომ ჩვენი სახნავ-სათესი მამულები მოუხნელ-მოუთესველი გვრჩება, რადგან საკვების უქონლობამ გაგვიწყვიტა საქონელიო; ვენახები—ეს ერთად-ერთი წყარო ჩვენის არსებობისა—გვიხმება, რადგან სარი მეტად გაძვირდა და შეძლება კი არ მოგვეძებნება შევიძინოთ ხოლმე ეს ვენახისათვის უსაჭიროესი მასალაო; ყოველ ამ მიზეზების გამო არ შეგვიძლიან ერთსა და იმავე დროს ვიხადოთ სახელმწიფო ხარჯიცა, საერობო გარდასახადიცა და ნადელების შესყიდვაზედ დადებულის ვალის თავნ-სარგებელიცაო. ამიტომ გთხოვთ სრულიად გაგვანთავისუფლოთ ნადელების ფულის ხდისაგან და ჩვენი გამოსყიდული მამულები ისევ ხაზინას დაუბრუნოთო. გლეხ-კაცების თხოვნა გაეგზავნა შესამოწმებლად მომრიგებელ შუა-კაცსა, რომელმაც სცნა, რომ ჩივილი და ღრტვინვა კონდოლელებისა საზოგადოდ სიმართლეს არ არის მოკლებულიო; ამას გარდა აღმოჩნდა ისიცა, რომ ნედოიმკებს დაეწყოთ მატება 1885 წლიდანვე და 1893 წლის დამლევს მათი რაოდენობა ასულიყო 7 ათას მანეთამდე. სხვა-და-სხვა უბედობათა შორის, რომელსაც უჩიოდნენ გლეხნი, ყურადღების მისაქცევი იყო ჭირნახულის მოცდენა და მოუსავლობა რამდენსამე წლის განმავლობაში ზედი-ზედ, დასეტყვა მამულებისა, წყალ-დიდობა, სიძვირე სარ-ჭიგოსი, უქონლობა საძოვარ ადგილებისა და ვაზის ავადმყოფობა ობითა და ნაცრით, რომლებიც აოხრებდა კახეთის ვენახებს და, მათ შორის, კონდოლელების ვენახებსაცა. მაგრამ რადგან ეს ცნობანი საკმაო არ იყო შუამდგომლობის ქაღალდის გასაგზავნად ფინანსთა სამინისტროში და არზის მიმრთმეველთათვის შეღავათის სათხოვნელად, ამიტომ მათი თხოვნა გადაეცა სამაზრო კრებას ცნობათა შესაკრებად იმ პროგრამით, რომლითაც თხოულობდა მათს შეკრებას 1894 წლის 7 თებერვლის კანონი.

კრების მიერ შეგროვილ ახალ ცნობათაგან აღმოჩნდა, რომ სოფელს კონდოლში ექვსჯერ იქმნა ცალკ-ცალკე შესყიდული 1874—1875 წელთა შორის მამულები ექვსის ცალკე

მემამულისა. შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო სულ 53 კომლმა კაცმა, ხოლო გაყრის გამო დღეს მხოლოდ 93 კომლია, 5 კომლი კი ამოსწყდა კვალ-წმინდათა. 93 კომლში არის 443 სული, რომელთა გამოსაკვებად საჭიროა ყოველ-წლივ 2,474 კოდი (კოდი 2 ფ. და 10 გირვ.) სულ ჰქონდათ მამული: მთავრობისაგან ვალად აღებულ ფულით გამოსყიდული 219 დესეტინა 1548½ ოთხ-კუთხი საჟ., ამაში მინდვრისა იყო 119 დესეტინა 2,180 ოთხ-კუთხი საჟენი; საკუთარი 30 დესეტინა 600 ოთხ-კუთხი საჟენი და იჯარით აღებული 107 დესეტინა 1000 ოთხ-კუთხი საჟენი, სულ 357 დესეტინა 748½ ოთხ-კუთხი საჟ. 1893 წელს დასთესა 93 კომლმა პური 189 დესეტინა 420 საჟ., ქერი 15 დესეტ. 1800 საჟ., სიმინდი 44 დესეტ. და ფეტვი 600 საჟ., სულ 248 დესეტ. 420 საჟ. ხოლო მოვიდა, იმ ხარჯს გარდა, რაც ღალასა და თესლს მოუნდა, პური 828 კოდი 25 გირვ., ქერი 81 კოდი 3 გირვ., სიმინდი 139 კოდი 45 გირვ. და ფეტვი 2 კოდი 8 გირვ., სულ 1,049 კოდი.

1893 წელს ადგილობრივ იყიდებოდა კოდობრივ: პური— 3 მან. 50 კაპ., ქერი—2 მან., სიმინდი—2 მან. 40 კაპ., ფეტვი— 1 მან. ვენახები ჰქონდა ყველა ზემოხსენებულს კომლს 28 დესეტ. 1428 ოთხ-კუთხი საჟ. ღვინო მოვიდა 41¹⁹/₂₀ საპალნე, რომლის ფასი იყო 18—50 მანეთამდე. გასყიდულ ღვინოში აღებულ იქმნა იმ წელს 908 მან. 30 კაპ., ჭაჭასა და სპირტში— 116 მან. 70 კაპ., სხვა-და-სხვა მუშაობითა და სანოვაგეს გასყიდვით 8418 მან., სულ 9,443 მან. ფულის ხარჯი იყო 1893 წელს: ნადელების შესყიდვის თავნ-სარგებელში 828 მან 90 კაპ., სახელმწიფო ხარჯი და საერობო გარდასახადი 704 მან. 60 კაპ., სარისა და ჭიგოს სასყიდლად 565 მან. 75 კაპ., შეშა-ფიჩხი—413 მან., საზოგადო ხარჯათ—545 მან. 15 კაპ. და საეკლესიო კრებულისა 435 მან. 48 კაპ., სულ 3,492 მან. 80 კაპ. საქონელი აღმოჩნდა: ცხენი—4, ხარი და კამეჩი— 133, ძროხა და ფურ-კამეჩი—30, ცხვარი—120 და ღორი— 70. ვირი არავის არა ჰყავდა. კერძო ვალის რაოდენობა

აღმოჩნდა 17,206 მან. 60 კაპ., რაშიც სარგებელი ეძლეოდათ ფულის პატრონთ 6-დან 70% ასსზედ. ნედოიმკები ნადელების შესყიდვის ფულისა იყო 1894 წლის 1 იანვრისათვის 7,234 მან. 20 კაპ., სხვა გადასახადებისა კი ნედოიმკად არც ერთი კაპიკი არ იყო.

ამ სახით, ეს საყურადღებო ცნობანი ამჟღავნებს, რომ ზემოხსენებულ კონდოლელთ იმდენი ჭირნახულიც კი ვერ მოჰყავთ, რომ სარჩოდ ეყოთ. 443 სულის სარჩოდ საჭიროა ყოველ-წლივ 2474 კოდი ხორბალი, მაშინ როდესაც 1893 წ. მოუყვანიათ 1049 კოდი, ხოლო თუ ქერს არ ვიანგარიშებთ, რადგან ქერს საჭმელად არა ჰხმარობენ,—968 კოდი. დანაკლისი 1506 კოდი უნდა ფასად ეყიდნათ; ხოლო თუ ორთა შუა რიცხვით კოდს 3 მანათად ჩავაგდებთ, კონდოლელებს დასჭირდებოდათ მარტო პურის შესაძენად 4,518 მან. ფულად შემოსავალი 1893 წლისა იყო 9,443 მან. ხოლო ხარჯი 3,492 მან. 80 კაპ. დაუმატეთ 4,518 მანათიცა და გამოვა 8,010 მან. 80 კაპ. ყოველ-წლიურს ხარჯს ფულად უნდა მივათვალოთ სარგებელიცა, რომელსაც აძლევენ კონდოლელნი ვალად აღებულ ფულშია. ორთა შუა რიცხვით თუ 50% ავიღებთ ყოველ ას მანათზე, გამოვა, რომ 17,206 მან. 60 კაპიკში უნდა აძლიონ წელიწადში არა ნაკლებ 850 მანათისა. ამ გვარად ფულად ხარჯი შესდგება წელიწადში 8,860 მან. 80 კაპ. მაგრამ ეს არა კმარა და საჭიროა კიდევ ფული ისეთის საგნების მოსაპოვებლად, ურომლისოდაც იოლად ვერ წავა ყველაფრის დამთმენი გლეხ-კაცის ოჯახიცა: ტანსაცმლის ყიდვა დაუჯდება თითოეულს სულს, სულ რომ ცოტა ჩავაგდოთ, 5 მან., რაიცა შეადგენს წელიწადში 2,215 მან., ხოლო სხვა ხარჯთან ერთად შესდგება 11,075 მან. 80 კაპ. გამოვიღეთ აქედან შემოსავალი 1893 წლისა და აღმოჩნდება, რომ ხარჯი აღემატება შემოსავალს 1632 მანათითა და 80 კაპეიკითა ანუ კომლზედ მოვა ხარჯი მეტი შემოსავალზედ 17 მან. 55 კაპ. ამას უნდა მიემატოს კიდევ ხარჯი ავეჯის შესაკეთებელი, ახალის ავეჯის სყიდვისა, სრულის შეკეთებისა, სულ არა

ნაკლებ 20 მანათისა წელიწადში კომლზედა და გამოვა, რომ ყოველ-წლივ თითოეულ გლეხ-კაცის ოჯახს ვალად ედება საკმაოდ დიდი ფული 37 მან. 55 კაპ. რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ რომ კონდოლელ გლეხ-კაცობას დაატყდა თავს ნედოიმკები მამულის შესყიდვის ვალისა 7 ათას მანეთზედ მეტი, ორთა-შუა რაცხვით კომლზედ 77 მან. 88 კაპ.

სამაზრო კრებამ შეჰკრიბა ზემოხსენებულნი ცნობანი და ყველა მენედოიმკენი სოფ. კონდოლისა შეძლებისამებრ სამს კატეგორიად გაჰყო: პირველ კატეგორიაში მოაქცია 63 კომლი (68%), მეორეში ნაკლებად შემძლებელნი 11 კომლი (12%) და მესამეში შეძლებულნი 19 კომლი (20%). პირველ კატეგორიის გლეხ-კაცთა მეურნეობა და უნარი ხარჯის ძლევისა იმდენად დაქვეითებულია და დაუძლურებული, კრების აზრით, რომ მათთვის საჭიროა ყოვლადი შემწეობა და შეღავათი მთავრობის მხრივაო. ამ კატეგორიის გლეხ-კაცობას სულ უნდა ეპატივოს ნედოიმკები, ან ნაწილი მაინცა მათიო, თორემ სხვა ფრივ ვერა ღონისძიება იმათ ვერას უშველისო. მეორე კატეგორიას საჭიროა ნაწილ-ნაწილ ერთვას ეგ ნედოიმკები მთელ იმ ხნის განმავლობაში, რა ხანიც არის დარჩენილი ნადელების შესყიდვის ვალის გადახდამდეო, ხოლო მესამე კატეგორიას, თუმცა ამ კატეგორიაში უფრო „შეძლებულნი“ ურევიან, საჭიროა, რადგან კერძო ვალი ადევთ ბლომად, ათის წლობით გაუნაწილდეთ ნედოიმკის ხდა თავ-წვრილადაო. ხოლო თავს-მჯდომარე კრებისა, ბ-ნი განსევიჩი, იმ აზრისა იყო, რომ, რადგან შეუძლებელია ყოველ-წლიურს გადასახადს მიემატოს რამე, სჯობს მთლად, რაც ნედოიმკებია, ზედ შეეკეცოს თავნს ვალსა და მერე ვალი ისე იხადონ, როგორც აწესებს ბრძანება-დარიგება ნადელების შესყიდვის ოპერაციისაო.

სხვა მენედოიმკეთა მდგომარეობაც, თითო-ოროლა ბედნიერთა გარდა, არაფრით არ განირჩევა ზემორე დასურათებულ სავალალო ყოფისაგან იმ კონდოლელთა, რომელნიც ნადელების შესყიდვისათვის დიდმა ვალის ხდამ აიძულა უარი ეთქვათ თავიანთ მარჩენელ მამულზედა და სთქვეს კიდევაც, არ გვინდა სა-

კუთრებად მამული, ისევ ხაზინამ წაიღოს, ოღონდ კი ამ ნედოიმკებს მოგვარჩინეთ და მისის შესყიდვის ვალის ხდისაგან გაგვანთავისუფლეთო.

კიდევ უფრო უარესს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ნაფარეულელნი, რომელთაც თავსა აქვთ დატეხილი 33,406 მან. ნედოიმკები ნადელების შესყიდვის ვალისა. ეს ოდესმე აღყვავებული და მდიდარი სოფელი ლამის კვალ-წმინდად ამოწყდეს, როგორც ამბობს ხარჯ-აკრეფის ინსპექტორი, რომელმაც გამოიკვლია სამეურნეო ყოფა-ცხოვრება ნაფარეულელ მცხოვრებლებისა. „ბავშვებიო,—ამბობს ინსპექტორი,—ისე იხოცებიან, როგორც ბუზები“. 148 კომლში, რომელთაც გაჰბედეს შესყიდვა ნადელებისა მთავრობის დახმარებით, 40 კომლი უკვე ამოწყდა. ასეთს კომლობრივს ამოწყვეტას და სიკვდილის სიხშირეს ყოვლად-საუბედურო მნიშვნელობა აქვს ნაფარეულთათვის. ამისთანა ამბავს შედეგად ის მოჰყვება, რომ მუშა ხელი სულ შემცირდება ბოლოს სოფელში. ხშირი ავადმყოფობა ძალ-ღონეს აცლის მუშა კაცსა და მის მუშაობას ბარაქას უკარგავს. საცოდავად გამხდარი და გაყვითლებული სახე ნაფარეულის სოფლის მკვიდრთა ჰმოწმობს, რომ არავითარი პირის პატავი არ არსებობს მათთვის; პირის პატივს კიდევ ვინ იჩივლებს, რომ კუჭს მაინც იძღობდნენ. ხშირი სიკვდილი და ამოწყვეტა ნაფარეულელებისა პატივცემულმა მკვლევარმა ახსნა მით, რომ სოფელს ნაფარეულს გლახა ტოფოგრაფიული მდებარეობა აქვსო, მაგრამ ჩვენ გავკადნიერდებით და ეჭვის თვალით შევხედავთ ასეთს განმარტებას. მის-მიერ შეკრებილ ძვირფას ცნობათაგან სჩანს, რომ ნაფარეულელთ, სანადელო მიწებს გარდა,—რასკვირველია, ვიტყვით ჩვენ, ყოვლად მცირესა და ნაკლებს გარდა, — არავითარი სხვა მამულები არა უჭირავთ-რა. შერჩენიათ მხოლოდ ცარიელი სასერვიტუტო უფლება საქონლის ძოვებისა უხნავ და რცხალს მიწებშია და ნაწვერლებში; ჭიგოსარს მეტად ძვირფასადა ჰყიდულობენ, რის გამოც ვენახების შემუშავება ყოვლად უვარგისია. ვიდრე ნადელების შესყიდვას გაჰბედავდნენ, ნაფარეულელებს ჰქონდათ 520 დღის ვენახები;

ნახევარი ამ ვენახებისა გაყოფის შემდეგ ნაბატონარმა ირგუნა; 49 დღიურამდე ვენახები შეუძენიათ თელავის მოქალაქეთა, რაიცა „იყო ნაყოფი საკრედიტო მორიგებისა ამ უკანასკნელთა და ნაფარეულელთა შორისაო“, როგორც ამბობს თვით მკვლევარი დიდის თავაზიანობითა და ყრუდა და დრკუთ სიტყვის გამოთქმითა; $3\frac{1}{2}$ დღის ვენახი მოჰყვა საუფლისწულო ვენახების სამზღვართა-შორის; $\frac{1}{2}$ დღისა ვიღაც ხიზანს უყიდნია; $\frac{1}{2}$ დღისა წყალს მოუგლეჯია და წაუღია. ყოველ ამას გარდა დარჩა 205 დღიური ვენახები, მაგრამ ამათშიც ვაზით სავსეა მხოლოდ 120 დღისა, ესე იგი 58%, დანარჩენი 62 დღისა გაპარტახებულია და ზედ ვაზები აღარა ხარობს; საზოგადოდ კი ვენახები ცუდად არის მოვლილი და ღვთის ანაბარად დატოვებული.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. 108 კომლში, რომელიც დღეს ნაფარეულშია, 53 კომლი უხაროა და რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ თქმა მკვლევარისა, ნახევარზედ მეტმა მიატოვა ხვნა-თესვა და გააპარტახტა ვენახებიო. ამ სამწუხარო გარემოების მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი: თურმე შემოსავალი ათისდღიურის ნადელისა, როცა რაოდენობა ნახნავისა 58% ია, შეადგენს მხოლოდ 11 მან. 59 კაპიკს; როცა 40%-ია — 8 მან. 28 კაპ. და როცა 23%-ია, — 4 მან. 79 კაპ. ათის დღიურის ნადელის შესყიდვის შესატანი კი, როცა ვალი 300 მანათია აღებული 6%-ად წელიწადში, 18 მანეთია. ცხადია, რომ, როცა ნადელს შემოაქვს 4 მ. 79 კაპ. — 11 მან. 59 კაპ., ხაზინაში 18 მანეთის შეტანა შეუძლებელია და მიზეზია იმისი, რომ ხარჯთ-აკრეფის ინსპექტორი ურჩევდა კრებას, საჭიროა ვიშუამდგომლოთ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ შეამციროს ნადელების შესყიდვის შესატანი 18 მან. 12 მანეთამდეო, ესე იგი 6 პროცენტიდან 4 პროცენტზედ ჩამოვიდესო.

ჩვენ-მიერ მოყვანილნი საბუთნი და ცნობანი თვალ-დათვალ ამოწმებენ, რომ შეუძლებელია ვიკმაროთ ფრთა-შეკვეცილი ღ.ონისძიებანი და პალიატივები; რომ ნელნელიმკალდ დარჩენილ გადასახადის გათავწვრილებითა და გადადებით საქმეს არა

ეშველება-რა, და რომ გლეხ-კაცთა მრავალის ოჯახის გადასარჩენად საჭიროა გაბედვით მოჰკიდოს ხელი მთავრობამ ისეთის ყოვლად საყურადღებო საგნის გადაწყვეტას, როგორიც არის, ყოველსავე ეჭვს გარეშე, საქმე ნადელების შესყიდვისა, როგორ ჩვენში, ისე შუა-გულ რუსეთშიაცა. ადგილობრივის ძალ-ღონით არ შეიძლება გამოხსნა ამ ნასკვისა; ამ საქმეს ორმა სამინისტრომ უნდა მოჰკიდოს ხელი—ფინანსებისამა და შინაგან საქმეებისამ; მხოლოდ იმათ შეუძლიანთ იტვირთონ მიღება ისეთის ძირითადის ღონისძიებისა, როგორიც არის დაკლება 2—3%-სა ყოველ-წლიურ გადასახადთათვის, და მხოლოდ ამისთანა ღონის-ძიებას შეუძლიან დაიხსნას საბოლოვო დაღუპვისაგან სხვა-და-სხვა ნაფარეულელნი, კონდოლელნი და სხვ. ვისაც რიგიანად ესმის, რას მოითხოვს ინტერესი სახელმწიფოსი ასეთს დიდს საქმეში, იმისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ რაც მალე გავა უმაღლესი მთავრობა რუბიკონში, მით უკეთესია.

ნადელების შესყიდვის გარდასახადის შემცირების საქმემ ჩვენშიაც იჩინა თავი 1886 წელს. ტფილისის სახაზინო პალატამ ჩამოაგდო მაშინ პირველად ლაპარაკი ამ საგნის შესახებ; შემდეგ მთავარ-მართებლის საბჭოშიც შეუდგნენ მის განსჯასა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო მსვლელობა აღარა მიეცა-რა. პალატა ამბობდა მაშინ, რომ ეგ გადასახადი შევამციროთ ½ %-ით ყოველ მანათზე იმ ფულისათვის, რაც ნადელების გამოსასყიდლად ვალი აქვს გლეხ-კაცობას აღებულიო და ეს შემცირება შეეხოს ტფილისის გუბერნიის ყოველ სოფელს, რომელიც კი დატვირთულია ნედოიმკებითა, მზგავსად იმისა, როგორც მოჰხდა ესეთი შემცირება ზოგიერთს შიდა გუბერნიაში უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრისამებრ (ბრძანება უმართებულესის სენატისადმი 8 იანვარს 1882 წელს, № 115.) ნახევარ პროცენტით შემცირება გარდასახადისა ახლა არავითარს სარგებლობას არ მოიტანს. შესაძლოა, 19 წლის წინად, როც სახელმწიფოს შემოსავალი არ აღემატებოდა 800—900 მილიონს, მეტად შემცირება არც შეიძლებოდა იმ გადასახადთა, მაგრამ ახლა, როცა დეფიციტები მოისპო, შემო-

სავალმა გადააჭარბა მილიარდს (1.300.000,000), როცა ქალალდის მანათიანს ემუქრებიან ალარ გაბოგინებთო, ხოლო თავისუფალი ნაღდი თავნი სახელმწიფო ხაზინისა 750 მილიონამდეა ოქროს ფულად,—არავითარი დიდი მიზეზი და დაბრკოლება ალარ არსებობს ძველის-ძველის ბოროტების ძირიანად აღმოსაფხვრელად, იმ ბოროტებისა, რომელიც ნედოიმკის სახით გვევლინება. ეს აღმოფხვრა საჭიროა იმიტომ, რომ ჩვენმა საერო საგლეხ-კაცო მეურნეობამ თვისი ღირსეული და მაღალი ადგილი დაიჭიროს.

ვათავებთ ჩვენს წერილს ნადელების შესყიდვის საქმის შესახებ და დასასრულ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ როცა ასეთს ყოფაშია ნადელების შესყიდვის საქმე, როგორც ჩვენში, ტფილისის გუბერნიაში, ისე რუსეთის შიდა გუბერნიებშიაც, როცა ამ საქმეს ასეთი ყოვლად სამწუხარო შედეგი მოჰყვა, მხოლოდ გულ-უბრყვილოებს, იმისთანებს, როგორც გაზეთ „Недѣля"-ს კორესპონდენტია, რომელნიც ჩახედულნი არ არიან ამ საქმეში, შეუძლიანთ გულ-წრფელად იწუხონ, ასე მძიმედ და ზოზინით რად სწარმოებს ნადელების შესყიდვის ოპერაცია ტფილისის გუბერნიაშიო და სურდეთ, რაც შეიძლება, მალე გადიქცნენ დროებით ვალდებულნი გლეხნი საკუთარის მამულის პატრონებათ.*) ვისაც ნადელი შეუსყიდნია, მთავრობა იძულებულია, მიეშველოს და დაიხსნას დალუპვისაგან, რისთვისაც ლამის არა-ჩვეულებრივს ღონისძიებას მიჰმართოს და სწორედ ამ დროს კი გამოდიან ზოგი ერთნი და საყვედურს აცხადებენ, ეს რა უბედურებაა, რომ საგლეხო დაწესებულებათა აქამდე ვერ დაამთავრეს მათდა მინდობილი საქმეო. ჩვენ ღრმადა გვრწამს, რომ თუ საკანონ-მდებელო წესით არ იქმნა შემცირებული გარდასახადი ნადელებისა ნახევრად ანუ, სულ ცოტა, 4%-მდე მაინცა, აჩქარება კი არა, დაბრკოლება უნდა მიეცეს შესყიდვის ოპერაციას იქ, სადა ჯერ გლეხებს არ დაუწყვიათ შესყიდვა მამულებისა, როგორც ჩვენშია და აგრეთვე პოლო-

*) იხ. წერილი ტფილისის გუბერნიიდან სათაურით: Временныя отношенія, თავ. აბხაზისა გაზ. „Недѣля"-ში, № 11, 1896 წლისა.

ნეთის სამეფოში. მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ მთავარ-მართებლის საბჭომაც ასე შეჰხედა ამ საქმეს. რამდენადაც ჩვენ ვიცით, საბჭომ უარჰყო წინადადება ტფილისის საგუბერნიო გლეხთა საქმეთა კრებულისა იმის შესახებ, რომ ტფილისის გუბერნიაშიაც სავალდებულოდ დაიდოს შესყიდვა ნადელებისაო. საბჭომ უარ ჰყო ეს წინადადება, ეგ ჯერ, როგორც აქაურის ვითარებითა სჩანს, ნაადრევი საქმე იქმნებაო.

ალ. ფრონელი

# აფხაზები

(ეტნოგრაფიული მასალები)

## V. ქორწინება აფხაზეთში

ადათით ახალგაზრდა საცოლო აფხაზს (აგრეთვე საქმრო ქალიშვილს) არავითარი უფლება არა აქვს არამც თუ დედ-მამას გამოუცხადოს სურვილი თავის დაქორწინებისა, არამედ დიდად სასირცხვოდ მიაჩნია ასეთი «უკეთური და საძაგო» სურვილი პირადად გაუმჟღავნოს უფროსს და-ძმებს და მაზე ჭასაკით უფროს შორეულ ნათესავებსაც კი. საზოგადოდ, აფხაზეთში საცოლო ვაჟის და საქმრო ქალიშვილის პიროვნება და გემოვნება შეზღუდულია ვითომ-და უფროსთა სასარგებლოდ. მაგალითად, უფროსებთან, როგორიც არიან დედ-მამა, უფროსი და-ძმა, გვარის უფროსები და სხვა, თავისუფალ ლაპარაკის და ქცევის ნება არა აქვსთ: არ შეუძლიანთ ცოლ-ქმრობის შესახებ კრინტი დასძრან, თუთუნი მოსწიონ, მათთან ალავერდს მივიდნენ და სხვა.

თუ ახალგაზრდა აფხაზს დაუდგა დრო ქორწინებისა და ვინმე ქალზე გული შეუვარდა, მაშინ თავისი სურვილი მოციქულის პირით უნდა შეატყობინოს ქალის დედ-მამას,—თუ დედ-მამა არა ჰყავს,—ოჯახის უფროსს უნდა შეატყობინოს ვინაობა სატრფოსი და სთხოვოს—ეს საქმე ითავე და ამისრულეო.

უფროს-ერთი საცოლო აფხაზი, თითქო თავის პიროვნების დამჩაგვრელთ განგებ წინააღმდეგობას უწევსო, თავისს საბედოს

უფროსითა დაუკითხავად მოხსნავს ხოლმე და ქმრობის პირობას აძლევს; ამის შემდეგ კი უფროსებს ატყობინებს.

აფსაზეთში ყმაწვილი დავაჟკაცდება თუ არა, მისთვის მოკაზმული ცხენი მზადაა: არცერთს ახლო-მახლო სოფლებში საზოგადო ლხინსა და გასართობს არ დააკლდება. ზოგიერთი კი არამც თუ ახლო-მახლო სოფლებში, არამედ ას-ორას ვერსის მანძილზე მიდის, რომ გამოჩენილს «აიფსნურას» (ადაპი) და ქორწილს არ დააკლდეს. ყმაწვილს ამ შემთხვევაში ისიც უმართავს ხელს, რომ აფხაზეთში სააუგოდ არ მიაჩნიათ დაუპატიჟებლად ქორწილში, თუ ადაპში წასვლა. და, აი, ასეთს აიფსნურებსა და ქორწილებში (აჩარა) დასანიშნი ქალ-ვაჟი უახლოვდებიან ერთმანეთს: აქ გაიცნობენ ერთმანეთს და აქედან იწყება მათი დაახლოვება და პირობის მიცემა, ერთმანეთს შევუერთოთ ჩვენი მომავალი ბედი და იღბალიო. და თუ ერთხელ ქალ-ვაჟმა მისცეს ცოლ-ქმრობის პირობა ერთ-ურთს, მაშინ ამ პირობის ჩაშლა ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელიცაა; შეიძლება კიდევაც ქალ-ვაჟს ერთმანეთი არ მოეწონათ და შესძულდათ, მაგრამ მიცემულის სიტყვის ძალით ტრაგი-კომიკურს მდგომარეობას თავს ველარ აღწევენ: უსათუოდ უნდა დაქორწილდნენ, თორემ ერთ-ერთს მათგანს აუცილებლად დაერქმევა «დატოვებული», «დაწუნებული», და ეს სახელი კი სიკვდილია აფსაზისათვის, თავის მოჭრაა.

თუ, ვინიცობაა, ვინმე გულადი და უშიშარი ქალი გამოჩნდა და, მიუხედავად მიცემულის ყოვლად ძლიერის სიტყვისა «წაგყვები ცოლად», აჰყვა გულის ვნებას—აითვალწუნა, იუკადრისა და უარი უთხრა საქმროსა,—ვაჟი ამას დამწუნებელ ქალიშვილს არას დროს არ აპატიებს: ეს «დაწუნება» ვაჟისთვის სიკვდილს უდრის, და არამც თუ დაწუნებულისათვის არის ეს უდიდესი შეურაცყოფა, არამედ მთელის მისის გვარეულობისა და ნათესავებისათვისაც კი სააუგო და სამარცხვინოა!

ასეთს შემთხვევაში დაწუნებული ყმაწვილი შურს იძიებს და შემდეგს საშუალებას მიჰმართავს ხოლმე: ან გამოდის შეკრებილებაში,—აიფსნურაში, თუ აჩარაში (ქორწილში), ეგ სულ ერთია, ოღონდ საზოგადოება ბლომად იყოს,—და საჯაროდ, საქვეყნოდ აცხადებს მოციქულის პირით: ეს-და-ეს ქალიშვილი ჩემი საცოლეა,

და ვისაც უნდა ჩემს წინაშე აგოს პასუხი; ვისთვისაც «სწორის» (აქულა) შეურაცხყოფა არაფრად მიაჩნია, და სხვა ქალი, გარდა ამისა, ვისთვისაც არ შობილა, იმას შეუძლია წამართვას ჩემი საცოლოო. ამისთანა «გამოქვეყნების», «გამოცხადების» შემდეგ, მათის აზრით, პატიოსანი საცოლო აფსაზი თავისს «აქულას» ყელს არ გამოსჭრის და არ შეირთავს იმ ქალიშვილს: ხომ არ დაკარგულა ჩემთვის სხვა ქალიშვილი, რომ სიცოცხლითვე მოვკლა ჩემი სწორიო!

ამის შემდეგ ვაჟი თუ დარწმუნდა, რომ ქალიშვილის ჭირისუფალნი არ შეუშინდებიან მისს მუქარას და გამონახავენ ქალიშვილისათვის საქმროს, მაშინ ის უკიდურესს საშუალებას მიჰმართავს: ყოველს ღონისძიებას მოისმარს, მოიტაცოს ქალიშვილი, და, თუ მოტაცება ვერ მოახერხა, დასცდება სადმე და ააკივლებს (დიირჭჭოიტ), წაართმევს ცხვირსახოცს, ან რამე ნივთს და, თუ დასცალდა, ტანისამოსსაც შემოახევს. ამის შემდეგ ქალიშვილი მის ტოლ-ამხანაგებში ყელ-გამოჭრილია, სიცოცხლითვე მკვდარია: მისთვის ძნელადდა გამოჩნდება საქმრო,— და თუ გამოჩნდა, აფსაზთა შეხედულობით, კაცობასა და პატიოსნებაზე ხელ-აღებული იქნება ასეთი საქმროვო. ყმაწვილმა კაცმა კი ამით სრულიად შური იძია და დაიკმაყოფილა თავისი თავმოყვარეობა: კიდევაც ამაყობს, რომ ასე მშვენივრად გამოიჩინა თავისი ვაჟკაცობა და ბრწყინვალედ აიხადა შეურაცხყოფა, ქალიშვილისაგან მიყენებული!

აფსაზეთში ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ასეთის შეუღლისაგამო რამოდენიმე წელიწადი ქალ-ვაჟი ასე გაჯიბრებულად დარჩნენ. ქალი გათხოვებაზე ხელაღებული და იმედ-დაკარგული, ვაჟი კი ყასიდივით თოფ-იარაღში ჩამჯდარი, ყოველ საშინაო საქმეს მომცდარი უცდიან ერთ-ურთს,— ქალი იმ იმედით, ვინძლო ვაჟს რამე წაეკიდოს, და მე განვთავისუფლდეო; ვაჟი — ვინძლო, ქალმა ჩემზედ გული მოიბრუნოს და სისხლის ღვრას ამაცდინოსო. თუ ქალის ჭირისუფლები იმოდენად გულადნი და თავმოყვარენი გამოდგნენ, რომ, მიუხედავად მომავალ სისხლით პასუხის გებისა ვაჟის წინაშე, გაათხოვეს თავისი ქალიშვილი, მაშინ ვაჟის ხელით ერთი-და-ერთი — ან მამა, ან ძმა, ან-და ქმარი ქალისა უნდა უდროოდ გამოესალმოს წუთისოფელს!

აფხაზთა საზედნიეროდ, ასეთის ქალის მიზეზით ორ გვარეულობის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებისაგან მოსალოდნელ უბედურების მოსაშორებლად არის ერთი საშუალება—სასოფლო სამსჯავრო, უფრო მედიატორული სამსჯავრო. თვითონ მოპირდაპირენი კი არ მიმართავენ ამ საშუალებას, თავმოყვარეობა ნებას არ აძლევსთ: როგორ ვათქმევინებ ვისმე, რომ მე, მოპირდაპირეს, შემეშინდა და «სამსჯავროს მივმართეო»! ამ შემთხვევაში მათის ვითომდა სირცხვილის ამხდელად გამოდიან გვარის მოკეთე დარბაისელნი. ამათის ვითომ-და ძალდატანებით და თხოვნით მოპირდაპირენი გამოდიან სამსჯავროს წინაშე, რომელიც შესდგება სოფლის მსაჯულებისაგან და გამოცდილ, მოხუცებულ კაცთაგან. ორივე გვარი ცდილობს, თუ სადმე ჰყავს ჭკუიანი, მოხერხებული, გამჭრიახი და მჭერ-მეტყველი ნათესავი—ამ სამჯავროში მოექცეს თავის წარმომადგენლად. ამ სამჯავროს წინაშე ვაჟმა თუ დაამტკიცა, რომ მას ქალმა პირობა მისცა «ცოლად წამყვებიო», ან დედ-მამამ, და-ძმამ—მოგცემთო ცოლად, ან-და თუ წარადგინა ქალის მონაცემი რაიმე ნივთი, მაგალითად ქისა, ბეჭედი და სხვა, მაშინ მისს სასარგებლოდ სწყვეტენ საქმეს, ესე იგი, სამჯავრო აძალებს ქალს ვაჟს წაჰყვეს ცოლად. ვაჟმა თუ ვეღარ დაამტკიცა, მაინც ქალის ჭირისუფლებმა ფიცის-ქვეშ უნდა დაარწმუნონ ვაჟი, რომ «შენ რაც დღეს შეურაცხყოფად მიიღე ჩვენგან, ის ჩვენ რომ დაგვმართოდა—შენგან შეურაცხყოფად არ მივიღებდითო».*) ასეთის ფიცის შემდეგ ყმაწვილს საცოლეს უარყოფით მიყენებული შეურაცხყოფა ახდება საზოგადოების თვალში, და ისიც ანებებს თავს.

რა თქმა უნდა, ვაჟსაც არ შეუძლია ქალისათვის მიცემული პატიოსანი სიტყვა უარჰყოს და არ შეირთოს: უნდა შეირთოს, ან-და მისთვის სასიკვდილო ტყვია-წამალი მზადაა!

საზოგადოდ, აფხაზეთში ხშირია ასეთი უთანხმოება ქალ-ვაჟთ შორის, რომელსაც არა-იშვიათად მოსდევს კაცის სიკვდილი. ერთ-

---

*) ფიცი უშუაკაცოდ არ შეიძლება. ჩვენ ხშირად გაგვიგონია განაჩენი, რომლის ძალით შუაკაცებად უნდა ყოფილიყვნენ: ერთი კეთილ-შობილი, პატიოსნად ცნობილი, და ორი-სამი პატიოსანი გლეხი.

ურის საქონლის მტაცებლობასა და ქურდობაში თავისს სიმარჯვეს და გულადობას ხომ იჩენენ და იჩენენ!

ისიც მოხდება ხოლმე, რომ ერთი და იგივე ქალი ორს ყმაწვილს აძლევს პირობას «ცოლად წაგყვებიო», ან-და ქალი—ერთს აძლევს პირობასა, და მშობლები—მეორეს, მაშინ უსათუოდ ორმავე ყმაწვილმა ამ ქალის შერთვაზე ხელი უნდა აიღონ, თორემ უსისხლოდ საქმე არ გარიგდება: ასე ძალუმაა აფხაზთათვის ჩვეულება! თუ ერთხელ წამოსცდა ქალსა, თუ კაცსა «შეგირთავო», უკან დახევა ძნელი-ღაა! გიყვარს, თუ არა, უნდა შეირთო, ან უნდა უდროოდ მტრის ხელით გამოესალმო წუთი-სოფელსა...

*
* *

უფროს-ერთი საცოლო აფხაზი თავის საცოლეს ირთავს «ამაძა» (მალულად), მოტაცებით (ან ვითომ-და მოტაცებით, საზოგადოების თვალის ასახვევად). მიზეზნი «ამაძა» ქორწინებისა არიან შემდეგნი: ჯერ ერთი, რომ ქალ-ვაჟთ შორის საქმე გამწვავდება, უბედურების ასაცდენად მოკეთეების რჩევით ქალი გაჰყვება ვაჟს ცოლად «ამაძა»; მეორე, როცა ვაჟის მშობლები არ აძლევენ ნებას თავის შვილს ამა თუ იმა ქალის შერთვისა. ამ შემთხვევაში, თუ ვაჟი დარწმუნებულია, «ამაძა» რომ მოიყვანოს აჩემებული ქალი, მშობლები მათ არ გააგდებენ და შეუნდობენ შვილს ურჩობას, მაშინ რამოდენისამე სწორ-ამხანაგით—მაყრიონით და «მოპარულის» საცოლეთი მშობლების კარს მიადგება; და საქმე ქორწილით რიგდება. წინააღმდეგს შემთხვევაში, ესე იგი, როცა ვაჟი დარწმუნებულია მშობლების სიჯიუტეში, თავისი სატრფო ვინმე შეძლებულ და გავლენიან კაცისას მიჰყავს, სადაც გარემოების შესაფერ პატარა ქორწილსაც იხდის. ცოლ-ქმარი მანამდი რჩებიან აქ, სანამ ვაჟის მშობლები არ შეირიგებენ. მესამე მიზეზი «ამაძა» ქორწინებისა ისაა, რომ ქალი აჰყვება გულის-თქმას და ვაჟს მიჰყვება მალულად იმ შიშით, კაი თუ, მშობლებმა რომ გამიგონ—ნება არ დამრთონო. მეოთხე მიზეზი სიღარიბეა: ან ვაჟის ჭირისუფლებისა, ან ქალის ჭირისუფლებისა. სიღარიბის გამო თუ ან ერთს, ან მეორე მხარეს არ შეუძლიან ქორწილის ხარჯის გაძღოლა,—ქალი «ამაძა» (ვითომ-და «ამაძა») მიჰყ-

ვება საქმროს. ამ შემთხვევაში «ამაძა» ქორწინება საზოგადოების თვალის ასახვევადა ხდება, ვითომ-და ბოდიშის მოხდაა საზოგადოების წინაშე ჩვეულების შეუსრულებლობისათვის!

აქვე შევნიშნავთ, რომ წოდებრივი გარჩევა ძალიან მძლავრია აფხაზთა შორის; აქა სანთლითაც რომ ეძებოთ, ვეღარ ჰნახავთ, რომ წოდებანი შერეულიყვნენ. ვინც ამ წოდებრივის ღობე-ყორეს შელახვას დააპირებს, იმისთვის ტყვია-წამალი მზადაა. აფხაზები გლეხებსაც ორ-წოდებად ჰყოფენ: ერთია «ანხაკჭჲ-ცქჲა» (წმინდა გლეხი) და მეორე «ატკჲ» (ყმა). ამ ორ წოდების წარმომადგენელ ქალ-ვაჟთ შორის ძალიან იშვიათად ხდება შეუღლება. გლეხსა და «აშნა ყმა»-ს (შინა-ყმას) შუა აგრეთვე მვირად ხდება ქორწინება. გლეხმა რომ კეთილშობილი ქალი შეირთოს ცოლად, ეს შეუძლებელია აფხაზთათვის! რაც უნდა ბუნებით დასუსტებული იყოს კეთილშობილი ქალი, მაინც თავის გვარს არ შეარცხვენს და ყოვლად ღირსეულ გლეხს (აფხაზს) არ წაჰყვება ცოლად. სხვაა—მეგრელს (აგრუა), ან თათარს წოდებით გლეხს, გაჰყვეს ცოლად კეთილშობილი აფხაზის ქალი: ამათის გვარის გამომძიებაში ვინ შედის, და თუ დაგჭირდება — შეგიძლია სთქვა, ჩემი ქმარი აზნაურიაო. *)

*
* *

თუ «არგამა»-დაა (ცხადად, არ-მალულად) ქალ-ვაჟის შეუღლება, მაშინ პირველად ვაჟი უგზავნის შუამავალის ხელით საცოლეს ნიშანს (რაიმე ნივთს, ან ფულს), რომელსაც აფხაზები ეძახიან «ასხჲ-გარშკფსა»-ს; ვაჟიც სანაცვლოდ მიცემულის ნიშნისა ღებულობს ქალისაგან რამე ნივთს ნიშნად (მაგალითად ქისა, მოქარგული ცხვირსახოცი და სხვა). მვლად კი ვაჟი უგზავნიდა საცოლეს ერთს ტყვიას (ასჲ) და მის სამყოფ თოფის-წამალს, რის შემდეგაც ქალიშვილი ითვლებოდა დანიშნულად იმ ყმაწვილსა, ვისგანაც მიიღო

*) აფხაზეთში შემდეგი წოდებანი არიან: 1) ატვა, ახუვჰა (ყმა-საკუთრება, საქმელის მკეთებელი), 2) „ანხავჰა“—გლეხი (მცხოვრები); 3) „აშნა-ყმა“ (შინა-ყმა?)—შუათანა წოდებაა აზნაურსა და გლეხს შუა; 4) „აამსთა“—აზნაური, და 5) „ათავად“—თავადი. თავადი და აზნაური ერთ-მანერთს არ უპერენ ქალს,—„აშნა-ყმა“-ს უბრალო აზნაურიშვილი აძლევს ქალიშვილს, თუ პირადად მოეწონა. მთავრობამ სამი პირველი წოდება „крестьянинъ“-ად შეაერთა.

ეს წინდი. ეხლა, როცა გადავარდა ჩვეულება ტყვია-წამლით ქალის დანიშვნისა, დარჩა მისი სახელი—«ახჲ-კარშვფსა»*). ამ დანიშვნას უფრო შინაური ხასიათი აქვს. ამის შემდეგ ნიშნობას საქვეყნოდ იხდიან: კაცის მამა (თუ მამა არა ჰყავს, ძმა, ან ბიძა) ორ-სამ საპატიო პირით თან-ხლებით მიემგზავრება საძლოს სახლისკენ. აქ მასპინძელი «სასიქადულო» სტუმრებს უმართავს, შეძლების-და გვარად, სადილს, და ამ დროს კაცის წარმომადგენელნი ჰნიშნავენ ქალს ამ რიგად: შუა სადილობისას ქალის მამას მიართმევენ თან-წამოღებულს საჩუქარს (ფული იქნება, თუ საქონელი, ან ორივე ერთად), რომელსაც უწოდებენ «ამათარბაგა»-ს. ეხლა დაინიშნა ქალი საქვეყნოდ, საჯაროდ. მასპინძელიცა, თავის მხრივ, შეძლების-და გვარად, მიართმევს კაცის მამას (ან მის მაგიერს კაცს) საჩუქარს. არც ამ უკანასკნელის მხლებლები რჩებიან დაუსაჩუქრებლად: მასპინძელი მოვალეა ამათაც «აგიზშა» (საამხანაგო, სამხლებლო) მისცეს.

ნიშნობას არც ქალი ესწრება და არც კაცი. კაცის მამას თუ უწინ არა ჰყავდა ნახული საძლო, ქალს ისე დანიშნავს, რომ თვალით არ დაენახა კიდეცა. ნიშნობის დღეს ქალ-კაცი თავ-თავიანთს «ამჭარებში»**) ჩაიკეტავენ თავს და აქედან არ გამოდიან სამს კვირას, არავინ დაგვინახოსო და არ დაგვძრახოსო: «ქალი დანიშნა და არ სცხვენიაო»!. ამ დროის განმავლობაში საჭმელ-სასმელს «ამჭარებშივე» მიართმევენ პატარა ბავშვის ხელით. მეოცდა-ერთე დღეს, ვისაც ამოირჩევს ქალის მამა თავის შვილის კაც-მდადედ (ახაწავიზა), ის მოდის საკლავებით ქალისას, ჰმართავს მეჯლისს და თავისის ხელით გამოჰყავს დანიშნული ქალი მის ფაცხა-«ამჭარადან». ამ ცერემონიას ჰქვია «ამჭარა-თვარა» («ამჭარადან» გამოყვანა). ხარჯის გამწეველ კაცს მასპინძელი ხარჯს არ უზღავს,—სიძემ ქორწილის შემდეგ უნდა, შეძლების-და გვარად, დაასაჩუქროს ეს. აგრეთვე კაცსაც უშვრებიან «ამჭარათვარას». აქაც ხარჯის გამწეველი უსათუოდ უნდა დაასაჩუქროს სიძემ.***)

*) ტყვია-წამლით ქალის დანიშვნას ერქვა—„ახა-კარშვრა“ (ითარგმნება—„ტყვიის დაგდება“-დ). აქედან წარმოსდგა „ახჲ-კარშვფსა“,—„ახჲ-კარშვრას“ საფასური (ფასი).

**) „ამჰარა“ უფროს-ერთი კონუსის მაგვარი პატარა ფაცხებია.

***) აბჟუაში (აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში) ეხლა „ამჰარათვარა“ გადავარდნილია, ბზიფში კი (აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში) ეხლაც ასრულებენ ამ ჩვეულებას.

დანიშვნის შემდეგ სასიძომ უნდა მოიწვიოს სასიმამრო შინ და დაასაჩუქროს. ამასა ჰქვია «ავნადარა». დანიშნულ დროს ქალის მამა თავისის მხლებლებით (ორი-სამი კაცი) მოვა სასიძოსას. აქ უმართავენ კარგს მეჯლისს და, შეძლების-და გვარად, აჩუქებენ. ეს კია, რომ ვაჟი თავისს «მკიროვასს» სტუმარს თვალითაც არ დაენახვება, რადგანაც ეს ავსაზიასათვის სირცხვილია: უპატიობას და სიმამრის მასხარად აგდებასა ჰნიშნავს. თვითონ საჩუქრის მირთმევაც კი თავისებურად, ავსაზურად, სრულდება: სმა-ჭამის დროს ერთი მჭერმეტყველი კაცი (ვისაც დაავალებს მასპინძელი) დგება სუფრიდან, მერიქიფეს აავსებინებს ჭიქას ღვინით და მიართმევინებს ვაჟის სასიმამროსათვის (საზოგადოდ, ვისაც უწოდებიან «ავნადარა»-ს) და სთხოვს ამ უკანასკნელს, მიირთვას ნიშნად პატივისცემისა; თვითონ კი დაიჩოქებს ნიშნად პატივისცემისა, მისს გვერდით დაიჩოქებენ კიდევ რამოდენიმე ახალგაზრდა კაცი, სუფრიდან ამდგარნი. მართებულებს მოითხოვს, რომ სასიმამრომ ამ დაჩოქილთაგან ორი-სამი უფრო პატივ-საცემი კაცი წამოაყენოს და ისე მიირთვას ღვინო. ჭიქის გამოცლის შემდეგ ამორჩეული კაცი დიდის ამბით გამოაცხადებს, რა საჩუქარის გადება შეიძლო ვაჟმა. სტუმრის მხლებლებსაც ურიგებენ «ავიზშას». ამის შემდეგ სიმამრისათვის სიძის სახლის კარი ღიაა. გარნა სიძე ჯერაც ვერ ეჩვენება მას.

ესლა ვაჟის უმცროსი და-ძმა უნდა წავიდეს თავის თანმხლებლებით საპატარძლოს სანახავად საჩუქრებითა და იმ ღამის საჭირო სარჯოითა (საკლავი და ღვინო). საჩუქრებია: სარკეები, საკაბეები, ყუთი, ბეჭედი და სხვა. პატარძალს აჩვენებენ სტუმრებს ცალკე სახლში — «ამჭარაში», სადაც ის მოყუდებულია კედელზე, პირ-ბადე აფარებული. მოშავალი მისი მული მივა მასთან, ჰკოცნის და ეალერსება პირ-ბადიანსა. ცოტა ხნის შემდეგ ახდევენ პირ-ბადეს, და ესლა, შეიძლება პირველად იხილონ სარძლო. ესლავე მიართმევენ საჩუქრებს. სტუმრები თავისს სახარულს შუდლუხათ ზორკეც-ისამგეცებენ.

საწყალს ვაჟს ნება არა აქვს არამც თუ საცოლეს სახლში მივიდეს და ის ნახოს, არამედ მისს (საცოლეს) ახლო ნათესავებსაც არ უნდა ეჩვენოს: საცოლეს ახლო ნათესავი თუ სადმე გზაში შე-

ხვდა, მაშინვე უნდა გამკერ-გამოძვრეს და სადმე ბუჩქებში მიიკუნცხ-მიიმალოს, რომ არ დაენახოს და ასეთის უდიერობითა და უპატივ-ცემლობით შეურაცხყოფა არ მიაყენოს. ათასში ერთხელ თუ შეუძლია კაცს ჰნახოს თავისი საბედო სადმე სიმამრის მეზობლის სახლ-ში და ორ-სამს წუთს დაელაპარაკოს.

ძველად, ქალის დანიშვნის შემდეგ, სასიძო უნდა წასულიყო დი-დის საჩუქრებით და ბევრის თანმხლებლებით სასიმამროსას. ამ ჩვეულებას ერქვა «მაჭკრა-ცარა» (მაჭკრა—სიძედ, ცარა—წასვლა, ესე იგი სიძედ-წასვლა). მოსვლის პირველ ღამესვე დანიშნულებს აჩვე-ნებდნენ ერთმანერთს. სასიძო ორ-სამ ყმაწვილით და «ახაწავიზათი» (კაცი-კაცი —მდადე) შევიდოდა იმ სახლში, სადაც საპატარძლო თა-ვისის მხლებლებით და ორ-სამ ქალიშვილით დასხდებოდნენ. კაცე-ბი მიიყვანდნენ ნაბად-მოსხმულ სასიძოს საპატარძლოსთან: სასიძო სამჯერ უცბად სალოლეს მოაქცევდა თავის ნაბად ქვეშ, რის შემ-დეგაც ქალიშვილები მდადეთი მოცვივდებოდნენ და საპატარძლოს გაიყვანდნენ. ამის შემდეგ სიძეს ნება ჰქონდა ეარნა ხანდისხან სი-მამრისას; გარნა ქალს კი არ აჩვენებდნენ, და თუ აჩვენებდნენ, ისიც ორ-სამ წუთით.*)

*
* *

ქორწილი ორსავე ადგილას, ესე იგი, თავის სახლსა და სი-მამრისასაც, კაცმა უნდა გადაიხადოს. ამიტომ, ქალის წამოყვანის წინა-დღით კაცი ჰგზავნის სიმამრისას საკლავებს, ღვინოს, სი-მინდის ფქვილს და მარილსაც კი. აქ (სიმამრისას) მოსამსახურეე-ბიც კაცმა უნდა მოიყვანოს, რისთვისაც რამდენსამე არჩეულ თა-ვის სოფლელ ახალგაზრდა კაცებს ჰგზავნის მოსამსახურეებად. სა-ზოგადოდ, აფხაზთა ქორწილი არ არის ნაქები ნაირ-ნაირის საჭმელ-სასმელებითა: ერთი ნაჭერი მშრალი ხორცი, სიმინდის ფქვილის ღომი, ღვინო და ქორწილის გათავების ხანს ქათმის, ან ბატკნის ხორცი, ეგრედ წოდებული «აძ», —მორჩა და გათავდა! აქ არც შესამ-

*) ეხლა „მაჭვრა ცარა" თითქმის გადავარდნილია, და თუ სადმე კიდევ დარ-ჩენილია, იქაც ნაბადის მაგიერ ხმარობენ ფარდას, რომელიც ჰყოფს ქალ-ვაჟსა: ფარდა სამჯერ აიწევა და სამჯერვე უცბად დაეშვება. როცა ფარდა აიწევა, სიძეს მიიყვანენ ქალთან დასალაპარაკებლად.

ლებელია უკეთესის ქორწილის გადახდა, რადგანაც ყველა, ვინც გაა-
გებს ქორწილიათ და ვისაც დრო და მოცალეობა აქვს, მასპინძლის
დაუპატიჟებლად ესწრობა. აქაური ქორწილი მოსაწონია თავისის
სიმღერით, ცეკვა-თამაშით და ცხენების ჯირითით.

სანამ სადილად დასხდებოდნენ, გამოიტანენ მზითევს და კარ-
ში დააწყობენ. ვინმე მჭევრ-მეტყველი კაცი გამოდის და, აწყობს რა
ნივთებს, სთვლის ხმა-მაღლა, რათა ყველამ შეიტყოს—რისა შე-
მძლე ყოფილა სიმამრი ვაჟისა. ხშირად ამ კაცს (მზითევის დამწყო-
ბელს) სიძის წარმომადგენელნი დაასაჩუქრებენ ხოლმე. აი შუათანა
შეძლების კაცის ქალიშვილის მზითევიც: საბან-ლოგინი (უკანასკნე-
ლი, ნახევარ დუჟინი,—დუჟინობითაც აძლევენ), ნოხი, ფარდაგი, ერ-
თი-ორი ზანდუკი (ხშირად კაკლისა), რამოდენიმე ყუთი, სპილენ-
ძეულობა, საკიდელები, თვითონ ქალის ნაქსოვი ხელსახოცები, პირ-
სახოცები, სუფრები, ვისაც შეუძლია, ურემი თავის კამეჩებით, ცხე-
ნი ინგლისურის უნაგრით და სხვ. ცხენ-უნაგირს «ახუფჯა»*) აწევს
მასპინძელს. მზითვად ფულის მიცემა არ იციან.

ქორწილში ფულის მილოცვა ჩვეულებად არა აქვსთ. ფულის
მაგიერ რასმე ნივთს ულოცავენ: ზოგჯერ მოუტანენ იმდენ ტაფა-
ტასტს და ყუთებს, რომ მასპინძელი ზედ-მეტსა ჰყიდის და ფუ-
ლად აქცევს ხოლმე. როცა მოახლოვდება ქორწილის დრო, ქალის
მამა მიდის და ატყობინებს თავისს ნათესავებს და მოყვრებს, ამა
და ამ დროს ქალს ვათხოვებ და გთხოვთ ქორწილში დამესწროთო.
ნათესავი ჰკითხავს, «რას მიკვეთო» (რა ნივთი გირჩევნაა მოგარ-
თვაო?)? თუ საიმედო ნათესავად ეგულება, ეტყვის, ესა და ეს ნივ-
თი შენ შემომაწიეო; თუ არა-და, პირადად არაფერს შეუკვეთს.

მზითევს წინ-და-წინ გაისტუმრებენ; მერე დასხდებიან სადი-
ლად. როცა კარგად შეზარხოშდება მაყრიონი, ადგება სუფრიდან
და გაუდგება გზასა. ავხაზების მაყრიონი რიცხვ-მრავალი იციან:
ხანდახან ორმოც-სამოც ცხენოსნამდე იქნება ხოლმე. როცა მამის
ეზოდან გამოდის, პატარძალი მორთავს ტირილს, რომ არ ეტი-
რებოდეს მაინც: ამას ჩვეულება მოითხოვს. მას კი მტირალივე დედა

*) ახუფჯა—გაზდილი.

ბანს აძლევს. «ათამა» (პატარძალი) ცხენზე ზის, პირ-ბადე აფარებული. მისს გვერდით უნდა იყვნენ «ათაცა კიზა» (ქალ-მდადე) და «ასაწა კიზა» (კაცი-მდადე). მაყრიონი ჯირითით და სიმღერით მიეშურება სასიძოს სახლისკენ.

მაყრიონი, მეფის სახლს რომ მოუახლოვდება, ჰგზავნის წინ-და-წინ მახარობელს. ნეფის დედ-მამა იხარებს მაყრიონის მოახლოვებას საჩუქრების გაცემით: ხალხში თეთრ ფულს აპნევს.

დედოფალს პირველად მისთვის მომზადებულ პატარა ფაცხაში—«ამჭარაში» შეიყვანენ ამ რიგად: ორი ყმაწვილი ხმალ-ამოღებული სდგას კარებთან, ხმლები ერთმანეთზე მიბჯენილი აქვთ, და ამ ხმლების ქვეშ გაატარებენ ათაცას.

რასაკვირველია, ნეფემ თავის სახლშიაც უნდა გადიხადოს ქორწილი. ეს კია, რომ ქორწილის ღამეს მართლ-მადიდებელი აფხაზი იშვიათად იწერს ჯვარს, რადგანაც ერისულ შესისხლ-ხორცებული ჩვეულება ნებას აძლევს—რამოდენიმე წელიწადი ჯვარ-დაუწერელნი იცხოვრონ ცოლ-ქმართ. აქა ხშირია, რომ ცოლ-ქმარს სამი-ოთხი შვილი ჰყავდეს ჯვარ-დაუწერელად, თვითონ შვილები გამონათლულნი იყვნენ.*)

როგორც ზევით შევნიშნეთ, აფხაზური ქორწილი ვერაფერი საქმეა გასტრონომთათვის. საქორწილო სადგომია სასელდახელოდ გაკეთებული «აშაფა» (სეფა), რომლის ქვეშაც მარტო მამა-კაცნი მოექცევიან ხოლმე, რადგანაც აქაურ ქორწილში მამა-კაცთ და დედა-კაცთ ერთად ჯდომა სირცხვილია: მამაკაცთათვის სეფაა (აშაფა) და დედა-კაცთათვის—ცალკე სახლი. მშვენიერის სქესის წარმომადგენელნი მაინც ცოტანი ესწრობიან ქორწილს, და თუ ვინმე დაესწრო, ისიც ნეფის ახლო-ნათესავია. საზოგადოდ, აფხაზთა ქალნი ქორწილის მეორე დღეს მოდიან ათაცას სანახავად: მაშინ ამათაც უნდა გამასპინძლება. ქორწილი აქ ხალხ-მრავალია, რადგანაც, როგორც ზევითაცა ვსთქვით, დაუპატიჟებლად ქორწილში წვევა სირცხვილი არაა.

სანამ სტუმარნი პურის-საჭმელად დასხდებოდნენ, ამათ მიართმევენ ხელ-საბან წყალს; საპატიო კაცებს «ათაცამ», «ათაცა-კიზამ» და-

*) ჯვარის-წერას არა ჩქარობენ აფხაზნი, რადგანაც ჩვეულების ძალით ქმარს არ შეუძლია ცოლი გააგდოს, და ცოლს – ქმარი.

«ასაწა-ვიზამ» დაჩოქებულთ უნდა მიართვან ხელის შესამშრალებელი ხელ-სახოცი.

სმა-ჭამის დაწყებამდე ერთი სახლში შესული და მჭევრ-მეტყველი კაცი წამოდგება, ხელში წვირზე წამოცმული გულ-ღვიძლი და ერთი ჭიქა ღვინო უჭირავს და ლოცულობს, ახლად შეუღლებულნი ბედნიერად და ხანგრძლივად აცხოვროსო. ამის შემდეგ მიჰყოფენ ხელს სმა-ჭამას და მთელს ღამეს ამ «აშაივაში» სმა-ჭამით და ცეკვა-თამაშით გაათენებენ*). აქვე შევნიშნავთ, რომ დაცოლ-შვილებული და დაქმარშვილებული აფსაზი არ ცეკვავს, თუ პირადად მისთვის დიდმა სიხარულმა არ ააცეკვა, მაგ. რძლის მოყვანა და სხვა. აქ მოცეკვავეთ აჯილდოვებენ დამბაჩების შადლუხით.

აფსაზის ქორწილში ლექსს ვეღარ გაიგონებთ, რადგანაც აფსაზურმა ენამ არ იცის ლექსთა თხზვა; ამათ არა აქვთ გარითმული და დაწყობილი სიტყვა (риѳмованная и мѣрная рѣчь). ძველ თქმულებებსა და ზღაპრებში თუ შეხვდება კაცი ორ-სამ სტრიქონიან ლექსს, თორემ მეტად ვერ გაიგონებთ.

უფრო შეძლებულ აფსაზთა შორის, ქორწილის შემდეგ მარულასა მართავენ, ნიშანში ისვრიან თოფსა და გამარჯვებულთ ასაჩუქრებენ.

აფსაზის ქორწილში მისალოცავი ყველა მიწვეულიათვის სავალდებულო არაა: მხოლოდ ახლო-ნათესავთათვის არის მისალოცავი სავალდებულო და ჰქვია «ახარშვა» (პირის სანახავი). ნათესავნი «ახარშვად» პატარძალს (ათაცას) მიართმევენ ცხენს (საუკეთესო საჩუქარი), კამეჩს, ძროხას და ფულს. ქორწილის დამსწრე გარეშე (არა-ნათესავმა) პირმა რომ მოისურვოს «ათაცა»-ს (პატარძლის) ნახვა, მისთვის სავალდებულოა პირის სანახავად 20 კაპეიკიდან—1 მანეთამდე. 1 მანეთი ასეთ პირთათვის დიდი საჩუქარია. ეს კია, რომ უპირისანახავოდ «ათაცას» არავის აჩვენებენ.

ნეფე-დედოფალი ქორწილს არ ესწრობიან: ნეფეს სცხვენიან, რომ ცოლი შეირთო, და ამიტომ აღარ გამოჩნდება სტუმრებთან;

---

*) შევნიშნავთ, რომ აფხაზმა არც სიმთვრალეში, და არც სიფხიზლეში არ იცის კაცის პირად ლანძღვა-გინება. ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ ადათით ყოველის უშვერის სიტყვისათვის პასუხი უნდა აგოს მთქმელმა, ხანდახან სიკვდილითაც კი.

ან ვინმე მეზობლის სახლშია დამალული, ან და მიმძვრალია თავისს ეზოს სადღაც კუნჭულში და იქიდან გულის ფანცქალით თვალყურს ადევნებს, მის გამოისობით ატეხილ ამბავს. პირბადე აფარებული «ათაცა» კი სდგას ზეზე მთელი ღამე, თავის «ამჭარის» კედელს მიყუდებული. მას გვერდს უმშვენებენ ზეზევე-მდგომარე მდადე და რამოდენიმე ახალგაზდა ქალიშვილი.

«ათაცა ბარად» შემოსული (დედოფლის სანახავად) ჯერ დაბრძანდება, მოჰყვება ლაპარაკს-ლაზღანდრობას და კარგა ხნის შემდეგ განაცხადებს თავისს სურვილს,—პატარძლის ნახვა მინდაო; მაშინადვე მდადე მოართმევს მას პატარა ლამბაქს, რომელზედაც ნახვის მსურველი სდებს «ახარშვა»-ს (საპირის-სანახავოს). აფხაზებს «ახარშვად» მიცემულის ფულის რაოდენობის გარკვეც-გასამკეცება უყვართ ხოლმე: მაგალითად, თუ აბაზი მიართვა, იტყვის—სამ აბაზს, ათ შაურს მანეთად გადააქცევს. მდადე, საჩუქრისათვის მადლობის გადახდის შემდეგ, ასწევს პირბადეს, და მნახველს ეჩვენება «ათაცა». ეს უკანასკნელი მუნჯივით უნდა იდგეს თავის ფარღალალა «ამჭარის» კედელთან: არც დაჯდომის, არც გალაპარაკების და არც განძრევის ნება არ აქვს! მოიხადა რა თავისი ვალი და ჰნახა ათაცა, მიდის საჩუქრის გამღებელი, და მისს ადგილს იჭერს ეხლა სხვა კაცი. წესი ნახვისა იგივეა; განსხვავება მხოლოდ საჩუქრის რაოდენობაშია.

ქორწილის ღამეს პატარძალს უფლება არა აქვს მდადეს გარდა სხვას ვისმე გაეხმაუროს და დაელაპარაკოს, არამც თუ იმ ღამეს, ერთ-ორ კვირის განმავლობაში არავის გაელაპარაკება, გარდა ახალგაზდა ქალიშვილებისა და პატარა ბალღებისა.

პირველ ღამეს დედოფალი თვალადაც არ დაენახვება ნეფეს.

ხშირად მოხდება, რომ ნეფის სურვილისამებრ ქორწილის ხარჯსა ჰკისრულობს მისი მეგობარი და ამხანაგი უცოლო ყმაწვილი კაცი. სამაგიეროდ, ნეფემ უნდა თავის დროზე ამ ყმაწვილის ქორწილის ხარჯი უნდა გასწიოს. ესეც მოხდება ხოლმე, რომ ცოლიანი ნათესავი უხდის ნეფეს ქორწილს, რისთვისაც ქორწილის მეორე დღეს ამ კაცმა უნდა დაისაჩუქროს თავი ნეფესაგან, შემდების-და-გვარად.

როგორც ზევითაც შევნიშნეთ, ახლო-მახლო მეზობლების ქალები «ათაცას» სანახავად მოდიან ქორწილის მეორე დღეს და მოაქვთ საპირისანახავოდ, ვისაც რა ესერხება: კოლოთვი, საინი, ტასტი, ზელ-საბანი საპონი, ფული და სხვა. ნახვა ათაცასი და საჩუქრის ბაღება ისევ ისე სწარმოებს, როგორც ზევით ავსწერეთ.

ამით არ გათავებულა ტანჯვა-წვალება პატარძლისა. ჯერ ერთი, რომ ყველა ქმრის ნათესავების როგორც ცოცხლების, აგრეთვე მკვდრების ნამდვილი სახელი არ შეუძლია სთქვას, რადგანაც ეს მათდამი უპატივცემლობას ჰნიშნავს; ამიტომ, «ათაცამ» მათ ყველას სხვა სახელი უნდა დაარქვას და უძახოს. მამამთილს, თუ ჰყავს, ან გვარის უფროსს აქაური პატარძლები ეძახიან «აჭა»-ს (მთავარს). ავსაზის ქალს, რომ მოჰკლა, მაინც ვერ ათქმევინებთ თავისის ქმრის სახელს; აგრეთვე ქმარს—ცოლის სახელს. მართებულობა მოითხოვს, რომ ქმარმა არ სთქვას სახელი თავის სიდედრ-სიმამრისა, ცოლის ძმისა და ცოლის დისა.

ათაცა არ გასცემს ხმას ქმრის ნათესავებს, ახლო-მეზობლებს, სოფელში საპატიო კაცებს, სანამ ეს უკანასკნელნი არა სთხოვენ მას და არ ალაპარაკებენ. ამისთანა შემთხვევაში ის კაცი, ვისაც უნდა, ათაცას დღეის შემდეგ მასთან თავისუფლად ლაპარაკი შეეძლოს, მოდის მასთან და სთხოვს, დამელაპარაკეო; პატარძალი, მადლობას იხდის პატივისცემისათვის და იწყებს ლაპარაკს. ასე და ამ რიგად, ყველასთან დაიწყებს ლაპარაკს. აქაც მოხუცებულობასა აქვს პირველი ადგილი დათმობილი: რაც უფრო ხნიერია ნათესავი, მით უფრო მეტი დრო მოუნდება, რომ ათაცას გაელაპარაკოს. ზოგიერთ შემთხვევაში სიმამრი ქალისა, ან გვარის უფროსი ისე მოკვდება, რომ პატარძალთან გალაპარაკება არ შეხვდება, თუმცა, შეიძლება, რამოდენიმე წელიწადი ერთად ეცხოვრათ...

აგრეთვე, პატარძალი ნათესავებთან დიდ ხანს არ დაჯდება: როცა სხვანი სხედან და მუსაიფობენ, ის მათი პატივ-საცემად ზეზე უნდა იდგეს. აქაც, ვისაც უნდა პატარძალი დასვას, უნდა სთხოვოს, პატივი მეცი და დღეის შემდეგ ნუ გრცხვენიან ჩემთან დაჯდომისაო და სხვა. ქალიც მადლობას გადუხდის და ჯდება. ეს კია, რომ პატარძალი ჯერ უნდა ალაპარაკო და მერე დასვა.

დიდს ხანს, ხარისხის მიხედვით, ცოლ-ქმარი ერთად არ ეჩვენებიან ნათესავებს: რაც უფრო პატივსაცემია ნათესავი, მით უფრო დიდს ხანს არ უნდა ეჩვენონ ცოლ-ქმარი ერთად, რათა ამით მისს კეთილშობილურ თავმოყვარეობას შეურაცხყოფა არ მიაყენონ.

პატარძალი ნამდვილი ყმაა ოჯახისა ერთ-ორ წელიწადს მაინც, თუმცა ის ამ სახელით არ არის მონათლული. ყველა ოჯახის წევრს სადილ-ვახშმის დროს ხელი უნდა დააბანინოს, დაწოლის დროს ფეხები დაუბანოს; როცა სხვები, წლოვანებით მაზე უმცროსებიც კი (აფხაზთათვის წლოვანებას დიდი მნიშვნელობა აქვს, გარნა წლოვანებამაც ველარ იხსნა «ათაცა»), სადილ-ვახშმობენ, ის ზეზე უნდა იდგეს და მათ ემსახურებოდეს და სხვა. ერთად-ერთი მისთვის თავშესაფარი და დასასვენი ბინაა—«ამჭარა».

როგორც ზევით ვსთქვით, პატარძალს პირველ ღამეს შეიყვანენ მისთვის მომზადებულ «ამჭარაში», და ამ სახლიდან სასტუმრო სახლში მისვლის ნება არა აქვს, სანამ განსაკუთრებით ამისთვის პატარა ქორწილს არ გამართავენ და «დიდს სახლში» (ავნ დუ) არ შეიყვანენ. ამას ჰქვია აფხაზურად «ავნ დუ ანაგარაა» (დიდს სახლში შეყვანა). გამართავენ პატარა ქორწილს და სანამ პურის საჭმელად დასხდებოდნენ, დიდს სახლში შემოიყვანენ «ათაცას». ამ დროს სახლის უფროსს, ან ამორჩეულ კაცს წკირზე აგებული საქონლის გულღვიძლი და ჭიქით ღვინო უჭირავს ხელში და ლოცულობს და აკედრებს პატარძალს «ავნ აყაჭარას»,*) რათა მისი შემწე და მფარველი იყოს. ამ ჩვეულების ასრულების შემდეგ «ათაცასთვის» დიდ-სახლის**) კარები ღიაა.

«ავნ დუ ანაგარას» შემდეგ უნდა შეასრულონ ჩვეულება—«აძხაგარა» ათაცასი (წყალთან წაყვანა პატარძლისა). ეს ასე სრულდება: თუ ოჯახი შეძლებულია, მაშინ ქალებს, იქ დამსწრეთ, უმართავენ სადილს, რომელსაც ჰქვია «აჭუსა რჩარა» (ქალთა სადილი); ამ სადილს ნება არა აქვსთ მამა-კაცთ და უქმარ-შვილო ქალთ დაესწრონ: იმათ-

*) აყაჭარა (მეგრულად ფუძე, ფუძეშ ხვამა) სახლის მფარველი წმინდანი(?).

**) რაც უნდა ღარიბი იყოს აფხაზი, მაინც მას ორი სახლი აქვს: ავნ დუ (დიდი სახლი), ამასვე უწოდებენ „ასასაირთა“ (სტუმრის მისაღები), და ამჭარა, ანუ ამაწურთა (სამზარეულო). უფროს-ერთი აფხაზთა სახლი—ფაცხაა, გვიმრით დახურული.

თვის ეს აღკრძალულია. სადილის გათავების შემდეგ ათაცა დროულ ქალებს მიჰყავთ წყლისაკენ, სადაც ამორჩეული დროული ქალი მისს (პატარძალს) თავს შეავედრებს «ამითოუ»-ს («წყალში მყოფს»), ძიძლან-მაჭკვაყვს (ძიძლან-ალი), მაჭკვაყვ—წყლის დედოფალი) და სთხოვს მას, რათა დღეის შემდეგ იგი პატარძლის მფარველი და მწყალობელი იყოს მეობასა, ოჯახობასა, აბრეშუმის მოყვანაში და სხვა. თუ ოჯახი ღარიბია, მაშინ «უ-აჭუსა-რჩარა»-ოდ ასრულებენ ამ ჩვეულებას: პატარძალი მიჰყავთ წყალთან, ჩააგდებენ მის ტანისამოსს წყალში და მისს თავს შეავედრებენ «ძიძლან-მაჭკვაყვს». ამ ჩვეულების ასრულების შემდეგ ათაცას ნება ეძლევა თავისუფლად წყალთან სიარულისა, რადგანაც მისი თავი წყლის «პატრონს» შეავედრეს!

ქორწილის შემდეგ სიძემ უნდა დაასაჩუქროს როგორც მდადექალი, აგრეთვე მდადე-ვაჟი (პატარძალს ქალი-მდადე და ვაჟი-მდადე მოჰყვება შინიდან). მდადე-ქალი ხელმეორედ უნდა დაბრუნდეს და სიძეს საჩუქრები მოართვას (მისი ტანისამოსი და სხვა), რისთვისაც სიძემ ხელმეორედვე უნდა დაასაჩუქროს ეს ქალი.

როცა ცოტა ხელს მოინაცვლებს და ქორწილისათვის აღებულს ვალებს გაისტუმრებს, სიძე წაიყვანს ცოლს, რამდენსამე მხლებლებს იახლებს, წაიღებს საჩუქრებს და ეწვევა სიმამრს. აქ კარგს მეჯლისს გამართავენ. ამ მეჯლისის დროს სიძე შუაკაცის ხელით ურიგებს საჩუქრებს თავის ცოლის ყველა ახლო-ნათესავებს. საჩუქარი-ფული. თვითეულ მონათესავე ოჯახის წარმომადგენელს აძლევენ ვის სამ მანეთს, ვის ნაკლებს, ერთ აბაზამდე. სირცხვილი არ არის, შორეულ ნათესავს ერთი აბაზი აჩუქოს სიძემ აჩანცათ (ამ საჩუქარს ჰქვია «აჩანცა»),—სირცხვილი ისაა, როცა არ აჩუქებს! სიმამრისაგანაც სიძე არა რჩება დაუსაჩუქრებელი. ამ «აჩანცის» გაცემის შემდეგ სიძეს შეუძლია თავისუფლად ეჩვენოს ცოლის ნათესავებს,—აქამდი კი ამ უფლებას მოკლებული იყო.

ახლად დაცოლიანებული შეძლებული ვაჟ-კაცი შინაურებშიაც (თავის ნათესავებშიაც) გასცემს «აჩანცას», რის წყალობითაც ზოგიერთ უფლებას ჰპოულობს; მაგალითად, ამის შემდეგ შეუძლიან უფროსებთან თუთუნი მოსწიოს, მათთან ალავერდი მივიდეს და სხვა.

როგორც ზევით აღვწერეთ, აფხაზს არ აქვს უფლება თავის სიმამრ-სიდედრის სახელი სთქვას; აგრეთვე, მათგან ერთს სკამზე დაჯდომის ნება არა აქვს, იმათის ხელის ბანის დროს ზეზე უნდა იდგეს და სხვა. ესევე აღკრძალულია პატარძლისათვის.

სიძეს არ უნდა დაურჩეს დაუსაჩუქრებელი არც-ერთი წევრი მოყვრად-მოკიდებულ ოჯახისა—დიდით-პატარამდე, როცა ეს წევრი ეწვევა თავისს სიძეს შინ. აგრეთვე, ცოლის «ახუფჭა» კარგად უნდა დაასაჩუქროს.

როგორც თვითონ მკითხველი ჰხედავს, ვინც სავსებით აასრულებს მამა-პაპურ ჩვეულებებს, იმისთვის ცოლის შერთვა—გაღატაკებასა ჰნიშნავს, რადგანაც, დაბოლოს, თავისი ცოლი საჩუქრებით ნაყიდი რჩება მას: მზითევში ქალისა და სიმამრისგან მიღებული საჩუქრები, გაცემულთან შედარებით, მცირედი წვეთია წყლისა, ზღვაში ჩანთქმული.

ნ. ჯანაშია

# გიუიოს აზრები

## შესახებ ზნეობისა და აღზრდისა

(თავისუფალი თარგმანი)

I

არც ერთს ცალკე პირს არ შეუძლიან იცხოვროს მარტო თავისთვის და თავისთავად. პირადი ცხოვრება კაცს სულს უხუთავს, ავიწროებს მის გონებას, სჩაგრავს ადამიანის სახელს. სრულ სიცოცხლეს მხოლოდ ისა გრძნობს, ვინც სხვისთვისაც ცხოვრობს. გაზვიადებული თავ-მოყვარეობა ამცირებს კაცს.

ყოველი კაცის მოქმედებას საფუძვლად დიდსულოვნობა უნდა ედვას. პიროვნული მოქმედება იმ მწიფე ნამყოფსა ჰგავს, რომელიც ტყუილ-უბრალოდ ლპება ხეზე და არავის კი არ არგია. პირად კაცს—ეგოისტს—ეშინიან ხელის გაშლის; მას არ ესმის სარგებლობა ერთი-მეორის დახმარებისა, არ ესმის, რომ სიმდიდრე მოიპოება გაცემ-დავალებით.

როგორც ზნეობა, ისე პოლიტიკური ეკონომია მოითხოვს, რომ ცოტა რამ იმისა, რაც ჩვენ გვეკუთვნის, სხვასაც ეკუთვნოდეს. ნაწილი ჩვენის არსებისა შერეულ იქმნას მთელი კაცობრიობის არსებასთან. იმათაც რომ არ ვერწმუნოთ, ვინც ამტკიცებს, რომ ყოველი კეთილი საქმე მსხვერპლიაო, ის ხომ ეჭვ გარეშეა, რომ კეთილი საქმე სულის სიმდიდრეს ნიშნავს, დიდსულოვნობას ამტკიცებს, იმ დიდსულოვნობას, რომლის წყალობით ჩვენს სულშივე ვპოვებთ მთელ კაცობრიობას. დიდ-

სულოვნობა იყო მიზეზი, ის იყო საფუძველი, რომელზედაც აღშენდნენ და აღყვავდნენ სარწმუნოებანი და ზნეობითი სისტემები,

ან კი რა არის, კაცმა რომ სთქვას, პირადი ცხოვრება — პირადი სიტკბოება? წარმოიდგინეთ, ისეთი ეგოისტური მოთხოვნილებაც კი, როგორიც არის, მაგალითებრ, ჭამა-სმა, მხოლოდ მაშინ არის დამატკბობელი, თუ ჩვენთან ერთად სხვებიც შეექცევიან, სხვებიც სჭამენ და სმენ. ამნაირსავე მოვლენას შევნიშნავთ, თუ დავაკვირდებით, ჩვენს მწუხარებასა და მხიარულებაშიაც. კაცი, რომელსაც პირადი ინტერესების მეტი არა ანაღვლებს-რა, მახინჯია, ის ანორმალური მოვლენაა ცხოვრებაში. არც ჩემი მწუხარება, არც ჩემი მხიარულება მარტო მე არ მეკუთვნიან. ეხლანდელი პსიხოლოგიის შეხედულებით „მე" ილიუზიად ითვლება, ცალ-ცალკე პირები არ არსებობენ, ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთ სხეულს, ამიტომაც პირადი სიტკბოებაც ილიუზიად უნდა ჩაითვალოს. შეუძლებელია, მარტო მე ვიგრძნო მხიარულება, თუ ჩემთან ერთად სხვებიც არა მხიარულობენ. ჩემი მხიარულება მაშინ ჩაითვლება მხიარულებად, თუ ის სხვებსაც ამხიარულებს ჩემი ოჯახიდან დაწყებული იმ საზოგადოებამდე, სადაც მე ვცხოვრობ.

## II

ცხოვრებას ორი მხარე აქვს: ერთის მხრით ის არის კვებაზრდა, მეორეს მხრით — წარმოება, ნამყოფიერობა. რაოდენსაც მეტს იძენს კაცი, მდენად მეტი უნდა გასცეს. ხარჯვა ბოროტება კი არ არის ფიზიოლოგიის შეხედულებით, არამედ ერთი სიცოცხლის ნიშანთაგანია. სხვაზედ დახარჯვა, ხელის გაღება თავის დღეში ზარალს არ მოუტანს კაცს, პირიქით, დიდს სარგებლობასაც მისცემს მას. ეს ერთნაირად შეიძლება ითქვას როგორც სულიერ მხარეზე, ისე ხორციელზე.

სულის ძალის (ჭკუის) დაკეტა ისეთივე შეუძლებელი საქმეა, როგორც ცეცხლისა; ის მისთვისაა გაჩენილი, რომ

ანათოს. ასეთივე თვისება აქვს გრძნობასაც. ჩვენ უნდა გან-
ვუზიაროთ სხვებს როგორც მწუხარება, ისე სიხარული. მეცნიე-
რის ნაწარმოებს ტყუილად კი არ უწოდებენ მის შვილებად.
დახედეთ, რასა ჰგავს განმარტოებული კაცი? ის მუდამ მო-
წყენილია, რაღაც უკმაყოფილებასა გრძნობს თავის გულში.
როდესაც ჩვენ რაიმე ესტეტიკურ სიამოვნებას ვგრძნობთ,
ვცდილობთ სხვასაც განვუზიაროთ ეს სიამოვნება; გვინდა ყვე-
ლას გავაგებინოთ, რომ ჩვენ ვარსებობთ ქვეყანაზე: ვგრძნობთ,
გვიყარს, ვიტანჯებით, ყოველ ღონესა ვხმარობთ გამოვძვრეთ
პიროვნულ ქერქიდან და საზოგადო კალაპოტში მოვთავსდეთ.
მართალია, არიან ისეთი ქვენა გრძნობანი, რომელნიც ხალისსა
ჰგვრიან კაცს: მაგალითებრ, როდესაც ყმაწვილი ხედავს, რომ
სუფრაზე ერთი ხაჭაპური დევს, მას უნდა, რომ ეს ხაჭაპური
მარტო მას ეკუთვნოდეს, მაგრამ არც ერთი გრძნობა-გახსნილი
კაცი არ მოინდომებს, მარტოდ-მარტო დასტკბეს რაიმე მშვენიე-
რების სანახაობით.

მას უნდა, რომ სხვამაც ნახოს, სხვაც დასტკბეს ამ სანა-
ხაობით. მარტო თავის სიტკბოება არ მიაჩნია მას სრულ სი-
ტკბოებად. ამნაირ სურვილში იფარება ეგოისტურ „მე“-ს
უარყოფა.

ჩვენ ყველანი წარმოვადგენთ ერთ სხეულს, ამიტომაც,
ძალიანაც რომ ვეცადოთ, სრულ განმარტოებას ვერ მოვა-
ხერხებთ. ჩვენ მარტონი არა ვკმარვართ ჩვენი თავისთვის—
საჭიროა სხვების დახმარება, ამიტომაც ჩვენი ჭკუა, გონება,
ნიჭი, გამჭრიახობა უნდა ვავარჯიშოთ ალტრუისტულ გრძნო-
ბების ასაღორძინებლად. ცხოვრება არის ნამყოფიერობა და
ნამყოფიერობა არის ცხოვრება. დიდსულოვნობა არ განიყოფე-
ბა თვით-არსებობისაგან. უამთვისებოდ კაცი კვდება, ხმება
როგორც ყვავილი. კაცი მხოლოდ მაშინ არს ცოცხალ,
როდესაც ის ჰყვავის. ზნეობა, პატიოსნება, უანგარობა, სიბრა-
ლული—ესენი არიან თვით ყვავილები. სიყვარულს ყოველს
დროში სახავდნენ დედის მსგავსად, რომელიც სავსე ძუძუებს
აწვდის თავის ყმაწვილს. მართლაც რომ მშვენიერად ხატავს

ამნაირი სურათი სიყვარულის ძალას. დედის სავსე ძუძუები თხოულობენ მჭამელს; აგრეთვე ნამდვილი ადამიანის გული მოითხოვს კეთილი საქმის გაკეთებას. კეთილი კაცი ძალაუნებურად მიილტვის ტანჯულთა და გაჭირვებულთა საშველად.

III

თავის მსხვერპლად შეწირვა ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლის გაფართოებას ნიშნავს. გამოერევა კაცის ცხოვრებაში ისეთი ჟამი, როდესაც ერთის წამის მაღალ სიტკბოებისათვის არ დაიშურებს მთელს თავის უფერულ სიცოცხლეს; ეს ის წამია, როდესაც კაცს შეუძლია სთქვას: მე ვცხეროზ, მე მიცხოვრია... თუ ხანდახან შენ მთელი წლობით იტანჯები სასიკვდილო ლოგინზე, ან და მთელი შენი სიცოცხლე უფრო სიკვდილს წააგავს, ვიდრე სიცოცხლეს, მაშინ რატომ ისიც არ შეიძლება, რომ ერთის წამის სიყვარულისათვის მთელი სიცოცხლე შესწირო. აბა შეიყვანეთ კაცი ამნაირ სარჩიელში: რამდენიმე საათი მაღალ სიტკბოებისა, ანუ მთელი წელიწადები უფერულ ცხოვრებისა. დარწმუნდით, რომ ბევრი არ დაიწყებს ყოყმანს. მთელი სამი დღე წვალობს მოგზაური, სანამ ის ალპების მწვერვალს მიაღწევდეს; მაგრამ რაკი მიაღწია, ერთი წამის სიტკბოება ავიწყებინებს მას ამდენი ხნის ტანჯვას. აგრეა კაცის ცხოვრებაშიაც: ისეთ სიმაღლეზე გრძნობ შენს თავს ერთი წამის განმავლობაში, რომ სრულიად ივიწყებ მთელს შენს სიცოცხლეს.

რამდენადაც კაცი მეტად განვითარებულია გონებით, რამდენადაც ის ღრმად აკვირდება კაცთა შორის განწყობილებას, იმდენად უფრო ცხადად ხედავს და ესმის მას თვისი დანიშნულება საზოგადოებაში. უანგარო მუშა მზადაა ყოველთვის თავი შესწიროს თავის მოვალეობის აღსრულებას, თუ კი ამას გარემოება მოითხოვს. ადვილად გაიგებ შენ რა ფასის კაცი ხარ, თუ ამნაირად დაეკითხები თავის თავს: რომელი აზრისა-

თვის, ან რა კაცისათვის გასწირავდი შენ შენს თავს? ვისაც ამ კითხვაზე პასუხის გება არ შეუძლია, ის ვერ დაიქებს, მეც კაცი ვარო. ამნაირი კაცი ვერასოდეს ვერ შეიქმს ვერაფერს თვალ-საჩინოს, რადგანაც ის თავის პირადობას ვერ გასცილებია; ის უღონოა, უნამყოფოა, გამოუდეგარია ქვეყანისათვის. პირიქით, ვინც თავის იდეალისათვის მზად არის სასიკვდილოდ, ის ყოველთვის ჰპოულობს თავის გულში შესაფერ ძალ-ღონეს. ერთ-ერთი საშუალება სახელოვან კაცად გახდომისა იმაში მდგომარეობს, რომ სიკვდილს არ შეუშინდე. აქ მოვიყვანთ ერთ შესამჩნევ მაგალითს, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ გულწრფელი და პატიოსანი გვამი არ ეპოება სიკვდილს: პირინეის მთებში ერთს ქარხანაში მუშები კირსა სწვავდნენ. ერთი მუშა საკირეში ჩაეშვა, რომ გაეგო მიზეზი რაღაც წანამხდარისა. უეცრად ამ დროს საკირედან დიდი კვამლი ამოვარდა, და მუშა დაირჩო. ამის მისაშველებლად მეორე მუშა გადაეშვა ფეჩში და ისიც დაირჩო. ქალმა, რომელიც იქვე იდგა და უყურებდა ამ ამბავს, სხვა მუშებს დაუძახა მისაშველებლად; ისინიც მოვარდნენ და ერთი მათგანი იმ წამში გადაეშვა საკირეში,—ესეც იმსხვერპლა ცეცხლმა; ამას გადაჰყვა მეოთხე, მეხუთე, და ყველას ერთი დღე დაადგა. ბოლოს, როდესაც უკანასკნელი მუშაც აპირობდა იმავე გზას დასდგომოდა, ქალმა სტაცა მას ხელი და ძლივს-ძლიობით გადაარჩინა სიკვდილს. ამ საქმის თაობაზე გამოძიება მოხდა; და როდესაც ერთი მსაჯულთაგანი დიდის სიბრძნით უმტკიცებდა გადარჩენილს მუშას მის სიბრიყვეს, მან გულწრფელად შენიშნა მსაჯულს: რა სიბრიყვე იქმნებოდა, მეც იმ საქმისათვის მომკვდარიყავ, რისთვისაც დაიხოცნენ ჩემი ამხანაგებიო?

## IV

კაცი, რომელსაც არავითარი საზოგადო საქმე არ აწუხებს და არ აინტერესებს, ისეთივე მახინჯია სულით, როგორც კუზიანი ფიზიკურის მხრით. აქედან წარმოსდგება ის სირცხვილი,

რომელსაცა გრძნობს ყველა, ვინც საზოგადო ინტერესებს მოკლებულია. დიდად აღშფოთებულია კაცის გული, როდესაც ისა გრძნობს რაიმე სიმახინჯეს, ზნეობითია ეს, სიმახინჯე თუ ფიზიკური—ეს სულ ერთია. ადამიანი მხოლოდ მაშინა გრძნობს თავის თავს ადამიანად, თუ ის საზოგადო მწუხარებასა თუ მხიარულებას თავის საკუთარ მწუხარებად თუ მხიარულებად სთვლის, როდესაც ის ყოველივე საზოგადოებისთვის მავნებელს აზრს ისე ებრძვის, როგორც პირადად მისთვის მავნებელს, როდესაც ის საზოგადო ჩრდილს თვის საკუთარ ჩრდილად მიიჩნევს, როდესაც ის მთელი საზოგადოების ცხოვრებას თავის გულში ატარებს. საზოგადოებური ინსტიქტი ზოგიერთ ცხოველებშიაც კი ისე მაღლა სდგას, რომ, მაგალითებრ, შუაში გადაჭრილი ჭიანჭველა მედგრად იცავს თავის ბუდეს, გადააქვს კვერცხები თავთავის ადგილას, სანამ სრულებით არ ეკარგება სიცოცხლის ძალა. რა კარგი იქნება, რომ ჩვენც მივბაძოთ ჭიანჭველებს, და ყოველი ნაწილი ჩვენის არსებისა ცხოვრებდეს, კვდებოდეს სხვებისათვის, რათა ჩვენი ცხოვრება განუყრელ იყოს საზოგადო ცხოვრებისაგან.

კარგი კაცის გული მაშინაც კი ღელავს, როდესაც სულ უბრალო ცხოველის წვალებას ხედავს, თორემ თავის მზგავსის ტანჯვა ხომ სულ აღშფოთებს. ერთ არაკში მოთხრობილია: ინდოელ მგოსნის წინ დაჭრილი ფრინველი დაეცა; საცოდავი სიკვდილს ებრძოდა და მთელი სხეულით თრთოდა და იტანჯებოდა. მგოსანი სიბრალულმა შეიპყრო. რამდენიმე ხნის შემდეგ მგოსანმა დასწერა შესანიშნავი ლექსი, სადაც საოცარის სინამდვილით იყო აწერილი საზოგადოდ ტანჯვა-წვალება. დიაღ, სიბრალულმა აღაშფოთა მგოსანი. სიბრალული არის უწმინდესი და უმაღლესი წყარო სარწმუნოებისა და პოეზიისა. ურთი-ერთ შორის სიყვარული ჰკუის თანასწორებას როდი თხოულობს, რაც უნდა დიდად განირჩეოდეს ერთი კაცი მეორისაგან, თუ მათ შორის სიყვარული დაფუძნდა, ჰკუითაც მალე მორიგდებიან,—საქმე სიყვარულია. გულის და სულის ერთობა ადამიანთა შორის ნათელსა ბადავს.

უაღრესობა პატიოსნებისა იმაში მდგომარეობს, რომ მაში იფარება თვით პოეზია. ღვთისნიერი ცხოვრებაო, ამბობდნენ ბერძნები, ერთ და იმავე დროს სიმშვენიერეც არის და სიკეთეცაო.

## წერილი მეორე

(აღზრდა)

თვით მშობლებს არა აქვთ კარგად გათვალისწინებული, რაში მდგომარეობს აღზრდა, ნამეტურ როდესაც ყმაწვილები ჯერ პაწაწანი არიან. აბა რა ზნეობითი იდეალს ვხედავთ ჩვენ ოჯახების უმეტეს ნაწილში: ჩუმად იყავით, ნუ ხმაურობთ, ცხვირში თითს ნუ იყობთ, ჰკუიანად იყავით! ახლა ჰკუიანიც ხომ ის ყმაწვილია, ვინც მანქანასავით მოქმედობს. ხელები ამ მანქანას იმისთვის აქვს, რომ არაფერი აკეთოს, ფეხები—რომ არ იაროს, არ იხმაუროს, თვალები—რომ არავითარი სურვილი მათში არ გამოიხატოს, ენა—რომ არაფერი სთქვას.

ბევრნი არიან ისეთი მშობლებიც, რომელნიც ყმაწვილებს ზრდიან თავის სიამოვნებისათვის, და არა მათის ინტერესებისათვის. მე ვიცნობდი მშობლებს, რომელთაც არა სურდათ გაეთხოვებინათ ქალი მხოლოდ იმისთვის, რომ არ მოსწყენოდათ უმისოდ. ზოგ მშობლებს არა სურთ, რომ მათმა შვილმა შეისწავლოს ის თუ ეს ხელობა, რადგანაც თვით მათ არ მოსწონთ ეს ხელობა. აი ამას ჰქვიან ეგოისტური აღზრდა. არის სხვა ნაირი აღზრდა, რომელსაც სახეში აქვს არა დედმამის სიამოვნება, არამედ შვილის სარგებლობა და მის სურვილი. ჭეშმარიტი აღზრდა პირუთვნელია; მას აქვს სახეში მხოლოდ ყმაწვილის სიკეთე, მისი აღზრდა სამშობლოსათვის და კაცობრიობისათვის.

*

როგორ აღეძვრის ყმაწვილს სიყვარული? შეიძლება გადაწყვეტილად ვსთქვათ, რომ ყმაწვილს სიყვარული თანადატანებული აქვს ბუნებისაგან, თუ აღზრდაზე ჰკიდია მისი გულში

ჩანერგვა? პირველი წამოყვირება ყმაწვილისა მისი „მე“-ს გამომხატველია; ეს ყვირილი შედეგია მხიარულებისა ანუ მწუხარებისა. ყმაწვილი თანდათან იზრდება, გონს მოდის, მაშინ ყვირილით ის უკმაყოფილებასაც ხატავს. ხედავს რა თავის გარშემო ტკბილს ალერსს, სიყვარულს, ის ცდილობს დაიმსახუროს ეს სიყვარული. როდესაც დედა თავის უსუსურ ბავშვს დაჟინებით ეკითხება რასმე, ის პასუხად ღუღლუღს იწყებს ხოლმე, დედის გაცინებაზე ისიც იცინის. რა დიდი ხნის მუშაობის შედეგია ეს პირველი სიცილი! რა დიდ ხანს ვარჯიშობდა მისი ტვინი, რომ ამ სიცილით გამოეხატა თავის სიყვარული იმათთვის, ვინც იმას ესიყვარულება! ამის შემდეგ კიდევ ამტკიცებენ, რომ სიყვარულის გრძნობა ყმაწვილს ჩანერგილი აქვსო. ყმაწვილი ბუნებით ეგოისტია; ის იმ მცნების მიმდევარია, რომელიც ამბობს: სულ ყველაფერი მე და სხვას კი არაფერიო. მხოლოდ როდესაც ის ხედავს, რომ მის გარშემო მყოფნი თავალით და სიყვაულით ეპყრობიან ერთიმეორეს, ისიც ეჩვევა თავაზს და სიყვარულს. ყმაწვილის ტკბილი ღიმილი, მისი ალერსი არიან სამაგიერო, რომელთაც ის უძღვნის მის გარშემო მყოფთ სიყვარულისათვის. კარგად აღზრდილი ყმაწვილის გული სხვისაკენ უფრო მიილტვის, ვიდრე თავისკენ, ის ხარობს სხვისი სიხარულით და იტანჯება სხვისი მწუხარებით.

## შთაგონება როგორც პედაგოგიური საშუალება

ყველაფერი, რასაც გრძნობს ყმაწვილი, არის შთაგონება. შთაგონება იწვევს ჩვეულებას, რომელიც, ხან-და-ხან, მთელს სიცოცხლეში გაჰყვება კაცს. შთაგონების ძალა დიდია; მას შეუძლია სრულიად გამოცვალოს კაცი. შთაგონება იმას ჰქვიან, როდესაც თქვენ არწმუნებთ ანუ აგონებთ კაცს, რომ ის არის, ანუ უნდა იყოს, ასეთი და არა ისეთი. დიდი მნიშვნელობა აქვს შთაგონებას აღზრდაში. ხელოვნური აღზრდა ყოველთვის

იმ იდეას უნდა ემსახურებოდეს, რომ კეთილი შეაყვაროს ბავშვს და ბოროტი შეაძულოს. ყმაწვილს უნდა აგონებდნენ, რომ მას იმდენი ძალაც შესწევს და ღონეცა, რომ კეთილი ჰქმნას, მაგრამ ბოროტისათვის კი უძლურია. როდესაც ჰიპნოტიზიორს უნდა გამოიწვიოს ვისმესაგან რაიმე მოქმედება, ის იმას კი არ აგონებს მარტო, რომ ეს და ეს საქმე ჰქენიო, არამედ იმასაც კი ეუბნება (აგონებს), არ შეგიძლია ასე არ მოიქცეო; ის ერთ და იმავე დროს მოქმედებასაც იწვევს და თან აგონებს: ამის წინააღმდეგი მოქმედება არ შეგიძლიაო. გამოჩენილმა ბერგეიმმა ერთხელ ჩააგონა ბ. ს. საათი მოეპარა, მაგრამ ის კი აღარ ჩაუთქვა, ამის წინააღმდეგობა არ შეგიძლიაო. გაიღვიძა ს., ხედავს, სტოლზე საათი დევს; გასწია ხელი საათის ასაღებად, მაგრამ შეჩერდა: ეს ხომ ქურდობა იქნებაო, გაიფიქრა გულში; ამის შემდეგ ბერგეიმმა ხელახლად დააძინა ს. და ამნაირად შთააგონა: თქვენ დამალავთ ამ კოვზს ჯიბეში, არ შეგიძლიათ, რომ ასე არ მოიქცეთ. გაიღვიძა თუ არა ს., იმ წამს კოვზი ჯიბეში ჩაიდო. საკმაოა, ხან-და-ხან, ყმაწვილს უთხრა, ესა და ეს ზნე გჭირსო, ის ეცდება გაამართლოს თქვენი აზრი. მუდამ საყვედურით, მუდამ ჩიჩინით: შენ ასეთო, შენ ისეთოო, ჩვენ მხოლოდ საქმეს ვახდენთ. მართალს ამბობენ: კარგი აღმზრდელი არაოდეს არ ფიქრობს ცუდს თავის მოწაფეზე. როდესაც ჰიპნოზის გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანს აგონებენ, რომ ის მგელია, ისიც მოჰყვება და ღმუის და ჰყეფს მგელივით. ამნაირივე პრინციპები მოქმედებენ ხალხის მართვაშიაც. შენიშნულია, რომ როდესაც უბრალო პატარას ისე ეპყრობიან, ვითარცა დიდ დამნაშავეს, ამით მას უფრო ცუდ გზაზე აყენებენ.

დიდად მოქმედობს კაცზე, თუ იმაზე კარგის აზრის არიან: ერთმა ახალგაზდა ექიმმა ხელი ჩამოართო დამნაშავეს, რომელიც მეათეჯერ იყო მიცემული პასუხის გებაში. ამ უბრალო შემთხვევამ დიდი ზნეობრივი გავლენა იქონია დამნაშავეზე. ერთმა პატიმარმა თითქმის ინსტიქტურად სტაცა ხელი მეორეს, რომელიც საპყრობილეს უფროსს მიჰვარდა გასალახავად, და

დააკავა იგი. ამ უცაბედმა მოქმედებამ ისეთი ზნეობრივი გავლენა იქონია პირველ პატიმარზე, რომ თითქმის სრულიად გამოიცვალა ხასიათი და სანაქებო ყოფა-ქცევას დაადგა. საზოგადოდ, პატივით მოპყრობას დიდი გავლენა აქვს ხასიათის გასწორებაზე. პირიქით, თუ ჩვენ კაცი გველად მიგვაჩნია, ამით ჩვენ მას სრულიად ვღუპავთ. ამნაირად, აღზრდაში პირველ საქმე ისაა, რომ ცუდი არაფერი იფიქროთ ადამიანზე, კარგი და კეთილი მისწრაფებანი იგულისხმოთ მაში. ხმა-მაღლა გამოთქმულ აზრს დიდი გავლენა აქვს ადამიანის სულზე. ხშირად გაგვიგონია, ხოლმე: ეს ზარმაცია, არაოდეს თავის საქმეს არ აკეთებს... რავდენი ყმაწვილისთვის ჩაგვინერგავს ამნაირი სიტყვებით ცუდი თესლი! როდესაც ყმაწვილი აშავებს რასმე, მიწასთან კი არ უნდა გაასწორო ის, ცუდის ბოროტის განზრახულებით კი არ უნდა ახსნათ მისი საქციელი, არამედ ასე უნდა განმარტოთ: „შენ, რასაკვირველია, ცუდი არა გდომებიარა, შენ ეს ცუდის განზრახულებით კი არ მოგსვლია, ეს გამოუცდელობამ, დაუკვირვებლობამ ჩაგადენინა“. თუ რა დიდი განმავალობა აქვს კაცზე წამოსროლილს, მოუფიქრებლად ნათქვამს სიტყვას, იქიდან დაინახავთ, რომ როდესაც მთელი გროვა ხალხისა მისდევს ვისმე რაიმე გამოურკვეველის მიზნით, საკმაოა შესდგეს ეს კაცი და სთქვას: „რას მომდევთ, დარჩობა ხომ არ გინდათ ჩემიო?!“ ხალხი იმ წამს მივარდება და დაარჩობს მას, თუმცა, შეიძლება, ბრბოს ამნაირი განზწახულება არც კი ჰქონია გულში.

ბეს. სა—ლი

# ბიბლიოგრაფია

**Левонъ З. Мсеріанцъ.** Къ интерпретаціи ванскихъ надписей. (Отдѣльный оттискъ изъ Χαριστήρια—юбилейнаго сборника въ честь проф. О. Е. Корша. - Москва, 1896 г.).

ამ სათაურით დაწერილს სტატიას ლეონ მსერიანცისას აზრადა აქვს განგვიმარტოს სიტყვა pi-li-ს (პილი) მნიშვნელობა, რომელიც რამოდენიმეჯერ ნახმარია ეგრედ წოდებულს ვანის ლურსმურ წარწერებში. ვანის ლურსმური წარწერების აზრს კჳნელოგები ეხლა საკმაოდ კარგად არჩევენ, მაგრამ ენა ამ წარწერებისა ჯერ-ჯერობით გამოკვლეული არ არის და ამიტომ არ იციან, რომელ ჯგუფის ენას ეკუთვნის. ფრანსუა ლენორმანი, სეისი, გიუარი და სხვა მეცნიერებიც ვანის ლურსმურ წარწერების ენაში ცნობილობენ ქართული ენის მონათესავე ენას, მაგრამ მანამ საკმაო უტყუარი საბუთები არ შეიკრიბება ამის დასამტკიცებლად, მანამდის ეს აზრი დამტკიცებულად არ ჩაითვლება და მხოლოდ მოსაზრებად დარჩება. თითო-ოროლა საბუთი ამისათვის საკმაო არ არის.

მსერიანცის სტატიაში მოყვანილია ყველა ფრაზები, რომელშიაც სიტყვა «პილი» იხმარება და დაწვრილებით მოთხრობილია ისტორია ხსენებული სიტყვის მნიშვნელობის განმარტებისა. სიტყვა „პილი“ მოხსენებული ყოფილა შვიდ სხვა-და-სხვა წარწერაში. წინეთ ამ სიტყვას ინგლისელი მეცნიერი სეისი pi-da-დ (პი-და-დ) კითხულობდა, მაგრამ ეხლა პილად კითხულობს. რაც შეეხება ხსენებული სიტყვის მნიშვნელობას, მეცნიერები იძლევიან სამ სხვა-და-სხვა თარგმანს: სეისი თარგმნის ძეგლად, მიულერი—წარწერად, ბელკი და ლეჰმანნი—არხად ანუ წყლის გასაყვან მილად. რუსის მეცნიერი მ. ვ. ნიკოლსკი წინეთ სეისის მომხრე ყოფილა, მაგრამ

ბოლოს იმ აზრს დასთანხმებია, რომლითაც «პილი» არხად უნდა ითარგმნოს. მსერიანცი ამბობს, რომ სომხურ ენაში იხმარება სიტყვა «მილ», რომელიც პროფესორი ნ. მარრის აზრით უნდა უდრიდეს ქართულ სიტყვას მილს. მილი, როგორც მოგეხსენებათ, მიწაში წყლის გამოსაყვანი იარაღია და უნდა ვიფიქროთ, რომ არხის სახელადაც იხმარებოდა წინეთ. ამავე აზრით ხმარობს თურმე სალხი სიტყვა მილ-ს ყარაბახში (ელისავეტოპოლის გუბერნიაში). ქართული მილი და ვანის ლურსმური წარწერის pi-li—ერთი და იგივე უნდა იყოს მსერიანცის აზრით. p და m ბევრ ენებში ერთი-მეორეს ეცვლებიან, ეგრევე ითქმის b და v-ის m-ზე შეცვლაზეც. ასე რომ შესაძლებელია ფორმა pi-li და mili შუა წარმოვიდგინოთ გარდამავალი ფორმა bili (ბილი). ყველა ამების მიხედვით, ბ. მსერიანცის აზრით, ქართული სიტყვა მილი რამოდენიმედ მაინც მოწმობს, რომ სიტყვა pi-li უნდა ითარგმნოს არხად. ამ აზრს ასაბუთებს კიდევ ერთი გარემოება. უკანასკნელი ვანის ლურსმური წარწერა, რომელშიაც სიტყვა pi-li იხმარება, ნაპოვნია 1895 წელს სოფელ კარაკლისის მახლობლად, რახსის მარჯვენა ნაპირზე იმ ადგილას, სადაც იწყება სარდაბადის არხი. წარწერიდან ვტყობილობთ, რომ ვანის მეფეს არტიშტი I (მერვე საუკუნეში ქრისტეს წინ) გამოუღია არხი რახსიდან თავის სატახტო ქალაქის არტიშტიხანილამდი (არმავირამდი). აი თვით ფრაზა, რომელშიაც ეს სიტყვა იხმარება:

i-ni pi-i-li-e a-gu-u-ni
ეს არხი (მილი) მე გამოვიღე.

ბოლოს ბ-ნი მსერიანცი ამბობს, რომ შესაძლებელია სიტყვა მილ სომხებს შემოედოთ ვანის ხალხის ენიდან არხის აღსანიშნელად. ვანის კულტურას, რომელიც მოსულ სომხებს დახვდათ, გამკალობა უნდა ჰქონოდა სომხებზე და რადგან ვანის ხალხი დახელოვნებული იყო არხების გაყვანაში, არხის სახელიც მათგან უნდა მიეღოთ.

უკანასკნელი აზრი ბ-ნი მსერიანცისა რაღაც ვერ ეხერხება წინა თქმულს: თუ ქართული მილი და ვანის პილი ერთი და იგივეა და პილი ქართულის მილის მნიშვნელობით უნდა აიხსნას, მაშასა-

დამე, სომხებს ეს სიტყვა ქართული ენიდან უნდა შემოეღოთ, რადგან იმავე ფორმით იხმარება სომხურ ენაშიაც, როგორც ქართულშია. ვანის ხალხიდან რომ გადმოეღოთ ეს სიტყვა, უფრო მოსალოდნელია, რომ ხსენებულ სიტყვას pi-li-ს ფორმით იხმარებდნენ. რასაკვირველია, თუმც ვანის ხალხი ქართველების წინაპრები ანუ თანამეტომე იყვნენ, მაშინ სულ ერთია, საიდანაც არ ესესხათ სომხებს ეგ სიტყვა, მაგრამ რომც ვანის ხალხი არა აღმოჩნდეს ქართველების მონათესავედ, იმ შემთხვევაშიც მსერიანცის სტატიის მიხედვით ჩვენ გვგონია, სიტყვა მილი სომხებს უნდა შემოეღოთ ქართულის ენიდან.

საზოგადოდ სიტყვა pi-li-ს განმარტება ბ-ნი მსერიანცისა საკმაოდ დასაბუთებულს მოსაზრებას წარმოგვიდგენს.

# ჩვენსა და სხვაგან

თავად-აზნაურთა გაჭირებული მდგომარეობა და მართებლობის დახმარება.—ქალაქის არჩევნები. სომხების შეცდომა და შედეგი ამ შეცდომისა.—საბერძნეთის და ოსმალეთის ბრძოლა.

მარტო ჩვენში კი არა, მთელს რუსეთის იმპერიაში, იმისთანა გაჭირებულ მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამად თავად-აზნაურობა, რომ თვით მართებლობა დარწმუნდა, რომ თუ ღონისძიება არა იხმარა-რა და შველა არა მისცა-რა, ამ ცოტა ხანში თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, სრულიად აღიფხვრება მიწის-პირიდან და მთელი წოდებისა ცარიელი სახელი-და დარჩება. რუსეთში ეხლაც მოიპოვება მთელი სოფლები, სადაც მცხოვრებნი არაფრით განირჩევიან გლეხ-კაცთაგან—არც შეძლებით, არც გონებრივ განვითარებით, და თუ ვინაობის გამოცხადება დასჭირდათ, იტყვიან: ამბობენ ჩვენი მამა-პაპანი აზნაურები ყოფილანო... რა ვიცით, რაღაც სიგელები გვაქვს სახლში, მაგრამ ჩვენ ქაღალდისა არა ვიცით-რა და ჰყრია ისეო. სწორედ ამისთანა დაქვეითებასა და ეკონომიურ და გონებრივ დაცემისაკენ მიისწრაფვის თავად-აზნაურობა მთელს იმპერიაში. სადაც კი თავად-აზნაურობის მამული არის სადმე, უთუოდ დაგირავებულიც არის და ამასთან ისე დაცემული და დასუსტებულია მისი შემოსავალი, რომ, თავნის გადახდას ვინა ჩივის, სარგებელს ვერ იხდის და ხშირად ათი თუმნის შეუტანლობის გამო, მამულს საჯარო ვაჭრობით ჰყიდიან და მის პატრონს ულუკმაპუროდ სტოვებენ.

16 წლის განმავლობაში (1878 წლამდე) მთელს რუსეთში თავად-აზნაურთა მამული 82 მილიონი დესეტინიდან 69 მილიონამდე შემცირდა, სახელდობრ 12,727000 დესეტინა მიწა გაეყიდათ თავად-აზნაურთ. ზოგ-ზოგ გუბერნიაში თავად-აზნაურთა მამულს ამ ხნის განმავლობაში ერთი მეხუთედი დააკლდა, ზოგან მეტიც, ზოგან ნახევარი და ასე გასინჯეთ შვიდი მეათედიც.

მიზეზები ამგვარი დაცემულობისა—ეკონომიური კრიზისი და თავად-აზნაურთა მამულების დაქუცმაცება არისო, ამბობს პოლტავის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება, რომელმაც პირველმა აღძრა კითხვა: რა ვქნათ, რა ღონისძიებას მივმართოთ, რომ ამ ყოფას თავი დავახწიოთო. პოლტაველთა მაგალითს სხვა გუბერნიებმაც მიჰბაძეს და ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის წინად მომხდარ მარშალთა კრებაზედ უმთავრესად ეს კითხვები განიხილეს. მას შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროში რუსეთის თითქმის ყველა გუბერნიიდან შეიტანეს სხვა-და-სხვა მოსაზრებანი, რომლითაც შესაძლებელი იქნება თავად-აზნაურობის ფეხზედ წამოყენება. სამინისტროსთან დაარსებულმა კერძო კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოეძებნა საშუალებანი, რომელთა წყალობით თავად-აზნაურთ არ უნდა ეკარგებოდეთ მამა-პაპეული მამულები, როგორც გაზეთები ამბობენ, თავისი მინდობილობა უკვე დაამთავრა და სახელმწიფო რჩევას გადასცა გასასინჯავადაო.

როგორც ხედავთ, დღეს უნდა გადაწყდეს თავად-აზნაურთა ბედი და ამ საგნის ყოველ-მხრივ განსახილველად, როგორც გაზეთები იუწყებიან, დაარსებულია „უამღლესი საბჭო"; ხელმწიფის ბრძანებაში ამ საბჭოს თავმჯდომარისადმი სხვათა შორის სწერია: საბჭომ ყოველ-მხრივ უნდა გამოიკვლიოს საჭიროებანი თავად-აზნაურობისა და საშუალებანი ამ წოდების დახმარებისა; თავად-აზნაურთა ყოფა-ცხოვრება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ საშუალება ჰქონდეთ განაგრძონ თავიანთი ერთგული სამსახური სახელმწიფოსადმი; თხვად-აზნაურთ შემდეგშიც უნდა შერჩეთ ის მნიშვნელობა რუსეთის ცხოვრების წარმატებაში

რომელიც აქამდე ჰქონია და ამიტომ საჭიროა გამოძებნილ იქმნას საშუალებანი თავად-აზნაურთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად". კითხვა აქ გაცილებით უფრო ფართოდ არის დაყენებული, ვიდრე თავად-აზნაურთაგან იყო—მამულების დაკარგვა და დაგირავებულ მამულზედ აღებულ სესხის შემცირება და შეღავათი,—და მაშასადამე ეკონომიურ დახმარების და გაუმჯობესობის გარდა მმართებლობა საჭიროდა სთვლის სხვა-გვარ დახმარებასაც, სახელდობრ 1) პოლიტიკურ დახმარებას, რათა თავად-აზნაურთ არ დაჰკარგონ ის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც აქამდე ჰქონდათ და შესძლონ კვლავაც ერთგულად ემსახურონ სახელმწიფოს. ჯერ-ჯერობით საშუალება არა არის-რა ნაჩვენები, გარდა მამულის გაუყოფლად უმფროსი მემკვიდრისადმი გადაცემისა და ამ აზრს იმდენი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომ შეიძლება ცარიელ აზრად დარჩეს—და 2) სწავლა განათლების მიღების გაადვილებისა, რომელიც მეტს სამსახურს გაუწევს დაქვეითებულ თავადაზნაურთ, ვიდრე მაიორატები და სხვა-და-სხვა შეღავათები ვალის გადახდაში.

რამდენადაც ვიცით, ჩვენში ამ საგნის განსახილველად არც რამე კრება ყოფილა თავად-აზნაურობისა, არც აზრად მოსვლია ვისმე ჩვენი გაჭირებაც მოეხსენებინა სამინისტროსთვის, როდესაც მთელი იმპერიის თავად-აზნაურობა თავის გაჭირებულს, შევიწროებულ მდგომარეობას უკვლევდა მართებლობას და შველას და შემწეობას შესთხოვდა. შემწეობას პალიატივს კი არა, რომ დამშეულს დღეს კუჭი გაეძღო და ხვალ ისევ მოშივნოდა, დღიურს კი არა, რომ დღეს სარგებლის შეტანას შესწევოდნენ ბანკში და ექვსი თვის შემდეგ მამული მაინც გაჰყიდვოდა; არა, შემწეობას საშვილის-შვილოს, რომლის წყალობით თავად-აზნაურობა თითქმის უზრუნველ-ყოფილი ხდებოდა და **მამა-პაპეულს როგორც მამულს ისე მნიშვნელობას და გავლენას ვერავინ გამოსწირავდა.** ან ვის უნდა ეთხოვნა, ვინ იყო პატრონი?! ჩვენს კრებებს ჩვენდა საუბედუროდ თავის თავად ხომ არაფრის გარიგება შეუძლიანთ და მას შემდეგ, რაც ეს კრებები დააარსეს ერთი შემთხვევის გარდა

მაგალითი არა ყოფილა, რომ საზოგადო საქმე ღირსეულისთვის მიენდოთ, რომ თუ სხვას ვერას გაგვირიგებდა, თუ სხვის არაფრის შეძლება არა ჰქონდა, თხოვნა მაინც შესძლებოდა. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ როდესაც მთელი რუსეთის თავად-აზნაურობა თავის საქმეებს ირიგებდა და მართებლობას ეკონომიურ გაუმჯობესობას და თავის შვილების სწავლა-განათლებას შესთხოვდა, ჩვენ — ალბად ჩვენ სათხოვარი არა გვჭირდა-რა — ჩვენ იმას ვევედრებოდით — ნება გვიბოძეთ შინელის საყელოზედ წითელი ნიშანი დავიკეროთ, რომ კეთილშობილება გვეტყობოდესო! იქნება იმიტომ რომ სხვა-ფრივ კეთილშობილება აღარ გვეტყობოდა? და თან ვიძახდით, ვითხოვოთ ჩვენში ერობა და ნაფიც მსაჯულთა წესი შემოიღონო. ჩვენში?! ან ვის უნდა ეთხოვნა? განა ცხადი არ არის, რომ ვინც შინელზედ წითელ „ნაშივკას“ ითხოვს, ის ერობის თხოვნას ვერ მოახერხებს? თავად-აზნაურთა კრებაზედ ბევრის დიდად მნიშვნელოვანი საგანის შესახებ აღძრულა ხოლმე ბაასი, ბევრი ფრიად სასარგებლო, საქვეყნო საქმე გადაწყვეტილა და განაჩენშიც ჩაწერილა, მაგრამ რადგან მოთავედ მოუმზადებელი კაცები ყოფილან, კრების გარდაწყვეტილება ცარიელ სიტყვად დარჩენილა და იქნება, რომ მოინდომონ, განაჩენის პოვნაც გაუჭირდეთ. მოთავე რომ ვარგებულიყო, მაგალითების ძებნა კი არ დაგვჭირდება, დღეს სათავად-აზნაურო სკოლა სრული გიმნაზია იქნებოდა და თავისი საკუთარი სახსარი ექნებოდა არსებობისა თავად-აზნაურთაგან ნებისად გაწერილი ფული უკვე მოგროვილი იქნებოდა; მოთავე რომ ვარგებულიყო, კადეტის კორპუსში, უმთავრესად ქართველ თავად-აზნაურთათვის დაარსებულ კორპუსში, უმეტესად ჩვენი შვილები იქნებოდნენ; მოთავე რომ ვარგებულიყო, სკრაში თუ არა, ოძისში მაინც დღეს სამეურნეო საშუალო სასწავლებელი გვექნებოდა და სხვ. და სხვ.

იმედი ვიქონიოთ, რომ წლევანდელი საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრება თავის წინა-მძღოლად ღირსეულს, ამ მძიმე თანამდებობისათვის საკმარისად მომზადებულს კაცს აირჩევს

და თუმცა სხვებთან შედარებით ყველაფერში უკან ჩამორჩომილი და დაგვიანებული იქნება, ეხლა მაინც ეცდება უპატრონოს იმ წოდებას, რომლის გარდა ჯერ სხვა არავინ გაგვაჩნია, რომ მტერს წინააღმდეგობა გაუწიოს. იმედი ვიქონიოთ, რომ თავის წინამძღოლად თავად-აზნაურობა იმისთანა კაცს აირჩევს, რომ პირველობას თავისი ქვეყნისადმი სასარგებლო სამსახურით და მოღვაწეობითა ცდილობდეს და არა იმით, რომ რუსეთის მარშლებ შორის ყველაზედ კარგად, ესე იგი ყველაზედ მდიდრად, მე გამოვდიოდიო.

—=—

ამ ოთხის წლის წინად შემოღებულს ახალს საქალაქო დებულებას მთელს რუსეთში და რუსეთზედ უმეტესად ჩვენში ის ნაკლულევანება გამოაჩნდა, რომ ქალაქის მართვა-გამგეობა მარტოდ-მარტო მდიდართ ჩაუგდო ხელში, თითქო ქალაქს მარტო მდიდარნი ინახავდნენ. ამომრჩევის უფლების მოსაპოვებლად მოქალაქეს ამ დებულების ძალით იმოდენი შეძლება უნდა ჰქონდეს, რომ ქალაქის საქმეთა გამგეობა მოქალაქეთა უმცირესს ნაწილს—შეძლებულთ—რჩება და უმრავლესობა კი, რომელიც ერთი ათასად მეტს იხდის საქალაქო გარდასახადს, ვიდრე ყველა მდიდარნი ერთად, მოკლებულია ყოველ-გვარ მონაწილეობას საქალაქო საქმეებში, რადგან ცალ-ცალკე ყოველს მათგანს დადებული ცენზი არ მოეპოვება. ახალი დებულების წყალობით ქალაქს მდიდარნი განაგებენ და რადგან მაძღარს მშიერისა თავის დღეში არა ესმის-რა და აწინდელს დროში ყველა მარტო თავისთვის ზრუნავს და ღმერთი არავისთვის, ამიტომ ჩვენშიც და ყველგან სხვაგანაც ერთი და იგივე სამდურავი გაისმის. ქალაქის გამგენი შეუძლებელთათვის და შეუძლებელთა უბნებისათვის ისე არასა ზრუნავენ, თითქო მათი არსებაც კი არ ახსოვთო. ასეც უნდა იყოს, თუ მართალია ქართული ანდაზა, რომ მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონიაო; და რადგან შეუძლებელთქალაქის საბჭოში თავისი წარმომადგენელი არა ჰყავთ, ქალაქის საქმეები ისე რიგდება, რომ ზემოდ აღნიშნული საყვედური სრულიად საფუძვლიანად ხდება. საჭირო ცენზის გადიდე-

ნას და მით მესამე ხარისხის ამომრჩეველთა შემცირებას, როგორც რუსეთის ქალაქების მაგალითმა დაამტკიცა, ის მოსდევს, რომ ამორჩეულთა შორის ნაკლებად არიან უმაღლესად განათლებულნი, რადგან ამ განათლების პატრონთ უფრო მესამე ხარისხის ამომრჩეველნი ირჩევდნენ; და გარდა ამისა ქალაქის გამგეობა ხშირად იმისთანა კაცეპს უვარდება ხელში, რომელნიც ყველაფრით გამაძღარნი, ახლა სახელის გულისთვის „ღლასნობას" ნდომულობენ; ქალაქის ბედ-იღბალი იმათ ისე აწუხებთ, როგორც შარშანდელი თოვლის დადნობა და სხდომაზედ მარტო მაშინ დაიარებიან, როცა ცხარ ბაასს და რაიმე შეტაკებას მოელიან. გარდა ამისა მესამე ხარისხის ამომრჩეველთა რიცხვის შემცირებას ის მოჰყვა, რომ ხშირად საკმარისს რიცხვს ვერა ჰპოვებენ ამოსარჩევ პირებისას და ერთი კრების წილ ორჯერ უხდებათ შეკრება. ოდესაში 400 ათასი მცხოვრებია, 80 კაცი უნდა აერჩიათ და 50 მეტი ვერ აირჩიეს.

ამ ნაკლულევანებათა ასაცილებლად საჭიროა შემცირებულ იქმნას საჭირო ცენზი, რომ მკვიდრთა უმრავლესობამ შეიძლოს მონაწილეობა მიიღოს ქალაქის გამგეობაში, და გარდა ამისა ხმა ჰქონდეს არა მარტო სახლის პატრონს და ვაჭარს, რომელსაც ერთი პატარა დუქანი გაუხსნია და დამპალი თევზით ჰწამლავს ქალაქის მცხოვრებთ, არამედ იმასაც ვინც, ამ მედუქნისაგან ძალაუნებურად უნდა იყიდოს დამპალი თევზი და საჩივლელად მასთან და მის ამხანაგებთან უნდა მივიდეს — დამპალი თევზი მომყიდაო. თუ კაცი ქალაქში რამოდენიმე ხანია ცხოვრობს, ესე იგი თავისი შრომით შესაძლებელად ხდის არსებობას იმ ვაჭრების და სახლის პატრონებისას, რომელნიც ქალაქს განაგებენ, მათთან ერთად ისიც უნდა იყოს მიწვეული ქალაქის მართვის საქმეში, რადგან, სხვა რომ არა იყოს-რა, უსამართლობაა ვაჭრებს და სახლის პატრონებს მივუგდოთ ქალაქის მცხოვრები და ვუთხრათ: აჰა, ტყავი გააძრეთ, თუ გინდათ შეწვით, თუ გინდათ მოხრაკეთო!

სხვა ქალაქებისა რა მოგახსენოთ, და ჩვენში კი მართლა რომ ტყავსაც გვაძრობენ და მეტსაც გვიშვრებიან. უპირველეს

ყოვლისა ახალი საქალაქო დებულება ჩვენში ისე გაიგეს, რომ ქალაქი სახლის პატრონებისა და ვაჭრებისა ყოფილაო და რადგან ჩვენში უმრავლესობას ცენზიანი სახლის პატრონებისას და ვაჭრებისას სომხობა შეადგენდა, დაიძახეს ქალაქი სომხებისა ყოფილაო. სხვა არავინ გვინდა, ქალაქი ჩვენია და მარტო ჩვენ უნდა ვიყვნეთო! ქალაქის საბჭო იმისთანა კაცებით გაავსეს, რომელთა კრება დაუმთავრებელს სკანდალს წარმოადგენს და რუსეთის გაზეთების სამასხარაოდ და საკარიკატუროდ გამხდარა.

იზმაილოვ-მატინოვის მცნებას, რომლითაც ნიკოლაძე და ზუბალოვი დაიწუნეს, რატომ სომხები არა ხართო, რასაკვირველია უფრო ბრმად და დაუფიქრებლივ განახორციელებდნენ მათი თანაშემწენი და ქალაქის გამგეობისაგან დამოკიდებულ ალაგებზედ მსახური პირნი ქალაქის კეთილ-დღეობას კი არა, ქალაქში სომხითის დამყარებას-ღა ცდილობდნენ. ვინ მოსთვლის რამდენი უწესობა და უგვანობა გამოიჩინეს ქალაქის გამგეთ ამ ოთხი წლის განმავლობაში? რომ გავყვეთ და ყოველი მათი საზიზღარი და თავსგასული საქციელი ჩამოვთვალოთ, პირდაპირი დასკვნა ეს იქნება: თავი დავანებოთ, ნუ ჩავერევით, დეე ამ ოთხ წელიწადსაც მარტონი იყვნენ და საკუთარს ქონში მოიხრაკნენო. და სრულიად ლოღიკურიც იქნება ეს დასკვნა, მაგრამ, საუბედუროდ, ვიდრე მოიხრაკებოდნენ, ბევრს უვარგისს კიდევ იზამენ და იქნება ისე წაახდინონ ქალაქის საქმეები, რომ მათ შემდეგ ვერც კი გაბედოს ვინმემ ქალაქის პატრონობა.

მკითხველი, რასაკვირველია, ხედავს, რომ ჩვენ თუ ცუდად ვიხსენიებთ ვისმე, მარტო იმ სომხებს ვიხსენიებთ, რომელნიც იზმაილოვს და მატინოვს აჰყვნენ და ქალაქი ჩვენიაო დაიძახეს; ჩვენ ჩვენს სომხებზედ ვლაპარაკობთ და სომეხთა ერის წინააღმდეგ ღმერთმა დაგვიფაროს ავი ვთქვათ რამე! ღმერთმა მშვიდობით მოახმაროთ მთელი ოსმალეთი... ჩვენ მარტო იმათი წინააღმდეგნი ვართ, რომელთაც არ უნდა გაიგონ, თუ მართლაც ვერ გაუგიათ რა განსხვავება არის ქალაქის გამგეობის და ქალაქის დასაკუთრების შუა და გაიძახიან — ჩვენს

გარდა აქ არავინ უნდა იყოსო! ქალაქის გამგეობა რა არის, რომ მის გამო ეროვნული კითხვის აღძვრა რა უნდა ყოფილიყო და ეროვნული ხასიათიც სომხებმა მისცეს ამ საქმეს და სხვამ არავინ. ამას თითონ ისინიც არა მალავენ და თუმცა ფიცავენ, ეგ მარტო იზმაილოვმა ჩაიდინა, ჩვენ თანახმანი არ ვიყავითო, საქმით კი ყველა აქ მყოფმა სომეხმა იგივე ეროვნული ხასიათი მისცა და დღესაც აძლევს ქალაქის არჩევნებს. ჩვენვე კი გვისაყვედურებენ ის თავხედი, მეტი რომ არა ვთქვათ, რუსულ ენაზედ ბეჭდილი სომხური გაზეთები, რომელნიც სომეხთა ეროვნულ წარმატებას ჩვენს მიძინებაში ეძებენ და ცდილობენ თვალები აგვიხვიონ როგორმე.

ვინ აღძრა ჩვენში ეს ეროვნული კითხვა, მკითხველმა უკვე ნახა და, რასაკვირველია, დიდს მადლობას გადაუხდის ჭკვიან კაცად ცნობილს, დაფიქრებულს და ფრთხილს სომეხს: გმადლობ, რომ თვალი ამიხილეო, ეტყვის. ვეჟო, მეგობარი მეგონე და, შენ კი თურმე გესლით სავსე გქონია ეგ გული! ჩემი მეგობრობა ჩემს სულელობად მიიღე და არავითარი სიყალბე არ იუკადრისე, რომ ჩემს სახლში ჰაიასტანი დაგეფუძნებინა. გმადლობ, რომ თვალები ამიხილე, ვეცდები ყველას გავაგებინო შენი კაცობა და ნამუსი! ვეცდები ყველანი გამოვაფხიზლო, რომ გაგიფთხილდნენ და აღარ მოგენდვნენ. და თუ ჩვენს შენდამი სიფთხილეს მთელი შენი ერის მტრობად ჩარიცხავ, მით შენვე აღიარებ რომ იგი შენსავით ყალბი და უპატიოსნო ყოფილა; შენ აღიარებ, და არა მე. მე მწამს რომ შენმა ერმა უნდა დაგთრგუნოსთ შენც და შენგან მოტყუებით და სიყალბით შეძენილი სიმდიდრეც.

სწორედ ამ სიფთხილეს და სომეხთადმი უნდობლობას გვისაყვედურებენ ჩვენებური სომხები: მაგითი ორს ერთა შორის უთანხმოებას ჰ სიძულვილსა სთესავთო. რა თანხმობა უნდა იყოს იმ ერთა შორის, რომელთაგან ერთის ნაწილს განუზრახავს მეორის დამონავება ყალბი ფულით შეძენილი სიმდიდრის გასესხებით და ურიული სარგებლის აღებით? ან რა სიძულვილის ჩამოგდება არის, ჩემი მეზობელი გავაფთხილო: მაგ კაცს ერიდე, დამპალი საქონელი არ შემოგაპაროს-მეთქი. თუ კაცია, ჯერ ის უნდა და-

მტკიცოს, რომ მე იმას ცილი დავწამე და დამპალი საქონელი არა აქვს. ჩვენი სომხები კი იმის მაგივრად, რომ ამ გზას დაადგნენ დ̃ გაბედვით დაგვიძახონ —სტყუით, ცილსა გვწამებთ, ჩვენ უპატიოსნოდ არა შეგვიძენია-რაო! სრულად ურცხვად გაიძახიან: ჩვენი რა ბრალია, თქვენ გეძინათ, კარი ღია დაგვხვდა და რაც ხელთ მოგვხვდა დავისაკუთრეთ; განა ეს პატიოსანი და „კულტურული“ შრომა არ არისო? ამ გზით ყალბი ფულის გასაღებაც პატიოსანი შრომა ყოფილა, თორემ თვით ეჩმიაძინში არ დაიწყებდნენ ბერები ყალბი ფულის ჭრას. და ყალბ ფულს რომ მოსჭრიან, რასაკვირველია, იმიტომ მოსჭრიან, რომ გაასაღონ კიდეც. თუკი თვით უწმინდეს ეჩმიაძინში კადრულობენ ბერები ამ საზიზღარ საშუალების ხმარებას, სხვა რაღას იზამდა, მეტადრე ჩვენისთანა მინდობილ ხალხში! და არა მარტო ჩვენში, არამედ საცა კი სომხები არიან და ვაჭრობენ, ყველგან ესევე იქცევიან და ამიტომ არის, რომ ისინი ყველგანა სძულთ და სძულთ უფრო მეტად, ვიდრე ურიები. მაშ რად უკვირთ ჩვენებურ სომხებს, რომ მათი საქციელის წინააღმდეგნი ვიყვნეთ? რად უკვირთ, რომ იმათი ჰანგები სამარცხვინოდ და საზიზღრად მიგვაჩნდეს? რად უკვირთ, რომ წინააღმდეგობას ვუწევდეთ, როდესაც გვეუბნებიან — ქალაქი ჩვენიაო და საუკეთესო განათლებულ ნაწილს სომხებისას თბილისი მართლა ჰაიასტანის დედა ქალაქად აქვს თავის გეოგრაფიულ რუქაში შეტანილი?!

კიდევ ვიტყვით, სომხებს დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ ქალაქის გამგეობასთან ერთად ქალაქის დასაკუთრებაც მოინდომეს და უფრო დიდი შეცდომა ის მოუვიდათ, რომ ჩვენ უკვე დამარცხებული ვეგონეთ და ნიშნი მოგვიგეს: თქვენ ვინა ყრიხართ, აქაურობა ჩვენიაო! და მით თავიანთი ფარული წადილი უფრო ადრე შეგვატყობინეს, ვიდრე ჭკვიანი კაცი იზამდა. ჩვენ პეტრე ძლიერივით ჩვენი მასწავლებლების სადღეგრძელოს უნდა ვსვამდეთ და ვეცადნეთ მტერს მტრულად დავუხვედროთ ჩვენი ხალხი.

დარწმუნებული ვართ რომ ყველა ეს გარემოება გონებაზედ მოიყვანს ჩვენს საზოგადოებას, და იგი ეცდება დაი-

ვიწყოს ყოველი ურთიერთშორისი უსიამოვნება და განხეთქილება და მომავალს საგუბერნიო თავად-აზნაურთა და ბანკის კრებებზედ მარტო იმ წადილით მივა განმსჭვალული, რომ თავის სიტყვით და კრიტიკით მხოლოდ საქმეს და საქმის ვითარებას შეეხოს და არა პირადობას. ვინც უნდა იყოს და რა პარტიისაც უნდა იყოს, უთუოდ პრინციპებზედ უნდა იყოს დამყარებული და პრინციპიალურ ნიადაგზედ იბრძოდეს, თუ კი უნდა, რომ საზოგადოებამ მოუსმინოს და მხარი მისცეს. უპრინციპო, უნიადაგო ბრძოლა და ოპპოზიცია მავნე, საზოგადო საქმის დამღუპველი და ძირის მთხრელია და ჩვენი დამხობის და მიწასთან გასწორების მსურველი უნდა იყოს კაცი, ჩვენი მტრების ქომაგი და მაშასადამე ჩვენი მოღალატე, რომ მომავალ კრებებზედ აქამომდე არსებული პარტიული დროშა ამართოს და კვლავ განაახლოს ის ჩვენი დამღუპველი განხეთქილება, რომლის წყალობით აგერ რამდენი ხანია შეფერხებულია ჩვენი ყოველი საზოგადო საქმე, რადგან ყოველი ჩვენი ძალ-ღონე ამ პარტიულს, პრინციპიალურ ნიადაგს მოკლებულს, ბრძოლას უნდებოდა ჩვენდა უნებურად.

---

პატარა საბერძნეთი და მასთან შედარებით ძლიერი ოსმალეთი უკვე შეიბნენ და ჯერ-ჯერობით რიცხვით გამარჯვებული ოსმალოს ჯარები წინ მიიწევენ და თითქმის მთელი თესალია დაიპყრეს. ბერძნები უკან იწევენ და სამხედრო ავტორიტეტების სიტყვით კარგსაც შვრებიან, რადგან ჯერ აქამომდე არსად ჰქონიათ იმისთანა თავშესაფარი, რომ გამაგრება და მტრის წინააღმდეგობა შესძლებოდათ. საცა კი მცირეც არის სიმაგრე იყო რამე, ბერძნები მამაცურად უხვდებოდნენ მტერს და დიდ ზიანსაც აძლევდნენ. ოსმალნი რომ ათნი არ მიდიოდნენ ერთზედ, გამარჯვებული საბერძნეთი იქნებოდა, მაგრამ რიცხვით სჯობნიან და ბერძნებიც იძულებულნი არიან უკან დაიწიონ, ბუნებრივ სიმაგრეს—მთას შეაფარონ თავი და იქ **დაუხვდნენ** ადვილი გამარჯვებით გალაღებულ მტერს. შეიძლება სწორედ იმ დროისთვისვე იხსნონ თავი საბერძნეთის

ხომალდებმა, მტერს ზღვით დაეცნენ და მხარი მისცენ თავიანთ ჯარებს; შეიძლება კუნძულებზედ მცხოვრებმა ბერძნებმაც მაშინ აიღონ იარაღი და საბერძნეთს მიეშველნენ. შეიძლება მაკედონიაშიც აჯანყება მოხდეს რამე და თუ ერთიც არის დამარცხებულ იქმნა ოსმალთა ჯარი, მაშინ თვით სერბია და ბოლგარიაც ჩაერევიან ამ ბრძოლაში. ჯერ-ჯერობით კი ბერძნები ისეთი სისწრაფით უტოვებენ მტერს გზას, ისე ადვილად, თითქმის უბრძოლველად აძლევენ თავიანთ ქალაქებს, რომ ეს უფრო დამარცხებულთა გაქცევასა ჰგავს, ვიდრე სამხედრო ჰანგს, რომლითაც მთაში შემაგრებულნი უპირებენ უმთავრესი ბრძოლის ატეხას.

შეიძლება გერმანიის იმპერატორს ნატვრა აუსრულდეს და გერმანულ იარაღით შეიარაღებულმა, გერმანელ აფიცერთაგან დაგეშილმა და გერმანელ სპასალარების წინამძღოლობით მეომარმა ოსმალთ ჯარმა საბოლოვოდ დაამარცხოს საბერძნეთი. მაშინ ნურავინ იტყვის, ურჯულომ ქრისტიანენი დაამარცხა და საწყენიც ეს არისო. არა, საქმე ურჯულოებაზედ დ ქრისტიანობაზედ არ არის, რადგან იგივე ურჯულო ოსმალელი თავის ხასიათებით და პატიოსნებით იქნება გაცილებით მაღლა იდგეს ქრისტიანე ბერძნებზედ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, განა აქამდინ კი არ ისარგებლებდნენ ოსმალთა ჯარების საბერძნეთში ყოფნით ბალკანელი ერები და იმათთან ერთად თვით სომხებიც? მაგრამ ბერძენთაგან ამ ერებს იმოდენი უპატიოსნება ახსოვთ, იმოდენი არა რაინდული საქციელი, რომ თავის-და საზარალოდ ბერძენთაგან ნაწყენი გული ვერ მოუბრუნებიათ და საზოგადო მტრის გაჭირებული ყოფით ვერ უსარგებლიათ. იქნება ამ ერთა უმოქმედობის მიზეზი ევროპიელ სახელმწიფოთა რჩევაც იყოს, მეტადრე რუსეთისა, ნეიტრალიად ყოფნას ნუ დაარღვევთო, მაგრამ უმთავრესი მიზეზი კი მაინც თვით ბერძენთა ეროვნულ ხასიათში უნდა მოიძებნოს და მათს ეროვნულ ნამოქმედარში. 1876 წ. სერბიამ, საბერძნეთმა და შავი მთის მთავარმა კავშირი შეჰკრეს იმ პირობით, რომ ერთად დასცემოდნენ ოსმალთ, მაგრამ როდესაც სლავიანებმა ბრძო-

ლა აუტეხეს ოსმალეთს, ოსმალთაგან შესყიდული საბერძნეთი თავისთვის ჩუმად იჯდა შინ და ამ ღალატისათვის 10 ათას ოთხკუთხ ვერსამდე მიწა მიიღო, თუმცა ერთი ცვარი სისხლიც არ დაუღვრია. დიდი ხანი კი არ არის მას შემდეგ,—შავი მთის მთავარი ცდილობდა ბალკანელ ერთა შორის თანხმობა ჩამოეგდო და ბალკანური ფედერაცია შეედგინა, რომელიც არამც თუ ოსმალეთს, იქნება თვით ევროპიელ უმთავრეს სახელმწიფოთაგანაც პატივსაცემი და მოსარიდებელი ყოფილიყო; საბერძნეთმა მტკნარი უარი სტკიცა. სერბიის მეფე რომ ათინაში იყო და საბერძნეთთან დაკავშირებას ცდილობდა, იგიც ასეთივე უარით გამოისტუმრეს. თქმა არ უნდა, ეს გარემოება სრულიადაც არ ამართლებს ბალკანელ ერთა უმოქმედობას, მით უფრო რომ სერბიელთაც და ბოლგარელთაც ამის სათასურად ოსმალთაგან პატარ-პატარა საჩუქრები მიიღეს:— ბოლგარელთ მაკედონიაში ათიოდე სკოლა გაუხსნეს და სერბიელთ უქსიუბიდან ბერძენი მიტროპოლიტი განადევნინეს და თავიანთი დაანიშვნინეს; ამას დიპლომატიურ გამარჯვებას ეძახიან და ამ დიპლომატიური გამარჯვების პირდაპირი შედეგი, როგორც ჰხედავთ, გაჭირებაში ერთმანეთის ღალატი და გაყიდვა ყოფილა. დიპლომატიური გამარჯვება იქნება ფრიად სასარგებლოც იყოს ერისთვის, იქნება ფრიად სასარგებლო იყოს მთელი პროვინციის შეძენა უბრძოლველად, სისხლის უღვრელად, მაგრამ მაინც მხარიცა სჭირებია და იმდენად მაინც და ამასთან სამარცხვინოც, რომ ამ საქციელს ერს თავისდღეში არ აპატიებენ და ადრე იქნება თუ გვიან მოაგონებენ და მით ერთი-ათად მეტს დააკარგვინებენ, ვიდრე შეძენილი ჰქონდა. ევროპის ძლიერ სახელმწიფოთაგან დაჟინებული სიმთელე და ხელშეუხებლობა ოსმალეთისა მათ სურვილზედ კი არა, მხოლოდ ბალკანელ ერთა ერთმანეთში მოურიგებლობაზედ, შურზედ და მტრობაზედ არის დამოკიდებული და რადგან დიდი ხნის—ათასი წლობით—ოსმალთ ბრძანებლობის ქვეშევრდომად-მონად ყოფნამ მათ ბევრი საძრახისი, უპატიოსნო ხასიათი შესძინა და მეტადრე საშუალებათა განურჩევლობა, ერთმანეთის შურით იმისთანა სალსარს

ხმარობენ, რომელსაც ჩვენ ზემოდ ლალატი ვუწოდეთ და მარტო თავიანთ მოურიგებლობით ამაგრებენ სულთ-მობრძავ ოსმალეთს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ბალკანელ ერთა შორის რომ მორიგება შესაძლებელი ყოფილიყო—პატიოსან მტერთა შორის მორიგება ყოველთვის მოსახერხებელია—ოსმალეთს ევროპიული სახელმწიფონი კი არა, მარტო ბალკანელი ერები გაინაწილებდნენ—ესე იგი სრულს თავისუფლებას მოიხვეჭდნენ და ოსმალთ მარტო მათს ბუნებრივად კუთვნილს-და დაუტევებდნენ.

სამწუხარო ურჯულოთაგან ქრისტიანეთა დამარცხება კი არ არის, სამწუხარო ის არის, რომ ლამის გაიმარჯვოს გერმანელი იმპერატორის პრინციპმა—ვინც ძლიერია, მართალიც ის არისო. ლამის გაიმარჯვოს ამ პრინციპმა და აქედან გამომდინარმა მცნებამ: საცა შენზედ სუსტი ნახო, ტყავი გააძრეო.

სამწუხარო ის არის, რომ ოსმალთა გამარჯვება დიდი ხნით შეაფერხებს კაცობრიობის უწმინდესი რწმენის განხორციელებას, რომელსაც თავსა სწირავდნენ მისი საუკეთესო შვილები, სახელდობრ ერის თავისუფლებას. სამწუხარო ბერძენთ დამარცხება კი არა, სამწუხარო თავისუფლების მაძიებელი ერის დამარცხება იქნება მტარვალთაგან და მასთან ერთად იმ პრინციპის გამარჯვება, რომელიც ამტკიცებს, ვინც ძლიერია მართალიც ისა ყოფილაო...... ეს ყველაფერი ისე ცხადი და ნათელია, როგორც მზის სხივი, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ აწინდელ დიპლომატიას პროგრესად თავისუფალი განვითარება კი არა, სამზღვრების გაფართოვება, უცხო ერების დამონავება და მათი ეროვნების შევიწროება ესე იგი რეგრესი მიაჩნია. მთელი ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიის საფუძველი რომ ეს პრინციპი არიყოს, ხომ არც იმას მოითმენდნენ, რომ ოსმალთ თითქმის მიწის პირითგან ალგავეს ის ძლიერი ერი—ძლიერი სივრცით და ქვეშევრდომთა რიცხვით კი არა, ძლიერი განათლებით,—რომელიც შუქსა ჰფენდა მთელს კაცობრიობას და თუ დამარცხდა და თავისუფლება დაკარგა, იმიტომ რომ ქრისტიანე ევროპაზედ ამხედრებულ მუსულმანთ ის დახვდა პირველად და ყველასაგან უნუგეშოდ მიტოვებული მსხვერპლად იხსნა შეწირული.

მაგრამ ვის ახსოვს ეს მსხვერპლი? ამ მსხვერპლის შემდეგ, ოსმალთა უღელ ქვეშ საბერძნეთისა თითქო ხსენებაც კი გაქრა. მრავალ-ტანჯული, დამონავებული და შეურაცყოფილი ერი იყო თავისთვის გაჩუმებული — ჯერ ეხლა რას უშვრებიან, რომ მაშინ ვისი იმედი ჰქონოდა? საბერძნეთი, სამშობლო ჰომეროსისა, ესხილისა, სოფოკლისა, პლატონისა აღარსად იყო. აგორაზედ, იქ, სადაც დემოსთენი თერმოპილში თავდადებულთა და მარათონში გამარჯვებულთა სულსა ფიცავდა „ათინელნო, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ სამშობლოს თავისუფლებისთვისაო!“ აგორაზედ ეხლა ოსმალთა სახედრები-ღა სძოვდნენ.

სადღა იყო საბერძნეთი! ბარის ბერძენი — რაია, გიაური, ისე იყო შევიწროებული, რომ თავისი ეროვნული გრძნობა გულის გულში ჩაემალა და ქედმოხრილი თევზივით მუნჯად იყო; ოსმალთაგან დაშინებული ენასაც კი უფრო ოსმალურს ლაპარაკობდა, ვიდრე თავისას. საბერძნეთი მხოლოდ მთაში და ზღვაზედ-ღა მოიპოვებოდა. ოსმალთათვის მიუვალ მთაშიღა შეხიზნულიყვნენ უწინდელი თავისუფლების სიყვარულით გატაცებული ბერძნები და თუმცა ყაჩაღები იყვნენ, მაგრამ ჩვენს არსენასავით მარტო იმას სძარცვავდნენ და ხოცავდნენ, ვინც თავიანთ ერის მტრად მიაჩნდათ. ზღვაში მეტს ყაჩაღობას ჩადიოდნენ ბერძნები — პირატები, — მაგრამ იქაც მარტო მტერს ავნებდნენ და არა მოყვარეს. საბერძნეთი საბერძნეთში კი არა, თუ სიტყვა არ დაგვიწუნეს — ზღვაში გახიზნულიყო; ექვსასზედ მეტი ხომალდი დაფრინავდა ბერძნებისა ზღვაზედ და შიგ 20 ათასი მეტი გულმაგარი, თავითფეხამდე შეიარაღებული თავგანწირული მამულიშვილი იმყოფებოდა. საბერძნეთის გული საბერძნეთში კი არა, ზღვაზედღა ფეთქავდა.

საფრანგეთის რევოლიუციამ და მისგან აღძრულმა და განცხოველებულმა პრინციპებმა საბერძნეთამდისაც მიაღწიეს და თავისი ზედგავლენა იქონიეს, მით უფრო რომ შავ-მთიელნი და სერბიელნი აუჯანყდნენ ოსმალთ და უკვე თავისუფლება მოიპოვეს. იმავე დროს თავი იჩინა ერთმა ბერძენთა საზო-

გადოებამ—ფილომუზმა, რომლის წევრთა შორის ირიცხებოდა რუსეთის მინისტრი კაპოდისტრია, და სადაც კი მოახერხა, საბერძნეთში საერო ბერძნული სკოლები დააარსა. სამმა კონსტანტინეპოლელმა ბერძენმა, სკუფასმა, ქსანტოსმა და დიკეოსმა დააარსეს „მეგობრული ჰეტერია“ საზოგადოება, რომლის წევრნი ყოველი ღონისძიებით უნდა ცდილიყვნენ საბერძნეთის განთავისუფლებას. ყოველი მათგანი საზოგადოებაში წევრად შესვლისთანავე უნდა გაფიცულიყო, რომ „სიცოცხლესაც კი არ დაზოგავდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის.“ სადაც კი შეგნებული და შეძლებელი ბერძენი იყო ვინმე, ყველანი ჩაეწერნენ ჰეტერიის წევრებად და თუ საბერძნეთი დღეს, მთლად თუ არა, ერთი ნაწილი მაინც, თავისუფალია და დანარჩენის თავისუფლებისთვის იბრძვის, ჰეტერიისა და მის თავგანწირული მოღვაწეობის წყალობით იბრძვის.

ეპირის ფაშად 1819 წ. იყო ერთი ალბანელი, ალიფაშა. ალიფაშა 80 წლის მოხუცი იყო, მაგრამ ჯერ ისევ მძლავრი კაცი იყო და ნამდვილი ზნეობრივი მახინჯი: გარყვნილი, ცბიერი, სასტიკი, სისხლით გაუმაძღარი, ერთნაირად საშინელი და საზიზღარი როგორც ბერძენთათვის ისე ოსმალთათვის. მას საკუთარი ჯარი ჰყავდა და თავისთავი ხონთქარისაგან დამოუკიდებელ ფაშად გამოაცხადა. იმ დროს მთელს ეპირში მარტო ქ. სული იყო ოსმალთაგან დამოუკიდებელი და ქ. პარგა, რომელიც ინგლისელთა მფარველობის ქვეშე იმყოფებოდა. ალიფაშამ ქ. სული ადვილად აიღო და მთაში გაქცეულ ბერძნებს იმდენი სდია, მანამ სულ არ ამოჟლიტა. მთის მწვერვალზედ მიმწყვდეულმა ქალებმა—ორასზედ მეტი იქნებოდნენ, როცა ნახეს, რომ ხსნა აღარსად იყო, წინ უფსკრული ჰქონდათ და უკან ალიფაშას ჯარები, ტყვეობას და გაუპატიურებას სიკვდილი ირჩიეს და ყველანი უფსკრულში გადაცვივდნენ. რაც შეეხება ქ. პარგას, ინგლისელთა მფარველობა იმით გამოიხატა, რომ სირ თომას მეტლენდმა ალიფაშას მიჰყიდა ეს ქალაქი—მოდი და ქრისტიანენი ჟლიტეო.

ხონთქარისა და ალი-ფაშის შორის ატეხილ ბრძოლით ისარგებლეს ბერძნებმა და 21 მარტს 1821 წ. ეპისკოპოსმა გერმანოზმა ახაიაში, კალავრიტაში პირველადააფრიალა თავისუფლების დროშა. და აღსდგა საბერძნეთი, აღსდგა მთაში, ბარში და მეტადრე ზღვაზედ. ბერძენთ აჯანყება რომ გაიგეს სტამბოლში, ჯავრი იქ მცხოვრებ ქრისტიანებზედ იყარეს და საცა მოასწრეს ვისმე, ცოცხალი არავინ გადაურჩათ. ეპისკოპოსი გრიგოლი აღდგომა დღეს შემოსილი გამოიყვანეს ეკლესიიდან და ისე ჩამოახრჩეს. 83 მღვდელი მოკლეს. მარტო პატრასში დახოცეს ოსმალთ 15 ათასი კაცი. ამ ამბების გამგონი ბერძნები, რასაკვირველია, თავისას ეცდებოდნენ და იმოდენა დროის განმავლობაში შევიწროების და ჩაგვრის ჯავრს ამოიყრიდნენ. მთელს საბერძნეთში მთებზედ სანიშნო ცეცხლები ენთო და ყოველგან ომი იყო ატეხილი მტარვალთა და ჩაგრულთა შორის. ზღვაში ყველგან ბერძნები სჯობნიდნენ და საცა კი თათრებმა გაბედეს და გაუმკლავდნენ, ყველგან ზღვის ძირისკენ წავიდნენ იმათი ხომალდები. ხმელეთზედ—მორეაში და თესალიაში ყველგან ბერძნები იმარჯვებდნენ რიცხვ-მრავალ ოსმალებზედ. იმავე დროს 1 იანვარს 1822 წ. ეპიდორში შეკრბა ბერძენთა საერო კონგრესი და საბერძნეთის თავისუფლება გამოაცხადა; სამი კვირის შემდეგ ამ კონგრესმა საბერძნეთის კონსტიტუციაც შეადგინა, რომლითაც დამყარებული იყო დროებითი მართებლობა მავროკორდატოს თავმჯდომარეობით და სენატი დიმიტრე იფსილანტის (რუსეთის იმპერატორის ადიუტანტის) თავმჯდომარეობით. დროებითმა მართებლობამ შეწევნა და დახმარება სთხოვა ევროპიელ ქრისტიანე სახელმწიფოებს.

მაგრამ ევროპის ყურადღება იმდენად ამ თხოვნამ არ მიიპყრა, რამდენადაც ხიოელთა ამოჟლეტამ. კუნძული ხიო წალკოტიეით მშვენიერია და მიწიერ სამოთხედ ითვლება მთელს აღმოსავლეთში. მკვიდრნი არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ბერძენთა განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. 22 აპრილს 1822 წ. ამ კუნძულს მიადგა ოსმალთ-ჯარი და თუმცა ხიოელთ არავითარი

წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, 15 ათასი კაცი დაერია და არც ბერი დაინდეს, არც ქალი და არც უსუსური ბავშვი. ალბად ამგვარი ჟლეტით უნდოდათ ოსმალთ აჯანყებულთა შეშინება, მაგრამ შეშინების მაგივრად უფრო განაშფოთეს იგინი და ამასთან თავიანთ საქციელით ევროპის ყურადღებაც მიიპყრეს. ვიქტორ ჰიუგომ თავის „აღმოსავლეთურ“ ლექსებში ღირსეულად შეამკო სისხლით გაუმაძღარ ოსმალთა საქციელი, და თავგანწირული ბერძნების გმირული ბრძოლა, „რომელნიც ამ ქვეყნად აღარას თხოულობენ გარდა ტყვია-წამალისა“. ბაირონმა ხომ თავიც შეაკლა საბერძნეთის განთავისუფლებას. ვიქტორ ჰიუგოს და ბაირონს მიჰყვებოდა მაშინ კაცობრიობა და ბევრნი შეეწივნენ გამწარებულს საბერძნეთს... მაშინ ჯერ არავის სწამდა, რომ ვინც ძლიერია, მართალიც ის არისო.

საბერძნეთმა ისე გაუჭირა ხონთქარს საქმე, რომ იგი იძულებული იქმნა შველა და დახმარება ეთხოვნა ეგვიპტელ, მისგან თითქმის დამოუკიდებელ მეჰემედ ფაშისთვის, რომელსაც 30 ათასი კაცი სამაგალითოდ გავარჯიშებული ჯარი ჰყავდა; მეჰემედ ფაშას უკვე აელო ნუბია, კორდოფანი, დარფური და იემენი და ძლევა-მოსილს შიში არავისი ჰქონდა. ხონთქარის თხოვნამ—შენგან მოველი დახმარებას, ჩემო „აფრიკის ბონაპარტოვო„—ძალიან ასიამოვნა მეჰემედ ფაშა და 1824 წ. მან ხონთქარის საშველად გამოგზავნა თავისი უმფროსი შვილი იბრაიმ ფაშა თავის ჯარებით და სამაგალითოდ გაწყობილ ხომალდებით. ოსმალ-ეგვიპტელთა შეერთებულ ძალას მარტო ჰეტერიის საშუალებით მებრძოლი ბერძნები, რასაკვირველია, ვერ გაუძლებდნენ და თუმცა არა ერთხელ დაამარცხეს იგინი, თუმცა თვით იბრაიმ ფაშაც გააქციეს და კუნძულ კრიტზე შეაფარებინეს თავი, მაგრამ გამარჯვება მაინც უმრავლესობისა უნდა ყოფილიყო და ევროპა რომ არ ჩარეულიყო, საბერძნეთის აღსასრულის დღე უკვე გათენებული იყო.

საბერძნეთს მაშინ რუსეთი მიემხრო, ინგლისი და საფრანგეთი. ამათგან მარტო საფრანგეთი იყო უანგარო ქომაგი ბერძნებისა, თორემ რუსეთი თავის პოლიტიკას ადგა—ოსმალეთის

დასუსტებას — და ინგლისს კიდევ ეშინოდა, რუსეთმა ხელთ არ იგდოს კონსტანტინეპოლიო. და 1829 წელს ადრიანეპოლის ტრაქტატის ძალით ოსმალთ აღიარეს საბერძნეთის თავისუფლება. საუბედუროდ თავისუფლება ეძლევოდა სულ უმცირესს ნაწილს საბერძნეთისას და ეპირი, თესალია, მაკედონია, კრიტი, სამოსი, ხიო და სხვა, ისევ ისე ოსმალთა ხელში დარჩა. დიპლომატიამ იქაც დიპლომატიურად გადასჭრა საქმე და განთავისუფლების და მშვიდობიანობის წილ მან მარტო დაუცხრომელი ბრძოლა და სისხლის ღვრა დაადგინა ბალკანში. ვერც ოსმალეთი გაინაწილა, როდესაც მთელი ოსმალეთი ხელთ ჰქონდა; ვერც საბერძნეთი დააკმაყოფილა, რადგან იგი მხოლოდ მაშინ დამშვიდდება, როდესაც მთელი ისტორიული საბერძნეთი შეერთებული და თავისუფალი იქნება; და მას შემდეგ თითონაც აღარა აქვს მოსვენება და სულ იმის შიშში და ფიქრშია, ბალკანმა ევროპაც არ ჩაითრიოსო.

რაც შეიძლებოდა, მოკლედ გავიხსენეთ საბერძნეთის განთავისუფლების ისტორია, რომ მით უფრო ნათლად გამოგვეხატა ჩვენი აზრი: თუ კი ბერძნებმა მაშინ გაიტანეს თავი, როდესაც სრულიად არა ჰქონდათ რა, და როდესაც ოსმალეთი იმდენად მძლავრი იყო, რომ ევროპაც კი ვერას უბედავდა; ეხლა მით უფრო ადვილად უნდა მიახწიონ თავიანთ უწმინდესს წადილს, რადგან ეხლა ოსმალეთიც ძლივს-და ფეთქავს და თვით საბერძნეთიც პატარას, მაგრამ მაინც საკმარისს ძალას წარმოადგენს. აი წარსულისაგან გამომდინარი დასკვნა და თუ ეს დასკვნა ვერ გამართლდა და საბერძნეთმა ვერა გააწყო-რა, ეს მარტო ბალკანელ ერთა მოურიგებლობით და ევროპიელ დიპლომატთა წყალობით მოხდება.

## შეცდომების გასწორება:

წინანდელი ნომრის «შინაური მიმოხილვის» 144 გვერდის მეორე სახევარი შეცდომით არის აწყობილი და დაბეჭდილი.

### უნდა იყოს ეგრე:

ახალი ბანკი რომ ჯერ ვერ მიუახლოვდა ვერც საწყალ სოფლის კოხს და ვერც ქალაქის წვრილმან მწარმოებელს, ხელოსანს, ეს იქიდან სჩანს, რომ ბანკს 101 წევრი ისეთი ჰყოლია, რომელთაც უდიდესი საწევრო ფული შეუტანიათ, თითოს 250 მანეთი, და მხოლოდ 12 ისეთი წევრი, რომელთაც უმცირესი საწევრო ფული შეუტანიათ, თითოს 5 მანეთი.

ზემო მოყვანილი ციფრები ნათლად გვიჩვენებს, რომ თავის დაპირების შესრულებაზე ახალი ბანკის გამგენი ჯერ შორს არიან. მართალია, თქმა და დაპირება ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე ქმნა, მაგრამ მით უფრო დიდი გარჯა და ჯაფა ჰმართებთ ახალ ბანკის მოთავეთა, რათა გაამართლონ ის ნდობა, რომელიც გამოუცხადა მათ საზოგადოებამ ამ ახალი საქმის ჩაბარებით.

გარდა ამისა თვრამეტი თვის განმავლობაში სულ დატრიალებულა თითქმის $2^1/_2$ მილიონი მანეთი, მაშინ როდესაც მხოლოდ ცხრა თვის განმავლობაში ბათომის საურთიერო ბანკში, როგორც სჩანს ამ უკანასკნელის პირველ ანგარიშიდანვე (28 მარტიდან 31 დეკემბრამდი 1895 წ.), დატრიალებულა თორმეტ მილიონამდი.

---

ამ წლის „შრომის“ II №-მერში დასტამბულ „აფხაზებ“-ში

| გვ. | სტრიქ. | | შეცდომით არის. | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 67 | 19 | ზევიდან | აფხიარცა არჰვავყ | აფხიარცა-არჰვავუ |
| 68 | 8 | ქვემოდან | „ამაცვ“ | „ამაცვჲს“ |
| 74 | სათაური | | „აც-ნჰვა“ | „აცუ-ნჰვა“ |
| 75 | 3 | ქვემოდან | „აც-ნჰვასი“ | „აცუ-ნჰვასი“ |
| 76 | 7 | — | „ვი-ყვაშ“ | „ვი-ყვამ“ |

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია.

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი.

# ქართველთა ამხანაგობის

## გამოცემანი

(ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ ბაღის კუნჭულში).

| | მ.—კ. |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1—20 |
| იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერივე ყდით (თითო) | 2—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „—80 |
| იგივე მშვენიერი ყდით. | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | „—15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი | „—30 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | „—40 |
| იგივე შვენიერი ყდით | „—90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I | 1—20 |
| იგივე ტომი II | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით | 2—50 |
| იგივე ტომი III | 1— „ |
| იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 3— „ |
| ჩანგი | 1— „ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | „—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| იგივე ტომი II | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე | „—75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე | 1—50 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1—50 |

| | |
|---|---|
| თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით | 1— „ |
| იგავ-არაკნი, მისივე | „—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 2—50 |
| ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯ.-ორბელიანისა | „—25 |
| საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი | „—40 |
| მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „—40 |
| აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა | 1— „ |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა | 1—60 |
| დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა | „—25 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით | „—30 |
| სიბრძნე ბალავარისი | „—30 |

---

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი

# ბრჭყალები

დრამა პოლ ერვიესი, თარგმანი ფრანგულიდან

ი. მაჭავარიანისა

ფასი ექვსი შაური

გამოვიდა და ისყიდება

ქართველთა ამხანაგობის გამოცემანი

# ცეცხლითა და მახვილითა

ისტორიული რომანი

გ. სენკევიჩისა

თარგმანი

გ. ყიფშიძისა

980 გვ. ფასი 1 მან. 60 კაპ.

---

# დასტურ-ლამა

თ. ნ. დადიანისა

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ფასი 25 კაპ.

ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის, ან ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, 30% დაეთმობა.

# მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

**№ VI**

ივნისი, 1897

ტფილისი
[illegible] Тип. Груз. Изд. Т-ва
1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 іюня 1897 г.

# შინაარსი


| | |
|---|---|
| | გვ. |
| I—მოლიპულ გზაზე.—მოთხრობა ან. ერისთავის (გაგრძელება) . . . . . . . . | 1 |
| II—„დავდივარ ტყეში და ვტირი...“—ლექსი ჰეინედან, თარგმანი შ. მღვიმელისა . . . . . | 44 |
| III—...გამარჯვება ჩვენია!—მოთხრობა ემილ ზოლასი, თარგმანი X-სა . . . . . . . . | 45 |
| IV—მიჯაჭვული პრომეთე.—დრამა ესხილის (დასასრული) . . . . . . . . . | 82 |
| V—გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი მეორე.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა . . . | 109 |
| VI—„მთათ მითხრეს...“—ლექსი ვაჟა ფშაველასი . | 153 |
| VII—„...სულ ერთია!..“—ეტიუდი შ. არაგვისპირელისა | 155 |
| VIII—სამურზაყანო.—VI—VII—VIII.—მგზავრის წერილები, თ. სახოკიასი (დასასრული) . . . . | 1 |

IX—ერობის მნიშვნელობა ჩვენთვის.—თ. გიორგი თუმანიშვილის წინადადება.—მისი სასხვიმინდლოდ გადადება.—ჩვენში ერობაზე წერა და საუბარი 1871-ში.—„არ გვინდა, არაო!“—დაგვბეგრეს, თუ არა?—პოლიცია, მისი ყოვლის-შემძლებლობა და ყოვლის-შეუძლებლობა.—რუსეთის ერობა.—მისი თავდაპირველი შეცდომა.—შემდეგი მისი ღვაწლი და სიკეთე ერის განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ზარალის ზღვევაში, მიწა-წყლის შეძენაში, მეურნეობის დახმარებაში და სხვ. და სხვ.—რუსეთის ერობამ რა გაარიგა?—უზენაესი ჩვენი საქმე და საჭიროება **ნ. ნიკოლაძისა** . . . . . 28

ქრონიკა:

X—ჩვენსა და სხვაგან—.
I. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების წლიური კრება.
II. რა იხსნის თავად-აზნაურობას დაღუპვისაგან. . . 53

XI—განცხადებანი

დამატება:

XII—საქართველოს სიძველენი. . . . 305—320

# მოლიპულ გზაზე.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

## XXVIII *)

— მაკო, ქეთინო როგორ მოგეწონა?—ჰკითხა ოქრომ, რომელსაც შევიდა დის ოთახში. ეს უკვე ქვეშაგებში ჩაწოლილიყო.

— ჰო, ისე, არა უშავს-რა... საკვირველია, რომ ნაქები ისე აღარ ეჩვენება კაცსა. მაინც არა უშავს-რა... რაც კი შეეფერება იმ გარემოებაში მყოფს.. შენა?...

— მე რა! აღტაცებული ვარ.

— მაშ შეირთე.

— წარმოიდგინე, ქეთინოზე ფიქრად არ მომდის ეგ აზრები. ის იმდენად წმინდად მიუწდომელ განუხორციელებელ იდეალადა მყავს დასახული, რომ მისი ცოლად შერთვა ვერ წარმომიდგენია.—მაკინემ შვებით ამოისუნთქა.

— მართალს კი ამბობ, ოქროჯან, იმისთვის მიყვარხარ აგრე, რომ წლოვანობის შეუსაბამო ჭკუას და შორსმხედველობას იჩენ. ქეთინო ბავშვია, მეუღლეობის არა გაეგება-რა და სანამ გონებას მოიკრებდეს, მანამ შენ შვილებიც უნდა გყავდეს. მეორეც ესა, ჩემო კარგო, ისეთი მოთხოვნილება გაქვს საქველმოქმედო მოღვაწეობისა, მოძმეთა შემწეობისა, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მართვისა, მამულის წესზედ დაყენებისა, რომ შენ მეტი შეძლება უნდა ეძებო, შენი საფერო ნამდვილად ლიზაა.. იდეალებსაც მისწვდები, ძვირფასო; ნათესაობას, წრეს,

*) „მოამბე“, № V, 1897 წ.

რომელშიაც ტრიალებს ქალი, შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს; რაც უფრო მაღლა სდგას, რაც უფრო განვითარებულია და ნივთიერად მდიდარი, იმდენად შენს სიტყვას და აზრს მეტი ნაყოფის გამოღება შეეძლება.—ოქრო მივიდა სარკმელთან, გამოაღო კარი, კაშკაშა მთვარემ ოთახში შემოანათა. გააცრუა სანთლის შუქი.

— რა საუცხოვო ღამეა, მაკო, როდი მეძინება.

— ნუ დაიძინებ...

— ჰა, რას ამბობდი? ლიზაა შესაფერი?... არა, მაკო, მე ის არ მომწონს. აკი გითხარი, ჯერ არა ვფიქრობ ცოლის შერთვაზედა-მეთქი.

— შენი ნება არ არის! მე მარტო ისე ვთქვი, რომ იდეალების მისაწვდენად ნივთიერი ქონებაც საჭიროა-მეთქი.—განაგრძო მაკომ.

— ეგ მართალია, მაგრამ მარტო ნივთიერი სიმდიდრეც არა კმარა. განვითარება, ჭკუა, გონება და მიმზიდველი სახეც აუცილებლად საჭიროა.

— თავის დროზე მაგისთანასაც შეხვდები.

— ვთქვათ, მაკო, ქეთინო შენგან მოყვანილ გარემოებაში იყვეს, არც მაშინ იქმნება შესაფერი?.

— რატომ... ეხლა კი მაგას აგრე მიმზიდველად ხდის კეკლუცობა, სიყმაწვილის ლაზათი. მერე თან და თან წაერთმევა და დარჩება სოფლელი, შეუგნებელი, როგორც ანიკოა. შენის ბედნიერებისათვის ვამბობ, თორემ თუ კი დარწმუნდები, რომ ნამდვილად წარმოდგენილი იდეალი მასში იპოვება, შეირთე, ღმერთმა გაგაბედნიეროს.—ოქრო გულ-მოდგინებით უსმენდა დას, ერთის მხრივ ეთანხმებოდა, მეორეს მხრივ ქეთინოს ლამაზი სახის, მის ნარნარ მიმოხვრის, ნაზ ლაპარაკისა და ქცევის გათვალისწინებაზე თითქო ეწინააღმდეგებოდა. ოქროს, მართალია, ფიქრად არ მოსდიოდა ქეთინოს შერთვა.—ნუ თუ უეჭველად უნდა შეირთოს?! არა, ქეთინო ამისი კარგი ნაცნობია. მაგრამ მეორე ხმა არწმუნებდა, რომ მისი ნაცნობობა არა კმარიყო.

— ხვალ მიდიხარ, ოქრო?—ჰკითხა მაკინემ.

— ხვალ?.. ხვალ ვერ წავალ... არამც თუ ხვალ, თითქმის ამ კვირებშიაც, ჩადგან ჯეროს დახატვას ვაპირობ.

— მოახერხებ კია?... რამდენი ხანია სახატი ხელში არ აგიღია?.

— არა უშავს-რა... მოვიგონებ, როგორც იქნება... იქ, უნივერსიტეტში სასიამოვნო საგანი იყო ხოლმე და კარგ დროსაც ვანდომებდი. ახლა ისევ ხელი უნდა მივყო.

— რა კარგია მართლაც ჯერო... ნეტა იმისთანა მეც მაშოვნინა!

— შენ ვერ შეინახავ ისე, როგორც უნდა. ქალაქის გამოფიტული მოწამლული ჰაერი დიდ ხანს არ აცოცხლებს ბუნების ლვიძლ შვილსა. აქ ქეთინო მუდამ ველსა და მინდორზეა, ჯეროსაც ასეთი ცხოვრება ესაჭიროება.—ამათი ლაპარაკი კარგა ხანს გაგრძელდა. ის იყო აპირობდა ოქრო თავის ოთახში მოსასვენებლად შესვლასა, მივიდა თუ არა კარებთან, შემოესმა ზარების წკრიალი. რამდენისამე წამის შემდეგ კარებზე მოგრიალდა ოთხ ცხენ შებმული ეტლი, საიდანაც გადმოვიდა იასონ. როდესაც ოქრომ დაინახა მოწყენილი სიძე, მიხვდა, რომ კარგს არას იტყოდა, შეიყვანა თავის ოთახში, რათა მაკინეს არ გაეგო მისი უდროვოდ მოსვლა.

— რა დაგმართვია? გამხდარხარ!... ავად იყავი? — იასონი ჩამოჯდა სკამზე, კარგა ხანს იყო ისე გარინდებული, მერე ულვაშებზე გადისვა ხელი, ეპოლეტებიდან მტვერი გადაიბერტყა.

— გაზეთში ხომ წაიკითხე?—ბოლოს ჰკითხა მან.

— გაზეთი ოთხი დღეც არის, რაც არ დამინახავს თვალითა. არ მოუტანიათ. რა ამბავია?

— ჩვენ რომ №-ის ათასი დესეტინა გვქონდა...

— მერე?...

— რა მერე!... გაიყიდა...

— რას ლაპარაკობ?!—შესძახა შეწუხებულმა ოქრომ.— რატომ არ შემატყობინე?

— ეჰ, რამდენჯერაც ჩემი საქმე გაიხლართოს, თუ შენ შეგატყობინე...

— კაცო, ფულებს გასესხებდი... თავის დროზე ხომ დამიბრუნებდი ისევა. გაჭირებაში თუ ერთმანეთს არ დავეხმარებით, დალხინება საკმაოა?...—ოქრო ჩაფიქრა ამ უსიამოვნო ამბავმა... ყველა ეს ხდებოდა მაკინესა და იასონის წინ-დაუხედავ უანგარიშო ცხოვრების გამო, მაგრამ როგორ გაემტყუნებინა, როდესაც ასეთი მოთხოვნილება იყო ბუნებისა?! აუცილებლად დღეს თუ ხვალა მაკინეს მათხოვარასავით უნდა ხელი გაეწვდინა სამოწყალოდ?.. ამ დროს კარი გაიღო, გამოჩნდა ძვირფას ხალათში მაკინეც. როგორც ეტყობოდა, შესმენოდა იასონის მოსვლა და ამდვარიყო. მას სახეზე შიში ეხატ³ოდა. დაინახა თუ არა ძმისა და ქმრის დაღონებული სახეები, თავისი წინასწარ-გრძნობა გაუცხოველდა... იასონმა ხელზე აკოცა: ხმა კი არ გაუღია, თითქო მის წინ თავს დამნაშავედა ჰგრძნობსო.

— რა ამბავს იტყვი?...—ჰკითხა ცოლმა. იასონი მაინც თავჩაქინდვრით განაგრძობდა ჯდომას.

— რა დაგემართა, ყმაწვილო?..—ხმა აიმაღლა მაკინემ...

— რა ვთქვა, როცა კარგი არ არის-რა?...

— ცუდი ხომ?... სთქვი!...

— ისაკ წურბელოვი ყველას უყიდის მამულებს.

— და მერე, ჩვენ...

— ჩვენიც თან მიატანა...

— როგორ?... მასთან დაგირავებული გაყიდა?...

— გაყიდა, მყიდველიც თითონაა...—მაკინე გაფითრდა, ხმა ჩაუწყდა... ან რაღა ეთქვა?... მაკინეს იასონი სძაგდა ამ წუთებში წინანდელზე მეტად... ვინ?... ან რა არის მიზეზი?... ბედის წერაა. და ისევ ბედი!... მაკინემ თვალები მოხუჭა, დარჩა რამდენსამე წუთს წამებაში, ვიდრე გულის მომწყვლელ აზრს მოურიგდებოდა.

— დავიჯერო უკანვე აღარ დაგვიბრუნოს, როცა თავისი მიეცემა?.—იკითხა ამ დროს ოქრომ.

— ისაკა?... ჰმ. მიჭირს... აქეთ-იქით თვალებს აბრიალებს, რათა სხვისიც დავინარჩუნოთ და შენ მოგართმევს უკანვე? №-ის გაყიდვაც ამ თვის დამდეგშია.

— იმას კი ველარ მიირთმევს...—სთქვა აღტაცებულმა ოქრომ. იასონი გავიდა ქტლის გასასტუმრებლად. დარჩნენ მაკინე და ოქრო. ორივენი კარგა ხანს გაჩუმებულები იყვნენ. ოქრო გაშურებული ბოლთასა სცემდა.

— ოქრო!—შესძახა მაკინემ.—გახსოვს მეკითხებოდი, ბედნიერი ხარ თუ არაო?... მაშინ გიპასუხე, ჩემისთანა ბედნიერი ქვეყანაზე არავინაა-მეთქი!...—დაუმატა ქალმა და იწყო ქვითქვითი. ოქრო მივიდა, ხელები ჩამოუხსნა სახიდან დას და დაუწყო კოცნა.

— მაკო, ძვირფასო, გამაგრდი, ნუ გეშინან, მე აქ არა ვარ!.. ყოველ ღონეს ვიხმარ ის მამული დაგიბრუნო, თუ არა და ჩემსას შემოგწირავ, თავს შემოგავლებ.—ეხვეწებოდა ოქრო, თან ხელსახოცით სწმენდავდა ცრემლებსა. მაკინემ დიდ ხანს ვერ მოახერხა დამშვიდება, ბოლოს, როგორც იყო, დაწყნარდა, ამასობაში შემოვიდნენ გაიანე და როსტომიც. რა გაიგეს საქმე რაშიაც იყო, დიდად შესწუხდნენ, განო ვედრებით უყურებდა ქმარს, თითქო სთხოვს: მიე მაკინეს გუშინდელი აღებული ფულით. როსტომიც ჩაფიქრებულიყო და აღარ იცოდა რა ექნა... თან გულით და სულით უნდოდა შემწეობა მიეცა ცოლის დისთვისა, არც დაიშურებდა არამც თუ სამოც თუმანს, არამედ ასს, ორასსაც, მაგრამ ამ ჟამად ის ფული დიდად სჭირდებოდა, რადგან სურდა ეყიდნა მუშა საქონელი, რომ ეგები შემოდგომაზე, ის რაღაც საჟენები იყო, ჩამოეტანა...

— მოიცადე, მოიცადე და მალე მტერი მოგიკვდეს მალე მე გიხსნა მაგ გაჭირვებიდან... უმატებდა ეს გულშია, თვალით კი ანიშნებდა ცოლს, როგორ შეიძლება ამ ფულის დახარჯვაო?... კარგა ღამე იყო გასული, რომ ძლივს წავიდნენ თავთავიანთ საწოლებისკენ... ოქრო თუმცა ჩაწვა ლოგინში, მაგრამ ძილი მასთან მიკარებას არა ფიქრობდა, თვალ-წინ არ შორდებოდნენ მაკინე, ქეთინო და ათასი საქმეები.

## XXIX

მეორე დღეს ქეთინო მხიარულად ღიღინებდა, ეალერსებოდა შორიდან ოქროს, რომელიც რავდენისამე საითის უკან უნდა მოსულიყო. ქეთინოს უხაროდა, აღტაცებას ეძლეოდა.

— ჯერო, კი არა აწყეინო-რა დღეს, ძვირფასო! არ იცელქო! ის დაგიხატავს ამ სახეს, რქებს, მოხდენილ ტანსა, შენი სურათი წავა შორსა ყველგან და ყველას ეცნობება ჩემი ჯერო!—ალერსით ჰკოცნიდა ქალი შველსა, ისიც უნაზდებოდა, მოუსვენრად ტრიალებდა; ქეთინო ასწორებდა მაგიდას, რაზედაც უნდა ეხატნა ოქროს. თეკლემ იცოდა ეს განზრახვა ყმაწვილისა. როგორც გამოცდილს, კარგა შეეგნო თუ რა შედეგი მოჰყვებოდა და კმაყოფილი იყო. ქეთინოს გარემოებაც შეიცვალა, დედამ და დამ უფრო ყურადღება მიაქციეს, დიდად ანებივრებდნენ. თეკლე მოელოდა სიმდიდრეს, დარწმუნებული იყო, რომ მის შევიწროებულ ცხოვრებასაც მზე მიადგებოდა, ეფერებოდა ქეთინოს და სრულ თავისუფლებას აძლევდა. მარტო ეხლა იცნო ქეთინომ სავსებით ყველა ესენი, დებ შორისაც წინანდელზე მეტი კავშირი, მეგობრობა დამყარდა. მაშომ ალარ დაუშალა დას, გადასწყვიტა დრო მიეცა ხოლმე, რომ ესა და ოქრო მარტოდ დარჩენილიყვნენ...

— ქეთინო, განა დღეს მოვა ოქრო?

— მგონი.

— მაშ მე მარიკოსთან წავალ. ქეთინო ჩამომჯდარი, მაგიდაზე ნიდაყვ-დანდობილი გალიმულის, კმაყოფილის სახით შორს გაიყურებოდა, ბედნიერს გარემო სხივ მოფენილ სამოთხედ ეჩვენებოდა. მაშოს სიტყვაზე კი თითქო სახემ ჩრდილი მიიყენა.

— რადა? რისთვის უნდა წახვიდე?

— იმიტომ, რომ მე მეტი ვიქნები... ასეთისავე სიტყვებით მიმართა ქეთინომ თავის ჯეროს, ერთხელ როდესაც დარწმუ-

ნებული იყო, რომ ოქროს თვალსაც არ მოაკვრეინებდნენ, და შეეცოდა და.

— საიდან წარმოიდგინე? ოქროს აზრი ჩვენთვის ჯერ გაურკვეველია! იქნება იმისთვინ მოიგონა ჯერის ხატვა, რომ ჩვენზე ახლო იყვეს?

— მერე ეჭვში ვინ არის?

— ისიც არ ვიცი ნამდვილად, თუ რომლისთვის დაიარება?—განაგრძობდა ქეთინო, თან ეშინოდა, რათა მაშოს სხვა არ დაესახელებინა.

— ვიცი.

— აბა ვისთვის?

— შენთვის.

— ჩემთვისა?! საიდან გაიგე?... ვინ გითხრა?...

— ალბად გავიგე, რომ ვანბობ.

— მაშო, აკი შენ გაქცევდა ყურადღებასა?

— ჩემი ადგილი ახლა შენ დაიჭირე...—ნაძალადევის ღიმილით დაუმატა მაშომ.

— მე დამილოცე?... რომ ჩამომეცალო?.. ხელი ვკრა, აღარ დავენახვო და წინანდელად გავხდე ნადირი, ის ადგილი ხომ დაგიბრუნდება?—შემკრთალი სახით ეკითხებოდა ქეთინო.

— მაშინ ის ადგილი ან სრულიად დაცარიელდება, ან კიდევ სხვა რომელიმე ქალი დაიჭერს, იქნება მარიკაც...

— შენ კი ვეღარა?

— ვერა...

— რატომა?

— აღარ შეიძლება...

— ვინ არის მერე დამნაშავე?

— იღბალი.

— ოხ, არა, მაშო, მე ვარ!—შესძახა ქეთინომ ნაღვლიანად და ცრემლები გადმოსცვივდნენ თვალებიდან. მაშოს შეეცოდა, მოხვია ხელი და ღიმილით დაუწყო სანუგეშო ლაპარაკი...

— ნუ სწუხარ, ჩემო დაო, მერწმუნე, სულ ერთია ჩემთვის ოქროს ყურადღება, თუ უყურადღებობა, მეტადრე მაშინ,

როდესაც ვხედავ, რომ შენ მოსწონხარ... მე მისთვის აგრე რიგად გაგიჟებული არა ვყოფილვარ!...

— ხომ მოგწონდა?..

— ეგ რა ვუყოთ მერე... ეხლაც მომწონს... ამ სიტყვებმა მახვილად დაუარეს გულში ქეთინოს, რადგან უნდოდა ოქრო მის მეტს ყველას მახინჯად სჩვენებოდა. მაშომ თავი გადუდო, აკოცა და და დაუმატა:

— ბედნიერი იყავი, ჩემო ქეთინო. — ღმერთო, სად იყო წინანდელი თავ-მოყვარე მაშო, რომელიც აგრე რიგად არ დასდევდა ქეთინოს სურვილსა და ყოველ შემთხვევაში „მე“-ს გაიძახოდა!... ქეთინოს დაავიწყდა წარსული უსიამოვნება, რაც ენახა დისგანა და მისდამი სიყვარული ერთი-ორად გაუცხოველდა...

— ნურსად წახვალ! შეეხვეწა ქეთინო.

— კარგი, რა კი ანგრე გულით გინდა, დავრჩები. . წამო, დავათვალიეროთ ძვირფასი სტუმრის მისაღები ოთახი, ურიგოდ არა იყვეს-რა! — კმაყოფილი ქეთინო მსწრაფლ დაეთანხმა მაშოს. ამათ გასწიეს. სახლი ფაქიზი, მოხდენილი იყო, თუმცა კი მდიდრული მორთულობა, სანახაობა როსტომის სახლსა დაშორებით აკლდა: ოთხ ოთახს ქვიტკირისას, გაკრული ჰქონდა სუფთა, მოვარაყებული ქაღალდი. სარკმელებზე ჩამოფარებული თეთრი ფარდები, დივან-სავარძლები, საფენ-გადაფენილი მოკლე ტახტები ნაკერ ბალიშებით, კედელზე დაკიდებული სურათები, ფორტეპიანო, დიდი მაგიდა ლამპარით — ყველა ეს შეადგენდა საპატიო ოთახის მოწყობილებას. ქეთინომ გადაშალა ალბომი, რომელშიაც ჩაეწყო თავისი ნახატები და დაამზადა. თეკლეს კი არა სცალოდა ამათთვის, ოჯახის საქმეში გართული იყო. მოვიდა დანიშნული ვადა, საათმაც თორმეტი დაჰკრა. ერთი საათი კიდევ და ოქრო გაჩნდებოდა. ქეთინო თან და თან მოუსვენრობას იჩენდა, თავბრუჰყვიალი ეხვეოდა. მისდებდა ბალიშზე თავს, თვალებს მოხუჭავდა, დარჩებოდა რავდენსამე ხანს ისე მარტო; ხანდისხან დაიჩურჩულებდა, ეს ჩურჩული გამოსთქვამდა ალერსსა, ალტაცებას მომლოდინე ქეთი-

ნოს სალოცავის მიმართ. ქეთინომ აალო ხელ-საქმის ყუთი, ესეც საჭიროდ ჩასთვალა, როდესაც ოქრო დაიწყებდა ხატვას, ესეც მიჰყვებოდა ქსოვასა. ქეთინომ მიიხედ-მოიხედა, მერე კარი ჩაკეტა, დაემხო მუხლებზე, იწყო ლოცვა... რას შესთხოვდა ქეთინო უფალს?... რასაკვირველია, ოქროს, ამ საუნჯის დასაკუთრებას. მოისმა კარის კაკუნი.

— ქეთინო, ოქრო მოვიდა.—შემოიძახა მამომ. გაფითრებული ქეთინო წამოვარდა ზეზე და კარები გაალო.

— რა დაგმართვია, ქალო? პატარა შეიცადე, ხუმრობა არ არის ანგრე არ ეჩვენო.—უთხრა მზრუნველობით მამომ და გაბრუნდა. ქეთინო ისევ ბალიშზედ დაემხო. გული მაგრა ეჭირა, სუნთქვა უძნელდებოდა, მაგრამ განვლეს წამებმა, მეტი დახანება აღარ შეიძლებოდა და გამოვიდა. ეს, ვითომც აქ არაფერიაო, მოკრთალებით წყნარად ელაპარაკებოდა ოქროს, რომელიც თვალებში შეჰყურებდა. მისალმებასა და მოკითხვის შემდეგ სამივენი წაიდნენ დანიშნულ ადგილისკენ, სადაც დახვდათ ჯერო. მამო მხურვალე მონაწილეობას იღებდა მაგიდისა და სკამების გასწორებაში, რათა ოქროსთვის არას დაეშალა ხატვის დროს და, როდესაც სტუმარი საქმეს შეუდგა, მოშორდა. ქეთინომ ვერც კი შეამჩნია გასვლა, ეს ვეღარავის ხედავდა, იდგა მაგიდასთან, უყურებდა ოქროს ხელების მოძრაობასა, თუ როგორ შლიდნენ ფურცლებს.

— დანაპირევი, კნიაჟნავ?—ჰკითხა ოქრომ.

— არ ვიცი!..

— დაგავიწყდათ?.. მგონი ნახატი უნდა გეჩვენებინათ?..

ქალმა გაიღიმა, დარცხვენით წინ გაუშალა რვეული. ოქრო ხარბად დააჩერდა ნახატს. ცხადად ეტყობოდა, რომ მოულოდნელ უჩვეულო სანახავს ხედავდა. ქალი მოელოდა შრომის დამფასებლის აზრსა, თავს მაღლა არ იღებდა, უძრავად დაჰყურებდა, ვერა ჰგრძნობდა, ვერა ხედავდა თუ გადმობნეული ხუჭუჭითმა დაურიდებლად როგორ ელაქცცებოდა ოქროს ხელებსა.

— კნიაჟნა! — წარმოსთქვა ოქრომ, შეაჩერდა მშვენიერ ნაზ სახეს ქალისას, რომელიც უკვე მიხვედრილიყო მის ალტა-

ცებას და იმედ-მოცემული მადლობით უყურებდა კეთილ, გულუხვ ყმაწვილ კაცსა.

— როგორ დავიჯერო, რომ ეს ნახატი თქვენი ხელოვნებაა?..

— ნუ დამცინით!

— რასა ბძანებთ, მშვენებავ! წმინდა ხელოვნება და დიდი ნიჭი ატყვია ამ ნახატსა. ნება მიბოძეთ გიწინასწარმეტყველოთ დიდებული მომავალი! — ოქროს გულში აღეძრა მომეტებული მოწიწება. უყურებდა ქეთინოს, ჰგრძნობდა რაღაც გაუბედავ თაყვანებასა. ოქრო კვალად დაიხარა ნახატისაკენ. ქეთინოს აღენიშნა ქაღალდზე პატარა კუთხე, სადაც ამ ჟამად ისხდნენ ახალგაზდანი. დილის მზის სხივები მარაოსავით ამოშლილიყვნენ აღმოსავლეთით, მას შეჰყურებდა ცის მინაზებული ლაჟვარდი სამყარო. ბრწყინვალე მარაოს უცქერდა ყმაწვილი ქალი და ჯერო, რომლის თვალები ხატავდნენ მკვირცხლ აღტაცებას ყოველივე სანახავის მიმართ ქალს დაღონება ემჩნეოდა, ვედრებით იხედებოდა ცისკენ, თითქო შესთხოვდა ძვირფას მარაოსგან ერთ-ერთი სხივის გამორტყორცნასა, რათა მის შემწეობით ასულიყო მაღლა, მაღლა და მიახლოვებოდა მიზანსა. სურვილის ასრულება უძნელდებოდა, შუაში ჩასდგომოდა ბურუსი, გამჭვირვალო, დამაშორებელი ჰაერი, ყველა ეს აკედლებოდა, გარდუვალ საზღვარს სდებდა მისწრაფებასა და განხორციელებას შორის. ქალი მაინც არ ურიგდებოდა გარემოებას, თვალები განაგრძობდნენ ლოცვა-ვედრებასა. ოქრო მიხვდა, რომ ეს მზე ქეთინოს იდეალი მხატვრობა იყო, საითაც მიესწრაფებოდა ქალის სული და გული. ქეთინო კი სხვაფრივ განმარტავდა. ყოველივე წერტილს ცხადი, კაფიო გულ-დადებული ადგილი ეჭირა. ნაკლულევანებაც ემჩნეოდათ, თუმცა არ იხსენიებოდნენ თვალსაჩენ ღირსებებთან ერთადა. ამას ეყურებოდა ოქროს ტკბილი ღუღუნი, ჰგრძნობდა, რომ უკვე თითქმის შესრულებულიყო ამის თხოვნა, ბურუსი შეთხელებულიყო, დაახლოვებოდა ბრწყინვალე მარაო, თვალ-წინ ედგა, გულში ჩასახოდა. ოქრომ ხელში მოიმარჯვა სამხატვრო კალამი.

— კნიაჟნა, სთქვით რამე!—ეუბნებოდა ეს.

— რომ დაგიშალოთ?..

— არა, ხალისს შემძენთ. ტკბილი ხმის გამგონე გულისთქმას ეგონება, მუსიკას უკრავენ ჩემს გასახელებლად, გრძნობაზე მოსული ჩემი კალამიც გაფრანგდება.

— ნუ დამცინით!..

— დაგცინით, მშვენებავ!.. დადაბლებელის ხმით წარმოსთქვა ოქრომ, თვალებმა აღარ დააცადეს დანარჩენი სიტყვების დამთავრება, გადასცეს უფრო მხურვალედ, გრძნობით. ქეთინო გაწითლდა, თვალები დახარა საქსოვზე.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?..—განაგრძო ოქრომ. თან ხელს გაუჩერებლივ დააცურებდა რვეულზე.

— ხომ?

— ჰო, მაგრამ...

— მაგრამ რა?..

— ცოტა ხნობით...

— რადა, საუკუნოდ!..

— თქვენ წახვალთ ტფილისში, ბევრს ნაცნობებს შეხვდებით, მაშინ უეჭველია შესწყდება ჩვენი მეგობრობაცა.

— განა თქვენ კი არ ჩამობრძანდებით?..

— არა მგონია, თუნდ ჩამოვიდე, მოკლე ხანს. იქ სიცარიელეა, სიმჩატე, გონება უჩლუნგდება ადამიანს. აქაური ჰაერი, ბუნება ნებას არ მაძლევენ თავი დავანებო მათ... შარშან კი გახლდით იქა. ვიცი თუ რა ხდება, რა აზრსა და მოქმედებას ადგანან იქ მცხოვრებნი. ხომ გეცნობებათ ლიზა სვიმონიშვილი? .—დაუმატა ქეთინომ. შეხედა ოქროს.

— ვიცნობ.

— როგორ მოგწონთ?

— სახით არაფერია, თვითონ ქალს კი ძალიან აქებენ...

ქეთინოს გული დაუმძიმდა, მაინც გადასწყვიტა დაწვრილებით გამოეკითხა, გაეგო საქმე რაშიაც იყო.

— ის მდიდარია და ბედნიერი.—განაგრძო ქეთინომ.

— როგორ?.. განა ბედნიერება სიმდიდრეშია?..—ქეთინოსგან სიმდიდრის ხსენებამ ოქროსაც გული გაუგმირა, ნუ თუ

ქსეც სხვა ქალებსავით შეძლებას ეძებს, აღმერთებს?.. გაიფიქრა ამან.

— ოღონდაც, როცა ფუფუნებაში სცხოვრობთ, მუხლს გიდრეკენ, გადიდებენ იმდენად, რომ თქვენი უკუღმა ქცევაც კი, თქვენი წყევლა-კრულვაც წყალობად მიაჩნიათ. თქვენ მაშინ ბრძანდებით მეფე, ისინი მონანი. შეგიძლიანთ აისრულოთ ყოველი სურვილი.

— მეტადრე მაშინ, როცა მარმარილოს აუზებიდან გადმონაჩქეფი შამპანის ღვინო გააბრუებს ბრბოს უიმისოდაც გაწყალებულ ჭკუა-გონებას?—დაუმატა ღიმილით ოქრომ.

— და იმისთანა დიდებაში თქვენ წარმოგიდგენთ ხოლმე, კნიაზო! ან კი რა სჯობიან ბატონ-მეფურ ცხოვრებას? იქნება ღარიბი და მაშვრალის ყოველ დღიური ჭირ-ვარამი?—ოქრო უსმენდა ქალის ლაპარაკს გაოცებული. რას ნიშნავდა ყველა ეს, ვერ მიმხვდარიყო. სოფელში, ჩაკეტილი, მონასტერში აღზრდილი ქალი, რომელიც ბუნების გარდა ვერას ხედავდა, გამოსთქვამდა ასეთს აზრს ცხოვრებაზე?! ქეთინო გამოდგებოდა ყოველ რიგ გარემოებაში, არც ერთი, როგორადაც სიმდიდრე, ისე სიღარიბე არ გააოცებ-შეაწუხებდა.

— მართალსა ბრძანებთ, კნიაჟნავ, შეძლებას დიდი მნიშვნელობა აქვს!—ოქრომ შეატყო ქალს უეცარი ცვლილება სახეში. მას წუთს მოშორდა ღიმილი, ნაცვლად ნაღვლიანობა დაეპატრონა. ოქროს აზრი აირია, ქეთინო ვერ ეცნო, მაგრამ ამ დროს გონების მსჯელობა დაიმონა გრძნობამ, მიყუჩებული გული გაონავარდა, იწყო ისევ თავისებურად ძალზედ ბგერა. გადაავიწყდა წარსული, მომავალი, მიმართა თვალები ამოცანა ქალს, რომელიც ამ რამდენისამე წუთის წინად თითქო მაღლა, სრულიად მიუწვდენელ ბორცვზე ასულიყო და ეხლა კი ისევ დაახლოვებოდა.

— კნიაჟნავ, თქვენ გჯერათ სიზმარი?—ჰკითხა უეცრად ოქრომ.

— სიზმარი? ბევრჯერ სიზმარი ახდება ხოლმე. რა იყო?

— მეც დღემდის არა მჯეროდა, მაგრამ წუხანდელს აქეთ კი მწამს.

— გეტყობათ ზმანებას ძალზე უმოქმედნია!

— დიდად... მადლობასაც შევწირავ შემოქმედს, თუ ამიხდენს...

— ხომ შეიძლება მისი თქმა?

— აუცილებლად ვნახე უცხო ზმანება... ვითომ ვიდექი ეკკლესიაში, სადაც დიდებული დღესასწაული იყო, ვლოცულობდი გულ-მხურვალედა.

— ცხადადაც ლოცულობთ ხოლმე?

— რასაკვირველია....

— ხატზე ლოცვას ეხლანდელი ყმაწვილები არ ეწყობიან!...

— ალბად მათთვის სიცხოველე მოჰკლებია იმ ხატსა. მე კი ყოველთვის ვლოცულობ ხოლმე წმიდა სალოცავზე. იმ დროს მოვიდა ჩემთან ახალგაზდა ქალი,—განაგრძო ოქრომ,—სპეტაკის სახით ცხვრის-ფერი თვალები ღვრიდნენ მადლსა და გონიერებასა. ბეჭებზე გადაშლოდა თმის ნაწნავი, მოკლე ხუჭუჭები სახეს გარს ყდად შემოსდგომოდნენ.—ოქროს ამ სიტყვებზე პირზე ღიმილი მოსდიოდა. ოქრო ატყობდა ქალს ცვლილებასა, მაგრამ ვითომ არ ამჩნევსო, ისე განაგრძობდა:

— მოვიდა, ჩამხედა თვალებში, მითხრა: გამარჯვება მეგობაროვო, შევხედე ვიცანი ის არსება და აღტაცებით ვუპასუხე:—გაგიმარჯოს, ჩემო მშვენებავ-მეთქი!...

— მერე ვინ იყო ის ქალი?—იკითხა ქეთინომ, თავი დაღუნა ძირს, თითქო გაძნელდა საქსოვის თვლის ამოღებაო.

— ის... ის იყო... დამაცათ! ის თქვენ იყავით, ქეთინო!

— მერე?

— მერე გვერდით ამომიდგა, მითხრა: მე ვიქნები შენი საუკუნო მეგობარიო. მისმა ანგელოზურმა ნაზმა ხმამ მომაჯადოვა. იმ დროს ჩემს ზემოდ საყდრის აივნიდან მგალობელთა გუნდმაც ღაღად-ჰყო: წმინდა ხარ, წმინდა ხარ, ღმერთო ჩვენოვო... მეც მას გრძნობით შევუერთე: და წმინდა იყვეს ჩვენი მეგობრული კავშირიცა-მეთქი.—ქეთინოს ეყურებოდა უცნაური სიტყვები, დაბანგული ანგარიშ მიუცემლად ეკითხებოდა დაჟინებით:

— მერე?... შემდეგ?...

— მერე სიზმარი გაქრა, სინამდვილედ შეიცვალა. ის სიზმარი ახდება მით, რომ ჩვენ უნდა დავმეგობრდეთ.

როგორ მიელო ქეთინოს ოქროს ლაპარაკი?... როგორ განემარტა? ეს თითქო ვეღარაფერს ხედავდა, ჩურჩულებდა: დიაღ, მეგობრობა, სწორედ მეგობრობა! ოქროს თითონაც ვერ გაერკვია, თუ რა იყო ქეთინო მისთვის? მეგობარი?... სათაყვანო?... სალოცავი?... ყველა, ყველა, რასაც კი ადამიანის სიცოცხლეში ადგილი ეჭირა, გარდა საცოლოსი... ოქროს ფიქრიოცნება ჯერ არ შემდგარა იმ მოსაზრებაზე, თუ ქეთინოსთან ოდესმე შეუღლდებოდა. მორწმუნე, ღვთის მოყვარე ოქროს ქორწინება მაინც სამძიმოდ მიაჩნდა. რკინის ზღუდე, რომელიც შებოჭავდა თავისუფლებას, აშინებდა; ქეთინო უყვარდა სულით და გულით, თავს გასწირავდა მისთვის, ნიჭსა და გონებას, გზად და ხიდად გაედებოდა, სამუდამოდ, საუკუნოდ. როგორ და როდის? ეს კი ჯერ ვერ მოესაზრებინა. ქეთინოს მსჯელობა კი სხვა მიმართულებას იღებდა, ვერ წარმოედგინა, რომ ერთმანეთისთვის თანამკვდარნი, წამებულნი, თუ რაიმე დაბრკოლება არა აელობებოდათ, არ დაკავშირებულიყვნენ წმიდა ეკკლესიის კურთხევითა. რა სიხარული, ბედნიერება, ნეტარება იქნებოდა ის მტკიცე უღელი, რომელშიაც შეებმოდა ქეთინო, გაჭირების დროს ქვეყანას შეეჭიდებოდა საუნჯის დასაცავად.

— ადრეა, ადრე. თავის დროზე ისიც იქნება!...—ფიქრობდა ქეთინო. ოქროს მოაგონდა, რომ იმის აქ ყოფნაში კარგა ხანმა განვლო, საათიც ემოწმებოდა, მესამეს უჩვენებდა. აკრიფა ქაღალდები. წამოდგა.

— დღეისთვის კმარა... ნახვამდის.—ოქრომ გაუწვდინა ქეთინოს ხელი. ქალს ხელები უთრთოდნენ, მაინც განაგრძობდა ოქროს ხელშივე ყოფნასა.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

— დიაღ.

— ყური ვუგდოთ წუხანდელ სიზმარს.

— განა ყოველ ღამ შეიძლება ვნახოთ ის, რაც სასურველია?... — იკითხა ქეთინომ.

— შეიძლება.

— როგორ?

— რომ ვიცოდე გიამებოდათ, წამალს გასწავლიდით.

— აბა სთქვით!

— გიამებათ?

— იქნება!

— მართლა?

— კარგია, სთქვით!

— ილოცეთ.

— ვილოცო?... — ქალს არ გაუკვირდა ეს ლონისძიება, რომელსაც ხშირად მიმართავდა ხოლმე. დარწმუნდა, რომ ოქროს მართლა უყვარდა ქეთინო. რა ბედნიერი იყო! ვინ ასწავლიდა ლოცვას?... თვითონვე სათაყვანო?... მაინც არ შეიმჩნია.

— რომ ვილოცო, ვნახავ?...

— უეჭველად.

— რადა?

— იმისთვის რომ... ვერ გეტყვით ამის მეტს, რომ უნდა ილოცოთ. — უპასუხა აღელვებულმა ოქრომ. ქეთინოს ლოყები შეუწითლდნენ, წარბები მოეხუშა, მიიღო ბრძანებითი კილო.

— სთქვით!

— ილოცეთ, ქეთინო, რადგან წმინდა სიყვარულს ყოველთვის ლოცვა ვედრება მოსდევს. — უეცრად დაუმატა ოქრომ, მობრუნდა, აალაგა წიგნები, საჩქაროდ გასწია. ქეთინო უძრავად იდგა. ეს ისე უეცრად მოხდა, რომ ქალმა ვერ მოასწრო გონზედ მოსვლა, უყურებდა ჩქარა-ჩქარა მიმავალ ოქროს, ხმა ვერ მიეცა, ვერ დაეძახა, ცოტა კიდევ მოიცადეო, თუმცა გული კი მუნჯსა სცემდა. როდესაც ოქრო თვალს მიეფარა, ქალი მოეხვია ჯვროს, დაუწყო გაშმაგებით კოცნა.

— გენაცვალოს ქეთინოს სიცოცხლეი, ოქრო! შენ შემოგევლოს ჩემი თავი!... ჯვრო, ძვირფასო, განა მოწამე ხარ ამ

ბედნიერებისა? შენ გამაცანი, დამაახლოვე, ახლა საიდუმლოც შეინახე... ხომ მეგობარი ხარ? ჩემი ერთგული მეგობარი?— ეჭვი კი არ აიღო, არ შეიშურო ჩემთვის ეს ნეტარება!... ნუ მოიღრუბლე, ჩემო თვალის ჩინო! შენ ჩემი ამხანაგი, ის კი სული და სიცოცხლე, საამქვეყნიო დიდება, ის ჩემი აღდგომაა!—იმეორებდა ქეთინო.

***

ოქრო დაბრუნდა ბედნიერებისგან აღფრთოვანებული, აზღვავებულ გრძნობას გაეტაცა, დებთან დაუფარავად წარმოათქმევინებდა გაოცებას ქეთინოს ნიჭიერება-ჭკუა-გონებაზე. მაკინე ჩვეულებრივის თავშემაგრებით უსმენდა; ოქროს თითქო-რსულიად გადაავიწყდა თავის სოფლისკენ წასვლა, ფიქრობდა მარტო მაზე, რათა მალე გათენებულიყო და წასულიყო ქეთინოსკენა. ეს გულ-მოდგინებით დაიარებოდა ყოველ დღე, ნახატიც წინ მიიწევდა, მისწრაფება ქალისადმი უცხოველდებოდა. მაკინე და განოც წინანდელ განზრახვას თავს არ ანებებდნენ, ეძებდნენ შესაფერ შემთხვევას, რომ ემოქმედნათ. ოქროს სჯეროდა, რომ მის დებს სასიამოვნოდ მიაჩნდათ ქეთინოსთან ასეთი დაახლოება. მორჩებოდა ხატვას თუ არა, ქეთინო და ოქრო შეუდგებოდნენ წიგნების კითხვას. მაშო და თეკლეც აღარ ერიდებოდნენ, ხშირად ისხდნენ ხოლმე ესენიც მათთან და ყურს უგდებდნენ. მაშო დროგამოშვებით მონაწილეობას იღებდა წიგნების კითხვაში. ამგვარად დღე დღეზე მიდიოდა. მთელი სოფელი დარწმუნებული იყო, რომ ჯვარის-წერა მალე მოხდებოდა, მეზობლები ულოცავდნენ თეკლეს. ეს უკანასკნელი თუმცა არ იღებდა, მოუთმენლად კი ელოდა იმ დღესა. ოქრომ სთხოვა ქეთინოს ევლო მაკინესა და განოსთან, მაშინ მთელ დღეებს ერთად გაატარებდნენ, მეტ საქმეს გააკეთებდნენ. ქეთინო დათანხმდა ოქროს სურვილზე. ოხ, რა ბედნიერი იყო ქეთინო, ბედნიერი იყო აგრეთვე ოქროც! რა იქნება ხვალ? ძალიან ცოტად ფიქრობდა ამაზე, სწამდა რომ სა-

უკუნოდ ასე იქნება, არც ერთი დღე უქეთინოდ არ შეიძლებოდა ყოფნა. აგრეთვე ქეთინოც მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, საათს, წამს, როცა ოქრო ეტყოდა გულახდით, სთხოვდა მასთან შეუღლებასა.

— როდისღა? რად აგვიანებს? რა უშლის? იქნება დარწმუნებული არ არის ჩემს სიყვარულზე? მაგრამ ნუ თუ ვერ მატყობს, როგორ ვიტანჯები, ვგიჟდები მისთვის?... ოქრო ეალერსებოდა, მაინც საკმაოდ არ ეჩვენებოდა.

— ასე ჩემო მშვენებავ! ასე ჩემო ანგელოზო! ხშირად შეესმოდა ქეთინოს, როდესაც ოქრო უჩვენებდა ნახატის რომელსამე წერტილზე. ქეთინოს თავაზიანად ეჭირა თავი მაკინესთან, მას კი ეჯავრებოდა ეს. ქალი ცხადად ატყობდა ამ სიძულვილს, თუმცა ხმა-მაღლა არ გამოსთქვამდა.

— განა რა დამიშავებია იმისთვის? რათა სწყინს რომ ოქრო ყურადღებას მაქცევს? ჯერ ხომ ჩვენში არ არის-რა!... შეიძლება კიდევაც შესწყდეს ასეთი ხშირი შეხვედრაც კი! —გაიფიქრებდა და იმ მოსაზრებაზე, რომ მართლა შესაძლო იყო ოქროს მოშორებოდა, ნაღველი ლოდსავით დააწვებოდა გულზე ქეთინოს; მტანჯველ წამებას მიეცემოდა, მაგრამ ოქრო გრძნობით მიმართავდა თუ არა თავის მშვენიერ თვალებსა, მძიმე, გაუძლისი მდგომარეობა ქეთინოსი წუთს შეიცვლებოდა თავდავიწყებულ ნეტარებადა. მაკინეს დროზე მოხერხებული ალერსიც გადაათქმევინებდა გულში წარმონათქვამს, გუნება სხვა რიგად მოემართებოდა.

— არა, ვეცდები! ოქრო მეტად მიყვარს და ეჭვიანობისაგან მომდის, არა, მაკინეც ჩინებულია, ჭკვიანი, მშვენიერი და ანგელოზი! —იტყოდა ეს, დაიარებოდა მათთან, საქმეებშიაც ხშირად შველოდა მაკინესა და გაიანეს. უკანასკნელი განრადაგებით დალაპარაკობდა, თუ როგორ გადარევით უყვარდა ოქროს ქეთინო, ეს კი არ თანაუგრძნობდა.

— რას მეუბნები, განო?... ვის არ უყვარს ოქრო? მე? ჰმ, რა კარგა შეგიმჩნევია! ოქრო თუ არ მიყვარს, მაშ რა ფასი სდევს ჩემთვის ქვეყანას? ოქრო ღმერთია, წმიდა ხატია, რო-

2

მელზედაც ვლოცულობ ხოლმე. ძილი აღარაა. ოქრო, ოქრო, დაჟინებით გაიძახის ჩემი არსება. დანარჩენ საგნისკენ მოქმედებისთვის დადუმებულია. შენ კი მაყვედრი ღამის ძმა დამიჭლერქო, არ თანაუგრძნობო? განა ოქროს ბრალია, რომ მეც ვიტანჯები? განა მას უნდა დააყვედროს რომელმამე ჩემგანმა? არა, ეგ სიყვარულის ბრალია, განო, და სიყვარული და ტანჯვა ხომ ერთი მეორეს მოსდევს?—ეუბნებოდა ქეთინო გაიანეს ერთ საღამოს, როდესაც ორივენი გამოსულიყვნენ ბაღშია.

— რა ბედნიერი იქმნები, ქეთინო, ოქრომ რომ შენზე ჯვარი დაიწეროს!—უთხრა ეშმაკურის ღიმილით გაიანემ.

— ოლონდაც! შენა? შენ რას იტყვი, ოქრო რომ ჩემი გახდეს?—ჰკითხა ქეთინომ და შეხედა განოს.

— ძალიან გამეხარდება... განა საკითხავიც იყო?—საყვედურით უპასუხა მან.

— მაპატიე, მწამს, მჯერა, რომ შენ ჩემთვის სიკეთე გინდა,— უთხრა ქეთინომ, ლოყაზე აკოცა, მერე ხელი მოხვია, მაეკრო მაგრა, დაუმატა ხელების მტვრევით, ზმორებით, რადგან თვითეული სიტყვა დიდად მოქმედობდა, შლიდა, ღალავდა ამის არსებას.

— განო, ველარ დაგიმალავ, გენაცვალე! ოქრო მიყვარს, ის ჩემი სიცოცხლეა, მზეა, ჰაერია, რომლითაც ვსუნთქავ. მითხარი, დავიჯერო იმასაც ასე ძლიერ უყვარვარ? რას ატყობ?

— გადარეულია!

— რას ამბობს?

— ბევრს კარგსა.

— მაინც?

— იმას, რომ მშვენიერი ხარ!—ქეთინომ ნეტარებისაგან თვალები მოხუჭა. განაგრძო:

— კიდევა?

— ჭკვიანი.

— კიდევა?

— ნიჭიერი.

— კიდევ?

— რა ვქნა, განა არა კმარა? ისე გააგიჟე, რომ თავის სოფლისკენ წასვლაც ველარ მოუხერხებია.

— მეც მითხრა და იცი, განო, როდი დავუჯერე!

— რა? —ცნობის მოყვარეობით ჩაეკითხა განო.

— რაო და ისე დავეჩვიე ყოველ დღე თქვენს ნახვას, რომ ველარ წავსულვარ ჩემი საქმეების საკეთებლადაო. გამოვკითხე, რა საქმეები-მეთქი. იმან ამიწერა სოფლის გაჭირება, მითხრა, თუ როგორ უნდა შეეწიოს მას, დაარსონ რავდენმამე მამულის მეპატრონემ საწყობი, გახსნან მაღაზია, საცა გლეხ-კაცებს შეეძლებათ უშიშრად მიიტანონ თავისი ნაშრომი, მისცენ შესაფერი ღირებული ფასი და-პირში ჩალა-გამოვლებულები არ დაუბრუნდნენ შინ ცოლშვილსა, აღარ გაიცარცვებიან წვრილმან წურბელა ჩარჩებისგან, რომელთაგანაც აკლებულია სოფლებიო. ის ფიქრობს კიდევ სხვა სასარგებლო საქმეებზე...

— მერე რა, არ დაუჯერე?

— ვითომ ჩემი გულისთვის რჩებოდეს აქა.

— ჰო, მე კი მეგონა არ დაუჯერე განზრახვათა შესრულება?

— არას დროს! ღმერთმა დამიფაროს, რომ ოქროს სიცრუე, ცარიელა სიტყვაობა დავწამო! მაგისთანად რომ მეცნო, არც აგრე მეყვარებოდა.

— მართალია, მართალი. სწორედ შენთვისა რჩება... რა მაცდურები ვართ ქალები! ასე გასინჯე, მშრომელ ყმაწვილკაცებსაც კი ვაცდენთ და ვავიწყებთ დანიშნულება-მოვალეობასა.—ქეთინომ კმაყოფილებით ჩაიცინა.—შენმა გაზდამ ქეთინო, ოქროზე ბევრ ქალს უჭირავს თვალი.

— რა გასაკვირველია! რაში დაიწუნებენ მერე! მართლა, განო, აკი ლიზა სვიმონიშვილს ურიგებდით? რა ჰქენით?

— ჩვენ კი არ ვურიგებდით, თვითონ მოსწონდა. საქმე საქმეზე იყო მოსული.—რაკი ნახა, რომ უნდა გადაწყვეტით წარმოეთქვა უკანასკნელი სიტყვა ქალთანა, თითქო შეშინდაო, უკან დაიწია. მაგ საგანში უცნაურია ოქრო, ქორწინებას ძალიან უფრთხის.

ამ სიტყვების მოსმენაზე ქეთინო ჩაფიქრდა, განოს ლაპარაკი ენიშნა, გულს იმედი მისცა შემდეგის პასუხითა:

— მეც ვატყობ ოქროს, რომ დიდი მოყვარულია თავისუფლებისა. რასაკვირველია, არ იამება მისი შესუსტება ვისთანმე შეერთებით, მაგრამ, როდესაც ვეღარ შესძლებს გამედგრებულ მწვავ სიყვარულთან ბრძოლასა, მარტო მაშინ კი მგონი უარზე არ დადგეს, რადგან ზნეობა-შეუმწიკვლელი კაცი არ მოერიდება წმინდა ეკკლესიასა.—განო მისწვდა საწადელს, სრულიად ამოიცნო ქეთინოს გულის პასუხები. დიაღ, ქეთინოს სჯეროდა, რომ ოქრო ოდესმე მასთან შეუღლდებოდა.

— საწყალი!—ფიქრობდა გაიანე. ერთ რიგად კიდევაც უნდოდა ყოველივე ეს დაემალა მაკინესთვის, მაგრამ რაკი ის არწმუნებდა, რომ არ დაუშლიდა ოქროსა და ქეთინოს, ნებას მისცემდა ერთმანეთთან შეუღლებაზე, თუ, რასაკვირველია, დაინახავდა ქეთინოს მის შესაფერადა და რადგან თვითონ განოც თანაუგრძნობდა დას ამ აზრშია, ამისთვის აღარ დაჰფარა მაკინესთან. ქეთინოსაც დაჰპირდა, შემდეგშიაც გავიგებ ოქროს აზრებს და უკლებლივ შეგატყობინებო.

მაკინეს კარგი მიზეზი ეპოვნა, რომ ოქროს აღტაცება ქეთინოსადმი შეესუსტებინა. რავდენადაც ეცნო ქეთინო, დარწმუნებული იყო, რომ როდესაც ქალი გაიგებდა, თუ ოქრო მაზე ჯვარის-წერას არ ეპირებოდა, მოერიდებოდა, თუნდ რაც უნდა გადარევით, გაგიჟებით ჰყვარებოდა. ოქროს კი ამისთანა აზრი არა ჰქონდა ქეთინოზე შედგენილი. მას რაცხდა იმდენად გონიერ, ღრმა მოსაზრების, გულის პატრონად და ეს უკანასკნელი გარემოებაც სრულებით რომ არ ყოფილიყო, მაინც ქეთინო ამას ხელს არა ჰკრავდა. მაკინე კი ამასობაში შეზუზუნებდა ოქროს დიდებულ მომავალზე, როცა ეს თითით საჩვენებელი გახდებოდა და სიმდიდრეში მომცურავი რა რიგად გააღონიერებდა გაჭირებულ მოძმეებისკენ გაწოდებულ ხელსა... მაკინე იცნობდა კარგა ძმას და სარგებლობდა მით. როდესაც შესაფერ წუთებს ჩაიგდებდა ხელშია, არწმუნებდა ოქროს, რომ ქეთინო ჩვეულებრივი კეკლუცი ლამაზი ქალია და ღმერთს

მადლობასა სწირავს, რადგან შეუძლიან ოქროს მაზედ ასეთის აზრების შედგენა! მაინც აბრთხილებს, როგორც ერთგული, რადგან ქეთინო შეიძლება ისე უყურებდეს, როგორადაც სასარგებლო მდიდარ საქმროს. იმედს დაჰკარგავს თუ არა შერთვაზე, მაშინვე მოშორდება. თუ უკეთესს შეხვდება, დაუფიქრელად მისთხოვდება.

— ნუ თუ წმინდა ანგელოზი ქეთინო მართლა ასეთია?— ფიქრობდა ეჭვში შესჩურჩულა ოქრო.

— იქნება მართლა ვცდებოდე, სიყვარულით დაბრმავებული ვიყვე და მოტყუებული ვარ, როგორც მოვტყუვდი ტიტიკოში?... მეტად უანგარო მაღალ აზრების ქალი მოსჩანს, ნუ თუ მართლა მოჩვენებაა? არა, არ დავიჯერებ... მაკო შემცდარია და მეტის-მეტ სიფრთხილისაგან მოსდის ეს შეცდომა. ქეთინო წმინდა არსებაა. საუკუნოდაც ასეთი დარჩება. ამ სიტყვებით გულს გაიმაგრებდა ოქრო, გასწევდა ქეთინოსკენ, სადაც სრულიად დაეფანტებოდნენ შავი ფიქრები, რომელნიც მაინც წერტილებად აჩნდებოდნენ გუნებაზე... ბოლოს, როცა შეიტყო მაკინემ, რომ ოქრო და ქეთინო აღარ ხუმრობდნენ, ხალხში, თუ ისე ერთმანეთს აღარ შორდებოდნენ, ერიდებოდნენ სხვა პირებსა, ოქრო ჩამოეცალა ტოლებს, შაქროს, პალიკოს, მეტადრე უკანასკნელს, რადგან ცხადად ამჩნევდა მეტოქობას და შესძაგებოდა,—გადასწყვიტა ეხლა უფრო ფრთხილად ყოფილიყო, თორემ შეიძლებოდა საქმე ცუდად მოხდენოდა. თავს ველარ იმაგრებდა. ხანდისხან გაბოროტებული ხშირად უკმეხ სიტყვებსაც ეტყოდა ქეთინოს, რომელსაც აღარ უკვირდა ამისი ასეთი საქციელი, რადგანაც ატყობდა, რომ არ ესიამოვნებოდა ოქროსთან თავისი დაახლოვება, მაგრამ ქეთინო ითმენდა ოქროს სიყვარულის გამო. ერთხელ როსტომს ბლომად ეწვივნენ სტუმრები, მათ შორის ყმაწვილი ქალი იყო. მაკინეს თუმცა არც ის ეპრიანებოდა, მაინც ცდილობდა ამ ჟამად ოქროს ყურადღება მისკენ მიექცია, სადილზე დასხდომის დროს ოქროს სთხოვა უცხო ქალთან დამჯდარიყო და, როგორც იშვიათი სტუმარი, სხვებზე მეტად გაერთო, დანარ-

ჩენები შინაურები იყვნენ, შეიძლებოდა დღეს ყურადღება მოჰკლებოდათ. ამ შინაურებში ერია ქეთინოც. მაგრამ ოქრო უცხო ქალსა და ქეთინოს შუა მოექცა, ათასში ერთხელ გამოელაპარაკებოდა, ხშირად კი მიეღო სახე ქეთინოსკენ, სიამოვნებით ელაპარაკებოდა. მაკინე იყურებოდა უკმაყოფილოდ. გული უბრაზდებოდა ქეთინოზე, რომელიც თითქო აღარც კი ეპოებოდა მას...

— ოქრო, კნიაჟნა კატომ მოგვიწყინა!— დაუძახა ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ძმას. სტუმარი ქალი მოკრძალებული, ამასთანავე გონიერი აღმოჩნდა, კარგა შეიგნო თუ რა ამბავი ხდებოდა ქეთინოსა და ოქროს შორის. მაკინესგან ძალდატანებული თხოვნა, რათა ოქრო ამისკენ ყურადღებით ყოფილიყო, თავმოყვარეობას უღვიძებდა, უსიამოვნებას ვეღარ მალავდა, ბოლოს მოუბრუნდა და ოქროს უთხრა:

— ნუ სწუხდებით, კნიაზო, სრულიად მხიარულად გახლავარ. შეგიძლიანთ თავისუფლად ელაპარაკოთ მას, ვინც სასიამოვნოდ მიგიჩნევიათ.— ოქროს შერცხვა, ბოდიში მოიხადა, ცდილობდა როგორმე გაესწორებინა თავისი შეცდომილება. მაგრამ სტუმარმა ყურადღება აღარ მიაქცია, დაუწყო გვერდზე მჯდომ ქალს ხანგრძლივი ლაპარაკი. სადილს უკან მაკინემ უსაყვედურა ოქროს, სთხოვა ქეთინოს კნიაჟნა გაერთო, რათა კარგის შთაბეჭდილებით წასულიყო აქედან. ქეთინო ცდილობდა აესრულებინა მისი სათხოვარი, როგორმე გული მოეგო. ცქრიალა, მალხაზი, ლამაზი ქალი ოთახში მხიარულად დაცურავდა, ლაპარაკობდა, იცინოდა, სცეკვავდა. ვინ იფიქრებდა, რომ ეს იყო ის არსება, რომელიც რავდენისამე თვის წინად სახლში შეკეტილიყო, მარიკას მეტს არავის ეკარებოდა?! ამისათვის ამ ჟამად ყველანი ერთნი იყვნენ, როგორც მარიკა, ისე სხვები და მათზე უფრო ძვირფასი ოქრო... ყმაწვილკაცები გარს ეხვეოდნენ, ცდილობდნენ მისი ყურადღება თავიანთკენ მიექციათ, მით ოქროს მეტს ეჭვებს უღვიძებდნენ, ახელებდნენ ქალისკენ მისწრაფებაში. პალიკო კი ჩვეულებრივად გულ-ჩაკლული შეჰყურებდა დაკარგულ ნეტარებასა. ვახშამი გათავდა,

ოქრომ მაშინვე ხელი უთავაზა ქეთინოს, ესენი წინ წამოვიდნენ ფარნით ხელშია, უმთვარო ღამე იყო. გზა ოდნავ სჩანდა. ოქროს და ქეთინოს თავიანთ თავის გარდა სხვები დავიწყებოდათ და, რაც კი შეეძლოთ, წინ მოიწევდნენ. სხვები უკან ჩამორჩნენ, გააბეს მხიარული სიმღერა, ზოგიც სალამურს უკრავდა.

— დღევანდელი საღამო უჩვეულოდ ჩაივლის.—სთქვა არჩილმა.

— ოღონდაც თვითეულ დღეს თავისი მნიშვნელობა აქვს, —უპასუხა მაშომ, რომელიც მიუხვდა თავადს სიტყვებს.

— თქვენ გონიათ? რავდენ დღეს ჩაუვლია ისე უსაგნოდ, უხეიროდა, რომ ადამიანისთვის კარგი არა მოეტანოს-რა!...

— ცუდი ხომ?

— ეჰ, ცუდი რა სანატრელია?...

— ეგ სხვაა, კნიაზო, სანატრელია თუ არა—ხომ ჰქონია კაცზე მნიშვნელობა იმ ცუდის მომტან დღესაც?...

— კნიაჟნა ქეთინო დღეს მომხიბვლელია, არც ოქროსა აქვს ცუდი გემოვნება!—პალიკომ ნაღვლიანის ღიმილით გახედა ლაპარაკის საგანთ, რომელნიც კარგა წინ წასულიყნენ. მარტო ფარნის შუქი ატყობინებდათ, რომ ესენი განაგრძობდნენ გზასა.

— კნიაჟნა ყოველთვისაც მაგისთანაა!—ჩაილაპარაკა ამან და თავშემაგრებით ამოიოხრა.

მაშო დაწინაურდა, შეუერთდა ქალებს, რათა აღარ გაეგონა არჩილის ლაპარაკი, არ ესიამოვნებოდა ქეთინოზე და ოქროზე მითქმა-მოთქმა მოესმინა.

— თუ ოქროსა და ქეთინოს საქმე არა ჰქონდეთ გათავებული, ამ ულვაშს მოვიპარსავ.—განაგრძო ისევ არჩილმა.

— ღმერთმა გააბედნიეროთ,—მოისმა ისევ პალიკოს ნაღვლიანი პასუხი. არჩილმა ხმა ჩაკმინდა; ეს წარმოადგენდა იმ პირს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ქეიფსა და დროს გატარებაში დაუღამებია, წლითი-წლობამდის ერთ თვესაც არ გაჩერებულა სახლშია, უვლია, უხეტიალნია ნათესავებსა და ნაც-

ნობებში. არჩილის დარდი-ლონება იყო ფული, რომელიც დაუგვიანდებოდა ხოლმე რომლისამე მამულის გაყიდვა—დაგირავებას დროს. ცოლის შერთვას ვერ ახერხებდა, მაგრამ ლამაზი ქალი მისი სულის დედოფალი იყო, როგორც იტყოდა ხოლმე არჩილი. ეს მუდამ ყურადღებით ექცეოდა ყოველ მცირე შემთხვევასაც კი, დაუფარავად წარმოსთქვამდა თავის აზრსა, არ დასდევდა, თუ რა შედეგს გამოიღებდა ამგვარი გულახდილობა, თუ მეტადრე მსმენელს ეყურადღებებოდა. არჩილ ატყობდა პალიკოს, თუ ეს უკანასკნელი რა გაფაციცებით შეჰყურებდა ქეთინოს, მიხვედრილიყო, იმ ქალს რა მნიშვნელობა, ზეგავლენა ჰქონდა ამაზე და აი ამისთვისაც სცადა ლაპარაკება, რათა გაეგო პალიკოს აზრი, მაგრამ მოსტყუვდა, პალიკო მაინც მდუმარებდა, თავჩაქინდრული ფიქრიანად გვერდზე მიჰყვებოდა ნელ-ნელა.

## XXXI

პალიკომ გადასწყვიტა გრძნობა რკინის ზღუდეში მოექცია, ქეთინოსთვის თავი არ მოებეზრებინა, რადგან წარმოედგინა ის ზიზღი, რომელიც ეღვიძება თაყვანცემულს მოთაყვანესადმი, როდესაც უკანასკნელს თანაგრძნობაზე იმედი დაჰკარგვია, მაინც არ ეშვება, თავს აბეზრებს, უკვე დიდი ხნის მოწყენილ ტრფიალებითა.

— ქეთინოსგან ზიზღი? მაშინ ხომ პალიკო უფრო სიკვდილს ირჩევდა! ეს გული-გონების ერთმანეთთან კამათი ზედ ილევდა დიდ ძალას, აგზნებულს ცეცხლს კი რჩებოდა სუსტი გაცრიაგებული ფერფლი... მარიკა ამაოდ ამშვიდებდა; ამაოდ ჰპირდებოდა შემდეგში ქეთინოს იმისკენ გამობრუნებასა.

— გათავდა! გადაწყდა! ქეთინო ოქროსია? მაშ ჩემი რალაა?—გაიძახოდა ტანჯული პალიკო, გამოვიდოდა სახლის აივანზე და შეშლილსავით ელაპარაკებოდა თავის თავსა.

— წამება.—სუსტ ხმაზე პასუხს აძლევდა გულიც.

— მერე როგორ დავუთმო? არა, არა! სანამ პირში სული მიდგია, ის ვერ დაისაკუთრებს!—დაუმატებდა და საშინელი სიძულვილი მეტოქის მიმართ ანთებასავით დაუვლიდა მთელ ტანში და თავ-პირშიაც აჰკრავდა. პალიკო შევარდებოდა სახლში, აიტაცებდა ქუდსა, გამოვარდებოდა და აჩქარებით გასწევდა ოქროსკენ, რომ სამუდამოდ გასწორებოდა მას. მაგრამ აგერა დაინახავდა ფერ-მკრთალ ქეთინოს, სწორედ იმ დროს, როდესაც ოქროსა და ამის შორის გაიმართებოდა კარგა შესამჩნევი შეხირება, სწორედ იმ დროს, როცა ეს მზად იყო ეძრო ხანჯალი, დაეცა პირდაპირ გულში, დაეჩიჩქნა მშვენიერი თვალები, მოეკვეთა მომხიბლველი, თავაზიანი ტკბილი ენა, რათა ქეთინოს ყურებს არ შესმენოდათ მისი ღუღუნი, აღარ შესჩერებოდნენ ნაპერწკლების მაბნევი თვალები. იმ დროს ქეთინოს თვალები შემოჰყურებდნენ და ვედრებით ეუბნებოდნენ:

— შემიბრალე, შემიწყალე, ნუ გამაუბედურებ საუკუნოდო!—პალიკოს გამეხებულ პირქუშ მრისხანე გულს უეცრად ეს[illegible]ობდნენ სათნოება-სიწმინდის ცვარები, განდევნიდნენ ამ ბოროტულ ბოიო[illegible], [illegible]ებული ხმა ძირს დაიწევდა, მშვიდდებოდა, შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაქადებულის ბაგე-ტკბილ მორჩილ მეგობრულ პასუხს დაუბრუნებდა, ჩამოუცლებოდა მაზედ არა ნაკლებ აღელვებულ ოქროს, ფრჩხილებს ჩაუჭერდა ხანჯლის ტარსა, მაგრა ტუჩებ-მოკუმული შეხედავდა მოწიწებით სათაყვანოს, რომელიც მადლობის ნიშნად ულიმოდა.

— თავს შემოვევლები ყოველ შენს სურვილსო! სანთლად დავიწვი, დავდნები, ოღონდ შენ იყავ კმაყოფილიო!—წაილაპარაკებდა.—ბედნიერი ხარ ოქროს სიყვარულით? ღმერთმა და ჩემმა წმინდა გრძნობამ თაყვანებამ გაკურთხოს, ციურო მშვენებავ, მეც ვეცდები შევიყვარო ოქრო, რამდენადაც გამაბედნიერებელი იქმნება ჩემის სალოცავისა! იცოცხლე და სხვა არა მინდა-რა!—დაუმატებდა, თან გულს ხელით დაეჯაჯგურებოდა, თითქო უნდოდა ხმა ჩაეკმინდებინა უთანაზიაროდ დაკვნესებაზე. პალიკოს აგრეთვე ხშირად მიურთმევია თაიგული, სიბრა-

ზე მორევია, როცა ქეთინოს უზრუნველის ღიმილით ჩამოურთმევია, მადლობა გადაუხდია, მერე უზომო სიყვარულით გადუხედნია ოქროსკენ, გაუწოდებია მისთვის ეს ყვავილები, რათა ძვირფას არსებასაც ექნოსა დამათრობელი სურნელება. ოქროსაც შეკრული კოპები გაუხსნია, შეუცვლია ნეტარ-ღიმილად, პალიკო კი თოფ-ნაკრავსავით უკან გამდგარა, შინ დაბრუნებულა, თარის სიმებზე დაუღვრია მოთქმა-გოდება, თვისი უბედობა. პალიკო აღარ იხსენებდა, არ აგონებდა ქეთინოს დაპირებულ მეგობრობასა, თუმცა თვითონ პირნათლად შეესრულებია აღთქმული; ეს მაინც განუსაზღვრელ შვებას ჰგრძნობდა ქალის მახლობლად ყოფნის დროს, თითქო ნაწვალები გული ისვენებდა, იძინებდა, ხან კი, როდესაც ეღარ შეიკავებდა თავის ლოცვას წმინდა უმანკოებისადმი და ჟინებურად ამისი თვალები ნაპერწკლებს გააბნევდნენ, ქეთინო შეკრთებოდა, მოერიდებოდა და უკან დადგებოდა.

— როგორ? განა ალერსით გაწყენინე, ჩემო ღვთაებავ?... იმისთვისაც მერიდები?...—ამ გახსენებაზე პალიკო წინანდელზე მეტად შეავიწროებდა გრძნობას, სიცოცხლეს გაიქრობდა, როგორც თვალებში, ისე მთელ სახეზე თითქმის მიმკვდარებულს შუქს დაიყენებდა, მაშინ დაუწყებდა ქალი ლაპარაკს, აღარ უფრთხოდა, ხან და ხან მასთან აღტაცებულ ბაასს მიეცემოდა. ოხ, რა საცოდავი იყო პალიკო ამ დროს და ამასთანავე ბედნიერიც!...

— ოქროს შეუძლიან ქეთინოს გაბედნიერება?—გაუელვებდა თავში პალიკოს.

— ქეთინოს სჭირია იმისთანა მოთაყვანე, რომელმაც ყოველი წუთი თავის სიცოცხლისა მისთვის ტანჯვა-ბრძოლაში გაატაროს, მაზე ილოცოს. ოქრო?... პალიკოს წუთ' თითქო სიამოვნება დაეტყოდა ამ ეჭვებზე, მაგრამ მალე წარბები მოეხუშებოდა, იტყოდა

— არა, ღმერთმა დაიფაროს! ქეთინო ვერ აიტანს, ვერა!... არ შეუძლიან, რადგან მისი გული შეადგენს მთელს სიცოცხლესა! ქეთინოს არსებას კარგა ვიცნობ, მას უსიყვარულოდ

არ შეუძლიან და თუ ერთხელ ჩაესახება, მისი შეცვლა, გახუნება შეუძლებელია!... ღმერთმა იხსნას!... მე კი უნდა მოვურიგდე ჩემს გრძნობას, დავიმსახურო ქალის მეგობრობა; ვინიცობაა გაუჭირდეს, ჩემი თავი ვანაცვალო, ვიხსნა ყოველ განსაცდელისაგან...—როდესაც პალიკოს წარმოუდგებოდა ქეთინო გაჭირებაში, შიშისგან მთელი ტანი აეჯინჭრებოდა, მოუსვენრობა ჩაავლებდა ბრჭყალებს და კარგა ხანს ველარ მოიცილებდა თავიდანა.

— მე როგორღაც ვერ დამიჯერია, რომ ოქროსა და ქეთინოს ჯვარი დაეწეროთ როდისმე!...—გაიძახოდა შურით აღვსილი მარიკა, რომელიც ჩამოსცილოდა თავის წინანდელ მეგობარს, გულიც მოსდიოდა, რომ თითქო ქეთინო აღარ საკადრისობდა ამას, თითქო კიდევაც უმალავდა, არას უმხელდა ოქროს შესახებ.—ეხლა რაღა საჭირო ვარ!... როცა მფრთხალ ნადირსაფით კუთხეში იკუნჭებოდა, დედა და დები შებღვეროდნენ, უშტიალებდნენ, მაშინ კარგი მარიკა ვიყავი?... ეხლა, რაკი ოქრი აქა ჰყავს, აღერავინ უნდა?... უბედურს, ვერც კი შეუგნია თუ დედა და და რისთვის ეფერებიან, ჰკონიათ ოქრო მთელს თავის საცხოვრებელს ჩვენ ჩაგვიგდებს ხელში და მზითევსაც მოგვცემსო .. ის კი არა იციან, თუ მაკინეს თვალით დასანახავად ეჯავრებიან ყველანი!... ჩემი ძმის ცოდო მას კარგს არას დამართებს, დაიცადოს...—დაუმატებდა მარიკა, პირში კი ისევ განაგრძობდა ქეთინოსთან, რაც შეიძლებოდა, ტკბილად ყოფნასა, მაგრამ ის მაინც ამასთან მდუმარებდა, რადგან სჯეროდა, რომ თვითეული მისი აღტაცება, გამოთქმული ოქროს შესახებ, მარიკას არ ესიამოვნებოდა ძმის გამოისობით... მარიკაც ოქროს ეკეკლუცებოდა, მაინც არა გამოდიოდა-რა... ბოლოს არჩია შეერთო შაქრო და დასასრული მიეცა თავის გულის წყრომისათვის... პალიკომ დის ნიშნობა მარტო ვახშმით გადაიხადა, მოიწვია ყველა იქ მყოფნი, რათა დაელოცნათ, ხალხი თავს აპეზრებდა, სწყუროდა მუდამ საქმეში ყოფილიყო, რომ გულის წყლული გაექარვებინა. ხშირად თვის-თვეობამდის წავიდოდა მამულებში, და მარტოდ მარტო ხალვათად ატარებდა

უსიამოვნო დროსა... პალიკოს ყურადღება მიაქციეს... ოჯახისთვის მეუყაით, შეძლებულ სახარბიელო საქმროდ მოსჩანდა, მაგრამ ეს უკანვე აბრუნებდა მაშუალებს ბოდიშით, რადგან ჯერ ცოლის შემრთველი არ იყო. ამის დედა ნატო, რაკი მორჩა მარიკას ვალსა, ახლა შესდგომოდა ვაჟის დაქორწინებაზე ფიქრს, ამან არ იცოდა, თუ პალიკო როგორი აღტაცებული იყო ქეთინოსთვის, მარიკაც უმალავდა,... პალიკოს ეახოვნა, რომ მასთან არა გაეხსენებია-რა...

— გენაცვალე, შვილო, შეირთე სარაძიანთ მათიკო. კარგი მეოჯახე ქალი მოსჩანს, მზითევიც ბლომად აქვს... ეტყოდა ეს ღიმილით, როდესაც პალიკო მოვიდოდა მინდვრიდან და ფიქრიანად იქვე ახლო წამოწვებოდა მხარ-თეძოზე. ეს ყურადღებას არც კი აქცევდა, მარიკა და შაქრო იმ დროს ამათ თვალწინ როგორ სტკბებოდნენ ერთმანეთის ალერსითა.

— გაჩერდი ერთი, დედა ჩემო-და!—მიუგებდა ეს, თან თითქო ცოლის შერთვის გახსენებაზე რაღაც მწვავ ტკივილს იგრძნობდა გუნებაში.—რადროს ცოლის შერთვაა!... ჯერ ჩემი საქმე აწეწილ-დაწეწილია, უნდა მოვეწყო რიგიანადა.

— ცოლი რომ გეყოლება, უფრო რიგიანად შეუდგები ოჯახის საქმესა, შვილო.—დაუმატებდა ნატო.

— ეგ არავინ იცის. არც შემიძლიან ჯერ ცოლის შერთვა, არა. ნუ მომციებიხარ! ჯერ შენ შვილს დაბრძენება აკლია, დედი, დაუმატებდა გულჩვილი პალიკო, გამოართმევდა მშობელს ხელსა და დაუკოცნიდა. ნატო ჩაჩუმდებოდა. ეს ატყობდა რაღაც ნაღველს, ველარ ეცნო წინანდელი თავისი პალიკო. ახსოვს რავდენჯერ ცხარის ცრემლით უტირებია ამ ცელქსა თავის უმართებულო საქციელით, დღეს კი გადაქცეულიყო პატივის-მცემელ, თითქმის მორჩილ შვილად?... ახსოვს აგრეთვე ნატოს, თუ წინა წლებში პალიკო რა ატაცებული იყო ცოლის შერთვისათვის, საცა ქალს დაინახავდა, კუდი კუდსა სდევდა. დღეს კი ცხოვრებას ჩაფიქრებოდა და, რაკი პირიქით ახლა ქალები ეხვეწებოდნენ, ეს დიდ უარზე იდგა. ნატოს სიამოვნება დაეტყობოდა, როდესაც მოაგონდებოდა თუ პალი-

კომ ამ მოკლე ხანში ბევრჯელ როგორ გააბრუნა თავისი წინანდელი ამხანაგები, რომელნიც მოსულიყვნენ ამასთან სალოთავად, საქეიფოდა.

— არა, საქმე მაქვს. სადა მცალიან აბა ქეიფისათვის. გადაწყვეტით ეუბნებოდა ესა.

— თუ ძმახარ!

— თუ ჩვენი დაკარგვა არ გინდა. ვიქეიფოთ ჩვენებურადა, მხიანად, სანახსოვროდ!

— ბიჭო, რამ გადაგრია? განა აღარა გვკადრულობ?

— ოღონდაც, გადიდკაცდა და აბა ჩვენ რაღად ვუნდივართ!

— რატომ მაშინ არ ამბობდი არა მცალიანო, როცა №-ის ქალის გასატაცებლად ვემზადებოდით? გახსოვს, როგორ გაიძახოდი: აბა ბიჭებოთ, ვაჟკაცობა და ძალა სულ ამ საქმეში გამოვიჩინოთ, თავი ვისახელოთო.

ამ გახსენებაზე პალიკო სირცხვილისაგან წითლდებოდა და თავს ძირს ღუნავდა.

— თუნდა მაშინა, კაცო, როცა პეპუას დუქანში ჩამოვხდით და გათენებამდის ღვინოში ვჭყუმპალაობდით, მაშინ რატომ არ გაგონდებოდნენ ე შენი ეშმაკი არისტოკრატები, ჰა?... არ ისვენებდნენ შეზარხოშებული ლოთები თან ცხენებზე ძლივს თავს იმაგრებდნენ, ტორტმანობდნენ.

— არ შემიძლიან! ამაყად და მკვეთრად იმეორებდა პალიკო, ამ წუთებში სძაგდა ესენიც და თავის-თავიცა, რომ ოდესმე მათი ამხანაგი ყოფილიყო...

— მაშ გინდა დაგვკარგო?

— თქვენი ნებაა!. კი არ შემიძლიან-და!..

— ფუ! შენს ამხანაგობასა აჰა!... შესძახებდნენ გულ-მოსულნი და გაბრუნდებოდნენ უკანა. პალიკო წარბ-შეკრული შემობრუნდებოდა ოთახში, ხმა-ამოუღებლად ჩაუჯდებოდა ან მამულების ანგარიშს, ან არა-და წიგნებსა. პატარა ხანს უკან დაუწყებდა მარიკას აღელვებით ლაპარაკს რუსულ ენაზე ისე, რომ ნატოს არა ესმოდა-რა... შემდეგ კი მარიკა ეტყოდა,

რომ ძალიან ნანობს წინანდელ იმდენ ხანს დაკარგულ დროზე, რომელიც სისულელეში გაატარეო... ნატო გულში მადლობასა გრძნობდა შაქროსა და ოქროს მიმართ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეს ზეგავლენა მათ მოეხდინათ პალიკოზე, თითქმის სრულიად ახლად-ახალ ზნე-ჩვეულებაზე დაეყენებინათ. თუმცა შაქროსაც შეეტყო მარიკასაგან პალიკოს გულის ვითარება, მაინც არ იმჩნევდა, არ დასდევდა, რადგან მარტო თავის-თავი გახდომოდა საფიქრელი და საზრუნველი. ჩქარობდა, რაც შეიძლებოდა მალე, ჯვარი დაეწერა, გასცლოდა ამ ოცნებიან ხალხით დასახლებულ სოფელს და შესდგომოდა სასურველ ცხოვრებას. თავის უფროს თავადსაც ელოდა რავდენისამე თვის შემდეგ. გარდა ამისა რუსეთში ნათხოვნი ჰქონდა ადგილი, მაზედ დაფაცურება კიდევ სჭირდებოდა და აქ დიდ ხანს ჯდომა კი ხელს მოუცარავდა. მარიკას ათასი თუმანი ჰქონდა, ახლა თვითონაც მოეპოებოდა ბანკში კიდევ ათასამდე. წლიური ჯამაგირიც ზედ ნადები!... შაქრო კარგა წინ წასდგამდა ცხოვრებაში ნაბიჯსა!... მარტო ის ეფიქრებოდა, თუ როგორ მოეხერხებინა, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ხარჯი ეჩვენებინა უფროსისათვის ჩაბარებულ ოჯახსა და მამულზე და პირნათლად გამოსულიყო? ამასაც თავის დროზე შეიძლებდა შაქრო და კმაყოფილი იყო აწმყოთი... პალიკოსა და იმის შორისაც ისეთი განწყობილება არა სჩანდა, როგორც უნდოდა. პალიკოს არ იზიდავდა, უკანასკნელი ეფერებოდა სიძეს მარტო დის გამოისობითა.—ამისგან ჭეშმარიტება არა სჩანს... პატიოსნებასაც თითქო რაღაც ბინდ-ბუნდი ეხვევა... უმატებდა გულში, როდესაც შაქრო დაწვრილებით მოუყვებოდა საქმეების ვითარებაზე. ეს ხედავდა, რომ ყველა, ვინც ამ სოფელში სცხოვრობდა, ბედნიერი და კმაყოფილი იყო, გარდა თვითონ პალიკოსი, რომელიც ამ ჟამად ამოსდგომოდა არჩილ ბაქიაშვილს გვერდზედა და ფიქრიანად მისდევდა, თან ყურს უგდებდა სალამურის ხმას, რომელსაც უკრავდა მათთან მომავალი შაქრო.

## XXXII

ამასობაში ქეთინო და ოქრო კარგა შორს წასულიყვნენ, მათ დავიწყებოდათ, რომ ისინი ფარნით გზას უნათებდნენ ჩამორჩენილთა.

— ხომ არა გცივა, მშვენებავ?—ჰკითხა ალერსით ოქრომ ქალს და მისი ხელი გულზე მიიკრა.

— არა,—ძლივას დაილაპარაკა გრძნობით გაბრუებულმა ქეთინომ, შეხედა ოქროს, რომლის სახე შუქ-მოფენილი მოჩანდა ფარნის სინათლეზე.

— რა კარგი ღამეა!—დაიჩურჩულა ისევ ოქრომ.

— ოღონდაც...—ყმაწვილი კაცი დაიხარა და ქალს ხელზე აკოცა.

— ქეთინო, ჩემო ბედნიერებავ?—უეცრად დაუმატა ამან, ქალმა არა უთხრა-რა, მარტო ხელი მოუჭირა ხელზე. უნდოდა ამასაც ეთქვა პასუხი, მაგრამ ვერ მოახერხა, თითქო ენა დაებაო, რავდენისამე წუთის შემდეგ კი დაენძრნენ ტუჩები.

— ოქრო, შენ გენაცვალოს ქეთინო!—ამ წარმოთქმაზე ოქრომ პასუხად გადაუკოცნა სახე. ესენი კიდევაც მიახლოვდნენ სახლსა, უნდა მიეხვიათ მარჯვნივ, მაგრამ ამ დროს მოესმათ უეცარი ხმა.

— შესდექითო!—ოქრო ჯერ ვერ გამორკვეულიყო, ვერ მოესაზრა, თუ ვინ იქნებოდა, რომ ფარანიც ჩაქრა. მის წინ იდგა ბრგე, მაღალი ტანის დედაკაცი, შავებით მოსილი. ხშირი წარბები მოხუშოდნენ, ცეცხლის მაბნევი თვალები ღამეზე მეტად ჩაშავებოდნენ, გამობღვეროდნენ ორივეს. გადახედავდა თუ არა ქეთინოს, მეტყველობა ეცვლებოდა, იღებდა სინაზეს, რავდენადაც კი შეეძლო.

— შენა, ციურო ანგელოზო?—ჰკითხა მან. ქეთინო შეშინებული იდგა, ხმას არ იღებდა.

— რა ღირსია ეს, რომ გვერდზე მოგიყენებია?! ჩემთან წამო, მე მყავს შენთვის განმზადებული ვინმე. მე მაქვს სასახლე, სადაც იდედოფლებ. წამო!...

— რაო? როგორ ბედავ მაგეებს ვილაცა ხარ? დაიკარგე — შეუტია ოქრომ. დედაკაცმა გადიხარხარა.

— შენისთანა ულონო ჰია ვერ გამაბრუნებს. სირცხვილი იმ ვაჟკაცს, რომელსაც დედაკაცმა ხელში სანთელი გაუქროს. თავი დაიცევი, ლაჩარო!... — დაუმატა დედაკაცმა და ოქროს მხარზე მსწრაფლ მოუსვა წუმწუმა, აანთო, ის იდგა ანთებულ წუმწუმით ხელში და ალერსით უყურებდა ქეთინოს.

— წავიდეთ რაღა! — განუმეორა ქან, ხელი გაუწოდა, უეცრად ჩადგა ქალსა და ოქროს შუა. ოქრო გაფითრდა. ხელში არა ჰქონდა-რა, რომ დაერტყმია იმ უცნაურ არსებისათვის. არ იცოდა რა ექნა, უნდოდა ხელი ეკრა, ამ დროს ჯიბეში მაგრა მოხვდა რაღაც. დამბაჩა ჩარჩენოდა, საჩქაროდ ამოიღო, დედაკაცი დამბაჩის დანახვაზე შეკრთა, უკან დაიწია.

— როგორც გინდოდეს, მომიშორე, მაინც ქეთინოს არ დაგანებებ... ვერ წამართმევ, ეგ ჩემია!... — იმეორებდა დედაკაცი, აჩქარებული მიდიოდა, შემდეგ თანდათან მიიმალა ღამის წყვდიადშია. ოქრო და ქეთინო სიტყვის თქმას ველარ ახერხებდნენ. ოქრო ჩაუფიქრდა უეცარ მოულოდნელ შემთხვევას.

— ვინ იყო?! ნუ თუ განგება?... ქეთინოს კი რაედენჯერმე მოეკრა თვალი ამ სოფელში მისთვის. როცა კი შეხვედრია, ღიმილით დასტერებია. ქეთინოს ყოველთვის უსიამოვნება, შიში, უგრძვნია მის დანახვაზე. მაგრამ რას მოიფიქრებდა, თუ ამ ჟამად, ამ ბედნიერ წამებში ის მოვიდოდა და ნეტარ წუთებს სევდად შესცვლიდა!... ქეთინომ უანბო ოქროს, რომ ეს დედაკაცი წვეული იყო ამ სოფლის რომელიმე მცხოვრებისა. ოქროს ეჭვი გაეღვიძა.

— იქნება მოგვიჩინა ვინმემ, თუნდ პალიკომ და უნდათ შეიტყონ, ჩვენ ლაპარაკს რა მიმართულება მიუღიაო? — ოხ, ვერა, არამც თუ პალიკო, არამედ მთელი ქვეყანაც ვერ შეიძლებს ქეთინოს წართმევასა, ვიდრე ოქროს სული ედგმის! ვერ წაართმევენ დილის ცისკარს, რომელიც დროზე ამოუბრწყინდა.

ამასობაში სხვებიც მოვიდნენ, გაიგეს უცნაური დედაკაცის შეხვედრა, მაგრამ მათზე არავითარი შთაბეჭდილება არ

მოუხდენია. რა გასაკვირველი იყო გზაზე დედაკაცის ნახვა! მაშო და ქეთინო შევიდნენ სახლში, დანარჩენები უკან გამობრუნდნენ. ქეთინო ხმა-ამოუღებლად ჩაწვა ლოგინში, კი არ დასძინებია. დღევანდელი საღამო მეტად საგრძნობი დაღამებულიყო, აზრი, გრძნობა გაეტაცა, დაეტყვევა. ამასობაში მაშოს ჩასძინებოდა. ქეთინოს მაინც არ შორდებოდა თავიდან დედაკაცის წარმონათქვამი.

— მერე იმან რა იცის მომავალისა?! არც კი გვიცნობს ვინა ვართ... გიჟია და, რაც პირზე მოადგება, ალალ-ბედზე წამოიძახებს. რა საყურადღებოა უგუნურის რატუნი? ის იყო ქეთინო მშვიდდებოდა, მაგრამ ამის თვალებს კვალად წარმოუდგა ისევ ის დედაკაცი... ქალმა საჩქაროდ საბანი წაიფარა, რათა ლანდი გამქრალიყო, დედაკაცი კი მიუახლოვდა, ჩამოჯდა კრაოტზე. ეტყობოდა მაშოს ღია დარჩომოდა კარები, რომ ასე თავისუფლად შემოსულიყო ეს უსიამოვნო სტუმარი. ქეთინომ გადიხადა საბანი, ნაცნობი საშიშარი თვალები დასტერებით მოსჩერებოდნენ. ქეთინომ დალაპარაკება ველარ მოახერხა, შემკრთალი ელოდა შედეგს:

— ანგელოზო!—ჩასჩურჩულა დედაკაცმა—ჩემი უნდა გახდე... გაგიფრთხილდები, როგორც თვალის სინათლეს... ციო ნიავს არ მოგაკარებ...

— ვინა ხარ?—ძლივას მოახერხა ქალმა ხმის ამოღება.

— განა არ მიცნობ, მშვენიერო? მე კი დიდი ხანია თვალს ვადევნებ.

— რისთვის?

— მე მყავს შენთვის რჩეული საქმრო, მდიდარი, სწავლული, ბრძენი დახატული... წაგიყვან მასთან, მეც თქვენის ბედნიერებით დავტკბები.

— გმადლობ მაგ კეთილ სურვილისათვის. მითხარი ვინა ხარ?...

— ჯერ სიტყვა მომე, რომ წამომყვები?—დედაკაცი დაიხარა. უნდოდა ქალისთვის ეკოცნა, მაგრამ ქეთინომ ხელი ჰკრა.

— დაიკარგე!—შესძახა ხმა-მაღლა. ამ ძახილზე მაშოს გამოეღვიძა. რა დაინახა უცხო დედაკაცი ამ დროს თავიანთ ოთახში, გაუოცდა, შეეშინდა, წუთს სახლში მყოფები ფეხზე დააყენა. ქიმუნჯის კვრით გააგდეს უდროოდ მოსული. მეორე დღეს თეკლემ გამოუცხადა დედაკაცის მასპინძლებს, რათა გაესტუმრებინათ სადმე, ან დაეშლეინებინით კარ-და-კარ სიარული. სოფელს კარგა ეცნო ამ არსების ჩვეულება, ხასიათი, რომ საცა ლამაზ ქალს შეხვდებოდა, უკან აედევნებოდა, ეპატიჟებოდა სადღაც, აღუთქვამდა უზომო ბედნიერებასა. დიაღ, ის შეშლილი იყო, ყველას ებრალებოდა, მაგრამ შეეშინდათ, ეს ჩვეულება თან და თან არ გამწვავებულიყო მასში და გაგზავნეს, თავიდან მოიშორეს. ოქროზედაც აღარ მოქმედობდა უსიამოვნოდ, რაკი შეიტყო, რომ სულით ავადმყოფი იყო.

— ჩემი მშვენება დღეს მოვა?... ჩემი სიცოცხლე?—იმეორებდა გულში ოქრო და მოლოდინისაგან აღელვებული ოთახში დადიოდა. აგერა გაიგონა აჩქარებული ფეხის ხმა, ოთახში შემოვიდა თვალ-ცრემლიანი მაკინე, ხელში გაზეთი და ტელეგრამა ეჭირა, ხმა-ამოუღებლად დაეშვა სკამზე, თვალებზე ხელსახოც მიფარებული.

— რა ამბავია?—შესძახა ოქრომ. საჩქაროდ გამოსტაცა ხელიდან ტელეგრამა, გახსნა, გადიკითხა.

„გუშინ განისვენა საუკუნოდ ჩვენმა ძვირფასმა ივანე მართალიშვილმა“. სწერდა განსვენებულის ცოლის ძმა.

— ვაი შენ ჩემო თავო!... ვაი მეგობარო!...—შესძახა ოქრომ და ესეც ქვითინით დაეშვა დივანზე, მიეცა გამოუთქმელ მწუხარებასა. მაკინე არ მოელოდა ტელეგრამის ასეთს შინაარსს, საჩქაროდ თავი მიანება საკუთარ ნაღველს და წუწუნს, წამოვარდა ზეზე, მივიდა ოქროსთან, დაუწყო დამშვიდება, თანაც შესჩიოდა თავის ახალ მომავალ უბედობაზე. ოქრომ წაიკითხა გაზეთიც, რომელიც აუწყებდა სახელსა და გვარსა იმ პირთა, რომელთაც ეყიდებოდათ საჯაროდ მამულები, მათ შორის აღნიშნული იყო აგრეთვე იასონის ხუთასი დესეტინაც №—ში. ოც და ხუთ მარიამობის თვეს ჰქონდა ვადა, იმას იქით

კი ხელიდან წავიდოდა. ოქროსთვის მძიმე აუტანელი შემთხვევები იყვნენ ორივენი, მაგრამ ქეთინოს სიყვარულს ისე აევსო, გაელიცლიცებინა ნეტარებით ცხოვრების ფიალა, რომ თითქმის ძვირფასი მეგობრის სიკვდილიც ისე ძლიერ აღარ მოქმედობდა, რომ თავ-დავიწყებით მისცემოდა მწუხარება-ნაღველს. ოღონდაც... რავდენიმე. წამი და ქეთინოს თვალები გააქარწყლებდნენ ყოველსავე ცუდსა, შემაწუხებელს. ქეთინო, მარტო ქეთინო იყო ოქროს საქაო, ჯოჯოხეთი, თუ სამოთხე. მარტო მაკინესადმი სიყვარულს შეეძლო მასთან შებრძოლება.

— მაკო, ჯერ ოც და ხუთი შორს არის... მოვასწრობთ შველას... დღეს ხომ პირველია?.-.—უთხრა დალონებულმა ოქრომ. მაკინე მოეხვია და დაჰკოცნა ძმა. მაკინე ამ ბოლოს დროს ისევ გაფითრდა, ეტყობოდა აწუხებდა რაღაც და ვეღარ გამოეთქვა. სწორედ ამ დროს შემოვიდა განო, შეატყობინა, უგანათლებულესი თავადი №-ი ცოლშვილით გვესტუმრაო...

— ოხ, რა დროს მოსვლა ჰქონდათ!...—იწყინა ოქრომ, უსიამოვნოდ თავი გაღიქნია... მაკინეს კი იამა. დიაღ, ძლივს ელირსა თვით სოფელშიაც კი დიდ კაცთან შეხვედრა... წუთს მორთული გაეგება სტუმრებს. უგანათლებულესი თავ-მდაბალი აღმოჩნდა, კნეინა კი იყურებოდა მედიდურად, მაგრამ რა რომ დაინახა როსტომის სახლი თავის შესაფერად მოწყობილი, აღარ იუცხოვა, თავს სითამამე მისცა. რავდენისამე ხნის შემდეგ მაკინე და ეს შინაურულად ლაპარაკობდნენ. განო ჩვეულებრივ დიასახლისობას უნდებოდა. როსტომ, იასონ და სტუმრები ჩაუსხდნენ კვალად სასურველ ქაღალდს. ოქრო მოწყენილი იყო, ცდილობდა მათზე დღეს მაინც განზე მდგარიყო... როსტომმა მოიწვია მეზობლები და გაიმართა ჩვეულებრივი ნადიმი.

— როგორ ქეიფზე ხარ მას აქეთ, რაც იმ დედაკაცს ოინები დაუწევია შენსა და ოქროსთვის?—ჰკითხა ქეთინოს განომ, რომელიც იდგა მეორე ოთახში და მსახურთ განკარგულებას აძლევდა, რათა რიგზე ყოფილიყო ყოველივე. ქეთინოც გამოსულიყო ამასთან, რომ თავისუფლად შესძლებოდა განოსთან ლაპარაკი.

— მერე შენ ვინ გითხრა?

— ოქროს ჩვენთან დამალული არა აქვს-რა.

— ჭკუა-შერყეულ დედაკაცს ყურს ვინ უგდებს?... აღარც კი მახსოვს,—უპასუხა ქეთინომ, უნდოდა გამოეკითხა ოქროზე, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— თქვენს წასვლის შემდეგ კიდევ დიდ ხანს ვილაპარაკეთ, როცა დაბრუნდნენ ყმაწვილები.—დაიწყო განომ.

— მართლა?... რაზე?...

— განა დარჩა საგანი, რომ არ გაგვეჩხრიკა!... მაგრამ ამ კაცების აზრებმა ქალების შესახებ ცუდად იმოქმედეს ჩემზე. რა უბედურები ვყოფილვართ, ქეთინო!—სთქვა განომ და ამოიოხრა...

— რაიო?...

— წარმოიდგინე, რა ახირებული აზრია-და!... რომ თუ მათ მოინდომეს, რაც უნდა ჭკვიანი და თავ-დაცული ქალი იყვეს, მაინც შეუძლიანთ გააბრიყვონ და შეაცდინონ.

— სრულიადაც არა!—წარბ-შეკვრით შესძახა ქეთინომ.

— ოქრო რაღას ამბობდა?

— ის კიდევ უარესი იყო სხვებზედა.—ამბობდა, ვითომ არ ახსოვს გასცნობოდეს იმისთანა ქალს, რომელიც არ გაეტაცნოს ჭკუა-სილამაზეს და თუ ჩაუვლია შეუმცნევლად, ისევ თავის მიზეზით, რადგან ნება არ მიუცია თავის თავისთვის, რომ იმ ქალთან ეთამაშნა.

— ოქრომ ეგა სთქვა?!—იკითხა გაფითრებულმა ქეთინომ—როგორ დავიჯერო?

— აბა გაფრთხილდი, ქეთინო, ნამეტანი თავ-ბრჭყვიალი არ დაგვახვიონ.

— ოქრო იმდენად წმინდაა, პატიოსანი, რომ ეგ სისაძაგლე მისთვის უცხოა, მიუკარებელი!..

— შენ ანგრე სთქვი, ისინი კი ყველა ამ აზრისანი არიან!.. ოქროს ისიც ეთქვა, რასაკვირველია, მარტო მაკინესთვის, რომელმაც მე გადმომცა, რომ რასაც დღეს მოინდომებს შენს გაბრიყვებას, ყურადღებას არ მიგაქცეინებს მაზე თუ ჯვარის წერას არ შეუუღლებიხართ.

— განო, ღვთის გულისათვის გაჩუმდი! ოხ, ნუ თუ მაშ ოქრო მაგისთანაა? შეშინებული ქეთინო უყურებდა განოს, რომელიც არხეინად განაგრძობდა.

— როგორ გეტყობა, რომ ჯერ ყმაწვილი ხარ, ცხოვრება და ხალხი არ ჭაგიცვნია. არ უნდა მეთქვა, მაგრამ, როგორც შენი კეთილის მყოფი, გაფრთხილებ.

— გმადლობ... ეგ ჩემთვის აუტანელი ელდაა. ოქრო წმინდანად მიმაჩნდა, ვენდობოდი, შენ კი როგორ გამაცანი? ნუ თუ, განო, წმინდა სალოცავი ბოლოს ბოროტების მოთავედ უნდა აღმოჩნდეს?...

— რადა, ქალო? ოქრო ჩინებულია, უმანკო, მაგრამ, როგორც კაცი, მაგისთანა აზრისაა. ოქროს ძალიან უყვარხარ... დაე მაგისთანა აზრი ჰქონდეს. შენ რა გენაღვლება მერე?...

— არა, განო, სადაც ჭეშმარიტი სიყვარულია, იქ მაგისთანა სჯას საქმე არა აქვს... სათაყვანო არავისთან დაიმცირება, არც მაზე იტრაბახებს!

— ეგ ქალებს შეუძლიანთ, კაცები კი სხვანაირნი არიან. ბუნების კანონს ადამიანი ვერ წაუვა! და ოქრო რომ სხვებს შევუდაროთ, მაინც წმინდანად აღმოჩნდება. ის არ მოჰყვება შენზე საჯაროდ ლაპარაკს, ტრაბახსა, მაგრამ თავის ერთგულ მაკინეს კი არას დაუმალავს. მოიქეცი, როგორც დღემდის იყავი, მარტო გახსოვდეს ჩემი გაფრთხილება. არამც თუ ოქროსთან, არამედ თვით საკუთარ ქმართანაც კი... ასეთია ჩვენი წუთი სოფელი, ჩემო დაო, რას იზამ?..

— მეგობრულად მოვექცე იმას, რომელზედაც რწმუნება დამკარგვია?... ვიცოდე, რომ ის ყოველ ჩემს სიტყვა-პასუხს სხვაფრივ მიიღებს, ბოლოს სასაცილოდაც გამაკეთებს?

— სრულებითაც არა. ოქრო არას დროს არ იკადრებს შენზე დაცინვას, რადგან მას ძალიან უყვარხარ... თუმცა კი დარწმუნებულია, რომ შეიძლებს, თუ მოინდომა... მაგრამ პატიოსნება და სიყვარული ნებას არ მისცემს.

— როგორ აგრე ჰრელად მელაპარაკები? ვერ გამიგია, რა გინდა სთქვა?

— მართლა? მე კი უბრალო აზრად მიმაჩნდა. მეგონა მაშინვე მიმიხვდებოდი. გეუბნები ოქრო იმ აზრებისაა, რომ თუ მოინდომებს ყველა ქალის გაბრიყვებას, შეიძლებს-მეთქი. აი გატყობინებ, ახლა შენ იცი. ქეთინოს თანა სჯეროდა განოს ლაპარაკი, თან ეჭვებით ევსებოდა გონება.

— არა, ეს კოცნის ნებას აღარ მისცემს ოქროს,—გაიფიქრა გულში. განოს კი უხაროდა, რადგან ისე ჩინებულად აასრულა მაკინესაგან დავალებული. ქეთინო დააჯერა და თუ ოდესმე გაიფანტავდა ამ ეჭვებს, მაინც ოქროსთან წინანდებურის, უშიშარ დამშვიდებულის გულით არ იქმნებოდა. განოს განზრახვა ახდა. ქეთინო მთელი დღე მოწყენით იყურებოდა. ოქროს ეგონა, ჩემი დადარდიანებაა მიზეზიო, ამის გამო ისევ თავს ევლებოდა, ეუბნებოდა საალერსო სიტყვებს, რომ როგორმე გამოეყვანა გარინდებულ მდგომარეობიდან ქალი.

— იქნება განო მატყუებდეს?! მოდი პირდაპირ ვკითხავ ოქროსა, მაგრამ როგორ?—უეცრად გონებამ ხელი ჰკრა ქეთინოს.—მერე მაშინ ხომ სრულიად დაამტკიცა ის აზრი, რომ ქალები დამცირების ღირსნი არიან, და ამისთვისაც მცირდებიან? არა, ქეთინოსგან ამ საგანზე კითხვა ძალიან მეტია. ვერც გაუბედავს, რადგან არ შეჰფერობს ქეთინოს ამგვარ საგნებზე ლაპარაკი ყმაწვილკაცთანა. ოქრო მაინც უმანკოა, ძვირფასია, ქეთინო თავის ქცევით დაარწმუნებს, რომ ეს აზრები ხშირად გამტყუნდებიან ხოლმე, სრულიად სხვა რიგად გააცნობს თავის თავსა და ისე აფიქრებინებს... ამ წარმოდგენით ქეთინოს კვალად ღიმილი აღუჩნდა სახეზე. ოქროს კი უხაროდა, რომ შეიძლო მისი გამხიარულება. ერთხელ ესენი ისხდნენ დაკუთვნილ ადგილზე, ჩვეულებრივ ხატავდნენ. ქეთინოს ისევ მოწყენა მორეოდა. როგორც კი მოუალერსებდა ოქრ, მოაგონდებოდა გაიანეს ნათქვამი და სიამოვნებასთან ერთად შიშს, უნდობლობას მოეცვა ამისი არსება.

— ჯანაბას ჩემი თავი! არა!... ოქრო უმანკოა! ყველაფერი სიცრუეა, გესლიანობაა და სიშური! მაგრამ რას ნიშნავს რომ ოქრო არას დროს არ ეუბნება მომავალზე არაფერს? მარტო ჩასჩურჩულებს.

— ქეთინო, ჩემო სიცოცხლევ! ჩემო სამოთხევ! ჩვენ ერთად უნდა ვიყვნეთ!—როგორა? სადა? ეს ვერ გაერკვია. არა სცილდებოდნენ ქეთინოს ეს ფიქრები.

— ქეთინო!—დაილაპარაკა კარგა სიჩუმის შემდეგ ოქრომ.

— რა გინდა?

— სანამ აქა ვარ, ამ სურათის დამთავრებას ვერ მოვასწრობ.

ქალს გაეგო, რომ ოქრო აპირობდა წასვლას, თუმცა კი დღევანდლამდის მას არ გაეხსენებია.

— მერე ხომ მოხვალ?

— რასაკვირველია.

— ჰო და შემდეგში დაათავე. იქ დიდ ხანს დარჩები?

— საქმემ იცის, შენი ჭირიმე, შეიძლება ორი სამი კვირე მომიგვიანდეს. რაზედ მოიწყინე?

— განა მოვიწყინე?—ქალმა ნაძალადევად გაიღიმა.

— როგორ არა. ერთი კვირეა, რაც შენი მხიარული სიცილი აღარ გამიგონია. რა ამბავია? შენც ხომ არა გლოვობ ჩემს მეგობარს! ოხ, ქეთინო, შენმა სიყვარულმა, მარტო შენმა დანახვამ გამიქარვა, შემიმსუბუქა მისი დაკარგვა... რომ იცოდე, რა ჩინებული, რა პატიოსანი კაცი იყო! ახლა კი მისმა სიკვდილმა ისე არ შემაძრწუნა, როგორც უნდოდა, ეს კი სულ შენი ბრალია, ჩემო ცელქო! ამ სიტყვებით მოხვია ხელები ოქრომ და დაჰკოცნა. ქეთინომ დაიკვნესა, თითქო შეკრთა ოქროს ალერსზე.

— რა იყო, ბედნიერებავ? ვინ ბედავს შენს შეწუხებას?.. იქნება მე?.. შენი მოთაყვანე, გამღმერთებელი! არ ვიცოდი კი აქამდის!.. დამსაჯე, საკანონო დამდე, ჩემო ზეციერო ანგელოზო?—ქეთინოს შიში მოშორდა, მიენდო გულზე ოქროს.

— ოქრო,—დაიჩურჩულა მან.

— რა იყო, შენი ჭირიმე?

— კიდევა სთქვი!

— რა გითხრა ამაზე მეტი, რომ თაყვანსა გცემ ქვეყნის გამჩენზე მეტად, შენზე ვლოცულობ, შენი მონა ვარ, ფერხთა მტვერი, სიცოცხლევ!

— ოქრო!

— რაო, თვალის ჩინო?

— შენთან მინდა!

— მეც შენთან მინდა, მაგრამ ცოტა კიდევ მოვიცადოთ.— უპასუხა ოქრომ თან ტუჩებით დააკვდა მის თვალებს, ტუჩებს, მთელ სახეს.

— მეშინიან!..

— რისა?

— დედაკაცის სიტყვები რომ ახდნენ და დავშორდეთ?..

— ყოვლად შეუძლებელია!.. ჩვენ ერთმანეთისთვისა ვართ გაჩენილები...

— მერე შენებს უნდათ, რომ ჩემი გახდე?...

— რასაკვირველია, სიხარულო, იმათ უნდათ ჩემთვის ბედნიერება და მაშ როგორ არ მოინდომებენ?—ქეთინოს უნდოდა ეამბო განოს ნალაპარაკევი, ვერ გაბედა, შეშინდა, ოქრომ სხვაფრივ არ მიიღოს, არ ეგონოს, რომ მე უკვე შევდგომივარ საქმროს ნათესავების მონდურებასა და მით გული არ შევაცვლევინოო. კარგები არიან თუ ცუდები, ქეთინო მოვალეა უყვარდეს ისინი, პატივსა სცემდეს, თუნდაც მოინდომონ წინააღმდეგობა, ვერას გახდებიან, რადგან ქეთინო დარწმუნდა ოქროს მტკიცე გრძნობაზე.

— მინდოდა ჩემი სიყვარული საქვეყნოდ გამომეცხადებინა, მაგრამ ჯერ კიდევ ვარჩიე საიდუმლოდ შევინახოთ, ვიდრე საქმეებს მოვრჩებოდე... მერე უფრო დამშვიდებული გამოვიქცევი შენთან და გავბედნიერდებით წმინდა ეკკლესიის კურთხევითა.—განაგრძობდა ოქრო.

— როგორ?! ოქრო აღუთქვავდა ჯვარის წერას, მასთან შეუღლებას, ის ოქრო, რომელიც ამ რავდენისამე დღის წინად უფრთხოდა საუკუნოდ შებოჭვას?! ცხადად სჩანდა, თუ გრძნობას რა თვალ-გადაუწვდენელი სიფართოვე მისცემოდა, რომ აღარ ერიდებოდა თვით ამ საშიშ ღონისძიებასაც, ოღონდ სათაყვანო სამუდამოდ გულზე მიეკრა...

— კი არ იჯავრო ჩემი წასვლა?—ალერსით ჩალაპარაკობდა ოქრო ქალს, რომელიც მადლობით შეჰყურებდა.

— თუ მალე მოხვალ? მაგრამ არა, ნუ აჩქარდები, საქმე არ გაგიფუჭდეს,—დაუმატა მზრუნველობით, კარგა სიჩუმის შემდეგ ქეთინომ.—ორიოდ კვირეს არა მიშავს-რა, შემიძლიან როგორმე თავი გავირთო, როგორც იქნება გავატარო გულის დამლევი დღეები და დავიახლოვო დიდებული დღესასწაული. ოქროც უსმენდა ამ სიტყვებს, ხანდისხან აწყვეტინებდა კოცნითა.

— წერილს ხომ მომწერ?—ჰკითხა ქალმა.

— ჩავალ თუ არა... შენც ხომ გამომიგზავნი პასუხს, სიცოცხლევ?—ქალმა თავი დაუქნია.

— ერთი საფიქრებელი კი გამყვება აქედან და მოსვენებას არ მამცემს.

— რა, შენი ჭირიმე?

— რაღა ვქნა ჩემს იქ ყოფნაში რომ პალიკო დაგიახლოვდეს, შენი გულიც მომტაცოს?...

ქეთინომ გაიღიმა და წინანდელზე მეტად მიეკრა ოქროს გულზედა.

— პალიკო შენზე წინად მენახა, მაგრამ ამ გულმა მაინც შენ მოგიცადა... მარტო შენ გიცნო!—მიუგო ამავ განაზებით.

— იმას რომ უყვარხარ?

— რა ვუყოთ მერე... იმას ვუყვარვარ, მე კი—არა, მორჩა და გათავდა!...

— ქეთინო, ანგელოზო, ამისრულე სათხოვარი?

— თუ ძალიან ძნელი არ იქნება?...

— სანამ მოვიდოდე, პალიკოზე თავი შორს დაიჭირე...

— თვალითაც არ დავენახვები, ოღონდ შენ კმაყოფილი მყავდე...

— მაშ აღარ წახვალ მარიკასთან?...

— არა...

— უჰ, შენ გენაცვალე, ჩემო ნეტარებავ!... ვინ არის ჩვენზე ბედნიერი?—ამ სიტყვებით ოქრომ კიდევ დაჰკოცნა ქეთინო.

— არავინა.

— სოფელში დავდგეთ, ღვთაებავ, მყუდრო ცხოვრებას შევეკედლოთ, რად გვინდა ქალაქი, როცა უმანკო ბუნება უფ-

რო შესაფერი იქნება ჩვენი სიტკბოებისა! ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ, ყოველი მისწრაფება, ფიქრი, აზრი ურთიერთს გავუწონოთ, ჩავურთოთ, ვიმოქმედოთ სიყვარულით აღვსილ ოჯახისთვის, რომლის დედა შენ იქნები, სიცოცხლევ; ვზარდოთ თავდადებული, მხნე, პატიოსანი ქართველები. აგრეთვე ვიზრუნოთ ჩვენ საწყალ, გაჭირვებულ ხალხისთვის. თანხმა ხარ?

— შენი სურვილი ჩემთვის წმინდა კანონია, რომელსაც ფარვანასავით თავს შემოევლება ქეთინო.

— მერე მხატვრობა? მაგას ხომ წრთვნა და ვარჯიშობა უნდა? სოფელში კი ძნელად მოხერხდება, მაგრამ შეიძლება მასწავლებელი მოვიწვიოთ.

— არა, ჩვენს ცხოვრებაში უცხოს ჩამოზიარება არ ივარგებს... არა, ოქროჯან! მხატვრობასაც შენ განაცვალებ. რა გზასაც მე და შენ დავადგებით, მხატვრობაზე ნაკლები არ იქნება; დაე ერთმა მეორე იმსხვერპლოს, უამისოდ ხომ შეუძლებელია ცხოვრება! არამც თუ მხატვრობას, სიცოცხლესაც შემოგწირავ, ჩემო წმინდათა წმინდავ! ბევრი ამისთანა მხურვალე სიტყვები წარმოითქვნენ, ფიცი დაიდო მიჯნურთა შორის. ოქრომ კვალად სთხოვა, ყველა ეს ჯერჯერობით საიდუმლოდ დარჩენილიყო, ქეთინოც, რასაკვირველია, აასრულებდა. აი მოახლოვდა ოქროს წასვლის დღეც, თუმცა ეძნელებოდა ქეთინოს მოშორება, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ რამდენისამე დღის შემდეგ ისევ დაბრუნდებოდა, გულს იმშვიდებდა. მაკინეს კი უხაროდა, რომ ჩინებული შემთხვევა ეძლეოდა ოქროს ამ სოფლიდან გასატაცებლად.

— ოხ, გასცილდება ამ წყეულ ადგილს თუ არა, ყოველ ღონისძიებას იხმარს ოქროს დაუძვიროს დ—ის დანახვა! თუმცა მძიმე ასასრულებელი იყო, რადგანაც ოქრო დღე თუ ღამ სულ ქეთინოზე ოცნებობდა. მას არა ერთხელ აღტაცებით წარმოუთქვამს მაკინესთან, თუ როგორ ჩქარა დაუბრუნდებოდა თავის ძვირფას საუნჯეს. მაკინემ აგრეთვე იცოდა ამათი განზრახული მიწერ-მოწერა. ეს ეშმაკურის ფარისევლობით არწმუ-

ნებდა ძმას, რომ ჩინებულად მოეხერხებინა ყველაფერი. წასვლის წინა დღით ოქრომ მთელი დღე დაალამა ქეთინოსთან, ეალერსებოდა, ჰკოცნიდა, ეფიცებოდა მალე დაბრუნებასა. ქეთინოს აღარც კი ახსოვდა ის დრო, როცა არსებობდა ოქროს უცნობლად, ვერ წარმოედგინა ცა და ქვეყანა უოქროოდ, ვერ დაენახა ის სინათლე, რომელსაც არ უყურებდნენ ოქროს მშვენიერი თვალები? ოქრო წავიდოდა, ვიღა ჩამოჰკრავდა წმინდა ტრფიალების ჩანგზე იმ დროს, როცა ქეთინო იტყოდა: ოქრო, შენ შემოგევლოს ქეთინოვო! ვინ მოისმენდა, ან გატაცებულის ალერსით, გრძნობით მაგიერს ერთი-ორად ვინ უზღავდა? როცა მოიგონებდა ყველა ამას, ქეთინო გამოუთქმელ ტანჯვას ეძლეოდა. ოქრო კი ნუგეშად ჩასძახოდა.

— მალე, მალე, სიცოცხლევ, ჩვენ ერთმანეთს მალე დავეკუთნებითო.—ამ დაპირებაზე ქეთინო გულს იმაგრებდა.

— ორ კვირაზე ველი წერილს, ოქრო.—უთხრა ქეთინომ და მოეხვია სათაყვანოს, მანაც გულში ჩაიკრა, იყვნენ ასე რავდენსამე ხანს. მერე, როგორც იყო, თავი გაინთავისუფლა ოქრომ ძალ-დატანებით, რადგან გული ეწინააღმდეგებოდა, ემუდარებოდა ქეთინოსთან სამუდამოდ დარჩენას... ოქრო წავიდა თეკლესა და მაშოსკენ გამოსათხოვებლად.

— ნახვამდის, ქეთინო! უთხრა მედიდურის ღიმილით მაკინემ, როდესაც ჩაჯდა ეტლშია.

— ნახვამდის, კნეინავ!—იმ კილოთივე უპასუხა ქეთინომ. ამ ჟამად სძაგდა, ეჯავრებოდა მაკინე. დიაღ, ოქრო არავისთვის არ ემეტებოდა ქეთინოს, მაინც რავდენსამე კვირით აშორებდნენ ულვთონი. ეტლი დაიძრა. ოქრომაც ქუდი მოიხადა. თვალებით უგზავნიდა, ჰპირდებოდა სიყვარულს, ერთგულებასა.

— მალე, მალე გნახავ, ანგელოზო!—კითხულობდა ქეთინო ოქროს სახეზე... გულ-ხელ დაკრეფილი, დაწითლებულის თვალებით გაიყურებოდა, თითქო ესეც სულით და გულითთან მისდევდა გაგრიალებულ ეტლსა.

**ანასტასია ერისთავი**

(შემდეგი იქნება).

*
* *

(ჰეინედან)

დავდივარ ტყეში და ვტირი,
გულს ვერსად მოუსვენია;
ხშირ ფოთლებიდან გამომშტვენს
შაშვი: — რად მოგიწყენია?

ჰკითხე, გეტყვიან მერცხლები;
ჰე, რომ მიჰკვრიან ზღუდესა:
ზაფხულში ტურფას სარკმლის ქვეშ
აკოწიწებდნენ ბუდესა.

შ. მღვიმელი

# ...გამარჯვება ჩვენია!

მოთხრობა ემილ ზოლასი *)

თვით წისქვილსაც კი მოელხინა იმ მშვენიერ ზაფხულის საღამოს. ეზოში რიგზედ დაელაგებინათ სამი საკმარისად მოზრდილი სტოლი; სუფრა გაეშალათ და სტუმრებს-ღა ელოდნენ, რომ კარგი დროება გაეტარებინათ. ყველამ იცოდა, რომ იმ საღამოს ბიძია მერლიეს ნიშნობა ჰქონდა: თავის ერთად-ერთ ქალს თავისავე მოჯამაგირე დომინიკს აძლევდა. ამბობდნენ, დომინიკი მუშაობაში ძაან ცუღლუტიაო, მაგრამ იმისთანა თავმომწონე და მოხდენილი ბიჭი იყო, რომ ახლო-მახლო სოფლებში ერთის ქალს ვერა ნახავდით, რომ იმის მოსარჩლე არა ყოფილიყო.

მშვენიერ ალაგას იდგა ბიძია მერლიეს წისქვილი, მდინარე მორელზედ, სწორედ იქ, საიდანაც დიდი შარა გზა ბარისკენ დაუხვევს. იქვე პატარა სოფელი გაჭიმულიყო—ერთი ლარივით სწორი განიერი ქუჩა და აქეთ-იქით პატარ-პატარა სახლები. გზის დასწვრივ მინდორი უფრო და უფრო ფართოვდებოდა და შორს ქვევით ზღვასავით გაშლილ მორელის პირს ამწვანებული ჭალების ჩრდილში იკარგებოდა. იქნება მთელს ლორენში არსად მოიპოვებოდეს ამისთანა წალკოტივით შემკული მხარე! მარჯვნივ და მარცხნივ მაღლად ამართული ფიჭვის და ნაძვის ტყეებით ამწვანებული მთები; ქვევით თვალ-გადუწვდენელი ყანებად და ვენახებად დაჭრილი მინდორი და ისეთი ტკბილი, ისეთი გრილი სიო, რომ მკათათვესა და მარიამობისთვეშიაც ვერ იტყვით ცხელაო.

*) Emile Zola: l'a ttaque du moulin.

მედიდურად მოიკლაკნება ზემოდან, ტყით შემოსილი სერობიდან მომდინარი მორელი და ისეთი მხიარულად მოდუდუნებს, თითქო მთელი მთის და იქაური საყინულეების და ტყეების საიდუმლოებით მოცულ ამბებს გვიამბობსო. მის დუდუნს ბანს აძლევს იქვე კლდის ნაპრალიდან მოკამკამე ანკარა წყარო; მორბის, მოხშუის, ხან ხავსს მოედება და მორცხვად მიიმალება, თითქო მიწაში ჩაძვრაო; ხან კი მოულოდნელად ამოხეთქავს და ქვიდან ქვაზე ხტომით საშინელი სისწრაფით მიეშურება ქვემოდ მდორედ მომდინარე მორელისკენ. ამ ხმაურობას ერთვის ნელი სიო, ნელი შრიალი ცამდე ამართული ტყისა და ისეთი ტკბილი ხმებით არის მოცული ეს მყუდრო არე, თითქო გრძნეულთა და ფერიების საიდუმლო საბრძანებელიაო.

ქვევით კი თვალ-გაუწვდენელი ამწვანებული აქა-იქ უზარმაზარი კაკლისა და წაბლის ხეებით დაჩრდილული მინდორი გადაჭიმულა. ზედ გველივით იკლაკნება ხშირი ჭალებით დაჩრდილული მდორე მორელი; მიდის და იზრდება, მიდის და იშლება და თითქო ზღვად უნდა იქცესო, წვრილ ტოტებს ირთავს აქეთ-იქიდან. მიდის და ანოყივრებს მთელს არე-მარეს, მიდის და სიცოცხლით ავსებს დაცემულ მინდორს...

ამ სამოთხის დარ ალაგას იდგა ზედ წყალზედ გადაგდებული ბიძია მერლიეს წისქვილი—ერთი წარღვნის დროინდელი ძველის-ძველი ქვითკირის შენობა. წყალი საკმაო სიმაღლიდანა სცემდა ჩარხს და ისეც დრიჭინებდა ზარმაცად, თითქო ოჯახში დაბერებული ერთგული მოახლეა, ფუსფუსებს და თან კვნესისო. რამდენჯერ უთქვამთ ბიძია მერლიესთვის: აღარ კარგა, ჩარხი გამოსცვალეო! ის თავისას გაიძახოდა: ახალი ჩარხი ამაზედ მეტად ზარმაცი იქნება და არც ასე კარგად ეცოდინება თავის საქმეო. წამდაუწუმ მოუშლებოდა და ისიც იქვე მეისედ-მოისედავდა და რასაც მოახელებდა, დაჟანგებული რკინა იქნებოდა თუ ურმის კოფო, სულ ერთი იყო, იმითი შეაკეთებდა თავის ერთგულ ჩარხს. გაგიკვირდებოდათ, ისე იყო აჭრელებული სხვა-და-სხვა ფერით და მასალით ხავს-მოკიდებული, წყალით გაყლესთილი ჩარხი.

სწორედ კიდობანსა ჰგავდა წყალზედ გადაკიდებული ფიცრული ნაწილი წისქვილისა, იატაკი მთლად დასვრეტილი ჰქონდა და ქვეშ

მჩქეფარე გაავეთრებული წყალი მოჩანდა. შემოაკლდებოდა საფქავი, დადგებოდა წისქვილი, გაჩერდებოდა ჩარხი და წყალიც დამშვიდდებოდა, მოტბორდებოდა და მარტო ალაგ-ალაგ თევზით სავსე ღრმა მორევში-ღა ჩარჩებოდა. შენობას აქა-იქ ურიგოდ დატანებული წვრილ-წვრილი ფანჯრები ჰქონდა. ერთი შეხედვითვე იტყოდით, პატრონს ნელ-ნელა უშენებია, დღეს ერთი ნაწილი აუგია, ხვალ მეორე მოუმატებია და არც შენობის სისწორე მოჰგონებია, არც სილამაზე. კედლებს ბაბილო აჰკროდა, თან სხვა მცენარეებიც აჰყოლოდნენ და ძველი ტიტველი, გაულესავი შენობა, თავის ფოთლებით შეემოსათ. ხშირად გაჩერებულან შორით მომავალი დიდებული მგზავრები ბიძია მერლიეს წისქვილის გადასახატად!

გზის პირისკენ უფრო მაგრად აგებულს ჰგავდა სახლი. ერთ მხრივ ბეღელი ჰქონდა მიდგმული, მეორე მხრივ ბოსელი და წინ შემოღობილი მოზრდილი ეზო ედვა ერთი უშველებელი იფნით დაჩრდილული. სახლი ოთხი ფანჯრით გამოიყურებოდა ეზოსკენ; ამ ცოტა ხნის წინად თეთრად შეღებეს ბიძია მერლიეს შენობის გარე კედლები და ისეთი ბზყვრიალი გაჰქონდა მზეზედ თოვლივით თეთრს სახლს, რომ მტერსაც კი თვალებში ეცემოდა. ბანზედ მეწისქვილე მტრედებს ინახავდა.

აგერ ოცი წელიწადია ბიძია მერლიეს სოფლის მამასახლისად ირჩევენ: თუ კი თავის საქმეს მოუარა და ასეთი ქონება შეიძინა, საზოგადო საქმესაც კარგად გაუძღვებაო. ამბობდნენ, ათას თუმნამდე ფული უწყვია სულ გროშობით მოგროვილიო. ცხონებული მადლენი რომ შეირთო, თავის მარჯვენის მეტი არა ჰქონდა-რა, მაგრამ მზითევში წისქვილი აიღო და ისე დატრიალდა, ისე მოაგვარა საქმე, რომ მადლენს თავის დღეში არ უნანია, ამ ბოგანოზედ როგორ გავთხოვდიო. დღეს კი, საწყალმა მადლენმა თქვენი ჭირი წაიღო და ობლად დარჩა მოხუცი მეწისქვილე თავის გასათხოვარი ქალით. განა არ შეეძლო, ახლა მაინც თავი მიენებებინა შრომისთვის, წისქვილი იჯარით გაეცა და ყოფილიყო თავისთვის განცხრომით და მოსვენებით; რატომ არ შეეძლო, სარჩო-საბადებელი საკმარისი არა ჰქონდა თუ? მაგრამ უსაქმურობა მოჰკლავდა, მოსვენებას ვერც სახლში იპოვიდა და ვერც გარეთ. თუ მუშაობდა,

სიამოვნებისთვის მუშაობდა და არც ისე მოხუცებული იყო ბიძია მერლიე, რომ შრომა აღარ შესძლებოდა. მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი კაცი იყო, ჯერ ისევ ჭარმაგი და წელში მოუხრელი; იმის პირს ღიმილი არ მოუკიდოდა, თუმცა გულით ძალიან მხიარული კაცი იყო. მამასახლისად იმიტომ უფრო ირჩევდნენ, რომ ისე დარბაისრულად ეკიდებოდა ყოველ საქმეს.

ბიძია მერლიეს ქალი ფრანსუაზი თვრამეტი წლისა იყო. 15 წლამდე სულ ავადმყოფობდა; ყველას უკვირდა სოფელში—დედ-მამა ასე ჯანსაღი ჰყავს და ამ ბავშვს რა დაემართა, რომ ასე სნეული გამოვიდაო? მაგრამ 15 წლისა რომ გახდა, უცბად წამოიწია და ისეთი კოპწია, კოხტა რამ გახდა, ისეთი მოხდენილი და შნოიანი, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდათ. სასოფლო ქალი არ იყო, რადგან პურით სავსე ტომარას ვერ მოიკიდებდა და წისქვილში ვერ ჩაიტანდა, თორემ სხვაფრივ არა უჭირდა-რა: შემოდგომის მწყერივით ჩასუქებული იყო, ახლად გაფურჩქნილ ვარდივით ლამაზ სახეს შავი თვალ-წარბი და შავი თმა უმშვენებდა, პირს ღიმილი არ შორდებოდა და ისე უბრწყინავდა მოყვასის სიყვარულით მაღალი შუბლი, თითქო ღმერთის თავისი მადლი ამ პატარასთვის დაუთმიაო. ბიძია მერლიეს ლაპარაკი არ უყვარდა, სულ უღიმარი და ჩაფიქრებული დადიოდა და ფრანსუაზიც ბავშვობიდანვე შესჩვეოდა ხმის-ამოუღებლივ საქმის დაკვირვებას და გასინჯვას. პირს ღიმილი არა შორდებოდა და გული... გული ყოველთვის არ უღიმოდა.

ახლო-მახლო სოფლებში გასათხოვარი იმისთანა არავინ იყო და ბევრი მთხოვნელიცა ჰყავდა; რასაკვირველია, უფრო მზითევსა ხარბდებოდნენ, ვიდრე ქალს. და წარმოიდგინეთ იმოდენა ყმაწვილებში, კარგი პატიოსანი ოჯახის შვილები დაიწუნა და ვიღაც ბოგანო მოჯამაგირე ინდომა!

დომინიკიც ამ 10 წლის წინად გადმოვიდა ბელგიიდან, რადგან ბიძა მოუკვდა და ცოტა რამ მამული დარჩა. უნდოდა მამული გაეყიდნა და ბელგიაში დაბრუნებულიყო, მაგრამ ეტყობა მოეწონა იქაურობა და მას აქეთ ფეხი არ მოუცვლია. წყალ გადმა თოვის სროლაზედ იდგა ბიძია მერლიეს წისქვილის პირდაპირ. მამულს უვლიდა, ხან სანადიროდ დაიარებოდა, ხან სათევზაოდ; ერთი-

ორჯერ კიდეც მოასწრეს, ყორულში რომ ნადირობდა, კინაღამ ოქმიც შეუდგინეს. ისე თავისუფლად ცხოვრობდა, რომ ამბობდნენ, მემკვიდრეობა დარჩა და იმასა სჭამსო; მაგრამ მერე და მერე კი ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება, რადგან ძალიან ზარმაცი ბიჭი იყო და სწორედ იმ დროს, როდესაც ქვეყანა გარედ იყო და გაცხარებული მუშაობდა, ის სადმე ჩრდილში ეგდო და ხვრინავდა. იმისი სახლიც კი ტყის პირიდან როგორღაც საეჭვოდ გამოიყურებოდა და იქაურ დედაბერებისათვის რომ გკითხათ, მთელი დღე იმიტომ სძინავს, რომ ღამე კუდიანებთან ატარებს დროსაო. ამასთან ისეთი მშვენიერი სანახავი იყო, იმისთანა წარმოსადეგი, ლელწამტანიანი და გულწამტაცი ვაჟკაცი, რომ ყველა ქალები იმისკენ იყვნენ და იმის ცუდს არავის ათქმევინებდნენ. სწორედ ეს დომინიკი მოსწონდა ფრანსუაზს და ერთ დილას მოწიწებით მოახსენა ბიძია მერლიეს, მე დომინიკი მიყვარს და ქმრად სხვა არავინ მინდაო.

მეხივით მოულოდნელი და საზარელი იყო ეს ამბავი მოხუცებულისათვის. თავის ჩვეულებისამებრ ხმა არ ამოუღია, სახის გამომეტყველებაც კი არ შეუცვლია, თუმცა გულს ლახვარივით მოხვდა ტკბილი იმედების გაცრუება. მთელი ერთი კვირა ხმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის მამა-შვილს და ამ ხნის განმავლობაში ფრანსუაზს უფრო და უფრო ემჩნეოდა ხასიათის სიმტკიცე. ბიძია მერლიე უფრო იმასა სწუხდა, ნეტავი სად და როგორ მოაჯადოვა იმ მაწანწალამ ჩემი გოგო, დომინიკს თავის დღეში წისქვილის ახლოც არ გაუვლიაო? მაგრამ ესეც მალე გაიგო: ყური უგდო და ნახა, რომ წყალ-გაღმა დომინიკი მწვანე ბალახზედ წამოწოლილიყო და გამოღმა, ღია ფანჯარაში ფრანსუაზი იდგა და ერთმანეთს თვალებითა სჭამდნენ.

ერთმა კვირამ კიდევ გაიარა. ფრანსუაზი არას ამბობდა, მაგრამ უსიტყვოდაც კარგად ეტყობოდა, რომ თავის ნათქვამს არ უმტყუნებდა. ბიძია მერლიემ ითმინა, ითმინა და ერთს დღეს სადილად თითონვე შემოიყვანა სახლში თავის სასიძო დომინიკი. რომ შევიდნენ სახლში, ფრანსუაზი სუფრასა შლიდა; არც გაიკვირვა, არც იუცხოვა, თითქო იცოდა, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყოო, ადგა და ხმის-ამოუღებლივ სუფრაზედ დომინიკისთვისაც დააწ-

ყო თეფშში და დანა-ჩანგალი. იმ დილას ბიძია მერლიე დომინიკთან მისულიყო სანახავად. მთელი სამი საათი ყოფილიყვნენ შეკეტილნი იმის ქოხში ტყის პირას და არავინ იცოდა—რა სთქვეს, რა ილაპარაკეს. ოღონდ ეს კია, რომ იქიდან პირდაპირ შინ წამოიყვანა ბიძია მერლიემ ეს ზარმაცი, ჩდილში მძინარი და მით ქალების გამგიჟებელი ბიჭი; ცხადია, ძალიან უნდა მოსწონებოდა, რომ სახლში, ისე შეიყვანა, როგორც სასიძო და, მაშასადამე, მკვიდრი, საყვარელი შვილი.

მთელი სოფელი შეისძრა, მეტადრე დედაკაცები. იდგნენ და ბიძია მერლიეს სიგიჟეს მოსთქვამდნენ; სიბერისაგან გაგიჟებულა, გასულელებულა, რომ ღვიძლ-შვილსა ღუპავს და სახლში ვიღაც უგვარ-ტომო შეჰყავსო! ბიძია მერლიეს კი ხმაც არ ამოუღია, იმდენი სთქვან, მინამ მოეწყინებათო! იქნება თავის საკუთარი ამბავი მოაგონდა, თავისი ცოლის შერთვა: ღვთისაგან განაჩენი იმასაც არა გააჩნდა-რა, მადლენა რომ შეირთო და მზითვად წისქვილი აიღო; ჰო-და, აქაო და არა ჰქონდა-რაო, განა ცუდი ქმრობა გაუწია თავის მადლენს? ცუდი მეუღლეობა გაუწია? გარდა ამისა დომინიკმა ისეთი ხერხიანად ჩააჩუმა მითქმა-მოთქმა, რომ ბიძია მერლიეს აღარა ეთქმოდა-რა: იმისთანა ცხარედ მოეკიდა დომინიკი საქმეს, იმისთანა გულმოდგინედ შეუდგა მუშაობას, რომ ქვეყანა გააკვირვა. სწორედ იმ დროს იყო, რომ ბიძია მერლიეს მოჯამაგირე ბიჭი ჯარში წაიყვანეს, წისქვილი უპატრონოდ დარჩა და დომინიკმა აღარავინ ინდომა: იმისთანა ტომრებსა ზიდავდა, ისე კარგად აყრიდა საფქვავს, ისე კარგად მართავდა წისქვილს და დაძველებულ ჩარხს, რომ თვით ბიძია მერლიეც კი აღტაცებული იყო. მლივს ღიმილი დაეტყო მოხუცებულს; მიდი-მოდიოდა და თან ის უხაროდა, რომ ერთი შეხედვით გავიგე, რა კარგი ბიჭია ჩემი სასიძოვო. ის კი მუშაობდა! სიყვარულისთანა გამამხნევებელი ხომ არა არის-რა ქვეყანაზედ! მუშაობდა და საყვარლის სიახლოვით სტკბებოდა. ჯერ ერთმანეთს არც კი ელაპარაკებოდნენ, მაგრამ სიტყვა რა საჭირო იყო? ერთმანეთი უყვარდათ და სხვა არა უნდოდათ-რა. ბიძია მერლიე ჯრას ამბობდა ქორწინებისას, და ისინიც მოხუცებულის პატივისცემით ხმას არ იღებდნენ, იმის ბრძანებას ელოდნენ.

ბოლოს ერთ დღეს, შუა მკათათვეში, ეზოში იფნის ქვეშ სამი სტოლი დაადგმევინა, სუფრა გააშლევინა და გამოაცხადა, ამ საღამოს სტუმრები მყავს მოწვეულიო. და როცა ეზო ხალხით გაივსო და ყველა სუფრას უჯდა და ხელში ღვინით სავსე ფიალა ეჭირა, ბიძია მერლიე ფეხზედ წამოდგა და მაღალი ხმით წარმოსთქვა:

— ღმერთმა გააბედნიეროს დომინიკი და ჩემი ფრანსუაზი! ღმერთმა ტკბილი ცხოვრება მისცეთ. ღმერთმა ამრავლოს და ადიდოს! დღეიდან ერთი თვეზედ ქორწილსაც გადავიხდით და ყველანი ჩვენი წვეულნი ბრძანდებოდეთ!

ყველამ ადღეგრძელა დანიშნულები. ატყდა მხიარული ხმაურობა და სიცილი; ბიძია მერლიემ კი უფრო ხმა-მაღლავ სთქვა:

— დომინიკ, შენს დანიშნულს აკოცე. ხომ იცი, ჩვეულება რჯულით უმტკიცესიაო!

ცეცხლივით აენთნენ ორივენი. აკოცეს ერთმანეთს და სტუმრები კი გულიანად ხარხარებდნენ. ძალიან ნიშნობა გადაიხადა ბიძია მერლიემ. ისე კარგად გაუმასპინძლდა სტუმრებს, ისე უხვად ასვა ღვინო, რომ მეტი აღარავის შეეძლო. როდესაც ხალხი აიშალა და შინისაკენ გაემგზავრნენ და იფნის ქვეშ მარტო შინაურები და ძველი მეგობრები-ღა დარჩნენ, უფრო დინჯად და დამშვიდებით დაიწყეს ლაპარაკი. მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. დომინიკი და ფრანსუაზი იქვე ცოტა მოშორებით ისხდნენ გაჩუმებულნი, ერთმანეთის ეშხით დამთვრალნი. ერთი მოხუცებული ამბობდა, ჩვენს ხელმწიფეს პრუსიისთვის ომი გამოუცხადებიაო. სოფელში ყმაწვილ ბიჭს ვეღარა ნახავთ, ყველანი ჯარში წავიდნენო. წუხელის კიდევ გაიარეს ჯარებმა, ძაან-ძაან ომი იქნება და მწარე-დღე დაადგება იმ უბედურ პრუსიასაო.

— ნეტავი შენა,—სთქვა უზრუნველად, პირადი კმაყოფილებით ბედნიერმა ბიძია მერლიემ,—დომინიკი ბელგიელია, იმას ჯარში ვერ წაიყვანენ. და თუ გაბედეს პრუსიელებმა და აქამდე მოაღწიეს, იმედი მაქვს ვაჟკაცურად დაუხვდება და თავის დანიშნულს მფარველობას გაუწევს.

ყველამ სიცილი დაიწყო. აბა, რა წარმოსადგენი იყო, რომ პრუსიელები აქამდის მოაღწევდნენ! იქვე სამძღვარზედ, ან საიმათოშივე მიუხტება ჩვენი ჯარი და სულ ბდღვირს აადენსო!

— მე კი აქვე, ჩვენს ახლო ვნახე-და!—სთქვა ყრუდ იმავე მო-ხუცებულმა.

ამ სიტყვაზედ ყველანი გაჩუმდნენ. მერე თითო ფიალა კიდევ დალიეს. დომინიკი და ფრანსუაზი მოშორებით ისხდნენ და არა ეყურებოდათ-რა. ზურგით უკან შეეერთებინათ ხელები, არავინ და-გვინახოსო, და იმისთანა ბედნიერნი იყვნენ იმ წამს, იმისთანა ციურ ნეტარებით იყვნენ გატაცებულნი, რომ ქვეყნიური იმათ აღარა ეს-მოდათ-რა.

მშვენიერი ღამე იყო! სოფელს ბავშვივით მშვიდად და უდარ-დელად ჩასძინებოდა. მიწყნარებულიყო ხმაურობა და ღამის სი-მშვიდეს აქა-იქ უდროვოდ გაღვიძებული მამლის ყივილი-და არღვევ-და. აქეთ-იქით ამართულ მთის ტყიდან ცივმა ნიავმა დაჰბერა, თით-ქო მიძინებულ სოფელს ეალერსებაო. მთვარით გაკაშკაშებულ მინ-დორს უზარმაზარი ზღაპრული ჩრდილი ეფინებოდა ჭალებისა და ცალცალკე მდგომ კაკლებისა. მდორე მორეული კი უფრო ხმა-მაღ-ლივ მოსთქვამდა თავის მთაში ნახულს და გაგონილ ამბებს და უფრო გაშმაგებით სცემდა დაძველებულს, ასჯერ დაკოწიწებულ ჩარხს. ისიც ტრიალებდა გაჩქარებული და თან ისეთი მწარედ კვნე-სოდა, ისე აღრაჭუნებდა თავის მოშლილ ფრთებს, თითქო გადა-ყრუებული ძაღლის და ძილში იღრინებაო.

ღმერთს თავისი კალთა დაებერტყა ამ არეზედ და ამ ქვეყ-ნად ბევრი არ უნდა ყოფილიყო იმისთანა ბედნიერი და დამშვიდე-ბული მხარე.

## II

ერთი თვის შემდეგ, სწორედ იმ დღეს, როდესაც ბიძია მერ-ლიეს ქორწილი უნდა ჰქონოდა, თავის ქალისა, თავზარ-დაცემული-ვით იყო მთელი სოფელი. პრუსიელებმა დაამარცხეს ფრანგების ჯარი და დღეს თუ ხვალ სოფელს მოადგებოდნენ. აგერ ერთი კვირაა, კაცს არ გამოუვლია სოფელში, რომ არ დაეძახნოს, გაი-ხიზნეთ, პრუსიელები მოდიანო. მართლაც, ისეთი აჩქარებით მო-დიოდნენ პრუსიელები, რომ სულ იმის ფიქრში და შიშში იყვნენ,

გავიღვიძებთ, თვალს გავახელთ და მტრის ჯარს დავინახავთო. მტერი კი არსად ჩანდა. არსად ჩანდა და მით უფრო აშინებდა სოფელს: რა თქმა უნდა, ღამე შემოგვესევიან და დედაბუდიანად ამოგვჟლეტავენო.

წინა ღამეს, ის იყო თენდებოდა, ერთი ალიაქოთი ატყდა სოფელში. დიდი გზიდან რაღაც ხმაურობა შემოესმათ და დაწიოკდა მთელი სოფელი. დედაკაცებს მუხლი მოეყარათ და პირჯვარს იწერდნენ, ბავშვები ტიროდნენ... ბოლოს ვიღამაც გაბედა, გარეთ გაიხედა ფანჯრიდან და ფრანგის ჯარი კი გამოდგა. კაპიტანმა მაშინვე მამასახლისის ნახვა მოინდომა და კარგა ხანიც ელაპარაკა. ბიძია მერლიეს წისქვილის მდგომარეობა ისე მოეწონა, რომ თითონაც იქ დარჩა.

რა მხიარულად ამოვიდა იმ დილას მზე! ეტყობოდა, ძალიან ჩამოცხებოდა; სოფელს უკვე ეღვიძა, მაგრამ ამ საამო დილით არავინ სტკბებოდა; ყველანი დაღვრემილები, დაღონებულები იყვნენ. კაპიტანმა რამდენჯერმე შემოუარა წისქვილს, ახლო-მახლო სახლები დაათვალიერა, მერე გაღმა გავიდა და იქიდან დაუწყო სინჯვა დურბინდით. ხალხიც იქვე ტრიალებდა და თვალს არ აშორებდა. ბიძია მერლიე სულ თან ახლდა და ეტყობოდა გზების მდებარეობას უხსნიდა. მერე ისევ წისქვილთან მივიდნენ. კაპიტანმა თავისი კაცები გაანაწილა და ზოგი კედელს ამოაფარა, ზოგი ბუჩქებს, ზოგი სახლებს, ზოგი წყლის პირს, უმთავრესი ნაწილი თავისი ჯარისა კი წისქვილის ეზოში გაამაგრა.

— მაშ ბრძოლა უნდა მოხდეს? აქ, წისქვილში?—ჰკითხავდნენ სოფლელები ბიძია მერლიეს.

ისიც თავს უქნევდა, დიახ, აქ შეებრძოლებიან ერთმანეთსაო! დომინიკი და ფრანსუაზიც იქვე იყვნენ და მამას შესცქეროდნენ.

გადახედა იმათ ბიძია მერლიემ, პირიდან ჩიბუხი გამოიღო და მწარედ ამოიოხრა:

— ეჰ, თქვე საწყლებო, თქვენა! სადღა მოხერხდება დღეს თქვენი ქორწილი!

პირ-მოკუმული, შუბლ-შეკრული იდგა დომინიკი და გაბრაზებით შესცქეროდა მთას, რადგანაც მტერი მთიდან უნდა გადმოსუ-

ლიყო. იმისი დანიშნული ფერ-მიხდილი მიდი-მოდიოდა ეზოში და აქა-იქ ეხმარებოდა. ჯარის-კაცთ ცეცხლი გაეჩინათ იქვე ივნის ქვეშ და საჭმელს იხარშავდნენ; თან, მანამ საჭმელი მოიხარშებოდა, ხუმრობდნენ და ლაზღანდარობდნენ.

თითონ კაპიტანიც ძალიან კმაყოფილი იყო. ის იყო ოთახები დაიარა და აღტაცებული დარჩა წისქვილის სიმაგრით. ახლა დამშვიდებული იჯდა და ბიძია მერლიეს ებაასებოდა:

— თითქო საგანგებოდ არის გამაგრებულიო, ისე კარგად არის მოწყობილი თქვენი წისქვილი. საღამომდე აქ შევაყენებთ მტერს!.. ნეტავი რას იგვიანებს, აქამდინაც უნდა მოსულიყო!

მეწისქვილე ხმას არ იღებდა. გონების თვალით ის თავის წისქვილს ცეცხლ-წაკიდებულს და მიწასთან გასწორებულსა ხედავდა, მაგრამ რა ეთქვა? კარგად იცოდა, რომ საქმეს ვეღარას უშველიდა. ეს კი უთხრა:

— აის ნავი მიმალეთ, ბატონო, იქნება როგორ დაგჭირდეთ. ემანდ ჩარხთან ბუჩქებში შეატანინეთ, იქ ვერავინ იპოვის.

კაპიტანმა ბრძანება გასცა. ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი იყო, ორმოცი წლისა არც კი იქნებოდა და ისეთი მხიარული და უდარდელი რამ იყო, თითქო ომს კი არა, ქეიფს აპირებსო.. სიამოვნებით ადევნებდა თვალს დომინიკს და ფრანსუაზს და სახეზე ეტყობოდა, რომ ძალიან მოსწონდა კოხტა ცქრიალა ქალი. მერე დომინიკს მიუბრუნდა:

— რატომ შენ კი ჯარში არა ხარ, ძმობილო?

— მე უცხოელი გახლავართ, ბატონო.

კაპიტანს არ მოეწონა ეს პასუხი და პირს ღიმილი მოუვიდა: რასაკვირველია, თოფის ზიდვას ფრანსუაზთან ყოფნა სჯობიან!

დომინიკი ამ ფიქრებს მიუხვდა და განაგრძო:

— მე უცხოელი გახლავართ, მაგრამ ჩემი თოფით ხუთას ადლზედ ვაშლს გავხვრეტავ. ემანდა ჩემი სანადირო თოფი, თქვენს უკან.

— იქნება დაგჭირდეს კიდეც,— უთხრა კაპიტანმა.

ამ ლაპარაკის დროს ფრანსუაზიც მიუახლოვდა; ფერი უფრო წასვლოდა, აკანკალებდა. დომინიკისკენ გაეშვირა ორივ ხელები, თი-

თქო შველასია სთხოვსო. ისიც დაურიდებლად მიეგება თავის დანიშნულს, ხელები ჩამოართვა და დარჩნენ ისე გაჩუმებულნი. კაპიტანს ისევ ღიმილმა გადაჰკრა, მაგრამ აღარა სთქვა-რა. იჯდა გაჩუმებული, თითქო რაღაცას ტკბილ ოცნებას გაუტაცნია და შორის შორის სადღაც დაჰქრის ამის სულიო.

ათი საათი შესრულდა. ჩამოცხა. ისე იყო სოფელი მიჩუმებული, თითქო დიდით-პატარამდე ამომწყდარაო. ყველას გაემაგრებინა თავისი სახლი და შიგ შემალულიყო. კარები მოეკეტათ, ფანჯრები მოეხურათ; მარტო ერთი ძაღლი-ღა დარჩენილიყო სადღაც გარეთ და ისიც ისე მწარედა ღმუოდა, თითქო მგლისა ეშინიაო. წისქვილის ეზოში ივნის ქვეშ ჯარის-კაცები პირსა სჭამდნენ.

და ამ სიჩუმეში უცბად თოფი გავარდა. კაპიტანი ფეხზე წამოხტა. ჯარის-კაცებმა იქით გადაყარეს ჯერ თითქმის სავსე ჯამები. თვალის დახამხამებაზედ ყველამ თავისი საომარი ადგილი დაიჭირა, წისქვილი ბალახანამდე ჯარით გაივსო. კაპიტანი წინ გავიდა გზაზედ, მაგრამ ვერავინ დაინახა; მარჯვნივ და მარცხნივ გზა სრულიად ცარიელი მოჩანდა. აგერ მეორედ გავარდა თოფი და მტრისა ჩრდილიც კი არსად ჩანდა. მაგრამ მისკენ აიხედა და ტყის პირში კომლი დაინახა, დაცლილი თოფის კომლი. ტყეში კი არც სადმე ადამიანი ჩანდა, არც ხმაურობა ისმოდა.

— ტყეში იმალებიან ის წყეულები!—სთქვა კაპიტანმა,—ეტყობა იციან ჩვენი აქ ყოფნა.

და ატყდა სროლა. ტყიდან უჩინარი მტერი ესროდა წისქვილში გამაგრებულ ფრანგის ჯარს და აქედანაც ღირსეულ პასუხს აძლევდნენ. გაჰქონდა ტყვიას ზუზუნი, გადადიოდა მდორე მორევზე და ვნებით კი არც აქეთურებს ავნებდა რასმე, არც გაღმელებს. ჯერ წყობისად არ ესროდნენ; მტერი ჯერ არსად ჩანდა და მარტო აქა იქ ხან ერთ ბუჩქთან და ხან მეორესთან გაჩნდებოდა ხოლმე კომლი.

ორი საათი მეტი გავიდა ამგვარ სროლაში. კაპიტანი თავისთვის მიდი-მოდიოდა და მხიარულად ღიღინებდა. დომინიკი და ფრანსუაზი ეზოში დარჩენილიყვნენ და წამდაუწუმ ფეხის თითებზე შედგებოდნენ, რომ ღობის იქით გადაეხედნათ. იქვე ჩარხთან წყლის პირას ღრმად ჩასაფრებული იყო ერთი სულ ყმაწვილი ჯარის-კაცი და ორივ დანი-

შნულები სულ იმის ფიქრში იყვნენ. ის კი გულდაღმა გაწოლილიყო წყლის პირას, წინ თავისი თოფი გაედო და თვალებ გაფაციცებული შესცქეროდა ტყეს; საცა კომლს დაინახავდა, ისიც იქით უმიზნებდა თავის თოფს. ესროდა და გმირივით უკან გასრიალდებოდა! იქვე ორმოში ჩაიმალებოდა და თოფს ხელახლად გასტენდა. ისეთი მარდათ და მკვირცხლად ისროდა, ისეთი სისაცილო მისვრა-მოსვრას ჰქონდა და თანაც იმისთანა დაცინვით და ნიშნის მოგებით შესცქეროდა უჩინარ მტერს, რომ გადასხლდავდნენ თუ არა, ორივეს მაშინვე სიცილი აუვარდებოდათ. აგერ! ალბათ მტერიც დაინახა სადმე, რომ უცბად წამოხტა და თოფი დაუმიზნა. მაგრამ თოფი ვეღარც კი დასცალა, დაბარბაცდა, ერთი შეჰკივლა და იქვე თავის სამალულ ორმოში გადაეშვა; მარტო ფეხებს-და აფართხალებდა, სწორედ ისე, როგორც თავმოჭრილი მამალი იზამს ხოლმე; ტყვია შიგ გულში მოხვედროდა. ეს პირველი მსხვერპლი იყო. ფარსხუაზი გაფითრებული მივარდა დომანიკს და გულში ჩაიკრა.

— მანდ ნუ დგახართ, — შესძახა კაპიტანმა, — ხომ ხედავთ ტყვიამ მანდამდისაც მოაღწია!

და მართლაც წკაპანი მოაღო რაღამაც მკლე იფანაზედ და პატარა ტოტი მოტეხა. ისინი კი იდგნენ გაშტერებულნი, სისხლით და სიკვდილით შეშინებულნი. აგერ ტყის პირიდან ერთი პირუსიელი გამოვიდა, ის იყო წინ წამოიწია, მაგრამ ხელების ქნევა დაიწყო, თითქო ცდილობს ხელის მოსაჭიდი იპოვოს რამეო და წაიქცა. ეს ორი მკვდარი ეგდო მიწაზედ, თითქო დაქანცულნი მწვანეზედ მისვენებიანო, და ამათ გარდა სულიერი ადამიანი არ გამოჩენილა არც აქედან და არც იქიდან. თოფის სროლაც შეწყდა. მარტო მდორე მორელი-და არღვევდა თავის დუდუნით უცბად ჩამოვარდნილ სიჩუმეს.

ბიძას მერლიემ კაპიტანს გადახედა, თითქო თვალით ეკითხება, მორჩა, გათავდა ბრძოლაო?

— საქმე ესლა იწყება, — წასჩურჩულა კაპიტანმა — ფრთხილად! მანდ ნუ დგახართ!

ჯერ არცკი გაეთავებინა, რომ მტრის მხარიდან ზარბაზანივით რაღამაც დაიჭექა. მკლე იფანი შეინძრა, ფოთოლი ისე სცვიოდა,

თითქო სალა დაჭკრეს და ბერტყავენო. საბედნიეროდ, პრუსიელებმა ძალიან მაღლა დაუმიზნეს და ვერავის რა ავნეს. დომინიკმა გაიტაცა და თითქმის ძალით შეიყვანა სახლში ფრანსუაზი; ბაბია მერლიე უკან მისდევდა და უყვიროდა:

— მარანში წადით, მარანში! იმის ქვითკირს ზარბაზანიც ვერ შემოატანს.

იმათ ყური არ ათხოვეს და დიდ ოთახში შევიდნენ, სადაც ათიოდე ჯარის კაცი იყო ჩასაფრებული. ფანჯრები ჩამოუბნელებისათ, კარები მიესურათ და სულგანაბულნი გაიცქირებოდნენ ჟუჟუტანებიდან, იქნება მტერი გამოჩნდესო. ეზოში მარტო კაპიტანი-ღა დარჩა, კედლის პირში მიკუნჭული. სროლა ისევ ატყდა, ახლა კი უფრო წყობისად. ღობის გარეთ ჩასაფრებული ბიჭები ვეღარ უძლებდნენ მტრის ცეცხლს და ნელ-ნელა შედიოდნენ ეზოში. მტერიც სიფთხილით ფეხს და ფეხს მოსდევდა. შემოდიოდნენ კი არა, შემოფოფხდებოდნენ, რადგან ფეხზედ დგომა სიკვდილი იყო. კაპიტნის განზრახვა ის იყო, რაც შეიძლება მეტი ხანი დაეყოვნებინა იქ მტერი და არ გამოსჩენოდა, რომ იმას ფრანგების ნამდვილი ძალა არა სცოდნოდა. ერთმა საათმა კიდეც გაიარა. ბოლოს ათას თავიც შემოცოცდა და მოახსენა, გარეთ აღარავინ გასულავთო.

კაპიტანმა საათს დახედა და სთქვა:

— ჯერ არა! საათ-ნახევარი კიდევ უნდა გავუმაგრდეთ!

ალაყაფის კარი დააკეტინა და ყველაფერი მოამზადებინა, რომ მტერი თუ გაბედავდა და იერიშს მოიტანდა, მტრულად დახვედროდა. პრუსიელები გაღმა იყვნენ და მაშასადამე ასე მალე იერიშით მოსვლას ვერ მოასწრებდნენ. ცოტა ქვევით, სულ ნახევარ საათის სავალზედ ხიდი იყო, მაგრამ პრუსიელებს არ ეცოდინებოდათ და ფონის ძებნას დაიწყებდნენ. ამიტომ კაპიტანმა ბრძანება გასცა გზაზედ დაეყენებინათ დარაჯი. ბრძოლა ახლა სოფლის მხარეს უნდა ატეხილიყო.

სროლა შესწყდა. წისქვილი აკლდამისებური სიჩუმით იყო მოცული. გაღმა ტყის პირში თითო ოროლა პრუსიელი გამოჩნდა; თავს გამოჰყოფდნენ, არემარეს ათვალიერებდნენ, ნელ-ნელა წინ იწევდნენ. იმათ საშინელი სიფრთხილით სხვები მოსდევდნენ.

წისქვილში ბიჭებმა თოფებს სტაცეს ხელი და დაუმიზნეს, მაგრამ კაპიტანმა შეუტია:

— მოითმინეთ! დეე მოგვიახლოვდნენ!

საკვირველი სიფთხილით მოდიოდნენ და სულ წისქვილს უყურებდნენ, თითქო გრძნობდნენ, რომ იქ მტერი უნდა იყოს ჩასაფრებული, იმ ძველ ქვიტკირის შენობაში. ძალიან ნელა, მაგრამ მაინც წინ მოიწევდნენ. როდესაც ორმოც და ათამდე კაცი გამოვიდა ტყიდგან, კაპიტანმა ერთად ერთი სიტყვა უთხრა თავის ბიჭებს:

— დაკათ!

და ყველამ ერთბაშად დაცალეს თოფები. ფრანსუაზა კანკალმა აიტანა და ორივე ყურზედ ხელები მიიფარა. დომინიკი ჯარის კაცების უკან იდგა და ტყისკენ გაიცქირებოდა. და როდესაც ნიავმა თოფის წამლის კვამლი გაფანტა, ტყის პირას აღარავინ იყო, და მხოლოდ სამი პრუსიელი-ღა ეგდო გადაშხლართული; სხვები ისევ ტყეში შეცვივნულიყვნენ და ისევ ტყიდან დაუშინეს წისქვილს თოფები.

მთელი ერთი საათი სეტყვასავით სცემდა წისქვილს ტყვია. დაჰკრავდა კედელს, ზედ გაიჭეჭყებოდა და წყალში ცვივოდა. კარები და ფანჯრის დარაბები ცხავივით დახვრიტა. წისქვილში მყოფი ბიჭები უფრთხილდებოდნენ ტყვია-წამალს და მანამ კაცს არ დაინახავდნენ რომ ნიშანში ამოეღოთ, თოფს არა სცლიდნენ. კაპიტანი ხშირად დასხედავდა ხოლმე საათს. და როდესაც ერთმა ტყვიამ კარის ფიცარი შემოამტვრია და ჭერს ეცა, კაპიტანმა კიდევ გახსნა საათი და მწარედ წაიჩურჩულა:

— ვერა, ჩვენ იმათ ვერ გავუმაგრდებით!

და მართლაც, ძველი წისქვილი ირყეოდა, ძველი წისქვილი ინგრეოდა! ერთი ფანჯრის დარაბა ისე დაესხვრიტა ტყვიას, რომ მოსწყდა და წყალში ჩავარდა; ფანჯარა დოშაკებით ამოტენეს. ბიძია მერლიე წამდაუწუმ ეზოში გარბოდა, ძალიან დაზიანებული იქნება ჩემი წისქვილიო. საბრალო მოხუცი! ყოველი ტყვია, რომელიც სახლსა სცდებოდა, თითონ იმასა სცდებოდა გულში. ფრანსუაზიც იქვე იყო. ბევრი ეხვეწა დომინიკი, აქ ნუ იქნებიო, მაგრამ იქ ყოფნა ირჩია, თავის დანიშნულთან და მამასთან და იქვე კუნჭულში მუხის ფიცრებს უკან მიიკუნჭა. საუბედუროდ ამ ფიცრება-

მდინაც მიაღწია ტყვიამ, თუმცა ვერ გაატანა და შიგ ჩარჩა. მაშინ დომინიკი წინ აეფარა თავის დანიშნულს. გატენილი თოფი ხელში ეჭირა, მაგრამ ჯერ არ გაესროლა, რადგან ფანჯრებთან ჯარისკაცები იდგნენ და იმისთვის ალაგი არსად იყო.

— ფთხილად!—შეჰყვირა უცბად კაპიტანმა.

ტყიდან მთელი რაზმი გამოვიდა და წისქვილისკენ წამოვიდა თოფის სროლით. ძველ შენობას ზრიალი გაჰქონდა. კარები ვეღარ გაუმაგრდნენ და ტყვია ბუზივით შედიოდა ოთახში. იატაკზე ორი კაცი გორავდა. ერთი უძრავად ეგდო და კედლისკენ მიაგდეს, ფეხში გვედებაო; მეორე მწარედ გმინავდა და ევედრებოდა მომკალითო! მაგრამ იმას ყურს არავინ უგდებდა. ზუზუნი გაჰქონდა ოთახში ტყვიას და ყველანი საფარის რასმე ეძებდნენ, რომ მტრისთვის უკეთ ესროლათ. მესამეც დაიჭრა; მაგრამ ხმა არ ამოუღია, როგორც იყო, კედლამდე მიცოცდა და იქ სტოლს შეეფარა მომაკვდავი, თვალ გაშტერებული. ფრანსუაზი ისე შეეშინებინა ამ უბედურთა ტანჯვას, რომ თავით ფეხამდე თრთოდა და იქვე იატაკზე წაეჩოქნა, თითქო იქ უფრო პატარა ადგილს დაიჭერდა და ტყვია ვეღარ მიაგნებდა. რაც კი სახლში ლოგინი იყო, სულ კარებს და ფანჯრებს მიაწყეს. მაგრამ ამით ვერას გახდნენ.

— ცოტა კიდევ,—შესძახა კაპიტანმა და საათს დახედა.—ყოჩაღად იყავით, ახლა კი წყალს გამოვლენ!

ამ დროს ფრანსუაზმა დაიკივლა. ტყვია კედელს სცემოდა, და იქიდგან უკან წამოსული შუბლში მოხვედროდა. შუბლიდგან სისხლი სდიოდა. დომინიკმა შეხედა; მერე ფანჯარასთან მივიდა და პირველად მაშინ დასცალა თოფი. დასცალა თოფი და მერე აღარ შემდგარა. გასტენდა, დაუმიზნებდა და ესროდა. ისროდა და ყურადღებას აღარაფერს აქცევდა; ხანდისხან ფრანსუაზს კი გადახედავდა ხოლმე. წყნარად, აუჩქარებლივ უმიზნებდა თოფს. პრუსიელები გზის პირს ჩაყოლებულ ნერგებს ეფარებოდნენ და ისე მოდიოდნენ წყლისკენ; მაგრამ როგორც კი გაბედავდა ვინმე და ნერგებს გამოსცდებოდა, იქვე დაეცემოდა—დომინიკის ტყვიით გულ განგმირული. კაპიტანი თვალს ადევნებდა და მადლიერიც იყო ამ მოულოდნელი ქომაგისა. მივიდა, მადლობა უთხრა: ნეტავი შენისთანა

ერთი ორი ბიჭი მყავდეს, და მე კიცი მტერს როგორ დავხვდებოდიო! დომინიკს არა ესმოდა-რა. ერთმა ტყვიამ მხარში გაჰკრა და ოდნავ დასჭრა, მეორემ მკლავში, ის კი ისროდა და ისროდა.

ორი კაცი კიდევ მოკვდა. დოშაკები ისე იყო გაწეწილი, რომ ტყვიას სრულიად ვეღარ იმაგრებდნენ. მეტი გამაგრება შეუძლებელი-და იყო. კაპიტანი კი თავისას გაიძახოდა:

— ცოტა კიდევ, ბიჭებო, ერთი ნახევარ საათი კიდევ!

და წუთებსა სთვლიდა. თავის უფროსისათვის აღეთქვა, მტერს საღამომდის შევაყენებო და მაინც აასრულებდა თავის სიტყვას, ასო-ასოდაც რომ აეკუწნათ! მიდი-მოდიოდა, მხიარულად უღიმოდა ფრანსუაზს, რომ ამით მაინც გაემხნევებინა. ბოლოს თითონაც აიღო მოკლულის კაცის თოფი და სროლა დაიწყო.

ოთახში ოთხი კაცი-ღა იყო. პრუსიელები კი ურიცხვად გამოდიოდნენ ტყიდან და წყალს მოადგნენ. შეიძლებოდა წყალს გამოსულიყვნენ და გვერდიდან მოჰპარვოდნენ ჩასაფრებულნი. ცოტა ხანმა კიდევ გაიარა. კაპიტანი კრთობდა, არ უნდოდა დაეთმო, მაგრამ ათისთავი შემოვარდა და მოახსენა:

— გზაზედ არიან, ბატონო! და გზას შეგვიკრავენ! ალბად ხიდზედ გამოვიდნენ. — კაპიტანმა საათს დახედა:

— ხუთი წამიც, ბიჭებო! ხუთად-ხუთი წამი!

და სწორედ ექვსს საათზედ თითო-თითოდ გაუშვა თავისი კაცები სოფლისკენ. სახლებს აეფარნენ, ბუჩქებს შეჰყვნენ და სამშვიდობოში გავიდნენ. წასვლის წინ კაპიტანმა დიდი ბოდიში მოიხადა ბიძია მერლიეს წინაშე. ზრდილობიანად გამოეთხოვა და ესეც კი დასძინა:

— ცოტა ხანი გაართვით... ჩვენ ისევ დავბრუნდებით!

ოთახში მარტო დომინიკი-ღა დარჩა. იმას არაფერი გაუგია. ისროდა და ჰკლავდა, ერთი არ აუცდენია. ფრანსუაზი, იმის დანიშნული ფრანსუაზა, განსაცდელში იყო, ამის მეტი ამან არა იცოდა-რა. ჯარი ისე წავიდა, ისე გალაგდა, რომ იმას არა გაუგია-რა. ის ისევ ფანჯარასთან იდგა და ჰკლავდა. უცბად რაღაცა ხმაურობა შემოესმა. პრუსიელები უკანიდან შემოცვივდნენ ეზოში. ერთხელ კიდევ გაისროლა და გააკავეს კიდეც, ჯერ ისევ ბოლავდა იმისი თოფი

ისე გაბოჯეს, რომ მოძრაობა აღარ შეეძლო. გარს პრუსიელები შემოხვეოდნენ და რაღაცა საზიზღარი, იმისთვის გაუგებარი ენით ემუქრებოდნენ. მივარდნენ კიდეც... ფრანსუაზი წინ გადუდგა ხელ გაპყრობილი, მაგრამ ერთი აფიცერი შემოკიდა და ტყვე იმას მიჰგვარეს. ცოტა რამ მოილაპარაკეს გერმანულად. მერე აფიცერი დომინიკს მიუბრუნდა და ფრანგულად უთხრა:

— ორი საათის შემდეგ დაგხვრეტავთ!

## III

გერმანულ ჯარში კანონად იყო დადებული: სადაც შეიარაღებულ კაცს დაიჭერდნენ, თუ კი ჯარს არ ეკუთვნოდა, მაშინვე დახვრეტავდნენ. ბევრნი გადიოდნენ მტერთან საბრძოლველად და თუმცა ჯარს არ უერთდებოდნენ და თავისუფლად თავის ნებისად იბრძოდნენ, მაინც დიდ ზიანს აძლევდნენ საფრანგეთში შესულ მტრის ჯარებს და ამიტომ ეს თავისუფალნი მებრძოლნიც აჯანყებულად აღიარა გერმანულმა სამხედრო კანონმა და შენდობა არავისი იცოდა, ოღონდ კი ხელში ჩავარდნოდა ვინმე. ასე საშინლად სჯიდნენ საწყალ ხალხსა, რომელთაც მარტო ის ცოდვა მიუძღოდათ, რომ თავის სამშობლოსთვის და ცოლშვილისთვის იბრძოდნენ. ასე საშინლად სჯიდნენ, რადგან ეშინოდათ, მთელი ერი, ქუდზედ კაცი არ გამოვიდეს ჩვენთან საბრძოლველადაო.

აფიცერმა,—ერთი მაღალ-მაღალი, ჩამომხმარი კაცი იყო, ასე ორმოც და ათი წლისა,—ჩვენება ჩამოართვა დომინიკს.

— აქაური ხართ?

— არა, ბელგიელი გახლავართ.

— იარაღს რათ იღებდით? სად ბელგიელი და სად ჩვენი ომი?

დომინიკმა არ უპასუხა. ამ დროს აფიცერმა ფრანსუაზი დაინახა, რომელიც იქვე ახლო იდგა ფერმიხდილი და ყურს უგდებდა; თეთრ შუბლზედ სისხლი შეშრობოდა. ერთხელ კიდევ გადახედა ორივეს, თითქო ახლა კი ყველაფერს მიხვდაო და ეს-ღა ჰკითხა:

— თქვენ ხომ უარს არ ამობით, რომ თოფს გესროდით?

— თოფს გესროდით, მანამ შემეძლო,—უპასუხა მშვიდად დომინიკმა

ამის თქმა სულ მეტი იყო, რადგან თოფის წამალს მთლად გაეშავებინა, ოფლი სდიოდა და აქა-იქ მკლავიდან გამონადენი სისხლი ეცხო.

— ძალიან კარგი,—გაიმეორა ავიცერმა.—ორი საათის შემდეგ დაგხვრეტავთ!

დომინიკი იქავე ცალკე ოთახში დაამწყვდიეს და კარს დარაჯი მიუყენეს... ფრანსუაზას კრინტიც არ დაუძრავს, ოღონდ იმედ-მოსდილმა ღალადით აღაპყრო თვალი ზეცისკენ. მერე მუსლ-მოჭრილი სკამზედ დაეშვა; ტირილით არა ტიროდა, თითქო ცრემლი გაუშრაო; გული ესუთებოდა. ავიცერი კი იქვე იყო და თვალს ადევნებდა. ბოლოს თვით ფრანსუაზას მოუბრუნდა:

— ეს ყმაწვილი თქვენი ძმაა?

თავი გაუქნია, არაო.

ცოტა ხანს უკან კიდევ ჰკითხა:

— დიდი ხანია აქ არის?

ფრანსუაზამა თავი დაუქნია.

— მაშ ეს ტყეები კარგად უნდა იცოდეს?

— დიაღ, ბატონო,—ხმა ამოიღო ძლივს ფრანსუაზამ და გაკვირვებით შეხედა გერმანელს. ვერ გაეგო, რასა ჰკითხავდა.

ქუსლებზედ შემოტრიალდა ავიცერი და ბრძანება გასცა, მამასახლისი მომგვარეთო, ფრანსუაზაც წამოწითლდა, თითქო ამ კაცის საიდუმლო მიზანს მიხვდა და გულში იმედი აღეძრაო. წამოხტა და თითონ გაიქცა ბიძია მერლიეს დასაძახებლად.

შეწყდა თუ არა თოფის სროლა, ბიძია მერლიე მაშინვე თავის წისქვილის დასათვალიერებლად წავიდა. მართალია გაგიჟებით უყვარდა თავისი ქალი და დიდი პატივის-მცემელი იყო თავის სასიძოსი, მაგრამ თავისი ღრიჭინა წისქვილიც ძალიან უყვარდა. ქალიცა და სასიძოც მშვიდობით გადარჩნენ ამ განსაცდელს და, რასაკვირველია, თავის საყვარელ წისქვილს უნდა მიჰპატრონებოდა, რომლის ჩარხი ისე დაეხვრიტა ტყვიას, თითქო ცხრილიაო. დაღვრემილი სახით დასცქეროდა ბიძია მერლიე დანტვრეულ ჩარხს და თან იმას ფიქრობდა, სად და რამდენი ნაჭერი დასჭირდებოდა, რომ ერთხელ კიდევ დაეკოწიწებინა როგორმე თავისი ერთგული მრავალ-

ტანჯული ჩარხი. სუთი ფრთა ჩამოუმტვრია ტყვიას. აქა-იქ თვით ღერძიც დაეჩხიანებინა და ბიძია მერლიე დამტვრეულს თითებით ზომავდა და გაკვირვებით თავს იქნევდა. ფრანსუაზი რომ მიუახლოვდა, იმას ხავსი დაებღუჯნა და ცდილობდა იმით ამოევსო ამოვარდნილი ფრთის სიღრმე.

— თქვენს გკითხულობენ, მამა.

მაშინ ძლივს წასქდა ცრემლი და მწარედ მტირალმა უამბო, რაც გაეგონა. ბიძია მერლიემ თავი გაიქნია: როგორ იქნება, შვილო, წიწილა ხომ არ არის, თავი წაგლიჯონ; აბა ვნახოთ რას გვიბრძანებენო... და წყნარი ნაბიჯით, სრულიად დამშვიდებული სახით შევიდა წისქვილის დიდ ოთახში. ოფიცერმა უბრძანა, ჩემი კაცებისთვის საჭმელ-სასმელი უნდა იზრუნოვო და იმანაც უპასუხა, თქვენ ნურავის შეაწუხებთ, ნურაფერში გაერევით, ყველაფერი მე მომკითხეთო. ოფიცერმა თავდაპირველად ძალიან იწყინა ეს მშვიდი, მაგრამ გამბედაობით სავსე პასუხი; მერე კი დარწმუნდა, რომ ამ გულმართალ მოხუცთან ვერას გახდებოდა და თავი დაანება — კარგი, დეე აგრე იყოსო. მერე ბიძია მერლიემ რომ წასვლა დააპირა, უცბად ჰკითხა:

— ამ ტყეს რას ეძახით? აი ჩვენს პირდაპირ?

— ეგ სოვალის ტყე გახლავთ.

— დიდი ადგილი უჭირავს!?

მეწისქვილემ თვალი დააშტერა.

— რა მოგახსენოთ, უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ და სოფლისაკენ წავიდა.

ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა და მოიტანა სამხედრო «კონტრიბუცია» — სოფელში მოგროვილი საჭმელ-სასმელი და ფული გერმანელი ჯარის-კაცებისთვის. შებინდდა. ფრანსუაზი გულის ფანცქალით შესცქეროდა გერმანელების უცნაურ მოძრაობას. სულ იქვე ტრიალებდა, იმ ოთახის ახლო, რომელშიაც დომინიკი იყო დამწყვდეული. შვიდი საათი იყო, რომ დომინიკთან ოფიცერი შევიდა და თხუთმეტი წუთი მეტი რაღასაც ელაპარაკებოდა. მერე უცბათ კარი გამოაღო და რაღაც ბრძანება გასცა გერმანულად. ფრანსუაზმა ამ ბრძანების აზრი ვერ გაიგო, მაგრამ გული გადუ-

ტრიალდა. უმფროსის ბრძანებაზედ თორმეტი კაცი გამოიყვანა ათის-თავმა, იქვე ეზოში გაამწკრივა და თოფები დაამზადებინა სასროლად. ფრანსუაზი თავით-ფეხამდე თრთოდა. დარწმუნებული იყო, რომ დომინიკს დახვრეტას უპირობდნენ. ათი წუთი მეტი იდგნენ ჯარის-კაცნი ისე გამწკრივებულნი, გამზადებულნი. ოთახიდან კი ცხარი ბაასის ხმა გამოდიოდა და ცხარი უარი დომინიკისა. ბოლოს ჯარის უმფროსი გარედ გამოვარდა და გაბრაზებით შესძახა.

— ძალიან კარგი, მოიფიქრეთ... ხვალ დილამდე ვადას გაძლევთ!

და ისეთი გაბრაზებით მიაჯახუნა კარი, თითქო იმაზედ ურა-ლობდა თავის ჯავრსაო. ხელი აუქნია და ჯარის-კაცები გაისტუმრა. ფრანსუაზი გაქვავებულივით იყო. ბიძია მერლიე იქვე იდგა და თით-ქო სეირს უყურებსო, ისე შესცქეროდა ჯარის-კაცების სამზადისს; თან ჩიბუხს ეწეოდა. რაკი ნახა, რომ დღეს საშიში აღარა იყო-რა, მივიდა, ხელი მოხვია თავის ქალს და სახლში აიყვანა, ფრანსუა-ზის ოთახში.

— დამშვიდდი, შვილო! დაწექი, იქნება დაგეძინოს. ღმერთი მოწყალეა!

კარი გარედან დაუკეტა, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო. ბიძია მერლიეს ქრისტეს მცნებასავით სწამდა, რომ ქალისთანა უვარ-გისი ღმერთს არა გაუჩენია-რა და სადაც კი ჩაერევა, ისე გადარევს საქმეს, რომ თავსა და ბოლოს ეშმაკიც ველარ უპოვნისო.

ფრანსუაზი არ დაწოლილა. დიდი ხანი იჯდა თავის ლოგინ-ზედ, უგრძნობლად, უფიქრელად, გაშტერებული. გარედან გერმა-ნელი ჯარის კაცების სიმღერა მოისმოდა, თითქმის თერთმეტ საა-თამდე არ შეწყვეტილა მათი ხმაურობა; მერე ვახშამზე დასხდნენ. აფიცერს ყველგან დარაჯები დააყენებინა და შუაღამისას, როდესაც მიწყნარდა იქაურობა და ყველა დამშვიდდა, დარაჯების ტლანქი ფე-ხის ხმა-ღა არღვევდა სიჩუმეს. ფრანსუაზის გონება ქვემო ოთახ-ში იყო, სწორედ იმისის ოთახის ქვემოდან, სადაც დომინიკი ეგუ-ლებოდა დამწყვდეული. ხმაურობა მიწყდა და ახლა იმას-ღა ცდი-ლობდა, დომინიკის ამბავი გაეგო რამე. რამდენჯერმე წამოდგა და თავის ოთახის იატაკს დაადო ყური: დომინიკი ჩქარი ნაბიჯით

მიდი-მოდიოდა; მერე დიდი ხნის შემდეგ ფეხის ხმაც ველარ გაი-გონა. წამოწვებოდაო, იფიქრა. ყური მიუგდო... გზიდან აღარა-ფერი ისმოდა. მაშინ მივიდა და ისე ფრთხილად გააღო თავის ოთა-ხის ფანჯარა, რომ მის ხმაურობა თითონაც არ გაუგონია. გააღო და გადიხედა.

მშვიდი, მთვარიანი ღამე იყო. ჩამავალი მთვარე სოფლის ტყეს ეფარებოდა და მკრთალის სინათლეს-და ჰფენდა მიძინებულ ქვეყანას. დიდროვანი ხეების ჩრდილი შავად გადასწოლოდა მინ-დორს და უფრო აბნელებდა იქაურობას... ფრანსის-უაზის ყურადღება არ მიუქცევია ბუნების მშვენიერებისათვის. ფანჯრიდან გადაყუდებულიყო და ცდილობდა გაეგო, სად უნდა ყოფილიყვნენ მტრისაგან დაყენებუ-ლი დარაჯები. მდინარის პირას გარკვევით ხედავდა რამდენსამე კაცს; ერთი კიდევ წისქვილის პირდაპირ იდგა მოპირეის გაღმა ტირი-ფის ძირში; ამ უსარმაზარ გერმანელს ფრანსის-უაზი მაღიან კარგად ხედავდა: ტირიფს აჭყუდებოდა და ცას შესცქეროდა, თითქო მო-რეულ სამშობლოსა და საყვარელ ცოლშვილზედ ოცნებობსო.

დიდი ხანი სინჯა ფრანსის-უაზმა აქე-მარე, მერე თითქო დარ-წმუნდა, რომ იმის წადილის ასრულება შეუძლებელი იყო, მივიდა და ლოგინზედ დაჯდა; მაგრამ ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა და ერთი საათის შემდეგ ისევ ფანჯარასთან მივიდა და ყური მიუგდო. ეტყობოდა, ყველას ეძინა. გადაიხედა, ჯერ მთვარე კიდევ მოჩანდა ტყის უკანიდან. ბოლოს, როცა მთვარე ჩავიდა და სრულიად ჩამო-ბნელდა, ისე რომ იქვე ტირიფთან მდგომ დარაჯსაც კი ველარ ხე-დავდა, ერთ წამს ყური მიუგდო. კედელს იმის ფანჯარასთან სა-ფეხურები ჰქონდა დატანებული, რომლითაც უწინ ბალახანაში ადიოდ-ნენ ხოლმე. შემდეგში ბალახანაში ასასვლელად შიგ სახლში გააკე-თა ბიძია მერლიემ კიბე და გარეთ დატანებული საფეხურები კედელ-ზედ ატანილმა ბაბილომ დამალა თავის მძლავრი ყლორტებით.

თვალის დახამხამების უმალ გადავიდა ფანჯარაში და კიბეს დაეკიდა. რამდენიმე საფეხური კიდეც ჩავიდა, მაგრამ უცბად ფეხ-ქვეშ აგური გამოტყდა და შიგ წყალში ჩავარდა. საშინელი ხმა გაი-ღო წყალმა. ფრანსის-უაზი ტყვია-ნაკრავივით გაშეშდა და გაინაბა. მაგ-რამ მოაგონდა, რომ წისქვილის გადასავლების ხმაურობასთან ამას

ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა, თუნდა გაეგონათ კიდეც, და უფრო გაბედვით დაიწყო ქვემო საფეხურების ძებნა. დომინიკის ოთახის სისწორივ გაჩერდა, რადგან იმისდა საუბედუროდ ქვემო სართულის ფანჯარა ცოტა გვერდზედ იყო დატანებული, საფეხურების მოშორებით და ხელი რომ გაეწვდინა, ფანჯარას ვერა და ვერ მისწვდა. ჭირის ოფლი დაასხა. ნუ თუ ტყუილად ჩაუარა ამოდენა გულისხეთქამ? სუნთქვა შეეკრა, ხელ-ფეხი მოუდუნდა, მდორე მორელის ჩუმი დუდუნი თავბრუსა სცემდა. კედელს გაჯი აავლიჯა და დომინიკის ფანჯარას სროლა დაუწყო. დომინიკს ჩასძინებოდა, თორემ ხმას მისცემდა. დიდი ხანი ეწვალა ასე, მოისწყდა, მოიქანცა, თავს ძლივს-ღა იმაგრებდა. თითები დაისისხლიანა გაჯის გლეჯით. ბოლოს დომინიკმა ფთხილად გააღო ფანჯარა და გადმოიხედა.

— მე ვარ,—წასჩურჩულა ფრანსუაზმა,—მიშველე, ღამის ჩავარდე.

შენობით პირველად ელაპარაკებოდა. წელამდე გადმოეყუდნო ფანჯარას დომინიკი და ისე შეიყვანა თავისი დანიშნული. აქ კი ვეღარ შეიმაგრა გული საწყალმა ქალმა, ცრემლი წასკდა და მარტო იმას-ღა ცდილობდა, ქვითინი არავინ გამიგოს და ყურადღება არ მოგვაქციოსო. მერე საშინელი ძალი დაატანა თავის თავს, ცრემლი შეიშრო და დამშვიდებული კილოთი ჰკითხა:

— ამ კართან დარაჯი დგას?

დომინიკი ჯერ ისევ განცვიფრებული შეჰყურებდა თავის დანიშნულს და პასუხის მაგივრად თავი დაუქნია. მართლაცა და კარებს იქადან ხვრინვა ისმოდა; ალბად დაღალულმა დარაჯმა ძილს ვეღარ გაუძლო და იქვე კარებთან გაიშხლართა—თუ პატიმარმა კარი გააღო, ისე როგორ გადამივლის, რომ ვერ გავიგოო!

— უნდა გაიქცე, უთხრა ფრანსუაზმა. მე იმიტომ ჩამოვედი, რომ გამოგეთხოვო! უნდა გაიქცე, თავს უნდა უშველო!

დომინიკი ჯერაც ვერ მოსულიყო გონებაზედ. იდგა და გიჟივით გაიძახოდა:

— ნუ თუ შენა ხარ!? ნუ თუ შენა ხარ!? რომ იცოდე, როგორ შემაშინე! რომ ჩავარდნილიყავი?!

მერე დაეწოდა და ხელზედ კოცნა დაუწყო

— ოჰ, როგორ მიყვარხარ, ჩემო ფრანსუაზ! რა გულკეთილი ყოფილხარ, ფრანსუაზ! მე სიკვდილი არ მაშინებდა! მე იმას ვჩიოდი, ვაი თუ ისე მოვკვდე, რომ ჩემი ფრანსუაზი ვეღარა ვნახო მეთქი. აი ხედავ, აქა ხარ და ახლა დეე დამხვრიტონ. ეხლა მე აღარა დამნანდება-რა ამ ქვეყნად! მე შენი ნახვა მინდოდა, სხვა არაფერი!

ნელ-ნელა თავისკენ მიიზიდა და გულში ჩაიკრა. შეყვარებულნი განსაცდელს შეეერთებინა და ქვეყნად ერთმანეთის გარდა აღარა აგონდებოდათ-რა.

— დღეს ხომ წმინდა ლუის დღეობაა, ფრანსუაზ, დღეს უნდა დაგვეწერნა ჯვარი, დღეს უნდა შევერთებულიყავით საუკუნოდ. ხედავ რა ბედნიერნი ვყოფილვართ! ჩვენი განშორება შეუძლებელი ყოფილა, და ჩვენს ქორწინების დღეს ჩვენ მაინც ერთად ვართ. ჩვენი განშორება სიკვდილის მეტს არას შესძლებია! ჰა, ფრანსუაზ, ეს ღამე ხომ ჩვენი ქორწინების ღამეა...

— დიახ, დიახ, ჩვენი ქორწინების ღამეა. აგერ თენდება კიდეც.

და ისე შეაწებეს ერთმანეთს ტუჩები, თითქო საუკუნოდ შეერთებას ცდილობენო. მაგრამ უცბად თვალ-წინ აღუდგა ფრანსუაზს მწარე ნამდვილი და ხელიდან გაუსხლტა:

— უნდა გაიქცე, უნდა გაიქცე! აბა, ტყუილად ნუღარ იგვიანებ!

ის კი ხელებს აფათურებდა, უნდოდა სიკვდილის წინად ერთხელ კიდევ გულში ჩაეკრა თავისი სატრფო.

— გევედრები, თავს უშველე! ფიცი დამიდე, თუ შენ არ მეყოლები, აღარც მე ვიცოცხლებ! საცაა გათენდება. ეხლავე უნდა წახვიდე, გეყურება ეხლავე!

და აუხსნა კიდეც როგორც უნდა გაპარულიყო. წყლის პირამდე ამ საფეხურებით ჩავიდოდა; იქ ნავამდე მივიდოდა როგორმე და მერე აღარა უჭირდა-რა.

— მერე დარაჯები? — ჰკითხა დომინიკმა.

— ერთად-ერთი დარაჯი დგას, წყლის გაღმა, ტირიფის ჩრდილში.

— რომ დამინახოს? რომ დამინახოს?

ფრანსუაზი თრთოლვამ აიტანა. ხმის ამოუღებლივ ხელში დანა ჩაუდო.

— მერე შენა? მამაშენი? არა, მეგაქცევა არ შემიძლიან! სულ ამოგწყვეტავენ, მე რომ აქ აღარ ვიქნები! თქვენ არ იცნობთ გერმანელებს! წუხელ მეხვეწებოდნენ — სოფლის ტყეების გზა გვაჩვენე და გაპატიებთო. მე რომ ხელიდან გავუსხლტე, ჩემს ჯავრს თქვენზედ ამოიყრიან.

ფრანსისკაში ყურადღებას არ აქცევდა იმის მსჯელობას. ამას ერთად-ერთი აზრი-ღა შერჩენოდა და ამ აზრის ასრულებისთვის-ღა ცხოვრობდა.

— უნდა გაიქცე! თუ გიყვარვარ, თუ იოტის ოდენიც არის გიყვარვარ, უნდა გაიქცე! წადი, დომინიკ, წადი, ნუღარ იგვიანებ! ოღონდ შენ წადი და მე მაშინვე ჩემს ოთახში ავალ და ვინ რას გაიგებს, რომ მე გშველოდი გაპარვას?!

მერე მივარდა, ხელები მოხვია, გაგიჟებით კოცნა დაუწყო და თან წასვლას ეხვეწებოდა. ამას კი ვეღარ გაუძლო დომინიკმა. ერთი-ღა ჰკითხა:

— შემომფიცე, რომ მამაშენმა იცის შენი განზრახვა და ისიც გაქცევას მირჩევს!

— განა დარწმუნებული არა ხარ, რომ თვით მამა-ჩემმა გამომგზავნა?

ტყუოდა. იმ წამს ფრანსისკას თავის დომინიკს გარდა აღარა ახსოვდა-რა. მარტო იმასღა ცდილობდა, დომინიკი შორს, შორს სადმე ჰგულებოდა და დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მზის ამოსვლა და იმის სიკვდილი ერთი არ იქნებოდა. რაკი დომინიკი განსაცდელს თავს დააღწევს, მერე თუნდა ნაკუწ-ნაკუწად მაქციონო, ფიქრობდა: ოღონდ ეს ცოცხალი მეგულებოდეს, და მე ამის გულისთვის სიმწარეს სიტკბოებად მივიღებო.

— კარგი, — უთხრა დომინიკმა, — იყავს ნება თქვენი.

ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღიათ. დომინიკმა ფანჯარა გააღო, სწორედ ამ დროს შემოესმათ რაღაც ხმაურობა კარებს იქიდან და ორივენი გულგახეთქილები დარჩნენ. იქნება დარაჯამდე მიაღწია იმათი ბაასის ხმამ? და ორივ ერთად სმენად იქცნენ და გაშეშებულნი კარს შესცქეროდნენ. ცოტა ხნის უკან ერთხელ კიდევ შეინძრა კარი, თუმცა არ გაღებულა-კი. ბოლოს თითქო ორივენი ერთად მიხვდნენ ამ ხმაურობის მიზეზს, მთელი გულით ამოისუნთქეს და მხიარულად

გადასკდეს ერთმანეთს: მძინარი დარაჯი გადაბრუნებულა და ხმაურო-ბაც იმასი იქნებოდაო. და მართლაც, ცოტა ხანს უკან ისევ ხვრინ-ვა შემოესმათ კარის იქიდან.

დომინიკს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ფრანსუაზი თავის ოთახში მშვიდობით ავიდოდა; თუ არა და — აქ წავალო, იძახდა. ერთ-ხელ კიდევ ჩაიკრა გულში, ნახვამდისო უთხრა და თითონვე გადასვა ფანჯარიდან, თითონვე უშველა, რომ საფეხურები ეპოვნა და რაკი დარწმუნდა, საშიში აღარა სჭირს-რაო, მერე თითონაც გადავიდა. აგერ ფრანსუაზი თავის ოთახში შევიდა, ერთხელ კიდევ გადმო-ხედა ღამის წყვდიადით მოცულს თავის დანიშნულს და ჩაფსულის ნიავივით ნელა ხმით ჩასჩურჩულა:

— ნახვამდის, ჩემო საყვარელო!

იდგა და ფანჯარიდან თვალს ადევნებდა. ბნელოდა. დიდი ხანი ეძება თვალით დარაჯი, მაგრამ ვერა გაარჩია-რა; გაღმით მარტო ჩაბნელებული, ჩაშავებული ტირიფი ჩანდა. ცოტა ხანი კიდევ ესმოდა ვაზის ფოთლების შრიალი მერე მთელი შეინძრა, თითქო შიგ რაღაცა ჩავარდაო. აგერ პატარა ნავიც დაიძრა, რომელიც ნელნელა მიიპარებოდა გაღმისკენ... და უცბად მოაგონდა, რომ გაღმა ტი-რიფთან დარაჯა იდგა, უცბად წარმოიდგა, რომ დარაჯი ნავს შე-ნიშნავდა, დაიძახებდა... და ფოთლების შრიალი იმას ჯარის-კაცე-ბის ძახილად და თოფის სროლად ელანდებოდა. მაგრამ გავიდა რამდენიმე, საუკუნეებივით გრძელი, წამი და დარაჯის ხმა კი არ ისმოდა. ისევ იმედი შეეპარა გულში. ეხლა გაღმა იქნებაო, ფიქრობ-და, იქნება ტყეშიც შევიდაო. ბოლოს რაღაც ხმა მოესმა, თითქო წაიქციეს ვინმეო და მერე უფრო დიდი სიჩუმე ჩამოვარდა. იდგა ფანჯარაში ფრანსუაზი და გაქვავებულივით დაშტერებოდა ღამის წყვდიადს, თითქო გრძნობს, რომ იმ წამს გვერდით სიკვდილმა გა-უარა და წუთი-სოფელს ადამიანისშვილი გამოასალმაო.

## IV

ინათლა და წისქვილიც შეინძრა ჯარის კაცების ხმაურობისაგან. ბიძია მერლიემ თავის ქალს ის იყო კარი გაუღო. ფრანსუაზი

ძალიან უფერული, მაგრამ ამასთანვე ძალიან დამშვიდებულიც იყო. მაგრამ იქვე ეზოში გაშხლართული მკვდარი კაცი რომ დაინახა, თავი ვერ შეიმაგრა და კანკალი დააწყებინა.

მოკლული თავისავე ფარაჯაზედ დაესვენებინათ. გარს ამხანაგები ეხვევოდნენ და გაცოფებულნი მუშტს უღერებდნენ სოფელს. აფიცერმა ბიძია მერლიე დაიბარა.

— მამასახლისო, ერთი ჩემ კაცთაგანი ამ დილას წყლის პირს ვიპოვნეთ მოკლული: დამნაშავე სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს და მე თქვენი იმედი მაქვს, რომ დამნაშავეს მაპოვნინებთ.

— ბატონი ბრძანდებით, მიუგო ჩვეულებრივი სიმშვიდით ბიძია მერლიემ, ოღონდ ცოტა არ იყოს, ძნელი იქნება.

ჯარის უმფროსი დაიხარა და მოკლულს თავიდგან ფარაჯის კალთა გადაჰხადა, საშინელი ჭრილობა ჰქონდა უბედურს. დანა შიგ გულში ჩაეცათ და შიგვე დაეტოვებინათ. უბრალო დანა იყო, ხორცის საკეპად რომ ხმარობენ.

— აბა დანა გასინჯეთ. იქნება მაგითი მკვლელსაც მივაგნოთ.

თავით-ფეხამდე გააჟრიალა მოხუცებული ამ დანის დანახვამ, მაგრამ თავი შეიმაგრა და ჩვეულებრივი კილოთი უპასუხა:

— ჩვენს მხარეში ყველას ამისთანა დანები აქვს. იქნება თითონაც მოიკლა თავი... ვინ იცის, იქნება ისე მოსწყინდა ეს ომი და სისხლის-ღვრა, რომ...

— ჩუმად! — შეუტია გააფთრებულმა აფიცერმა. — მე რომ სასტიკი მხედარი ვიყო, მთელ სოფელს გადავბუგავდი.

ისეთი გაბრაზებული იყო, რომ ფრანსუაზი არც კი დაუნახავს, თორემ უთუოდ შენიშნავდა მის შეშინებას და სასოწარკვეთილებას. მუხლი ეკეცებოდა და იქვე ჭის თავზედ ჩამომჯდარი თავისდა უნებურად დასცქეროდა მკვდარს და თვალი ვეღარ მოეშორებინა თავის დანისთვის. მოკლული კარგი წარმოსადეგი, ახალგაზდა ბიჭი იყო და ცოტათი დომინიკს წააგავდა. იქნება უბედურს იქ გერმანიაში ჩემსავით დანიშნული ელისო, ფიქრობდა ფრანსუაზი და უფრო აკვირდებოდა. უნდოდა თვალი მოეშორებინა, მაგრამ თავის დანას დასცქეროდა და — მე მოვკალი, ჩემი დანით მოვკალი, უბედური, — იძახდა.

ჯარის უფროსი კი თავისას გაიძახოდა: მთელს სოფელს ავიკლებ, დავწვავ და დიდით-პატარამდე ამოვხოცავ, თუ დამნაშავე არ მიპოვეთო. სწორედ ამ დროს შემოცვივდნენ ჯარის-კაცები და მოახსენეს: პატიმარი გაპარულაო. ყველანი დომინიკის ოთახისკენ გაეშურნენ; ღია ფანჯარა რომ ნახეს, ყველაფერს მიხვდნენ.

ბიძია მერლიე ისე შეწუხდა, თითქო ძალიან ეწყინა დომინიკის გაპარვაო.

— უბედური!—იძახდა თავისთვის მოხუცებული,—ლამის ყველანი კი დაგვღუპოს-და!

ფრანსუაზმა ყური მოჰკრა ამ სიტყვებს და გულმა კვნესა დაუწყო. ბიძია მერლიეს ჯერ ფიქრადაც არ მოსვლოდა, რომ იმის ქალიც ერეოდა დომინიკის გაქცევაში. ფრანსუაზი იქით გაიყვანა და უიმედოდ უთხრა ათრთოლებული ხმით:

— ახლა კი ცუდად არის, შვილო, ჩვენი საქმე.

— ის მოჰკლავდა, ის წუპაკი, ისა!—ყვიროდა ჯარის უფროსი.—ეხლა, რასაკვირველია, ტყეში იქნება... ხელ-შეკრული მომიყვანეთ, თორემ ისე ავაოხრებ მთელს სოფელს...

და ისევ მეწისქვილეს მიუბრუნდა:

— თქვენ უნდა იცოდეთ, სად იმალება?

ბიძია მერლიემ ჩაიცინა. მერე ხელით იმოდენა ტყით მოსილი მთის ფერდობი აჩვენა და ჰკითხა:

— განა ამოდენ ტყეში დამალულს იპოვის ვინმე?

— რატომ?! ტყეში საიფარულები იქნება და თქვენც გეცოდინებათ. აი ათი ბიჭი წაიყვანეთ და სადაც გინდათ მიპოვნეთ.

— ბატონი ბრძანდებით. ოღონდ ერთი კვირა მაინც დაგვჭირდება, რომ მთელი ტყე შემოვიაროთ.

მოხუცებულის დამშვიდებულმა სიტყვა-პასუხმა უფრო გააცოფა აფიცერი, რომელიც თითონაც გრძნობდა, რომ ასეთი გაბრაზებით საქმეს ახდენდა და მით უფრო ბრაზობდა. სისხლი ყელში მოებჯინა; გაცოფებული აქეთ-იქით იყურებოდა რომ გესლი ამოენთხია ვიზედმე და მართო მაშინ შენიშნა ფერ-მიხდილი თავითფეხამდე ათრთოლებული ფრანსუაზა. ქალის შეშინებული სახის გამომეტყველება მაშინვე თვალთ ეცა. ერთს წამს გაჩუმდა და რიგ-რიგით ხან მამას აშტერდებოდა, ხან შვილსა.

— ის კაცი თქვენი ქალის საყვარელი იყო, განა? მივარდა უცბად მოხუცებულს.

ზიმას მერლიეს სისხლი თავში აუვარდა. ცოტა ხანს ისე შესცქეროდა თავის შეურაცხმყოფელს, თითქო უნდა მივარდეს და ყელი გამოღადროსო, მაგრამ გული გაიქვავა, თავი შეიკავა და პასუხიც კი არ აღირსა. ფრანსუაზმა სახეზედ ხელები მიიფარა.

— თქვენი ქალის საყვარლისა, მაშ არა?! ჰო და ან თქვენ უშველიდით გაპარვას, ან თქვენი ქალი თქვენც იმის ამხანაგები ხართ... კიდევ გკითხავთ, მომიყვანით გაქცეულს, თუ არა?

მეწისქვილე პასუხსაც აღარ აძლევდა. ცოტათი მობრუნებულიყო და ისე გასცქეროდა მორეულ მინდორს, თითქო იმას არავის ელაპარაკებოდა. ჯარის უფროსი ამაზედ სრულიად გადაირია.

— მაშ აგრე!? მაშ თქვენ დაგხვრიტავთ იმის მაგივრად!

და იმის ბრძანებისამებრ ერთხელ კიდევ გამწკრივდა თოთხმეტი კაცი და თოფები შეამზადეს სასროლად. ზიმას მერლიეს იმათთვის არც კი შეუხედნია. მხრები კი აიჩეჩა ოდნავ — ნეტავი თქვენა, რომ მაგოდენა დროის ჰკარგავთ ტყუილ-უბრალოდაო! ან როგორ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიან კაცს, ღვთისაგან გაჩენილ ადამიანის შვილს ასე ადვილად გასწირავდნენ და წუთისოფელს გამოასალმებდნენ? მაგრამ რაკი ნახა, რომ ავიცერი აღარ ეშვებოდა, უთხრა:

— მაშ აღარ ხუმრობთ?! ბატონი ბრძანდებით! თუ კი აგრე მოგწყურებიათ სისხლი, სხვის მოკვლას, მე მამკლავთ, ის ემჯობინება!

მაგრამ ამ დროს გიჟივით წამოვარდა ფრანსუაზი:

— ღვთის გულისთვის, ბატონო! მამაჩემს ნურას ერჩით! მე მომკალით, მე. სულ ჩემი ბრალია, მარტო ჩემი ბრალია! მე გავაპარე, მარტო მე და დამნაშავეც მე გახლავართ!

— ჩუმად იყავ, შვილო, ხომ არ გაგიჟებულხარ! — შეუტია ზიმას მერლიემ. — რადა სტყუი? ნუ ბატონო, ნუ დაუჯერებთ, ხომ ხედავთ შეშლილსა ჰგავს! მთელი ღამე თავის ოთახში იყო დაკეტილი, რომ სდომოდა კიდეც, ვერ გამოვიდოდა, რადგან კარი გარედან ჰქონდა დაკეტილი. გარწმუნებთ, სტყუის.

— არა, არა ვტყუი, — სთქვა ფრანსუაზმა, — კარი დაკეტილი მქონდა, მაგრამ მე ფანჯარაში გადმოვედი. დომინიკიც მე გავაპარე! აი მართალი, თუ მართალი გნებავთ.

მოხუცებულს ფერი ეცვალა: იცოდა თავის ქალის ხასიათი და გრძნობდა, რომ სრულს ჭეშმარიტებას ამობდა.—ბავშვისთანა წინ დაუხედავი ხომ არა იქნებაო, მარტო გულის თქმასა ასდევს და საქმეს აფუჭებსო.

— გიჟია, ბატონო, გიჟი! განა თქვენ თითონ არა ხედავთ, რომ შეშლილია და თითონაც აღარ იცის, რას როტავს! მაგ გიჟს ყურს როგორ უგდებთ?

ფრანსუაზს უნდოდა თავისი ეთქვა, მაგრამ ენა ჩაუწყდა, დაიჩოქა და ხელებ-გაშვერილი ვედრებით შესცქეროდა აფიცერს. ის კი ისე დასცქეროდა მამა-შვილს, თითქო გულის ალაგას სიპი ქვა ჩაუდვიათო.

— იცით, მე მამათქვენი მყავს ხელში და სასჯელსაც მამათქვენს მივაყენებ. ის მომიყვანეთ და მამათქვენი თავისუფალი იქნება.

ერთ წამს სწორედ გიჟივით დაასცქერდა ფრანსუაზი ამის მთქმელს.

— საშინელებაა, ღმერთმანი! მერე სად უნდა ვიპოვნო? ვინ იცის სად წავიდა?

— ერთი სიტყვით, ამოარჩიეთ: ან ის, ან მამა-თქვენი!

— ღმერთო, ღმერთო! განა აქ არჩევანი შეიძლება? კიდეც რომ ვიცოდე, სად არის, მე იმას ვერ გავცემ. ამათ მოკვლას, ბარემ მე მომკლათ? მაინცა მკლავთ და მაინცა! აჰ, ნეტავი კი ეხლავე მომკლათ და ამ ტანჯვას მომარჩინოთ. შემიბრალეთ, მე მომკალით!

ამ მწარე ქვითინმა მოთმინებიდან გამოიყვანა აფიცერი და მოკლედ მოუჭრა:

— კმარა! ნურავინ იტყვის ჩემსას — ადამიანის შებრალება არა სცოდნიაო. ორ საათს ვადას გაძლევთ, თუ ორი საათის განმავლობაში თქვენი საყვარელი არ მოგვიყვანიათ, მე მამა-თქვენს დავახვრეტინებ.

უბრძანა და მოხუცებული მეწისქვილე სწორედ იმავე ოთახში დაამწყვდიეს, რომელშიაც დომინიკი ჰყავდათ. ბიძია მერლიემ თამბაქო მოითხოვა და ჩიბუხს მოუკიდა. და როდესაც სრულიად მარტო დარჩა ოთხკედელ შუა და თავისი ქალის მწუხარება მოაგონ-

და, გული ამოუჯდა, თვალთაგან თითო მსხვილი ცრემლი წამოსცდა და ნელ-ნელა ჩამოცურდა მის დაბერებულ ლოყებზედ.

ფერანსუაზი ისევ შუა ეზოში იდგა. პრუსიელი ჯარის-კაცები მიდი-მოდიოდნენ, რაღასაც ეუბნებოდნენ, ელაზღანდარებოდნენ და გულიანად იცინოდნენ. ეს კი ისევ იმ კარს უყურებდა, რომლის იქით იმის მოხუცებული მამა იტანჯებოდა. მერე მისუსტებულმა, ღონე-მიხდილმა ძლივ-ძლივს აზიდა ხელები და შუბლზედ მოაჭირა, თითქო ეშინიან, თავი არ გამისკდესო.

ავიცერი ერთხელ კიდევ შემოტრიალდა და უთხრა:

— ორ საათს ორ წამს არ გადავაცდენ! ეცადეთ ამ ხანით ისარგებლოთ!

ორ საათს ორ წამს არ გადავაცდენო! ყურში უდგა ავიცრის სიტყვები, თითქო კრაზანა ჩაბზუისო და რომ ცოტა ხანს მაინც მოშორებიყო თავის მტანჯველთ, ეზოდან გამოვიდა და ნელ-ნელა წინ მიდიოდა. სად მიდიოდა, ან რას აპირებდა, თითონაც არ იცოდა. იმდენიც კი აღარ შეეძლო, რომ თავის მდგომარეობას დაჰფიქრებოდა და გადაეწყვიტნა რამე. ან რისთვის? ხომ ველარას გასდებოდა და მეტი ფიქრი მეტი ტანჯვა არ იქნებოდა? ერთად-ერთი სურვილი-და ჰქონდა—დომინიკის ნახვა უნდოდა. დომინიკი რომ ენახა, მოელაპარაკებოდა, რჩევასა ჰკითხავდა. ერთად იქნებ საშუალებაც ეპოვნათ რამე. და თვალებ-გაშტერებული, თითქო ამ ქვეყნისა აღარ არისო, ნელ-ნელა მოჰყლის პირას ავიდა, წისქვილის წყალის გადასავლები გაიარა და ტირიფთან მივიდა. ტირიფის ქვეშ თვალში სისხლის გუბე ეცა. შეშინდა, ათრთოლდა; მაგრამ ნათელი ბალახში დაინახა და იმას გაჰყვა—დომინიკის კვალი იქნებაო. ეტყობა ძალიან გაჭცეულა, რომ ასე შორი-შორს მოჩანს მწვანე ბალახში მის ნაფეხურები... მერე კვალი დაეკარგა. ბევრი იტრიალა, აქეთ ეცა, იქით და ბოლოს ხელახლა კვალს დაადგა. მისდია და ტყის პირს ავიდა. იქ კვალი სრულიად იკარგებოდა.

ტყეში შევიდა. ცოტა დაამშვიდა, გული მოუბრუნა ამ მარტოობამ. ცოტა ხანს კიდეც წამოწვა დასასვენებლად, მაგრამ მოაგონდა რომ დრო გადის და ფეხზედ წამოდგა. ნეტავ, რამდენი ხანი უნდა იყოს, რაც წისქვილიდან წამოვიდა? ხუთი წუთი? ნახევარ საათი?

იქნება მეტიც? იმისთვის ყოველი წამი მთელი საუკუნე იყო. იქნება დომინიკი აქვე თხილებში მიიმალა? რა კარგი და მიუვალი ალაგია? ერთხელ დიდი ძალი თხილი მოკრიფეს იქ დანიშნულთ და გზა ძლივსღა გამოიგნეს. თხილებისკენ გაეშურა. დაიარა იქაურობა... ერთი ქედანი აიფრინდა მარტო, სხვა იქ არავინ იყო. მერე იფიქრა, იქნება გამოქვაბულში იყოს, სადაც ნადირს ჩაუსაფრდება ხოლმეო. მაგრამ იქაც არავინ იყო. არა, ნეტავი რისთვისა სძებნის! ხომ იცის, რომ დომინიკი შორს არის და თავის დღეში ვეღარსად ნახავს! და რაც მეტად რწმუნდებოდა, რომ ის დომინიკს ვეღარ იპოვიდა, მით უფრო მეტად უნდებოდა იმის ნახვა და მით უფრო მეტი აჩქარებით დაეძებდა დაბურულ ტყეში. უცბად იფიქრა, იქნება ხეზედ ასულიყოს და იქ იმალებოდესო! და მას შემდეგ თავაღებული სინჯავდა დაბურულ ხეებს და ისე იყო დარწმუნებული, ან ესლა გამცემს ხმას, ან ესლაო, რომ წამდაუწუმ უძახდა მაღალი ხმით, მაგრამ პასუხი არსაიდან იყო. ერთხანად ეჩვენა, აგერა მოდისო და იქვე გაჩერდა, სუნთქვა შეეკრა გულმა მოძრაობა მოსპო. ან რა უნდა ეთქვა, რომ ეპოვნა კიდეც? ნუ თუ იმიტომ დაეძებდა, რომ წაეყვანა და მტრისთვის მიეცა, აბა დასვრიტეთო? ოჰ, ღმერთმა დამიფაროს! მაგის შესახებ კრინტსაც არ დავძრამო, ფიქრობდა. ნეტავი ვნახო და შორიდანვე იმას დავუძახებ, რომ წავიდეს, განშორდეს აქაურობას და განსაცდელს თავი დააღწიოს. იმავე დროს პატიმარი მამა მოაგონდა, რომელიც მარტო იმისგანღა მოელოდა შველას და გულმა ვნება დაუწყო. ვეღარ გაუძლო ამ წამებას, იქვე მწვანე ხავსზედ დაეცა და ტირილი დაიწყო:

— ღმერთო! ღმერთო! რატომ მე არ მომკლამ?

არა, სისულელე არ იყო ასე შორს წამოსვლა? იქნება მამა კიდეც მოუკლეს! წამოვარდა და გიჟივით გაექანა წისქვილისკენ. სამჯერ შეეშალა გზა, იფიქრა, ჩემს დღეში ვეღარ მივალ შინაო, მაგრამ როგორღაც მოუვიდა—სწორედ სოფლის პირდაპირ გავიდა სრულიად მოულოდნელად. რაკი სოფელი დაინახა, შეჩერდა: ნუ თუ წისქვილში მარტო უნდა მივიდეო?

სწორედ ამ დროს დაუძახა ვიღამაც ტკბილი ჩუმი ხმით:

— ფრანსუაზ! ფრანსუაზ!

მიიხედა და თავისი დომინიკი დაინახა: იქვე ორმოში ჩამა-ლულიყო. ღმერთო ძლიერო, ნუ თუ დომინიკაა!? მაშ გადაწყვეტილია, უნდა მოკვდეს?! ასე რომ ყოფილიყო, განგებისაგან განწირული რომ არა ყოფილიყო იმის დომინიკი, ხომ ვერც იპოვიდა? მივიდა და ორმოში ჩაცურდა.

— მე დამეძებდი, განა?

ისე ჰქონდა თავი დამძიმებული, თითქო გადამდნარი ტყვიით გაევსესო; თითონაც აღარ იცოდა რას ამბობდა.

— დიაღ, შენ დაგეძებდი.

— აჰა! რა ამბებია წისქვილში?

თავი დაღუნა, თვალები დახარა და ისე უპასუხა:

— არაფერი. შენი არა ვიცოდი-რა, გწუხდი და შენ სანახავად წამოვედი.

დომინიკი დამშვიდდა. თავის განზრახვაც აუხსნა: მე შორს ვერ-სად წავალ, თქვენი შიში მაწუხებს. პრუსიელებისთანა მყრალი ღმერთს არა გაუჩენია-რა. ჩემ ჯავრს სულ იქაურებზე და უსუსურ ბავშვებზე ამოიყრიანო.

— მოდი დღეის სწორს გადავიხადოთ ქორწილი, ჰა, ფრანსუაზ?

მაგრამ რაკი ნახა, რომ ფრანსუაზი ისევ ისე შეწუხებული იყო, თითონაც შეშინდა და დაეკითხა:

— რა გაწუხებს, ფრანსუაზ? იქნება მამალამ რასმე?

— არაფერს, გეფიცები, არაფერს! მე შენ სანახავად წამოვედი.

მივარდა, გადაჰკოცნა და წასვლა დააპირა. — უნდა გავფთხილ-დეთ, თორემ ვაი ჩვენი ბრალი! კიდევაც დიდი ხანი ვილაპარაკეთ! დომინიკს უნდოდა ამოსულიყო, ცოტა გაეცილებინა, მაგრამ ნება არ მისცა. თან გაცივებულივით კანკალებდა.

— ეგა რა გითხრა? ვატყობ იმას, რომ ამ ორმოს არ მოშორ-დე. ძალიან კარგადა ხარ აქა... აქ შიში არაფრისა გაქვს... არა, არა-ვინ დაგეძებს, მაგრამ...

— შენ რაღასაც მიმალავ, ფრანსუაზ!

და ხელახლად შეჰფიცა არას გიმალავო. ოღონდ მე ის მაჩვენ-ნია, აქვე ჩემს ახლო მეგულებოდე, ვიცოდე, სად მოგძებნოვო. — ბევრი ვიდექ სხვა რაღაცა უთხრა. ისე არეულად მოლაპარაკე თავის დღე-ში არსად ენახა დომინიკს თავისი დანიშნული. არა, ცხადია, რაღა-საც მიმალავსო, ფიქრობდა.

— მე აქედან წამსვლელი არა ვარ; კიდეც რომ შემეხვეწო, არსად წავალ... თუ არა და საცაა ჩვენი ჯარი მოგვეშველება. სოფლისკენ დღეს ჩვენი ჯარები უნახავთ,— ეუბნებოდა დომინიკი.

— ნეტამც აგრე,— შეჰყვირა ფრანსუაზმა.— ნეტავი მალე მოგვეშველებოდნენ-და!

სწორედ ამ დროს დარეკა სასოფლო საათმა თერთმეტი. ფრანსუაზი გიჟივით წამოვარდა, რადგან ორი საათი იყო, რაც წისქვილიდან წამოსულიყო.

— დომინიკ,— უთხრა საჩქაროდ თავის დანიშნულს,— თუ დაგეჭირდე რამე, ჩემი ოთახის ფანჯრიდან ცხვირსახოცს დავიქნევ და მოგეშველე.

და სირბილით გაექანა შინისკენ. დომინიკი განცვიფრებული დარჩა. განა არა, გრძნობდა, რომ ფრანსუაზი რაღაცას უმალავდა. მაგრამ რას? ორმოში ისე მოეწყო, რომ წისქვილი სულ თვალწინ ჰქონოდა, თავის დანიშნულის ნიშანი შეუმჩნევლად არ დარჩენოდა.

ფრანსუაზი კი საშინელი სისწრაფით მიეშურებოდა. ის იყო სოფელში უნდა შესულიყო, რომ ერთი ნაცნობი მთხოვარი შეხვდა; მთხოვარი მიესალმა და უთხრა, წისქვილიდან გაასხლები, მამათქვენს რაღაცას ემუქრებიან პრუსიელებიო. თან პირჯვარს იწერდა და მეტი მღელვარებისგან გულს ვედარ იბრუნებდა.

— ორი საათი უკვე გავიდა,— დაუძახნა აფიცერმა,— დაინახა თუ არა შორიდან მომავალი ფრანსუაზი.

ბიძია მერლიეც იქვე სკამზედ იჯდა და ჩიბუხს ეწეოდა. თითქო მამის დანახვაზედ უფრო გაუცხოველდა გულის ტკივილიო, ფრანსუაზი მუხლებში ჩაუვარდა აფიცერს და ისე შეჰღაღადებდა მამის განთავისუფლებას. თან იმედი ჰქონდა, ჩვენი ჯარი მოგვეშველებაო და უნდოდა, რაც შეიძლებოდა, მეტი დრო გაეყვანა. მწარედ ქვითინებდა და იმავე დროს მომავალი ჯარის ფეხის ხმა ისე გარკვევით ესმოდა, თითქო აგერ სოფლის თავში არიანო.

— ერთად-ერთი საათი გვიწყალობეთ, ბატონო, ერთი საათი. ერთი საათი რა არის, რომ ადამიანისთვის ერთი საათის სიცოცხლე დაიშუროთ!

მაგრამ აფიცერი მაგრად იდგა თავის ნათქვამზედ. ორ კაცს უბრძანა, წაიყვანეთ, მომაშორეთ ეგ ქალი, რომ ეს ბებერი უფრო გარკვად დავხვრიტოთო.

ჯოჯოხეთის ალი ენთო ფრანსუზის გულში: მამა გაეწირა, თავისი მშობელი მამა, თუ... არა, ისევ დომინიკი მოკლან... მოვეხვევი და მეც იმასთან მოვკვდები; ერთად მაინც დაგვმარხავენო, იფიქრა და ის იყო თავის ოთახისკენ გაბრუნდა, რომ ამ დროს თითონ დომინიკიც შევიდა ეზოში.

დომინიკის დანახვაზედ ცას დაეწივნენ პრუსიელები. იმან კი ყურადღება არავის მიაქცია, პირდაპირ ფრანსუზისკენ წავიდა და მშვიდად, თუმცა ცოტა არ იყოს სასტიკად უთხრა:

— ცუდი მოგივიდა, ფრანსუაზ, რომ არ წამომიყვანე! კიდევ კარგი, რომ მთხოვარი შემხვდა და იმისაგან გავიგე ყველაფერი... მერე აფიცერს მიუბრუნდა: აი, აქ ვარ...

V

სამი საათი იყო. ცა შავად მოღრუბლულიყო. სამოთხის დარ მინდორს მოქურუშებული ცის ქვეშ თავისი სიმშვენიერე დაეკარგა. თითქო ადამიანის დაუნდობლობას და გაუტანლობასა გლოვობსო... აფიცერმა დომინიკს არა უთხრა-რა და მაშინვე დაამწყვდევინა. ფრანსუაზი კი გულმოკლული და იმედ-მისდილი იქვე ეზოში იდგა და თუმცა ბიძია მერლიე ეხვეწებოდა, შენს ოთახში ადი და მოისვენეო, ის მაინც დომინიკის კარს მისჩერებოდა. ხანდახან მოაგონდებოდა, იქნება ჩვენი ჯარები ახლო იყვნენო, ყურებს სცქვიტავდა, თვალები იმედით გაუბრწყინდებოდა; მაგრამ დრო გადიოდა, აგერ საღამომ მოაწია და ფრანგის ჯარები კი არსად იყო. ეს მოლოდინი უფრო სტანჯავდა... დრო გადიოდა და მის სასოწარკვეთილ გულს კი არავითარი შვება არ ეძლეოდა.

სამი საათი იყო, რომ პრუსიელები ასაყრელად მზადებას შეუდგნენ. აფიცერი ისევ დომინიკის ოთახში შევიდა. ფრანსუაზი გრძნობდა, რომ იმის დანიშნულის ბედ-იღბალი ეხლა უნდა გადაწყვეტილიყო. და ცათაკენ ხელ-აპყრობილი ცრემლით ევედრებოდა ყოვლად შემძლებელს შველას და განსაცდელიდან დახსნას. ბიძია მერლიეც გვერდზედ უდგა და ისევ ისე მშვიდად, აუღელვებლივ ეწევოდა თავის ჩიბუხს. ბევრი რამ გადახდომოდა მოხუცებულ მეწის-

ქვილეს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში და კარგად იცოდა, რომ ღვთის განგებასთან ადამიანი წინააღმდეგობით ვერას გახდება.

— ოხ, ღმერთო, ღმერთო! — ქვითინებდა ფრანსუაზი... მოჰყავთ! მოსაკლავად მოჰყავთ!

მეწისქვილემ ხელი დაუჭირა მტირალს, ბავშვივით კალთაში ჩაისვა და ნუგეშინის-ცემას ცდილობდა, მაგრამ ამ დროს გამოვიდა ავიცერი და იმის უკან ორმა ჯარის-კაცმა დომინიკი გამოიყვანა.

— მაგას ჩემს დღეში არ ვიზამ, — უყვიროდა დომინიკი, — ჩემს დღეში! აი, მომკალით!

— დაფიქრდით, — ეუბნებოდა ავიცერი, — თქვენ არ იქნებით, სხვა იქნება. ეგ ჩვენთვის სულ ერთია და, თქვენ კი, მაგ მცირე სამსახურისთვის მე სიცოცხლეს გპირდებით. ამ ტყეს გაგვატარებთ, მონტრედონში აგვიყვანთ და სრულიად თავისუფალი იქნებით. ტყეში ბილიკები იქნება; რასაკვირველია, გეცოდინებათ?

დომინიკი პასუხს არ აძლევდა.

— მაშ არ გინდათ?

— მომკალით და გაათავეთ! — უპასუხა დომინიკმა.

ფრანსუაზს ახლა დომინიკისთვის გაეპყრო ხელები და შორიდან ევედრებოდა, დათანხმდიო; იმას აღარა ახსოვდა-რა, არცკი გრძნობდა, რომ თავისი ქვეყნის ღალატს ევედრებოდა. მაგრამ მოხუცებული მერლიე იქვე იდგა: ხელები დაუჭირა და ზურგ უკან მაგრა გაუკავა, რომ პრუსიელებს იმის ქალის თავდავიწყება არ შეენიშნათ.

— ყოჩაღ ბიჭო! — წასჩურჩულა თავის ქალს, — ღალატს სიკვდილი არ ურჩევნია?

თორმეტი კაცი კი ისევ ისე გაამწკრივეს ეზოში ავიცერს იმედი ჰქონდა, უკანასკნელს წამს შეკრთება, სიკვდილს შეუშინდება და დამთანხმდებაო. შორიდან საშინელი ჭექა-ქუხილი ისმოდა. ჩამოცხა, თითქო მირს ჩამოწოლილი ღრუბლები ცოდვილ დედამიწას დასჩხრობას უქადიანო. და უეცრად ვიღამაც დაიყვირა:

— არიქა! ფრანგის ჯარები!

და მართლაც, სოფლის გზაზედ, ტყის პირას წითელი შარვლიანი ჯარი გამოჩნდა. და აირივნენ პრუსიელები, ხან აქეთ ეხლებოდნენ, ხან იქით, თან რაღასაც გაიძახოდნენ. ჯერ თოფი არ გავარდნილიყო.

— ჩვენი ჯარი! ჩვენი ჯარი! შეჰყვირა გახარებულმა ფრანსუაზამ და ტაში დაჰკრა.

ნამდვილად შეშლილი იყო; მამას ხელიდან გასხლტომოდა, და სიცილით და ტაშით დარბოდა ეზოში. მაგრამ უეცრად აფიცრის ხმა შემოესმა:

— ჯერ ჩვენი ანგარიში გავასწოროთ!

აფიცერმა თითონვე მიაგდო დომინიკი კედლისკენ და ჯარისკაცებს სროლა უბრძანა. ფრანსუაზა რომ მოვიდა, დომინიკი მიწაზედ ეგდო და გული თორმეტი ტყვიით ჰქონდა დასხვრეტილი.

ნეტავი ტირილი შესძლებოდა! გაქვავებულივით იდგა შუა ეზოში და თვალებ-დაშტერებული უყურებდა თავის დანიშნულს. მერე ნელი ნაბიჯით მივიდა და გვერდით მოუჯდა. გაშეშებული დასცქეროდა, თითქო რაღასაც იგონებს: და ვეღარ მოუგონიაო.

პრუსიელებს ახლა ბიძია მერლიე დაეჭირათ მძევლად.

სამაგალითო ომი ატყდა ბიძია მერლიეს წისქვილში. პრუსიელმა აფიცერმა კარგად იცოდა, რომ გზა ყოველ მხრივ შეკრული ჰქონდა და, რასაკვირველია, ეცდებოდა ძვირად დაესვა თავისი სიკვდილი. წისქვილი ახლა პრუსიელებმა გაამაგრეს და ფრანგები იერიშით მიდიოდნენ. და ატყდა სროლა. ნახევარ საათი მეტი გასტანა სროლამ. მერე უეცრად რაღაცამ იჭექა და უშველებელი ტოტი ჩამოტეხა ყუმბარამ შუა ეზოში მდგომ იფნას. ფრანგების ზარბაზნები სწორედ იქ გაემწკრივებინათ სადაც, დომინიკი იმალებოდა და იქიდგან სცემდნენ წისქვილს და სოფელს. ზარბაზნებს პრუსიელები, რასაკვირველია, დიდი ხანი ვერ გაუმაგრდებოდნენ.

საწყალი წისქვილი! მოდიოდა ყუმბარა და ხან ერთ კედელს შეანგრევდა, ხან მეორეს. ნახევარი ბანი გადაიგლიჯა. ორი კედელი გადაენგრია. მორელის მხრივ ხომ სრულიად ავერანებული იყო შენობა. ლამაზად ასული ბაილო მთხოვარის ჯღანებივით ჩამოჰკიდებოდა ცხავივით დასხვრეტილ კედელს. ფრანსუაზას ოთახის კედელი ჩანგრეულიყო და თოვლივით თეთრი ზეწრით გადაფარებული ლოგინი მოჩანდა. მრავალ-ტანჯულის ჩარხს ზედიზედ მოხვდა ორი ყუმბარა. შეიძრა ბიძია მერლიეს ჩარხი, უკანასკნელად ერთხელ კიდევ დაიკვნესა... დაიშალა და ხმ წყალს გაჰყვა,

რომელიც მას სულს უდგამდა. ბიძია მერლიეს მხიარულ წისქვილს სული ამოხდა.

ახლა კი იერიშით მივიდნენ ფრანგები წისქვილზედ და ხელ-და-ხელ შეებრძოლნენ ჩასაფრებულს მტერს. წყლის პირი მკვდრებით გაივსო. მორელის წყალს ადამიანის სისხლი შერევოდა და გაწითლებული მიისწრაფოდა ამ საშინელი ადგილიდან; მარჯვნივ და მარცხნივ ამართულ ტყეების შრიალში ადამიანისადმი სიბრალულის კვნესა ისმოდა და ამ კვნესას ბანს აძლევდა შეშინებული წყაროს ჩუმი ტირილი და დაჭრილთა გულსაკლავი ოხვრა-გმინვა.

ფრანსუაზი ისევ ისე დომინიკის გვერდით იჯდა და გაშტერებით დასცქეროდა. იქვე იმის მახლობლად ბიძია მერლიე ეგდო: ერთი დაკარგული ტყვია სცემოდა საწყალ მოხუცს და ისე უცბად ამოხდომოდა სული, რომ ხმის ამოღებაც ველარ მოესწრო. ბოლოს პრუსიელები სულ ამოჟლიტეს და დიდი გიჟინით შევიდა წისქვილის ეზოში ძლევა-მოსილი ჯარი. ჯარს წინ კაპიტანი მიუძღოდა და გამარჯვებისაგან გახარებული მხიარულად მიაბიჯებდა მოკლულთა და დაჭრილთა შორის. დანგრეულს წისქვილს ცეცხლი წაჰკიდებოდა, აქეთ-იქით ნანგრევები და მკვდრები ეყარა, სისხლის რუ დიოდა... მარტო ფრანსუაზიღა იჯდა თავის მამის და დანიშნულის ცხედართა შუა და შეშლილის თვალით დასცქეროდა დომინიკის გვამს. ის რომ დაინახა გამარჯვებულმა კაპიტანმა, მივიდა, კოხტად გამოეჭიმა, მოხდენილი მხედრული სალამი მისცა თავის ხმლით და უთხრა:

— მომილოცავს, ბატონო, გამარჯვება ჩვენია!

X.

# მიჯაჭული პრომეთე

## დრამა ესხილისა

იო

სად-ვარ? რომელი
ხალხი აქ მკვიდრობს? (მიაცქერდება) მითხარით, ვინ არს
იგი რომ დამზერს, მიჯაჭული კლდეს,
ნიავ-ქარისგან დაუცველს? რისთვის
დასჯილხარ? მარქვი, საით მომაგდო
მე ხეტიალმა საბრალო ქალი?
უი, უიმე! მე ხელახლად მკბენს
საწყალობელსა კრაზანა, ლანდი
დედა-მიწის ძის, არგუსის. მიწავ,
მიხსენ, თვალთ მიდგა ათასთვლიანი
გზირი! იგი მდევს მცბიერ თვალებით,—
მას მკვდარსაც კი არ კადრულობს მიწა,
იგი საფლავშიც ჩამედევნება
უბედურს, იგი მდევნის მშიერსა,
ზღვის ქვიშნარ ნაპირს... ძილსა მგვრის მღერა
ცვილით შეკრულის სალამურისა...
ვაი, ვაი მე! სად მომაგდო მე
შორს ხეტიალმა?.. რა დავაშავე
მე შენს წინაშე, კრონოს ძევ, რისთვის
მტანჯავ? სულს რისთვის მართმევ უბედურს,
უგუნურს მით, რომ კრაზანას უკან

*) იხ. „მოამბე“ № V, 1897 წ.

გამოდევნებით მაშინებ? თავსა
დამატეხე მე მეხი ან მიწის
ქვეშ დამფარე, ან მიმეც საზრდოდ
ზღვის გველ-ვეშაპებს!.. მეფე, ისმინე
ვედრება ჩემი!.. დიდხანს დავყავი
მე მწირობაში, მაინც ვერ ვპოვე
თავშესაფარი, და არც კი ვიცი,
როს გათავდება ჩემი წამება!
გესმის თუ არა ძროხის—რქოსანის
ქალის გოდება?!

პრომეთე

როგორ არ უნდა
დავუგდო ყური ინაქის ახალ
გაზრდა ქალიშვილს, კრაზანას მსხვერპლსა!
რადგანც ზევსს უყვარს, ჰერას შესძულდა
და ქვეყნის პირსა ძალად ახეტებს.

იო

საითგან იცი, ვინ მყავს მე მამა?..
მითხარ უბედურს, ვინ ხარ, ვინა ხარ,
შენ წამებული, რომ ეგრე კარგად
გიკითხავს ჩემის ტანჯვის ამბავი?
გეცოდინება შენ განსაცდელი,
მაღლით ჩემდამო მოვლინებული,
ის განსაცდელი, რისგნაც ვიტანჯვი
დაუსრულებლად, რაც გულს მიღონებს.
უი, უიმე! აქ მოვირბინე
მშიერმა დიდის მგზავრობისგან,
ჰერას გულისა წყრომისა მსხვერპლმა.
განა არიან უბედურები,
რომელიც ისე იტანჯებიან,
როგორათაც მე? მითხარ პირდაპირ,
კიდევ რა ტანჯვა მიწერია მე,
გამიტყდი, არა დამიფარო-რა,

თუ იცი, რითი ან რა წამალი
გამკურნებს ჩემის სნეულებისგან.
მომეც პასუხი, ამიხსენ საწყალს
მოწანწალე ქალს!..

**პრომეთე**

დაუფარავად
გეტყვი ყველაფერს, რაც გსურს შეიტყო, —
მარტივად, წრფელად, მას, თუ ვით უნდა
ელაპარაკოს კაცი მეგობრებს:
დგას შენს წინაშე პრომეთე, კაცებს
ცეცხლის ხმარება რომ დაასწავლა...

**იო**

რისთვის იტანჯვი, ბედშავ პრომეთე,
რომელმაც კაცთა ნათესავს უყავ
კეთილი საქმე?

**პრომეთე**

ეს არის ეხლა
მე დავასრულე გულის საკლავი
ამბავი იგი ჩემთა ტანჯვათა.

**იო**

განა არ უნდა გამიწიო მე
სამსახური რამ?

**პრომეთე**

მითხარ, რა გინდა:
შენთვის უარი მე რას მიქვია.

**იო**

მითხარ, სალ კლდეზე ვინ მიგაჭედა?

**პრომეთე**

ზევსის ნებამან ჰეფესტოს ხელმა.

**იო**

რისთვის დასჯილხარ?

**პრომეთე**

აკი მოგითხარ, მეტს არას გეტყვი.

**იო**

მითხარი მაინც, როს დასრულდება
წამება ჩემი, საბრალო ქალის?

**პრომეთე**

შენთვის არ ცოდნა უმჯობესია,
ვიდრეღა ცოდნა.

**იო**

რაც უნდა იყოს,
ნუ დამიმალავ ჩემს მომავალსა
უბედურებას.

**პრომეთე**

მაგ სამსახურის
უარს ვერ გეტყი.

**იო**

რად ვერ მიბედავ
ყველაფრის თხრობას?

**პრომეთე**

მე მზად გახლავარ;
მხოლოდ კი ვშიშობ, ვა თუ დაღონდე.

**იო**

დაე; ეგ შენი გამჭრიახობა
ეპირისპიროს ჩემს გულის იქმასა.

**პრომეთე**

რახან გსურს, უნდა გითხრა, მისმინე...

**ხორო**

მოიცა (იო) ჩვენცა გვასიამოვნე,
ჯერეთ მოგვიყევ შენის უბედურ
ბედის ამბავსა, შენს წამებასა. (პრომეთეს)
ხოლო მას უკან ეტყვი ამას თუ
რა სატანჯველნი ელოდებიან.

**პრომეთე**

იო, ვალი გაქვს, რომ აუსრულო
მათ სათხოვარი, მით უმეტეს, რომ

ისინი შენი მამიდებია.
სარგებლით განვლის იგი დრო-ჟამსა,
ვინც დასტირის, სწუხს თავისს ბედს იქა,
სადაც იცის, სომ იმასთან ერთად
ტირილს იწყებენ მისი მსმენელნიც!

იო (ხოროს)

არ შემიძლია, უარი გითხრათ, —
თქვენ დაწვრილებით ყველაფერსა გაცნობთ,
რის ცნობაცა გსურსთ, თუმცა მე ვსტირი
იმ დროსაც კი, როს ამბავს მოვყვები;
რით იწყო ჩემი უბედურება, —
ის განსაცდელი, ჩემდა ღმერთთაგან
მოვლინებული, და მასთან ჩემი
გარდაქცევაცა. ხშირად ვხედავდი
სიზმრებს ჩემ საწოლ საქალწულოში,
ჩამჩურჩულებდნენ, ვითომც სიტყვებსა
მეტად სასურველს: «ნეტარო ქალო,
რისთვის ინახავ ეგრე დიდხანსა
შენს უბიწობას, როს გყავს შენ საქმრო,
რომელსაც სწორი არ ეპოვება?
შენ უყვარხარ ზევსს და სურვილიც აქვს
თვის სიყვარული გაგიზიაროს.
ჩემო ყრმავ, უარს მის გულის თქმასა
ნუ ეტყვი, ქალი, უმჯობესია,
სქლად მობიბინე ლერნას მინდორსა,
სადაც სძოვს ჯოგი მამი-შენისა,
და მორჩილებით ზევსს დაჰნებდიო...»
საწყალობელი მე ყოველ ღამეს
ვხედავდი სიზმრებს სულ ამისთანებს
და ბოლოს როგორც იქმნა გავბედე,
მეთქვა მამისთვის ღამის ზმანება.
მას არა ერთხელ მოციქულები
გაუგზავნია დელფოს, დოდონას

ქადაგებთან, თუ სიტყვა ან საქმე
ვითარ ხამს ღმერთნი ღმობიერ ვყოთ.
მოციქულით მუდამ მოუტანიათ
გამოცანა რამ, ბნელი, უაზრო
საპასუხონი. ინაქსა მოსდის
ქადაგისაგან ბოლოს დროს მოჭრით
თქმული პასუხი, რომლითაც ცხადად
ებრძანებოდა ჩემი განდევნა
მამის ოჯახით და სამშობლოთგან
და ნების დართვა ქვეყნად მეარა
მე თავისუფლად მის კიდეთამდე.
თუ იურჩებდა, იგი ზევსის მეხს
უნდა წაეღო და გაეწყვიტა
მასთანვე მისი შთამომავალიც.
აპოლონისა ქადაგის თანახმად,
გამომაგდო მე მამამ სახლითგან,
გამომიხურა მისი კარები, —
უგულოდ, ჩემდა უნებურადაც,
მაგრამ ესრეთი იყო ბრძანება
ზევსისა, მამაც თანამდებ იყო,
ურჩობა მისთვის არ გაეწია.
მყის პირისახე და გონივრობა
სხვებრ შემეცვალა; როგორცა ხედავთ,
ამომივიდა რქები. მკბენდა მე
კრაზანა თვისის მწვეტიან ისრით
და გიჟურ ხტომით მე მივირბინე
კერხნეს ჩინებულ წმინდა წყაროსთან
და ლერნას ტბებთან ქუსლ-და-ქუსლ მდევდა
დედა-მიწისა უკეთური ძე
არგოს, ის ჩემი დარაჯი; თვისის
ურიცხ თვალებით თვალს ადევნებდა
ყოველ ჩემს ნაბიჯს. ის უცბად მოკვდა,
მე კი ტანჯულმა კრაზანასაგან

ვიწყე მწირად სვლა ქვეყნითი ქვეყნად,
ღმერთების გულის-წყრომისა მსხვერპლმა.
აი აქამდე რა იყო ჩემს თავს (პრომეთეს),
თუ რამე იცი უბედურების,
რაც გადამხდება, ბარემ მოჰყევი,
ნუ მომატყუვილებ, ნუ მოიცრუებ,
ჩემი შემბრალე: მიითქვამს სიცრუე
ყოვლად საზიზღარ ბიწთაგანია...

**ხორო**

უჰ, უჰ, გეყოფა! ჩვენ არასოდეს
არ გვიფიქრია, თუ მოვისმენდით
უცხო მოთხრობას ეგრე საზარელს,
ძნელად მოსათმენ მწუხარებისას,
ეგრეთ ტანჯვისას, გაჭირვებაც გვწყლავს.
ვა ბედის წერა, ვა ბედის წერა,
ვთრთით შემხედვარე იოს ბედისა!..

**პრომეთე**

თქვენ დაეშურეთ ტირილს, ეგ შიში
ნაადრევია, მოითმენით იყავთ,
ვიდრე შეიტყობთ, თუ რა მოელის.

**ხორო**

სთქვი, ნუღარ ჰმალავ: უბედურთათვის
სანუგეშოა ნამდვილ წინასწარ
ცოდნა მომავალ მათ თავს შავ დღეთა.

**პრომეთე**

მე არ მიჭირდა, რათა სრულ მეყო
პირველი თქვენი გულის წადილი:
თქვენ გესმათ ჯერეთ ამბავი იმის
ტანჯვათა თვითონ იმისვე პირით;
აწ მოისმინეთ თქვენ დანაშთენი, —
რა გასაჭირი შეხვდება ამ ქალს
გერასაგან (იოს); შვილო ინაქისაო,

უყურე კარგად მას, რასაც გეტყვი,
თორემ გაგებით ვერას გაიგებ,
თუ სად თავდება შენი წანწალი.
აქიდამ ჯერეთ აღმოსავლეთით
პირს მიიბრუნებ, გზას გაუდგები
გაუამირებულ მიწებისაკენ
და მომთაბარე სკვითებთან მიხვალ.
კარკ-მოისარნი, იგინი ბინად
არიან მაგარ, მაღალ ურმებში,
წკნელით ჩაწმახნულ კარვებში. თავი
არიდე იმათ, გასცილდი იმათ
მიწა-წყალსა და პირი იქციე
კლდეებისაკენ, რომელთაც ზათქით
ეხეთქებიან ზღვისა ტალღები,
მარცხნით მკვიდრობენ ხალიბნი, რკინის
ჭედვა ხელობად მათ გაუხდიათ.
უფრთხილდი იმათ,—ველურ არიან
და სიძულვილით უცხოთ უმზერენ.
მერმე მიხვალ შენ გიჟ მდინარესთან,
რომელსაც ტყვილად არ დარქმევია
მისი სახელი. მას გასცილდები —
იგი ძნელიად გასასვლელია —
და მიადგები კავკასიის მწვერვალს
სწორედ იმ ადგილს ამ უმაღლესის
მთათაგანისას, სადაც თავი აქვს
იმ გიჟს მდინარეს. შენ გადახვალ მის
მწვერვალს მიწდომილს ვარსკვლავებამდე
და დაეშვები სამხრეთისაკენ,
სადაც შეხვდები მეომარ ქალწულ
ამაზონებსა, რომელნიც შემდეგ
დაასახლებენ ტემისკირასა,
თემოდონტისა ნაპირებზედა,—
იქ, სადაც ზღვაში შეჭრილან ზღვათა

მოგზაურიათვის საშიშნი ბასრნი
სალმიდეს კლდენი, ხომალდთ მომუქრე
ამაზონები გზას გიჩვენებენ
ხალისითაც კი. მას უკან მიხვალ
კიმერის სორეტს, მაგრამ დასტოვებ
განზე და გასწევ გაბედულობით
მეოტიდისა ჭაობისაკენ.
შენის მწირობის სახსენებელი
არასოდეს არ გაწყდება ხალხში
და ბოსფოროცა შენდა პატივად
მიიღებს თვისსა სახელწოდებას,
ევროპიიგან შენ მიხვალ აზიას... (ხოროს)
სთქვით, ღმერთთა მეფე განა არ იჩენს
სუყველაფერში თვისს გულფიცხობას?
ღმერთს, მას სწადოდა განეზიარა
ამ სიკვდილისა შვილისათვის თვისი
სიყვარული და იძულებულ ჰყო
ტანჯვას. ასულო ჩემო, საშიშ არს,
ვინც გდევნის, თვისის სიყვარულითა
ის, რაც აწ გესმა ჩემგან,—მხოლოდდა
დასაწყისია შენ შავთა დღეთა...

**იო**

ვაი მე! ვაგლახ!

**პრომეთე**

ხელახლა ჰყვირი
და ოხრავ. რაღა დაგემართება,
როც შეიტყობ ტანჯვას, რომელიც
უნდა გადაგხდეს?

**ხორო**

მაშ იტყვი, მაგას
უბედურება როგორი ელირს?

**პრომეთე**

დიდ გასაჭირთა მფოთიანი ზღვა!

**იო**

რადა ჰირი მაქვს მე სასიცოცხლო?
განა უმჯობეს არ იქნება, რომ
ეხლავ ამ ქურუხ კლდით გადავვარდე,
რათა მიწაზე დანარცხებითა
ბოლო მოვუღო ყოველ სატანჯველს?..
უმჯობესია ერთბაშად მოვკვდე,
ვიდრე ვიწვალო მრიელ სიცოცხლესა...

**პრომეთე**

შენთვის რა ძნელი იქნებოდა, რომ
გამოგეარა ჩემი ტანჯვანი,
ხომ უკვდავი ვარ, მაგრამ სიკვდილი
დამიხსნიდა ამ განსაცდელთაგან.
ეხლა კი ბოლო აღარ ექმნება
ჩემ სატანჯველთა, თუ რომ ტახტითგან
ზევსი არ იქმნა ჩამოგდებული.

**იო**

განა დადგება ის დღე, როდესაც
ზევსს ხელმწიფება აღარ ექმნება?

**პრომეთე**

მგონია, იმის უბედურობის
შენ იქმნებოდი ფრიად მოხარულ?

**იო**

მაშ არა და,—თუ არ ზევსი, აბა
ვინ არი ჩემის ტანჯვის მიზეზი!

**პრომეთე**

ეგ რომ იქმნება, მაგის თავდებ ვარ.

**იო**

ვინ ჩამოაგდებს იმას ტახტითგან?

**პრომეთე**

მის საკუთარი უგუნურება.

იო

როგორ?—ამიხსენ, თუ არას გავნებს.

პრომეთე

კავშირს შეჰკრავს და ადრე თუ გვიან
კავშირი იგი მას გაუხდება
სასინანულოდ.

იო

დედა ღმერთთან, თუ
ქალთან, სიკვდილის შვილთან? სთქვი აბა,
თუ შეგიძლია.

პრომეთე

ვისთანაო, ეგ რა
საკითხავია? საიდუმლოა.

იო

ხელმწიფება მას ეგებ წაართვას
მისმა სატრფომან?

პრომეთე

არა, სატრფოს ძემ,
ვინც რომ იქნება უძლიერესი
თვისის მამისა.

იო

ვერც მას აჰსცდება
ეს ბედშაობა?

პრომეთე

ვერა, — თუ ბორკილს
არ გადამარჩენს.

იო

განა გჯედავს
ვინმე შენს დახსნას ზევსის ნებისა
წინააღმდეგი?

პრომეთე

დიაღ?—ერთი შენ
შვილთ ნატამალი.

იო

რათ? ეგება
გადაგარჩინოს ტანჯვას ჩემსა ძემ?

პრომეთე

არა, მათ შენთა ნატამალთ შორის
მეცამეტემან.

იო

უკანასკნელის
მაგ შენ წინასწარ მეტყველებისა
არ მესმის რა.

პრომეთე

ნურც შენა მკითხავ
შენ შავის ლდისას.

იო

მაშ ამიხსნილე
შენი ნათქვამი.

პრომეთე

ორ ხვაშიალში
გამოგიმჟღავნებ მარტოკა ერთსა.

იო

ჯერეთ სთქვი, აბა რა და რა არის,
და მომეც ნება ამოვირჩიო.

პრომეთე

ამოირჩიე, რომელიც მოგწონს,—
ან დაწვრილებით გიამბობ, თუ რა
დაგმთენია შენ სატანჯველი, ან
დაგისახელებ შენს მყოფად მხსნელსა.

ხორო

უმჯობესია, ერთი თავგზა
მას უყო, ხოლო მეორე ჩვენა.
სრულ გვიყავ თხოვნა, იმას—უთხარი,
თუ როს ექმნება ბოლო მის წანწალს,

ჩვენ—შენის მხსნელის სახელი გვითხარ:
მოწადინე ვართ მისი ცნობისა.

**პრომეთე**

რა კი გწადიათ, ვერ გეტყვით უარს,
რომ აგისრულოთ, რასაც კი ითხოვთ.
ჯერეთ გიამბობ, იო, შენ მყოფადს
ხანგრძლივს წანწალსა. დაე, ამბავი
ესე შენს გულსა ღრმად შთაებეჭდოს.
რაკი გადახვალ სორეტს, რომელიც
შუა ჰყოფს ქვეყნის ორსა ნაწილსა,
გიხამს ერიდო ქარიშხლიან ზღვას
და გაემგზავრო იქ, სადაც მნათი
მზე აღმოხდება, სანამ არ მიხვალ
კისტენას, ჴალას გორგონისასა;
სადაც ცხოვრებენ სამნი ასულნი
ფორკინოსანი, გედის-თავანი.
მათა აქვთ ერთი ზოგადი თვალი,
ერთი ზოგადი კბილი; ისინი
ვერასოდეს ვერ ხედვენ მზის ნათელს,
ვერც დამით მთვარეს აღმომავალსა—
იმათ მახლობლათ ცხოვრებენ მათი
სამნი კაცთათვის საშიშ ფრთოსანნი
დანი—გორგონნი. თმის წილ მათ თავსა
გველნი ასხიან, ვერც ერთი კაცი
ვერ შეხედავს მათ, არ დაისაჯოს.
ამას ვამბობ მე განზრახ, გაფრთხილო.
შენ მოისმინე სხვა ურჩხულების:
ერიდე ზევსის საშინელ მსახურთ,
მტაცებელ ფასკუნჯთ, მებრძოლ ცხენოსან
არიმასპებსა ცალთვალიანებს,
ვინც რომ პლუტონის ოქროსან წყალის
ნაპირთ მკვიდრობენ. შორს დაიჭირე
იმათგან თავი. მასუკან მიხვალ

შორეულ ქვეყნად, შავ თემთან მზისა
წყაროთა მკვიდრსა, სადაც აგორვებს
თვის წყალს მდინარე ეთიოპისა,
იარე იმის ნაპირთა გასწვრივ,
სანამ არ მიხვალ იმ ჩანჩქერებთან,
საითგანაც თვისს წყალს გადმოაქანებს
ეს საღვთო, გემოთ საამურის წყლის
მქონი მდინარე, ცნობილი ამავ
ადგილის გამო ნილოს სახელით,
რომლის სათავე ბიბლოს მთებშია.
მის მდინარებას შეუდეგ, მიხვალ
ნილოს დელტაში, სადაც შენ, იო,
და შენ შვილებსა შორს ახალშენის
დაფუძნებასა ბედი გარგუნებსო. (დაცინვით)
თუ შენთვის რამ არს გაუგებარი,
ბნელი იმაში, რაც რომ გიამბე,
მკითხე, აგიხსნი: თავისუფალი
დრო მაქვს უმეტეს, ვიდრე მსურს მქონდეს...

**ხორო**

თუ რამ ვერა სთქვი დაბოლოებით,
ან გამოსტოვე მაში, რაც გვითხარ
მის, შავდიანის წანწალის, მოჰყევ:
ხოლო, თუ აღარ გაქვს დასაძენი
აღარაფერი, აჯა გვისმინე
კმაყოფილ ჰყავი ჩვენი სურვილი.

**პრომეთე**

თუ რა ბოლო აქვს მის მწირობასა,
იგი ცხადია მისთვისვე, ხოლო
რათა იცოდეს, რომ აღსრულდება
ჩემი ნათქვამი, ვიტყვი თუ იმან
რა მოიჭირვა, სანამ მოვიდა
აქ, — ჩემ წინასწარ თქმულის სიმართლეს

ღირს სარწმუნოდ მას გაუხდის ესე.
დუმილით ჩავვლი მომეტებულსა
და ვიტყვი მხოლოდ ამბავს იმ შენის
უკანასკნელის მწირობისასა.
როცა მოხვედი მოლოსთ ქვეყანას,
დოდონას, მთაზე გაშენებულსა,
სადაც ქადაგი არის, მასთანვე
ტაძარი იგი ტესპროტის ზევსის,
და ჩინებული საკვირველება—
მუხანი იგი წინასწარ თქმისა,
იგინი ცხადად, ჩაუფიქრებლად
მოგემშვიდობენ შენ, როგორც მეოფადს
ზევსის მეუღლეს ღრმად პატივსცემს,
განა ეს არ გიჩნს თავმოსაწონად?
ცოფმოდებული მასუკან მოხველ
ნაპირ-ნაპირა რეას ვრცელ ყურეს,
და იმას აქეთ შენ ხელახლავე
გეწყება ძნელი მოგზაურობა,
სიტყვას გაძლევ, რომ,—ამიერითგან
ყოველი ხალხი უწოდებს ერთსა
ზღვის ყურეთაგანს იონიისად
შენის მწირობის მოსაგონებლად.
აჰა შენდა მის საბუთად, რომ მე
განვჭვრეტ მომავალს. დანარჩენს მოჭრით
მოგახსენებთ თქვენც და იმასაც, რომ
დავუბრუნდები ამბავს, რომელიც
შემიწყვეტია. დელტის ჩრდილოეთს,
მახლობლად ნილოს შესართავისა,
მახლობლად მისგან დაყრილ შლამისა
არის ქალაქი — კანობ. აქ ზევსი
ნაზად გახლებს ხელს,—მხოლოთ შეგეხვის—
შენ დაგიბრუნებს შენს გონებასა,
და გეყოლება შავი ეპაფო,

(რომლის სახელი მოგვაგონებს, რომ
ზევსი შეგეხო). იგი იცხოვრებს
ქვეყნად, რომელსაც ჰრწყავს ფართო ნილოს,
იმის მეხუთე მოდგმა—ასული
ორმოც და ათი გადასახლდება
ხელ-ახლავ არგოსს, მაგრამ საკუთარ
ნებით კი არა, არამედ მისთვის,
რომ აკრძალული გვირგვინი არ ჰსურსთ
ისკვნან თავიანთ ბიძაშვილებთან.
უკანასკნელნი, გატაცებულნი
გულის-თქმით, დევნას დაუპირებენ
თავიანთ ცოლვის მიჯნურობასა,
როგორც მიმინო მტრედებს კვალ-და-კვალ
დაედევნება, მაგრამ სასჯელად
ღმერთი მათ მისცემს სიკვდილს,—არგოსში
ამოწყდებიან; ღამის შეწევნით,
ქალის ხელითა: თვითეულივე
მათ ცოლთაგანი მოუსპობს თვის ქმარს
სიცოცხლეს, ყელში ორპირ მახვილის
ჩარჭობით. ნეტავ ამ ნაირადვე
ბედნიერ იქმნეს ქორწილი ჩემის
მტრებისთვის!.. მხოლოდ თვისს ქმარსა ერთი
ცოლი დაზოგავს მის სიყვარულის
გამოისობით, მას შეუკრთება
ხელი და იგი არჩევს ეწოდოს
მხდალი, ვიდრეღა მკვლელი კაცისა.
იგი გახდება არგოსელ მეფეთ
გვარეულობის წინაპარი. ეს
რომ გიამბოთ ვრცლად, ბევრი დრო უნდა.
დაიბადება ამ გვარში გმირი,
სახელოვანი მოისარი, ვინც
მიხსნის ტანჯვისაგან, ვით წინასწარ
მითხრა მოხუცმა დედამან ჩემმან,

ტიტანის ქალმა, თემიდმან, ხოლო
სად და რა გვარად,—ამაზედ სიტყვა
ერთობ შორს წავა, და საჭიროც კი
არ არის შენთვის ამისი ცოდნა...

იო

უი! ხელ-ახლავ მეწყება ბნედა;
გონება ჩემი იმღვრევა, ცოფი
მიპირებს კბენას თვისის დამწველის
საწერტელითა!.. შიშისგან გული
მეკუმშვის. თვალნი მიშტერდებიან;
მიპყრობს სიბრაზე გამძაფრებელი...
ენა არ მერჩის და ფიქრი ჩემი
შეშფოთებული ამაოდ ებრძვის
ჩემ საშინელის ნაღვლის ტალღებსა. (გარბის)

ხორო

ბრძენი ყოფილა, დიაღ, ბრძენი ის,
ვინცა პირველად დაასკვნა და სთქვა
ჭეშმარიტება, რომ ბედი უფრო
სდევს ქორწინებას მხოლოდ სწორთ შორის
და რომ დატაკსა არ შეშვენისო
შერთვა მდიდრის თუ ჩინებულ ქალის,
ჰე მერნო, წილად ნურასოდეს ნუ
გვარგუნებთ ზევსთან მიჯნურობასა,
დაე ჩვენ შორის ნურვინ იქნება
ღმერთისა ცოლი; გვეშინის ვმზერდეთ,
ქალწულ დარჩენა რომე ეწადა,
საწყალ ქალს იოს, რომელსაც გერამ
დაუდო სასჯელად წანწალი მძიმე
და საზარელი, მაგრამ ქორწილი
თანასწორი ჩვენ საშიშ არ გვიჩანს,
არც გვეშინიან, დაე, ძლიერნი
ღმერთნი ვნებიერ, მცბიერ თვალებით
ნუ გვიყურებენ. ბრძოლა იმათთან

არაა სწორი, უბოლოება
მისი ბოლოა, რომ არ გვცოდნოდა,
თუ ჩვენ რა გვექნა, — ვერც ვიფიქრებდით
მას, თუ ზევსისგან დევნა როგორდა
ჩვენ აგვეცდინა.

პრომეთე

აცადეთ, ზევსი
კვლავ დამშვიდდება, — თუმც მწყრალად არის, —
როს ისკვნის გვირგვინს, რომლის წყალობით
ტახტით იქმნება ჩამოგდებული,
წაერთმის ძალა. მაშინ ნამდვილად
ახდება კრონოს მამა მისისა
წყევლა, რაც რომ სთქვა მაზედ ძველ ტახტით
ჩამოგდებულმა. არც ერთს ღმერთთაგანს
არ შეუძლია უთხრას მას ცხადად,
თუ რით ძალ-უძს მას დაიხსნას თავი
დიდ მარცხისაგან; არვის ჩემს მეტსა,
ამის ღონე კი მე ვიცი. ხოლო
ჯერჯერობით ჯდეს თვისს მაღალ ტახტზე,
უშიშარ, თვის მეხთ მოსავი, მლეწი
ხელით ელვისა!.. ვერრა იხსნის მას
ამ სათაკილო დასაძრახავის
დაცემისაგან. იგი თვითონვე
თავისთვის ეხლა იმზადებს მტერსა,
დევს, რომელთანაც შეუძლებელ არს
ბრძოლა, რომელიც ჰპოვებს ცეცხლს უფრო
ძლიერს, ვიდრედა ელვას, მეხს უფრო
საზარს, ვიდრედა მეხსა, რომელიც
შემუსრავს ლახვარს სამკბილოვანსა
პოსიდონისას, რომლისაგანაც
ძრწის დედა-მიწა. გაჭირებაში
ზევსი ჰსცნობს, რომე მეფედ და მონად
ყოფნა არაა ერთი და იგივ.

**ხორო**

რასაც უქადი ზევსს, ერთანხმება
იგი შენს სურვილს.

**პრომეთე**

კიდეც ახდება,
რაც მე მწადია!

**ხორო**

მაშ უნდა მოცდა
მას რომ ტახტი ზევსსა წაერთმის?

**პრომეთე**

დიაღ, წვალებაც შეხვდება იმას
უსაზარლესი, ვიდრე ჩემია.

**ხორო**

მერმე, მის, რაც სთქვი, არ გეშინიან?..

**პრომეთე**

რა მაქვს საშიში?—მე უკვდავი ვარ...

**ხორო**

იმას კი ძალ-უძს ჩაგაგდოს უფრო
დიდ სატანჯველში...

**პრომეთე**

დაე!—მზადა ვარ
სუყველაფრისთვის...

**ხორო**

ბრძენია იგი,
ვინც ქედს მოიდრეკს ნაცვალგებისა
დედა ღმერთის წინ...

**პრომეთე**

პატივი ეცით,
ეხვეწეთ, ქედი მოიდრიკენით
მუდამ წინაშე ხელმწიფებისა,
მე კი ზევსს სრულად არაფრად ვაგდებ-
დაე, იმეფოს ცოტათი კიდევ,

როგორც უწყოდეს, — ვეღარ განაგებს
ღმერთებს სადიდხნოთ... (ჰაერში გამოჩნდება ჰერმეს)
შეხედეთ, ეგერ,
ზევსის მოამბე, ახალ მეუფის
მოსამსახურე და წამოსულა,
უეჭველია, ახალ ამბებით...

**ჰერმეს**

მე შენ მოგმართავ, ვერაგს მოწამლულ
ენის მქონესა, ვინც ჩაიდინა
ღმერთთა წინაშე დანაშაული,
ვინც კაცთა უყო კეთილი საქმე
ცეცხლის მოპარვით, მამა გიბრძანებს,
გამოამჟღავნო, რა ქორწილია,
რასაც მიქადი დარწმუნებული,
რომ მის წყალობით ტახტს დავკარგავთ.
ილაპარაკე უკილოკავოდ,
საგანთა მდები მათვე სახელთა,
და ნუ მომიყვან, პრომეთე, აქა
განმეორებით. შენ ხედავ შენის
საქციელითა ზევსს ვერ დაატან
ძალას დაგნებდეს...

**პრომეთე**

რა მედიდური
სიტყვა გგონია — სწორედ ისეთი,
როგორიც ჰფერობს ღმერთების ყმასა...
თქვენ ახლად მეფობთ, ახალ მეფენო,
და ფიქრობთ, რომე თითქო მცხოვრებნი
ზეცას ვერ იგრძნობთ მწუხარებასა.
განა ჩემსობას არ გადმობრძანდა
იქითგან ორი მეფე?.. კიდევაც
ვხედავ მომავალს და სათაკილო
ჩამოგდებასა მის მესამისას,
აწ რომ ხელმწიფობს... როგორ გგონია,

ვგავარ რითიმე ახალ ღმერთების
წინ მოცახცახე და მთრთოლვარესა?—
არა, ამაზედ შორს ვიმყოფები.
ძალ-გიძს წაბრძანდე იქ, საითგანაც
მობრძანებულხარ: რასაც მეკითხვი,
შენ ვერ მიიღებ ჩემგან მის პასუხს...

**ჰერმეს**

შენ შეგრჩენია ის უწინდელი
უდიერება, რისთვისაც ეხლა
ხარ სატანჯველში.

**პრომეთე**

გჯეროდეს, რომ მე
უბედურებას ჩემსას არ გავცვლი
შენს მონობისა ხელობაშიგან.

**ჰერმეს** (დაცინვით)

მგონია სჯობდეს მსახურად ყოფა
ამ კლდის, ვიდრემდა იყო ზევსისა,
მამი-ჩემისა ერთგულ მოამბედ.

**პრომეთე**

ჰო,— დაბრიყვებულს უნდა მიუზღო
დაბრიყვებითა.

**ჰერმეს**

თუ არა ვსცდები,
შენ კარგადა ხარ!..

**პრომეთე** (დაცინვით)

კარგად? ნეტავი
ერთი მანახა ამ კარგის ყოფით
ჩემნი მძულვარნი, მათ შორის—შენცა!..

**ჰერმეს**

მაშ, მეც ბრალი მაქვს შენს გასაჭირში!..

**პრომეთე**

რაღა თქმა უნდა? ღმერთები ყველა

მძულს,— ჩემ სიკეთის სამაგიეროდ
ისინი მდაბლად ბოროტს მაგებენ...

**ჰერმეს**

მე გხედავ, სუმრთლად ჭკვაზედ შეშლილხარ...

**პრომეთე**

ჰო, ჭკვაზედ შევცდი, თუ მტერთ ძულება
ჭკვაზედ შეშლაა.

**ჰერმეს**

რომ ყოფილიყო
შენ ბედნიერი, ადამიანი
ვერ გიგულებდა...

**პრომეთე** (ოხრავს)

ვაი! ვაი! ვა!

**ჰერმეს**

ზევსს მაგ სიტყვების
არა ესმის რა...

**პრომეთე**

ოჰ, თავის დროზედ
გაიგებს იგი სუყველაფერსა!

**ჰერმეს**

შენ კი ჭკვიანად ყოფა ჯერ კიდე
ვერ გისწავლია.

**პრომეთე**

სხვაფრივ შენ, მონავ,
არც დაგიწყებდი მე ლაპარაკსა!...

**ჰერმეს**

მაშ, მამის კითხვას არ გსურვებია
პასუხი აგო?

**პრომეთე**

ჰო, შემშვენოდა,
რომ გამეწია ეგ თავაზობა!..

**ჰერმეს**

დამცინი, თითქო ვიყო მე ბალღი.

**პრომეთე**

განა არა ხარ ბალღი ან კიდევ
უგუნურესი, ვიდრეღა ბალღი,
თუ გგონია, რომ სიტყვა დამტყუო?
ვერა, ვერც კითხვით, ვერც ეშმაკობით
ვერ მათქმევინებს ზევსი მე ამას,
ვიდრე არ მიხსნის ჩემ შემარცხვენელ
ბორკილისაგან, დაე აჰქროს
თვის ცეცხლის მეხი, ასტეხოს ქარი,
ანუ მიწის ძვრა, დაე თავს ზარი
და ძრწოლა დასცეს დედამიწასა,—
ვერ შემაშინებს და არცა ვიტყვი,
ვინ ჩამოაგდებს იმას დახტითგან.

**ჰერმეს**

წარმოიდგინე, გექნება კია
შენ მაგისაგან რამ სარგებლობა.

**პრომეთე**

დიდი ხანია წარმოდგენილ მაქვს
და გადაჭრილიც.

**ჰერმეს**

სულელო, მოდი,
ბარემდა მოდი ჭკუას და ყური
ათხოვე მაგ შენს ეხლანდელ ყოფას
გაჭირვებულსა,

**პრომეთე**

ამაოდ ცდილობ
ჩემს დარწმუნებას: ერუ ვარ, ვით ტალღა.
და ნურცა ფიქრობ, რომ დავძაბუნდე
ზევსის წინაშე და დიაცსავით
თითქო დამცრობით მე გავუშვირო
ხელი ჩემს ბოროტს მტერს და შევსთხოვო
თავისუფალ მყოს ხუნდებისაგან,—
ამაზე შორს ვარ!..

ჰერმეს

ვხედავ, უბრალოდ
ვიხარჯებოდი დიდხანს სიტყვებსა:
ვერა რა შეგძრავს, შენს გულს არ ესმის
ვედრება ჩემი. თითქო პირველად
შებმულ ულაყი იყვე, ისე ღრღნი
ლაგამსა, ჰსწყვეტავ, არც გინდა რომე
დაემორჩილო სადავეს. შენ კი
იმედნეული საეჭვო ჭკუის
ბრაზობ, ხოლო მას, ვინც გულს გაივლებს
ბოროტებასა, ვერას უშველის
უდიერობა... იფიქრე, თუ რა
სეტყვა, რა ქარი გაჭირვებისა,
რისგანაც არი შეუძლებელი
თავის დაფარვა, დაგატუდება, თუ
ქედსა არ მოიხრი იმის წინაშე,
რასაც მე გირჩევ. ჯერ მამა-ჩემი
ელვა-ჭექისა მეხით გაპობს
მაგ კლდეს და დაგფლავს დანამსხვრევ ქვებში.
მასუკან ძლიერ ბევრი დრო გავა,
ოდეს ხელ-ახლავ ნათელს იხილავ;
ხოლო სტუმარი მოუწვეველი,
ფრინველი ზევსის მიმართ მიძღვნილი—
სისხლისა მსმელი არწივი, შენთან
დაიწყებს ფრენას და შენის გვამის
დიდრონ ნაჭრებად თვალ ხარბად გლეჯას,
მთელ დღეს იმ შენის შავის ნაღრღნის
ღვიძლისა წიწკნას. იცოდე თანაც,
შენს ტანჯვას ბოლო მაშინ ექმნება
მხოლოდ, როდესაც ვინმე ღმერთთ შორის
დათანხმდება, რომ დაგენაცვლოს შენ
და მოისურვებს შთახდეს გადესის
ბნელ სასუფეველს, ტარტაროზის მას

უკუნ წყვდიადსა. აწ გადასწყვიტე, —
ტყუილ-უბრალოდ არ გემუქრები,
არც გეხუმრები: ზევსის ბაგენი
არ სცნობენ ტყუილს, იგი თვისს ნათქვამს
არ გასტეხს არც ერთს. იფიქრე, ჰსაჯე,
რაც მე გითხარ და ბოლოს მაინც
 უდიერობას უმაღლეს კეთილ
გონიერების ნუ დააყენებ.

**ხორო**

მართლა რომ, ჩვენის ჭკუითა, ჰერმეს
ამბობს საქმესა, — იგი შენ გირჩევს
ანებო თავი უდიერობას
და გონებისა ხმისებრ მოიქცე.
გაიგონე რომ უდიერობა
შეცდომაში არ შეჰფერის კაცსა
გულის ხმიერსა.

**პრომეთე** (ჰერმესს)

ვიცოდი, რასაც
მეტყოდი, ხოლო მტრისათვის ტანჯვა
მტრებისა მიერ არ არს სრულიად
დასაძრახისი, დაე მეძგერონ
კლაკნილის ელვის ისრები, დაე
ჰაერი მეხის კვეთებისა და
ქარის მძვინვარე გრიალისაგან
შეიძრას, და მათის სუნთქვითა
შეირყას მიწა თვით ქვესკნელამდე;
დაე აღიძრან ბრაზ-მორეული
ზღვისა-ტალღები ცად მიმომავალ
ვარსკვლავებამდე, დაე, მე ზევსმა,
ბედის გრიგლის ჟამს, შთამაგდოს წყვდიად
სატარტაროზოს, — სულ ერთია, მე
მაინც ვერ მომკლავს!..

**ჭერმეს**

მხოლოდ უგუნურს
ძაღ-უძს ისურვოს ეგე და ეგრე
ილაპარაკოს. მართლა, კიდევ რა
საბუთი არის საჭირო მისთვის,
რომ არ შეშლილა, თუ ილოცება
ესრეთ რატომღა სიცოფეს თვისას
არ შეიკავებს. (ხოროს) თქვენ კი, დედანო
დაწუხებულნო მის მწუხარებით,
ფიცხლავ აქითგან დაიკარგენით,
თორემ საშიში მეხისა ტეხა
გრძნობას წარგტაცებსთ!..

**ხორო**

ნუ ბრძანებ მაგას,
სთქვი რამ სხვა რჩევა, რასაც შეგეძლოსთ
კიდეც შეუდგეთ, ჩვენ კი უარს ვართ
ვისმინოთ იგი. როგორ კადრულობ,
სიფლიდეს გვირჩევ?—არა, ჩვენ გვსურს, რომ
ვიყოთ მის ბედის თანაზიარი—
გვძულს მუხანათნი, ჩვენს თვალში არ არს
უსაძაგლესი, მუხანათობის!..

**ჭერმეს**

კარგი, გახსოვდეთ, რაცა ვსთქვი წედან
და თქვენ როდესაც თავს დაგატუდებათ
გასაჭირი, ნუ დასდებთ ბრალს ბედსა
და ნურც საყვედურს იტყვით ზევსისას,
რომ მან ანაზდად ჭირსა შეგყარათ:
მისი კი არა,—ბრალი თქვენია.
თქვენ იცით, თუ რა მოგელისთ და გსურთ
გაებათ მუდმივ შწუხარებისა
ბადეში, მარტო მის გამო რომე
უჭკუონი ხართ: არც უეცრობას,
არც ვერაგობას აქა არ აქვსთ ბინა.

(გაჰქრება. გრგვინვა და მიწის-ძვრა)

## პრომეთე

დიაღ, ტყვილად არ იმუქრებოდა:
ქვეყანა იძვრის, შორსა გაისმის
მეხისა ტეხა; ბრწინვენ ელვისა
ცეცხლებრ ისარნი; სვეტად იგრიხვის
მტვერი, აღგვილი გრიგალისაგან;
ქარნი ყველანი ერთმანერთს ეცნენ
და გაშმაგებით შეიჭიდნენ; ზღვა
მაღლა იწევა ვიდრე ზეცამდე!...
დიაღ, ცხადია: ამ საშიშ ქარსა
ზევსი მიგზავნის! ოჰ დედა-ჩემო
ღმერთო და ოჰ შენ, ეთერო, ნათლის
სუყველასათვის ერთის ზოგადის
მომნიჭებელო, შემომხედეთ მე,
უბრალოდ ტანჯულს!.. (შთაინთქმის)

(დასასრული)

# გლეხ-კაცის ისტორია

## სამშობლოს განსაცდელი

**1792**

## ნაწილი მეორე

### ერკმან-შატრიანისა

### I

მე უკვე მოგახსენეთ, რა გაჭირებაში იყო ხალხი 1789 წლამდე და რამოდენი ხარჯი და ბეგარა გვედო გლეხ-კაცობას; მოგახსენეთ ნეკკერის ანგარიში, რომლის წყალობით მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ სახელმწიფო ხაზინას აუარებელი ზარალი ჰქონდა ყოველ წლივ; პარიზის პარლამენტის დადგენილება, რომელიც ამტკიცებდა, ხარჯის გაწერა მარტო საერო კრებას შეუძლიან და სხვა არავისაო; კალონის და დებრიენის ეშმაკობა და ფლიდობა, რომ ფულები ეშოვნათ როგორმე; თავად-აზნაურთა და სასულიერო წოდების კრებების ახირება, ჩვენ არავითარ ხარჯს არ ვიკისრებთო; და ბოლოს, როდესაც სხნა ალარსაით იყო, რადგან ან ვალი უნდა გადაეხადნათ, ან სახელმწიფო კოტრად უნდა გამოეცხადებინათ, საერო კრების მოწოდება ვერსალში, ას სამოც და თხუთმეტის წლის შემდეგ მას აქეთ, რაც უკანასკნელი საერო კრება ყოფილა.

ისიც მოგახსენეთ, რომ ჩვენს დეპუტატებს დავავალეთ ბატონყმობა გადაეგდოთ და სრული თანასწორობა ჩამოეგდოთ ყველასათვის განურჩევლად შთამომავლობისა; უნდა გაეუქმებინათ ვაჭრობის შემაფერხებელი შინაგანი საბაჟოები, მეურ-

ნეობის შემაფერხებელი ლალა-კულუხი და გაუთავებელი ბეგარა; უნდა გადაეგდოთ სასამართლოებისგან ადამიანის წამება და სხვ. და სხვ. სამეფო წეს-წყობილება მეფეების ნება-ყოფლობაზედ კი არა, ერთხელ დადგენილ კონსტიტუციაზედ უნდა დაემყარებინათ და შინ ისე წამოსულიყვნენ.

მაგრამ მეფემ საერო კრება მარტო იმიტომ თურმე დანიშნა, რომ ამ კრებას სასახლისა, მებატონეებისა და ეპისკოპოზთაგან შეჭმული ფულის გადახდა ეკისრნა და მუხლ-მოდრეკით მოეხსენებინა: რა სათქმელია, ბატონო, ოღონდ თქვენ ისიამოვნეთ, დრო გაატარეთ და ვალის გადახდას ნუ იზრუნავთ, ჩვენ გადავიხდით, ჩვენ და ჩვენი შვილებიო! მაგრამ რაკი ნახეს, რომ ხალხის წარმომადგენელნი ამ გვარი პასუხის მაგივრად, თვით დიდებულთა და ეპისკოპოზთა უპირატესობას უარ-ჰყოფდნენ და გაუქმებას ცდილობდნენ, არ ინდომეს მესამე წოდების დეპუტატებთან შეერთება და იმდენი შეურაცხყოფა მიაყენეს, რომ გულზედ მოვიდნენ ჩვენი წარმომადგენელნი, წამოიწიეს, შეიფიცნენ, არ გავიყარნეთ, არ დავიშალნეთ, ვიდრე კონსტიტუციას არ შევადგენთო და თავიანთი კრება საერო კრებად გამოაცხადეს.

ეს ყველაფერი შოველმა შეგვატყობინა და შოველის წერილი ხომ თქვენც წაიკითხეთ.

იმ დროს ჩვენში ჯერ ისევ შიმშილი იდგა და უმეტესი ნაწილი ისეთ გაჭირებაში იყო, რომ მინდვრის ბალახითა ცხოვრობდა; ბალახს მოხარშავდნენ წყალში, ცოტა მარილს წააყრიდნენ და იმითი ივსებდნენ კუჭსა. კიდევ კარგი, რომ შეშა არ გვაკლდა; პარიზის ამბები ელვასავით მოედებოდა ხოლმე მთელს ქვეყანას და ყველგან შიშსა და სიფრთხილეს სტოვებდა. ტყის მცველები შინიდან გარეთ ვეღარ გამოდიოდნენ, ტყეში ქურდებს არ მოვასწროთო. საშინელებაა უცნობის მოლოდინი! საშინელებაა ყველასთვის და უმთავრესად იმ მოხელეებისათვის, რომელნიც აქამდე შიგ კრიჭაში უდგნენ გაჭირებულ კაცს და სისხლსა სწოვდნენ, საცა კი მოასწრებდნენ; იმას ხომ არ იძახდნენ, მეფისაგან საკმარისი ჯამაგირი გვაქვს, ეს ვიკმაროთო; არა,

ჯამაგირს გარდა ხალხსაც ტყავს აძრობდნენ და მეფისაგან მინიჭებულ უფლებას ფულზედ ჰყიდდნენ: ვინც მეტს მისცემდა, ისინიც იმისკენ იყვნენ. სავერნში ყველა სამეფო მოხელეები, რომელთა ხარისხი ხშირად მემკვიდრეობით გადადიოდა მამისგან შვილზედ და შვილისშვილზედ, ერთ უძველეს სახლში ცხოვრობდნენ; მოგეხსენებათ, ყველგან არის ამისთანა დაფუტუროვებული, დამპალი ხე, რომელშიაც დაიბუდებენ ხოლმე თაგვები. ერთი რომ შეუბეროს ადამიანმა, იმ ხესაც წააქცევს და თავის მტრებსაც გაჰფანტავს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს შებერვა ვერ გაუბედნია. დიაღ, სამეფო მოხელეებიც გრძნობდნენ, რომ იმათი ბუდე დღეს-ხვალ უნდა დაქცეულიყო და ისხდნენ შეშინებულნი და ცალი თვალით გამოიცქირებოდნენ; ისე ეშინოდათ ხვალინდელისა, რომ თმებსაც კი ვეღარ იკულულებდნენ და საქეიფოდ ტივოლიში ვეღარ მობრძანდებოდნენ.

ვერსალის ამბები მთელს ქვეყანას ეფინემოდა. ყველა იძახდა, დიდი ამბები მოხდებაო, მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ეს დიდი ამბები, არავინ იცოდა; ამბობდნენ, ჩვენს დეპუტატებს ჯარები თურმე შემოარტყეს, უნდა შეაშინონ და დაიყოლიონ; თუ არა და დახოცვას უპირებენო; ჩვენს დუქანში გამვლელი და გამომვლელი სულ ვერსალის ამბებს ლაპარაკობდა. ნათლია ჩემს კი არა სჯეროდა ეს ხმები და შეუტევდა ხოლმე:

— ნეტავ თქვენ თითონ კი გჯერათ, აგრე ადვილად რომ ამბობთ? იქნება გგონიათ, რომ ჩვენმა კეთილმა მეფემ მაგისთანა სამარცხვინო საქმე იკადროს რამე? თქვე კაი კაცებო და, თითონ მეფემ არ დაიბარა — ხალხის წარმომადგენელნი შეკრბნენ და ხალხის გაჭირება მაცნობონ, რომ ჩემი ერთგული ქვეშევრდომებისთვის ვიზრუნოვო? განა აგრე ადვილად უნდა დაიჯეროთ, რასაც გაიგონებთ სადმე!

მაგრამ მსმენელნი სულ სხვა აზრისანი იყვნენ და გაბრაზებულნი პასუხსაც არ აძლევდნენ; რომ ვეღარას მოახერხებდნენ, ერთმანეთს გადახედავდნენ და ღრმად ჩაფიქრებულნი მიდიოდნენ შინისკენ; ნათლია ჩემი კი თავისას გაიძახოდა:

— ღმერთმა ნუ ქნასო და, დედოფალმა და თავადმა არტუამ არა გვიმუხთლონ-რა, თორემ ცუდად იქნება ჩვენი საქმე. ჩვენ-მა წარმომადგენელებმა მგონი ისე გაუჭირეს იმათ საქმე, რომ ყველაფერს იზამენ, ოღონდ გვაჯობონ როგორმე; რასაც არ მოიგებენ, რას წააგებენ, რომ წასაგები აღარა აქვთ-რა! ღმერთმა კი დაგვიფაროს და, ჩვენში რომ შეტაკება მოხდეს, იქნება გა-თავებას ვეღარც ისინი მოესწრნენ და ვეღარც ჩვენა!

და მართალსაც ამბობდა: იმ დროინდელს არავის ღირ-სებია რევოლიუციის გათავებამდე სიცოცხლე, არც კეთილ-შობილს, არც მოქალაქეს, არც გლეხს. რევოლიუცია ჯერაც არ გათავებულა და მარტო მაშინ გათავდება, როდესაც ძმობა ერთობა და თავისუფლება გამეფდებიან ამ წუთი სოფელში.

რაოდენიმე კვირა ისე გავიდა. აქეთ-იქით ქერსა მკიდნენ, შიმშილის შიში აღარ იყო და ცოტა არ იყოს დამშვიდდა ხალხი; მაგრამ უცბად ხმა გავარდა, პარიზში ბრძოლა არის ატე-ხილიო: საერო კრების დაშლა უნდოდათ, ქალაქის გამგეობა აჯანყებულა მეფის წინააღმდეგ და მოქალაქეთათვის იარაღი დაურიგებია; მთელს ქალაქში, ყველა ქუჩებში ცხარედ იბრძვიან პარიზელები და უცხოელი, დაქირავებული ჯარებიო. ამასთან იმასაც ამობდნენ, მეფის მცველი ჯარი ხალხისკენ არისო.

ამ ამბებზედ ჩვენ მაშინადვე ჩვენი ნიკოს წერილი მოგვა-გონდა და მაშინ დავრწმუნდით, რომ სრულს სიმართლეს იწე-რებოდა.

ვინც კი ფალსბურგიდან მოდიოდა, ყველანი ერთხმად იმასვე გაიძახოდნენ. ქალაქში მყოფ ჯარისთვის ებრძანები-ნათ, მზად იყავით, თქვენს ბინას არავინ მოშორდეთო; ქალა-ქის სამოურავოში ყოველ საათს ახალ-ახალი ბრძანება მოდი-ოდა პარიზიდან. მიიტანდა შიკრიკი ამბავს, ისევ ცხენს მოახ-ტებოდა და ახლა ალზასის გზას გაუდგებოდა. წარმოიდგინეთ, რა ყოფაში იქნებოდა ჩვენი მიყრუებული სოფელი! ღვთის წყალობა გაქვს, ჩვენ დღეს აღარა გაგვიკვირდეს-რა და არა-ფერს შევუშინდეთ! მაშინ კი ჯერ არც რევოლიუციისა ვი-ცოდით რამე, არც აჯანყებისა და იმისთანა შეშინებულნი ვი-ყავით, თითქო ქვეყანას მტერი შემოსევიაო.

იმ დღეს ახალი აღარა მომხდარა-რა, მაგრამ მეორე დღეს ამბავი მოვიდა, პარიზელებმა ბასტილის ციხე აიღესო.*) და ბასტილის აღება იმას ნიშნავდა, რომ პარიზის ბატონად ხალხი გამხდარიყო. პარიზელები დაჰპატრონებოდნენ ყველაფერს, იარაღი და თოფის წამალი ეშოვნათ, ზარაბაზნები ხელთ ეგდოთ და ისე განაგებდნენ პარიზის საქმეებს, როგორც ნებავდათ. საშინელი შთაბეჭდილება იქონია ამ ამბავმა ჩვენს მთიულებზედ. საჩქაროდ შეიარაღებულიყვნენ, ზოგს დაჟანგებული შუბი წამოეღო, ზოგს ნამგალი და ორთითი და დაძრულიყვნენ! რაზმებად დაწყობილიყვნენ, მიდიოდნენ ქალაქისკენ და ყვიროდნენ:

— ლიქჰეიმს წავიდეთ, ლიქჰეიმს!

— სავერნს!

— მარმუტიეს!

— ნიუვილერს!

კალიასავით მიესივნენ მთელს არეს და სადაც კი სახელმწიფო მოხელე ეგულებოდათ, საბაჟოზედ თუ ტყის მცველნი, ყველა აიკლეს და გაანადგურეს.

ლეტუმიე, ჰურე, კოშარი და სხვა მოხუცებულნი მოვიდნენ ნათლია-ჩემთან და ეხვეწებოდნენ, ჩვენც წავიდეთ, ქვეყანა

---

*) ბასტილის ციხე ხალხმა აიღო და დაანგრია 14 ივლისს 1790. „იმ დღეს რევოლიუცია იერიშით მივიდა ძვირთმპყრობელ მართებლობაზედ. ხალხისაგან თავის დღეში არავინ ყოფილა დაპატიმრებული ბასტილის ციხეში: იქ მარტო მწერლებს ამწყვდევდნენ. ბასტილი აზრის საპყრობილე იყო. და როგორც კი წამოიწია ხალხმა, პირველად ამ ციხეს ეცა, რომ აზრი გაენთავისუფლებინა. თავისუფლება აზრისა, უშიშრად ყოფა ადამიანის ღირსებისა, აი შედეგი ხალხის აღდგომის პირველის დღისა. ბასტილის აღებას მთელმა ქვეყანამ ასე შეხედა.

ქვეყანა აღტაცებით შეჰყურებდა იმ ხალხს, რომელმაც უწმინდესი გრძნობით გატაცებულმა აზრის შეზღუდვა საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო და უპირველეს ყოვლისა ჯავრი იმათზედ იყარა, ვინც აზრს გზას უკრავდა. შემდეგ ამისა აზრმა თავისუფლება მოიხვეჭა და საცა აზროვანი იყო ვინმე, ყველა გრძნობდა, პარიზელ ხალხი ჩემთვის იბრძოდაო. აი ამან მოუგო რევოლიუციას კაცობრიობის გული. ბასტილის აღება მთელი ქვეყნისთვის ადამიანის აზრის განთავისუფლება იყო.

ეს ბრწყინვალე დასაწყისი ყველამ შენიშნა: პარიზელების საქმე მთელი კაცობრიობის საქმედ იქცა და საფრანგეთის რევოლიუცია ქვეყნიურ რევოლიუციად. მთელმა კაცობრიობამ იდღესასწაულა 14 ივლისი“...

თავისას ირიგებს, ჩვენ უკან რად უნდა ჩამოვრჩეთო? თუ კი მიტტილბრონი, კატვრანი და ლუტცელბურგი წავა, ვითომდა ჩვენ რაღა ვართო!?

ნათლია ჩემს არ მოსწონდა ეს მღელვარება ხალხისა და შეუტია:

— თავი დამანებეთ! ჩემი საქმე არ არის! საცა გენებოთ, იქ მიბრძანდით, ოღონდ მე ნურაფერში გამრევთ!

მაგრამ მთელს ალზასში იგივე მოძრაობა იყო. სოფელი არსად იყო, რომ მახლობელს მონასტერს არ დასცემოდა და იქ შენახული სიგელები — თავად-აზნაურობის და მონასტრების უფლებათა და უპირატესობათა დამამტკიცებელი საბუთები — არ დაეწვა. რასაკვირველია, უკან ჩამორჩომა არც ჩვენებურებმა ინდომეს და მთელმა სოფელმა ერთხმივ შესძახა ნათლია-ჩემს: წინ წაგვიძეხ, ლიქსჰეიმს ტირსელინის მონასტერში შენახული ჩვენი სოფლის ქაღალდები გვაშოვინეო! რას იზამდა, ჩაიცვა და გზას გავუდექით. წინ ჩვენ მივდიოდით, კოშარი, ლეტუმიე, ჰურე, ნათლია-ჩემი, მე და ჩვენ კიდევ მთელი სოფელი მოგვდევდა.

ბუზივით ირევოდა ჩვენს ქვეით მინდორში შეიარაღებული ხალხი; თან იმისთანა ყვირილი ისმოდა, თითქო მტერზედ საომრად მიდისო. ვისაც რა შესძლებოდა, ის წამოეღო. უმეტესობა ნამგალით და ორთითით წამოსულიყვნენ. საშინელი ხმაურობა და ყიჟინა იდგა. ვაჟკაცთ არც ქალები ჩამორჩენოდნენ და ყველაზედ წინ ისინი გარბოდნენ ნამგლებით და ყველაზედ მეტად ისინი გაჰკიოდნენ.

მიტტელბრონში ხალხს ის სახლი გაეტეხა, სადაც ქაღალდები ინახებოდა, სარდაფის ჰერი აენგრია, ქვა ქვაზედ აღარ დაეტოვებინა და რაც კი სადმე ქაღალდები ენახა, ცეცხლი წაეკიდებინა. ლიქსჰეიმი ისე აეოხრებინათ, რომ ჩვენ რომ შევედით, წელამდე დოშაკ-ბალიშიდან გამონაბერტყ ბუმბულში დავდიოდით. ყველაზედ მეტად ებრაელები დაეზარალებინათ: სულ ფანჯრებიდან გადმოეყარათ იმ უბედურების სარჩო-საბადებელი, და რაც ვერ გადმოეგდოთ, ცულებით და-

ეჩეხათ. აღელვებული ხალხისთანა საშინელი ხომ არა იქნე-ბა-რა! თუ ერთი მოთმინებიდან გამოვიდა, სრულიად აღარა მოაგონდება-რა და აღარც სარწმუნოებას დაერიდება, აღარც ადამიანის განკითხვას და სიბრალულს და მარტო იმას-ღა ცდილობს, რომ ჯავრი იყაროს და სისხლით გაძღეს.

დაფეთიანებულივით მირბოდნენ ებრაელნი, სარჩო თუ დავკარგეთ, თავს მაინც ვუშველოთო. უკან ცოლ-შვილი მისდევდათ, და იმისთანა ტირილი და ვაება ისმოდა, რომ მტერსაც კი შეებრალებოდა. ტირსელინის მონასტერი ძველ ლიქსჰეიმში იყო. მონასტერში ხუთი ბერი იმყოფებოდა და იმათა ჰქონდათ ჩაბარებული რამდენიმე სოფლის და მათ შორის ჩვენი სოფლის სიგელებიც.

ყველა სოფლელები იქ იყვნენ, გარს შემოხვევოდნენ მონასტერს და საშინელი ხმით შესძახოდნენ! აგვიღეთ, ჩვენი ქაღალდები მოგვეცითო! მაგრამ ბერებს შეშინებოდათ ვაი თუ ჯერ ქაღალდები წაგვართვან, მერე ჩვენც დაგვხოცონო! და კარს არ უღებდნენ.

სოფლელები კი თან და თან უფრო მატულობდნენ და ისე დაეჭირათ ყველა ქუჩები, რომ მონასტრამდის აღარავის მიესვლებოდა.

ჩვენ რომ მივედით, იქ მყოფი სოფლების მამასახლისები აუზის გვერდით იდგნენ და თათბირი ჰქონდათ: ერთი ამბობდა ცეცხლი წავუკიდოთ და სულ გადავბუგოთ აქაურობაო; მეორე ამბობდა, კარები შევამტვრიოთ და ისე დავეპატრონოთ ჩვენს დამღუპველ სიგელებსაო; ზოგნი, უფრო გაფრთხილებულნი, იძახდნენ, ჯერ ქაღალდები ვთხოვოთ და როცა მოგვცემენ და საშიში აღარა გვექნება-რა, მაშინ ვნახავთ, მონასტერს რას ვუზამთო. ბოლოს მესამე აზრი მიიღეს და რადგან ივანე ლერუ სათემო კრების დეპუტატად იყო არჩეული, იმას და ორს კიდევ სხვას მიანდეს მონასტერში შესვლა და სიგელების თხოვნა. მივიდნენ, დააკაკუნეს. ბერებმა რომ ნახეს სამნი არიანო, შეიყვანეს და კარი მაგრად მოკეტეს.

ნათლია ჩემმა შემდეგში გვიამბო, რაც მონასტერში მომხდარიყო: "საბრალო ბერები კურდღლელივით კანკალებდნენ და

იმათი წინამძღვარი, ღრმად მოხუცებული მ. მარსელი იძახდა, ის სიგელები მე მაქვს ჩაბარებული და მანამ პირში სული მიდგას, მე იმათ არავის მივცემ... ჯერ მე მომკალით, და მერე სიგელები წაიღეთო!

მაგრამ ნათლია ჩემს ფანჯარასთან მიეყვანა მოხუცებული წინამძღვარი და მოეხსენებინა:

— გადახედეთ, წმინდა მამაო, ხედავთ როგორ ათამაშებენ ცულებს და ნამგლებს....

საბრალოს აღარა ეთქვა-რა, ერთ მჭყრუებულ ოთახში მიეყვანა, რკინით შეჭედილი კარი გაეღო, ემანდა თქვენი სიგელებიო! სავსე თურმე იყო ქაღალდებით ოთახი!

საქმე იმოდენი ქაღალდების გარჩევა იყო. ერთი საათი მეტი იყო, რაც ნათლია ჩემი და ორი მამასახლისი მონასტერში შევიდნენ და ქაღალდებს თურმე არჩევდნენ და ჩვენ კი გვეგონა, ჩვენი კაცები დაიჭირეს და დააპატიმრესო. და იმოდენი ხალხი კარს მიაწვა და იმისთანა ხმით შეუტია, რომ ზრიალი გაჰქონდა იქაურობას. მაშინ ერთ ბალკონზედ გამოვიდა ნათლია ჩემი და გახარებულმა ქაღალდები დაგვანახვა — ნუ გეშინიანთ, ხელთა გვაქვსო! ხალხმა სიამოვნების ნიშნად ისეთი ყიჟინა დასცა, რომ მთელი ქალაქი შეინძრა. ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ:

— ახლა კი აღარა გვიჭირს-რა! ახლა კი ხელთა გვაქვს ჩვენი დამღუპველი ქაღალდები!

ცოტა ხანს უკან ჩვენი კაცებიც გამოვიდნენ მონასტრიდან; მოდიოდნენ და ერთ კარგ ურემს მოაგორებდნენ, სულ ქაღალდებით გაჭიკნულს; შიგ შუა ხალხში გაატარეს ურემი და ყველას იმას ეუბნებოდნენ, ჩვენ ჩვენი მოგვცეს, ბერებს ნურას ერჩითო. ხალხსაც მარტო ეს სიგელები უნდოდა, თორემ მოხუცებულ ბერებს რას ერჩოდა?

ქალაქის სამამასახლისოში შეაგორეს ურემი და იქ გაარჩიეს ქაღალდები; ყველა სოფელს თავისი მისცეს. ზოგმა იქვე მოედანზედ გააჩაღა ცეცხლი და თავის სოფლის შესახები ქაღალდები ცეცხლს მისცა. მაგრამ ნათლია ჩემი ცოტა სხვაფრივ

სჯიდა და ჩვენი სიგელები ხელსახოცში გამოეკრა და ისე ჰქონდა შენახული. ამიტომ არის, რომ ჩვენს სოფელს არ დაეკარგა ის მცირე მამული, რომელიც ჩვენს მამა-პაპას შეეძინა მებატონეთაგან: ცოტა რამ საძოვარი გვქონდა სასოფლოდ და გარდა ამისა მუხნარში ყოველთვის შეგვეძლო კრკო მოგვეგროვებინა. რომ დაგვეწვა ქაღალდები, ხომ ამ უფლებასაც დავკარგავდით! სხვა სოფლებმა ბევრმა ჩაიდინა ეს შეცდომა, საკუთარი ხელით დასწვა თავისი უფლებანი და თითონაც დაკარგა და შვილი-შვილთაც დაუკარგა ძველთაგან შეძენილი საკუთრება.

იმ დროის ამბებს კიდევაც ბევრს მოგახსენებდით, რადგან ბევრმა ისარგებლა მაშინ ხალხის უცოდინარობით და იმის მაგივრად, რომ დაეწვა სიგელები, მიმალა და შემდეგში ისევ მებატონეებს და ზოგი თვით მართებლობასაც მიჰყიდა. ძალიან გამდიდრდნენ მაშინ ამის ჩამდენნი და ქვეყანამ იცოდა, რომ თავიანთი სიმდიდრე იმათ საზოგადოებისადმი ღალატით ჰქონდათ შეძენილი. დიაღ, ბევრ კიდევ სხვას მოგახსენებდით, მაგრამ იმათ დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღეს და რაც იყო, იყო; დეე, იქ ღმერთმა ჰკითხოთ!

დაჰეშმარიტებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ორი კვირის განმავლობაში სულ ძირიანად გამოიცვალა საფრანგეთი. რაც კი მონასტრებს და მებატონეებს საკუთრება ჰქონდათ რამე, დაიწვა და კომლივით გაქრა. დღე და ღამ შეუწყვეტლივ ისმოდა საყვირის ხმა და ჩვენი ვოზგის მთა თავით-ბოლომდე ცეცხლის ალში იყო. ისე იწოდა ძველი მონასტრები, და სისხლით გაუმაძღარ მებატონეთა გამაგრებული ციხე-სიმაგრეები, თითქო წმინდა სანთელიაო. ხალხმა ხელთ იგდო თავისი მტარვალები და, ღვთის წყალობა გაქვთ, ჯავრი იყარა! მარიამობისთვის ოთხამდე ღელავდა ხალხი და საცა კი თავის დიდი ხნის მტერი ეგულებოდა, ერთი არ გადარჩენია; ოთხს კი, როდესაც საერო კრებაზედ ეპისკოპოზთ და თავად აზნაურთ გამოეცხადებინათ— ჩვენ უარ-ვყოფთ ყოველ გვარ ქონებრივს და შთამომავლობით უპირატესობასაო, დღეის შემდეგ ყველანი თანასწორნი ვართო,

ოთხს კი დაცხრა ხალხი. მართალია, სრულიად მეტი იყო თავად-აზნაურთაგან ეს უარ-ყოფა, რადგან უარს რაზედ ამბობდნენ, რომ აღარა ჰქონდათ-რა? თავად-აზნაურობა თვით ხალხმა გააუქმა და არა იმათმა უარყოფამ; მაგრამ მაინც ასე სჯობიან, რადგან იმათი შთამომავალნი თავის დღეში ვერას წაგვედავებიან.

ერთი სიტყვით, ცეცხლითა და მახვილით განთავისუფლდა ხალხი ბატონ-ყმობიდან. ძალით—ცეცხლით და მახვილით დაედვათ მისთვის უღელი და იმანაც ძალას მიმართა, რომ მონობის უღელი მოეხსნა როგორმე.

და მას შემდეგ, რაც საერო კრებამ თავად-აზნაურობა და მათი უპირატესობანი გააუქმა, სამეფო კონსტიტუციის შედგენას შეუდგა. ისე გახარებოდა მეფეს კონსტიტუციის შედგენა, რომ საერო კრებას დასწრებოდა და მიელოცნა:

— სცდებით, ბატონებო, რომ აგრე უნდობლად მიყურებთ. მე ჯარები იმიტომ დავიბარე, მარსის მოედანზედ ათიათას კაცს თავი იმიტომ მოვუყარე და ზარბაზნები იმიტომ შემოგარტყით, რომ თქვენს დაცვას ვფიქრობდი. მეშინოდა, საერო კრებას არავინ-რა ავნოს-მეთქი. მაგრამ რადგან თქვენ აგრე უნდობლად მექცევით და ჩემი ჯარების შველა არა გნებავთ, რა გაეწყობა, საიდანაც მოსულან, იქითვე გავისტუმრებ.

ჩვენს დეპუტატებსაც, რასაკვირველია, ისე უნდა ეჩვენებინათ თავი, ვითომ ძალიანა სჯეროდათ მეფის ნაბრძანები. მაგრამ ხალხი რომ არ ამდგარიყო და ბასტილის ციხე არ აეღო; უცხოელ ჯარებს რომ ეჯობნათ ხალხისთვის, ან არა-და მეფის მცველი ჯარები რომ ხალხის წინააღმდეგ გამდგარიყვნენ, მაშინ ჩვენი დიდებული მეფე სულ სხვას დაიძახებდა. დიდი გულთმისნობა კი არ არის საჭირო, რომ კაცმა წარმოიდგინოს, როგორ დატრიალდებოდა მაშინ საქმე? დიახ, ჩვენი კეთილი მეფე ლუი მეთექვსმეტე სულ სხვას დაიძახებდა და ავ დღეს დააყენებდა ხალხის წარმომადგენელთ! ჩვენდა საბედნიეროდ, საქმე ისე დატრიალდა, რომ გამარჯვებული ხალხი დარჩა! პარიზის სამამასახლისომ მაშინადვე თავისი საკუთარი „ერის მცველი ჯარი“ შეადგინა და ამ მაგალითმა ისე გაიტაცა ყველა

სამამასახლისოები, რომ ყველგან, სულ გადაკარგულ უმცირესს სოფელშიც კი, ხალხს საკუთარი, თავისი მომხრე ჯარები შეედგინა, იარაღი ეშოვნა, და ასე გამაგრებული ემუქრებოდა ეპისკოპოზთ და თავად-აზნაურთ: აი, აქ არა ვართ? მობრძანდით, თუ თავი არ შეგძულებიათ, და ქედს ძველი უღელი დაგვადგითო! საერო კრება რომ სასარგებლოს დაადგენდა რასმე, მთელი საფრანგეთი აღმოსავლეთით დასავლეთამდე იარაღს იღებდა და ერთხმივ გაიძახოდა:

— საერო კრების დადგენილება ეხლავე შევასრულოთ! რაც ადრე გარიგდება საქმე, ისა სჯობიან! აბა, ხალხო, რაღას უყურებთ!

და სისრულეში მოჰყავდათ ყოველი დადგენილება.

რა სიამოვნებით მაგონდება ჩვენს სოფელში მილიციის შედგენა; მილიციას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თავდაპირველად ერის მცველ ჯარს მილიციას უძახდნენ. ჩვენი სოფლის მილიცია 1789 წ. მარიამობისთვეში შევადგინეთ და იმ დღეს უფრო მხიარულად ვიყავით, ვიდრე ხალხის წარმომადგენელთ, რომ ვირჩევდით. ნათლია-ჩემი ჯარის წინამძღოლად აირჩიეს, ლეტუმიე იმის თანაშემწედ, გოტიე კურტუა უმფროს ათის თავად და სხვ. და სხვ. კაპიტანი არ გვყავდა, რადგან ჩვენმა სოფელმა საკაპიტნო რაზმის ნახევარიც ძლივს გამოიყვანა.

უნდა გენახათ, რა ამბავი იყო იმ დღეს ჩვენს სოფელში! ისეთი გრიალი გაჰქონდა ხალხის ძახილს — „თავისუფალ ერს გაუმარჯოსო“, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. და რადგან ყოველ საქმეს დალოცვა უნდა და პატიოსანი კაცი მარტო ღვინით დაილოცება, ისეთი სმა გაჩაღდა ნათლია-ჩემისას, რომ თქვენი მოწონებული. ნათლია ჩემს ეპოლეტები გაეკეთებინა, ულვაში ყურებზედ შემოეხვია და მართლა სამაგალითო აფიცრის შეხედულება ჰქონდა. მართალია, ძვირად დაუჯდა ეს აფიცრობა — ორი ქოცო საუკეთესო წითელი ღვინო დახარჯა იმ დღეს, მაგრამ ეგ რა სახსენებელია? ის დღე იყო და ისა — ლეტუმიე ისე უვლიდა თავის ულვაშებს, თითქო იმაზედ უკეთესი სხვა აღარა აბადია-რაო. მერე ულვაში ულვაშს მაინც

ჰგვანებოდა! გაფხვერილი, გაშეშებული რაღაცა ესხა ტუჩზედ; რომ შეგეხედნათ, მელიას მოგაგონებდათ. ივანე რუს ნაღარა ჩავაბარეთ და იმისთანა კარგად უკრავდა ყოველ-გვარ მარშს, თითქო თავისი დღენი ჯარში დაბერებულაო. ყველამ ვიცოდით, რომ ივანე რუ კარგი მესტვირე იყო, მაგრამ ის კი არავინ იცოდა, რომ ნაღარასაც ასე კარგად დაუკრავდა.

არსენალიდან თოფები გამოვიტანეთ. ძველის-ძველი თოფები იყო, დაჟანგებული და დაზიანებული, მაგრამ მაინც თოფები იყო და შუბებიც ზედა ჰქონდათ. კარგია თუ ავიაო... ჩვენც კარგად შევიფერეთ ჩვენი თოფები და ისე მშვენივრად ვხმარობდით, რომ ჯარში ნამყოფ გავარჯიშებულთ არ ჩამოვუვარდებოდით. ქალაქიდან რამდენიმე კაცი ამოვიყვანეთ მოხუცებული ათის-თავები და სამხედრო სიარულს და იარაღის ხმარებას ისინი გვასწავლიდნენ კვირა დღეს, წირვა რომ გამოვიდოდა.

ნათლია-ჩემს აფიცრის ტანისამოსი შეეკვეთა ქალაქში ჯარის თერძისთვის და მეორე კვირას იმისთანა მორთულ-მოკაზმული გამოეცხადა თავის ჯარს, იმისთანად გადმოეგდო თავისი მოგრგვალებული მუცელი, ისე აბღვრიალებდა თვალებს, რომ უკეთესს ვერას ნახავდა კაცი. მხრებზედ ეპოლეტები უთამაშებდნენ, აფიცრული ქუდი კოხტად გვერდზედ გადაეგდო, მიწაზედ გრძელი ხმალი მოსთრევდა და მოაჩხარუნებდა. აუვლიდა, ჩაუვლიდა თავის ჯარს და შემოჰყვირებდა:

— მამულისშვილო ვალენტინ! გასწორდით! სად ეშმაკებში მიგაქვთ ეგ ოხერი თვალები!

იმისთანა მშვენიერი სანახავი იყო, რომ თვალები ზედა გვრჩებოდა. ნათლი-ჯალაბი ხომ სულ გადირია: ისე მორთულს რომ ხედავდა, თავის თავისა აღარა სჯეროდა, ნუ თუ მართლა ეს ჩემი ქმარიაო? ვალენტინიც სულ სხვა თვალით უყურებდა: აქამდინ ნათლია-ჩემი ოსტატი იყო, მაგრამ იმასავით ხელოსანი; ეხლა კი პირდაპირ კეთილშობილებში ჩასწერა იგი ჩვენმა ქარგალმა და იმისთანა მოწიწებით ექცეოდა, თითქო დღეიდან იცნობს თავის აფიცერსაო.

სამხედრო ვარჯიშობაში ნათლია-ჩემი ბევრად არად ვარგოდა და სხვები გაცილებით სჯობნიდნენ; მეტადრე ჩვენი ლეტუმიე ექიშპებოდა. მუცელი აგვტკივდებოდა ხოლმე, იმდენს ვიცინოდით. გარეშემო სოფლებში — ვილშბერგში, მიტელბრონში, კატრვანში, დანში, ლუტცელბურგში — ერთი სიტყვით, ყველგან სამხედრო ვარჯიშობა იყო გაჩაღებული და ყველგან ერთი და იგივე ძახილი ისმოდა: გაუმარჯოს ერს! გაუმარჯოს თავისუფალ ერს! ქვრივი ანო, ქალაქში რომ ხილით ვაჭრობდა, ახლა ისევ სოფელში ამოვიდა და ჯარის ვარჯიშობის დროს ეს იქვე სტოლს გამართავდა, ცოტა რამ ღვინოს გამოიტანდა, ხელადას, და მზე არ მომეკიდოსო, სამფერ ქოლგას შეეფარებოდა ხოლმე. მაგრამ ისე ცხელოდა, რომ ქოლგის ქვეშ კი არა, შინაც ველარ გაგვეძლო და აბა ჯარის კაცს რა მოუვიდოდა? წირვა გამოვიდოდა თუ არა, ჩვენც ვარჯიშობას ვიწყებდით და სამ საათზედ ძლივს ვათავებდით! რამდენს მტვერს ვყლაპავდით? ღმერთო, რა კარგად მაგონდება ყველაფერი! ჩვენი ათის თავი კერუ? ერთი დაბალდაბალი, ჩამრგვალებული მოხუცი იყო, ბატივით თეთრი, მაგრამ ყოჩაღად გვასწავლიდა; კოხტად გაგვიძღვებოდა ხოლმე და თან ნაბიჯს გვითვლიდა: ერთი! ორი! ერთი! ორი! შედექ! ნახევარ მხარი მარჯვნივ, მარშ! მერე გვერდით მოგვიდგებოდა, გადმოგვხედავდა და, თავით ფეხამდე ოფლში გაწურულთ რომ დაგვინახავდა, გულიანად გაიხარხარებდა და შემოგვძახებდა:

— გეყოფათ! დაისვენეთ!

გავიგებდით თუ არა, დაისვენეთო, თავგადაგლეჯილები გავრბოდით ანოსკენ და, რასაკვირველია, არც ჩვენი მოხუცებული ათის თავი დაგვავიწყდებოდა. მივიპატიჟებდით, ჯერ ერთი გაუმასპინძლდებოდა, მერე მეორე, მესამე... ისიც სვამდა, თავის დღეში უარს არავის ეტყოდა; სვამდა თან იმედს გვაძლევდა:

— ნუ გეშინიანთ, მამულის შვილნო, ნუ გეშინანთ! იმისთანა ბიჭები დადგებით, რომ გერმანელმა ჯარებმაც ვერა დაგაკლოთ-რა!

სმა ძალიან უყვარდა, მაგრამ ჩვენ რა გვენაღვლებოდა? ძალიან პატიოსანი კაცი იყო, ვარჯიშობაში არავინ სჯობდა და ამასთანავე საუკეთესო, თავგანწირული მამულიშვილი იყო. ჩვენს ჯარში ბევრნი არ იყნენ ისე კარგები; ერთი ის იყო და ერთი-ორი კიდევ სხვა: მესამე წყობაში პატარა ტრინკე იყო გამოჩენილი; გარდა ამისა ბაზიო—საკვირველი სასიამოვნო ხმა ჰქონდა და დიუშენი—ერთი უზარმაზარი ჭადისავით მოუდრეკავი კაცი იყო. ათის თავები ყველგან ხალხისკენ იყვნენ და ქალაქში ხშირად მინახავს, საღამოზედ სამხედრო სამსახური რომ გაუთავებიათ, სამხედრო ბინაზედ წასვლის მაგივრად, სახალხო კლუბში შეპარულან, ჩრდილში მიმალულან და სმენად ქცეულან—იქნება ჩვენც გავიგოთ რამე ქვეყნიერებისაო. მაგრამ გაიგონებდნენ სამხედრო საყვირს და გაჩქარებულნი მიდიოდნენ, რომ უმფროსებს არ გაეგოთ და არ დაესაჯათ. უბედურნი მთელი 15 და ხშირად 20 წელიწადიც უნდა ყოფილიყვნენ სამხედრო სამსახურში და იმედი კი არავითარი ჰქონდათ, რომ წინ წავიდოდნენ: უნდა ეშრომნათ, დიდებული აფიცრების მაგივრად საქმე იმათ გაეკეთებინათ, და ჯილდო კი სხვებს—აფიცრებს უნდა მიეღოთ. შემდეგში, როცა რევოლიუციას და ხალხს აფიცრები დასჭირდა, დიდი სამსახური გაუწიეს ამ სამხედრო სამსახურში დაბერებულმა ათის თავებმა და ბევრმა მათგანმა იმდენად ისახელა თავი, რომ გენერლობაც მიიღო. ამას იმ თავითვე გრძნობდნენ ათის-თავები და ამიტომ იყო რომ რევოლიუციას მიემხრნენ და ხალხს გამარჯვებაში დაეხმარნენ.

საღამოობით, ნათლია-ჩემი ფთხილად ჩააწყობდა ყუთში თავის ქუდს და ეპოლეტებს, უფრო ფთხილად დაჰკიდებდა ხოლმე განჯინაში თავის აფიცრის ტანისამოსს, საშინაო ტანსაცმელს გადიცვამდა და „თეორიას“ შეუდგებოდა. რამდენჯერ მომხდარა, როცა კარგად გახურდებოდა სამჭედლოში მუშაობა და გაჩაღებული რკინის ნაპერწკალი ჭერსა სწვდებოდა, სწორედ იმ დროს წამოუყვირნია ნათლია-ჩემს: ფთხილად!... ნახევარ მხარი მარცხნივ! მარშ! და გაკვირვებული რომ დავრჩომილვართ, შემოუტევნია: რას მიყურებთ?! მინდოდა მენახა,

ხმა როგორი მაქვს!.. ვახშამს აკალაგებდით და ჩვენი ლეტუმიე შემობრძანდებოდა; დაჯდებოდა, მუხლს იმდენად აიწევდა, რომ ნიკაპით ზედ დაყრდნობოდა და დაიწყებდა „თეორიაზედ“ ბაასს; თან ისე ეშმაკურად უღიმოდა ტუჩი, იტყოდით ამ კაცს რაღაცა სწადიანო. ნათლია-ჩემს თეორიაში იერიშისა და ხელდახელ, ხმალ და ხმალი ბრძოლის გარდა არა სწამდა-რა. რადგან ათის თავმა კერუმ გვითხრა, ომში სროლა კი არა, უმთავრესი იერიში არისო. დაიწყებდა თავისას, მტრისას და თავის ჯარებს დააწყობდა, იერიშს შიიტანდა... გაცხარდებოდა, ცეცხლი მოეკიდებოდა და ყვირილს მორთავდა:

— ბიჭო, მიხო! საწერ-კალამი, ჩქარა!

საწერ-კალამს და ქაღალდს მივართმევდი და დაიწყებდა ხაზვას. ყველანი გარს შემოვეხვევოდით და ქაღალდს დავცქეროდით. ნათლია-ჩემი კი ხატავდა: ეს თხრილი... სამ ადლზედ ნაკლები როგორ იქნებაო? ეს ზარბაზნებიო, აქ კიდევ ჩასაფრებული ჯარი, რომ უცბად დაეტაკოს მტერსაო. იმისთანა დაწვრილებით აგვიხსნიდა ყველაფერს, იტყოდით მხედართ მთავარიაო; მაგრამ ლეტუმიე შიგ კრიჭაში უდგა და წამდაუწუმ შეაყენებდა:

— მაგას რასა ბრძანებთ, ბატონო ივანე, ეგ როგორ იქნება?..

— ვითომ და რატომაო? — შეუტევდა ნათლია-ჩემი. შელაპარაკდებოდნენ, გაცხარდებოდნენ, გაჯავრდებოდნენ.... წამოვარდებოდა ნათლია-ჩემი, სტოლს გაბრაზებით მუშტს ჩაჰკრავდა და დაიძახებდა:

— ასე უნდა, ასე! ასე უნდა მიუსიოთ ჯარი, თორემ ამ სიმაგრეს თქვენს დღეში ვერ აიღებთ! მე გეუბნებით, ვერ აიღებთ-მეთქი!

ზოგი ნათლია-ჩემისკენ იყო, ზოგი ლეტუმიესკენ; ასე გასინჯეთ, ამ სამხედრო კამათში თვით ნათლი-ჯალაბიც კი მონაწილეობას იღებდა. იმისთანა ყვირილს დავიწყებდით ხოლმე, რომ საწყალი ლეტუმიე პასუხის მოცემასაც ველარ ახერხებდა და ჩვენ ხომ ერთმანეთისა სრულიად აღარა გვესმოდა-რა.

ათი საათი დაჰკრავდა სასოფლო საათზედ და ჩვენ კი ისევ ჩვენსას გავიძახოდით. წამოდგებოდა ლეტუმიე, ქუდს აიღებდა, მაგრამ გარედანაც თავისას იძახდა:

— მაგას რას ბრძანებთ, ბატონო ივანე! ეგ როგორ იქნება!

და უკან გამოვეკიდებოდით, ალაყაფის კარებამდე მივდევდით და შიგ ყურში ჩავსძახოდით:

— მაშ იმ ციხეს როგორ შეუხვალთ! ასე უნდა მიუსიოთ ჯარი, თორემ თქვენს დღეში ვერ აიღებთ!

ჩვენი თავისა რომ არ შეგვრცხვომოდა, მივვარდებოდით და ცემას დავუწყებდით... ჩვენი აზრის დასამტკიცებლად!

ნათლია-ჩემი ხომ სულ ცოფსა ჰყრიდა:

— დასწყევლა ჩემმა გამჩენმა! ცარიელი ბზითა აქვს გამოტენილი ი გოგროხა თავი, თორემ ადამიანისას როგორ ვერას გაიგებდა?

სამხედრო ვარჯიშობაში კი მაინც ლეტუმიე სჯობნიდა: ბრძანებაც უკეთესი იცოდა და გარდა ამისა თავისი ხმლით ისე მშვენივრად ანიშნებდა საით უნდა წასულიყო ჯარი, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, რომ ნათლია-ჩემს ამაში ხმაც არ ამოეღებოდა. საცა სამართალი იყო, ნათლია ჩემისა თანაშემწე კი არა, სწორი უნდა ყოფილიყო, და მთელი სოფელიც ამავე აზრისა იყო, მაგრამ ნათლია-ჩემს უპირატესობა იმან მისცა, რომ მჭედელი და დუქნის პატრონი იყო და, მაშასადამე, უფრო წარჩინებული; გარდა ამისა ყველაზედ ლამაზი კაცი მთელს სოფელში ის იყო და ჯარის წინამძღოლიც ის უნდა ყოფილიყო.

ერთი გარემოება ცხადად ამტკიცებს იმდროინდელი ბატონების და ეპისკოპოზების უგუნურებასა და წინდაუხედაობას. ბასტილის ციხე რომ ხალხმა აიღო და დაპატიმრებულნი გაანთავისუფლა, დიდებულნი იქვე კი არ დარჩნენ, საერო კრებაზედ რომ თავისი უფლებანი დაეცვათ, თუ კი უფლება ჰქონდათ რამე, თქვენც არ მომიკვდეთ! აქაოდა ხალხმა გვაჯობაო, საჩქაროდ ჩაალაგეს მაფრაშებში ბარგი და სამზღვარ გარეთ გაე-

მართნენ, რომ ჩვენი ქვეყნის მტრებისთვის ჩვენს საწინააღმდეგოდ ჯარები ეთხოვნათ. მიდიოდნენ გაჩქარებულნი მებატონეები, ეპისკოპოზები, ბერები, იმათი მოსამსახურენი და შინაყმანი; მიდიოდნენ, რომ თავიანთ სამშობლოსთვის უცხოელი ჯარები შემოესიათ. ლორენელები ტრევისკენ მიემგზავრებოდნენ და ალზასელები კობლენცისკენ, ან ბაზელისკენ და თან ხმა-მაღლივ გვემუქრებოდნენ:

— მოიცადეთ! დავბრუნდებით და იმისთანა საქმეს გიზამთ, რომ სამაგალითოდ დარჩეს უკუნითი უკუნისამდე!

გიჟები იყვნენ სწორედ და ჩვენც გულიანად ვიცინოდით იმათ მუქარაზედ. ამას უწოდეს გახიზვნა. თავადმა არტუამ დაიწყო, იმას უბრწყინვალესი თავადი კონდე მიჰყვა, უბრწყინვალესნი თავადნი ბურბონი, ბოლონიაკი და ბროგლი. ის ბროგლი, რომელიც პარიზის ჯარების უმფროსად იყო დანიშნული და ბრძანება ჰქონდა, საერო კრება დაშალეო. დიაღ, იმდენი უჩიჩხვინეს საბრალო მეფეს, რომ გააგიჟეს, დაღუპეს და როდესაც ნახეს, საქმე ცუდად არის, საშიშია ჩვენი მდგომარეობაო, უმტყუვნეს და გაჭირებაში მარტოდ-მარტო დასტოვეს.

ბევრნი გაიხიზნენ მაშინ საფრანგეთიდან.

ნათლია-ჩემს კიდეც უხაროდა იმათი წასვლა:

— ჯანაბამდე გზა გქონდეთ მაგ ქვეყნის წურბელებს, მაგათა! დეე წავიდნენ! ძლივს თავისუფლად არ დავრჩებით ჩვენცა და ჩვენი კეთილი მეფეც! ავს მაინც აღარავინ ურჩევს, ეგენი რომ გაგვეცლებიან!

და ყველანი ასევე უყურებდნენ დიდებულთა გახიზნვას. ნეტავი ყველაც წასულიყვნენ! მაშინ იმათი ხსენებაც აღარსად იქნებოდა. დიდი სიამოვნებით მივართმევდით ამ საჩუქარს გერმანელებს, ინგლისელებს და რუსებს. ჩვენდა საუბედუროდ, ძალიან ბევრნი დარჩნენ სამეფო ჯარების უფროსებად და, რასაკვირველია, სულ იმის ცდაში იქნებოდნენ, რომ ერისთვის ჯარი მიესიათ და ხალხის ჯავრი ხალხისავე ძალით ამოეყარათ. საშინელება განიძრახეს მაშინ შინ დარჩენილმა დიდებულებმა! შემდეგში ნახავთ, რა განიძრახეს სამშობლოს წინააღმდეგ და

როგორ უღალატეს თავიანთ აღმზრდელ ქვეყანას. ამას ყვე-
ლაფერს თავის დროზედ მოგახსენებთ, ხომ იცით, აჩქარებითა
სოფელი არავის მოუჭამია.

პარიზელებს ჯერ ისევ ძველებურად უყვარდათ ჩვენი მე-
ფე და რადგან დიდი ხანი იყო, რაც მეფე ვერსალში ბრძან-
დებოდა, თავიანთ ცოლები და ქალები გაგზავნეს: წადით,
სთხოვეთ პარიზში გადმოსახლდეს და დედოფალი—მარიამ ან-
ტუანეტა და ბატონიშვილი თან წამოიყვანოსო. რას იზამდა
ლუი მეთექვსმეტე? დამორჩილდა და პარიზისკენ გაემგზავრა.
დამშეულ ხალხს იმედი მიეცა, ახლა კი აღარა გვიჭირს-რა,
შიმშილისა აღარ გვეშინიანო. მეფე რომ შევიდა პარიზში, ხალ-
ხი ხმა-მაღლივ იძახდა:

— ვეღარ გვაჯობებს შიმშილი! აგერა ჩვენი ხაბაზი, თა-
ვის დედაკაცით და ბალღით! რაკი ხაბაზი აქ გვეყოლება, შიმ-
შილი ვეღარას გვიზამს!

სამეფო ეტლის წინ ლაფაიეტი მიდიოდა თავის თეთრი
რაშით. პარიზელებმა ლაფაიეტი ერის მცველი ჯარების უფ-
როსად დანიშნეს და ბაილი პარიზის მამასახლისად. ხალხისთა-
ნა მინდობილი ხომ არა იქნება-რა: ისე ადვილად ივიწყებს
ყოველგვარ შეურაცხყოფას, თითქო ბავშვიაო, ოღონდ მოთმი-
ნებიდან ნუ გამოიყვანენ!

ამ ამბებს შოველი იწერებოდა. ამასთან იმასაც გვწერდა,
საერო კრებაც პარიზში გადავიტანეთ და სამეფო სასახლის
გვერდით ვიკრიბებითო. ისე თვე არ გავიდოდა, რომ შოველის
წერილი არ მოგვსვლოდა და წერილთან ერთად ახალ-ახალი გა-
ზეთები: **პარიზის რევოლიუციის დღიური**, **საფრანგეთის რე-
ვოლიუცია**, **პატრიოტული გაზეთი**, **პარიზელი პუბლიცისტი**
და ბევრი კიდევ სხვა გაზეთები, რომელთა სახელი ვეღარ მო-
მიგონია.

ძალიანი წერილები ეწერა გაზეთებში, მეტადრე ლუს-
ტალოს და კამილ დესმულენის ნაწერები. დაწვრილებით იყო
აწერილი, რა ხდება მთელს საფრანგეთში, ან ვინ რას ამ-
ბობდა, ისე რომ ყოველ გლეხ-კაცს შეეძლო თავის გარემოე-

ზას დაჰკვირვებოდა და მთელი საფრანგეთის ბედ-იღბალის ცვლილისათვის თვალ-ყური ედევნებინა. ჩავიტანდით იმ გაზეთებს ფალსბურგში და იქ, დახურულ ბაზარში, წავიკითხავდით ხოლმე ხმა-მაღლა, რადგან ელო კოლენმა პარიზელი იაკობელების და კორდელიერების მიხედვით ჩვენშიც კლუბის დაარსება განიზრახა და როგორც მოგახსენეთ დახურულ ბაზარში დაუდო პინა *). აქ შევიკრიბებოდით ხოლმე სალამოობით, როცა მაღაზიები დაკეტილი იყო და ლეტუმიე იმისთანა ხმით გვიამბობდა ახალ ამბებს და ისე გარკვევით გვიკითხავდა გაზეთებს, რომ ქვემოდ მოედანზედაც კი ისმოდა იმის ხმა. ყველა მხრიდან იქ მიეშურებოდნენ ახალი ამბების მოსასმენად და ჩვენი მხრისწარჩინებულნი პირნი ლიქსჰეიმში ისე არ ჩავიდოდნენ, რომ სალამოზედ კლუბში არ მისულიყვნენ და კრებას არ დასწრებოდნენ. ტრიბოლენი—აფთიაქის პატრონი, დიდიე ჰორცუ—მექუდე, რაფიელ მანგი—მედუქნე, ფიქსარი, ბარუხი, არონი, ბერნეტი, ერთი სიტყვით, ქალაქელი თუ ქალაქში დროებით მყოფი ერთი არავინ იყო, რომ კლუბის კრებას არ დასწრებოდა და სიტყვა არ ეთქვა ადამიანის უფლებათა შესახებ. ადამიანის უფლებათა აღრიცხვას ზედ სხვა-და-სხვა კითხვები მოჰყვებოდა ხოლმე, თემებად დაყოფა საფრანგეთისა, კანონი მშრომელთა და უსაქმურთა შესახებ; კანონი, რომლითაც ნება ეძლევოდათ ლუტერანებს და ებრაელთ სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში შესულიყვნენ; ნაფიც მსაჯულთა წესის შემოღება; მონასტრების გაუქმება; მონასტრების მამულების საერო კუთვნილებად აღიარება; ქაღალდის ფულის შემოღება... ერთის სიტყვით, სუყველაფერზედ, რასაც კი საერო კრება კითხვას აღძრავდა. ღმერთო, როგორ იცვლებოდა ჩვენი ცხოვრება!

უწინ რომ ყოფილიყო, მებატონეები და ეპისკოპოზები სუყველაფერს თავიანთ სასარგებლოდ იტყოდნენ, სუყვე-

*) იაკობელების კლუბი 1790 – 1794 წ. ნოემბრამდე დაარსდა წმ. იაკობის მონასტერში. წევრნი, რესპუბლიკელნი, ძირიანად შეცვლას უპირებდნენ საფრანგეთს. კორდელიერების კლუბი 1790 წ. დააარსეს დანტონმა და მარატმა კორდელიერების მონასტერში; შემდეგში იაკობელების კლუბს შეუერთდა.

ლაფერს თავიანთ სასარგებლოდ მოაგვარებდნენ; ჩვენ არც კი მოეაგონდებოდით; მოგვდგებოდნენ და არც კრეჭას დაგვაკლებდნენ, არც პარსვას. შემოგვისევდნენ თავიანთ მოურავებს, გზირებს, შინაყმებს და სულ ტყავს გაგვაძრობდნენ. რას ვიზამდით? გავუძალიანდებოდით? ჯარს მოიშველებდნენ, ოცოცს კაცს ჩაგვიყენებდნენ სახლში და ვაი ჩვენი ბრალი! რასაც გვიბრძანებდნენ, ჩვენი კანონიც ის იქნებოდა. ჩვენი კეთილი მეფე, ჩვენი შემბრალებელი და ჩვენთვის გულდამწვარი მეფე სულ ჩვენს ფიქრში და ზრუნვაში იქნებოდა სიტყვით და საქმით კი... ისე მოუცლელად იყო სამეფო საქმეებისა გამო — ეს მეჯლისიო, ეს წარმოდგენებიო, ეს ნადირობაო, ეს უცხოელთა გამასპინძლებაო და სხვა-და-სხვა გარემოებისა-და გვარი ცერემონიებიო—რომ ხალხი და ხალხის გაჭირება არც კი აგონდებოდა. იმის იმედით რომ ყოფილიყო ხალხი, მოვიცდი, ჩემი კეთილი მეფე ჩემთვისაც მოიცლისო, დღესაც მშიერ-მწყურვალი, ტიტველი და გონებრივი გლახაკი იქნებოდა, როგორც რევოლიუციამდე იყო. განა მეტი ბედნიერება კიდევ ექნება რამე, ადამიანს თავის ცხოვრება შეეგნოს და თავისუფლად სჯა და ბაასი შეეძლოს თავის გაჭირების შესახებ?! განა მეტი ბედნიერება კიდევ შეიძლება, ქვეყანაში კაცს ხმა და უფლება ჰქონდეს, თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი, მეგობარს ქებით დაუხვდეს და მტერს თავს ლაფი გადაასხას?

სიცოცხლე თავისუფლებაა! ეხლაც თვალ-წინ მიდგან თავისუფლების მადლით გაბრწყინვალებული ჩვენი კლუბი! ჩვენი ძველი დახურული ბაზარი, ოდნავ განათებული ერთად-ერთი ლამპარით, რიგზედ ჩარიგებული სკამები და ხალხი, იმოდენი ხალხი, რომ ნემსის წვერი ვერსად ჩავარდებოდა! დიდი, პატარა, ქალი და კაცი სულ იქ იკრიბებოდა! სტოლზედ შედგებოდა ჩვენი კოლენი და დაიწყებდა გაზეთის კითხვას. სმენად გადაიქცევოდა ხოლმე ყველა და ვისაც ნაკლებად ესმოდა, ის უფრო გულმოდგინედ ისმენდა. გარედან ქარის გრიალი შემოდიოდა, ქალაქის ხმაურობა, მაგრამ ჩვენ ყურადღებასაც არაფერს ვაქცევდით. და თვით ასასები და დარაჯები ისე დადგე-

ბოდნენ ქუჩაში, რომ მოლაპარაკეთა სიტყვა არ გამოჰპაროდათ.

და თვით ისინიც კი, ვისაც პირდაპირი ვალდებულება ედვა, ჩვენი კლუბი აეკრძალა, ჩვენ კიდევ დავეჭირეთ და, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ჩვენს სოფელში ავერეკეთ, თვით ის მოხელენი ისე გვექცეოდნენ, თითქო ვერასა ხედავენო. ჩვენი მამასახლისი თავისი სამფერი სარტყელით და იმისი თანაშემწენი; ბოქაული ივანე ბოკერი და კიდევ სხვანი, ვისიც ჯერ არს ყოველი უწესურების წინაალმდეგობა და აკრძალვა, ორი-სამი წლის წინად ამისთანა საქციელისთვის ციხეში გვიკრავდნენ თავსა! მაშინ კი ჩუმად აგვივლიდნენ გვერდზედ, თითქო სყირნობენო და ჩვენი იქ ყოფნა და სახელმწიფო საქმეებზედ ბაასი არც კი იციანო.

დიაღ, ვისაც ეს ამბები არ უნახავს, ვერც ამ ცვლილების სიტკბოებას გაიგებს და იმათ მე ერთს ვურჩევ: ეცადნენ, რაც ძალ-ღონე და გონიერება აქვთ, მოიხმარონ, რომ ისევ იმ დღეში არ ჩავარდნენ, რა დღეშიაც 1789 წლამდე ვიყავით. უმთავრესი ეს არის, რადგან ძალიან ბევრნი ცდილობენ ძველი წეს-წყობილების შემოღებას. ქვეყნის მოღალატენი ყოველთვის იქნებიან და ყოველთვის იმას ეცდებიან, თავიანთ დღენი განცხრომით და ქეიფით გაატარონ და თავის მაგივრად ხალხი ამუშავონ.

და იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ასე იცვლებოდა, როდესაც მთიულნი ბარს ჰოედვნენ და თავად-აზნაურთ სახლ-კარი და მონასტრები და საბაჟოები არსად გადარჩათ; როდესაც დიდებულნი ისეთის სიჩქარით იხიზნებოდნენ საფრანგეთიდან ზოგი ეტლით, ზოგი ცხენით და ზოგი ფეხითაც; როდესაც გაუქმებული საბაჟოების მოხელენი იმასღა ცდილობდნენ, რომ ერის მცველ ჯარში აფიცრებად ჩარიცხულიყვნენ; ერთი სიტყვით, როდესაც ასეთი დიდ მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში, მე უფრო საწყალი მამაჩემი დამახსომდა: სულ იმასა შიშობდა ცხონებული, ქვეყანა აირია, ქვეყანა დაიღუპა და ჩემს კალათებს ვიღა იყიდისო.

დედა-ჩემი ხომ სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მეორედ მოსვლა დადგა და ვაი ჩვენი ბრალი, სულით ხორცამდე დავიღუპებითო! სწორედ იმ დროს იყო, რომ შეწუხებული შემოვიდა ერთ საღამოს ჩემი ძმა კლოდი და მწარედ ამოიოხრა: ჩვენი ბერები გახიზვნას აპირობენ, მე ჩემს ჯამაგირში გამისწორდნენ და დამითხოვეს. ახლა რაღა მეშველება, რა შავ ქვას ვახალო თავი?

მაშინ ოცი წლისა ვიყავი და ქვეყანა ჩემი მეგონა. მკლავი მიჭრიდა, გული მიხაროდა და ჩვენების შიში მიკვირდა და მაბრაზებდა. ისინი რომ წუწუნს დაიწყებდნენ, მე თავს ველარ შევიმაგრებდი და შევუტევდი ხოლმე:

— რა არის, არა გრცხვენიათ, რომ აგრე გეშინიანთ! თუ კი იმოდენ უბედურებას და ვაი-ვაგლახს გავუძელით, თუ კი იმოდენი გადასახადი და ხარჯი ავიტანეთ და თანაც იმოდენ მუქთა-ხორა ხალხს ვაცხოვრებდით—ეს ბატონიო, ეს ბერიო, ეს მონოზანიო, რა ვიცი, ვისაც კი შრომა არ უნდოდა, ყველა ჩვენ გვაწვა კისერზედ;—არა, თუ კი იმოდენი ტანჯვა-წვალება ავიტანეთ, ეხლა რიღასი უნდა გვეშინოდეს, როდესაც ის მაინც ვიცით, რომ ჩვენს ნამუშევარს არავინ წაგვართმევს. ქვეყანაზედ საქონელი ხომ არ გაწყვეტილა და აქამდის თუ ბერების საქონელს აძოვებდა კლოდი, ცოტა მომითმინოს და ნახავთ თუ მე ჩემი საკუთარი საქონელი არ ჩავაბარო.

ძალიან თავხედურად მომივიდა, მეც ვიგრძენ, მაგრამ სიყმაწვილეს რას უზამთ? ყოველ დღეს სხვა-და-სხვა აზრები შემოჰქონდა ჩვენს სიცოცხლეში და იმათ ძალას, რასაკვირველია, მეც დავემორჩილებოდი. ბევრი რამ მწამდა მაშინ ისეთი, რომ ჩვენებთან თქმასაც ვერ გავბედავდი და სხვათა შორის ისიცა მწამდა, რომ ადამიანიშვილი ყველა ერთია, ყველა სწორია და თუ ერთს მეორე დაუმორჩილებია, იმიტომ კი არა, რომ მართლა ძლიერი ყოფილა და უჯობნია, არა, მარტო იმით დაუმორჩილებია, რომ დამორჩილებულს თვისი თავი სუსტი და უძლური ჰგონებია, მე მწამდა, რომ ყოველი პატიოსანი კაცი დაჩაგრულთა განთავისუფლებას უნდა ცდილიყო.

დედა-ჩემი იქვე იდგა და განცვიფრებული, პირმოკუმული და თვალებ-დაშტერებული შემომცქეროდა; კარგა ხანი მიყურა ასე, თითქო ხმის ამოღება ვერ მოუხერხებიაო; მერე, როცა ცოტათი დამშვიდდა, მითხრა:

— აბა სწორედ მაგ ამპარტავნებისთვის დაგამცრობს, შვილო, ღმერთი! იქნება გგონია, იოსები იყო, რომ აღსდგეს შენი ძნა და შენი ძმების ძნა მის წინაშე მოიხაროს და თავმდაბლად სალამი მისცეს? იქნება გგონია, მზე და მთვარე და ვარსკვლავნი მარტო იმიტომ ანათებენ, რომ თაყვანი სცენ შენს დიდებას?! დღევანდელი დღე დაიხსომე, შვილო, და როდესაც შენ ეგვიპტეში იყო და სახლთუხუცესობა მიიღო, მაშინ დედაშენს ნუღარც კი მოიგონებ. შენ თუ დაგღუპავს, ეგ ამაყი, ამპარტავანი გული დაგღუპავს და, ღმერთმა კი დაგიფაროს, შენი ბოლო სახრჩობელა იქნება!

გავათავებდით თუ არა მუშაობას, ცოტათი შევნაყრდებოდი და ქალაქისკენ მივეშურებოდი, რომ პირში შევბმოდი ძველებური წეს-წყობილების მომხრეთ, თუ კი გაბედავდა ვინმე და ხმას ამოიღებდა. ყველა მოხელეებს, რომელნიც ძველებურს ამჯობინებდნენ, ჩვენ არისტოკრატებს ვეძახდით. ერთი კი გაებედნა და ეთქვა რამე ამგვარ არისტოკრატს, ყველაზედ მაღლა მე შევუტევდი, თვალები სისხლით ამევსებოდა, უმფროს-უმცროსობისას მე აღარას ვარჩევდი. ისე გავეჩვიე ჩვენს კლუბში, რომ სრულიად დაურიდებლივ, ჩემს ნებისად ვიყავ და რომ მომეწონებოდა ვისიმე სიტყვა, ყველაზედ უწინ მე ვუყვიროდი: „გაუმარჯოს კონსტიტუციის მომხრეს!“ არ მომეწონებოდა და—არც იმას დავმალავდი: „შორს ჩვენგან, ცრუ პატრიოტებო!“ ეს ყველამ იცოდა ჩვენს სოფელში და ძალიან პატივისცემით მიყურებდნენ. კლუბიდან ათ საათზედ წამოვიდოდით ხოლმე შინისკენ, და როცა მთვარიანი ღამე იყო და გული მხიარულად გვქონდა „წავა“-ს *) ვმღეროდით. მამი-

*) როდესაც ჩრდილოეთი ამერიკის მკვიდრნი ინგლისისაგან განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ფრანკლინი პარიზში იყო და ამერიკიდან მოსულ დეპეშას ისე არ წაიკითხავდა, რომ არ ეთქვა: „წავა, წავა, საქმე კარგად წავა“. ასევე იმედია-

ჩემისავით ტკბილი ხმით დავძახებდი ხოლმე, სხვები ბანს მომცემდნენ და მივდიოდით. ისე გაიტაცებდა ხოლმე ჩვენი საამური სიმღერა ნათლია-ჩემს, ისე მოუტკბობდა გულს, რომ მოვიდოდა, მხარზედ ხელს დამკრავდა და მეტყოდა: ყოჩაღი ბიჭი ხარ, მიხო! შენ აგრე ყოჩაღად იყავ და მე და შენ ყოველთვის ერთად ვიქნებით.

ეჰ, რა კარგი ხარ სიყმაწვილევ! სადაც უნდა ვყოფილიყავ და რაც უნდა მეთქვა, სულ იმას ვცდილობდი, ისე მოვქცეულიყავ, რომ ჩემს მარგალიტას მოსწონებოდა. მარგალიტას სიყვარულით ერთი-ორად პატრიოტი ვიყავ. გული სიყვარულით მქონდა სავსე, და გონება თავისუფლებით.

ისე გაქრა ის წელიწადი, არც კი შეგვიტყვია. ზამთარი თბილი იდგა და ჩვეულებისამებრ არ გაგვიჭირა საქმე; თოვლი მოდიოდა, მაგრამ იქვე დნებოდა და თებერვლის გასულს თითქმის გაზაფხულის დარი დაიჭირა.

გაზაფხულდა. 1790 წ. მარტში, აპრილში და მაისში სხვადა-სხვა სოფლის მილიციებმა ერთმანეთში მისვლა-მოსვლა დაიწყეს და სამაგალითო მეგობრული განწყობილება ჩამოაგდეს. ხან ერთს სოფელში შეიკრიბებოდნენ, ხან მეორეში, ერთმანეთს ძმობას და ერთობას შეჰფიცოდნენ, ბატონ-ყმობის გა-

---

ნად შეჰყურებდა რევოლიუციას პარიზელი ხალხი და ამ სიტყვებზედ აგებულ სიმღერით მიდიოდა ყოველ ბრძოლაში:

წავა, წავა, კარგად წავა
და კარგადაც გათავდება,
იმდენ თავადს ჩამოვახრჩობთ,
რომ თოკიც კი გაძვირდება!

წავა, წავა, კარგად წავა
და კარგადაც გათავდება,
დღეს ჩვენ ავეშალეთ მეფეს,
ხვალ ქვეყანი აეშლება... და სხვ. და სხვ.

წავა, წავა, ყოველს სტრიქონში უცვლელად რჩებოდა და დანარჩენი სიტყვები კი გარემოებათა დაგვარად იცვლებოდა.

ხმაც იმდროინდელ, ყველასაგან მოწონებულ ოპერიდან შეურჩია ხალხმა თავის სიმღერას, ის ხმა, რომელიც გაგიჟებით უყვარდა დედოფალს მარიამ-ანტუანეტას და ყოველ დღე უკრავდა.

დაგდებასა ხარობდნენ და თან კონსტიტუციის შემოღებას ულოცავდნენ ერთმანეთს. მოხუცებულები შესაფერ სიტყვას ამბობდნენ და ისე გაიტაცებდნენ ხოლმე მსმენელთ, რომ ცამდე ადიოდა იმათი ძახილი:

— სულ გავწყდებით და ჩვენს თავისუფლებას კი აღარ დავკარგავთ!

ქალებიც მოვიდოდნენ ხოლმე, რომ მილიციელების ერთობას დასწრებოდნენ და სიტყვები მოესმინათ, თუმცა თითონ არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ და შორიდან გვიყურებდნენ.

ბატონ-ყმობის გადაგდებამ ისე არ ასიამოვნა გლეხ-კაცობა, როგორადაც სასულიერო წოდების მამულების გაყიდვამ.

ყველა დამეთანხმება, რომ რევოლიუციის დროს, როდესაც უარვყავით ყოველი ძველი გარდასახადი და ხარჯი, სახელმწიფოს შემოსავალს შესამჩნევად უნდა ეკლო და აგრეც მოხდა: ხაზინის ზარალი დღითი დღე მატულობდა. საერო კრება მთელს სამეფოს, მთელს საფრანგეთს წარმოადგენდა და მაშასადამე არ შეეძლო ჩვენი ძველი მეფეებივით გამოეცხადებინა, სამეფო ხაზინა გაკოტრდაო! საერო კრება ამას ვერ იზამდა, საერო კრება ერს ვერ შეარცხვენდა. მაშ საიდგან გადაეხადნა ძველი ვალები? ჩვენი კეთილი მეფეებისგან აღებული ვალები? სად ეშოვნა იმდენი ფული? ჩვენდა საბედნიეროდ ოტენელმა ეპისკოპოზმა ტალეირან დე პერიგორმა გამოაცხადა: საფრანგეთის ეკლესიას ოთხი მილიარდის მამული აქვს; ეს სიმდიდრე განუყოფელ საკუთრებას შეადგენს მთელი სასულიერო წოდებისას... სასულიერო წოდებას საკმარისი საშუალება დავუნიშნოთ საცხოვრებლად და მამულები წავართვათ; და რადგან მუშა-კაცის ხელში მამულები უფრო მეტს ნაყოფს მოგვცემენ, თუ კარგად მოვიქცეით, იმდენს ავიღებთ, რომ სასულიერო წოდებასაც თავისი ვაძლიოთ და ჩვენც დაგვრჩესო.

რევოლიუცია ამ წინადადებამ დაიხსნა. ბევრი იუარეს სხვა ეპისკოპოზებმა, ბევრს ეცადნენ, თავიანთი მამულები ხელიდან არ გაეშვათ, მაგრამ საერო კრებამ მაინც თავისი

არ დაიშალა და კანონი გამოაცხადა, რომლითაც საეკლესიო მამულები უნდა გაყიდულიყო და სასულიერო წოდებას მის სამაგიეროდ ჯამაგირები უნდა დანიშნოდა.

ამან დაიხსნა საფრანგეთი გაკოტრებისაგან და 1790 წ. ოთხასი მილიონის მამულები გაუყიდეს ეკლესიას.

ღვთისწყალობა გაქვთ, მაშინ კი გამოფხიზლდნენ მოხუცებულები! თუმცა მანამდე სულ ზიზღით ახსენებდნენ რევოლიუციას, მაგრამ ამ ამბის გაგონებაზედ უცბათ რევოლიუციის ცხარი მომხრენი გახდნენ, მაშინვე თავიანთ ძველის-ძველი კოჰობები მოძებნეს და წვრილ-წვრილად, შაურობით და უზალთუნობით მოგროვილი ფული ამოიღეს. ვისაც კი ცოტა რამ გააჩნდა შავი დღისთვის მიმალული, ყველა სამამასახლისოსკენ მიეშურებოდა.

მამულები სამამასახლისოში იყიდებოდა და ვინც ყველაზე მეტს შეაძლევდა, მამულიც იმასა რჩებოდა. უმეტესი ნაწილი იმ პირობით ყიდულობდა, რომ მცირე ნაწილს მაშინვე იხდიდა და დანარჩენს კი რამდენიმე ხნის განმავლობაში; დიდძალი მამული გაიყიდა ამგვარად, ზოგმა ხუთი დღიური იყიდა, ზოგმა ათი, ოცი და ზოგმა მეტიც. ყოველი სამამასახლისო ვალდებული იყო გაყიდული მამულის ფული პარიზს გაეგზავნა, რომ იმ ფულებით გადაეხადნათ თავად-აზნაურთაგან და სასულიერო წოდებისაგან აღებული ვალი; ჩვენ ხომ ჩვენს დღეში არავინ გვკითხავდა ვალის აღებას და ფულების ხარჯვას! ოღონდ ის იყო, რომ ფულის მაგივრად ბარათებს გზავნიდნენ, ამდენი დღიური გავყიდეთ და ფული ამდენი ავიღეთ; ფულს როცა მოგვთხოვთ, ან როცა ნისიას ვადა მოუვა, მოგართმევთო. ამ ბარათებს ასიგნაცია დაარქვეს და რადგან ყოველი ასიგნაცია მამულის ფასს წარმოადგენდა, რადგან ამ ასიგნაციით ყოველთვის შეიძლებოდა კაცს მამული ეყიდნა, ამიტომ იმ ბარათებს ისე ვხმარობდით როგორც ოქროსა და ვერცხლის ფულებს.

ვაი საწყალი კაცის ბრალი, თორემ მე რომ იმ დროს ცოტა ფული მქონოდა, იმისთანა მამულს შევიძენდი, რომ საშვილიშვილოდ მყოფნოდა. ლიქსჰეიმის ტბის პირი და ტირ-

სელენის მონასტრის საბალახე ისე მომწონდა, რომ დღე და ღამ სულ იმის ფიქრში ვიყავ, ფული სად ვიშოვნო-მეთქი? მაგრამ ჯიბეში არა მიჰყავოდა-რა და ვიყავ ჩემთვის ყურებ-ჩამოყრილი. მაგრამ როგორ გამიძლებდა გული? როგორც კი გავიგებდი მამულებს ჰყიდიანო, პირველად მე ჩავიდოდი ხოლმე სამამასახლისოში, ვიდექი და შევცქნავოდი. ზოგი მიწებს ყიდულობდა, ზოგი საბალახეს, ზოგი ტყეს. მე გული მისივდებოდა! კაცი არავინ მყავდა, რომ თავდებად დამდგომოდა, თორემ განა ვადით მეკი არ მომცემდნენ! და როცა მოხუცებულ გლეხ-კაცს ვისმე მამული დარჩებოდა და გახარებული მიეჩქარებოდა შინათკენ, მე შურის თვალით ვუცქეროდი და გულს ვიმაგრებდი:

— იშრომე, მიხო! იშრომე და იყაირათე! ამისთანა კაი დღე შენც გაგითენდება, სიბერეში მაინც, ეხლა თუ არა!

და ჩემს დღეში არ დამვიწყებია ეს ჩემი რჩევა. საუბედუროდ, რაც საუკეთესო შემთხვევა იყო, ისე გამეპარა, რომ გროშისა ვერა შევიძინე-რა და ეხლა მართებლობის ტყეები-ღა არის გასასყიდი. ისიც ვინ იცის, კიდევ ექნება ხაზინას ზარალი? სახელმწიფო ხაზინას ეხლა ისეთი ფხიზლად და ყაირათიანად განაგებენ, რომ ზარალი ძნელი მოსალოდნელია და მაშასადამე იმ ტყესაც არ გაჰყიდიან. რა გაეწყობა? რაცა კაცსა ღმერთმან მისცეს, საქმე ის არის იმის მადლიერი იყოს და.... ცდილობდეს კიდევ სხვაც შეიძინოს რამე.

რა საჭიროა, და ვერც შევძლებ აგიწეროთ, რა დაღრეჯილები შემოგვცქეროდნენ ბერები, იმათ მამულებს რომ ვყიდდით. გვწყევლიდნენ, გვლანძღავდნენ, ეკკლესიიდან განდევნას გვიქადიდნენ... შეჩვენებულ იყოს ჩვენი მამულის მყიდველი უკუნითი უკუნისამდე თითონაც და იმის შთამომავალნიცაო! აქაც დაიღუპება და საიქიოსაც ჯოჯოხეთს ვერ ასცდებაო... მაგრამ გლეხი-კაცი და მამული! ოღონდ გლეხ-კაცს ცოტა რამ მამული შეაძენინეთ და არც შეჩვენებას შეუშინდება, არც წყევლას და არც ჯოჯოხეთს. რაღა გავაგრძელო, ბერების წყევლას ყურადღებაც არავინ მიაქცია, და ყველაზედ ნაკლებათ ნათლია-

ჩემმა. ყველაზედ დიდი მამული იმან შეიძინა—ას ორმოც და ათი დღიური იყიდა პიკჰოლცში, სულ სანაქებო, საშვილის-შვილო მამული. ფასიც ისეთი არა მიუცია-რა და სიხარულით ცას დაეწია: ვერ წარმოიდგენთ, როგორ დაიბერავდა ხოლმე ლოყებს, როდესაც ამ მამულზედ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა. ნათლი-ჯალაბიც ძალიან კმაყოფილი იყო, მაგრამ ხანდახან საიქიო მოაგონდებოდა ხოლმე და გული აუჩქროლდებოდა: ერთიც ვნახოთ ღმერთმა გვიწყინოს ბერების მამულის შეძენა, მერე?.. ხომ ველარა ვცხონდით! მოაგონდებოდა თუ არა სულის ცხონება, მაშინვე ნათლია-ჩემს მივარდებოდა და უსაყვედურებდა, აქაურ სიკეთეს იქ ცხონება არ გვერჩივნაო?! ნათლია-ჩემი კი თვალს მოჰუთავდა, ლოყებს უფრო დაიბერავდა, დარბაზში გაივლიდა და სიცილით უპასუხებდა:

— მაგას მართალს ამბობ, მაგრამ ერთი კარგი კელაპტარი დავუნთოთ ღვთისმშობელს და სამოთხის თავში ჩვენ გამოგვ-ჰიმავს. ნუ გეშინიან, ეკატერინე, თუ ამ მამულის შეძენისთვის ჩვენ ღმერთმა გვკითხოს რამე, აი, ეს ულვაში მომჭერი!

და ისე გულიანად გაიხარხარებდა, რომ მუცელი ფამფალს დაუწყებდა ხოლმე. ხელებს ჯიბეში ჩაიწყობდა და თვალები ისე ეშმაკურად უცინოდა, თითქო იძახის: ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.

ნეტავი მეც შემძლებოდა ერთი იმდენი კი არა, იმის მეათედი მაინც და ღვთის მმოსავ ბერებს რამდენიც უნდა ვეწყევლე! ნათლია-ჩემსაც ბევრნი სწყევლიდნენ, და მეტადრე დედაჩემი. დედა-ჩემმა ველარა და ველარ აპატია ეს ცოდვა და ნათლია-ჩემს ისე ვერავინ ვახსენებდით, რომ იმას წყევლა არ დაეწყო. ნათლია-ჩემი კი ამ წყევლაზედ უფრო და უფრო სუქდა.

— ახლა კი აღარა მიჭირს-რა,—იტყოდა ხოლმე, როცა კარგ გუნებაზედ იყო,—ღმერთმა იმოდენი მომცა, რომ ჩემს ხელობას რომ თავი დავანებო და სამჭედლოში აღარც კი შევიხედო, მაინც გაუჭირებლივ ვიცხოვრებ. ტალეირან და პერიგორისა არ იყოს, მეც გულ-ხელს დავიკრებ და ერთი

სიტყვით ჩავაჩუმებ ვინც ჩემს წყევლას ბედავს: გშურს და იმიტომ იწყევლები-მეთქი, ვეტყვი.

ამიტომ იყო, რომ ნათლია-ჩემს სიბერე ვერ მოერია. სხვები იმის ხნისანი დაბერდნენ, დაჩაჩანაკდნენ და ის კი სამოცდა-თექვსმეტი წლისაც ისე მხიარული და ყოჩაღი იყო, თითქო ჯერ ორმოც და ათისაც არ არისო.

ყველაზედ მეტად ნათლია-ჩემს ბერი ბენედიქტი გადაეკიდა და ისე სწყევლიდა, ისე ევედრებოდა ღმერთს იმის დაღუპვას, რომ იმას რომ ერთი იოტის ოდენიც არის მადლი ჰქონოდა, ნათლია-ჩემი ცოცხლივე ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვებოდა. იჯდა თავის ჯორზედ, ქვეყანა ფეხქვეშ ედო და ყველგან ნათლია-ჩემს და რევოლიუციას სწყევლიდა. ის იყო და ისა, რაც უნდა ეძახნა ნათლი-ჯალაბს, რაც უნდა ეძლევინა, ის ჩვენკენ არ მოიხედავდა და ჩვენსას არარაფერს ნდომულობდა. ნათლი-ჯალაბის ძახილს რომ გაიგონებდა, შემოსძახებდა:

— მე ნაქურდალი არა მინდა - რა! — და თან პირჯვარს იწერდა.

ნათლია-ჩემი კი გულიანად იცინოდა.

ნათლია-ჩემი იცინოდა, მაგრამ ვალენტინი კი კინაღამ გაგვექცა. ჯერ ბერების მამულების ყიდვა ვერ ეპატიებინა ნათლია-ჩემისთვის და ამ სიცილს და ამგვარ პასუხებს ხომ უფრო არ მოუთმენდა. ითმენდა, ითმენდა და მერე კაი მკვახე პასუხსაც აკადრებდა ხოლმე ოსტატს. და რადგან ქარგალისაგან ამას არავინ მოითმენდა, წასვლა დააპირა და ისევ მე შევუჩნდი და დავამშვიდე. ისიც რითი დავამშვიდე? როცა ოსტატი სამჭედლოში არ იყო, პირს მოხსნიდა ხოლმე თავის გუდას და იმდენი ხანი ლაპარაკობდა, ვიდრე თითონ არ დაიღლებოდა.

სასულიერო წოდების მამულები სულ ამგვარად გაიყიდა და რადგან ეს მამულები მარტოდ მარტო გლეხ-კაცობამ შეიძინა, უცბად წამოიწია გლეხ-კაცმა და იმდენად წამოიწია, რომ ქალაქის მუშებს არარაფერში დაუვარდებოდა, მით უფრო, რომ რაც საბატონო მიწები ჰქონდა, იმის გარდასახადიც ძალიან

შეუმსუბუქდა. ისე წამოიწია მეურნეობამ, რომ მტრის თვალსაც გაახარებდა. უწინ ბერების ხელში ყველგან ქალები, ჭაობები და ბუჩქნარი იყო. ან რისთვის უნდა შეწუხებულიყვნენ, მონასტრებს მარანში და ბეღელში რამდენიმე წლის სამყოფი ჰქონდათ ყოველთვის შენახული და როდესაც სოფლის მღვდელი ცარიელ ქადზედ იყო მიტოვებული — ხალხს რა ჰქონდა, იმისთვის რა მიეცა? — და შვილები უსწავლელი რჩებოდა, ბერებს იმდენი ჰქონდათ, რომ შეჭმას ვეღარც კი ახერხებდნენ. ზოგი ანდერძით რჩებოდათ, ზოგი შეწირულებით, ზოგს კიდევ იმითი შოულობდნენ, რომ ქადაგებდნენ: მოინანიეთ ცოდვანი თქვენნი, თორემ ჯოჯოხეთს ვერსად წაუხვალთო! და მონანიება მარტო იმითი შეიძლებოდა, რომ მონასტერს შესწირავდნენ რასმე. და დღითი-დღე მდიდრდებოდა მონასტერი და სარჩოსა და მამულებს იძენდა. იყვნენ თავიანთვის უდარდელად, უზრუნველად და შეექცევოდნენ. ხორციელად იმათზედ უკეთესად არავინ იყო და სულიერად ხომ ისინივე არიგებდნენ სულის ცხონებას. იყვნენ ასე უსაქმურად და ამით უფრო მეტს შოულობდნენ, ვიდრე პატიოსანი შრომით შეიძენდნენ.

ჩვენი საქმე სულ სხვა არის. კაცი რომ საკუთარს ეღირსება რასმე, შრომასაც უნდა უმატოს და უნდა გენახათ, როგორ შრომობდნენ საკუთარ მამულზედ ჩვენი გლეხ-კაცები. ახლა კი შიში აღარა ჰქონდათ, მოსავალს ბატონი წაგვართმევსო და ისე უვლიდნენ თავიანთ მიწებს, ისე რომ იქნება ისე საკუთარ ცოლ-შვილისთვის არ მოევლოთ. გადახნეს იმოდენი უტეხი მინდვრები, ბუჩქნარი ამოაგდეს, ჭაობები გააშრეს, სუსტ მამულს პატივი შეუმატეს და ააყვავეს ქვეყანა; ჩვენს სოფლებს ჩვენც ვეღარა ვცნობდით. ჯერაც არ გათავებულა ეს შრომა: ჯერაც არ გაუთავებია გლეხ-კაცს ჭაობების დაშრობა და ხრიაკის სახნავ-მიწად გარდაქმნა: ახლა რამდენი ახალ ახალი ხერხი და წამლობა შემოიღო, მეტადრე ვაზის მოვლაში: ეს გოგირდით წამლობაო, ეს სეტყვისაგან დაზღვევაო, ეს არხების გაყვანა და ურწყავის მორწყვაო, ეს უცხოელი უცნობი მცენარეების გაჩენაო და უცნაური მანქანე-

ბის ხმარებაო. რევოლიუციამ შეგვძინა მეურნეობის გაუმჯობესობა და იმის მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომ შრომას და პატრონებას თავისუფლება მიანიჭა და მით ბარაქიანობა დაულოცა.

მაგრამ, საუბედუროდ, ქვეყნად სიკეთეს მოწინააღმდეგე უფრო მეტი ჰყავს ვიდრე მომხრე და, საცა უვიცი და ბიწიერი არის ვინმე, ყველანი იმას ცდილობენ სიკეთე არსად ვაბატონოთო. ასე იყო 1790 წ. ახალი კანონების წინააღმდეგობა გამოაცხადა მთელმა სამხრეთმა საფრანგეთმა; სამხრეთ საფრანგეთში ბერი წმინდანად ჰყავდათ მიღებული და უვიც, უბედურ ხალხს ისე თურმე ჩააგონეს ბერებმა, რომ თუ გაბრიყვდით და ახალი კანონები მიიღეთ, სულით ხორცამდე დაიღუპებით, რადგან ეგ ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგი კანონებიაო. მონთობანში, ნიმში, მონპელიეში, და ტულუზში ეპისკოპოზებს ბრძანება გაეცათ, რომ მღვდლებმა არავითარი ჯამაგირი არ უნდა აიღონ ღვთისა და ქვეყნის მტერთაგანაო". ლუტერანებს სდევნიდნენ და ხოცავდნენ; და სწორედ იმ დროს, როდესაც დახიზნულები ცდილობდნენ მთელი ევროპა ჩვენს წინააღმდეგ აემხედრებინათ, და მაშასადამე თუ გვიხსნიდა რამე მტერთაგან, მარტო ერთობა გვიხსნიდა, სწორედ იმ დროს ჩვენში ასეთი უთანხმოება და განხეთქილება იწყებოდა. ყველანი ვხედავდით, რომ ეს განხეთქილება დაგვღუპავდა; ყველანი ვგრძნობდით, რომ ბერები სარწმუნოების სახელით მარტო იმიტომ აღელვებდნენ ხალხს, რომ თავად-აზნაურთ და სასულიერო წოდებას ჩვენთან ბრძოლის ასატეხად საკმარისი ძალა არ ჰქონდა და ცდილობდა ხალხი ხალხისავე ხელით დაეხრჩო; მით უფრო, რომ საფრანგეთის მართებლობის ჯარების უფროსად სულ თავად-აზნაურნი იყვნენ. რამდენჯერ უთქვამს ნათლია-ჩემს შოველისაგან გამოგზავნილ გაზეთების კითხვის დროს:

—რას გვარგებს კარგი კანონი, თუ კი ძალა მტრის ხელშია? რას გვარგებს პარიზიდან ჯარების გასტუმრება, თუ კი იქვე რამდენიმე საათის სავალზედ დგანან საომრად მომზადებულნი და

ზძანებას-ღა ელიან, რომ ისევ პარიზში შევიდნენ? იცით მერე რა ჯარებით უძლევიან მტრები პარიზელ ხალხს? იმ ჯარებით, რომელთა უფროსები სულ უზრწყინვალესი თავადიშვილები და დიდებული თავად-აზნაურნი არიან, ჩვენი სისხლის მსმელი მტრები! ერთიც ვნახოთ დაიწყეს სიარული და თავი დაუკრეს პარიზელებს... საერო კრებას შემოეხვივნენ, ძალა იხმარეს და დაშალეს, გახიზნულები უკანვე დაიბარეს, ჩვენი ნაყიდი მამულები უკანვე წაგვართვეს და ყელზედ ისევ მონობის საბელი მოგვაბეს! არა, სისულელე არ არის, რომ ჯარის უფროსებად ჩვენი მტრები არიან! მერწმუნეთ, თავად-აზნაურებისთანა დაუდგრომელი მტერი ჩვენ არავინ გვეყოლება. ჩვენი ჯარის უფროსებად რომ ავსტრიელები ყოფილიყვნენ, იმათი მეტი იმედი მექნებოდა, ვიდრე დიდებული თავად-აზნაურობისა.

ვის შეუძლიან ჩამოსთვალოს, რამდენ საზიზღარ ცილსა სწამებდნენ მესამე წოდებას თავად-აზნაურნი და ეპისკოპოზები თავიანთ ნაწერებში? იმათ თხზულებებში **„ხსნა სულისა შენისა“, „წამება ლუი მეთექვსმეტისა, ებრაელთა და ფრანგთა მეფისა“** და სხვებში ხალხის ლანძღვის და ცილის-წამების მეტს ვერას იპოვიდა კაცი.

იმათ გაზეთებში ხომ იმოდენი სიცრუვე იყო დაბეჭდილი, იქნება ხალხს რევოლიუცია შევაზიზღოთო, რომ გული აერევოდა კაცს: არა რცხვენიანთ, ამას როგორ კადრულობენ დამწერნიო?!

ყოველ მხრიდან საჩივარს იწერებოდნენ იმ სამარცხვინო გაზეთებში, საერო კრებამ ისე გარყვნა ხალხი, რომ ჯარის კაცებს თავიანთ უმფროსებისა აღარც შიში აქვთ და აღარც რიდიო. დიდებული გვარისშვილი აფიცრების დასაკმაყოფილებლად საერო კრებას უნდა დაეხვრიტა ჯარის კაცები, რადგან იგინი თავიანთ უმფროსებს ეურჩებოდნენ და ხალხის წინააღმდეგ იარაღის ხმარებას არა ნდომობდნენ. მეტი უგუნურება-ღა იქნება? დასწყევლათ ღმერთმა, სწორეთ შემოდგომის ბუზებივით ჩაგვაცივდნენ! შემოდგომის ბუზისთანა თამამი და თავხედი ხომ არა იქნება-რა, ალბად იმიტომ რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია.

მიუხედავად ამისა, რევოლიუცია თავისას არ იშლიდა, რადგან ხალხის ნდობა უკვე მოეპოვებინა. ყოველი უფლება წავართვით მეფეს, თავად-აზნაურთ და მონასტრებს და ჯერ-ჯერობით ესეც დიდი რამ იყო. კვირაობით, გლეხ-კაცობა ქალებსა და ტყეებს მოედებოდა და თავისუფლად ნადირობდა. ვისაც თავის დღეში თოფი არ გაესროლა, დღეს სანადიროდ დადიოდა და იმისთანა მადიანად შეექცევოდა აქამდე აკრძალული ნადირის ხორცს, რომ თითებს ილოკავდა. ვიღას ახსოვდა ტყის დაყორულება? და თუ მოაგონდებოდა ვისმე, მხიარულად ჩაიცინებდა და იტყოდა:

— ნადირის ხორცი კი ნუ გგონიათ, ეს იმ მუქთა-ხორა ბატონების ხორცია, რომელნიც ჩვენი ოფლითა ცხოვრებდნენ.

ვიღას ახსოვდა ჩვენი ტივოლი? ვიღას ახსოვდა ძველებური დროს-გატარება და ქეიფი? ჩვენს ეზოში, ჩვენი დიდი მუხის ჩრდილში თუ ნახავდით ვისმე, მოხუცებულ ასის თავებსა ნახავდით, თორემ სხვას არავის. დასხდებოდნენ, თითო ჩარექა ღვინოს მოითხოვდნენ და დაიწყებდნენ ჩუმად ბაასს — ჩვენ ჩვენი ანგარიში გვაქვს გასასწორებელი და იმას ვლაპარაკობთო. რა ვიცოდით, რა ანგარიშები ჰქონდათ? მაგრამ ისე ჩუმად ლაპარაკობდნენ, ისე გადიხრებოდნენ ხოლმე ერთმანეთისკენ, რომ ჩვენ იქვე შეგვეპარებოდა ხოლმე, ალბად ძალიან საქმეები ჰქონიათ, რომ ასე მალავენო.

ჩვენს ქალაქში მდგომის ჯარის უმფროსი თავადი ბუაიე და იმისი თანაშემწე აფიცრები ჩვენებური და თავად-აზნაურნიც ერთ ყავახანაში სამხედრო მოედანზედ იკრიბებოდნენ. ალბად იმათაც ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი, ხალხისაგან მილიციის შედგენა და ჩვენი ხალხისა და ჯარების დამოყვრება ეტყობოდათ ძალიან სწყინდათ. ისინიც რაღასაც ჩურჩულებდნენ და გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ იმ ჯარის კაცებს, რომელნიც გაბედავდნენ და მოქალაქეებს გამოელაპარაკებოდნენ.

ასე გავიდა ნახევარ ზაფხული. მე ყოველ-დღე ვწერდი რაც კი ჩვენს მხარეში საინტერესო მოხდებოდა და თვის დამ-

ლევს კარგ მოზრდილ წერილს ვუგზავნიდი შოველს, პარიზში ბულუას ქ. № 11. ისიც უპასუხოდ არა გვტოვებდა და წერილთან ერთად ჟურნალ-გაზეთებსაც გვიგზავნიდა. მარგალიტა ყოველს წერილში მოკითხვას უთვლიდა მიხოს და ისე ამიღელდებოდა ხოლმე გული, თითქო ცარიელი მოკითხვა კი არა, თვით მარგალიტაც გულში მყავს ჩაკრულიო. და საღამოს, გავათავებდით თუ არა მუშაობას, მე შოველიანთკენ მივეშურები და ასჯერ მაინც გადავიკითხავდი იმ ორს სტრიქონს, რომელიც მარგალიტას ხელით იყო დაწერილი. რა სიამოვნებითა ვწერდი ჩემს მარგალიტას ჩვენი სოფლისა და იმის პატარა ბაღის ამბებს? მართლაცა-და, ისე მქონდა შემუშავებული შოველის ბაღი, რომ მარგალიტას რომ ენახა, გაუკვირდებოდა. ყველგან ყვავილები მქონდა და სამაგალითო ბოსტანი, ლობეწედ გოგრა. იმ წელს ხილსაც ძალიან ესხა და მშვენიერი სანახავი იყო ალუბლისა და ვაშლის ხეები. ნეტავი ისე შორს არა ყოფილიყო, რომ ერთი კალათი თავისი ბაღის ხილი და ახლად გაშლილი ვარდები მიმერთმია! როგორ გაეხარდებოდა თავის ვარდებს რომ დაყნოსავდა! მაგრამ ვიცოდი, რომ შორს იყო და გული მიკვდებოდა: ნეტავი არც ყვავილები დამეთესნა და არც ასე დამემშვენებინა აქაურობა, თუ კი მარგალიტა შორს მეყოლებოდა-მეთქი!

აი რა მაწუხებდა და რა მახარებდა იმ დროს, როდესაც ყველგან საშინელი ცვლილება ხდებოდა, ყველგან საპოლიტიკო კამათი ისმოდა და სამშობლოს განსაცდელი დღითი-დღე მატულობდა.

ერთხელ ხმა გავარდა, ავსტრიელები შემოსულან საფრანგეთში და არდენში მყოფი ჯარების უმფროსი—გენერალი ბუაიე წინ გაგებებიაო.

საშინელება იყო! ჩვენი მილიცია 30 ათასი კაცი გავიდა მაშინ მტრის დასახვედრად. მთიულებს რომ თოფები არა ჰქონდათ, ჩვენსა ჩამოდიოდნენ და სამჭედლოში დაყანგებულ შუბებს გვალესინებდნენ. ყველგან საყვირის ხმა გაისმოდა, ყველა იარაღს ეძებდა. და ის იყო შევემზადენით და ფალსბურგელებ-

თან ერთად საომრად უნდა წავსულიყავით, რომ ამბავი მოგვი ვიდა: ჩვენმა კეთილმა მეფემ ნება მისცა ავსტრიელებს, არდენის მთები გადაიარეთ და ბელგიის რევოლიუცია წაახრჩეთო.

მეფეს არავითარი უფლება არა ჰქონდა უცხოელ ჯარებისთვის ნება მიეცა, საფრანგეთზედ გაიარეთო. ამის უფლება მარტო საერო კრებასა ჰქონდა და სხვას არავის. მაშინ კი ბრმამაც დაინახა, რა სასარგებლო სამსახურს გაუწევდა ხალხს მილიცია და თვით ნათლია-ჩემიც კი ძველებური სიყვარულით აღარ იხსენიებდა „ჩვენს კეთილს მეფეს". ბელგიის რევოლიუცია ჩვენი რევოლიუციის ღვიძლი შვილი იყო და ყველა აღშფოთდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ჩვენი მეფე ავსტრიელ ჯარებს ბელგიაში შესვლას და ბელგიელი ხალხის დაწიოკებას უადვილებდა. მინისტრებმა გამოაცხადეს, ეს იმიტომ მოხდა, რომ საფრანგეთს და ავსტრიას საიდუმლო დიპლომატიური კავშირი აქვთ შეკრულიო; და საერო კრებამ არ მოინდომა ამ საქმის ძირისძირამდე გაჩხრეკა, რადგან ეშინოდა, კიდევ სხვაც არა აღმოჩნდეს-რა ამაზედ უარესიო.

მარიამობისთვის დასაწყისი იყო 1790, და დიდებულთა საქმე უარესად მიდიოდა. ამისთანა სამარცხვინო მგონი თავის დღეში არა მომხდარა-რა საფრანგეთში: ჯარის-კაცები თავიანთ აფიცრებს ქურდობას სწამებდნენ. მართებლობის ყველა ჯარებში ჯარის-კაცები აფიცრის სახლს დარაჯს აყენებდნენ და ანგარიშსა სთხოვდნენ.

თავად-აზნაურობა რევოლიუციამ დაღუპაო! რევოლიუციამ კი არა, თავიანთმა უსინიდისობამ და უპატიოსნებამ დაღუპა. იმათ რომ ცოტა რამ პატიოსნება ჰქონოდათ, ხომ არც რევოლიუცია მოხდებოდა! ჰპარავდნენ და ვისა ჰპარავდნენ? საწყალ ჯარის-კაცს, რომელიც ისე ემსახურებოდა მართებლობას, ცარიელი ლუკმა პურისთვის, რადგან ჯამაგირი არავის ეძლევოდა. და წარმოიდგინეთ აფიცრების ულმერთობა, ამ ლუკმასაც ისე აძლევდნენ, ჯარის-კაცს, რომ ნახევარი თითონ რჩებოდათ. მერე ვინა ჰპარავდა? დიდებული თავად-აზნაურნი, რომელთაც, ღმერთმა ხომ იცის, არა აკლდათ-რა, არც სიმდიდრე,

არც პიტივისცემა, არც დროს-გატარება და ქეიფი. განა გაბედავდა ვინმე და წარმოიდგენდა, რომ აფიცრები ჯარის გაქურდვას იკადრებდნენ? ხომ ძნელი წარმოსადგენი იყო და მართალი კი გამოდგა: ჯარები თავის უფროსებს ანგარიშსა სთხოვდნენ და დანაკლისს, ესე იგი მოპარულს, ართმევდნენ კიდეც. ბოსის ჯარი 940 ათასს ედავებოდა თავის აფიცრებს, ნორმანდიის ჯარი—ორ მილიონამდე! აფიცრებიც იძულებულნი იყვნენ თავიანთი ცოდვა ეღიარებინათ და ამასღა იძახდნენ: მოგვითმინეთ, უნდა ვიანგარიშოთო. სტრასბურგში შვიდი რაზმი აჯანყდა; პიტში ჯარის-კაცებს კინწისკვრით გაერეკნათ თავიანთი აფიცრები; საერო კრება ევედრებოდა მეფეს „ინსპექტორები დანიშნეთ და დაავალეთ, რაზმის უფროსის, რამდენიმე აფიცრის, ყველა ათისთავების და ოთხი ჯარის-კაცის თანადასწრებით გადასინჯონ უკანასკნელი ექვსი წლის ანგარიშები და თუ ჯარის-კაცთა საჩივარი მართალი აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონო". ინსპექტორები დანიშნეს, გამოძიება მოახდინეს და აღმოჩნდა, რომ ყველგან ერთი და იგივე ცოდო ტრიალებდა და ბევრმა რაზმმა დაუბრუნა მაშინ ჯარისკაცებს შექამადზედ და გაუცრელ პურზედ მოპარული ფული. საზიზღარი იყო ეს საქმე და ქვეყანა იმას გაიძახოდა, კიდევ კარგი რომ რევოლიუცია მოხდა, თორემ უარესს გვიზამდნენო.

უნდა გენახათ, რა გაბრაზებულნი იყვნენ აფიცრები ჯარის-კაცებზედ, რომელნიც ბედავდნენ და თავიანთ უფროსებს ქურდობას აბრალებდნენ და ნაქურდალს ედავებოდნენ. დიდძალი აფიცრობა გაიხიზნა მაშინ საფრანგეთიდან; მიდიოდნენ და რევოლიუციის წინააღმდეგ ამხედრებულ ავსტრიას უერთდებოდნენ თავიანთი ცოდნით და იარაღით. მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ აფიცრობაში ცოტაოდენი პატიოსანი კაცებიც მოიპოვებოდნენ, რომელნიც ზიზღით უყურებდნენ დამნაშავეთ; ისე რომ ყველანი არ გახიზნულან. ვისაც ნებავს, ათასობით ჩამოვუთვლი გაპარულ-გახიზნულთა გვარებს, რადგან მაშინდელი გაზეთები ეხლაც შენახული მაქვს და იქ ყველანი

დასახელებულნი არიან. მთელი ალზას ლოთრენი აღშფოთდა. და დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ის ქურდები გაიპარნენ—ქურდები, რადგან უმეტეს ცოდვას ვერც ერთი ქურდი ვერ ჩაიდენს—რომ იარაღით ხელში მოუძლოდნენ საფრანგეთზედ ამხედრებულ უცხოელ ჯარებს და საკუთარ სამშობლოს განადგურებას და დამცრობას ცდილობდნენ. განა იმას ამობდნენ, შევცდით და მუხლმოდრეკით გევედრებით, გვაპატიეთო... ამას როგორ იკადრებდნენ დიდებულნი თავად-აზნაურნი!

15 მარიამობისთვეს ნათლია-ჩემის დუქანში სუდერი მოვიდა. სუდერი მეჭურჭლე იყო, ლინეფილის მხარეს დადიოდა და ჭურჭელსა ჰყიდდა; უფრო კი სცვლიდა: ზოგს ძველ სარეცხში, ზოგს დამტვრეულ მინაში, ზოგს ნაცარში. თავის კუდმოჭრილი ცხენი იქვე ეზოში დაება და თითონ, ჩვეულებისამებრ, ერთი ჩარექა ღვინო მოითხოვა. მოხუცებული კაცი იყო, ჭაღარა, და ყვავილისაგან დამახინჯებული. დადიოდა, ჭურჭელს ასაღებდა და თან მთელი ქვეყნის ამბებს ავრცელებდა. ჩვენს მხარეში სუდერს „ბაყაყის მკვლელს" უძახდნენ, რადგან სუდერი და მთელი იმისი სოფელი იძულებულნი იყვნენ ღამ-ღამე ლინდრის ტბაზედ კეტებით ეცემნათ და ამით მაინც დაეჩუმებინათ ბაყაყები, რომ ყიყინით ბატონისთვის ძილი არ გაეფთხოთ.

ნათლია-ჩემმა ჰკითხა, ახალი ხომ არა იცი-რაო, და იმასაც ამ კითხვის მეტი არა უნდოდა-რა: დიდი არეულობაა ნანსის მხარესაო, დაიწყო;—როგორც მოგეხსენებათ ნანსის მხარე სამი რაზმით არის გამაგრებული და ვერ წარმოიდგენთ, რა უთანხმოება ჩამოვარდა აფიცრებსა და ჯარის-კაცთა შორის, საო.—თან თვალს გვიშვრებოდა,—მეტიც ვიცი, მაგრამ...

სწორედ ამ დროს წამოდგა ნიკოლი და გარეთ გავიდა.—ჯარის-კაცები იმაზედ არიან აღელვებულნი, რომ აფიცრები ანგარიშს არ უსწორებენო. ერთმა რაზმმა აჯობა თავის უფროსებს და 150 ათასი გადაახდევინა; მეორემ 48 ათასი, ახლა მესამე რაზმის ანგარიშს ასწორებენ. მესამე რაზმი თავის უმფროსებს 229 ათასს ედავება. მაგრამ ისინიც მაგრა უდგნენ და ცემითა ჰკლავდნენ, ვინც კი გაბედავდა და ანგარიშზედ კრინტს დასძ-

რავდა. კინაღამ ამოჰხოცეს ამოდენი ხალხი; ბოლოს ეს ამბავი მოქალაქეთ გაიგეს და, რასაკვირველია, ჯარის-კაცებს მიემხრნენ; ჯერ პირდაპირი შეტაკება არ მომხდარა, მაგრამ დღე ისე არ გავა, რომ აფიცრებმა დუელში არ გაიწვიონ მშვიდი მოქალაქენი და რამდენიმე კაცი არ მოკლან. მთელი ქალაქი ღელავს, მოქალაქეებს მილიცია მიემხრო და, ვინ იცის, რითი გათავდება ეს უბედურობაო.

სუდერი იცინოდა, მაგრამ ჩვენ კი სიცილის გუნებაზედ არ ვიყავით, რადგან სამხლვარიდან სულ ერთი საათის სავალზედ ვიდექით. ამასთან ვიცოდით, რომ ვინც კი ერთგული მამულის შვილი ეკულებოდათ ჯარში, სხვა-და-სხვა მიზეზით თავიდან იშორებდნენ და სამძღვარის გასამაგრებლად მარტო მტრისა და მტერთან ერთად მომავალი გახიზნული თავადიშვილების მომხრენი იყვნენ. რომ შემოგვსევოდნენ, დაყვირებასაც ვერ მოვასწრებდით, მით უფრო რომ პრუსიის მეფე ფრიდრიხი და ავსტრიის ხელმწიფე ლეოპოლდი ის იყო მორიგდნენ ერთმანეთში და გამოაცხადეს: საფრანგეთის რევოლიუციის მომხრენი ჩვენი პირადი მტრები არიანო.

ბევრი კიდევ სხვა გვიამბო, ბევრი ჭურჭელი გაასაღა, დანახარჯი გადაიხადა და გამოგვესალმა. აჰყვა სოფელს და წამდაუწუმ ყვიროდა:

— ჭურჭელი იყიდეთ, გამოსცვალეთ, ჭურჭელი!

მაგრამ ამ დროს ერთი იმისთანა ამბავი მოხდა, რომელმაც ცხადად დაგვიმტკიცა, რომ მარტო მეფე ლუი მეთექსმეტე და გახიზნულნი კი არა, მარტო თავად-აზნიურობა და ბერები, ეპისკოპოზები და აფიცრები კი არა, არამედ ზოგი ჩვენი დეპუტატიც იმათ მხსდგომოდა და ცდილობდა რევოლიუცია შეეყენებინა როგორმე და გლეხ-კაცობისთვის ძველი უღელი დაედვა ქუდზედ.

ეს ამბავი შოველის წერილმა მოგვიტანა და ძალიანა ვწუხარ, რომ ნათლია-ჩემმა ეს წერილიც ვიღასაც გაუბოძა წასაკითხავად და მას აქეთ თვალითაც აღარ გვინახავს. შოველი იწერებოდა, მირაბო და რამდენიმე სხვა დეპუტატი მესამე

წოდებისა მეფემ შეისყიდა და ახლა სულ იმას გაიძახიან, რევოლიუცია ძალიან გაზვიადდა და შორს წავიდაო; ამ შესყიდულთაგანი ერთი მინისტრობას ცდილობს, მეორეს ციხე-სიმაგრე და დიდი მამულის დაპატრონება ნებავს, მესამეს საკუთარი სასახლე და ბატონ-კაცური ცხოვრება; ასე გასინჯეთ, თვით ლაფაიეტი და ბაილიც კი როგორღაც მრუდედ იქცევიან, ლამის ამათაც გვიმტყუნონო; ლაფაიეტი და ბაილი სულ იმას გაიძახიან, მეფეს მეტად სასტიკად მოვექეცით, რომ ყოველი უფლება ჩამოვართვით და ხალხს დავუმორჩილეთო; სირცხვილი არ არის, მეფეს წელიწადში 40 მილიონზე მეტს არ ვაძლევთ, როდესაც კარგად ვიცით, რომ ფულიც იმისია, მოსავალიც, მამულიც, საქონელიც და ხალხიც... ამ ფულით როგორ იცხოვროს საწყალმაო?! დიახ, 40 მილიონი დავუნიშნეთ წელიწადში და ისინი კი იმას ტირიან, არ ეყოფაო.

იმავე წერილში შოველი ახალს, ჩვენთვის უცნობ კაცებზედ ლაპარაკობდა, რომელნიც კლუბებში გამოჩნდნენ თავდაპირველად და ახლა სამაგალითოდ მოღვაწეობენ ხალხის სასარგებლოდაო; სხვათაშორის დასახელებულნი იყვნენ: დანტონი, რობესპიერი, ლეჟანდრი, პეტიონი, ბრისსო, ლუსტალო დესმულენი. მაგრამ ამათგანი ერთი არ გადარჩენილა უდროვოდ სიკვდილს: ცოცხალნი იყვნენ და ღარიბ-ღატაკნი იყვნენ, რადგან ხალხს ემსახურებოდნენ და სიკვდილითაც... შემდეგში ყველას თავები დააყრევინეს, რადგან ხალხს ემსახურებოდნენ. ხალხმა უმტყუნა მათ და გაჭირვების დროს მტერს მისცა ხელში. დიახ, ხალხის ერთგული მოსამსახურენი სამარცხვინოდ იქმნენ დასჯილნი და თავად-აზნაურთა მსახურნი კი მდიდრულად დაჯილდოვებულნი ზოგნი დღესაც ცოცხალნი არიან და განცხრომითა სცხოვრობენ; თავად-აზნაურთა მსახურნი ყველანი წარჩინებული პირები გახდნენ, და ისე სცხოვრებენ, თითქო პირადი ღირსებით შეუძენიათ, რაცა აქვთ, და არა სამშობლოს ღალატითაო. კაცს ყოვლად სამართლიანი ღმერთის იმედი რომ არა ჰქონდეს,—აცა, ცოდოს არავის შეარჩენსო,—საშინელება იქნებოდა ამგვარი მაგალითები და სრულიად უტვინო და თავ-

მოყვარეობას მოკლებული უნდა იყოს კაცი, რომ თავი შეაკლას ხალხის სამსახურს, როდესაც ეს ხალხი წარბსაც არ შეიხრის, თუნდა ჯვარს აცვან იმისმა მტრებმა იმის ერთგული შვილები, ცილი დასწამონ იმათ სახელს და ჩირქი მოაცხონ იმათ პატიოსნებას.

შოველის წერილმა ძალიან შეგვაფიქრიანა, მეტადრე ნათლია-ჩემი. დაფიქრებული დადიოდა და იძახდა: ვინც ერთბაშად ბევრს მოინდომებს, მცირესაც ვერ ეღირსებაო! მე სულ სხვა აზრისა ვიყავი და მგონი არცა ვცდებოდი; ან რას თხოულობდა იმისთანას შოველი, რომ ბევრი ყოფილიყო? მე კარგად ვხედავდი, რომ ნათლია-ჩემიც და ბევრნი სხვანიც იმიტომ იძახდნენ კმარაო, რომ იმათ უკვე შეიძინეს, კარგი ლუკმაც შეიძინეს, და ეშინოდათ, ესეც არ დავკარგოთო. და ჩვენ კი, ჩვენ, გლეხ-კაცობას ჩვენ ჯერ არაფერი შეგვეძინა, და ჩვენც გვინდოდა რევოლიუციაში ჩვენი წილი გვრგებოდა.

წავიკითხეთ თუ არა ის წერილი, მაშინვე ლეტუმიემ წაგვართვა, კლუბში მინდა წავიკითხოო. ხუთშაბათ საღამოს 29 მარიამობისთვეს დახურულ ბაზარში რომ ჩავედი, სამი განცხადება დავინახე შიგ შუა ალაგს გაკრული. განცხადებანი შუა ბოძზედ გაეკრათ, რომელზედაც ლამპარი ენთო, მაგრამ სინათლე საკმარი არ იყო და კითხვას ვერავინ ახერხებდა. მაშინ ვიღაცა ავიდა, ლამპარი მოხსნა და განცხადებას დაუსწორა. ყველანი მისცვივდნენ და კითხვა დაიწყეს. ჩვენებურები სულ უკან იყვნენ და ვერას ხედავდნენ, მაგრამ ლეტუმიემ როგორღაც გაარღვია ხალხი, განცხადებასთან გაძვრა და იმისთანა მაღალი ხმით დაიწყო კითხვა, რომ გარეთაც გაიგონებდნენ, არამც თუ იქ მყოფნი:

## წერილი ლაფაიეტისა

### მერტში და მოზელში მყოფ მილიციელებისადმი

პარიზი. 17 მარიამობისთვეს 1790 წ.

ბატონებო!

საერო კრებამ რა სცნა საძრახისი საქციელი ნანსელი ჯარებისა და წარმოიდგინა, რა საშინელი შედეგი უნდა ჰქონდეს

ამგვარ მღელვარებას, მიიღო დამნაშავეთა შესაკავებლად საშუალებანი, რომელთაც ამასთანავე გაუწყებთ, რათა შეემზადნეთ მოსალოდნელი ბრძანების საჩქაროდ ასასრულებლად.

ნება უბოძეთ, ბატონებო, თქვენს მოძმეს, რომელსაც თქვენ მიანდეთ, კინსტიტუციის და საზოგადო წესწყობილებისადმი გამოეცხადებინა თქვენი ერთგულება, ნება უბოძეთ თქვენს მოძმეს, იმედი იქონიოს, რომ ყოველს საშუალებას იხმართ, რათა გაამაგროთ თავისუფლება, რომლის საძირკველი მარტო კანონიერება არის და მით საზოგადო მშვიდობიანობა ჩამოაგდოთ.

„ლაფაიეტი"

საშინელება იყო ამის გაგონება. რამდენიმე დღის წინად, რომ წაგვეკითხა, ქუდზედ კაცი წავიდოდით დამნაშავეთა დასასჯელად, მაგრამ ნანსელი ამბები ვიცოდით და გარდა ამისა შოველიცა გვწერდა, ლაფაიეტი სუსტი ხასიათის და ამაოებით გატაცებული კაციაო. ზიზღით აგვევსო გული, რომ წავიკითხეთ იმის წერილი, რომლითაც გვიბრძანებდა, წადით და იარაღით ხელში შეებრძოლეთ ერთგულ მამულის შვილთ, რადგან გაბედეს და თავისი კუთვნილი მოსთხოვეს ქურდებსაო. ჩვენებურები ყვიროდნენ:

— დასწყევლა ღმერთმა! ამისთანა უსამართლობა კიდევ იქნება?! ჯარის-კაცებს ამტყუვნებენ, თქვენსას რადა თხოულობთო! და ჩვენ გვიბრძანებენ ჯარის-კაცები დასაჯეთო! მერე ვინ უნდა დავსაჯოთ, იმას კი აღარა გვკითხავენ? ისევ ჩვენი შვილები და ჩვენი ძმები?! ერთგულნი მამულის შვილნი, რომელთაც უკანასკნელ ლუკმას აცლიან პირიდან და თან ემუქრებიან, არა სთქვათ-რა, თორემ დაგსჯითო?!

და განა ერთი და ორი სჯიდა ასე, ყველანი აფიცრებს ამტყუნებდნენ და იძახდნენ, ვალს გადახდა უნდა, თუნდა ვალად კი არა, ქურდულად იყოს წაღებულიო. მაგრამ ლეტუმიეს ჯერ კითხვა არ გაეთავებინა და ქუდის ქნევა დაგვიწყო, გაჩუმდით დანარჩენიც მოისმინეთ! მამულისშვილნო, საერო კრების დადგენილებაც მოისმინეთო!

და თუმცა ბრაზი მოგვერია და გაჩუმება ძალიან გვიძნელდებოდა, ჩვენს თავს ძალა დავატანეთ და მოვისმინეთ საერო კრების დადგენილება. საერო კრება ბრძანებას აძლევდა ჩვენებურ მილიციებს დახმარებოდნენ იმ აფიცრებს, რომელთაც კეთილ ინებებდა და დანიშნავდა **მისი უდიდებულესობა** „აჯანყებულ ჯარის-კაცთა სამაგალითოდ დასასჯელად“. ბოლოს მესამე განცხადებაში ეწერა, რომ **მისმა უდიდებულესობამ** კეთილ ინება და ქ. ნანსში აჯანყებულ ჯარის-კაცთა დასჯა აფიცერ დებულეს მიანდო, რომელიც ამით უბრძანებს მილიციის ყველა წინამძღვართ, რაც შეიძლება საჩქაროდ შეამზადონ თავიანთი რაზმები და სრული ცნობანი გაუგზავნონ მის შესახებ, თუ ვინ სადა სდგას და რამდენი კაცი ჰყავს თოფ ქვეშ? ამ ცნობათა დაგვარად გაანაწილებს ბ. დებულე ჯარის-კაცთა ჯამაგირს, ყოველ წინამძღვარს რვა დღის საგზალს ჩააბარებს თავის რაზმისთვის. ჯარს მარტო ერთი დროშა ექნება. გზაში მილიციის ჯარის-კაცთ ბინა ექნებათ მკვიდრთა სახლებში, როგორც აქამდის ყოფილა. ყველა რაზმები ჩქარი სიარულით უნდა გაემართნენ ნანსისკენ, რომ დროზედ შეაყენონ აჯანყება და სხვ. და სხვ.

მთელი ქალაქი იქ მოგროვილიყო და ისე ჩუმად ისმენდნენ ამ თავხედურ ბრძანებას, იტყოდით, აქ არავინ არისო.

გაათავა ლეტუმიემ კითხვა თუ არა, ერთი სარრებურგელი სქელ-სქელი მოხელე აცოცდა დაზგაზედ და ხალხს მიმართა: ბატონებო, დრო არის მამულისშვილობა დაამტკიცოთო! თითქმის სიტვა სიტყვით გაიმეორა ლაფაიეტის წერილი, რომელსაც „ვაშინგტონის მეგობარს და თავისუფლების მხსნელს“ უწოდებდა და გვირჩევდა, მართებლობას დავეხმაროთ, აჯანყებულნი დავსაჯოთო. აქეთ-იქით კიდეც გაისმა რამდენიმე ხმა „ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! ლაფაიეტს გაუმარჯოს! და მოხელე უკვე გამარჯვებულად რაცხდა თავის თავს და გულში ხალხს დასცინოდა, მაგრამ ამ დროს ხალხიდან ჩვენი ელოფ კოლენის ხმა გაისმა და ყველანი სმენად იქცნენ. კოლენმა უპასუხა: „ერის მცველი ჯარი“ ხალხმა იმიტომ კი არ გამოიყვანა, რომ თავისი ძმები და შვილები აჟლეტინოს, არამედ იმიტომ გამო

იყვანა, რომ გაჭირების დროს იმის იმედი ჰქონდეს და მტრის მომგერებელი ჰყავდესო. ნანსელ ჯარებს ტყუილად სწამებთ აჯანყებას, ისინი თავიანთ ხვედრსა თხოულობენ, იმ ხვედრს, რომელიც დიდებულმა აფიცრებმა მოჰპარეს. საცა სამართალია, ჯერ უნდა გაუსწორდეთ, თავიანთი ჩააბაროთ და მაშინ ნახავთ დამშვიდდებიან თუ არა!? მიეცით, რაც ერგებათ და მაშინვე დამშვიდდებიან და დაწყნარდებიან, არც იმათ დასჯა მოგინდებათ და არც ძმათაგან ძმათა სისხლის ღვრა. უბედურებაც ის არის, რომ თქვენ სულის ცხონებასავით გენატრებათ არეულობა, სულ იმასა ცდილობთ, რომ ჯარი და ხალხი ერთმანეთს შეატაკოთ და ხელმეორედ კისერზედ დაგვასხდეთ. მაგრამ ვეღარ მოგართვით! დარწმუნებული ვარ, აქ მყოფნი ყველანი დამეთანხმებიან, რომ ვისაც კი ცოტაც არის გონება უჭრის, ამ საქმეში არ გაერევა და თუ გაერია, მარტო იმიტომ გაერევა, რომ ჯარის-კაცებს აფიცერთაგან მოპარული დაუბრუნოს. ეს საქმე მარტო მართებლობის ჯარს და აფიცრებს შეეხება და ერი და ერის მცველი ჯარი არ უნდა გაერიოს!

საშინელი ყვირილი გაისმა ამ სიტყვის შემდეგ. ზოგნი ერთისკენ იყვნენ, ზოგნი მეორისკენ. ვისაც ბერების მამულები ეყიდნა, მაგალითებრ ნათლია-ჩემი; ნიკოლოოზ როში, ეგლელი მედუქნე; მელხიორ ლეონარი, უწინდელი მოხელე; ლუი მასსონი, მეფოსტე; რაფიელ მანგი, ჟერარი, და ერთობ ყველა შეძლებულნი, ლაფაიეტისკენ იყვნენ და ამასთან ბევრნი მომხრენიცა ჰყავდათ, რადგან ბევრ მოჯამაგირეს და ხელოსანს ინახავდნენ თავიანთ საქმეებში.

ამ შეძლებულთ დაედგინათ კიდეც სამამასახლისო რჩევაზედ, რომ ფალსბურგი იმის გარდა, რომ მილიციით დეეხმარება აჯანყებულ ჯარის დასჯას, ფულითაც შეეწევა ამ საქმეს და ოცდახუთ თუმანს მიართმევს დებულეს. ეს იმ დილით დაედგინათ; და თუმცა საღამოზედ ჩვენს კლუბში კოლლენმა იმისთანა კარგი სიტყვა სთქვა, უმრავლესობამ მაინც დაადგინა: ხვალ დილა ადრიანად ერთი რაზმი მილიციისა ნანსისკენ წავა; გარდა ამისა ყოველი სოფელი დანიშნულ რიცხვს გამოიყვანს

თავის მილიციისას და ისინიც ნანსისკენ წავლენ, როგორც კი შემზადდებიანო. ჩვენს სოფელს 15 კაცი უნდა გამოეყვანა და ნათლია-ჩემი, ლეტუმიე და მეც იმათში მოგვაქციეს, რადგან ყველაფერში წინ ჩვენ წავჩხირავდნენ ხოლმე, საუკეთესო პატრიოტები ხართო.

ნათლია-ჩემს ძალიან მოსწონდა ეს გარდაწყვეტილება, ძალიან სამართლიანად მოვიქეცითო. მე კი მგონია რომ ცოტა არ იყოს „ჯარობანა“ ეხალისებოდა: ნანსში ჩავალ, ჩემს ახალს ტანისამოსს ვაჩვენებ ქვეყანასაო. ხომ ისეთი გულ-ჩვილი და პატიოსანი კაცი იყო და, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაიტაცებდა ხოლმე ამგვარი ბავშვური ამაოება. ლეტუმიე, ნათლია-ჩემი და მე შინ ისე ავედით, რომ ამ გარდაწყვეტილების სამართლიანობაზე ვერ შევთანხმდით.

ბოლოს პირობა დავდეთ, ხვალ რიჟრაჟზედ ნათლია-ჩემის დუქნის წინ შევიყარნეთო და გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

(შემდეგი იქნება)

# მთათ მითხრეს...

მთათ მითხრეს: «ნუ დაგვივიწყებ,
კარგად აგვხედე, ჩაგვხედე;
ჩვენსავით იდეგ მტკიცედა,
ვინძლო აროდეს დაჰბერდე.
ცხოვრება ჭირიანია
ჭირით არ ერთით, ორითა,
შენაც მოგაცხობს ბევრს რასმე,
არ აგაშმოროს შმორითა.
ჩვენ დაგვიძახე მკურნალად,
წამალს მოგაწვდით შორითა..
ათასი ვნახეთ ვაება,
ათასჯერ რისხვა ციდამა:
სეტყვა, მეხი და ქარ-ბუქი,
ყინვა, თოვლ-ჭყაპი ღვთიდამა.
დიდმა დარდმა და ვაებამ
დაგვაზიანა ვითამა?
ჰხედავთ, რომ გაზაფხულზედა
ღვარები მოჰხეთქს მთიდამა,
გადვიგდებინებთ მაშინა
ყინულის ლოდსა ქედითა,
თუ გუშინ მკვდრადა გვსახავდნენ,
დღეს ამდგარნი ვართ მკვდრეთითა;
ბუნებისა ვართ გვირგვინი
შეუპოვარის მკერდითა.
აგვიყვავდება გულ-მკერდი,

გავფენით ქუჩსა და მუროსა;
მშობადი ძალი გულისა
შიგით აგელებს უროსა,
კაცი სად არის, მის ჩქამი
დადგეს და დაიყუროსა.
განა მშობელმა შვილისთვის
უნდა რამ დაიშუროსა?
ნაყოფი გულის ბგერისა
დაგვესახება გარეთა;
დადის ზედ აუნუსხველი
ცხვარი და ძროხა მთაზედა;
არჩვთა, შუნთა და ხარ-ჯიხვთა
რქა გადუდვიათ რქაზედა;
კაკბის, შურთხის და როჭოსა
ბოინი გვიდგა კარზედა,
გასასუქებლად ლუბ-მჭლენი
აქ მოიბრძვიან მაზედა.
სულ ჩვენ ალერსში არიან
ხშირნი ვარსკვლავნი ცაზედა.
მზე, მთვარე ვერ მოიჭირვებს
შუქი არ დაგვკრან ფხაზედა.
წინად ჩვენ გვეამბორებენ—
მთებს არ გასცვლიან სხვაზედა.
ხოლო მგზავრობა ვერ ვიცით,
ჩვენ ვერ შავდგებით გზაზედა;
არც ვის უქივართ სიმარდით,
არც ვის მოვწონვართ ხმაზედა.
გვიცნია შეუდრკელობა
მთას დაკერებულს მთაზედა».

ვაჟა-ფშაველა.

# „...სულ ერთია!...“

(ეტიუდი).

I

— თეკლე!...—დაბნევით შესძახა კიკომ და თეკლეს ორივე ხელები თავისკენ მიიზიდა.

— კიკო!...—თეკლემაც იმავე კილოთი უპასუხა და კიკოს გულს მიესვენა.

წისქვილის ბორბალი კი ჭყლეტდა წყალს, არღვევდა, ანაწილებდა, აქაფებდა და საამურად უმღეროდა შეყვარებულებს...

— მაშ გიყვარვარ, გიყვარვარ, ჩემო, ჩემო?! ჩვენ სამუდამოდ ერთმანეთისა ვიქნებით!..—ხმის კანკალით ჩასძახოდა კიკო და თან თეკლეს გულზედ იკრავდა.

— მე... შენ... ჰო...—კვნესით, მეტის-მეტის აღელვებისგან მისუსტებულის ხმით გაიძახოდა უაზროდ თეკლე, და თვალები ელულებოდა.

— უყვარხარ!.. უ...ყვარ...ხარ!...—ემოწმებოდა წისქვილის ქვა, ბორბლის შხუილთან ერთად.

— ოხ, რა ბედნიერი ვარ!...—გულ-ამოსკვნით წამოიძახა კიკომ და თავ-დავიწყებით შეუერთა თავისი ტუჩები თეკლეს მხურვალე, ფუნჩულა მარწყვის-ფერ ტუჩებს.

თეკლემ ტუჩები თავის უნებურად სიამოვნებით შეაჩუჩუნა და, თითქოს მთლად სულში ჩაძვრენა უნდაო—უნებურადვე—კბილებამდის პირში შეუწოდა...

— ახ, რა კარგია!.. ახ... რა... კარგია!.. ახ-რა-კარ-გია!..—წისქვილის ქვა და ბორბალი გაიძახოდნენ ერთად და ამცნობდნენ არეს ამ

ნეტარ წამს... მთვარეც,—მუდმივი მოწამე შეყვარებულთა,—ალერსით დასცქეროდა თეკლეს და კიკოს ზევიდან და თითქოს ცოტათი კიდევაც ჰშურდა იმათი ბედნიერება...

წისქვილის ახლოს ორი არსება ერთ არსებად გარდაქცეულიყო და ეს კი ზევიდან, ეულად, ყოველთვის მარტოდ,—ოხ, რა ძნელია, რა მწარეა,—მოცურავი დასცქეროდა... რა ვუყოთ, რომ მნათობია?!. ოხ, რა დიდის სიამოვნებით სამუდამოდ დაუთმობდა თავის მნათობობას, თუკი ვინმე ერთ წამს დაავიწყებდა თავის მარტოობას და მეორე არსებას შეუერთებდა!.., მაშ თეკლესი და კიკოს ეს წამი არ შეჰშურებოდა?!.

— ჩემო თეკლე!... ჩემო კარგო, ხომ სამუდამოდ ასე ბედნიერები ვიქნებით?!.

— ჰა?!. კიკო, შენ?! წავიდეთ!..—თეკლე შეკრთა კიკოს ხმის გაგონებაზედ და ხელიდან გაუსხლტა.

— თეკლე, გონს მოდი!.. რა დაგემართა?!. განა არ გიყვარვარ?!—განცვიფრებით დაეკითხა კიკო და მიუახლოვდა.

— მე შენი?!. ჰო!.. არა!.. წავიდეთ შინ!.. მერე... მერე!..—არეულად უპასუხა თეკლემ და სახლისკენ პირი იბრუნა.

კიკოც დაუმხარდამხარდა და გაჩუმებული, დაღვრემილი გაჰყვა...

II

«...წავიდა!... დაღონებული წავიდა!... ოხ, რა გულ-ნატკენი გამომემშვიდობა?!.»—გაიძახოდა თეკლე და აზრი აზრისთვის ვერ დაეკავშირებინა.

რამდენი ხანია, რაც თეკლემ თავის საწოლ ოთახის კარი შეიხურა... თითქმის მაშინვე, კიკო რომ სახლის კარებთან გამომშვიდობებისას დაეკითხა: «რას მიპასუხებო»? აგერ, შუა-ღამე თითქმის გადავიდა, სულ ამ პასუხს ეძებს და ეხლაც ვერა მოუგვანებია-რა...

«ღმერთო!...»—ღმერთს-ღა შეევედრა, რომ იმას მაინც ჩაეგონებინა პასუხი, რაკი თავის გონებით ვერა მოეხერხებინა-რა და გარედ გავიდა.

გაიარა ერთი ხეივანი, მეორე, მესამე. აჩრდილსავით მიაბიჯებდა დაფიქრებული და თავის საყვარელ ადგილს მიადგა. რამდენჯერ ულოცნებნია ამ ხევის პირას, დიდ ქვასთან და ეხლაც უნებურად იქ მივიდა...

ახ, რა ტკბილად მოსთქვამდა ხევი... რა სასიამოვნო გრძნობებს უღვიძებდა წყალის ჩანჩქარი!... ეხლა?..

ოხ, ის მთვარეც დასცქერის!.. წყალიც ისევ-ისე მოჩანჩქარებს და, ღმერთო, წისქვილის ხმაც მოისმის!..

— კიკო, კიკო, მიყვარხარ!..—ღმობიერად წამოიძახა თეკლემ და თავი მოგონებას მისცა...

წყალი კი მოჩანჩქარებს, ტკბილს, სასიამოვნო ხმებს ასმენს; მთვარე ხომ აფრთოვანებს, და თეკლეც...

კიკოს ესვევა. ფიანდაზად ეგება...

— ღმერთო, ხომ მიყვარს და მაშ რატომ მაშინვე არ ვუპასუხე: «შენი ვარ!.. სამუდამოდ ასე ვიქნებით», როდესაც ის ჩამჩურჩულებდა: «ხომ სამუდამოდ ასე ბედნიერები ვიქნებითო»?! რამ დამიშალა მაშინვე «ჰო» მეთქვა? ან ეხლა რატომ არ მინდა გადავსწყვიტო, რომ მე იმისი ვიყვე, რატომ, რატომ?!. ხომ მიყვარს, და მაშ რაღა მიშლის ხელს?!. მამა-ჩემი მეწინააღმდეგება?!. ახ, რა სისულელეა!.. დეე, იყვეს წინააღმდეგი!.. მე...»

აგერ თეკლე თავისს გრძნობას თავ-დავიწყებით მიეცა: მამას და ყველასაც ეწინააღმდეგა და კიკოს გაჰყვა. ეს კიკოსია და კიკოამისა... ცხოვრობენ... კიკო ისევ ის კიკოა. დრო არა სცვლის. უყვარს თეკლე, გაგიჟებით უყვარს. უფრო ძლიერად, ვიდრე პირველში. ბევრი ისეთი კარგი თვისება გამოიჩინა შემდეგში, რაც პირველად თეკლეს ვერ შეემჩნივნა. თეკლესაც უყვარს კიკო. თითქმის თაყვანსა სცემს, მაგრამ,—ოხ, ღმერთო,—მაინც კმაყოფილი არ არის!.. რა ემართება?!. რატომ კმაყოფილი არ არის, როდესაც კიკო ხეველის მეუღლეა?!. იმ კაცის მეუღლეა, რომელიც უყვარს, რომელსაც თითქმის თაყვანსა სცემს?!. კიკო ხეველის მეუღლე?!. ოხ, რა უცნაური გვარია!.. ხეველი... ხეველი... ახ, რატომ ეს გვარიც ისე ბრწყინვალებით არ არის შემოსილი, როგორც იმის მამისა!.. რა ნაირ პატივით ექცეოდნენ, როდესაც თეკლე ხეველის

მეუღლე არ იყო!.. ეხლა?!. ეხლა კი,—ღმერთო,—ზედაც არავინ უცქერის. ყველა ტუჩის აშკარით ყურში აგონებს: «თავადიშვილის ქალი ვიღაც ხეველს, უბრალო მასწავლებელს გაჰყვა ცოლადაო»!—ესეც იმალება, აღარავის უნდა ენახოს. ჰრცხვენიან თავის გვარისა. მდიდარი მაინც იყვეს, რომ თავის სიმდიდრით ჩააჩუმოს, ყველანი ალაგმოს... მაგრამ,—ოხ,—სიმდიდრეც არა აქვს!...

— კიკო, კიკო, დამიხსენ!..—გულის საკლავად შეევედრა კიკოს და ცრემლების ფრქვევით ყელზედ ჩამოეკიდა...

— თეკლე, ჩემო ჩემო, მითხარ, რა გაწუხებს, რომ თავს შემოგევლო და გიშველო რამ, რომ ცრემლები შეგიშრო... იქმნება, ჩემ სიყვარულში დარწმუნებული არა ხარ, ეჭვი გაქვს რამე... ოხ, თეკლე, მითხარ, მითხარ, რაც გინდა დამისახელე, რითი გინდა დაგიმტკიცო ჩემი სიყვარული?!

— კიკო, კიკო!—გაიძახდა თეკლე და ქვითინებდა.

— ჩემო კარგო, მითხარი, მითხარი რითი დაგიმტკიცო ჩემი სიყვარული და...

— სიყვარული!.. სიყვარული!.. მარტო სიყვა...

— იპოვნე?!.—ამ დროს მკაფიოდ ჩამოსძახა ჭოტმა და სიტყვა შეაწყვეტინა თეკლეს.

— ვერა!...—შემოესმა შორიდან მეორე ჭოტის ხმაც.

— ჰა?!.—ტანის ჟრჟოლით აქეთ-იქით მიიხედა და... ისევ იმ წყალის ტკბილი ჩანჩქარი, წისქვილის საამური ხმა შემოესმა...

— ღმერთო!..—სამადლობელოს კილოთი წამოიძახა და თვალის ქუთუთოები ღმობიერად ზევით ასწია. თითქოს ის დიდი ქვა, რომელზედაც თითონ იყო მისვენებული, გულზედ დასწოლოდა და სუნთქვას უხუთავდა, მოსწყდაო, ისეთი შვება იგრძნო, როდესაც გამოერკვია და ამისათვის ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ყოველივე ოცნების ნაყოფი იყო და არა სინამდვილისა.

ჰხედავს თეკლე, რომ ისევ ის წყალი მოჩანჩქარებს, ისევ ის წისქვილის ხმა მოისმის; ისევ თავის მამის ბაღშია და არა კიკოს პატარა, სულის-შემხუთავ ოთახში... ისევ თავის მამის გვარი აქვს და არა კიკო ხეველისა. უხარიან თეკლეს!.. თავისუფლად ჰსუნთქავს, რომ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ამ რამდენისამე წუ-

თაისწინად... მხოლოდ ერთი რამ-ღა აღონებს. ეს ის, რომ მთვარე, თითქოს თვალს არიდებს თეკლეს და მთის იქით დასამალავად მიეჩქარება...

III

«...ღმერთო!..»—შეჰკვა ოთახის შუა კიკო და შუბლი ისე ძლიერად შეიჭმუხნა, რომ თმა და წარბები ერთმანეთთან მიიტანა, მხრები კი ყურებამდის აიწურა. უნდოდა ამ მოქმედებით თავიდან ყოველივე აზრი გამოედევნა, რომ ერთ წამს მაინც სულ არაფერი ეფიქრნა; ერთ წამს მაინც თეკლეს სახე მოეშორებინა, მაგრამ...

«ღმერთო, ღმერთო?...—თითქმის ტირილით გაიძახდა ასე შუბლ-შეჭმუხნილი და მხრებ-აწურული თითებს იმტვრევდა...

«რამ გაგაკადნიერა ისე, შე სულელო, ჩემო თავო, რომ... ხა, ხა, ხა!.. რომ სიყვარული გამოუცხადე!..—მწარედ გადიხარხარა, და აწურული მხრები ჩამოუშალა, თმა და წარბები ერთმანეთს დაჰშორდნენ, და კიკო ისე მოიშალა ტანში, ისეთი სისუსტე იგრძნო, რომ ძლივსღა მიბარბაცდა სავარძლამდის და მოწყვეტით დაჯდო...

— რად მოვაწერინე ეს, რად?..—შესძახა გულ-ამომჯდარმა კარგა ხნის შემდეგ, და ტანში საშინელი ჩხვლეტა იგრძნო...

«...ისე გავკადნიერდი, რომ ხვევნა-კოცნაც დავუწყე... ხა, ხა, ხა!.. ცოლადაც მინდოდა... ცოლობის პირობასაც ვსთხოვდი, მინდოდა სიტყვა დამეტყუებნა... სადამდის მივიდა ჩემი თავხედობა!..»—დარცხვენით იძახდა, და თავის თავს მჩვარში ჰხვევდა.

«...ოს, თეკლე, თეკლე, ასეთ სათნოიან სიტყვების ხმარებას ის არა სჯობდა, გაგელანძღე, თავზედ ლაფი დაგესხა ჩემთვის!.. მაგრამ შენ ისე კარგი, ზდილობიანი ხარ, რომ...

«ჩემო კიკო,—დაიწყო თითქმის ეს მეათედ თეკლეს წერილის კითხვა:—მე ჩავუკვირდი ჩემს თავს, ჩემს გრძნობას და, ვფიცავ ზეცას...»

— რად ჰფიცავ, რად, წმინდა თეკლევ!.. განა დაუფიცებლივ კი არ დაგიჯერებდი?!.—შეწყვიტა წერილის კითხვა და ხელი თვალებზედ მიიფარა.

«...ვფიცავ ზეცას,—განაგრძო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კითხვა:—მთელ ღამეს არა მძინებია. სულ ჩემ გულს ვუკვირდებოდი. მინდოდა, წამიერი გულის თქმა ძლიერ გრძნობად გარდამექმნა, რომ შენს უკანასკნელ კითხვაზედ «ჰო, შენი ვარ სამუდამოდ» მეთქვა, მაგრამ...

«დაივიწყე, ჩემო კიკო, ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა, და ჩვენ ისევ ისე კარგი მეგობრები ვიყვნეთ...»

«ჩვენ ისევ ისე კარგი მეგობრები ვიყვნეთ!..»—განიმეორა უკანასკნელი სიტყვები და თავის ქნევით მწარედ ჩაიღიმა...

«მე ღირსი არა ვარ შენის მეგობრობისა, წმიდათა-წმიდავ, უმანკო თეკლევ... სად მე და სად კიდევ—შენ!.. მე...»—შეწყვიტა უეცრივ სიტყვა და წერილის კუდად მონაწერი სიტყვები ამოიკითხა: «ეს წერილი, გთხოვ, უკანვე გამომიგზავნე, თუ შესაძლებელი იქნება შენთვის... კი არა იფიქრო-რა...»

«ფუი, ამოდენა ხანია, ხელში მიჭირავს და ეს მცირედი თხოვნაც ვერ ავუსრულე. კარგის თვალით რად უნდა მიყურებდეს...»—გადააფურთხა და მაშინვე კონვერტი აიღო ხელში...

— მშვიდობით, მშვიდობით!.. შენს მაგივრად წერილს ვემშვიდობები...—მაგრად, მაგრად აკოცა წერილს, კოცნის დროს რამდენიმე ცრემლი ზედ დააგდო და შემდეგ, თითქოს საყვარელ არსებას ჰმარხავდესო, ცრემლის ფრქვევით დაკრძალა კონვერტში...

## IV

— დღეს მოვა, და ჯერ თეკლესთვის კი არა მითქვამს-რა,—ჩაილაპარაკა კასტანგმა და თეკლეს ოთახისკენ გასწია.

— სად არის თეკლე?—დაეკითხა კასტანგი გოგოს, რომელიც წინ შეეფეთა, როდესაც თეკლეს ოთახისკენ მიდიოდა.

— ჯერ ისევ სძინავს...

— აქნობამდის?.. საცაა, სადილად დავსხდებით და...

— მგონი, წუხელის არა სძინებია... დილას განთიადისას გამაღვიძა, წერილი გადმომცა და მითხრა: «კარგად რომ მომზვდეს, ეს წერილი კიკოს წაუღეო. მე კი დავიძინებ ესლა და სანამ მე არ გავიღვიძო, ნუ გამაღვიძებთო?!.

— მერე წაუღევი წერილი?..

— დიახ, ბატონო.

— არა გითხრა-რა?..

— ვინა?

— ვინა და კიკომ.

— არა. ისევ ეძინა, რომ მივუტანე.

— მაშ ვის მიეცი?

«რას მისწერდა?!.» — უსიტყვოდ დაეკითხა თავის თავს და ოთახისკენ წავიდა.

«კი არა იყოს-რა?!. იქნება, დაგვიანდა და საქმე კიდევაც გაათავეს!.. ეს შეუძლებელია!.. მე თეკლეს ნებას არ მივცემ, რომ იმ ვიღაც მასწავლებელს, კიკო ჰქვიან თუ მიიკო, მისთხოვდეს. ეს...» — უეცრივ აზრები შეუწყდა. სულ ერთიანად განებნივნენ, როდესაც კარი შეაღო და მძინარე თეკლე დაინახა.

კარგა ხანს იდგა კარებში. ღმობიერად გულზედ ხელი დაიკრიფა, თითქოს წმინდანი წინ სდგასო სალოცველად, და მზერა დაუწყო თავის ქალს, თავისს ერთად-ერთ ასულს, თავისს შვენებას, რომელიც გულ-აღმა იწვა ოდნავ წაიფარებულ ფარჩის საბნის ქვეშ; საბანი არ ჰფარავდა მის გამოქანდაკებულ მკერდს, ყელს, მკლავებს. ვინ იტყოდა, რომ ამ ოთახში, ამ საბნის ქვეშ მოთავსებულა ამ ქვეყნის ასული და არა ციური?!.

ვასტანგი იდგა კარებში და ეშინოდა გაუნძრეულიყო, რომ მძინარის ნაზი სუნთქვა არ აეშფოთებინა...

«ღმერთო,—გაიძახდა უსიტყვოდ ვასტანგი:—სად ვიყავი აქნობამდის, რომ არ ვიცოდი, თუ ამისთანა მშვენიერი იყო თეკლე?!.. ჩემი თეკლე, ჩემი სისხლ-ხორცი!..»—სიამაყით აევსო გული, რომ მისი სისხლ-ხორცი ასეთი მშვენიერი იყო, და ველარ მოითმინა: ფეხ-აკრებით მივიდა საწოლთან და გვერდით მიუჯდა.

«თეკლე, ჩემო თეკლე!.. შენი ადგილი დედოფლის ტახტია.., შენ უნდა სკიპტრა გეჭიროს ხელთ და განაგებდე სამეფოს... და არა—ვიღაც უგვარტომო კიკო ხუცესის ცოლობა... ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ეგ არ მოხდეს, არა და არა... ჯერ შენ გამოუცდელი ხარ, ჩემო კარგო, და მე უნდა საფრთხეს აგაცდინო...»—გარდა-

წყვეტით წარმოსთქვა ვახტანგმა უკანასკნელი სიტყვები ხმა-მაღლა და სასოებით ტუჩები თეკლეს მკერდისკენ საკოცნელად წაიღო...

— ჰა?!.—უეცრივ შეფორთხიალდა თეკლე, როდესაც ვახტანგი იმის მკერდს ტუჩებით შეეხო, და იმის ღაწვების ნაზ სპეტაკ ფერს მორცხვობის ალმურმა-გაჰკრა...

— ნუ გეშინიან, მე ვარ, შვილო!..

V

— მართალს ამბობ, მამი, კარგი ცხოვრება აქვს, კარგი გვარიც აქვს, თავადიშვილობით, ჩამომავლობით საქართველოს თავადებში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ, რა ვქნა, თითონ არ-ჩილი სულელია, უშნო, ულამაზო...—ღიმილით ეუბნებოდა თეკლე. სადილ შემდეგ მამას და თვალს არ აშორებდა ვახტანგის სახის მოძრაობას...

— შვილო,—დაიწყო ვახტანგმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ: გონიერი ხარ, შენ თვითონ მიჰხვდები ჩემის რჩევის სიკეთეს. თორემ შენი ნებაა, მე ძალას არ დავატან. იქნება, შენ კიდევაც ამორჩეული გყავს ვინმე!..—უკანასკნელი სიტყვები გაგრძელებით წარმოსთქვა და თეკლეს თვალი თვალში გაუყარა.

— მამი, არა გრცხვენიან, რომ მაგას მეუბნები!.. ამორჩეული რომ მყავდეს ვინმე, განა შენ არ გეტყოდი?!.—საყვედურით უპა-სუხა და თავი ძირს დახარა.

— რა ვიცი, შვილო, ეხლანდელ დროში...

— გიგოს გამოუგზავნია ეს წერილი!..—ამ დროს შემოვიდა გოგო წერილით და ვახტანგს ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— შენთან იქნება!—შუბლ-შეჭმუხვნით მიჰმართა ვახტანგმა თეკლეს.

— ჰო, ჩემთანაა!—უპასუხა თეკლემ და მაშინვე კონვერტს თავი გაუხია, საიდგანაც წერილი ამოიღო.

საჩქაროდ გადაატრიალ-გადმოატრიალა: ხან თავს დაჰხედა და ხან კიდევ ბოლოს, მაგრამ...

— ერთი სიტყვა მაინც დაეწერა ზედ!..—წამოიძახა სასო-წარკვეთილებით და მკლავები ჩამოჰსცვივდა.

— რა მოგივიდა, შვილო!—თანაგრძნობით დაეკითხა კახტანგი და სული მოჰკიდა...

— არაფერი, არაფერი!..—შუბლზედ ხელი გადისო და ისევ ისე გონება მოიკრიფა.

— რა იყო?!.—თუ არა ყოფილიყოს-რა, ფერი მაგრე რად წაგივიდოდა?!

— აი, თუ გინდა, წაიკითხე!..—წამოდგა და წერილი მიაწოდა...

კახტანგმა წერილის კითხვა დაიწყო. თეკლე კი ოთახში დადიოდა ამ დროს...

— მამა არ წამიწყდება, ვერა გამიგია-რა!.. ეს წერილი შენია.

— ეგრეა, მამაჩემო! ეგ წერილი ჩემია და, როგორც ბოლოში ამოიკითხამდი, მე ვთხოვ უკანვე დაბრუნებას, იმასაც ჩემი თხოვნა შეუსრულებია და, აი, უკანვე მომივიდა.

— მგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მე მაინც ვერა გამიგია-რა...

— ეს, მამა-ჩემო, მაგას რა დიდი გაგება რამ უნდა. აი, საქმე რაშია.—მიუჯდა გვერდით და წინა-დღის ამბავი ყოველივე შეუშვრად უამბო...

— როგორც გატყობ, კიკო გიყვარს და ძალიანაც.—უთხრა კახტანგმა, როდესაც თეკლემ თავისი საუბარი დაამთავრა.

— მიყვარს და მაგრე?!. არ ვიცი, ვსე შეეძლება ვისმე კაცი შეიყვაროს, როგორც მე კიკო მიყვარს!..

— მაშ რას ნიშნავს შენი წერილი?... ან უარი რად უთხარი; ან კიდევ რად ატყუებ: «არ მიყვარხარო»?!.

— როგორც გატყობ, მამა-ჩემო, შენ ჯერ ბავშვი ჭყოფილხარ, ჩემზე გამოუცდელი. «არ მიყვარხარ» იმისთვის მივსწერე, რომ უარის თქმა მინდოდა. რომ მიმეწერა: «მიყვარხარ, მაგრამ მაინც ცოლად ვერ გამოგყვებიო», მაშინ კიკო ხომ შემიზიზღებდა, შემიძულებდა?... რას იფიქრებდა?.. ეს კი არ მინდოდა, რომ კიკოს შევძულებოდი და ჩემზედ ცუდი აზრა შეექმნებინა. ცოლად კი, თუმცა მიყვარს კიკო, რატომ არ მინდა გავყვე, ამაზედ კი, არ ვიცი, რა გიპასუხო. იქმნება იმიტომ, რომ შენი ქალი ვარ და... მამა-ჩემო, რა დაგემართა?!.—უეცრივ შესწყვიტა ლაპარაკი და მამას მოეხვია, როდესაც თვალი შეასწრო, რომ იმის ლაპარაკის დროს

ვასტანგი მთლად გაფითრებულიყო და გამოშტერებული თავის ქალს შესცქეროდა...

— ჰო!.. არაფერი... განაგრძე... ცოტა წყალი კი დამალევინე!..— შუბლზედ ხელი გადისო და გრძლად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა. თეკლე კი წყლისთვის გაიქცა.

სულ რამდენისამე საათის წინად ამაყობდა თეკლეთი. თავი მოჰქონდა, რომ თეკლე მისი სისხლ-ხორცი იყო: ეხლა კი, როცა თეკლე უამბობდა თავის საყვარელზედ, თითქმის გულიდგან მოიგლიჯა. ძნელი იყო ამისთვის დარწმუნებულიყო, რომ თეკლე უმწიკვლო არ არის, რომ ის ვისაც შეიყვარებს, თავდავიწყებით არ მიეცემა, მაგრამ, დახე, თურმე თეკლე რანაირად მოქმედობს!...« კიდო შეუყვარდა,—ფიქრობდა ვასტანგი და თან მწარედ იღიმებოდა—«არ ვიცი, ესე შეეძლება ვისმე კაცი შეიყვაროს, როგორც მე კიდო მიყვარსო» იძახის და თან უარსაც ეუბნებოდა!..»

— არ მოველოდი ამასა, არა!.. არ მეგონა, თუ თეკლე ასე მოიქცეოდა და თავისს გრძნობას შეჰბღალავდა!—წამოიძახა ვასტანგმა და წამოდგა. «მართალია,» მე ვეწინააღმდეგებოდი, ძალას დავატანდი, რომ კიკოს არ შეუღლებოდა, მაგრამ, ოხ, რა ბედნიერი მამა ვიქნებოდი, რომ მე... მე ჩამეფუშა ეგ ქორწინება და არა თითონ თეკლეს. მაშინ თეკლე... ღმერთო, რა დღე დაგვიდგა, რომ აღარც გრძნობა, აღარც გულ-წრფელობა არ არსებობს!..—მწარედ შამოიძახა და ცრემლებიც კი ჩამოუგორდა ჭაღარა წვერზედ...

— მამი, რა მოგდის?! სტირი კიდევაც?!. აჰა წყალი!..— გაოცებით დაეკითხა თეკლე, რომელმაც ამდროს ჭიქით წყალი შემოიტანა და მალად დაალევინა.

— ხომ მხედავ, მამი, მე შენი წინააღმდეგი არა ვარ?! ხომ არა გაწყენინე-რა, რადა ხარ მაგრე დაღონებული, ეგ ცრემლები რას ნიშნავენ?!—ალერსით უთხრა თეკლემ და ხვევნა დაუწყო მამას.

ვასტანგმაც ვერ გაუძლო ქალის ალერსს, თითონაც მაგრად, მაგრად ჩაიკრა თეკლე გულში და ქვითინით მხურვალედ ეხვეოდა. ცრემლები კი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა და თეკლეს ლოყებს ეწვეთებოდნენ...

უნდოდა ვასტანგს დილანდელი თეკლე დაებრუნებინა, უკანასკნელი დაჰვიწყებოდა, მაგრამ თეკლეს წყეული სიტყვები: «მიყვარს, მაგრამ უარს ვეუბნები» სახვრეტელივით ტვინს უხვრეტავდნენ და ერთ წამსაც არ ჰშორდებოდნენ...

— ეს სიხარულის ცრემლია, შვილო, რომ შენ მაგისთანა ჭკვიანი, გონიერი ქალი მყავხარ, — უთხრა ვასტანგმა ცივად, როდესაც გონს მოვიდა და დარწმუნდა, წინანდელი თეკლე სამუდამოდ დაჰკარგა.

ეხლა ერთი-და აწუხებდა: რაც შეიძლება, მალე მოეშორებინა თავიდან...

— მგონი, სამგზავრო მატარებელი ჩქარა მოვა. წადი, ეტლი შეაბმევინე და გაგზავნე, რომ არჩილს იქ ცდა არ მოუნდეს.

— ეხლავე...

— თქმა აღარ გინდა, როგორც უნდა მოექცე არჩილს...

— ჰნახავ, მამი, შენს არჩილს ი სულელ იაკს როგორ გამოვუსულელებ!.. მგონი, ამაღამვე ნიშნობა მოვახდინო...—ღიმილით უპასუხა თეკლემ.

—კიკოსაც დაუმატე!..—ეშმაკურად უთხრა ვასტანგმა თეკლეს, რომ წმიდა გრძნობა მოეგონებინა, რომ ამ მოგონებით არჩილის ცოლობაზედ ცოტა ყოყმანობა მაინც გამოეწვია და შეესყიდა თეკლეს თავისი საქციელი, მაგრამ...

— კიკო ქალაქს უკვე წასულა! გოგომ მითხრა: «კიკო წელან ცხენით სადგურისკენ მიდიოდაო»...

## VI

— რაო, რაო?! აღარ გაჰბედოთ მაგის გამეორება, თორემ!..— გული ყელში მოებჯინა, სიბრაზით ნერწყვი შეუშრა და ვეღარ განაგრძო ლაპარაკი ალექსიმ.

— გავბედავ კი არა, დაგიმტკიცებ ყოველსავე ჩემ სიტყვას და ცხადად დაგანახვებთ, რა ზნეობის ადამიანია იგი!—უფრო ბეჯითად წამოიძახა ნიკომ, და თვალები სულ აენთო.

— უი, უი!.. თქვენ ილიაზედ ამბობთ, ბატონო ნიკო, მაგას?!. ვანოს მომხრეებს კი ხმა არ ამოეღებათ ზნეობაზედ!..—გარდაწყვეტით მიუგო ქ-მა ქეთევანმა ნიკოს.

— დადიან და ავრცელებენ ტყუილ ხმებს. ხან რას იგონებენ და ხან რას?!.

— ვინ, ვინ?!.—თითქოს დასაკლავად მიდისო, ისე წაეტანა ალექსის გაზრო და გონება-დაბნეული გაიძახოდა: «ვინ, ვინ?»

— ეს რა კაცობაა, რომ ჯერ უარი განაცხადა, ისე მედიდურად გამოგორდა და დაიძახა: «აღარ მინდა, აღარ შემიძლიან ბანკში სამსახური», და მეორე დღესვე კი შესკუპდა და ისევ ისე განაგებდა.—ზიზღით წარმოსთქვა მიშომ.

— გაგისარდებოდათ კია, რომ მართლა გასულიყო და კანოდედა-ბუდიანად ბანკში დასახლებულიყო!.. ხა, ხა, ხა!.. თავ-მჯდომარემ როგორ მაშინვე დაურიგა ადგილები!.. «შენ, როგორც მოადგილეს, დირეკტორების თავ-მჯდომარედ იქმნები, შენ კიდევ მეორე დირექტორად და შენ კიდევ... ხა, ხა, ხა!.. სასაცილო არ არის ამისთანა საქმე,—ისე ცოცხლად დაავჯავრა თავ-მჯდომარეს ანდრომ, რომ თ. ელიას მომხრეებმა სიცილი ასტეხეს. თ. კანოს მომხრეებს კი ბრაზი მოერიათ და...

კაცი ვერც თავს გაუგებდა და ვერც ბოლოს. სიტყვებს აღარ ზოგავდნენ, აღარაფერს და აღარავის ერიდებოდნენ, ჰლანძღავდნენ ერთმანეთს უშვერის სიტყვებით. ქალი და კაცი ერთმანეთს აჭარბებდნენ...

კიკომ საათის დაჰხედა და თავი გაიქნია. შუა ღამე გამხდარიყო. «საქველ-მოქმედო განზრახვით შეიყარნენ აქ, უნდოდათ რაღაც საქმე გამოერკვიათ და ესენი კი რას გაებნენო».—გაიფიქრა კიკომ და წასვლა დააპირა.

პირველად იყო კიკო ამ სახლში. მთელ საღამოს ხმა არ ამოუღია და თავსა და ბედს იწყევლიდა, რომ ამ დღეს აქ მოვიდა. აგერ ორი წელიწადი გავიდა, რაც თეკლეს წერილი მიიღო და მას შემდეგ სულ იმის მეცადინეობაში იყო, რომ თეკლეს პირდაპირ არსად შეჰხვედრიყო. ბანკის კრებაზედაც კი არ დადიოდა, რადგანაც ფიქრობდა: «თეკლე უთუოდ ესწრობა და წინ რომ შევეფეთო, მაშინ...» «ვერიდებოდი ღოლოსა, დამხვდა ორღობის ბოლოსაო», სწორედ ეს დაემართა კიკოს. სადაც არ მოელოდა, იქ შეხვდა. ამ საღამოს ლევანი შეჰხვდა და უთხრა: «უეჭველად უნდა წამოხვიდე;

მეც იქ მივდივარ. ღარიბ სტუდენტების ფონდზედ იქმნება ლაპარაკი. ამაღამ უეჭველად უნდა დავაბოლოვოთ, თორემ მეტის-მეტად გაჭიანურდაო.

კიკოს არ უნდოდა, მაგრამ უარი ვეღარ უთხრა. დანიშნულ ადგილს მივიდნენ; ჯერ რამდენიმე მოსულიყო. დიასახლისმა კიკო გააცნო, ვინც არ იცნობდა და შემდეგ ისევ სხვებთან ბაასი განაგრძო.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ თითქმის ყველანი მოვიდნენ და ყველაზედ ბოლოს თეკლემ შემოაღო კარი. დიასახლისი მიეგება და სათითაოდ ყველანი გააცნო, ვისაც კი არ იცნობდა...

— ღმერთო!—უსიტყვოდ შესძახა კიკომ, და ჭირის ოფლმა დაასხა.

უნდოდა დამალულიყო, მაგრამ როგორ, როდესაც თეკლე დიასახლისმა იმასთან უკვე მიიყვანა.

— კიკო ხევედი!—უთხრა დიასახლისმა თეკლეს...

— ძლიერ სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი გაცნობა. ბევრი კარგი გამიგონია თქვენზე!..—უთხრა თეკლემ და ხელი გაუწოდა.

კიკომ თავი დახარა, რომ მღელვარება არავის შეემჩნია და თეკლეს გამოწვდილ ხელს ხელი მიაგება...

ხელი დაეწო. ტანში ჟრუანტელმა დაუარბინა და მუხლები მოეკვეცა.

თეკლეს გაბრუნებას ველარც კი მოუცადა, რომ მოდუნებული სავარძელზე დაეშვა...

— რატომ მაგრე ჩაფიქრებულხართ და ამ გაცხარებულ ბაასში მონაწილეობას არ იღებთ?!—დაეკითხა დიასახლისი კიკოს და გვერდთ მიუჯდა.

— მე?.. არ ვიცი!—დაბნევით უპასუხა და იმისკენ მიბრუნდა.

— თეკლეს სიმშვენიერემ ხომ არ გაგიტაცათ, რომ სულ იმას უცქეროდით?!.

— მე?..

— მე შეგამჩნიეთ, უარს ნუ ამბობთ!.. საშინელი მღელვარებაც შეგეტყოთ, ხელი რომ ჩამოგართვით...

— ვის არ აღელვებს მაგისი სიმშვენიერე!..—ძალადატანებულის ღიმილით უპასუხა მხოლოდ იმისთვის, რომ ეპასუხნა რამ.

— თქვენ არ იცნობთ მაგას, რა ნაირი კეთილი და, ამასთან, ხომ ხედავთ, რა მშვენიერიც არის! მაგრამ, საწყალს, ქმარი მეტის-მეტი უზნეო და სულელი გამოადგა.—უკანასკნელი სიტყვები წუ-წუნით წარმოსთქვა დიასახლისმა.

— მგონი, მაგის ქმარი, ვიდრე მაგის ქმრად გახდებოდა, მაშინაც სულელი და უზნეო იყო. ამისათვის აქ «გამოადგას» ადგილი არა აქვს. უთუოდ იცოდა, როგორიც იყო არჩილი და ამისთვის ეხლა აღარ უნდა ინანოს.

— რა ვიცი, იცოდა თუ არა, და გინდაც ჰცოდნოდა, რას იზამდა, როდესაც მამამ მოისურვა. ერთად-ერთი ღირსება მაგის ქმარს ის აქვს, რომ ძალიან მდიდარია და, ამასთან, გამოჩენილის თავადიშვილის გვარისა. ხომ კარგად იცით, ჩვენი მამები რა ნაირად ყურადღებას აქცევენ ამ ღირსებას?!. თეკლეც, რაკი დედის-ერთა იყო, აღარ აწყენინა და მამას თავისი თავი მსხვერპლად შესწირა...

— გმირობა ჩაუდენია!..

— თქვენ იცინით და მეკი მაგას სწორედ გმირობას ვუწოდებ...

— გეფიცებით, სიცილის გუნებაზედ სრულებით არა ვარ!...

— მაინც რაღაცნაირ კილოთი სთქვით.

— მე, აგი მოგახსენებთ...

— ქალბატონო, პატარა ხანს აქ მობძანდით!—მიჰმართა დიასახლისს მოსამსახურე გოგომ, რომელიც, ის-ის იყო, შემოვიდა და კიკოს სიტყვა გააწყვეტინა.

— ოხ!—სიამოვნებით ამოისუნთქა, დიასახლისი რომ წავიდა, და კუთხე დაიჭირა, სადაც სხვა ვეღარავინ მოთავსდებოდა. დიდხანს ელოდა: ან ეხლა დაიწყობენ «ღარიბ სტუდენტების ფონდზე» მსჯელობას, ან ეხლაო, მაგრამ სტუდენტები ვიღას მოაგონდებოდა ამისთანა გამწვავებულ ბაასის დროს. როდესაც ბაასმა უკიდურესობამდის მიაღწია, და საათმა, შუაღამე უკვე შესრულდაო, უთხრა, კიკო წამოდგა. დიასახლისს თვალი მოჰკრა. მივიდა და ხმა-დაბლივ გამოემშვიდობა.

— გაპარვა გინდათ, ბატონო კიკო, აგი დამპირდით, გაგაცილებთო?!.

— მე?!

— დიახ, თქვენ!.. ოხ, რანაირი გულმავიწყი ჰყოფილხართ!..— ღიმილით უთხრა კიკოს თეკლემ და დიასახლისს გამოსამშვიდებოდ ხელი გაუწოდა.

— თუ დაგპირდით, დიდის სიამოვნებით!..—წამოიძახა და მთლად გაწითლდა.

— აი, თეკლე, დიდი ეშმაკი ხარ!.. შენ წასვლა გინდოდა და, კიკო რომ მიდის, გინდა ისარგებლო...

— რას მეუბნები, გენაცვა! ჩემთვის სასიამოვნოა შენთან ყოფნა, მაგრამ ცოტა უგუნებოდ ვარ.—თითონაც გაუკვირდა თავის სიტყვებისა. არ იცოდა, რისთვისა სთქვა ეს.

— დღეს ხომ ვერ მოვასწარით ფონდზედ ლაპარაკი და მაშ როდისღა შევიკრიბნეთ?—დაეკითხა დიასახლისი თეკლეს და კიკოს.

— მგონი, ამ ორიოდ-სამ დღეში კინც აქ არის, ყველა სოფელში წავა და, არ ვიცი, ენკენისთვემდის კრების დანიშვნა მოსახერხებელია, თუ არა.—უპასუხა კიკომ და კარებში გავიდა.

— ეს რა უბედურებაა, ამ საქმეს ბოლო ვერ მოვუღეთ?! ესლა რომ გაგვეთავებინა, ამ ზაფხულს სოფლებში ბევრ ფულს შეაგროვებდა ყველა ჩვენგანი,—დაღონებულის კილოთი წარმოსთქვა დიასახლისმა და თეკლეს საგამომშვიდობოდ აკოცა.

— განა არ შეიძლება, ფული ამ ზაფხულ მაინც შეიკრიფოს.—უპასუხა კიკომ და მაშინადვე დაუმატა:—ღამე მშვიდობისათ!..

— რასაკვირველია!.. არ დაგვივიწყოთ. მოდით ხოლმე, სოფლიდან რომ დაჰბრუნდეთ.

— ვეცდები!..

## VII

— კიკო, ნუ თუ არ გინდა დავიწყო ჩემი ამბავი?!—ხმის კანკალით შეეკედრა თეკლე და ახლოს მიუჯდა.

— წმინდათ შევასრულე თქვენი თხოვნა: დავივიწყე ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა.

— კიკო, გენაცვა, დაანებე თავი მაგ კილოთი ლაპარაკს!.. მოიგონე ის ღამე!.. ღმერთო, ერთხელ მაინც კიდევ გამაგონე ის ნაზის გრძნობით სავსე ხმა და მითხარ: «სამუდამოდ»...

— კმარა, თეკლე... რაც იყო, ის აღარ დაბრუნდება... შენი წერილი რომ მივიღე, კინაღამ გავგიჟდი... ისე შემძულდა ჩემი თავი, რომ კინაღამ თავი მოვიკალ. გიჟსავით ვიძახდი: ისე როგორ გავკადნიერდი, რომ თეკლეს, ციურ არსებას ჩემის ჭუჭყიანის ხელით შევეხე. რამდენადაც ჩემ თავს ვამცირებდი, იმდენად შენ გამაღლებდი. მაგრამ, ოხ, ღმერთო, რად მოხდა ეს?!... ნეტავი, ნეტავი სულ ისე ყოფილიყო: ჩემი თავი საძაგლად მეცნო და შენ კი.... ისევ ის თეკლე ჰყოფილიყავი ჩემს წარმოდგენაში!... მაგრამ, იმას ვამბობდი, სურათი სულ შეიცვალა, როდესაც შევიტყე, რომ შენ არჩილის, იმ სულელის და, უკაცრავად, ბრიყვის მეუღლე გაჰხდი!.. ჩემს წარმოდგენაში შენ ჩემი ადგილი დაიჭირე და მე კიდევ—შენი. შენ დაეცი ჩემ თვალში და მე კი ავმაღლდი... ოხ, ნეტავი სხვა, ჭკვიანი შენი ღირსი შეგერთო ვინმე! მაშინ მე ისევ შენი თაყვანის-მცემელი ვიქმნებოდი... ეხლა კი...

— კიკო, მაკმარე!... გეფიცები ძალა იხმარ...

— გაჩუმდი, გაჩუმდი!... სხვა რომ მოატყუო, მე ვერ მომატყუებ... შენ სრულის შენის ნებით და, ამასთან, სიხარულითაც მისთხოვდი! შენ შეჰლახე შენი წმიდა გრძნობა, შენი ადამიანობა და სიმდიდრეს და გვარიშვილობას მიჰყიდე.

— კიკო, გევედრები, მაპატიე! მე თითონ ვიტანჯები. ვგრძნობ, რა საზიზღარი ნაბიჯი გადავდგი, როდესაც შენ წერილი მოგწერე. ის არ მოგწერე, რასაც გული მეუბნებოდა. გონებას დავემორჩილე... წმიდა გრძნობა სიმდიდრეზე, პატივის-ცემაზე გავცვალე. ამას მართალს ამბობ. მაშინ მარტო გრძნობა არ მაკმაყოფილებდა. მეგონა, გრძნობა შორს ვერ წამიყვანს-მეთქი. მაგრამ ეხლა კი ვხედავ, ჩემო კიკო, რა შეცდომა, რა დანაშაულობა ჩავიდინე. რაც ჯვარი დავიწერე, ერთი წამიც არა მქონია ტკბილი. გებრალებოდე, კიკო, ხომ ერთხელ მაინც გიყვარდი! ეხლა სიმდიდრე, პატივისცემა, დიდი გვარის რძლობა მაქვს, ისა მაქვს, რასაც ჩემი გრძნობა ვანაცვალე, მაგრამ, ოხ, ღმერთო, თანაგრძნობა აღარა მაქვს! სიმდიდრესთან გულის სილატაკე, სიცალიერე, მარტოობა შევიძინე... კიკო, ვერ წარმოიდგენ, რა მტანჯველი, მქეჯნავი ყოფილა მარტოობა, გულის სიცალიერე!—გულამოსკვნით წამოიძახა და ქვითინი მორთო.

— სააქაოსვე ჯოჯოხეთი—განაგრძო თეკლემ ქვითინით,—გავიჩანე მე უბედურმა!.. და შენც... კიკო, კიკო, ნიშნს მიგებ!.. არ მეგონე... აჰა, დასტკბი ჩემის ტანჯვით!..

— თეკლე, გენაცვა, დაჩუმდი!..—ცრემლებმა მოულბო გული და ცვენა დაუწყო...

— თეკლე, ჩემო კარგო, გაჩუმდი!—თითქმის ტირილით უთხრა და გულში ჩაიხუტა...

— კიკო, კიკო, კიდევ გამაგონე ეგ ხმა!... აწ, რა ბედნიერი ვარ!.. რა ტკბილია ეს წამი... თბილი, ნეტარი!..—აღტაცებით გაიძახდა თეკლე და თან კიკოს ახლა თითონ იკრავდა გულში, თავზე, შუბლზე ჰკოცნიდა...

— ჩემო კიკო, ჩემო ჩემო, ხომ სამუდამოდ ასე ვიქნებით?! ბედნიერები... კიკო, კიკო!..—ჩაჰჩურჩულებდა ნიავსავით კოცნის დროს კიკო... კიკო კი მოდუნდა, მოიქანცა და პასუხის მიცემის თავი აღარ ჰქონდა...

— ჰო!.. თეკლე!.. ჩემო...—აჰკვნესდა კიკო ძალა-გამოცლილი...

— კიკო, კიკო!.. ჩემი ხარ, განა?! ჩემი, ჩემი, ჩემი!..

— ჰა?!. შენი?!. ჰო!.. არა... მერე!..—უეცრივ მოიკრიფა ძალა და ზეზე წამოდგა.

— წავიდეთ!..

— მოიცა, კიკო, რატომ მაგრე შეიცვალე? ხომ ჩემი ხარ?!.

— მერე!.. მერე!.. წავიდეთ ეხლა!..—უპასუხა გადაწყვეტით და კარებთან ელექტრონის ზარის ღილს თითი დააჭირა.

— ორ საათზე ჰკეტავენ «პურ-ღვინოს». ეხლა კი, აი, მესამეც ჩქარა შესრულდება,—უთხრა კიკომ და საათი აჩვენა.

— მოხუცო, რა გერგება?!—დაეკითხა კიკო მოსამსახურეს, რომელიც ზარის დარეკაზედ საჩქაროდ კაბინეტში გაჩნდა.

— ორი მანეთი.

— აჰ, აქეთ მობძანდით, იქით კარი დაკეტილია!—მოახსენა მოსამსახურემ და ეზოსკენ გასავალი კარი მარდად გაუღო.

## VIII

— ეეეხ!..—გაახილა თვალები თუ არა, თეკლეს გულის სიღრმიდგან აღმოჰხდა ეს ხმა.

რაღ?.. თითონაც არ იცის. ჰრძნობს, რომ ძალიან იქენჯნება, გული დასურული, დაბეჩდილი აქვს; ტანი მოშლილი, გონება დაბუნდოვებული და სული ხომ...

— ეეეხ!...—კიდევ ამოხდა გულიდან თეკლეს. და თვალები წყლით აევსო.

განძრევა უნდოდა. თუმცა ერთი წყვილი ცრემლიც გადმოჰკვარდა, პირველ წყვილს მეორეც მოჰყვა, მაგრამ ჩუხჩუხიც არ მოიღო; ხელის აღებაც ეზარება, რომ თვალები მოიწმინდოს. თითქოს, მთელი ტანი დადამბლავებული ჰქონდესო, ისეა ლოგინში მოლეშილი...

რადა?..

არ იცის. ეხლა თეკლე ისეთ მდგომარეობაშია, რომ არავითარი აზრი თავში არ ებადება: არც წარსული, არც აწმყო იმისთვის არ არსებობს, და არც რამ ახსოვს...

რაღ?..

არ იცის. პასუხის მოგება ვერ შეუძლიან. ან-კი როგორ მოსცემს პასუხს, როდესაც გონება დაჩლუნგებულია, დადუნებული?!

ჰგრძნობს მხოლოდ ერთს: სხეული, გონება, გული, სული მოდამბლავებული აქვს და...

— ღმერთო, ღმერთო!.. ერთი წვეთი მაინც!.. ერთად-ერთი წვეთი!—მთელის სხეულის მოკუმშვით წამოიძახა თეკლემ და მდუღარება გადმოჰხეთქა.

გონება გადაეწმინდა და სხეულიც მოძრაობაში მოვიდა. ეხლა კი შეუძლიან პასუხის მოცემა. «ერთი წვეთი მაინც!»—აი, პასუხი.

«ერთი წვეთი მაინც» თანაგრძნობისა რომ იყოს, მაშინ თეკლეს სული და სხეული გადიშლებოდა, აღფრთოვანდებოდა და...

— კიკო, კიკო, ნუ თუ ჩემს შეცდომას არ მაპატიებ?!—ლოგინში წამოჯდა და, თითქოს წინ უდგა ვინმეო, ისე შეევედრა.

მოაგონდა წინანდელი ღამე. მოაგონდა, როგორ ივახშმა კიკოსთან ერთად «პურ-ღვინოში» და იგრძნო კიდევაც, რომ ის, თუმცა ბოლოს დროს ეხვეოდა, ეალერსებოდა, გულწრფელი არ იყო.

— იქნება მართლა კიკომ მაპატივა და ისევ დაუბრუნდა ჩემი სიყვარული?! — წამოიძახა და ზარი დაურეკა მოსამსახურე გოგოს.

— რა გნებავს, ქალბატონო?!.

რისთვის დაურეკა ზარი, რისთვის დაუძახა გოგოს?!. არ იცოდა. დაიბნა მოსამსახურის კითხვაზედ.

— რა მნებავს?! რა ვიცი, რა მნებავს?!. ჰო, მართლა, არჩილი შინ არის?!

— არა. წუხელის არ მოსულა.

— წუხელის არ მოსულა... ჰო... მართლა, რა დროა?

— ათი საათი გასულავსთ.

— ესლა კი მომაგონდა, რისთვის დავიძახე: წერილი ხომ არავის მოუტანია?! — დაეკითხა თეკლე და ლოგინიდან იატაკზე ჩამოვიდა.

— როგორ არა, ქალბატონო, ვიღაც ბიჭმა მოიტანა და სთქვა: ქალბატონს კნეინას გადაეციო...

— მოიტა ჩქარა, ჩქარა!.. — დაბნევით უთხრა და თითქმის კისრის კვრით გააბრუნა მოსამსახურე გოგო...

— კიკოსგან იქნება, კიკოსგან!.. წუხელის მითხრა: «მერე, მერეო». ღმერთო, რას მომწერდა?!. იქნება, დაუბრუნდა უწინდებური სიყვარული და... ღმერთო, ღმერთო!.. ვუყვარვარ ისევ კიკოს, მე იმისი ვიქმნები და ის კიდევ ჩემი!... — ნაწყვეტად გაიძახოდა და ოთახში ჰერანგა, ფეხ-შიშველა დარბოდა...

— ოხ, რა ბედნიერი ვიქნები!..

— აი!.. — შემოიტანა ამ დროს მოსამსახურე გოგომ წერილი და გაუწოდა...

— კარგი, წადი!.. — კონვერტი გამოჰგლიჯა ხელიდან და გოგო დაითხოვა.

«ჩემო თეკლე, — დაიწყო წერილის კითხვა ტანის კანკალით: «მე ჩავუკვირდი ჩემს თავს, ჩემს გრძნობას და, ვფიცავ ზეცას, მთელ ღამეს არა მძინებია. სულ ჩემ გულს ვუკვირდებოდი. მინდოდა, წამიერი გულისთქმა მრიელ გრძნობად გარდამექმნა, რომ შენს უკანასკნელ კითხვაზე «ჰო, შენი ვარ სამუდამოდ» მეთქვა, მაგრამ...

«დაივიწყე, ჩემო თეკლე, ყველაფერი, რაც ჩვენს შორის...»

თვალთ აუჭრელდა, თითები მოუდუნდა, და წერილი ხელიდან გაჰვარდა.

«ჩემი წერილი... რაც მე მივწერე... კიკო, კიკო?» — კვნესით წამოიძახა და ორსავე მხარეს ჩამოშლილ გიშრის ფერ, ხშირ ხუჭუჭა თმას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაეჯაჯგურა.

— დუდუკის ხმა!.. ეტლი ჩვენს კარებთან შედგა!.. ვინ... ზარის ხმაც! — ნაწყვეტად გაიძახდა თეკლე, როდესაც ქუჩიდან დუდუკის ხმა შემოესმა და რამდენიმე ეტლი იმათს კარებთან შედგა.

სარკმლიდან უნდოდა გადაეხედნა, მაგრამ ამ დროს შემოესმა კიბეებიდან ფეხის ხმა და «ჩაჰბერე, კიკლი, ჩაჰბერე!..» ძახილი და...

— არჩილი, არჩილი! — წამოიძახა და სასოწარკვეთილი იქვე ჩაეხვია.

— ლეკური, ლეკური! — დაიღრიალა არჩილმა, როდესაც ბრახაბრუხით, კარებების შემოჯახუნით შემოვიდა ზალაში, და თითონ კი თეკლეს ოთახისკენ წამოვიდა.

მედუდუკეთ ლეკური გააჩაღეს. არჩილმა კი ორივ ხელები თეკლეს ოთახის კარებს ზედ მიწყვეტით მაგრად ჰკრა.

კარის ორივე ნახევარი უეცრივ შეიღო და...

— არჩილ! — შეჰყვირა ზიზღით, ფეხზედ წამოჭრით თეკლემ, როდესაც კარებში გალეშილი არჩილი გამოეცხადა, და გაქცევა დააპირა.

— ოხ, ჩემო თეკლე, ჯერ არ ჩაგიცვამს?! ჰა?! ოხ, რა მშვენიერი ფეხები გქონია! — ნერწყვ-მორეულმა წამოიძახა და ხელი წაატანა თეკლეს ფეხს. დაკუზვის დროს პირქვე დაეცა, მაგრამ ფეხში მაინც სწვდა და მაგრად დაიჭირა.

— არჩილ, რას შვრები! — დაუტია და მაგრად გამოსწია ფეხს, მაგრამ ვერას გახდა.

მდუღარე გადაესხა, დაიფუფქა. უნდოდა, იატაკი ჩანგრეულიყო და შიგ ჩავარდნილიყო, რომ სხვას მაინც არ დაენახა ეს სურათი, მაგრამ იმის სურვილი არ ასრულდა: იატაკი არ გასქდა, არ ჩაინგრა და არჩილის ამქრებიც ღრეჭით შემოიცქირებოდნენ. არჩილი კი ენა-დაბნევით გაიძახდა: «რა ფეხებია, რა ფეხებია!»ო და ჰლოშნიდა თეკლეს ფეხს.

კიდევ შეეცადა ფეხის წართმევას, გამოსწია ფეხს, მაგრამ ღონემიხდილი იქვე სავარძელს მიესვენა...

— სულ ერთია!... — ამოკვნესით წამოიძახა და ჭირის ოფლი შუბლიდან ხელის გადასმით გადაიწმინდა.

ეხლა სულ-ერთი იყო იმისთვის. ეს პერანგაც რომ გამოეტანათ შუა ზალაში და ეთრიენათ, ამასაც გულ-გრილად, უგრძნობლად გადაიტანდა.

შ. არაგვისპირელი

9 მაისი — 97 წ.
სად. ვაზიანი.

# სამურზაყანო

## მგზავრის წერილები

### VI *)

მშვენიერია მთა!—შარდენის თიფუ.—ლაღნი შვილნი ლაღის ბუნებისა.—„სტუმარი ღვთისაა!“—ინახად დასხდომა.—რითი იკვებებიან ლაღნი შვილნი ლაღის ბუნებისა?—ბარად დაწყობილი გეგმა მთაში არ გამოგადგებათ.—ღამე მთაში.—დილა.—გუძას რეკომენდაცია.

მშვენიერია მთა, როცა, ხანგრძლივის ძილის შემდეგ, ახლად იღვიძებს, ძალ-ღონეს იკრებს. მშვენიერია მისი თვალ-წარმტაცი, დაქარგული ჩედაშირი, გულის ამატოკებელი. სანეტარო მისი მსუბუქი ჰაერი, წმინდა, უმწიკვლო, რომელიც თავის ცხოველმყოფელს ძალას ყოველს სახსარში დაგიტარებსთ ხოლმე, დაღლილს ჯანსა გმატებსთ, გულს გიმაგრებსთ, საბრძოლველად გიწვევსთ!.. რა სჯობს ამ ნიავს, მაგრილებელს, დამამშვიდებელს, რომლის ნაზ ხვევნაზედ გულს გეფონება, გავიწყდების სიმწარე საქაო; გადადიხარ სადღაც შორს, ოცნების სამეფოში, «სადა არა არს არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული დაუცხრომელი...» ამ დროს თქვენი არსება ერთად-ერთის, განუზომელის სურვილით ივსება: ყველა გულზედ მიიხუტოთ, ყველას ძმურად ხელი გაუწოდოთ და შვება მიანიჭოთ, ყველას ნუგეში სცეთ, მიუალერსოთ, დაუყვავოთ, ყველა ტვირთ-მძიმესა და მაშვრალს ფიანდაზად გაეშალოთ...

აი, ამასა ვგრძნობდი, როცა გუძას უკან მივსდევდი მთის ბილიკზე. იქით-აქეთ ამაყად წამოზიდული თოვლიანი მწვერვალები და

*) იხ. «მოამბე» 1896 წ. № XII და 1897 № I.

მათი ფერდოები მზეზედ ფანტასტიურად ციმციმებდნენ. ერთად-ერთი სიტყვა ამომხდებოდა ხოლმე გულწრფელად, როცა მთის სიმშვენიერე ინსტიკტიურად გამაჩერებდა: «რა კარგია!» ის იყო, თოვლი ახლად აეღო. ზოგან, განსაკუთრებით ჩრდილოეთ მხარეზე, კიდევ დარჩენილიყო და მის ქვეშიდან ვერცხლის წყალივით სხლტებოდა მთის წყალი, იწყებდა წკანწკარს, მერე სხვა უერთდებოდა, იქცეოდა რუდ, რუ—კისკას ნაკადულად, ზედ გადაურბენდა ახლად-თავწამოყოფილ ბალახს და ჩხრიალით მიხტოდა კლდიდან კლდეზე.

—

გზა-გზა მთის ოდენად დამდგარ ბამბის მსგავს ნისლში წამდა-უწუმ ვეხვეოდით. ერთ გორაკზე ავედით. ნისლმა გადიყარა. გუძამ იხელთა, კარგად ივარაუდა ადგილ-მდებარეობა და, ბოლოს, წამოიძახა,—მოვსულვართ შარდენის *) თიფუსთანაო **). ხევს გაღმა კომლიც დავინახეთ. გუძამ გასძახა. გუძას ძახილზე მწყემსების ძაღლები წამოიშალნენ და ყეფით ჩვენკენ წამოვიდნენ. ამასობაში მწყემსების ბიჭებმაც მოატანეს ჩვენამდე, ძაღლები მოგვიგერეს და ბინაზე წაგვიყვანეს, სადაც გადახურული არა იდგა-რა. თუ ბინა ერქვა, იმიტომ რომ შუა ალაგას ცეცხლი ენთოთ და გარშემო კიდევ მწყემსები შემოსხდომოდნენ.

— გიმრავლოთ საქონელი!—შევსძახეთ ახალმოსულებმა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!--გვიპასუხეს მწყემსებმა და ყველანი ფეხზე წამოგვიდგნენ.

— სტუმრებს ხომ მიგვიღებთ?—დავეკითხენით.

— სტუმარი ღვთისაა!—მითხრა უფროსმა მწყემსმა. მერე დასაჯდომი ადგილი მიჩვენა, დაბრძანდითო. ხოლო პატარეებმა ცხენი ჩამომართვეს.

ყველას ეოცა ჩემი ნახვა. «ჩიჩონიკს»***) აქ რა უნდოდაო?—ჩუმად დაუწყეს გამოკითხვა ჩემს ჩიჩერონეს. პირადად მე არაფერი

*) შარდენი—მწყემსის სახელი.

**) თიფუ—მწყემსების ბინა.

***) ყველას, ევროპიულს თუ რუსულ ტანისამოსში გამოწყობილს, აქ «ჩინონიკს» (ვითომ, მოხელეს) ეძახიან.

შკადრეს. მწყემსებს სირცხვილად მიაჩნიათ, ახალ-მოსულ სტუმარს ვინაობა ჰკითხონ, პირველ დღეს მაინც.

ბინა, ანუ, როგორც მწყემსები ეძახიან, თაიგუ, სადაც მე უნდა გავჩერებულიყავ, წარმოადგენდა მინდორს, მთის კალთაზე, ერთის სხვის ახლო. იქავ, გვერდით, ტყე ეკრა, სადაც წიფლის გვერდით მუქ-მწვანე წიწვიან ნაძვსა და ფიჭვსაც შეხვდებოდით. ფარდული აქ არა არის-რა. ერთ ალაგას დიდი ცეცხლია დაგუგუნებული და, როგორც ზევითა ვსთქვით, გარშემო მწყემსები უსხედან. დასაჯდომად ყველას თითო ტყავი აქვს თხასა, რომელსაც აქ «კვახ-ჩას» ეძახიან. კერიის ერთ მხარეს ოთხი ორკაპიანი ჯოხებია დასმული, ერთის ალაბის სიმაღლე; ზედ გადებულია ჭიგოები, ერთმანეთს მიჯრით მიწყობილი. ეს გახლავთ ტახტი (აფსაზურად «ჭუშტა»), რომელზედაც თითქუს უფროსს ღამე სძინავს და დღე ზის ხოლმე. იქავ ახლოს ბოჯღლიანი სარია დარჭობილი და ზედა ჰკიდია მწყემსების თოფები და ხალთები, რომლებშიაც მათი ნივთები აწყვია: თითო ხელი საცვალი, ნემსი, ძაფი, ღვედი, სადგისი, თოფის წამალი, ტყვია და ზოგჯერ წამალი, ავადმყოფ საქონლის მოსარჩენი *). მოშორებით ოთხი ბოჯღლიანი სარებია მაღალი, გარდი-გარდმო ლატნები აქვს გახარისხებული და ზედ აწყვია: ხის ლანგარი, ჩაფები (მაწვნის სასვრეტი ხის ჭურჭელი), ხის კოვზები და ჭულინტი ყველი. გვერდებზე ჩამოკიდულია თუჯის ქვაბე-

---

*) აქაურ მწყემსებში გავრცელებულია ავადმყოფის საქონლსათვის ორ-ნაირი წამალი: ერთი თურქულისა და, საზოგადოდ, იარების მოსარჩენი და მეორე საქონლის ჭირის წინაადმდეგ.

იარების წამლად ერთის მცენარის ძირსა ხმარობენ, რომელსაც „ძირტკბილას“ ეძახიან. ამ მცენარეს მსხვილი ძირი აქვს; მიწიდან რომ ამოიღებენ, ახმობენ, მერე, როცა დასჭირდებათ, ჩამოფხეკენ დანით და დაიარებულს ადგილას დააყრიან. სადეზინფექციო თვისება აქვს. მატლი, ან როგორც აქ ეძახიან, „თელი“ (ე. ი. მთელი, სულიერი არსებაო) არ გაუჩნდება იარაზე, თუ ამ წამალმა მოუსწროვო.

საქონლის ჭირის საწინაღმდეგოდ ერთ პატარა ცხოველს ხმარობენ. ამ ცხოველს აფხაზურად ფ შ ი ძ ა (ე. ი. ლამაზი) ჰქვიან, ლათინურად—**Putorius vulgaris**. პატარაა, მუცელი თეთრი აქვს, ტანი—ჟანგის ფერი, ტანის სიგრძე კუდიანად 20 სანტიმეტრი აქვს, ხოლო კუდისა მარტო 4½ სანტ. ფრჩხილები ჩიტის კლანჭებს მიუგავს, ხეზე ციყვსავით იცის გასვლა; საშინელი მარდია და, ამასთან, ძნელად მოსაკლავი. როცა საქონელს ჭირი გაუჩნდება, ამ ფშიძას ხორცს გარეცხენ და ნარეცხ წყალს საქონელს დაალევინებენ. ამბობენ, ძალიანა რგებსო.

ზი. ქვეშ, მიწაზე, გამწკრივებულია მაწვნის შესადედებელი დიდი ხის ჭურჭლები, რომლებიც ორ-ორ კოკა რძეს ჩაიტევენ თავისუფლად და რომელთაც «ზუყუნი» ჰქვიან აჭარულად. ამ ჩემოადწერილ თავისებურ ბუფეტს აქ «აშკამკალათი»-ს ეძახიან.

აშკამკალათის გვერდით მეორე ჭურჭლაა გაკეთებული, სადაც მძიმე ბარგი აწყვია: უნაგირი, მარილი და სხვა. ამაზე აწყობენ წვიმის დროს ყველაფერს, რის დასველებასაც ერიდებიან. გაავდრება აქ ალღამად იცის: მოკრიალებულ ცაზედ მჟიღვის ოდენა ღრუბელი გამოჩნდება, თვალის დახამხამებაზე გაიზრდება, იელავს და თან კოკისპირულ წვიმას წამოუშენს. სულ ბევრი, ათი-თხუთმეტი წუთი გაგრძელდეს ასეთი წვიმა, სამაგიეროდ ქვეყანა წყლად იქცევა, მთა სულ ერთიანად ჩამოირეცხება. ასეთის წვიმის მოახლოვებას მწყემსები ალღოთი შეიტყობენ ხოლმე. მაშინათვე ერთი ფაცაფუცი შეუდგებათ, თავიანთ გუდებს და სხვა რა-გინდა-რას თავს ერთად მოუყრიან, დააწყობენ ჭურჭლაზე და ზედ კვახჩებს (თხის ტყავებს) დააყრიან, რომ წვიმამ შიგ არ გაატანოს.

ბარგი, ავად თუ კარგად, დასველებას გადარჩება, მაგრამ მწყემსებზე საცოდავი ამ დროს სულიერი არსება არ იქმნება. რაც ძალა აქვსთ, იფუფნებიან მოკლე, გასქეხილ ადგილობრივ მოთელილ ნაბდებში, მაგრამ წვიმა ორის წუთის განმავლობაში შიგ ატანს და მწყემსს პერანგი არ შერჩება ხოლმე მშრალი. რო გადაიღებს, ცეცხლი უკვე ჩამქრალია და ორი-სამი საათი უნდა, სანამ ხელ-მეორედ ცეცხლს გააჩენდნენ და დასველებულს ტანისამოსს გაიშრობდნენ.

თვითონ მცხოვრებნი აჭარის კარვებისა, როგორც ლაღნი შვილნი ლაღის ბუნებისა, მეტად ტანმრთელნი არიან. უმეტესობა მათგანი ჩამკრივებულია, ლოყა-წითელი. ავადმყოფობა აქ ნიადაგს ვერ დარა ჰპოულობს ფეხის მოსაკიდებელს. ყველას კმაყოფილება ეხატება სახეზე. მადლიერნი არიან სიცოცხლისა და ბუნების წიაღზე თავისის საყვარელ და სულზე სარჩე საქონლის გვერდით შეჰხარიან მზის ამოსვლა-ჩასვლასა, მთვარის კაშკაშსა, ვარსკვლავთ ციმციმსა; სტკბებიან სულმუდამ ლურჯ-მოციალო ცის ყურებითა, სავერდისებურ ნიადაგზე სიარულითა, მთის ნიავის სუნთქვითა.

—

კარვის უფროსი მაშინათვე ვახშმის თადარიგს შეუდგა. ბრძანა, ჩემს პატივსაცემლად საკლავი დაეკლათ.*) თვალის დასამშვენებაზე თხა გაატყავეს, მერე კერას იქით-აქეთ ორკაპიანი ჯოხები ჩაარჭვეს, ზედ ჯოხივე გასდეს გარდიგარდმო და იმაზე ხორცით სავსე ქვაბი დაჰკიდეს. საღამოს 8 საათზე ვახშამი მზად იყო, ე. ი. ხორცი მოიხარშა.

ჯერ მთვარე არ ამოსულიყო. ცოტათი ბნელოდა. ერთმა მწყემსმა სამასრედან კვარი ამოიღო**) და იმითი გაგვინათა სუფრა. ყველანი მოკეცილები ვსხედვართ გვასხებზედ, წინ გვიშლია ხის ფოთლიანი მტოები, რომლებზედაც კერძაულმა***) ყველას სათითაოდ მოზრდილი ნაჭრები დაგვიწყო ახლად მოხარშულ ხორცისა; ერთ ფურცელზე ხორცისათვის სანელებელი დაგვიდვეს, პილპილისა, მარილისა, პრასისა და ოხრახუშისაგან შეზავებული. სანამ უფროსმა არ აიღო პირველი ლუკმა, სხვები იმას შესცქეროდნენ და ჭამა არ დაუწყიათ. ერთი პატარა მწყემსი ანთებულის კვარით თავს დაგვტრიალებდა და მე და ჩემს მეინახეთ სუფრას გვინათებდა. ყველანი ცარიელ ხორცს სანელებელს ვაწებდით და ისე შევექცეოდით. ხორცს არა უშავდა, მაგრამ, ჩემის აზრით, მისი ნახარში უკეთესი უნდა ყოფილიყო და ვსთხოვე, არ გადაღვაროთ-მეთქი. თხოვნა აშისრულეს, მაგრამ დამცინეს კია, რუსეთში იქნება გაზრდილი, რომ ხორცის ნახარში მოითხოვაო. აქ ხორცის ნახარშს არა სვამენ, მეჯოგარეს გადაუღვრიან ხოლმე, მრგვალ ხისაგან ამოღრუტნულ როფეში.

ხორცის ჭამას ვათავებდით, თივუს უფროსმა ერთი ნაჭერი თავისის არჩივისა კერძაულს გაუგზავნა მადლობის ნიშნად. დანარჩენებმა უფროსს მიჰბაძეს; მეც, რა თქმა უნდა. ამ გვარად ნათავაზევი ხორცი ბლომად შეუგროვდა კერძაულს. ყველა ნემოზე დააწყო, ხელში დაიჭირა, წინ წამოდგა და ყველას მადლობა გადაგვი-

*) საკლავის დაკვლა უდიდეს პატივცემის ნიშანია.

**) აქაური მწყემსები კვარს მასრასავით სთლიან და სამასრეში ატარებენ, რომ საჭიროების დროს ხელად ამოიღონ ხოლმე.

***) ყოველს კარავს თითო უფროსი ჰყავს და თითო კერძაული. უფროსს მთელი კარვის ავ-კარგი ეკითხება, ხოლო კერძაულს ბუფეტი აბარია და საჭმელ-სასმელის ძღევა იმას ეკითხება.

ხადა, თქვენი ნახელავი გაისსაცო! კერძაული, სანამ ჩვენ ვისხედით, არ დამჯდარა, სულ თავს გვედგა, საჭმელი არა დააკლდესთ-რაო.

ხორცის შემდეგ ახლად-ამოღებული ყველი მოგვიტანეს. თითოს ნახევარ-ნახევარ გირვანქაზე მეტი გვერგო, ზოგი ისე ვსჭამეთ, ზოგიც შეგვიწვეს, — გემო გამოეცვლებაო. ყველს მაწონი მოჰყვა, ჩაფებში ჩასხმული. თითო ჩაფაში თითო ჩარექა მაინც ჩავიდოდა, სულ უკანასკნელი. მე კოვზი მოვითხოვე მაწვნის სახვრეტად, ისინი-კი პირდაპირ მოიყუდებდნენ და უკოვზოდა ხვრეტდნენ. როგორც იყო, ჩაფა ნახევარზე დავიყვანე. ყველამ გაიკვირვა, ე რა ცოტა მიირთვაო! თუ ცოტა ხანი მოგიგვიანდათ ჩვენთან, თქვენც ჩვენსავით შეეჩვევით ბევრის საჭმლის ჭამასაო. იმედი გაუმართლდათ: ოთხის დღის შემდეგ ჩემს ჩაფაში ქობა არა რჩებოდა მაწვნისა. ნავახშმევს ყველას ხელი დაგვაბანინეს და პირი გამოგვარეცხინეს.

როგორცა ხედავთ, ვახშამი ისე გათავდა, ღომი არ გვიჭამია, ცარიელ ხორცისა და ყველის მეტი. ღომი აქ ნატვრის საგანს შეადგენს და იშვიათად ამშვენებს მწყემსების სუფრასა. ერთი კი, როცა პირველად ამოვლენ ბარიდან, თან წამოიღებენ რამდენსამე ქილა სიმინდის ფქვილს და ერთის კვირის განმავლობაში ხარშავენ ღომსა და მერე კი მთელი ზაფხული ცარიელ ყველსა და მაწონზე გადადიან. ათასში ერთხელ მთიდან ბარში ჩასული და უკან დაბრუნებული მწყემსი თუ ამოიტანს გამომცხვარ მჭადსა. უნდა უყუროთ, რა სიხარბით დაესევიან! ერთის ასეთის შემთხვევის მოწამე მე თითონ ვიყავ შემდეგში. მწყემსები თორმეტამდე იყვნენ. გასჭრეს მჭადი და თითოს ორ-ორ თითის დადება-ღა ერგო. ისე სჭამდნენ ყველთან, როგორც ბარად ყველსა სჭამენ მჭადთან ან ღომთან.

ამიტომ, ადვილად მიხვდებით, რა სასოებით შეექცევოდნენ ჩემგან ატანილ ორცხობილასა... პირველ ღამეს ყველას თითო-თითო დავურიგე. მათს მადლობას საზღვარი არა ჰქონდა. მეორე დღეს, როცა სეირნობის შემდეგ ბინაზე დავბრუნდი, ჩემი ხურჯინი გავსინჯე, სამოციდან ერთიც არ იდო წამლადა. პატარა მწყემსებს ისე გაუტკბათ თურმე, რომ ჩემის გულკეთილობით უსარგებლნიათ (მაინც არ გაგვიწყრებაო!) და უბოდიშოდ სულ ამოელაგებინათ. მთელი დღე თავის თაგვის კბილებსავით მჭრელ კბილებით ახრამუნებდნენ

მთის ღადა-ღუდეში, არავინ დაგვინახოსო. დავღონდი ცოტათი, ცარიელ მაწონს რა მაჭმევს-მეთქი! მაგრამ გვიან-ღა, თითზე კბენამ ვერა-რა მარგო. ვსთქვი,—ბარად დაწყობილი გეგმა მთაში არ გამოადგება კაცსა-მეთქი,—და ამით ვინუგეშე თავი.

—

მეცხრე საათი იქნებოდა. ყველანი მილის თავდარიგს შეუდგნენ. მე პატივისცემის ნიშნად კარვის უფროსმა თავისი ჭუშტა დამითმო და ზედ კვასჩები გააშლევინა. მალიან მაგარი დასაწოლი იყო, ჭიგოებმა ფერდები არ შემარჩინა, ზოგი სორკლიანი იყო და უსულღმერთოდ მჩხვლეტდა, მაგრამ ასეთ ტახტისათვის ზენაარსს მადლობასა ვსწირავდი. ზედ საზამთრო საბანი და საზამთროვე გვაბანაკი წავიხურე, თავთ უნაგირის ბალიში ამოვიდე და დასაძინებლად მოვემზადე. ახალგაზდებმა ცეცხლი წაიღეს და მოშორებით დაწოლილ თხებს გარს შემოუწვნენ. ბინაზე დარჩენილებმა ტყავის ქალამნები გაიხადეს, შორი-ახლო მიწაში ჩაფლეს, რომ, ერთის მხრით, დარბილებულიყვნენ და, მეორეს მხრით, ქოფაკებს არ შეეჭამნეთ. ქვეშ იმათაც კვასჩები ამოიდეს, გაეხვივნენ თავიანთს მოკლე ნაბდებში და ცოტა ხნის შემდეგ ხვრინვა ამოუშვეს.

ძნელად დამავიწყდება ეს პირველი ღამე მთაში. აქეთ-იქით მთის მწვერვალნი ჩარჩოსავით შემოგვკროდა. ვარსკვლავებით მოკირწყლული ცის სივრცე ცადა-ქმნილივით ზედ დაგვყურებდა. გაბადრული მთვარე ამ ვარსკვლავთ კრებულის შორის მისცურავდა და სხივნი მისნი ნაირ-ნაირად სცვლიდნენ მიდამოსა. ღამის მნათობის ჩრდილი ხან ერთის მთის ფერდს გადაეფინებოდა და ხან მეორეს, და საოცნებო სახე ეძლეოდა ყველაფერს. დიდხანს, სულ დიდხანს ვსტკბებოდი ამ სურათითა, სულითა და ხორცით ვისვენებდი. გრილი ნიავი, ჯიშთებით*) ამოვსებულ ხევიდან წამოსული, ჩემს სახეს ოდნავა ჭკაწრავდა.

ყველამ დაიძინა. საიდანღაც დათვი გაჩნდა. ყურებ-დაცქვეტილმა ქოფაკებმა დროზე გაუგეს და ყეფა ასტეხეს. მათს ყეფაზედ მწყემ-

*) ჯიშთი—ხევში ჩარჩენილი თოვლია. როცა უნდათ ხორცი დიდს ხანს შეინახონ და არ გაუფუჭდეთ, მწყემსები ამ ჯიშთებში ჩაფლავენ. ჯიშთი მთაში მწყემსებისათვის საყინულეს მაგიერია.

სებიც ააშალონენ და გააბეს ყვირილი. მანამდე არ დასცხრნენ, სანამ ცხრა-მთა არ გადაალახვინეს ავის განზრახვით მოსულს «უწმინდურს»*). ღამეში ხანდისხან რამდენჯერმე დაუფრთხობს ხოლმე ძილს მწყემსებს მგელი თუ დათვი.

—

აჰა, ინათა. სიბნელემ სინათლეს დაუწყო ბრძოლა. სიცივე უარესად გვკბენს. ხუთის ნახევარზედ უკვე ფეხზედა ვართ. დაგუგუნებულს ცეცხლს ძალზე ვეტანებით. ღამის სინათლე შეჰკრთა. ერთბაშად ნათელი მოეფინა ქვეყანას. აღმოსავლეთი სისხლის ფერად შეიღება. შორს, უმტვერო თოვლით გადაპენტილ მთის მწვერვალებს სხივი მოხვდა მზისა და ათასფერად აბრჭყვიალდა. ამასობაში, ამოიზიდა დიდებით და ძლევა-მოსილობით მორჭმული მზა-

*) დათვს აქ ორი სახელი ჰქვიან: თუნთი და უწუნდური (უწმინდური). საზოგადოდ, მავნებელ სულდგმულთა აქ ორნაირი სახელი ჰქვიანთ: ერთი—ნამდვილი და მეორე—მოგონილი. ცდილობენ, ყოველთვის მოგონილი სახელი დაუძახონ ხოლმე ამ გვარ სულდგმულთა, იმიტომ რომ,—ამბობენ,—ნამდვილი სახელი რომ დავუძახოთ, ეგონებათ, გვეძახიანო. მოვლენ და დაგვაზიანებენო. მგელს, დათვს, ტურას მეგრულად საერთოდ სახელუშინუ ჰქვიათ, ე. ი., ისეთი არსებანი არიან. რომელთა სახელის თქმა არ შეიძლებაო.

კერძოდ, დათვს, როგორც ზევითაცა ვსთქვით, „უწუნდური“ (უწმინდური) და „ბურდღინა“ (მობურტყულე) ჰქვიან, მელას—„მოძვანძალე“ (ჩაქ-ჩაქით მოსიარულე) და „უჭუ-უხაშუშ მაჭკომალი“ (უწვავ-უხარშავის მჭამელი). ტურას—„კვალი-ჭყერი“ (კვალ-დაწყევლილი) და „მოცქვაცქვალე“ (ცუცუნა). გველს—„უჩალართამი“ (შავი ღართიანი) და „თუდო გილესარგალუნი“ (ძირს რომ დაეთრევა). თაგვს—„კუდვილამი“ (კუდიანი) და „კიბირმოჭკადილი“ (კბილ მოჭედილი). ჭიანჭველას—„პუხ მეტახილი“ (წელ მოტეხილი). თაგვსა და ჭიანჭველას გამოცვლილ სახელებს ქალები განსაკუთრებით მაშინ უძახიან, როცა აბრეშუმის ჭია უსხედსთ და თანაც დაატანენ: „ოშ გოლაშ ვიშო“ (ას მთის იქით, ე.ი., ასის მთის იქით მისი (ცხოველის სახელი) თავიო! ქორს—„ეიხ-მალუ“ (ზევით, ე. ი., ცაში მოსიარულე) ჰქვიან, ყვავს—„დუდუჩა“ (შავ-თავა). მატლს—სამ ნაირ სახელს ეძახიან: „ოქიშიშ მაზიმალი“ (ზურგის მზომელი), „თელი“ (მთელი, ცოცხალი) და „შურდგუმილი“ (სულდგმული). თუ საქონელს იარაზე მატლი გაუჩნდა, განსაკუთრებით მაშინ ერიდებიან მატლს ნამდვილი სახელი დაუძახონ. ქათმის ჭირს „ივანია“ ჰქვიან მეგრულად. თუ ქათმებს დაერია, იტყვიან, ჩვენს ქათმებს „უსახელე“ (უსახელო) დაემართაო.

გარდა ამისა, თუ ნადირმა რამე ზიანი მოგაყენათ, ან აბრეშუმის ჭიას თაგვი და ჭიანჭველა დაეხვია, ან და ქათმები და საქონელი ჭირმა გაგიწყვიტათ, სხვის სახლში თქვენს გაჭირვებას ვერ იტყვით. ვითომ, რაც თქვენ გადაგხდათ თავზე, ვისაც უთხარით, იმათ გადაედებაო. თქვენის ლაპარაკის შემდეგ თუ რამე მოუვიდათ, იტყვიან (თქვენზე): „მხარით მოიტანა (მარცხი) და დამრისვაო“.

თოში, უსვ-სხივიანი, და პირველი სითბო გამოუგზავნა მისს მა-დიდებელს ქვეყანას. ზამბის-ქუდა ნისლი შეკრთა, თავი აარიდა მინ-დორსა და მოდუდუნე ხევისაკენ გაიპარა, დარცხვენილი. დედამიწამ მზის სითბოს თავისი, ალპიურის ყვავილების სუნით შეზავებული, სუნთქვა შეუერთა. ღამის სიცივისაგან მიბნედილმა, სულ-განაბულ-მა, უმანკომა, მთის მასურათებელმა ბალახ-ყვავილმა გამოიღვიძა, სასეზედ უსაზღვრო ტრფიალება გადაეფინა, კოპწიად თავი მაღლა აიღო და არშიყობა დაუწყო მზესა. დილის ცვარმა, ბალახზე შე-სკუპებულმა, მზეზე მარგალიტსავით ბრწყინვალი დაიწყო. საქონელიც აიშალა, მათის ბღავილს შორს მთამ მისცა ბანი.

იქავ ყინულსავით ცივს წყაროზედ ხელ-პირი დავიბანეთ და საუზმეს შევუდექით. ისევ ის მაწვნით სავსე ჩაფვა, ისევ ის ჭყლინ-ტი ყველი, ისევ ის ქიშმიში!..

—

საერთო ცნობის-მოყვარეობის საგანი გავხდი. ბინის უფროს-მა ბოდიშის მოხდით მკითხა:

— უკაცრავად კი ნუ კიქმნები, და თქვენ «ჩინოვნიკი» ხომ არა ბრძანდებით?

— არა.

— «პისარი»?

— არც «პისარი».

— იქნება, გამოქცეული ვინმე ხართ (ყაჩაღი თუ?) და მთაზე დამალვა გინდათ? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სანამ ჩვენთანა ხართ, თავზე ერთი თმაც არ მოგაკლდებათ მტრის ხელიდან. გა-მოქცეულებისა და გაჭირვებულთ დაფარვა მწყემსებმა ვიცით! უმალ ჩვენ გავწყდებით, სანამ ჩვენის კარავის სტუმარს *) ცუდს რასმე შე-ვამთხვევთ!..

— გაზეთს «აკეთებს»—გამომიხსნა გაჭირვებისაგან ჩემმა ჩიჩერონე-გუძამ.

— მაშ, რაკი გაზეთის «მკეთებელი» ბრძანდები, ჩვენი გაჭირ-ვება «მაივას» შეატყობინე, იქნება შეღავათი რამ გვიწყალობოს, ბევ-

*) თუ ერთი ღამე გაათიეთ მწყემსთან, მერე მისს მოკეთედ ითვლებით. თქვე-ნის გულისათვის, საჭიროების დროს, თავს დასდებს.

რი გადასახადი გვაწევს.—მთხოვა ჩემმა სტუმართ-მოყვარე მასპინძელმა.

მახსოვს, რადაც ორ-აზროვანი ნუგეში ვეცი.

მაინც ვეცდები, რაც რამე ვნახე მათთან ყოფნის დროს, ან გავიგონე, მკითხველსაც გავუზიარო.

## VII

აფუნი.—იალაღები.—საქონლის ძოვების წესი.—ძველი და ახალი დრო მთაზე.—მერძევობა: ნაღი, დვრიტა, ყველი, ქიფური, მაწონი.—ერბო-კარაქის კეთება არ იციან!—მატყლი, როგორც წყარო აქაური მკვიდრის შემოსავლისა.—საკლავი საქონელი.

საქონლის მოშენებას (განსაკუთრებით წვრილფეხ საქონლის-სამურზაყანოში მთის კალთებზე მდებარე სოფლების მკვიდრნი მისდევენ. ასეთი სოფლები სულ შვიდია: საბერიო, დიხა-ზურგა, რეჩ)ხი, ლუმურიში, ოქუმი, ჩხორთოლი და ბედია. როცა მზის სხივებს სიცხოველე მოემატება და მთაში თოვლი დაიძვრის, ე. ი. როცა «აფუნი» (მთაში წასვლის დრო) დადგება, რამდენიმე მწყემსი ერთმანეთს შეჰპირდებიან, ერთ ფანიად (ერთ ოჯახად, ერთ კარვად) შევერთდეთო. მერე ერთი-მეორეს თავიანთ ფარას აშინჯვინებენ,—ნახეთ, მთელი საქონელი მყავს, თუ გასარეკი კარ, გამირიეთო. თითოეულს ამხანაგს ზოგს 100 სული თხა ჰყავს და ამდენივე ცხვარი, ზოგს—50 და მ. სხ. რაკი ერთს ფანიად შესდგებიან, საერთოდ ირჩევენ სარქლად ერთს გამოცდილს, სიტყვა-პასუხიანს მწყემსს, რომელსაც მთიდან ჩამოსვლამდე დანარჩენები უკლაფურში ემორჩილებიან, როგორც უფროსს. უიმისოდ ფეხს ვერ გადასდგამენ, ის არის მათი ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი.

სანამ მთის გზას შეუდგებოდნენ, ყოველი მწყემსი თავისს მოვალეობადა ხადის, ილორის წმ. გიორგის (აფხაზეთშია, ოჩამჩირეს ახლო) შეავედროს თავისი თავი და საქონელი: შენი წყალობა გაგვატანე, თუ უვნებლად ჩამოგვიყვან ჩემის საქონლითა, შენს კარზე (ილორის ეკლესიაში) ვერძს დაგიკლავო.

—

სამურზაყანოელებს უფრო მახლობელ მთებზედ მიუდიათ საქონელი. ანარა, აცჩილარა, აგიბო, აიცი, ჭარგა, ბაშკაფსარა, არმუე, ჯოლორ-მაგა, საკენი, თენგიზ-თიფ, ფაშკი-თიფ, ხოჯელი—ყველა კარგ საძოვარ მთებად ითვლება, თუ გვიანი ზამთარი არ იქმნა.

ზემოდ-დასახელებული საძოვარი მთები სახელმწიფოა. ადგილობრივი თავადიშვილები მელიტონ ემუხვარი და სხ. ხაზინისაგან იჯარით იღებენ ამ მთებს და მთის სივრცის მიხედვით იხდიან იჯარის ფულსა 200—400 მანათამდე თითოეულს მთაზე. ესენი, თავის მხრივ, მწყემსებს აძლევენ აქ საქონლის ძოვების ნებასა. თითო სულ ცხვარზე ახდევინებენ ორ შაურსა, ხოლო თხებს უფასოდ აძოვებინებენ, რადგან მთაში უთხოდ გაძლება არ შეუძლიათ მწყემსებსა. ზაფხულობით მთაზე ცხვარს არა სწველავენ, რადგან ჯერ ერთი, ბინები არა აქვსთ და არც ცხვრები ნებდებიან საწველად. თხა არის მთაზე მწყემსის მარჩენელი, უამისოდ ერთს დღესაც ვერ გასძლებენ. ამიტომ, თხას მწყემსები მთის «ბალ-მარანსა» ეძახიან. მეცხვარეების გარდა მთაზე მეძროხეებიც ამოდიან. თითოეულ ძროხაზე ხუთს შაურს იხდიან საძოვრისას.

მეწველ საქონელთან ერთად მწყემსებს მთაზე ცხენებიც ამოუდიათ გასასუქებლად. სამურზაყანოში იშვიათია მოსახლე კაცი, რომ ცხენი არა ჰყავდეს. მთელს ზამთარს ხედნიან და გაზაფხულის პირზე მწყემსებს აბარებენ მთაზე წასაყვანად. ცხენის თავზე მწყემსი გასამრჯელოს თითო მანეთს იღებს პატრონისაგან. ამ ფასში კალდებულია, მაზე ყური უგდოს ცხენსა, რომ კარგად გასუქდეს, არსად კლდეზე არ გადაიჩეხოს და მარიამობისთვის გასულს ისევ პატრონს ჩააბაროს მთელი და უვნებელი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მთაზე ყოფნის დროს ცხენი კლდეში გადაიჩეხება. ამ შემთხვევაში მწყემსი კალდებულია პატრონს მკვდარის ცხენის ტყავი მოუტანოს ნიშნად იმისა, რომ ცხენი მართლა მკვდარია და არა მოპარული, ან გაყიდული. მაშინ მწყემსი პატრონს არ უზღავს ცხენის საღირალს.

არდისულად სამურზაყანოს მთებზე ყოველ ზაფხულს 30,000 სული ცხვარი ამოუდით, 1,500—თხა, 1,000—ცხენი და 500-ზე ცოტა მეტი ძროხა.

თხას ჯოგს მწყემსები მაღალ მთებზე არ ერეკებიან. უფრო დაბალ მთებს ეტანებიან საბალახოდ, სადაც საზღვარია ტყისა და ალპიურის მცენარეებისა. განსაკუთრებით, იმ ადგილებს არა შორდებიან, სადა წყავია ბლომად. თხა ამ ბუჩქის ფურცელს მალიანა სძოვს. თავშესაფარ კარვებს თხის მწყემსები არ იკეთებენ, თუმცა სე-ტყე ყოველთვის სამყოფად აქვთ,—დავიდარაბა ეზარებათ. სხვათა შორის, მათის უბინაობის მიზეზი ისიც არის, რომ ერთ ალაგას ფეხს არ იკიდებენ ბინადრებად; სულ ბევრი, 10 დღე გააჩერონ თხები ერთ ალაგას. თიფუს (ბისის) ცვლა და უკეთეს საბალახო ადგილის ძებნა ძალიან უყვართ. მეძროხეები უფრო არიან ბინადრები; ერთ ალაგას მთელის თვეობით ჩერდებიან და კარვებიცა აქვთ. სულ სხვაა მეცხვარის საქმე (თხასა და ცხვარს ცალკ-ცალკე აძოვებენ), რომლებიც სულ შიშველ მთაზე მიდიან, სადაც ალპიურ ბალახის მეტი არაფერია. იშვიათად შეგხვდებათ ილი (Rhododendron caucasicum), ისიც მეტად დაკვალულია, ნახევარი ადლი-და თუ აქვს სიმაღლე. საკარვე მასალა არსად იშოვება. ერთხელ მოჭრილი საამკამყდათო სარები ერთის ადგილიდან მეორეზე გადააქვთ. მუშად მარტო ილსა ხმარობენ.

—

აქაურ მთებს, გარდა იმისა, რომ ზედ საუცხოვო საძოვარი ადგილებია, ის კარგი და მწყემსთათვის სასარბიელო ღირსებაცა აქვთ, რომ მათი საქონელი აქ უზრუნველყოფილია ქურდბაცაცებისა და აგლებისაგან. ახლაც გულისწყვით იგონებენ მწყემსები იმ «ომარხანობის დროს», როცა ეს მთები ასპარეზი იყო ცალკე სვანებისა და ცალკე აფხაზების თავგასულობისა. მარშანიას გვარი ადრე რისხვასა და შიშას ზარსა სცემდა მთელს მწყემსობასა. 20—30 კაცი თავხედად დათარეშობდნენ ზაფხულში მთებზე და მეცხვარეების ავლადიდებას ანიავებდნენ. ეს უკანასკნელნიც ცდილობდნენ ისე ადვილად არ დაეთმოთ მტრისათვის წვითა და დაგვით ნაზარდი საქონელი. იმართებოდა ჩხუბი. დათრგუნვილი და მიწასთან გასწორებული, უმეტეს შემთხვევაში, მშვიდობის-მოყვარე მწყემსები რჩებოდნენ. საქონელთან ერთად დამარბეველებს ხშირად მწყემსებიც მიჰყავდათ ტყვედ. დღეს კი სამურზაყანოს მთებზე მეცხვარენი იმას-

და ცდილობენ თავიანთ საქონელს კარგი საძოვარი ადგილები აურჩიონ და ეს საძოვარი ადგილები სვანეთის საზღვარზე ახლოს იქნება თუ შორს, ამის დარდი არ აწუხებსთ.

—

მერძევეობა აქ მამა-პაპურის წესითა სწარმოებს. ამ მხრივ სამურზაყანოს მწყემსებს არავითარი წინსვლა და წარმატება არ ეტყობათ. ისევ ის იარაღები, ისევ ის ყანგარიშობა, რაც 30—50 წლისა და კიდევ იმის იქით იყო.

თხებს დღეში ორჯელა სწველავენ: შუადღისას და საღამოს, რძეს ასხამენ სპილენძის ქვაბებში, რომლის თავზე ორი ჯოხია გადებული და შუაში ხის ქერქისაგან, ოთხ-კუთხ კოლოფის მსგავსად, გაკეთებული საწურავია რძისა. ქვეშ ამ საწურავს გვიმრა უფენია სქლად. ამ საწურავში გატარებულ რძეს ნახევარს ჯერ ადუღებენ და მერე მაწვნად ადედებენ დიდს ბუყუნებში. მეორე ნახევარს ყველად აკეთებენ. ყველის დედად აქ ძროხის, ღორის, თხის ან ცხვრის კუჭს ხმარობენ, რომელსაც «ნაწი» ჰქვიან აქაურულად. უპირატესობა ღორის კუჭსა აქვს, სანაწე ჭურჭელში ყველაზე დიდ ხანსა სძლებს.

საინტერესოა ამ ნაწის მომზადების პროცესიცა. დაკლულ საქონლის ამოაცლიან კუჭსა, კარგად გარეცხავენ, შემოაცლიან გარსს და სამი-ოთხი დღე მარილში ჩაფლავენ. მერე გამოიღებენ და სხვენზე, კერიის თავზე დაჰკიდებენ გასაშრობლად. როცა კარგად გახმება, შეიძლება მისი ხმარება. სამის თითის დადება ნაჭერს მოსჭრიან და ჩააგდებენ მწარე გოგრისაგან გაკეთებულ ჭურჭელში, დაასხამენ შრატს, მიუმატებენ სამიოდე კბილს მარილს და ხუთიოდ პატარა ნაჭერს ლეღვის პატარა ტოტისას. შიგ ურევია აგრეთვე მაშხის ან ღორის მკალი. ასეთ მკალს ჯერ სხვენზე შეაგდებენ და იქა გდია, სანამ კარგად არ გახმება. ნაწი მზადაა. ხმარების წინ ლეღვის ჩხირით აურევენ და მერე ჩაასხამენ ყველად შესადედებელ რძეში. ყოველ დილა-საღამოს ახალ-ახალ შრატს ჩაუმატებენ სანაწე ჭურჭელში ნაცვლად დახარჯულისა. გარდა ამისა, ყოველ კვირა სამ-სამ კბილ მარილს ჩააგდებენ.

როგორც ზევითა ვსთქვით, ღორის ნაწი ძროხასას სჯობია,— უფრო გამძლეა. როცა კარგი ნაწი უნდათ, ეცდებიან ღორი მთვარის დაბერებისას დაჰკლან, როცა ბნელი ღამეებია (უკუმელა). ღორს რომ გაფუფქავენ, პირველად ნაწს ამოიღებენ, ზემო-აღწერილის წესით დაამარილებენ და შეინახავენ. მხოლოდ,—ამბობენ,—მარილმა მანამდე უნდა უკბინოს ნაწს, სანამ დაკლულის ღორის ხორცს გემოთი ნახავდეს პატრონიო. ეს აუცილებელი პირობაა, თუ გინდათ ნაწი კარგის ღირსებისა გამოგივიდესთო.

არის კიდევ ერთნაირი ნაწი, რომელიც ყველასა სჯობია და, ამასთან, ყველაზე ძვირია. ეს გახლავთ ეგრედ წოდებული «ქვეცერე», ანუ ქართულად—დგრიტა. მხოლოდ დედის რძით ნაკვებ ბატკანს ან ციკანს რომ დაჰკლავენ, კუჭიდან ამოუღებენ აუკვლებულ ხსენს («ქვეცერე»), გაახვევენ რაშიმე და შეინახავენ. როცა დასჭირდებათ, თითო ბეწოს რძეში გაურევენ და ისიც აჭრება.

ნაწისაგან აჭრილ რძეს ქვაბიდან ყველის ამოღების წინად ცოტა გაათბობენ ცეცხლთან. ამოღებულ ჭყლინტ ყველს აშვამკაათზე შესდებენ მაღლა, რომ ძაღლები არ შესწვდნენ. ასეთი ამოღებული კვერეული ყველი მწყემსებში დიდ ხანს არა რჩება: ორი-სამის დღის განმავლობაში იხარჯება, რადგან ღომის მაგივრადაც იმასა სჭამენ და ყველის მაგივრადაც. სულგუნად (თეფშის სახით გადაზელილი ყველი) თხის მწყემსები ჭყლინტ ყველს არ აკეთებენ. თუ აკეთებენ, ისიც თითო-თითოს, ყველა მწყემსისათვის ბარად შინ წასაღებად.

ყველის ამოღების შემდეგ შრატისაგან მთაში არაფერს აკეთებენ, პირდაპირ ძაღლებს უსხამენ. ყველის გარდა მწყემსებთან ერთნაირ საჭმელს შეხვდებით, ეს არის «ქიფური», რომელიც ბარად არ იციან. ამ საჭმელს ძალიან ეტანებიან მთაში და სულ უბრალოდაც აკეთებენ. მაწონს «ქასლაშში»*) ჩაასხამენ, იქით-აქეთ ყურებში ხელს დაავლებენ და ერთის საათის განმავლობაში აჭანჭყარებენ, მერე მზის გულზე დაჰკიდებენ. თუ მწვავე მზეა, 3—4 საათი სამყოფია, რომ მაწონი ადუღდეს და ის მარგებელი და საამო მთის საჭმელიც მზადაა, რომელსაც ქიფურს ეძახიან.

*) გაფხეკილი და გუდასავით შეკერილი თხიერი.

სულგუნების კეთებას უფრო მეძროხეები მისდევენ. იმათი გაკეთებული სულგუნი თითო ერთიდან სამ-სამ გირვანქამდე იწონის. ზოგნი საჩუქრად აკეთებენ სულგუნს, რომელიც 20 და მეტი გირვანქა გამოდის.

კარაქისა და ერბოს კეთება, მსგავსად სამეგრელო-აფხაზეთისა, არც აქ იციან. ერბო სამურზაყანოს დაბებში რუსეთიდან მოაქვთ. ერბოს ეზიდებიან აგრეთვე ლაზები და გირვანქა ორ აბაზად და ხშირად ათ შაურად იყიდება.

—

მწყემსები ბარად ბრუნდებიან მარიამობისთვის გასულს, როცა მთაზე ძალზედ აცივდება და ხშირად თოვლსაც დასდებს ხოლმე. ამ დროს ჰკრეჭენ კიდეცა ცხვარსა. აქაური საქონელი მატყლს ცოტას იძლევა და მდარეც არის, რადგან თითონ საქონელი წვნიკის ჯიშისაა. ერთი კანძი მატყლი ერთი «ქიტა» გამოდის, ანუ წონით ერთი ლადარკონი ($1^1/_2$ გირვ.) და ათ შაურად იყიდება, ისიც სოფლად. ოქუმში ძალიან მცირედი გასავალი აქვს აქაურს მატყლსა, რომელსაც დიდს ცილობას უწევს ტფილისიდან მოტანილი მატყლი. ლადარკონი ამ უკანასკნელისა აქ 60—80 კაპ. ფასობს.

მატყლისაგან სამურზაყანოში ნაბდებსა სთელავენ. აქ მოთელილს ნაბადს თითოს ოთხი ქიტა მატყლი უნდება, ასე რომ ნაბდის გამკეთებელს თითონ მასალა (4 ქიტა მატყლი) 2 მანეთი უჯდება. თუ ორის დღის შრომაც, ნაბდის მოსათელად საჭირო, დღეში სამი აბაზი ჩავაგდეთ,—ნაბადი დაჯდება 3 მ. და 20 კაპ. გასავალი კი აქაურს ნაბადს თითქმის არა აქვს. ოქუმში კაჭრები მანეთად ან ექვს აბაზად თუ იყიდიან. უმეტეს შემთხვევაში, კაჭრები ნაბდებში სოფლელთ საქონელს აძლევენ ფულის მაგივრად: ფართლეულობას, მარილს და მ. სხ., ისიც რის ხვეწნითა და დავიდარაბით. აქაურს ნაბდებს უფრო დაბალი ხალხი ხმარობს. ვისაც, ცოტათიც არის, თავი მოაქვს, სოფ. ჯვარიდან (ზუგდიდ. მაზრა) მოტანილს ნაბდებსა ჰყიდულობს.

მატყლისაგანვე აკეთებენ საჩოხე და სამიქვე შალებსა, თუმცა დაბალის ხარისხისას. წყრთა აქაურის შალისა ისყიდება შაურად, ყაბალახი—მანეთად და ექვს აბაზად.

—

აქაური საქონელი დასაკლავადაც ისყიდება კარგი ძალი, განსაკუთრებით სალოცავებისთვის. სამურზაყანოში იშვიათადა ნახავთ ოჯახსა, რომ წელიწადში სამნაირის სალოცავის სამსახური არ ემართოსთ. თითოეულს მათგანს თითო თავი საკლავი სჭირია. ახლა ამას მიუმატეთ მკითხავის რჩევით შეწირული საქონელი! ზოგი მოსახლე-მწყემსი წელიწადში 200 მანეთის საკლავს გაჰყიდის.

## VIII

სარწმუნოება სამურზაყანოელ მწყემსისა.—მიქამგარიო.—მიქამგარიო და მწყემსი.—მთის წყალი.—ჩაქუხა.—წყალში ბანაობა აღკრძალულია.—მიქამგარიოს ტბა და მწყემსების aqua religiosa.—მთა და მისი თაყვანისცემა.—ნაშთი ასტროლატრიისა.—ჯუჯა ხალხი და ადამიანის გაჩენა.—ბოდიში და იმედი.—ანბანი და უსწავლელი ხალხი.—უნდა მივეშველნეთ!

ათასში ერთხელ ულხინს აქაურს მწყემსსა. გაჭირვება განუყრელი თანამგზავრია მისის ცხოვრებისა. ხშირად ხდება ხოლმე მსხვერპლი ულმობელის ბუნებისა. ამ გარემოებამ აქაური მწყემსი იძულებულ-ჰყო მფარველი ეძებნა, ძლიერი, უხილავი. მისმა ფრთა-შესხმულმა ფანტაზიამ თვისი მფარველი უზენაეს ძლიერებასთან ერთად ხორციელის ადამიანის გრძნობა-სურვილით შეჰმოსა. მწყემსი ცდილობს კი მისი მფარველი მოისყიდოს, გული მისი მოიგოს ლოცვითა, ტკბილის სიტყვა-პასუხითა, საამო ძღვენითა და უმეტესად—შესაწირავებითა.

მწყემსების ყველაზედ დიდ მფარველად მთავარ-ანგელოზი მიქელ-გაბრიელი ითვლება, რომელსაც აქ მიქამ-გარიოს ეძახიან. მეორე სახელიცა ჰქვიან—ერგე. მიქამგარიო არის პატრონი მთისა, მას მორჩილობენ ცის მნათობნი. უიმისოდ მზეს არ შეუძლიან დილას ბალახზე დამსხდარი მარგალიტები ნამისა ათასფერად აბრჭყვიალოს; უიმისოდ ღამის გუშაგი—მთვარე ვერ ამოვა და საოცნებოდ ვერ დაასურათ-ხატებს ათასის წლობით ნაგებსა და მედიდურად წამოზიდულ ბუმბერაზ მთების მწვერვალებსა და კალთებსა; მიქამგარიოს ნებაზედა ხდგას დარი მთაში, როცა უბინაო მწყემსი

ბუნების წიაღზე იძინებს ტკბილად თავის შვილსავით ნაზარდ და ნალოლიავებულ საქონლის გვერდით; მიქამგარიის ნებაზედ არის დამოკიდებული ელვა-ქუხილი და კოკისპირულის წვიმის მოსვლა, რომელიც ხანდისხან ისე დიდია ხოლმე, რომ, გეგონებათ, მთლად უნდა ჩამორეცხოს კაციან-საქონლიანათ მთაო.

ამიტომ, ადვილი ასახსნელია ის მოწიწება, ის კრძალვა, უუდიდეს სასოებასთან შეერთებული, რომელსაც აქაური მწყემსები მიქელ-გაბრიელისადმი ჰგრძნობენ. ადვილი ასახსნელია ის ზრუნვაცა მისის მომადლიერებისათვის, ზრუნვა მათს თავზედ გადმოვლინებულის რისხვა-წყრომის აცილებისათვის.

როცა მთაში სწვიმს, მწყემსები დიდს ცეცხლს დაანთებენ ხოლმე, გარს შემოუსხდებიან და ერგეძაშვას (ერგე აფხაზურად—მიქელ-გაბრიელი და აშვა—სიმღერა, ე. ი., მიქელ-გაბრიელის სიმღერას ამბობენ). უმღერიან მიქელ-გაბრიელს, ადიდებენ: ძლიერი ხარ, ჩვენ უშენოთ არაფერი შეგვიძლია, შენ, გლოცულობთ, შენს წყალობას ნუ მოგვაკლებ, საქონელს ნუ შეგვიწუხებ.

მწყემსის ფანტაზიამ იქამდეც მიაღწია, რომ მიქელ-ქაბრიელი ხორციელ ჰქმნა, დაიახლოვა, როგორც კარგი მეგობარი და მფარველი. აქაურს მწყემსებში დაცულია ერთი თქმულება მიქელ-გაბრიელსა და მწყემსზე. როგორც ამ თქმულებიდან დაინახავს მკითხველი, მიქელ-გაბრიელი მწყემსთან მიდის, როგორც მეზობელი ვინმე, ელაპარაკება, იხსნის გაჭირვებისაგან, აფრთხილებს მოსალოდნელ ხიფათის დროს, სახლ-კარს უშენებს, ფულებს აძლევს, მისს ყანაში ღვთის თვალს ატრიალებს, ერთის სიტყვით, ანიჭებს ყოველსავე საქაო სიკეთესა, რის ნატვრაც კი შეუძლია მწყემსსა. აი, თვით თქმულებაცა.

მწყემსი ვინმე იყო სამურზაყანოში, უთვალავ ცხვრის ფარის პატრონი. გავიდა ზაფხული, მთაში ყოფნის დრო. მზეს სითბო მოაკლდა, სიცივე დაიჭირა. მწყემსმა თაყვანი-სცა მთასა *), დაირეკა ცხვარი და, ცოტა არ იყოს, სიხარულით დაადგა ბარის გზასა.

---

*) როგორც ქვემოდ დავინახავთ, აქაური მწყემსები მთას თაყვანსა სცემენ, როგორც უზენაესს არსებასა, ღმერთსა.

ჯერ ისევ შიშველზე *) იყო, რომ დასაღამოვდა. წამოვიდა ბოლქვა-ბოლქვად ნისლი, ეს განუყრელი ამხანაგი მთისა და საშინელი მტერი მწყემსისა, შიგ გაჰხვია ყველაფერი, გაჰხვია მწყემსის საყვარელი ცხვარიცა. შავის ღრუბლებით დაიხუნძლა ცა. იელვა, ქუხილი მიემატა, გულშემზარავი. ცამ პირი მოიხსნა, კოკისპირული წვიმა დაუშვა, თითქო წარღვნას უქადის ქვეყანასაო. მწუხარებით გაიწურა გული მწყემსისა, განსაცდელში ჩაუვარდა საყვარელი, თავზე სარჩე ცხვარი. კვნესითა და ნამდვილის მწყემსურის, მშობლიურის გულმტკივნეულობით თავი მოუყარა ერთად, დაეყრდნო თავის ლაბაშასა **) და შეეცადა ფარისთვის ერთიანად შეეხედნა. იქნება უკანასკნელად ვხედავ ჩემს ცხვარსაო, იქნება (ღმერთო, მტრის გულისას ნუ გამხდი!) მთლად შთანთქას აბუბაქრებულმა ბუნებამა, ერთიც არ გადამირჩინოსო, იქნება, მეც თან გადამიტანოსო... იქნება, გადავრჩე ცოცხალი, მაგრამ რაღად მინდა სიცოცხლე ჩემის ცხვრის შემდეგ, რაღად მინდა უბედური თავი უიმათოდ, რა გემო ექმნება ეულს სიცოცხლესა? არა, თუ დაღუპვა უწერია ჩემს ცხვარსა, ისევ იმათთან ერთად მეც მიმიბაროს ჩემის მთის ცივმა არვაშებმა (ხრამებმა)». ელვასავით გაურბინა ამ მწარე, ნაღველში ნალესმა ფიქრებმა და თავის უკანასკნელს სახსარსა და ნუგეშს მიმართა. შეევედრა მთასა, მთის გამჩენ ღმერთსა: მიხსენ გაჭირვებისაგან, ნუ დამიღუპავ ამ წვითა და დაგვით, შვილსავით ნაზარდს და ნაამაგევს ცხვარსაო. თუ ცოცხალს გადაგვარჩენ, ილორის წმ. გიორგის კართან მივალ და ზვარაკს შემოვწირავ შენს სახელსაო.

ბუნება ბუბაქრობდა. თითქო უფრო უმატა სიმკაცრესაო. სასო წარეკვეთა მწყემსსა. მოეშვა სულითა და ხორცითა. უკანასკნელად შეევედრა თავისს მფარველსა—მთავარ-ანგელოზს მიქელ-გაბრიელს: «ერთი თეთრი ვერძი, ერთი კრავი შენთვის შემომივლია, ოღონდ, ჩვენო მფარველო, ჩვენო მხსნელო, გვიხსენ ამ გაჭირვებისაგან შენის სახელის სადიდებლად».

უცბად, იმავ სისწრაფით, რა სისწრაფეით გაავდარდა, გამოისარკა, ღრუბლები გადიყარა ცამა, თითქო არც კი ყოფილა როდის-

*) «შიშველს» მთიში მწყემსები შიშველ მთას ეძახიან, სადაც ბალახის მეტი სხვა მცენარე არ არის.

**) მთის ჯოხი მწყემსისა, ბოლო რკინითა აქვს მოჭედილი.

მეო. სალი კლდე გაშრა, უმთვარო ცა მოიკირწყლა ციმციმა ვარსკვლავებით. ჩამოვიდა მწყემსი სამშვიდობოს, გულდამშვიდებული დაბანაკდა და ცხვრის კრეჭის თავდარიგს შეუდგა.

მეორე დილას სამმა ანგელოზმა გაიარეს მის ბინაზე. თურმე თავისი ბინა მწყემსს ანგელოზების სავლელ გზაზე დაეცა. ეწყინათ. წავიდნენ ღმერთთან და შესჩივლეს: მწყემსს მოუკალათნია ჩვენს სავლელ გზაზედა და ცხვრის გაკრეჭას აპირებსო. ღმერთმა უბრძანა: მოსთხოვეთ დაპირებული ზვარაკიო.

მოვიდნენ ანგელოზები მწყემსთან და უთხრეს:

— ღმერთი დაპირებულს ზვარაკსა გთხოვსო.

მწყემსმა შორს დაიჭირა სიტყვა:

— მე მთავარ-ანგელოზს მიქელ-გაბრიელს დავპირდი ვერძსა და კრავსა და კიდეც შევწირავ. ვენაცვალე მისს სახელსა, ვერძი და კრავი კი არა, მთელი ფარა რომ მთხოვოს, ყველაფერს თავს შემოვავლებ!

ანგელოზები ხელცარიელნი დაბრუნდნენ. შესჩივლეს ღმერთს მწყემსის ურჩობა. ღმერთმა უბრძანა:

— თუ ორ დღეში არ აიყაროს მანდედან, მოუვლინეთ წვიმა, თოვლი, ქუსილი და სულ ერთიანად გაუწყვიტეთ ფარა.

მიქელ-გაბრიელი მწყემსთან მივიდა და უთხრა:

— აქედან აიბარგე და მოშორებით სადმე გაიკეთე ბინა.

ხელახლად მოვიდნენ ანგელოზები და ნახეს, რომ მწყემსი აბარგებულიყო. მიქელ-გაბრიელმა კვლავ ურჩია მწყემსს: ისევ წინანდელ ადგილას გადადი და ეცადე, ორ დღეში გაჰკრიჭო ცხვარიო. მწყემსმა ბევრი მკრეჭავები იშოვნა და ორ დღეში გაჰკრიჭა ფარა.

მთავარ-ანგელოზმა უთხრა: კარგი სასახლე ააგეო.

— სასახლის ასაგები ფული ვინ მომცა?—უთხრა მოკრძალებით მწყემსმა.

— ფულის დარდი ნუ გაქვს,—ანუგეშა მიქელ-გაბრიელმა,— სთქვი, ამდენი ფული მჭირია-თქო, და ფულით მაშინათვე ჯიბე გაგევსება.

მწყემსმა დაასია უთვალავი ხუროები და შვიდ დღეზე სამეფო სასახლე ააგო. ნახეს ანგელოზებმა მწყემსის გაკეთებული სასახლე

და ღმერთს ამბავი მიუტანეს. «თუ ერთ კვირაზე თავიდან არ მოგწყდათ,—ბრძანა ღმერთმა,—დააქციეთ მანდაურობაო». მიქელ-გაბრიელმა გააფრთხილა მწყემსი,—თუ სახლი არ გაჰყიდე, ცუდი დღე მოგელისო.

— ვინა იყიდის ჩემს სახლს, ბატონო?—დაეკითხა მწყემსი.

— შენ იმისი ფიქრი ნუ გაქვს! ხვალვე მოგივა იმისი მყიდველი ვაჭარი. რასაც სთხოვ, ჩინჩობას არ დაგიწყებს, მაშინვე მოგცემს.

მეორე დღეს მივიდა მწყემსთან ერთი მდიდარი ვაჭარი და სახლს შეევაჭრა:

— რამდენი მოგცე შენს სახლში?

— სუთასი თუმანი.

— ინებე!—უთხრა ვაჭარმა და სუთასი თუმანი მაშინვე დაუთვალა.

მოვიდნენ ანგელოზები იმ განზრახვით, რომ მწყემსის სახლი დაენგრიათ. მაგრამ ნახეს, რომ მწყემსის მაგიერ ვიღაც ვაჭარი დაჰპატრონებოდა. რა თქმა უნდა, ხელი არ ახლეს, რადგან მწყემსის ჯავრი სჭირდათ და არა ვაჭრისა და უკან დაბრუნდნენ დაღონებულნი.

ეწვია მიქელ-გაბრიელი მწყემსსა და უთხრა:

— ვაჭარს გულს ავუცრუებ სახლზე და სულ ჩალის ფასად მოვაყიდვინებ შენთვისაო.

მეორე დღეს მოვიდა ვაჭარი მწყემსთან და სთხოვა:

— მოდი, შენი სახლი ისევ შენ იყიდე, იაფად მოგცემო.

— რა მოგცე?—ჰკითხა მწყემსმა.

— რაც მე მომიცია, იმის ნახევარს დაგჯერდები.

— არა, მესამედს მოგცემ.—უთხრა მწყემსმა.

მორიგდნენ. მწყემსი თავის სახლში დაბინავდა. ნახეს ეს ანგელოზებმა და შესჩივლეს ღმერთს. «ამას მიქელ-გაბრიელი მიშვრება და ამიტომ მიპატივებიაო»,—ბრძანა ღმერთმა.

მიქელ-გაბრიელმა პურის დათესვა ურჩია. მწყემსმაც დასთესა პური. აბიბინდა ჯეჯილი. მერე თავთავები დაიკეთა. მკის დროც დადგა. ნახეს ანგელოზებმა, მწყემსს ყანა დაუთესიაო და ღმერთს

შესჩივლეს მისი თავსხედობა. ღმერთმა უთხრა: როცა პური მომკას და ძნები ურემზე დააწყოს, ხვავი წაართვით: თითო ურმიდან თითო ქილა ხორბალი-და გამოუყვანეთო.

მოიჭრა მიქელ-გაბრიელი მწყემსთან და უთხრა: თითო ურემს თითო თავთავი დაუდეო. მწყემსიც ისე მოიქცა. გალეწა კალო. საშინლად ხვავიანი ჭირნახული დაუდგა: თითო თავთავიდან თითო ქილა ხორბალი გამოუვიდა· პური ბეღელში არც კი ეტეოდა.

დაღონდნენ ანგელოზები, მაგრამ რაღა დროს!

მიქელ-გაბრიელმა ურჩია მწყემსს, შენი ფარა მთაში გარეკე, ნუ მიხედავ, ისედაც არა უჭირს-რაო. მწყემსმა დაუჯერა. ერთი წელიწადი გავიდა,—თავისი ფარა არ მოუკითხავს. წლის გასულს კი წავიდა ცხვრის სანახავად. ფარა ერთი-ორად გამრავლებულიყო, ყველა საუცხოვოდ დასუქებულა. გაეხარდა მწყემსს. მადლობა შესწირა თავისს მწყალობელს. მიქელ-გაბრიელმა უთხრა: თუ გინდა, შენს ცხვარს თითოს ხარის ფასად გაგაყიდვინებ. მუშტარსაც აქვე აგიჩენო.

მეორე დღეს მუშტარი მოვიდა და მწყემსმა თითო ცხვარი ხარის ფასად გაყიდა. გამდიდრდა საშინლად. დაიწყო მეფური ცხოვრება. მიქელ-გაბრიელსაც დაპირებული შესწირა.

—

სხვათა შორის, წულებია საუცხოვო მთაზე: ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, ცივისა და ანკარა წყლის ჩახრიალას არ წააწყდეთ. ზოგი ჩახრიალა 15—20 მხარის სიმაღლიდან ეხეთქება სალს კლდესა, ბოლი ასდის, იპნევა მარგალიტებივით და ჭნამავს ნაკადულის კალაპოტის მუქ-მწვანე ჩარჩოსა. ჩახრიალაა დამარღვეველი აქაურის იდეალურის სიჩუმე-მყუდროებისა. შორს გაისმის მისი ტკბილი, დამამშვიდებელი, ნირშეუცვლელი შხუილი.

ამ ჩახრიალებს ქვეშ ბანაობა მეტად რგებს ადამიანსა. პირველში ხამის კაცისათვის ძნელია ცივ ტემპერატურის ატანა აქაურის ჩაქუხისა, რომელსაც სათავე აქავე აქვს, დაუმდნარ თოვლ ქვეშ. იმას-და მოასხურხებს კაცი, ერთხელ გადაისხას ტანზე ყინულივით ცივი წყალი. მერე, თანდათან შეეჩვევა და მოთხოვნილებად გადაექცევა ჩაქუხსას ქვეშ ბანაობა. მე ისე შევეჩვიე, რომ ერთხელ დილის

ექვსს საათზე ვბანაობდი, როცა გარშემო ჯერ სიცივე იდგა და მზე მძლივს იყო ამოსული, ერთს შუადღისას და მესამეჯერაც—საღამოს, მზის ჩასვლისას. აქაურს წყალში ბანაობის შემდეგ კაცს ჭამის მადა ემატება, რაღაც განახლებასა გრძნობს, რაც უნდა აღმართი იყოს, ისე აირბენს, ქშენა არც-კი აუტყდება *).

—

გარნა მწყემსები კი ძალიან ერიდებიან აქაურ წყლებში ბანაობასა. საინტერესო საფუძველიცა აქვს მათს ამგვარ თავდაჭერასა. ჩემს ბანაობას რომ უყურებდნენ, როგორც «მოჯგირეს» (მოკეთეს), ხათრით ვერას მეუბნებოდნენ, თორემ სხვას ვერ მოვუთმენთ ასეთ საქციელსაო. შიშვლის კაცის ნახვა მთას არ ესიამოვნებაო. მწყემსებს სწამთ აგრეთვე, რომ მიქელ-გაბრიელი, ანუ როგორც მოკლედ ეძახიან, მიქამგარიო, ზეციდან რომ ჩამოდის, ტანს მარტო ამ მთების წყალში იბანსო. ბარის წყალი არ კარგა, ყველა შიგ ურევს ხელსაო. იმათის აზრით, მიქამგარიოს საბანებელ წყლის გამურტლება არავის ეპატიება. ეგ არის, ახლა დროება წახდა, ადამიანი გაამაყდა, მიქამგარიოს შიში და რიდი დაეკარგა, თორემ წინად ამ წყლებში პირის დაბანასაც ვერიდებოდით, არამც თუ ტანისასაო.

—

აქაურს მთებზედ ეგრედ-წოდებული მიქამგარიოს ტბაც არის. სახელად ერგეძაშრა (მიქელ-გაბრიელის ტანის საბანი ტბა) ჰქვიან.

ეს ტბა ოქუმიდან ორი დღის სავალზე მდებარეობს. მრგვალია. გარშემო ერთი ვერსი სივრცე ექნება. წყალი ამ ტბისა შრატის ფერია. გარშემო მაღალი კლდეები არტყია, საიდანაც წყლები უერთდება. ტბის წყალს მხოლოდ ერთგანა აქვს გამოსასვლელი.

*) აქაურ მთაზე ყოველ ზაფხულს „ჰავისათვის“ ამოდის ადგილობრივი მემამულე თ. მელიტონ ემუხვარი. ადრე კუჭის კატარი ჰქონია. სად არა ყოფილა! ბორჯომი, აბასთუმანი მოუვლია, ბევრი ექიმები შეუჯერებია, მაგრამ სულ ამაოდ. ბოლოს, ანარას მთაზე ასულა, კარავი გაუკეთებია და აქაურის, მთის ჰავის მკურნალობითის თვისებისათვის მიუნდვია თავი. უკეთობა მაშინათვე დასტყობია; ფერი, ჯანი, მადა—ყველაფერი მოსვლია. ზაფხულის გასულს რომ ჩამოსულა ბარად, ისე გამოცვლილა საუკეთესოდ, რომ ვერავის უცვნია. მეორე ზაფხულსაც იმავ ცხოველმყოფელს მთას მიატანა თურმე. ახლა სულ მორჩენილადა გრძნობს თავსა და ყოველ ზაფხულს მთაში სიარული და იქ ერთის თვით მაინც დარჩენა მოთხოვნილებად გარდაქცევია.

აქედან გამოსული წყალი მერე მდინარე ენგურს ერთვის. მახლობლად შემდეგი მთები უძევს: ჩამჭარხ, ბაშკაფსარა და ანაყუ. უკეთესს კაცის თვალი ამ მთაზე ვერასა ნახავს! მწყემსის ფანტაზიამ კიდეც ამიტომ გასადა ეს ტბა მიქელ-გაბრიელის საკუთრებად. მარწმუნებდნენ, მიქელ-გაბრიელი ამ ტბაში ბანაობდა წინადაო. ამიტომ მესორციელი ვერ მიეკარებოდა: ვერც ხელს იბანდა შიგ და ვერც ტანსაო. ახლაც ერიდებიან ამ წყალში ხელ-პირის ბანასა. ეს ტბა მწყემსების aqua religiosa არის. თავისი ისტორიაცა აქვს ამ ტბას, რომელიც მწყემსებმა მიამბეს.

ერთი მწყემსი იყო, სახელად ბოში ერქვა. მთელი ზაფხული ცხვარი აძოვა მთაზე, კარგად გაასუქა. ღვარობისთვეს *) ცხვარი ბარად ჩამორეკა, გაჭკრიჭა და, რადგან კარგი დარები იდგა და ზამთრის მოახლოვების ნიშნები ჯერ არა სჩანდა, ისევ უკან დაბრუნდა. საღამოს ერგეძაშრას (მიქელ-გაბრიელის საბანაო ტბის) ნაპირად დაბინავდა. რომ დაღამდა, ტბიდან ერთი კარგი თეთრი ვერძი გამოვიდა და მისი ცხვარი ყველა დანერბა. მეცხვარე გაოცებული შესცქეროდა ამ მოჩვენებასა. ვერძი მეორე ღამესაც გამოვიდა ტბიდან. ამის შემდეგ ბოშის მთაზე თვე-ნახევარი მოუგვიანდა.

მეორე გაზაფხულზე უმცროსმა ძმამ უთხრა, წლეულ უეჭველად მე წავალ მთაზეო. ბოში უარზე დადგა, მაგრამ უმცროსმა ძმამ მაინც თავისი გაიტანა.

დაირეკა უმცროსმა ძმამ ცხვარი და ისიც ერგეძაშრასთან მივიდა. საღამოს ტბიდან ვერძი გამოვიდა და ცხვარს ნერბვა დაუწყო. გაუკვირდა მწყემსს, ვერ მოითმინა და შესძახა. ცხვრის ფარა დაიფრთხა; რასაკვირველია, ვერძიც დაიფრთხა, და ტბაში ჩაეშვენ.

ცარიელი დაბრუნდა შინ, დაღონებული, უმცროსი ძმა და ბოშის თავისი თავგადასავალი უამბო. ეწყინა ბოშის ეს ამბავი,—აკი გითხარ, ნუ წახვალ, თორემ რასმე ცუდს შეემთხვევი-მეთქი.

ბოშიმ მაშინათვე აიღო: სოინარი (ლარჭემი), ჭიანური, ჩონგური დაავიდა ერგეძაშრასთან. დაჯდა ნაპირას და რიგ-რიგად ჯერ

*) ღვარობისთვეს (მეგრულად—ღვარალა-თუთა) მწყემსები ენკენისთვეს ეძახიან. ამ თვეში მთაზე ცუდს ამინდს იჭერს ხოლმე, ღვარი იცის ხშირი. მწყემსები ამ თვის შემდეგ მთაზე ვერა ჩერდებიან და ბარად ჩამოდიან.

ერთი დაუკრა, მერე—მეორე, მერე—მესამე. თანაც დაამღერა. საკრავების ხმაზე ტბიდან ცხვრები ყველანი გამოვიდნენ სათითაოდ. სიხარულისაგან გაიკვირვა ცხვრების ამოსვლა უმცროსმა ძმამ და კიდევ შესძახა. ცხვარი ხელახლა ჩაუშვა წყალში. მწარედ დაღონდა ბოში, ბევრი იმღერა, დაუკრა საკრავებზე, მაგრამ ცხვარი არ დაბრუნდა. უჩემცხვროდ მე რაღად მინდა სიცოცხლეო,—წამოიძახა სასოწარკვეთილმა ბოშამ და ცხვარს თვითონაც გადაჰყვა წყალში.

ამის შემდეგ მწყემსებს ხშირად გაუგონიათ ტბიდან ამოსული ხმა: «ჭეი, ჭეიო!»*) «ისიც უნახავთ მწყემსებს, რომ აფუნის (მთაზე ცხვრის გარეკვის დრო) დროს ტბას ნაპირად მატყლი გამოჰქონდა»,—დასძინა თენგიზ გაკუზავამ, ვისგანაც ეს ამბავი გავიგონე.

—

მიქელ-გაბრიელის შემდეგ აჭარის მწყემსი ფრიად სასოებით ეპყრობა მთას. მთის თაყვანისცემა და შიში გულტად აქვს გადაქცეული. აღმერთებს მთას, მიქამგაროის საფარველს ქვეშ მყოფს, მასა ლოცულობს. მწყემსების ლაპარაკში ხშირად მოჰკრავთ ყურს: «მთის მადლმაო».

ვკითხე მწყემსებს, მთას რა მადლი აქვს, რომ იმას იფიცავთ-მეთქი?

— მადლი როგორ არა აქვს მთასა? ისაა ჩვენი მარჩენელი. მთა რომ არ იყოს, მწყემსებიც არ ვიქნებოდით.

როცა გაზაფხულზე პირველად მთაზე ამოდიან, მწყემსები საკლავსა ჰკლავენ და მთის ლოცვას ამბობენ. ხანში-შესული მწყემსი ხონჩაზე აწყობს საკლავის გულ-ღვიძლსა და ყველას მაგივრად მთას ევედრება: ნუ მოგვაკლებ შენს წყალობასა ჩვენ, ჩვენს ჯოგსა, რომლებიც შენს კალთაზე დავდივართ, მხიარულად და უვნებლად ჩაგვიყვანე ბარადო.

მწყემსის აზრით, მთას შიშველ ტანს ვერ აჩვენებს კაცი, ეწყინებაო. ამიტომ არის, რომ ტანის ბანა მთაზე ცოდვად მიაჩნიათ. მაშინათვე განრისხდება მთა და წვიმა და ავდარი მოვაო. ჩემის იქ

*) ამ ხმით მწყემსი ცხვარს ეძახის ხოლმე.

ყოფნის დროს ნისლი ხშირი იყო. მითხრეს, ეს სულ იმის ბრალია, რომ შენ ტანს იბან აქა და შიშველ ტანს მთას უჩვენებო.

მთაზე ყოფნის დროს მწყემსები უწმაწურ სიტყვა-პასუხს ერიდებიან,—ესეც მთას ეწყინებაო. მთას საალერსო სიტყვები უნდა გავაგონოთ, სიმღერით დავატკბოთო.

ქვაბს რომ გადმოაპირქვავებენ, ზემოდან ბალახს რასმე დააფარებენ,—ცამ შავი და მურიანი ძირი არ დაინახოს ქვაბისა, თორემ განრისხდება და წვიმით სულს ამოგვხდისო.

—

მთაზედვე, მწყემსებ შორის, ნახავთ ნაშთს ძველის ასტროლატრიისას: მზესა ფიცულობენ. ხშირად გაიგონებთ: «ბჟაშ მარდიმე» (მზის მადლი მე), ან და «უშულადუ ბჟაშ მარდი მე» (დაულალავის მზის მადლმა). რომ ჰკითხე, მზეს რად-და ჰფიცულობთ-მეთქი, იმათ მიპასუხეს:

— ისიც ღმერთია: გვათბობს, თოვლს ადნობს მთაზე, ბალახს ამოსვლის დროს ხელს უწყობს. მზე რომ არ იყოს, საქონელი სიცივით გაგვიწყდებაო.

—

აქაურ მთებზე სიარულის დროს, ხშირად შეხვდებით შიშველზე სწორ ადგილას ერთად, ყორეს მსგავსად, დაგროვილ ქვებს. კედლები ეტყობა. იტყვით, თითქო განგებ უშენებია ვისმეო. ეს—ჯუჯა ხალხის სადგომი იყოვო. მწყემსებში შემდეგი კონცეპციაა ამ ქვების შესახებ დარჩენილი.

მას აქედ დიდი ხანია,—მოგვითხრობენ მწყემსები,—ამ მთებზე ჯუჯები (აფხაზურად—აწან) სცხოვრობდნენ. სულ ერთის ადლის ტოლანი ყოფილან, მაგრამ ღონივრები. ამ ქვებით სახლები იმათ უშენებიათ, მაგრამ უკიროდ. სულ ნახევარ ადლის სიმაღლე კედლებს აიყვანდნენ და სახლიც მზად იყო. ზევიდან არა ხურავდნენ, რადგან მაშინ არცა სთოვდა აქ, არცა სწვიმდა და არც ქარი ჰქროდა.

ამ ხალხს ღმერთი არა სწამდა. ღმერთმა მათი გაწყვეტა მოინდომა. მოისმო თავისი შვილი, რომელიც იმათი გაზრდილი იყო, და უთხრა «შენი გამზრდელები თაყვანს არა მცემენ, ჩემი შიში და რიდი არა აქვსთ, ამიტომ, მათი გაწყვეტა განვიზრახე. მაგრამ არ

ვიცი, როგორ, რა საშუალებით გავსწყვიტო. იქნება გაიგო, რა გასწყვეტსო?».

წავიდა ღვთის შვილი და ჰკითხა თავისს მამამძუძესა: «ღმერთმა კი დაგიფაროსთ გაწყვეტისაგან, მაინც მითხარით, რა გაგწყვეტსთ?»

— არაფერი,—უპასუხა მამამძუძემ.

ღვთის შვილი არ მოეშვა, თუ გიყვარდე, მითხარიო. მამამძუძემ ხათრი არ გაუტეხა და უთხრა:

— ღმერთმა რომ დაათოვინოს და ცეცხლი წაუკიდოს, სულ ერთიანათ გავსწყდებით.

წავიდა ღვთის შვილი და მამას უთხრა ეს ამბავი.

ჯუჯებს ერთი დიდი ვერძი ჰყავდათ; ისეთი დიდი წვერი ჰქონდა, რომ ყველანი ქვეშ ეტეოდნენ და იჩრდილებდნენ. ერთხელ, ვნახოთ, ვერძის წვერი ნიავმა ოდნავ შეარხია. ნიავი აქ ქვეყნის გაჩენიდან არა ყოფილა. რა თქმა უნდა, მათმა ბელადმაც შენიშნა და სასოწარკვეთით წამოიძახა: «რა კი ქარი გაჩნდა ჩვენში, ჩვენის აღსასრულის დღეც მოვიდაო».

რამდენისამე დღის უკან ერთს ალაბზე დასდვა ბამბა. ღმერთმა ცეცხლი წაუკიდა. შეექმნათ ყვირილი ჯუჯებსა... დაიძახეს: ვინა ხარ მამაცი, თავს უშველეთო! ვინ ხეზე გავიდა—და ფრინველად იქცა, ვინ წყალში ჩავარდა—და ბაყაყათ იქცა, ვინ მიწაში დაიმალა—და გველად და სვლიკად იქცა. დანარჩენნი ცეცხლში გამოიხრუკნენ. ამ ცეცხლმა აქ დაყრილი ქვებიც გამოსწვა და ამიტომაა, რომ ცეცხლში აქაური ქვა არა სკდებაო.

ზოგნი ამბობენ, აქ პირველი ქარი რომ ამოვარდნილა, ყველანი გაუფანტავს იქით-აქეთ. დარჩენილა მხოლოდ ერთი ცოლ-ქმარი და იმათგან ღმერთმა დიდის ტანის ხალხი გააჩინაო.

—

ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ასეთ მოკლედ აღწერას დავაჯერეთ. არც დრო და არც გარემოება ხელს არ გვიწყობდა, უფრო დაწვრილებით გაგვეცნო საზოგადოებისთვის ეს ყოვლის მხრით საინტერესო კუთხე ჩვენის სამშობლოსი. იმედი კი გვაქვს, სხვა დროს ისევ დავუბრუნდეთ ამ კუთხეს. მაშინ ვეცდებით უფრო დაახლოვებითი სურათი წარვუდგინოთ მკითხველს სამურზაყანოსი.

ამასთანავე, იმის იმედიცა გვაქვს, შეგნებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა ყურადღებას მიაქცევს იმ სამწუხარო მოვლენას, რომ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეები ქართველ საზოგადოებისათვის უფრო ერთი დღემდე terra incognita-ს წარმოადგენს: ეკონომიურად, ფიზიკურად, ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, თუ სხვა მხრივ. ყოველ წელიწადს, ზაფხულობით, თითო კუთხეს ორ-ორი ემაწვილ-კაცები მაინც რომ შემოივლიდნენ, ისიც დიდ სიკეთედ უნდა ჩაითვალოს. ამგვარი ეკსკურსიები სასარგებლო იქნება და სასიამოვნოცა. ეკსკურსანტებს თვეში სამ-სამი თუმანი ეყოფათ ხარჯად. რაც მეტი იქნება, რა თქმა უნდა, უკეთესია.

კარგი იქნება ისიცა, რომ ქართულ ანბანს დავბეჭდავდეთ ბლომად და საზაფხულო მოგზაურებს ჩავაბარებდეთ მუქთად დასარიგებლად იმ ადგილებში, სადაც გავლა შეხვდებათ. ანბანები განსაკუთრებით საჭირო ისეთ განაპირა-ადგილებისათვის, როგორებიც არის: აფხაზეთი (აფხაზეთს მარტო იდენ სახელი შერჩა, თორემ ეს მხარე ნახევარზე მეტი მეგრელებს უჭირავსთ), სამურზაყანო, სამეგრელო, აჭარა, ჯავახეთი და სხ. ამ წიგნის დაბეჭდვისათვის საჭირო ხარჯი ხსენებადაც არა ღირს და სარგებლობა კი დიდი იქმნება. ჩემის წარსულის მოგზაურობის დროს იშვიათად შემხვედრია ქართულ წერა-კითხვის მცოდნე. მთაზე ხომ ერთმა მწყემსმა არ იცოდა წიგნი. ხელში დაბეჭდილი წიგნი რომ დამინახეს, ეოცათ. როცა ვსწერდი, სულ შიგ ჩასცქეროდნენ ქაღალდსა და უკვირდათ, რასა შვრება ე კაციო! ერთმა გულუბრყვილოდა მკითხა: «განა სხვასაც შეუძლია თქვენსავით გამოიყვანოს ქაღალდზედ? რომ რასმე დავსწერდი, მეტყოდნენ, წაიკითხეო. მათს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მათი ნათქვამი ჩავსწერე და წავიკითხე...

პატრონობა უნდა ამ ხალხს; სიბნელიდან გამოყვანა, დიდი ხანია, ესაჭიროება. დიდი, სულ დიდი სიფხიზლე და თავგამოდება გვმართებს.

თ. სახოკია

ქ. სოხუმი.

# ერობის მნიშვნელობა ჩვენში

თ. გიორგი თუმანიშვილის წინადადება.—მისი სასხვიმინდლოდ გადადება.—ჩვენში ერობაზე წერა და საუბარი 1871-ში. —„არ გვინდა, არაო!“—დაგვბეგრეს, თუ არა?—პოლიცია, მისი ყოვლის-შემძლებლობა და ყოვლის-შეუძლებლობა.—რუსეთის ერობა.—მისი თავდაპირველი შეცდომა.—შემდეგი მისი ღვაწლი და სიკეთე ერის განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ზარალის ზღვევაში, მიწა-წყლის შეძენაში, მეურნეობის დახმარებაში და სხვ. და სხვ.—რუსეთის ერობამ რა გაარიგა?—უზენაესი ჩვენი საქმე და საჭიროება.

1894 წელს, ტფილისის სათავად-აზნაურო კრებაზე, მარშლების არჩევამდინ, ერთი დიდი კითხვა აღიძრა. თ. გიორგი თუმანიშვილმა ის აზრი გამოსთქვა, რომ დროა ჩვენში ერობის (земство) დაწესება ვითხოვოთო. კრებას, იმ ჟამად, ამგვარი საერო საქმეებისათვის როდი ეცალა. მიხვდა თუ არა, რომ ეს წინადადება კენჭს არავის არც მოუმატებს, არც მოაკლებს, და სხდომას კი გააგრძელებსო, აზნაურობამ თავი ისე მოიკატუნა, თითქო მისდღეშიაც კი არ გაეგონოს „ზემსტვოს“ სახელი და ამბავი. რა ვიცით, სასმელია თუ საჭმელიაო? ყველამ მაშინვე ერთი ხმით სთხოვა თ. გიორგი თუმანიშვილს სასხვიმინდლოდ ვრცელი მოხსენება დაგვიწერე მაგ საგანზეო, მისი ავ-კარგიანობა გაგვაცანი და სარგებლობა დაგვიმტკიცეო, და მაშინ.....ვნახოთო. უცბად და ერთხმად გადაწყდა ასე ეს კითხვა. ორიოდე წუთის განმავლობაშიაც კი ვერ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება ისეთმა საქმემ, რომელზე უფრო საჭირო და მომავლიანი დღეს ჩვენში სხვა არ მოიძიება. ეს გარემოება მართლაც გვარწმუნებს, რომ ჩვენს მოწინავე საზოგადოებას ჯერეც საკმაოდ გაცნობილი არა ჰქონია ერობის ხასიათი და მნიშვნე-

ლობა. მაშ მეტი როდი იქნება დაწვრილებით ავუხსნათ „მოამბის“ მკითხველს, თუ რა დიდი ადგილი უკავია ერობას ქვეყნის კეთილდღეობაში და წარმატებაში.

აქ ისიც გავიხსენოთ, რომ პირველჯერ კი არ ეძლევა ეს წინადადება საქართველოს აზნაურობას. ამ ოც და ხუთი წლის წინად, როცა ჩვენი წარჩინებული საზოგადოება ტფილისში შეგროვდა, ალექსანდრე მეორეს შესაგებებლად, იმ დროის მწერლობამ და ახალ-თაობამ ეს კითხვა აღძრა, როგორც ყველაზე უფრო საჭირო და გამოსადეგი ჩვენი ერისთვის. ეს ცდა მაშინვე უნაყოფო დარჩა, საზოგადოების მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ბრძანეს, რომ ერობა მიწა-წყალს დაგვიბეგრავსო. იმ დროს, ყმების გათავისუფლებით დამდუღრულ გულებს, ეს ამბავი ისე მწველად მოხვდათ, თითქო აბრიალებული კუპრის წვეთი ყოფილიყოს. — „ეგლა გვაკლიაო!“ ყმაწვილები ღაღადებდნენ: „ბატონებო, გადასახადს, მიწა-წყლის დაბეგვრას, ხომ მაინც ვერ წაუხვალთ და ვერ! ჭარჩევი აქ მარტო ისაა, თუ რა სჯობია თქვენთვის და ქვეყნისთვის: თქვენი ამორჩეული პირები რომ უვლიდნენ თქვენს და ხალხის გადასახადს, თუ პოლიციის მოხელეები?“ ბევრს სხვასაც უმატებდნენ. ერობა თუ გვეღირსაო, ამბობდნენ, თვით-მმართველობა იმდენს ხეირს მოგვცემსო, ისე წინ წაგვწევსო, რომ გადასახადი არც კი დაგვემჩნევა, არა თუ გაგვიძნელდებაო. ეს ყველაფერი შეიქმნა „ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“. პასუხად ისმოდა ერთი და იგივე — „არ გვინდა, არაო!“

ბეგარა, გადასახადი, როგორც მოგეხსენებათ, აზნაურობას არ ასცილებია. ერობა ჩვენში არ შემოსულა, მაგრამ აზნაურობის მიწა-წყალი კი დაიბეგრა, მაინც დაიბეგრა. ერობის უარყოფამ ვერ გაანთავისუფლა დაბეგვრისგან აზნაურთა მამულები. ავი როდი აგვცდა, კარგი არ გვერგო. ამ რიგად 1871-ის კრებამ ქვეყანას და აზნაურობას კი არა, მარტო პოლიციის მოხელეებს არგო: გადასახადი გვადევს, ოღონდ იმისი მოვლა კი, ჩვენს მაგიერ, პოლიციას აბარია...

ერთობ ჩამოქვეითებულ, სრულიად ღარიბ და უმეცარ ქვეყნებში ხალხს და მთავრობას არაფერი სჭირია, პოლიციის მეტი. იქ ცხოვრება იმდენად მარტივი და უმოძრაოა, რომ პოლიცია ყველას ჰყოფნის და უვლის. იქ პოლიციას თავისი საკუთარი საქმეც აბარია, და ყველა სხვისიც: მსაჯულიც ისაა, გზის-მკეთებელიც, ვაჭრობის მფარველიც, ჯანმრთელობის მცველიც და სხვ. და სხვ. ყოველგან ასეა, რომ ყრუ და ღარიბ მხარეში თავი და ბოლო პოლიციაა, და პოლიციის მეტი არაფერია საჭირო. მაგრამ რაც უფრო და უფრო იზედდება მხარე, რაც მისი ცხოვრება თანდათან ვითარდება და ჰყვავის, მით ნაკლები ხდება საკუთრივ პოლიციის როლი. მის გვერდით იბადებ და თანდათან იზრდება ახალ-ახალი ორგანოები: სამსჯავრო, სამკურნალო, სამოსწავლო, სავაჭრო, საგზო და სხვ. რაც უფრო და უფრო მდიდრდება და ნათლდება ხალხი, მით უფრო მრავალმხრიანი ხდება მისი ცხოვრება, და, მასთან, მით უფრო მეტ ორგანოებს, მეტ დაწესებულებას იძენს ის თავის სხვა-და-სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სრულიად განათლებულ და განვითარებულ ქვეყნებში პოლიცია თავი და ბოლო კი აღარ არის ყველაფრისა, მარტო ერთი რგოლია იმ ვრცელი ჯაჭვისა, რომელიც ერის ცხოვრებას ჰმართავს. იქ პოლიციას მარტო წესიერების დაცვა აბარია, და სხვა არაფერი, ესე იგი ყოველგვარი ძალადობის მოსპობა, ქურდების და ავაზაკების დევნა და სხვა ამგვარი რამ. ეგეც დიდი და მძიმე მოვალეობაა, რომლის რიგიანად ასრულება მეტის-მეტად საჭიროა ქვეყნისთვის და თან და თან კი უფრო და უფრო ძნელდება. ამიტომაც, ყოველთვის, როცა რომელიმე მხარე იმგვარ წარმატებაში შედის, როგორიც ამ ბოლოს დროს ჩვენს ქვეყანას ეღირსა, ყველასათვის თვალსაჩენი ხდება, რომ პოლიცია, რაგინდ გონიერ და პატიოსან პირებისგან იყოს შემდგარი, თავს ვეღარ გაართმევს დღითი-დღე წინ-მსვლელ ცხოვრებას. გზის კეთებას თუ მიაწვა, ქურდები დასძლევენ; ქურდებს თუ გამოუდგა, ფოშტა ხელში შერჩება; ფოშტას თუ მიალია თავისი ღონე, ჯანმრთელობის საქმე წაუხდება და აგრეთვე სხვაც. საზოგადოების თუ

ქვეყნის ზრდასთან, თანაბარად, პოლიციის გვერდით იბადება და იზრდება ახალ-ახალი ორგანოები, სხვა-და-სხვა საჭიროების მოსავლელად და დასაკმაყოფილებლად. მეცნიერება გვასწავლის: ხალხის დაწინაურების უტყუარი მაჩვენებელი პოლიციის მოვალეობის ჩამოთვლააო. რაც უფრო მეტი საქმე აბარია იმას, მით, სჩანს, ნაკლებად ყოფილა განვითარებული იმ ხალხის ცხოვრებაო. რაღა თქმა უნდა, რიგიანად გამართულ ქვეყნებში თვით ხალხს და მის არჩეულ წარმომადგენლებს აბარებს უმაღლესი მთავრობა ყველა ამ ახალ-ახალი ორგანოების მართვას და ხელმძღვანელობას. ამის დაგვარად 1864-შიაც რუსეთში პოლიციას ჩამოერთვა, ერთის მხრით სამსაჯულო საქმეები, და მეორეს მხრით — ყველა ადგილობრივი საჭიროების მოვლა და დაკმაყოფილება: სკოლისა, თუ გზების, თუ საავადმყოფოსი და სხვ. და სხვ. ეს საქმეები და საჭიროებანი ერთიანად ხალხის, სამღვდელოების და აზნაურობის ამორჩეულ წარმომადგენლებს ჩაბარდნენ.

უეჭველია, ის „წესდება", რომელიც 1864-ში რუსეთში გამოიცა ერობის შესახებ, უნაკლულო არ იქნებოდა. ისიც უეჭველია, რომ, ჩვენს ქეიფზე რომ იყოს საქმე, იქნება უკეთესს წარმოიდგენდა კაცი. მაგრამ სახელმწიფო და საქვეყნო საქმე ამ ზომით ვერ გაიზომება. ჩხრეკა, დაწუნება მაშინაა გამოსადეგი, როცა ან გასწორება შეგიძლიან, ან თავიდან აცილება, თორემ აბა რა ჭკუაში მოსასვლელია სეტყვას, ან ქარიშხალს „კრიტიკა" უწეროთ? ამგვარ სტიქიონის მოვლენებზე მოსააზრებელი სულ სხვა რამე უნდა ჰქონდეს გონიერ კაცს: რა სახით დავიკავოთ თავი ისე, რომ რაც შეიძლებოდეს უფრო ნაკლებად დავზიანდეთ, ანა-და რაც შეიძლება უფრო მეტად ვიხეიროთ. ამ მიზნით კაცი უნდა აკვირდებოდეს ამგვარი ძალის თუ მოვლენის მსვლელობას, მის ისტორიას უნდა სწავლობდეს, და არა იმაზე ოცნებობდეს, თუ რა კარგი იქნებოდა, რომ ცხვირის ალაგას მას რქა ჰქონოდა, ან ყურის მაგიერ — ბრჭყალი. დავაკვირდეთ, ამ მხრით, რუსეთის ერობის წარსულს: იქნება ერთიანად უნაყოფოდ როდი ჩაევლოს — ჩვენთვისაც — მის ოც და ხუთის წლის შრომას.

ახლად დაბადებულ ერობას რუსეთში მეტად გაუძნელდა ფეხის ადგმა. როგორც მასთან ერთ დროს გაჩენილ ახალ სასამართლოებს, ერობასაც თავიდანვე მტრად გადაეკიდნენ უწინდელი სჯულის პოლიციის მოხელეები. ეს ადვილად მისაგნებია: როგორც სასამართლომ, ეგრედვე, და უფრო მეტად, ერობამაც მეტად შეამცირა მათი საქმე და... შემოსავალი. ერობას მარტო ეს გადამტერება ბევრს ვერას დააკლებდა, როგორც დიდ ხანს ვერაფერი ჩამოაკლო ახალს სასამართლოებს, თვით ერობა ისე სწორე და მტკიცედ რომ დასდგომოდა თავის გზას, როგორც თავდაპირველად ახალი სასამართლო იდგა. საუბედუროდ, ეროობის გზა და საქმე ისე ნათლად გამოკვლეული და გასაზღრული როდი იყო კანონში და მთავრობის გადაწყვეტილებაში, როგორც სასამართლოების მოვალეობა იყო ყველასთვის თავიდანვე განმარტებული. სხვა-და-სხვა გუბერნიებში ერობას სხვა-და-სხვა გვარად ესმოდა თავისი უფლება და დანიშნულება, თავისი საქმე და მოვალეობა. ვარაუდით ჰქონდა იმას მინდობილი ადგილობრივი საქმეების და საჭიროების მოვლა. სადაც ერობას გონიერი და შორს-მჭვრეტი მოთავეები ამოუჩნდა, იქ ერობამ მართლა-და მაგრა ხელი მოჰკიდა ამ საქმეებს, მართლა მოუარა იმათ, და მით, ერთის მხრით, შესამჩნევად გააუმჯობესა ხალხის ცხოვრება, და მეორეს მხრით—ერის ნდობა დაიმსახურა, ერში, ქვეყანაში ნამდვილი ძალა შეიძინა. ამ გუბერნიებში ერობას სრულებით ვერაფერი დააკლო ადგილობრივი პოლიციის და გუბერნატორების მტრობამ და წინააღმდეგობამ: უმაღლესი მთავრობისთვის ნათლად სჩანდა, რომ ერობა სარგებლობას აძლევს, ხალხში გავლენიანია, და მინიჭებულ უფლების წრეს არ გადადის. დღესაც რომ დააკვირდეს კაცი ამ გუბერნიების ყოვლის-შემძლებლობას, გაუკვირდება, თუ როგორ მოხერხდა ამგვარი საქმე თვით იმ ბრძოლის დროს, რომელიც დანარჩენს რუსეთში ატეხილი იყო ერობასა და ადმინისტრაციას შუა. სამწუხაროდ, ამნაირ სურათს კაცი მარტო რამდენიმე გუბერნიაში იპოვის. დანარჩენებში კი ერობამ თავისი დანიშნულება რიგიანად ვერ

გაიგო. „ადგილობრივი საქმე და საჭიროება“, როგორც მოგეხსენებათ, თვალსაჩენი როდია. ის თითქმის ერთიანად, სულ წვრილმანი, პაწია-პაწია კითხვებისგან და შრომისგან შესდგება. ამ წვრილმან, უფერულ, გაუთავებელ შრომას უნდა მიაკვდეს კაცი, დღითი-დღე, რამდენიმე წლის განმავლობაში, და თითქმის არავისთვის არ სჩანს მისი ბრწყინვალეობა, მისი სარგებლობა, მისი ღირსება. იქნება ოცმა წელიწადმაც გაიაროს ისე, სანამ ვინმე დაინახავს ცოტაოდენ წარმატებას, უკეთესობას, იმ ერის ცხოვრებაში და მდგომარეობაში, რომლის „ადგილობრივ საჭიროებას“ მიალია კაცმა უმჯობესი ნაწილი თავისი ღონისა და სიცოცხლისა. ამ შრომაზე არავინ არ უკრავს არც ბუკს, არც ნაღარას. ვისთვისაც ის სასარგებლოა, იმას არც მისი ღირსება, არც მისი ფასი არ ესმის, როგორც უმანკო კრავს არ გაეგება, თუ საიდან მოდის, როგორ იზრდება, რით იკვებება მისი მზრდელი და მრჩენელი მალი... სულ სხვანაირად ხიბლავს ადამიანის ოცნებას მეორე უფრო ვრცელი, უფრო თვალსაჩინო ასპარეზი, ის, საცა ქვეყნის დიდრონ-დიდრონი საქმეები წყდება, საცა სახელმწიფოების ბედი ტრიალებს, აი, საცა გლადსტონები, ბისმარკები, გამბეტები და სხვა ამგვარი პირები ვარჯიშობენ და სახელს იხვეჭენ. მათ სახელს მთელი ევროპა იცნობს და იმეორებს, მაშინ, როცა ერობის „ადგილობრივ საქმეებზე“ მშრომელის სახელი და გვარი, ევროპისთვის კი არა, რუსეთისთვისაც და თვით მისი საკუთარი გუბერნიისათვისაც სრულიად უცნობი რჩება... ის კი არავის ახსოვს, რომ გლადსტონები, ბისმარკები და გამბეტები მარტო იმ ქვეყნებში დგებიან იმოდენა სიმაღლეზე, საცა მათამდინ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ერთ მოდგმას კი არა, ათასა და ოცს, თავ-უჩენელად, ზურგ-მოხრილად უშრომია სწორედ იმ წვრილმან „ადგილობრივ საქმეებზე“, რომელნიც ერობის სამკვიდრებელს და მოვალეობას შეადგენენ...

რუსეთში ერობის უმეტესმა ნაწილმა იუკადრისა ეს წვრილმანი და თავ-უჩენელი შრომა ადგილობრივ საჭიროებისათვის. ეს ნაწილი წამის-წამ ცდილობდა იმ ზღუდეზე გადამხდარიყო,

რომელიც კანონმა ერობას შემოავლო, და, თავისი საკუთარი საქმის გარიგების მაგიერ, ცდილობდა ხელი მოებღაუჭნა ისეთ კითხვებისთვის, რომელნიც ადგილობრივ საჭიროებას კი არა, მთელი სამეფოს მართვას შეეხებოდნენ. ამ უბედური მიდრეკილებით მოხერხებულად ისარგებლეს ძველი წეს-წყობილების გულ-დაწყვეტილმა მეთაურებმა. უმაღლეს მთავრობას აუწყეს პოლიციის მოხელეებისგან გაზვიადებული ეჭვი, ვითომ ერობა ხალხის და ქვეყნის სარგებლობისთვის კი არ იბრძვის და შრომობს, ხალხისა და ხაზინის მძარცველებს კი არ ჰლაგმავს და სდევნის, თვით სახელმწიფო წესს უთხრის სამარესაო; მარტო პოლიციის მოხელეებისთვის კი არა, თვით სახელმწიფოსთვისაც კი სავნებიაო. ერთი სიტყვით, ამ გუბერნიებში ერობა თავის ქერქში ვერ მოთავსდა, თავის კანონიერ ასპარეზზე ვერ გამაგრდა, თავის-თავად ვერ გაძლიერდა, ხალხისთვის საკმაოდ სასარგებლო და საჭირო ვერ გახდა. უმეტეს ნაწილს თავის დროისას ამ გუბერნიების ერობა უფრო იმაში ატარებდა, რომ ხან ადგილობრივ ადმინისტრაციას, ხან სამოსწავლო უწყებას ედავებოდა, სხვა-და-სხვა უბრალო საგნებზე... ატყდა ერთი დაუბოლოვებელი ბრძოლა ერობასა და მართებლობას შუა, ორივე მხრისთვის მეტის მეტად საძნელო და სავნები. მის მაგიერ, რომ ორივეს ერთმანეთისთვის ხელი შეეწყო, და ორივეს თავ-თავის წრეში ერის სიკეთისთვის ეშრომა, მათი ძალა ამ ურთიერთშორის ბრძოლას მოუნდა, ყოვლად უსარგებლოდ ქვეყნისთვის. რასაკვირველია, ამ ბრძოლიდან რუსეთის ერობა გამარჯვებული ვერ გამოვიდოდა, უფრო მეტად იმის გამო, რომ მტკიცე ნიადაგზე ვერ იდგა, ერის ნდობა და გული მისკენ არ იყო, რადგანაც ერის წინ მას საკმაო, სასარგებლო სამსახური არ მიუძღოდა. ვიმეორებ, მეტად შესანიშნავი ისაა, რომ ყველგან, საცა ერობას ამგვარი სამსახური მიუძღვოდა, და საცა, ამისთანა შრომის მეოხებით, იმას ხალხის გული მოგებული ჰქონდა, მთავრობის პატივისცემაც მისკენ დარჩა. საცა კი, ერის რეალური სკეთის ძიების მაგიერ, ერობა „რეჩების“ რახა-რუხში ატარებდა დროს,

საქმის კეთებას არ კადრულობდა და მუდამ იმასა ჩიოდა „საკმაო უფლება არ გვაქვსო“, ხალხიც გულ-გრილად დარჩა იმაზე და მთავრობაც მრისხანედ. ჩივილით და ტირილით აბა სად რა გაკეთებულა, რომ ერობას შველებოდეს? უფლების გადიდების გზა მარტო ერთად-ერთია დედა-მიწაზე: ნაშოვნს მიწაში ნუ ჩაფლავ, აწარმოვე, რაც გქონდეს, და ნიადაგ ზრდაში იქნება, ის თვითონ დაბადავს და შეგძენს ახალ-ახალ უფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი—სახარების იგავის არ იყოს—რაც მოგცემია, ისიც ხელში შემოგადნება და ან გაგიყალბდება. რუსეთშიაც ერობას სწორედ ასე დაემართა: რაც მინიჭებული ჰქონდა, ის ვერ დაისაკუთრა, თავისად ვერ აქცია, წაურთმევლად ვერ გაზარდა, და ისევ სხვისას გამოენავარდა. „ქორო, დიდისა მდევარო, ბევრჯელ დარჩები მშიერი“, იმისი არ იყოს, ერობასაც ის უბედურება დაემართა, რომ მთავრობამ მისი უწინდელი წესდება შესცვალა. რაც ერობას უწინ უფლება ჰქონდა, სულ ერთიანად გაუნახევრეს. ზოგში განახევრებაც კი არ დააჯერეს, თორემ განახევრებაზე ვინღა იდარდებდა...

ახალი „ერობის წესდება“ ბევრად უფრო „ვიწროა“, ერობისთვის, ვიდრე ძველი, 1864-წლისა. ვინ იცის, იქნება ის მით უფრო გამოსადეგი შეიქმნეს რუსეთისთვის. საკუთრივ ჩვენთვის კი ის დიდ სარგებლობას წარმოადგენს. სრული ბავშვობა იქნება ვინმემ მისი ნაკლულევანების ჩამოთვლა რომ დაიწყოს, ან სხვა, უფრო უნაკლულო დედანთან შედარება. მასთან შესადარებლად ჩვენ—და ყოველ გონიერ ადამიანს—მარტო ერთი რამ გვაბადია: ეხლანდელი ჩვენი წესი. აი, ამ წესთან, ამ მდგომარეობასთან შედარებით, „ერობის წესდება“ დიდ და უდავო წარმატებას წარმოადგენს. მაშასადამე, შეუძლებელია არ დაეთანხმოს კაცი თ. გიორგი თუმანიშვილის წინადადებას, და მასთან ერთად არა სთქვას, რომ ეხლანდელი ერობის წესდება, რაგინდ ნაკლულევანებიანი იყოს, ჩვენთვის მაინც სასიკეთო იქნება.

ეხლანდელი ჩვენი მდგომარეობა იმ სურათს წარმოგვიდგენს, რომ პოლიცია უწინდებურად მართავს ჩვენი ცხოვრე-

ბის ყველა მხარეებს, სკოლისა და სამართლის გარდა. არც ის უნდა დავივიწყოთ ამასთანავე, რომ რაც სკოლასა და სამართლის საქმეებში ხარჯის ანგარიშს შეეხება, ის ეხლაც პოლიციის ხელშია ჩვენში, აგრეთვე როგორც უმთავრესი ნაწილი თვით სამართლისა—გლეხების დასჯა და ურთი-ერთ შუა გასამართლება. მთელ კავკასიაში იკრიბება და იხარჯება შვიდ მილიონ მანეთზე მეტი ადგილობრივი გადასახადი. აქედან, ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც, ესე იგი ორ-მილიონ ნახევარი მანეთი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში იკრიბება და ნაწილდება „ადგილობრივ საჭიროების“ დასაკმაყოფილებლად. უეჭველია, რომ ერთი ნაწილი ამ ფულისა ისეთ საჭიროებას აკმაყოფილებს, რომლის აღნიშვნა და შემოსაზღვრა ყოველთვის მთავრობის ხელში ყოფილა და იქნება. მაგრამ დანარჩენ—და უმეტეს ნაწილს—ამ გადასახადისას მთავრობა ეხლაც ისეთ საჭიროებებს ახმარებს, როგორც „ადგილობრივი“ გზები, ხიდები, სამკურნალო, ფოშტის სტანციები და სხვ. და სხვ. ვინ უფრო კარგად უნდა იცოდეს ადგილობრივ მცხოვრებელს სად როგორი გზა ან ხიდი სჭირია, ან რა სხვა საჭიროება აქვს, რა გასაჭირი ელის,—თვით ამ მცხოვრებელმა, თუ პოლიციის მოხელემ? ვის უფრო ნამდვილად, ვის უფრო ღრმად უნდა ეწვოდეს გული ამგვარ საჭიროებისათვის, ამ პოლიციის მოხელეს, ვინ იცის საიდან და რამდენი ხნით მოსულს მისთვის უცხო მაზრაში, თუ ამ მაზრის მკვიდრს, რომელიც ცოცხალიც ამ მაზრაშია, და მკვდარიც შიგვე დარჩება? საქმე სულ ამ კითხვაშია. დღეს რაც ჩვენს მხარეს საჭიროება თუ გასაჭირი აქვს რამე, ამ საჭიროებას და გასაჭირს საკმაო და ჯეროვნულად ვერ უვლის ეხლანდელი წესი, ეხლანდელი პოლიცია. გულითადი სურვილი რომ ჰქონდეს კიდეც მას მოვლისა, **არ შეუძლია მთავრობას**, რადგანაც იმას არც დრო და ცოდნა აქვს ამისთვის საჭირო, არც საკმაო საშუალებას აძლევს მას ეხლანდელი წესი. ერობა რომ ადგილობრივი მცხოვრებლების ხელში იყოს, დრო და ცოდნა მას, რასაკვირველია, არ დააკლდება და საშუალება კი ბევრად გაუმრავლდება. ერობა

არა გვაქვს-და, რამდენიმე მაზრის თავად-აზნაურობამ ან გლეხკაცობამ საკუთარის სურვილით და ნებით კიდეც დაიბეგრა თავი: ზოგან—სკოლების დასაარსებლად, ზოგან—გზის გასაკეთებლად, ზოგან—წყლის გასაყვანად, და სხვ. და სხვ... როცა ჩვენს მაზრებს საკუთარი თვით-მმართველობა ექნებათ, ვინ იცის, იქნება საერთო გასაჭირზე დაფიქრებამ იმათ შემოსავლის ახალ-ახალი წყაროების გაჩენა მოანდომოს ან მოახერხებინოს? განა რუსეთში, ერობის დაარსების დროს, ერობას იმდენი შემოსავალი ჰქონდა, რამდენიც დღესა აქვს? რამდენი ახალი წყაროები ამოიჩინა იმან თვითონ, რამდენად გაიმრავლა—ხალხის დაუჩაგვრელად—ხალხის დაშველების ღონისძიება, ვინ ჩამოთვლის? რამდენჯელ ნაყოფიანად იშუამდგომლა ერობამ მთავრობის წინაშე ისეთ შეღავათზე, ან დახმარებაზე, ან უპირატესობაზე თუ კანონის სიმძიმის შეცვლაზე, რომელზედაც პოლიციის მოხელე დაფიქრებასაც კი ვერ გაბედავს?

ეხლა უცბად გადავათვალიეროთ თუნდ აი ეს მხარე საქმისა: რუსეთში რა გაარიგა, რა გააკეთა ერობამ ისეთი, რის ტოლსა და მსგავსს ხელსაც კი ვერ ახლებს, არა თუ ვერ გააკეთებს, ჩვენებური პოლიცია? ამისი გასინჯვა ნათლად დაგვანახვებს ჩვენი დაქვეითების **უმთავრესს** მიზეზს: წარმატების ორგანო გვაკლია, ისეთი ორგანო, ურომლოდაც ეხლანდელ დროში ვეც ერთი მხარე და ხალხი წინ ველარ წავა..

ერობის წრე და დანიშნულება ბევრად ჩამოგავს საქალაქო თვით-მმართველობისას, რომელიც ჩვენებურ მკითხველს გაცნობილი აქვს. როგორც ქალაქს, ისე ერობასაც ზოგი **სავალდებულო ხარჯი** აწევს კისერზე. ამ ვალდებულობას ყველა ერობა, რასაკვირველია, ბეჯითად იხდის და ასრულებს. ღირსებად ეს იმას არც კი ჩაეთვლება, რადგანაც, რომ არ ასრულებდეს, ძალასაც დაატანდნენ. ჩვენთვის უფრო საგულისხმო ის შრომა და ხარჯია, რომელიც ერობის სავალდებულოდ არ ითვლება კანონისგან. ავიღოთ, მაგალითად, სკოლისა და სწავლის საქმე. რომელი გუბერნიაც კი აიღოს კაცმა, ყოველგან გამოჩნდება, რომ ერობას ერთი ოთხად, ერთი ხუთად და ზო-

ვან ერთი ათადაც კი გაუმრავლებია, თავის ხარჯზე, სკოლე-ბის და მოსწავლეების რიცხვი. ერობამდინ, პერმის გუბერნიაში მარტო 188 სკოლა ირიცხებოდა—ღმერთმა იცის როგორი—და 1888-ში კი, ერობის წყალობით, 930; ორელის გუბერნიაში იყო ერობამდინ 162, და ერობის ხელშია ეხლა—520; ხერსონისაში იყო 396 სკოლა, არის ეხლა—525; მოსკოვისაში იყო 268, არის — 741; სამარისაში იყო 216, არის — 836, და სხვ. და სხვ. ერობამდინ სკოლებში დაიარებოდა ორელის გუბერ-ნიაში 8.034 მოსწავლე; ამ ათიოდე წლის წინად, 1885 თუ 1886-ში ამავე გუბერნიის ერობამ მიიზიდა თავის სკოლებში 36.850 მოსწავლე. ხერსონის გუბერნიაში ერობამდინ სწავ-ლობდა 17.628 შაგირდი, ერობის ხელში კი მათი რიცხვი 40.597-მდე ავიდა. მოსკოვის გუბერნიაში სწავლობდა 9.411 შაგირდი, ერობის ხელში სწავლობს 49.340. პერმის გუბერნია-ში სკოლებში დაიარებოდა 9.238 მოსწავლე, ერობის სკოლებში კი 63.129 ბავშვი სწვლობს, და სხვ. და სხვ. ამ ციფირებით კი-დევე არ იხატება საქმის გარემოება. შესადარებლად კაცმა სკო-ლის საქმე რომ აიღოს თვით სატახტო ქალაქისა, პეტერბუ-რგისა, სადაც სკოლა ბევრად უკედაა დაყენებული, ვინემ ყვე-ლა სხვა რუსეთის ქალაქებში—ჩვენები, ხომ, რა სახსენებე-ლია—გამოჩნდება, რომ, საზოგადოდ, ერობას უკედ დაუყენე-ბია სკოლის საქმე, და უფრო მეტი რიცხვისთვის მიუცია სწა-ვლა, ვიდრე სატახტო ქალაქს. მართლაც, პეტერბურგში ერთი შაგირდი ითვლება ყოველ 72 მცხოვრებზე. ერობას კი საქმე იმდონად აუმაღლებია, რომ ერთს მაზრაში ერობა თავის სკო-ლებში ზრდის თითო შაგირდს ყოველ 20 მცხოვრებზე, თო-თხმეტს მაზრაში თითოს ყოველ ოც და ათს სულზე, ორ-მოც და ათ მაზრაში თითო ბავშვს ყოველ ორმოც სულზე, ოც და თხუთმეტ მაზრაში თითოს ორმოც და ათ სულზე, ოც და შვიდ მაზრაში თითოს სამოც სულზე და თოთხ-მეტს მაზრაში—თითოს სამოც და ათ სულზე. ყველა ეს ჩამოთვლილი მაზრები, საცა მცხოვრებლების რიცხვთან შე-დარებით უფრო მეტი ყმაწვილი სწავლობს, ვიდრე სატახტო

ქალაქში, შეადგენენ შვიდ-მერვედს (88%) რუსეთის ერობისას. ყველა რვა ერობიან მაზრებში მარტო ერთშია სკოლის საქმე პეტერბურგზე უფრო სუსტად დაყენებული. დანარჩენ შვიდ მაზრაში კი ბევრად უფრო დიდია შეგირდების რიცხვი—ხალხის დაგვარად—ვიდრე რუსეთის სატახტო ქალაქში! არც ეს შედარება აგვიხსნის, ხეირიანად, საქმის დაწინაურებას. ქალები რომ არ იანგარიშოს კაცმა, და მარტო ვაჟები დაითვალოს, გამოჩნდება, რომ რუსეთის ერობა ამ შვიდი წლის წინად თავის სკოლებში ასწავლიდა თითქმის **ოთხს-მეხუთედს** (ან 80%) ყველა ყმაწვილებისას, მამრობითი სქესისას. როგორც ხედავთ, მარტო ერთი ნაბიჯი დაჰკლებია იმას სრულ წარმატებამდინ, ესე იგი ერთიანად ყველა ყმაწვილების მიზიდვამდინ საერობო სკოლაში. მერე, ხომ, მარტო ქალების აღზრდა დაურჩება ვალად.

რაღა თქმა უნდა, რომ საერობო სკოლაში ბავშვები ბევრად უფრო კარგად სწავლობენ, და ათასჯერ უფრო მეტს შემწეობას იღებენ ერობისგან, წიგნებით, რვეულებით თუ სხვა სამოსწავლო მასალებით, ვიდრე ერობამდინ დაარსებულ სკოლებში ღებულობდნენ პოლიციიდან. ნუ დავივიწყებთ, აგრეთვე, რომ ეს ბრწყინვალე მდგომარეობა სკოლის საქმისა მოახერხა და დააარსა ერობამ თითქმის შეუწყვეტელი ბრძოლისა და ომის დროს სამოსწავლო უწყებასთან. რამოდენად უფრო სახეირო და ბრწყინვალე იქნებოდა მისი მოქმედება ამ ასპარეზზე, ბრძოლა და ვაი-ვაგლახის მაგიერ თანხმობა და ერთაზრობა რომ გამართულიყო ორივე უწყებას შუა, ეს ყველასთვის ადვილად წარმოსადგენი უნდა იყოს...

მეორე, უფრო მძიმე, შრომა ერობისა **ხალხის ჯანმრთელობას** შეეხება. ამ საგანზე ერობამდინ თითქმის სრულიადაც არ იყო მიქცეული არავის ყურადღება. აი, სწორედ ისე, როგორც დღეს ჩვენშია, ხალხი ავად-ხდებოდა, ან კვდებოდა „ღვთის ნებით" და მარჩიელის წყალობით. არა თუ ცალკე პირებს ან სოფლებს თითქმის არავითარი საექიმო შემწეობა არ ეღირსებოდა მთავრობისა და საზოგადოების მხრით, ხშირად

ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ მთელს მაზრას გადამდები სენი მოედებოდა და ამოჟლეტდა, სანამ მას ექიმი და წამალი მიეშველებოდა. როგორც ეხლაა ჩვენში, 1868-მდე რუსეთში ერობის შემოსავლიდან, პოლიციის ხელში, თითო თუმანზე, ბევრი, ბევრი, თუ სამი აბაზი იხარჯებოდა საექიმო ნაწილისთვის. ისიც იხარჯებოდა—როგორც ჩვენში—უფრო მაზრის ექიმის ჯამაგირად, ისეთი ექიმის, რომელიც უფრო სამართალს ემსახურება, ვიდრე ხალხს სწამლობს. ოცი წლის შემდეგ კი, ერობის წყალობით, ხალხის ჯანმრთელობის დასაცველად იხარჯება, ერთი-მეორეზე რომ იანგარიშოს ადამიანმა, თითქმის მეოთხედი ნაწილი ყველა ერობის შემოსავლისა. ზოგიერთი ერობა კი ამ საგანს ანდომებს მესამედს და ორ-მეხუთედს თავის ხარჯისას. ერთობ შორს გაგვიტაცებდა იმის დასურათება, თუ რა სიმაღლეზე დაუყენებია ზოგიერთ ერობას „ერობის მედიცინა", რა ნიჭიერი და თავგამომეტებული ექიმები აურჩევია, რა მუქთი სამკურნალოები თუ აფთიაქები გაუმართავს და სხვ. და სხვ. ერობის ექიმებმა ეხლანდელ მეცნიერებაში დიდ-ძალი სინათლე და ცოდნა შეიტანეს, გამოკრებილი ხალხის ცხოვრების ახლოდ გაცნობისაგან. დღეს, ექიმებს და მეცნიერებს შუა, „ერობის ექიმი" დიდად პატივცემული ხარისხია, და თვით ხალხიც მიეჩვია მის პატივისცემას, მის რჩევის ასრულებას, მასთან გასაჭირში მისვლას და ექიმობას. იმის გასაზომავად, თუ რა ძნელი იყო რუსეთის ხალხში ამ ნდობის დამსახურება და რამოდენა ნდობა შეუძენია ერობის ექიმებს, მოვიყვანთ, აგრედვე სამაგალითოდ, რამდენიმე ცნობას. ბერდიანის მაზრაში 1868-ში მარტო 8,399 კაცს მოუთხოვია და მიუღია შემწეობა ერობის ექიმისაგან; 1871-ში—17,683 კაცს, და 1886-ში კი—157,920. ნოვომოსკოვის მაზრაში 1874-ში მარტო 310 ადამიანს მიუმართავს ერობის ექიმისათვის; 1887-ში კი—39,192 კაცს. სარატოვის მაზრაში 1883-ში 47,589 კაცს მიეცა ექიმის შემწეობა, და 1887-ში კი—64,535. პსკოვის მაზრაში 1868-ში ერობამ საექიმო დახმარება 1,713 კაცს გაუწია, ოცი წლის შემდეგ კი,

1888-ში, 104,584. ეს ერთობ დიდ წარმატებას მოასწავებს არა თუ ერობის ზედ-მოქმედებისას, თვით ხალხის გონებრივ განვითარებისასაც. საკმაოა ამ ციფირებს შეადაროს კაცმა იმ ავადყოფების რიცხვი, რომელთაც შეელიან ჩვენებური „ერობის (თუ მაზრის) ექიმები“: მაშინ ყველასთვის ნათლად გამოჩნდება, თუ რამდენად საჭიროა ერობის შემოღება ჩვენში სხვაფრივ თუ არა, ხალხის, სოფლის ჯან-მრთელობის დასაცველად მაინც.

მესამე, აგრედვე შესამჩნევი, მხარე ერობის ზედმოქმედებისა, დაზღვევას (страхованіе) შეეხება. ეს საქმე სხვა-და-სხვა მაზრებში სხვა-და-სხვა ნაირადაა მოწყობილი. საერთო მიმართულება ისაა, რომ რაც შეიძლება უფრო მეტი მხარე გლეხის თუ მღვდლის, თუ აზნაურის ცხოვრებისა უზრუნველ ჰყოს ერობამ ცეცხლისგან, თუ სეტყვისგან, თუ ჭირისგან და ოხრებისაგან. ეს საქმე სწორედ იმგვარსავე საფუძველზეა დამყარებული, როგორც საურთიერთო დაზღვევა ცეცხლისაგან (ტფილისში და ქუთაისში ქალაქის მმართველობამ კიდეც შემოიღეს ეს ოპერაცია). რუსეთის ერობის უმეტესი ნაწილი ცდილობს, რამდენიც კი შეიძლება, გაავრცელოს საქმე, და **სავალდებულოდაც** გახადოს **ყველასთვის** მასში მონაწილეობის მიღება. მთავრობამ ზოგან ნება მისცა სავალდებულო გაეხადნათ ცეცხლისაგან სადგომების დაზღვევა. სხვა საგნების შესახებ კი— მაგალითად, ყანებისა და ვენახების დაზღვევა სეტყვისაგან, ანადა: პირუტყვისა—ჭირისაგან, ვენახებისა—ფილოქსერისაგან და სხვ. და სხვ.—მთავრობამ ერობას ნება მისცა მარტო ის მეპატრონენი უზრუნველ ჰყოს, რომელნიც თვითონ თავიანთი ნებით ისურვებენ ამ ხარჯის გაწევას. საყოველთაოდ კი ვალდებული არ გახადა ამგვარი ხარჯი, რის გამოისობით უზრუნველ-სამყოფ მამულს ან ქონებას ისე ძვირად უჯდება თავის დაცვა, რომ ბევრი როდი ვინ ახერხებს ამ სიკეთით და უფლებით ისარგებლოს. ამ ასპარეზზე ერობას დიდი გზა აქვს კიდევ გასასვლელი, და დიდ-ძალი სარგებლობის მოტანა შეეძლება, როცა მთავრობა საკმაო თავისუფლებას მისცემს. აქამდინ მართლა ძნელი იყო ამგვარი თავისუფლების მიცემა,

რადგან ერობას შეეძლო ნამეტნად შეეტოპა განსაცდელში, და მთავრობას კი სხვა საშუალება არა ჰქონდა-რა, მისი ასალაგმავი, თუ არა ერთიანად აღკრძალვა ოპერაციებისა. ამ ჟამად კი გამოცემულია ახალი კანონი, რომელიც საზოგადო ყველა უზრუნველ-მყოფელ საზოგადოებებს და ოპერაციებს მთავრობის კონტროლს უმორჩილებს. მაშ ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს, რომ ამ კანონის გამოცემის შემდეგ, რაკი მთავრობას ზედამხედველობის და ლაგმის ამოდების საშუალება მიეცა, ერობას აღარ აეკრძალება რიგიანი მიმართულება და სისრულე მისცეს დამწვრების, დასეტყვილის, ჭირით დახოცილის ზღვევას.—ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენში ეს საჭირო საქმე ყოვლად მოუხერხებელია, ერობის შემოღებამდინ, რადგანაც მაზრის პოლიცია სრულიად ვერ უპატრონებს ამგვარ დაწესებულებას. მის ხელში ვერც იხეირებს, ვერც კეთილად შეინახება... რუსეთში კი ერობამ მარტო ამ ზღვევის ოპერაციებით იმდენი ფული შეაგროვა, ისეთი სიმდიდრე შეიძინა,—რამდენიმე მილიონისა—რომ ზოგან არც კი იციან, ამოდენა ფულს რა უყონ, და ეხლა სხვა-და-სხვა ბანკების თუ წარმოების დასაარსებლად ხმარობენ შენაძენ ფულებს. ხალხის ქონებაც უზრუნველ-ყოფილია, და თან ახალი წყაროც იბადება ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამ სამი მხრით როდი თავდება ერობის მოქმედება. იმას მეოთხე მხარეც აქვს, არა ნაკლებ საჭირო: ერის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა.

ამ ასპარეზზე ზოგიერთი ერობა უფრო იმას ცდილობდა და ცდილობს, რომ გლეხ-კაცობას გაუადვილოს მიწის შეძენა. ეს საქმე მარტო გლეხისთვის კი არა არის გამოსადეგი, თითქმის იმდენადვე აზნაურობასაც ეხმარება, რომელსაც დღეს, მიწის გაყიდვა რომ დასჭირდება, მყიდველი არსაიდან არ ეკარება. ეს საქმე ტვერის ერობამ დაიწყო, 1875-ში, ცალკე თანხის დაარსებით, რომელიც დღეს ასი ათას მანეთზე მეტია. ერობა ამ თანხიდან გლეხებს სესხს აძლევს, ექვსი პროცენტის ანგარიშით. თორმეტი წლის განმავლობაში, ამ სეს-

ხების შემწეობით გლეხებმა შეიძინეს ოცი ათასი დესიატინა. თვით მმართველობისაგან „საგლეხო ბანკის“ დაარსების შემდეგაც ამ ერობის სესხს როდი დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და სარგებლობა ხალხისთვის. ბანკი მისდღეში არ აძლევს გლეხს იმოდენა სესხს, რამდენსაც გამყიდველი თხოულობს. რადგანაც ბანკი ფულს სრულიად არ აძლევს გლეხს, ამიტომ დანარჩენს, დანაკლისს, ერობა ადებს, და ამნაირად გლეხი მამულს უგროშოდაც იძენს. პსკოვის მაზრის ერობამ ამ მიზნით ცალკე ბანკიც გახსნა, საურთიერთო ნდობის საფუძველზე, რომელსაც სხვა ოპერაციებ შორის დავალებული აქვს კრედიტი გაუხსნას გლეხების ამხანაგობებს დ კერძო პირებს მიწების საყიდველად. ამ ბანკს გლეხებისთვის მიუცია სესხად მიწის შესაძენად 240,865 მანეთი. მისი ოპერაციები ამ ასპარეზზედ ნამეტნად გადიდდა მართებლობისგან „საგლეხო ბანკის“ გახსნის შემდეგ, რომლის დამხმარედ გახდა ერობის ბანკი.—მოსკოვის ერობამაც შემოიღო 1881-ში სესხის გაცემა გლეხებზე, მიწის შესაძენად. ხუთი წლის განმავლობაში, 1886-მდე, იმან გასცა სულ 54,492 მანეთი, რომლის შემწეობით ცხრამეტმა გლეხის საზოგადოებამ 2;479 დესიატინა შეიძინა. ამავე გზას დაადგა იაროსლავის, კოსტრომის, პოლტავის და ბევრი სხვა გუბერნიების ერობა. ამ გუბერნიაში 1886-ში საჯაროდ იყიდებოდა ბ. კოხანოვსკის მამული, რომლის მიწა ერთობ და აუცილებლად საჭირო იყო სოფ. ბესარაბოვკის უმიწა-წყალო გლეხებისათვის. გლეხებმა მაშინვე სახელმწიფო „საგლეხო ბანკს“ მიჰმართეს თხოვნით. მაგრამ საუბედუროდ ამ ბანკს წესდება ნებას არ აძლევს საჯარო ვაჭრობაში შესვლისას (торги). მაშინ პოლტავის საგუბერნიო ერობის მმართველობამ (управа) იყიდა ვაჭრობაზე ეს მამული 50,321 მანეთად, და მერე გლეხების სახელზე გადიტანა, „საგლეხო ბანკის“ შემწეობით. ამნაირადვე მოქმედობს ხარკოვის, ტავრიდის, პერმის და ბევრი სხვა ერობა. ვინ ჩამოსთვლის, რამდენ მოსახლე გლეხს შეაძენინა ერობამ საჭირო მიწა-წყალი, რამდენ გაჭირვებულ მებატონეს მუშტარი უპოვნა, და რამდენი სარგებლობა თვითონაც შეიძინა... შესაძლოა ჩვენში

ამგვარი მოქმედება, ან ვინ აღირსებს ჩვენებურ გლეხს ამისთანა იაფს და კეთილს დახმარებას?

მეტად გრძელი იქნება შემდეგი ჩვენი სია იმ დახმარებისა, რომელიც ერობამ თვით მეურნეობას აღმოუჩინა რუსეთში.

ერობამ განსაკუთრებით იმ საგანს მიაქცია ყურადღება, რომ ხალხს არც საკმაო ხვადაგი ჰყავს (ცხენია, თუ ძროხა, თუ ხარი და სხვ.), არც ხეირიანი მოდგმისაა, რაცა ჰყავს. თვითეული ერობა ჯერ იმას აკვირდება, თუ მის მაზრაში რომელი ჯიში ცხოველისა უფრო გასძლებს და გამოდგება, მერე უცხოეთიდან იწერს ჩინებულ და შესაფერ მოზვრებს თუ ულაყებს, და სხვა და სხვა სოფლებში გააბარებს, ადგილობრივი ჯიშის „განსაკარგებლად". ზოგიერთმა ერობამ „ჯიშის განსაკარგებელი ადგილები" (случные пункты) გამართა, სწორედ ისეთები, როგორც სახელმწიფოს აქვს ჩვენში გამართული ჩვენებური ცხენის მოდგმის გასაუმჯობესებლად. სხვები მთავრობისაგან თხოულობენ, დროებით, ინგლისურ ულაყებს, და თავიანთი ხარჯით სოფლებში დაატარებენ: ყოველ გლეხს შეუძლია უფასოდ დაამაკებინოს თავისი ჰაკი-ცხენი. ზოგიერთ ერობას ისიც კი მოუქმედნია, რომ ინგლისიდან თუ ევროპიდან ჩინებული მოზვრები მოუყვანინებია, გასაქირავებლად, თუ მუქთად სათხოვებლად, ხან საჩუქრადაც და გასაყიდადაც. კარაჩევის ერობამ, სხვა ხვადაგს გარდა, წმინდა სისხლის ბერკშირის და იორკშირის ღორები გამოიწერა ინგლისიდან, გლეხების ფარების გასაუმჯობესებლად. ვიატკის საგუბერნიო ერობამ საერო ხარჯით უკეთესი (რომანოვის მოდგმის) ცხვრები გამოიწერა, თითო მაზრისთვის ოც და ათ ათი თავი, გუბერნიაში ცხვრის ფარების გასაუმჯობესებლად. ყველა ამ გვარ დახმარებას ვინ ჩამოსთვლის! ამასთანავე სახსენებელია ის დახმარებაც, რომელსაც ერობა ხალხს აძლევს ცხენის თუ ხვადაგის შესაძენად. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ შეძლებული გლეხი ერთიანად ღარიბდება მარტო იმიტომ, რომ ცხენი, ან ხარები ან ძროხა დაეხოცა და ახლის საყიდლად ფულს ვერ შოულობს. ერობა, თითქმის ყველგან, ამ შემთხვევებში სესხს

აძლევს მას, აგრეთვე ექვს პროცენტიანს, რომლის გადახდა გლეხს რამდენიმე წლით უნაწილდება. იმ მაზრებში, სადაც ერობამ ეს საქმე ყველაზე უფრო კარგად დააყენა, სულ სამასი, თუ ხუთასი თუმანი ჰყოფნის თურმე ამ დახმარების გასაწევად: წელიწადში მაზრაზე ამით ორასს გლეხს ეძლევა ცხენის შეძენის საშუალება! ხუმრობა საქმეა ეს, და ცოტა ხეირს მისცემს ხალხს ამგვარი დახმარება გაჭირვების დროს?

უფრო შესანიშნავი ის შემწეობაა, რომელსაც ერობა გლეხ-კაცობას აძლევს სამეურნეო იარაღის და მანქანების შესაძენად. ყველაზე უფრო რიგიანად დაყენებულია ეს საქმე ვიატკის გუბერნიაში, სადაც მაზრის ერობანი ამ საქმეს შეუდგნენ 1870 წლიდან. საგუბერნიო ერობა ამ საქმეში მარტო 1882-ში გაერია. იმან მაშინ სესხად დაუნიშნა თითო მაზრის ერობას ჯერ ათას-ათასი მანეთი, მერე სამ-სამი ათასი მანეთი. ამ ფულის შემწეობით, მარტო ექვსი წლის განმავლობაში, 1888-მდე, ერობამ გაავრცელა ხალხში 231 სალეწი მანქანა, 28 სანიავებელი, 4 სამკელი, 14 სათესი, 19 ფარცხი და 309 სახნისი (კავი, соха). გლაზოვის ერობა ამითაც არ დაკმაყოფილდა. იმან სესხის გაცემით და დახმარებით გამოიწვია ადგილობრივ კეთება გაუმჯობესებელი კავისა. მისი წყალობით ეს კავი ისე გაიაფდა, რომ დღეს მისი შეძენა უკანასკნელ ღარიბსაც კი აღარ უძნელდება თურმე. აგრეთვე გაიაფებულა თურმე ვიატკის გუბერნიაში გასანიავებელი მანქანები, რომლის კეთება გაუმართავს ერობას. ზოგიერთ ერობას მექარხნეებთან პირობა შეუკრავს მანქანების იაფ-ფასად და ნისიად საშოვნელად: ერობა შუამავალი და თავდები ხდება გლეხისა, რომელიც ორი-სამი ან ხუთი წლის განმავლობაში იხდის მაშინის ფასს. ადვილად წარმოიდგენს კაცი, რამოდენა სარგებლობას აძლევს ეს საქმე გლეხ-კაცობას. იმის გამოსაკვლევად კი, თუ თვითონ ერობა ამით რას ჰკარგავს ან რას იგებს — მოვიყვანთ ერთს მაგალითს. სმოლენსკის სამაზრო ერობამ გაიმართა მანქანების საწყობი (складъ). 1888-მდე საწყობმა ნაღდი მოგება მისცა 491 მანეთი. ამ წელშიც მოიგო კიდევ 282 მანეთი. ერობამ ამ მოგებას 1673

მანეთი დაუმატა; სერმიად, მოგებიანად, დადვა 2,546 მანეთი. ამ ფულით 1889-ში საწყობმა იყიდა 7,072 მანეთის მანქანა და კომისიით მიიღო 3,335 ისა. გაყიდა, წლის განმავლობაში, სულ 8,000 მანეთზე მეტის საღირალი მანქანები. მარტო ევროპული გუთანი მიჰყიდა საწყობმა გლეხებს 158. შესანიშნავია, ამასთანვე, რა სიჩქარით ვრცელდება ხალხში ხეირიანი იარაღი. ვოლოკოლამის ერობამ გამოიწერა 1887-ში რამდენიმე ისეთი გუთანი, რომელსაც მარტო ერთი ცხენი სჭირია. ამ გუთნის გასავრცელებლად იმას სულ ასი თუმანი გადაედო. იმავ წელიწადში გლეხებმა შეიძინეს მისგან 236 გუთანი. შემდეგ წელიწადში იმავე ერობამ ოთხასი ამგვარი გუთანი გაასაღა. მოსკოვის სამაზრო ერობამ 1887-ში ოც და თოთხმეტი გუთანი იყიდა და გლეხებს მუქთად ათხოვა, სასინჯად, ორ-ორი თითო სოფლის საზოგადოებას. ამ მაგალითის წყალობით გლეხებმა ნაღდ ფულზე იყიდეს 1887-ში თვრამეტი გუთანი და შემდეგ 1888-ში—სამას ოც და თექვსმეტი! რადგან ამგვარივე გასავალი სხვა მაზრებშიაც იქონია ხეირიანმა მანქანებმა, მოსკოვის საგუბერნიო ერობამ 1887-ში სამი ათასი მანეთი გადადო სერმიად, ხალხში გაუმჯობესებული იარაღების და მანქანების გასავრცელებლად. ეს ფული ერობამ ისე გონიერად დაატრიალა, რომ იმ წელიწადშივე 776 გუთანი გაასაღა გლეხობაში. შემდეგ 1888-ში იმავე ერობამ ამ საგნისთვის ათასი თუმანი გადადო და სოფლებში ყოველნაირი სამეურნეო მანქანების კატალოგები დაარიგა; ვის რომელი გსურს გიყიდოთ და ნისიად მოგცეთ, იმ პირობით, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მისი ფასი წვრილ-წვრილად გადამიხადოთო? დღეს თითქმის ყველა ერობანი ამ საქმეს დიდი ხეირით აწარმოებენ.

ამასთან ერთად ერობა ყოველგან დიდ მეცადინეობას იჩენს იმაზედ, რომ ხალხში საუკეთესო თესლეულობა გაავრცელოს. ზოგიერთი ერობა უცხოეთიდან იწერს წარჩინებულ თესლს და მუქთად, სასინჯად, ურიგებს მსურველებს. ამრიგად რუსეთში გავრცელდა სახელ-განთქმული ქერი „კენტი“, და ბევრი სხვა ჩინებული და ხვავიანი მოდგმა ხორბლისა. ჩებოკ-

სარისა და სვიაჟის ერობამ უცხოეთიდან უმჯობესი სვიის, ან ფშალის (ХМѢЛЬ) ფესვები გამოიწერეს, პირველმა 17,800 ძირი და მეორემ 5,000 ძირი, და გლეხობას დაურიგეს. სხვაგან ერობამ თვითონ გაიმართა საგანგებო ყანები, ჩინებული თესლეულობის მოსაყვანად. ოხანის ერობა, და მისი მაგალითით ეხლა ბევრი სხვაც, ფოსფორიტებსაცავრცელებენ ხალხში, და სხვ: და სხვ. მთავრობამ, დაინახა თუ არა მოულოდნელი და სასწაულ-მომქმედი სარგებლობა ყველა ამგვარი დაწყებისა, მაშინვე სრული თანხმობა გამოიჩინა დახმარებოდა ერობას ამ მიმართულებაში. მართლაც, არც ერთი თხოვნა ერობისა ამ საგანზე არ დაუტოვებია იმას შეუსრულებლად.

იმ გუბერნიებში, სადაც ტყე არ მოიძიება, ერობა დიდ-შრომას სწევს ახალი ტყეების გაჩენაზე. ზოგი პრემიებს აძლევს ყველა იმ მიწის მეპატრონეს, ვინც ტყეს რგავს, ზოგი პირდაპირ ფულით ეწევა და სხვ. ერობის უმეტესმა ნაწილმა კი ამ ადგილებში უფრო ის საშუალება ირჩია, რომ თვითონ სთესს ტყის ხეებს, და მსურველს მუქთად ურიგებს ახალ-ამოსულ ნერგებს. ბედრიანსკის ერობამ ამნაირად 1886-ში 180,000 ნერგი დაურიგა ხალხს, მუქთად, მათ შორის ბევრი ხეხილიც იყო. ოხანის ერობამ (პერმის გუბერნიაში) სამი ამგვარი სათესი გაიმართა, ნერგების გასავრცელებლად, და სხვ. და სხვ.

ამასთან ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ერობამ მოისაზრა დაეკავშირებინა სასოფლო სკოლის საქმე მეურნეობის შესწავლასთან. მისი აზრით და მეცადინეობით სასოფლო სკოლებთან ბაღები და ყანები გაიმართა, ხალხში ახალი ცოდნის და სწავლის გასავრცელებლად მეურნეობის შესახებ. ამ ბაღებში თითქმის ყოველგან ბავშვებს ფუტკრის მოვლასაც ასწავლიან, ზოგან ყველის კეთებასაც და, სადაც ჰავა ნებას აძლევს, აბრეშუმის მოყვანასაც. მცოდნე დამკვირვებლები ამბობენ, ლამის ერთიანად შესცვალოს რუსეთის მეურნეობის სურათი დ̃ მდგომარეობა ერობის ამნაირმა შრომამ და ხელმძღვანელობამო. ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩვენს მეურნეობას, ჩვენს წარმოებას, ამგვარი ხელმძღვანელი და დამხმარე აკლია და ეკლება, სანამ ერობის თვით-მმართველობა ჩვენც არ გვეღირსება.

რასაკვირველია, ამასთან ერობამ განსაკუთრებული ყურადღება იმასაც მიაქცია, რომ სამაგალითო და სასინჯი ფერმები, ყანები, სამეურნეო სასწავლებლები და სხვ. ამგვარი დაწესებულებანი გაემართა ხალხში ცოდნის გასავრცელებლად. ერთობ შორს გაგვიტაცებდა ყველა ამგვარი დაწესებულების ჩამოთვლა. საკმაოა ვთქვათ, რომ უკანასკნელ წლებში ერთი ერობაც კი არ დარჩენილა ისეთი, რომ ამ მიმართულებით არ იყოს გამსჭვალული. საქმე იქამდინ გაზვიადდა და მეურნეობის დახმარებამ იმოდენად დიდი ადგილი დაიკავა ერობის მოქმედობაში, რომ თითქმის ყველგან საჭირო შეიქმნა ახალი თანამდებობის გაჩენა: სააგრონომიო ზედამხედველისა (агрономическій смотритель). ამ ზედამხედველებს ერობა, ჯამაგირსა და გაწყობილების (ბიბლიოთეკის, მიკროსკოპების, ქიმიური ლაბორატორიის, გეოდეზიური იარაღის) გარდა, წელიწადში ოც თუ ოც და ათ თუმანს აძლევს ახალ-ახალი თესლეულობის და იარაღის სასინჯავად და სხვ. თითო ზედამხედველს თავის რაიონი ენიშნება. დროგამოშვებით ზედამხედველები ერთად იკრიბებიან, და ერთმანეთის დახმარებით სჯიან საქმის მდგომარეობის შესახებ (агрономическіе съѣзды). ამ თანამდებობამ ისეთი სარგებლობა ამოუჩინა ერობასა და ხალხს, რომ დღეს თითქმის ყველა საერო მაზრებში გავრცელდა მისი მოქმედება.

ერობამ აგრედვე მრეწველობასაც ყურადღება მიაქცია, განსაკუთრებით (ჯერ-ჯერობით) მარტო ადგილობრივს, წვრილმანს (кустарная промышленность). სადაც კი ხალხი უწინ რამე ხელობას ადგა შინაობაში, ერობამ ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ ამ ხელობისთვის სამაგალითო სახელოსნო შკოლა ან ქარხანა გაემართა, გაუმჯობესებული იარაღები ეშოვნა უცხოეთიდან, ანა-და იაფ ფასად დაესვა მასალა, და საწყობები თუ გამოფენები გაემართა, ნაწარმოების გასავრცელებლად და გასასაღებლად. ბაწრის ხელობას სავარცხლებისას, ფისის გამოხდას, კრუჟოვების ქსოვას და სხვ. და სხვ. ერობამ ყოველგან ფრთები შეასხა, და მით ხალხს საშუალება მისცა შემოსავლის და მოგების გამრავლებისა. ბევრ ადგილას

ერობამ ახალ-ახალი წარმოებაც კი დააარსა შინაურობაში: მაგალითად—ზოგიერთი სამეურნეო მაშინების კეთებისა, ბადეების ქსოვისა და სხვ. და სხვ. ზოგან ერობამ ისიც მოახერხა, რომ მთავრობას სთხოვა—პირდაპირ მიაღებინე ინტენდანსტვოს სალდათების წაღები ჩვენი სოფლელი ხარაზებისაგანო, ეს მაგალითი მოახდინა ნოვოოსკოლის ერობამ (კურსკის გუბერნიაში), რომელმაც 1887-ში ინტენდანტსტვოსაგან 5,000 წყვილი წაღა აიღო ნარდად თავის „კუსტარებისთვის". ერთი წლის შემდეგ, 1888-ში კი 16,000 წყვილ წაღაზე შეურიგდა, და სხვ. ამ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა ერობა სამხედრო მთავრობას პირდაპირ აძლევს ხორბალს თუ ფქვილს, იმ ფასად, როგორც ინტენდანტსტვო ვაჭრებისგან იღებდა ხოლმე აქამდინ. მათი მოგება ეხლა თვით მწარმოებელს რჩება ჯიბეში.

ამავე მრეწველობის დასახმარებლად ერობამ საჭიროდ დაინახა დაეარსებინა სხვა-და-სხვა გვარი ბანკები თუ კასები, იაფი კრედიტის მისაცემად მწარმოებელისათვის. ბევრი სინჯვის და ძებნის შემდეგ პერმის საგუბერნიო ერობამ მოიგონა და გამართა „Кустарно-промышленный Банкъ Пермскаго губернскаго земства", რომელსაც თანხად 50,000 მანეთი მიეცა და ნება დაერთო ივალოს მთავრობისაგან თუ ერობისგან 500,000 მანეთი. თვითონ შინაგან საქმეთა მინისტრმა, გრ. ტოლსტოიმ 6 სექტემბერს 1888 წ. ცალკე ცირკულიარით გამოაცხადა, რომ მთავრობამ საკუთრივ ერობას უნდა მიანდოს ხალხის და მწარმოებლების განთავისუფლება მათი დამღუპველი „წურბელების" ხელიდანო...

საკუთრივ კრედიტის საქმეც პირდაპირ ერობის მოვალეობას შეადგენს. საცა მშრომელს იაფ ფასად არ შეუძლია, საჭიროების, და მით უფრო გასაჭირის დროს, ფულის შოვნა, იქ შრომა შეუძლებელია და მშრომელი ფულის-პატრონის მოჯალაბედ ხდება. ერობამაც რუსეთში, ამის მიხედვით, ბევრგვარი კასა და ამხანაგობა, თუ ბანკი გამართა, და თითქმის ყოველგან „ფული გაიაფა". ერობამაც სინჯა—ჩვენში ერთ დროს მოდაში შემოსული—„გამსესხებელ-მსესხებელი ამხანა-

გობანი“, მაგრამ როგორც ჩვენში, რუსეთშიაც ეს ტიპი გამოუდეგარა შეიქნა. მარტო ორიოდე ადგილას, სადაც—როგორც პსკოვის მაზრაში—ერობამ ამხანაგობას მის მიერ ამორჩეული მზრნველი დაუყენა მმართველად, საქმე რიგიანად წავიდა და მართლა გაჭირვებულებს დახმარება გაუწია. სხვაგან კი ყოველგან ამგვარი ამხანაგობანი მარტო ადგილობრივ მდიდრებს თუ გამოადგა, სხვა არავის. უფრო იხეირა ერობისაგან დაწესებულმა „საურთიერთო კრედიტის ბანკებმა“, მაგრამ მათი წესდება საკმაო გარანტიას ვერ აძლევს ერობას, და ამის გამო ძლიერ ცოტა გამართულა ამ ტიპის დაწესებულება. უფრო მეტი ნაწილი ერობისა ამ უკანასკნელ წლებში იმ გზას დაადგა, რომ 1885-ში დამტკიცებული წესდება „სასოფლო ბანკისა“ მიიღო ყველამ საფუძვლად, და ამ ტიპის ბანკებს აარსებს, მაგრამ თვისი საკუთარი ხელმძღვანელობით.

ათასი სხვა დახმარება და სიკეთე მოუტანა ერობამ რუსეთის ხალხს და წარმოებას. მაგრამ ყველას აქ ვინ ჩამოსთვლის. აი, ამ საქმეებში მისთვის არასოდეს ხელი არ შეუშლია მთავრობას, და არც წარმოსადგენია, რომ შესაძლებელი იქნებოდა მისგან ხელის-შეშლა. ერის გამწარებულ მტრის მეტს ვის მოუვიდოდა ფიქრში ამ ნაირი შრომის წინააღმდეგობა? ამ გზას, სამწუხაროდ, რუსეთის ერობა მარტო ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დაადგა, და მარტო მას შემდეგ მისი მდგომარეობაც გაუმჯობესდა, მისი ძალაც გამრავლდა. თუ ღმერთმა ჰქნა და ჩვენც მოვესწარით იმ დღეს, როცა ერობა ჩვენს ხელში გადმოვა, უნდა ვისარგებლოთ რუსეთის გამოცდილებით. მის შეცდომას უნდა ავცილდეთ, და მთავრობასთან დავის მაგიერ, ნოყიერ შრომას უნდა შევუდგეთ ხალხის კეთილდღეობის მოსამატებლად...

ჩვენში ერობას, იმ საგნებს გარდა, რომელიც წინად ჩამოვთვალეთ, და რომელიც ყველა ჩვენც გვეჭირვება, ბევრი ისეთი საქმე ექნება, რომელსაც რუსეთში დიდი მნიშვნელობა როდი აქვს. მაგალითად, თუნდ გზისა და ხიდების საქმე ავიღოთ. ამ საგანზე რუსეთის ერობა თითქმის არაფერს ხარჯავს

და არ შრომობს, რადგანაც რუსეთი უშველებელი ტრიალი მინდორია, რომელზედაც ზამთარ-ზაფხულ უკეთებლადაც სადაც გინდა ჩინებული გზა დაგხვდება. აქა-იქ იშვიათ მდინარეებზე თუ გამართავს ერობა ან ხიდს, ან ბორანს, თორემ სხვა მეცადინეობა მას არც კი სჭირდება. ჩვენში კი სულ სხვა მდგომარეობაშია ეს საქმე. ჩვენი მთებისა და წყლების წყალობით, მწარმოებელს მოწეულის გასაღება უჭირს, და ნახევარზე მეტი მიწა დაუმუშავებელი გდია თურმე, მარტო ამავე მიზეზით, რომ მოსავალს ვერ ასაღებს კაცი. შუა რუსეთიდან მოტანილი ხორბალი და ფქვილი ჩვენში უფრო იაფად ჯდება დღეს, ვიდრე ჩვენი საკუთარი სოფლებიდან, რომელნიც სულ ბევრი, ბევრი, 50—60 ვერსით მოშორებულნი არიან რკინის გზიდან! აი რეალური გავლენა ერობის მოქმედებისა და გზების გამართვისა ხალხის ეკონომიაზე! ხშირად, რკინის გზის გვერდით, გაღმა, მთელი მაზრა ოხრად გდია ჩვენში, სწორედ იმავე მდგომარეობაში, როგორშიაც ამ ორმოცი წლის წინად ყოფილა, როცა მარტო საკუთარი საჭიროებისათვის, და არა გასაყიდად, მოჰყავდა კაცს მოსავალი. და გდია მარტო იმიტომ, რომ იმ მაზრას და რკინის გზას შუა, მდინარეზე, ხიდი არაა გადადებული. პატრონი არავინაა, რომ ეს ხიდი გამართოს, თუნდ ზედ გამსვლელს ფულიც ახდევინოს მერმე. ერობა რომ გვქონდეს, ამ მაზრებსაც მალე მოეფინებოდა ის სიკეთე და სიმდიდრე, რომელიც რკინის გზის ახლო-მახლო მდებარე სოფლებს ეღირსა ჩვენში, რადგანაც ერობა საჭირო ხიდებს და გზებს ადვილად გააკეთებდა ან გააკეთებინებდა ზოგს—მთავრობას, ზოგს—რკინის გზას, ზოგს—კერძო ამხანაგობებს. ამ საქმეს იმოდენად ფული არ უნდა, როგორც თავოსნობა და პატრონობა, წინამძღომლობა, უკან-დევნა... რუსეთის ერობამ ამნაირად ბევრი რკინის გზაც გააყვანინა მთავრობას და ზოგი თვითონაც გაიყვანა თავისი ხარჯით თუ გარანტიით...

მკითხველი იფიქრებს, ალბად: ეს ყველაფერი კარგი და ჩინებულია, მაგრამ ჩვენ იმდენი ფული ვინ მოგვცა, რომ ამოდენა საქმეები მოვახერხოთ. რუსეთი მდიდარია, ჩვენ კი... და სხვ...

ამას მარტო უცოდინარები იტყვიან. მთელი რუსეთის ერობა, იმ გუბერნიებში და მაზრებში, სადაც ერობა შემოღებულია (სულ 359 მაზრაში) ჰკრებს და ჰხარჯავს წელიწადში სულზე... აბა მიხვდით რამდენს? გაიხსენეთ, რა და რა ნაირ სარგებლობას თუ დახმარებას აძლევს ის ხალხს და ქვეყანას, და დაფიქრდით, როგორ გგონიათ, რა გადასახადს ახდევინებს, სამაგიეროდ, მცხოვრებლებს? მთელი დღე რომ იფიქროთ და იანგარიშოთ, ვერ მიხვდებით: რუსეთის ერობა ხალხს მარტო **თოთხმეტ შაურად** უზის სულზე. ერთი მეორეზე რომ კომლზე ხუთ-ხუთი სული ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ერობა კომლს მარტო სამ მანეთ ნახევარს ახდევინებს წელიწადში.—როგორც მოგეხსენებათ, ჩვენში, ეხლანდელი საკომლო გადასახადი (земскій сборъ) ბევრად უფრო მძიმეა ამ რაოდენობაზე, ის კი ყველასათვის ცხადია, მგონია, რომ რასაც რუსეთში ერობა **სამაგიეროდ** ხალხს სიკეთეს უშვრება, ის ჩვენ სრულებით ერთიანად გვაკლია.

ეს ყველაფერი სახეში უნდა ვიქონიოთ და მაშინ ყოველი მომხრე და მოსურნე ჩვენი ქვეყნის წარმატებისა ადვილად და ნათლად დაინახავს, რომ ჩვენში ერობის შემოღებაზე უფრო საჭირო და სახეირო საქმე არაფერი მოიძიება. მაშასადამე, თ. გიორგი თუმანიშვილის წინადადება ღირსია სრული თანაგრძნობისა და დახმარებისა ყველას მხრით, ვისაც კი ჩვენი ერის სიკეთე და ამაღლება სწამს ან უყვარს.

ნ. **ნიკოლაძე**

# ჩვენსა და სხვაგან

I. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების წლიური კრება. II. რა იხსნის თავად-აზნაურობას დაღუპვისაგან.

სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ორი საათი მაინც აწვალა ბატონმა თავ-მჯდომარემ და მას მხარის დამამშვენებელმა გამგე კომიტეტმა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების წლიური კრება და პასუხი ვერ გასცა ამ მარტივს კითხვაზედ: რამდენი ჰქონდა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას 1896 წლის განმავლობაში სახარჯოდ და რამდენი დახარჯა? იმის მაგივრად რომ პირდაპირ ეთქვათ: შემოსავალი ამდენია და გასავალი ამდენიო, ისინი... მაგრამ ისინი არა, რადგან ბატონი თავმჯდომარე სხვის ამოღებას არავის აცლიდა,—ხან დაბეჭდილ ანგარიშს ფურცლავდნენ, ხან ხელნაწერ ანგარიშებს ეძებდნენ, რაღასაც შეუსაბამოს ამბობდნენ და თავს იმითი მართლულობდნენ, რომ ეს დაბეჭდილი ანგარიში მთელი ჩვენი მოღვაწეობის ანგარიშია; რა მოგვაგონებდა, რომ სკოლის ანგარიშს ცალკე მოგვთხოვდითო. გამგე კომიტეტის მოღვაწეობის უმთავრესს საგანს იგივე სკოლა შეადგენს და რა საკვირველია, რომ საზოგადოებას სურვილი აღძროდა, გაეგო, ჰყოფნის თუ არა ბანკიდან გადადებული ფული იმ სკოლას, რომელშიაც იზრდებიან თავად-აზნაურთა შვილები. ეგ სურვილი სრულიად კანონიერიაო, უპასუხებდა ამაზედ საზოგადოებას ბ. თავმჯდომარე, რასაკვირველია, უნდა იცოდეთ რა აქვს და რა ეხარჯება თქვენს სკოლას და, გარწმუნებთ, ყველა ეგ ცნობები დაბეჭდილია ჩვენს ანგარიშში და, თუ ვერც თქვენ და ვერც ჩვენ ამ ან-

გარიშისა ვერა გაგვიგია-რა, ეგ ისევ თქვენი ბრალია და არა ჩვენი: თავს რაღაცა იტალიური ბუხჰალტერია შემოგვასხვიეთ, თქვე დალოცვილებო, და ახლა ჩვენზე გვენდურებით, რატომ გასაგებად არ არის ანგარიში შედგენილიო... ერთი სიტყვით, დამნაშავე ისევ ჩვენი «გაუნათლებელი» საზოგადოება გამოვიდა, რომელმაც იტალიური ბუხჰალტერია იუცხოვა და შეკვედრა კომიტეტს: იწამეთ ღმერთი და ერთი ქრისტიანულად გაგვაგებინეთ, რასაცა გკითხავთო. და ეს ქრისტიანულად გაგებინება იმდენად ძნელი რამ თურმე იყო, რომ ბ. თავმჯდომარე იძულებული იყო ნახევარ საათით კრება შეეწყვიტა, რომ იტალიური ბუჰხალტერიიდან ჩვენთვის გასაგები ცნობები ამოეკრიფა.

ზოგი ფაქტია, რომ თავის თავადვე შიგ ცხვირში სცემს მკითხველს და მის განმარტება და დასკვნის ძებნა ტყული წყალის ნაყვა იქნება. ამიტომ ანგარიშის შესახებ, რაცა ვთქვით, ისიცა კმარა და ახლა სხვა ვთქვათ.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების წესდებას სწორი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე წესდება საზოგადო კრების თავმჯდომარეობას გამგე კომიტეტის თავმჯდომარეს ავალებდეს. ერთობ მიღებულია და ფრიად საბუთიანადაც, რომ საზოგადო კრება თითონ ირჩევს თავის თავმჯდომარეს და გამგე კომიტეტის თავმჯდომარეს სიტყვა მარტო მაშინა აქვს, როდესაც კრების წევრთა კითხვას პასუხი უნდა გასცეს. რაც უნდა თავდაჭერილი და მიუდგომელი იყოს ადამიანი, თუ იგი კრების თავმჯდომარეც არის და ამასთან პასუხის-მგებელიც, როგორც გამგე კომიტეტის თავმჯდომარე, ან მის უმთავრესი მომქმედი პირი, იგი თავის-დაუნებურად მიდგომით ხასიათს მისცემს კრებას და, თუ გაჭირდა, პირში ბურთს ჩასჩრის არა-სასიამოვნო ორატორს. წესდების ძალით რომ თავმჯდომარედ გამგე კომიტეტის წევრი არ გამოჭიმულიყო, კრება, რასაკვირველია, ბოლომდე მოისმენდა ბ-ნი ი. რატიშვილის სიტყვას, რომელიც სწორედ იმ კითხვას მოჰფენდა ნათელს, რომლის ამოძებნა იტალიური ანგარიშიდან თვით შემდგენელთაც ვერ შესძლეს. და განა მარტო ბ. რატიშვილი? მთელს კრებაზე ბ.

თავმჯდომარის და თ. ივ. ჭავჭავაძის გარდა ხმის ამოღება ვერავინ მოახერხა. მერმისის საზოგადო კრების ორი კვირის წინ კი არა, თუნდა მთელი წლის წინად შევიტანდით ჩვენ გამგე კომიტეტში ჩვენს თხოვნას: წესდების მუხლი, რომლითაც თავმჯდომარე გამგე კომიტეტისა, ან მის ამხანაგი, ან უმფროსი წევრი უნდა იყოს საზოგადო კრების თავმჯდომარედაც, შეიცვალოს იმ გვარად, რომ საზოგადო კრება ყოველთვის თითონ ირჩევდეს თავის თავმჯდომარეს და ამასთან ისიც იყოს შენიშნული, რომ არც ერთს წევრს გამგე კომიტეტისას არ შეეძლოს თავმჯდომარედ იქნას არჩეული. მაშინ ბევრი წლევანდელი და შარშანდელი უსიამოვნობა ასცდება კრებას, რადგან ვეღარავინ იტყვის: «ბატონებო, რადგან თავმჯდომარე გამგე კომიტეტისა და მისი ამხანაგი შეუძლოდ ბრძანდებიან, მე უნდა ვიყო თქვენი თავმჯდომარეო.»

ანგარიშის 53, 54 გვ. მოყვანილია სკრის მამულის შემოსავალ-გასავალი, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდება: «გასავალი აღემატება შემოსავალს 5261 მან. და 17 კაპეიკით». ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ფულიდან, რომელიც გამგე კომიტეტს მიუღია ბანკიდან თავად-აზნაურთა შვილების აღსაზრდელად, დიაღ, იმ ფულიდან, რომელიც ძლივსა ჰყოფნის სკოლას, იმ ფულიდან 5261 მანეთი სკრის მამულზე დაუხარჯავს გამგე კომიტეტს, იმ იმედით, რასაკვირველია, რომ იქ ოდესმე სამეურნეო სკოლა უნდა გამართოს ჩვენმა თავად-აზნაურობამ. როდის იქნება ეს «ოდესმე», ალლახმა უწყის და თუნდა კიდეც მოხდეს შეუძლებელი და ხვალ სკრაში გამგე კომიტეტმა სამეურნეო სკოლის დაარსება მოინდომოს, სამირკველისათვის ალაგს გასთხრის მარტო და იმით გაათავებს; იმასაც ნიაღვარი ამოავსებს და დავრჩებით ცარიელი. იმავ თავითვე როგორღაც ვაქუცმაცებდით ჩვენს მოქმედებას და ეკონომიურ ღონისძიებას, მოქმედებით ყველგან და ყველა საქმეში ერთს და იმავე პირთ წავჩხირავდით და შეძლებითაც თუ ერთი-ორი გროში გაგვაჩნდა, გვეგონა ულეველი მადნები გვაქვს, ამით ქვეყანას გადავაბრუნებთო და ვურიგებდით, ვისაც კი თხოვნა არ ეზარებოდა: ეს გორის სკოლაო, ეს თელავისაო, ეს წყლის ამოსაყვანი მანქანა, რომელიც არავის უნახავს და რომელსაც არავის აჩვენებენო; ვინ მოსთვლის!?

ერთგან კი არა, ათგან დავიწყეთ შენობა და გათავებით კი ვერსად გავათავეთ და ვერც სადმე გავათავებთ. ცოტა გაგვაჩნდა თუ ბევრი, რომ მარტო ერთ საქმეზედ მოგვეხმარებინა და ბოლო გაგვედევნებინა, ესლა სათავად-აზნაურო სკოლა იქნება სრული გიმნაზია ყოფილიყო და ჩვენი მოზარდი თაობა, მეოთხე კლასიდან გამოსული, უგზოუკვლოდ ხეტიალს და უგზოობისა და უსაქმურობისა გამო გარყვნას ასცდენოდა. იმავ თავითვე ასე ვიქცევოდით და თუმცა სულ იმას გავიძახით, რაცა გვაქვს ერთს საქმეს მოვახმაროთო, მაინც ჩვენი მრავალსაქმიანობისათვის ვერ გვიმტყუნია, აქეთაც ვეწიდებით, იქითაც... და აქეთაც ვახდენთ და იქითაც. გამგე კომიტეტს, ვიდრე სკოლის მამულზედ დახარჯავდა რასმე იმ ფულიდან, რომლითაც იგი თავად-აზნაურთა მოსწავლე შვილებს უნდა ეხმარებოდეს, უნდა ეანგარიშნა, რამდენი წელიწადი და რამდენი ათასი თუმანი უნდა ჩაყაროს მან სკრის მამულში, რომ ამგვარად გაპატივებულმა და გაკეთებულმა მამულმა ბანკის ვალიც გადაიხადოს და გამგე კომიტეტისგან დახარჯული ფულის სარგებელიც მოსცეს. და ვიდრე ფულის რაოდენობის ანგარიშს შეუდგებოდა, უნდა გამოეკვლია, შეიძლება კი რომ ეს მოხერხდეს? შეიძლება განა, რომ სკრის მამულმა ვალიც გადაიხადოს და მის გასაუმჯობესებლად დახარჯული ფულის % მოიცეს? ჩვენ გვგონია, რომ ეს შეუძლებელია და სკრის მამულზედ დახარჯული ფული ტყუილ-უბრალოდ დაეკარგება ჩვენს თავად-აზნაურობას, რადგან ამ მამულს არც თავის თავის შენახვა შეუძლიან და არც მით უფრო ბანკის ვალის გადახდა. არ შეუძლიან და არც როდისმე შეიძლებს. მაშასადამე ის 5—6 ათასი მანეთი, რომელსაც გამგე კომიტეტი ყოველ წლივ სკოლას აკლებს და სკრას ანდომებს, სკოლისთვისაც დაკარგულია და სკრისთვისაც. ჩვენი დასკვნის გასაცრუებლად—შეიძლება ჩვენ კარგად არ ვიცნობდეთ სკრის მამულს და გამგე კომიტეტის წადილს ამ მამულის შესახებ და ამიტომ ვცდებოდეთ,—საჭიროა კომიტეტმა ციფრებით, უბრალოდ, ყველასათვის ადვილად გასაგები ენით, შეგვატყობინოს: რამდენი ხანი უნდა გავიდეს და რამდენი ათასი თუმანი უნდა დაიხარჯოს სკრის მამულზედ, რომ მან ბანკის ვალის გადახდაც შესძლოს ნელ-ნელა და თავიზედ დახარჯული ფულის სარგებელიც, თუნდა თავნის გადასდას თავი დავანებოთ, ვიდრე ბანკის ვალი გადახდილი იქნება.

სკრის მამულის გასავალი აღემატება შემოსავალს 5261 მანეთითაო, სწერენ ანგარიშში; დაგირავებული მამულის სვედრი შესატანი ვერ შეუტანიათ ბანკში, ალბად იმიტომ, რომ ბანკიც ჩვენია, მამულს ვერ გაგვიყიდისო და იმავე დროს საზოგადოების ნებადაურთველად სამს პარალელურ განყოფილებას მართავენ და მით ხარჯს ამრავლებენ. ამის წინააღმდეგი განა იქნება ვინმე? სწავლის მსურველნი იმდენი მიაწყდნენ სკოლას, რომ კომიტეტი იძულებული იყო საზოგადოებისაგან მინიჭებულ უფლებათა ზღუდე გაერღვია და საზოგადოების დაუკითხავად მოსამზადებელ კლასში პარალელური განყოფილებანი გაეხსნა და მით საშუალება მიეცა მსურველთათვის სწავლა შეეძინათ. განა ამის წინააღმდეგი იქნება ვინმე? არავინ, სრულიად არავინ, როდესაც ფული არის, ეს ფული ცოტაა თუ ბევრია კომიტეტის ხელში არის და ამასთან კომიტეტმაც და საზოგადოებამაც იცის რამდენი აქვს და რამდენის დახარჯვა შეუძლიან. ასე რომ ყოფილიყო, მაშინაც კი არ მოუთმენდა ამ საქციელს საზოგადოება და სამდურავს ეტყოდა: ფული არის, მაგრამ იქნება ჩვენ სხვაფრივ გვინდოდა მაგ ფულის მოხმარება: თქვენ ჩვენდა დაუკითხავად რად ხარჯავდითო? პარალელური განყოფილებანი სასარგებლო საქმეა, მაგრამ იქნება ჩვენ სხვა უფრო სასარგებლო საქმისთვის გვინდოდა ეგ ფულიო! ამ სამდურავს ეტყოდა და სრულიად საფუძვლიანიც იქნებოდა იგი. მით უფრო საფუძვლიანი უნდა იყოს ჩვენი სამდურავი კომიტეტისადმი, როდესაც იგი ჩვენდა დაუკითხავად ხარჯავს იმ ფულს, რომელიც ხელთ არა აქვს და რომლის რაოდენობისა არა იცის-რა, რადგან ეს ბანკის საქმეების ავ-კარგიანობაზედ არის დამოკიდებული, ბანკის საქმეების მსვლელობაზედ მომავალი წლის განმავლობაში. ხომ შეიძლება ბანკს მოგება არა ჰქონდეს-რა? მაშინ ხომ ვეღარც უკვე არსებულ კლასებს შეინახავს კომიტეტი და ვეღარც პარალელურს? ცუდი თავის გამართლებაა—კარგი მწადდა, ავი ხომ არა? ქვეყნის სიკეთე მინდოდა და იმიტომ მოვიქეცი ასეო. ვისაც კარგი სწადიან, ეცდება ქვეყანას თუ არა, იმ საზოგადოებას მაინც შეაგნებინოს ეს კარგი და სასარგებლო საქმე, რომელსაც იგი ემსახურება. შეაგნებინოს, და თვით საზოგადოება შესთხოვს, აბა, სიკეთე დაგვდე და ეგ საქმე გაგვირიგეო. საზოგადო მოღვა-

წის ვალდებულება ის არის, საზოგადოებას სიკეთე და სასარგებლო შეაგნებინოს და მით სასარგებლო ასპარეზზედ ამოქმედოს. ამორჩეულმა ამომრჩეველთა დაუკითხავად თვით სამოთხეშიც რომ შეიყვანოს იგინი, მაინც სამდურავს ეტყვიან, რადგან თავისუფალი ადამიანისათვის საქმე თვით-მსვლელობაა, თვით-მოქმედება და არა სხვისაგან ჩათრევა. «ახირებული პრეტენზიაა» თქვენმა მზემ, ჩემი ფულით ჩემს სიკეთეს ცდილობდეს ვინმე და მე კი არას მკითხავდეს: სულ ერთია, ვერ შეიგნებს, ბარემ ძალად გაცხონოვო!

მაგრამ ამ ძალად ცხონებას ერთი იმისთანა უკარგისი მხარე აქვს კერძოდ ამ შემთხვევაში, რომ არ შეგვიძლიან საზოგადოების ყურადღება არ მივაქციოთ ამ გარემოებასაც. გამგე კომიტეტი ბრძანებს, სკოლას ამდენი უნდა და ბევრიც რომ იფიცოს ბანკის გამგეობამ, მაგოდენს ვერ მოგცემთ, რადგან არა გვაქვს და არც გვექნებაო, კომიტეტი თავისას არ იშლის, საზოგადოების დაუკითხავად მეტს ხარჯავს, ვიდრე უფლება ჰქონდა და ფული ნებას აძლევდა; მეტს ხარჯავს არა მარტო სკოლაზედ, არამედ იმისთანა საქმეებზედაც, რომელთაც სკოლასთან ძალიან სუსტი დამოკიდებულება აქვთ. მაგ. სხვა-და-სხვა სასწავლებელში მოსწავლეთა დახმარებაზედ, რომელიც მარტო მაშინ უნდა იყოს, როდესაც თვით სკოლას არა აკლდება-რა. და როდესაც ბანკიდან გადადებული უკანასკნელ გროშამდე დაიხარჯება, და სკოლა კი თავის ხარჯს თხოულობს, ისევ ბანკს მიადგება: ფული! სკოლას ხომ ვერ დავკეტავთ! იმოდენა ბავშვებს შინ ხომ ვერ გავრეკავთო! რა ქნას მაშინ ბანკის გამგეობამ? უარი უთხრას? ასისინდებიან გესლის მთესველნი და ქვეყანას შესძრავენ: ვერა ხედავთ ჩვენს სკოლას რას უშვრებიანო? ერთად-ერთი სკოლა გვაქვს, სადაც ჩვენი, ყველა სხვა სასწავლებლებში დევნილი, შვილები, სწავლობენ და ლამის ისიც დაგვაკეტინონო! იმისთანებს იტყვიან ამ ტემაზედ, რომ სულ ცოფს აყრევინებენ მსმენელს: განსვენებულმა დიმიტრი ყიფიანმა მარტო იმ აზრით გახსნა ბანკი, რომ ჩვენი შვილებისთვის სწავლა-განათლების საღსარი აჩინა რამე და დღეს კი, დღევანდელი გამგენი... და სხ. და სხ. და სწორედ იმ დროს, როდესაც მთელს ჩვენს ძალ-ღონეს იმას უნდა ვახმარებდეთ, რომ აქამომდე არსებულს უთანხმოებას ბოლო მოვუღოთ და ძმურად შე-

თანხმებულნი შევუდგეთ ყოველ საზოგადო საქმეს, სწორედ ამ დროს გამგე კომიტეტი თავის-და უსებურად მზა-მზარეულ მასალას აძლევს იმათ, ვისთვისაც ან სასურველია, ან სასარგებლო ჩვენში უთანხმოების თესვა, რომელიც ერთ ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას სკოლის წინააღმდეგობას სწამებს და მით ერთმანეთს გვამძულებს.

—

უმაღლესად დამტკიცებულ კომისიას, რომელმაც უნდა გამოსძებნოს საშუალებანი თავად-აზნაურთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რუსეთის ყოველი მხრიდან მისდის სხვა-და-სხვა პროექტი. უპირველეს ყოვლისა ამ პროექტებში დაგირავებული მამულების გამოხსნა და სარგებლის შემცირება არის მოხსენებული. პეტერბურგის თავად-აზნაურობისაგან ამორჩეული კომისია თხოულობს: ნება გვქონდეს გაყიდული მამულები უკანვე დავიბრუნოთ; გაყრისა გამო მამულის გაწვრილმანებას სამზღვარი დაედოს; თავად-აზნაურთათვის ურთიერთ შორის დასახმარებელი კასსები დაარსდეს; სახლ-კარი და რაოდენიმე სახნავ-სათესი მიწები დადებულ იქმნას გაუყიდველად, რაც უნდა დიდი ვალი ჰქონდეს მის პატრონს; სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკისაგან საჯარო ვაჭრობით ნუღარ გაიყიდება თავად-აზნაურთა მამულები, არამედ მათი მოვლა და ხვედრი გარდასახადის შეტანა ბანკში მინდობილი ჰქონდეს თავად-აზნაურთაგან ამორჩეულს ამ მიზნით საოპეკო კომისიას; სააზნაურო მამულის უკან დასაბრუნებლად, თუ იგი არა-აზნაურის ხელში ჩავარდა, გაუქმებული იყოს ვადა, რომლის იქით ეხლანდელი კანონის ძალით პატრონს ნება აღარა აქვს მამული უკანვე დაიბრუნოს; ბანკის ვალზედ სარგებელი შემცირებულ იქმნას; შემოღებულ იქმნას ურთიერთშორის დაზღვევა ბანკში დაგირავებული მამულებისა; შემცირებულ იქმნას ჯარიმა ხვედრი გარდასახადის დროზედ შეუტანლობისათვის; სარგებლის შეტანა ბანკში ნახევარ წლის წინად კი არა, როგორც ეხლა არის, ყოველი ექვსი თვის გასულს იყოს; განთავისუფლებულ იყოს ბანკის მოვალე თავად-აზნაურობა ღერბის გარდასახადიდან როგორც სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკში, ისე ყველა სხვა ბანკებში; შემცირებულ იყოს გარდასახადი,

რომელსაც ბანკი იღებს მამულის საჯარო ვაჭრობით გასასყიდ სიის დაბეჭდვაში; შემცირებულ იყოს რკინის გზის ფასები შესახებ სოფ-ლის ნაწარმოების ზიდვისა.

და რადგან ბევრია რუსეთის იმპერიაში თავად-აზნაურობა, რო-მელთაც საკუთრება და მამული დღიურიც აღარსად გააჩნიათ და გა-ნათლებისა დაკვალად საკუთარი შრომით ცხოვრებენ სულ უბრალო ნოქრებიდან და ჩაფრებიდან დაწყებული, მაშასადამე, მათ ზემოდ მოყვა-ნილი საშუალებანი ვერაფერს დახმარებას გაუწევენ. ზოგი პროექ-ტი თხოულობს უმამულო თავად-აზნაურთ სახელმწიფო მამული მისცენ და ზედ დაასახლონ. ამისთანა მაგალითი უკვე ყოფილა 50 წლებში: მაშინ სამარის გუბერნიაში დაუსახლებიათ უმამულო აზნაურნი და სულზედ ასოცი დღის მიწა მიუციათ. ხეირიანად ვერავის მოუხმარია მაშინ ეს წყალობა, რადგან სრულიად გაუნათ-ლებელი, უცოდინარი ბრბო ყოფილა ეს სააზნაურო ახალ-შენი, რომლის ნახევარზე მეტს წერა-კითხვაც კი არა სცოდნია. ამი-ტომ ეს მაგალითი ამ საშუალების უსეირობას არ ამტკიცებს და რადგან მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო და ბევრი რამ შეიძინა თა-ვად-აზნაურობამ გონებრივ და ზნეობრივ მხრივ, დღეს ეს საღსა-რი დიდს სიკეთეს დასდებს ბოგანო აზნაურობასაო. სხვათა შო-რის იმისთანა აზრიც იყო გამოთქმული, რომ სახელმწიფოდ დარ-ჩეს იმ აზნაურთა მამული, რომელნიც ვალისაგან შევიწროვებულნი ვეღარც სარგებელს იხდიან და ვერც თითონა ცხოვრობენო; მამული სახელმწიფოდ დარჩეს და მას სამაგიეროდ აზნაურთ სახელმწიფო ხაზინიდან გადაკვეთილი რენტა ემლევოდეს, მაგალითად, დღიურზედ ორი და ათი მანეთი და სხვ. და სხვ. ზოგნი იმასაც კი თხოუ-ლობენ, რომ სახელმწიფო სამსახურში მარტო თავად-აზნაურნი უნ-და იქმნენ და სხვა არავინაო.

რას თხოულობს თავად-აზნაურობა? ისე მოაწყეთ საქმე, რომ მამა-პაპეული მამული ხელიდან არ გვეცლებოდეს, რადგან ეს მამული ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებულო-ბის სამირკველია და 2) ისე მოაწყეთ საქმე რომ ცხოვრებაში ისევ ძველი, პირველი ადგილი ჩვენ გვეჭიროსო. ამ თხოვნით თვითვე აღიარებს, რომ თუ მართებლობა არ შეეწია, იგი უკვე დაღუპულია,

როგორც ეკონომიურად, ისე ინტელექტურადაც....... ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული ცხოვრებით შექმნილი კულტურის მზიდველი აქამომდე მარტოდ-მარტო თავად-აზნაურობა იყო და თუ ეს წოდება დაიღუპა... დასკვნა ცხადია. მაგრამ რას უშველის ამ წოდებას მარტო ის საშუალებანი, რომელნიც ზემოდ აღვნიშნეთ? რამ დაღუპა ეს მართლა-და მოწინავე წოდება, რომ დღეს მართებლობას შესთხოვს: დამეხმარე, თორემ ვიღუპებიო. სუყველა მიზეზი რომ ჩამოვთვალოთ მის უკან ჩამორჩომისა, მაინც სულ ერთისა და იმავე ფაქტორისაგან გამომდინარე მიზეზები არიან და ამიტომ მათი ჩამოთვლა სრულიად მეტია: თავად-აზნაურობა უსწავლელობამ დაღუპა. ისინი ძველებურად ხმლით გამოდიოდნენ და დღესაც გამოდიან ცხოვრების ასპარეზზედ და ცხოვრებამ კი დღეს ხმლის მაგივრად სწავლა გაამეფა. უსწავლელს და შეუგნებელს გნებავთ მამული მიეცით — მაშინვე ბანკში დააგირავებს და ვალით შეკერცხლილ ხმალ-ხანჯალს იყიდის; გნებავთ დაგირავებული მამულის სარგებელი შეუმცირეთ და თუნდა ვალიც აპატიეთ — ის ხელმეორედ დააგირავებს თავის მამულს იმავე ბანკში თუ არა, კერძო პირის ხელში მაინც; გნებავთ ის აღუთქვით, რომ სახელმწიფო სამსახურში მარტო შენ იქნები და სხვა არავინაო; ვერც სახელმწიფოს არგებს რასმე ეს უსწავლელი, შეუგნებელი ბრწყინვალება, რომლის იდეალი კოხტა ცხენს და ხმალ-ხანჯალს ვერ გასცილებია და ვერც თავის თავს. უსწავლელი კაცი უძირო ქვევრი და მთელი ქვეყნის შეძლება რომ ჩააყაროთ იმას, მაინც ვერას უშველით, რადგან იმის დევიზი ამ ლექსით გამოიხატება: რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არ ხმა-ჭამა გეთილი? მაშასადამე, სწავლა ყოფილა უმთავრესი ძალა. მარტო სწავლით შეიძლებს ჩვენი უკან-ჩამორჩენილი თავად-აზნაურობა ცხოვრებას დაეწიოს, ისევ სათავეში დაუდგეს და ისევე ბრწყინვალედ მიუძღოდეს წინ ჩვენს ერს და იგერებდეს მტერს, როგორადაც უწინ ყოფილა. ამისთვის სწავლა არის საჭირო, გონებრივი თვალის ახელა, საკუთარი მდგომარეობის შეგნება და აქედან გამომდინარი შრომა. უსწავლელობით დაქვეითებულს თავად-აზნაურობას მარტო სწავლა აამაღლებს ძველებურ ხარისხამდე.... მაშინ სათხოვარი და სახვეწარი აღარა ექნება-რა,

რადგან მარტო მაშინ იგრძნობს, რამდენად სამარცხვინოა თხოვნა და რამდენად დამამცირებელი და მავნებელია მთხოვარივით ხელ-გაწვდილი დადადი: მიშველეთ, კიღუშები დიდებული მამის უვარგისი შვილიო!

ერთად-ერთი საღსარი, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ იგივე ალაგი დაიჭიროს, რაც ამ საუკუნის პირველ ნახევარში ეჭირა, როდესაც წინ მიუძღოდა რუსეთის ჯარებს და რუსეთის ტახტს კავკასიას უმორჩილებდა, ერთად-ერთი საღსარი მის ძველებურ დიდების მოსაპოვებლად სწავლა არის და საინტერესო იქნებოდა გვცოდნოდა: რა იზრუნა ამ მხრივ ჩვენმა მამაპაპათა დიდებით და ქველობით თავმომწონე თავად-აზნაურობამ? რამდენადაც ვიცით, სრულიად არაფერი. უწინ რუსეთში გზავნიდნენ კორპუსებში სასწავლებლად ჩვენს შვილებს; ეხლა ვთხოვეთ, რუსეთი შორს არის, ჭავას ვერ ვიტანთ და აქვე გაგვიმართეთ კორპუსიო; გაგვიმართეს. სახელი ჩვენი მისცეს და სახრავი კი სხვისია. აბა იკითხეთ, ასზედ რამდენი ქართველია ტფილისის კადეტის კორპუსში? ვისი ბრალია ეს, თუ არ ჩვენი თავად-აზნაურობის და იმათ მიერ ამორჩეულ მარშლების დაუდევრობისა? პირველ კლასიკურ გიმნაზიაში სახელმწიფო ხარჯზედ ქართველ თავად-აზნაურთაგანი ოც და ათი თურმე უნდა იზრდებოდეს; ვისი ბრალია, რომ ამ ჟამად იქ მარტო ჩვიდმეტი ყმაწვილი იზრდება ოც და ათის მაგივრად? რად დაგვიკარგეს ცამეტი ვაკანსია. და ამ ცამეტთან ერთად ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა იკარგებოდა? ეს უცოდინარობა კი არ არის, რომელსაც არა მოეკითხება-რა, ეს უზრუნველობა და დაუდევრობა არის იმ საქმეში, რომელიც კაცს უტვირთნია და მაშასადამე თუ არ აასრულა, პასუხისმგებელიც უნდა იყოს თავის ამომრჩეველთა წინაშე. ერთი სიტყვით, თავად-აზნაურობამ, იმ დიდებულმა თავად-აზნაურობამ, რომელიც თავის თავს ისე არ ახსენებს, რომ доблестное дворянство არ უწოდოს, ამ ბრწყინვალე თავად-აზნაურობამ თხოვნის მეტი ვერა იზრუნა-რა თავის მომავალ თაობათა აღსაზრდელად. წამოდგებოდა ვინმე ჩვენი ერის და ქვეყნის დაქვეითებით გულ ჩათუთქული და მოახსენებდა «დიდებულთა» კრებას: ასე გაჭირებული ვართ, კიღუშებით, ვუპატრონოთ რამე ჩვენს თავსაო. და დიდებულნიც ერთხმად შესძახებდნენ: «ვითხოვოთ!

ვითხოვოთ!» ქვეყნის პატრონობა მარტო ამაში გამოისატებოდა: ვითხოვოთ! თუ ჰქონდა ხომ კარგი და თუ არა ჰქონდა, მამულს დააგირავებდა ბ. მარშალი და მიემგზავრებოდა სათხოვნელად. მაგრამ დახეთ ჩვენს უბედურებას: ვითხოვდით, მოგვცემდნენ და მოვლას კი ვეღარ ვახერხებდით. ან რა მოვლა უნდა კლასიკურ გიმნაზიაში სახელმწიფო ხარჯზედ ოც და ათი მოსწავლის ყოლას? მოვლა კი არა, ქვეყნისა და საზოგადო წარმატების სიყვარული უნდა და პატივისცემა იმ თანამდებობისა, რომელიც კაცს მთელი გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენლად და, მაშასადამე, დამცველადა ხდის. აქ მოვლა კი არა, შეგნება უნდა.

დარჩა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა და ისიც... ჩვენი უზრუნველობის დამტკიცებას რომ საბუთი სჭიროდეს, თუნდა იმ გარემოებას მოვიყვანდით, რომ ერთხელ გაწერილი ფული გიმნაზიის დასაარსებლად დღესაც შესაგროვებელია; თუ ეგეც არა კმარა იმ გარემოებას მოვიყვანდით, რომ ხუთ-კლასიან სათავად-აზნაურო სკოლას ერთ დროს ჯერ მეხუთე კლასი მოვაკელით, მერე მეოთხე, მერე მესამე... ეს იმ დროს იყო, როდესაც მეხუთე კლასის შემდეგ მეექვსის გახსნას ვაპირობდით, მერე მეშვიდის და მერვისას, სწორედ ისე, როგორც წელეულს, მას შემდეგ დიდი ხნის უკან, ხელმეორედ ვაპირობთ. შეცდომა იყოო, იტყვიან. შეცდომა კი არა, დაუდევრობა და უპატრონობა იყო! იქნება ეხლა სრული გიმნაზია გვქონოდა, სრული უფლებებით აღჭურვილი. ის მაინც გამოირკვეოდა, გვაძლევენ ნებას გიმნაზიის გახსნისას თუ არა? გიმნაზიისას, რომლიდანაც კურს-დამთავრებულნი უნივერსიტეტში შედიან, ესე იგი იგივე უფლება ექნებათ, რომელსაც სახელმწიფო გიმნაზია აძლევს თავის აღზრდილებს.

ეს—დასამტკიცებლად ჩვენი უზრუნველობისა. და რაც შეეხება სათავად-აზნაურო სკოლას, ჩვენი აზრით, იგი ვერ აკმაყოფილებს იმ დანიშნულებას, რომელსაც მას აძლევს ჩვენი დაცემული თავად-აზნაურობის გაჭირებული ყოფა-ცხოვრება. ჩვენი გაჭირების მიხედვით ჩვენ ან სრული გიმნაზია უნდა გვქონდეს, ან მოსამზადებელი სკოლა პანსიონითურთ. სამი წელიწადი ცოტახანია, სამის წლის შემდეგ ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლის შეგირდები მერვე

კლასს დაამთავრებენ და მაშინ გამოჩნდება რა უფლება ექნებათ მონიჭებული მართებლობისაგან. თუ ჩვენი სკოლა გიმნაზიურ ატესტატს მისცემს თავის მოწაფეთ, მაშინ მართლა რომ საერო, საშვილისშვილო განძად ჩაითვლება ესლანდელი სათავად-აზნაურო სკოლა; თუ არა და, თუ კურს დამთავრებულნი იძულებულნი გახდნენ აქეთ-იქით სხვა-და-სხვა გიმნაზიებში წიალს, რომ ექსტერნად დაიჭირონ ეგზამენები და ატესტატი იშოვნონ, მაშინ გლოვა-და გვმართებს იმოდენი ტყუილ-უბრალოდ დაკარგული ფულისა და დროისა. თუ გიმნაზია გვაქვს ხომ კარგი... თუ ღმერთი მოწყალეა, იქნება სამეურნეო სასწავლებელიც მივუმატოთ როგორმე... თუ გიმნაზია გვაქვს ხომ კარგი, თუ არა და ჩვენს თავად-აზნაურობას უპირველეს ყოვლისა მოსამზადებელი სკოლა უნდა, რომ თავის შვილები, თუნდა სრულიად უცოდინარნიც იყვნენ, მიიყვანოს და რომელსამე სახელმწიფო სასწავლებელში შესასვლელად მოამზადებინოს. ტყუილია, ჩვენთვის ვაკანსიები არსად აქვთო! ტყუილია! თუ ბავშვი მომზადებულია და ეგზამენს ან მოსამზადებელ კლასში იჭერს ან პირველში, რადგან ვაკანსიები მხოლოდ ამ კლასებში არის ხოლმე, უთუოდ მიღებულ-იქმნება, მიუხედავად იმისა ქართველია იგი თუ სომეხი; უმთავრესი აქ კროვნება კი არა, უმთავრესი ის არის, რომ კარგად იყოს მომზადებული. თუ კი კერძო პირნი სრულიად მოუმზადებელს ბავშვს და რუსულის არა მცოდნეს ორი წლის განმავლობაში იმდენად ამზადებენ, რომ პირველ კლასში შედის და ამასთან კარგადაც სწავლობს, მაშასადამე, მართლა მომზადებული ყოფილა; თუ კი კერძო პირნი თავიანთ კერძო პანსიონებში შეიძლებენ ჩვენი სოფლელი ბავშვის მომზადებას, რატომ ჩვენი მოსამზადებელი სკოლა კი არ უნდა შესძლებდეს ამავე მომზადებას და ბავშვის გზაზედ დაყენებას, ესე იგი სახელმწიფო სასწავლებელში შეყვანას: ორი წელიწადი არა კმარა, სამი იყოს, ოღონდ ბავშვი გზაზედ დააყენოს. ყველა დაგვეთანხმება, რომ აქ შეუძლებელი არა არის-რა. ჩვენ მოსამზადებელი სკოლა გვინდა, რომ საკმარისად მომზადებული ბავშვები შედიოდნენ ტფილისის სამივე გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, კადეტის კორპუსში და სხვ. და სხვ. ყველგან, სადაც კი მოსახერხებელი იქნება და ეგზამენს დაიჭერენ იმავე მოსამზადებელ ან პირველ კლასში, რადგან ყველამ იცის,

რომ შეგირდების რიცხვი პირველ კლასშივე სრულდება და იმათ-განი შემდეგს კლასებში უნდა მოკვდეს ვინმე ან გავიდეს, რომ იმის ალაგას სხვა მიიღონ, ესე იგი მეორე და შემდეგ კლასებში შესა-სვლელად ასში ერთს ორს თუ ეღირსება თავისუფალი ვაკანსია და, მაშასადამე, სხვები გარიყულნი უნდა დარჩნენ.

და ასეც იყო; აგერ რამდენი წელიწადია მეოთხე კლასზედ შეჩე-რებულიყო ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა და მეხუთე კლასისთვის მომზადებული შეგირდები იძილებულნი იყვნენ აქეთ-იქით თავი-სუფალი ვაკანსიები ეძებნათ და სულ ბევრი რომ ვსთქვათ მარტო ერთს თუ ეღირსებოდა მეხუთეში შესვლა; სხვები კი ზოგი მეოთხეში შედიოდა, ზოგი კი უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა რამდენიმე ხანი, მო-სწყინდებოდა, შინ წავიდოდა და... აბა იქ გამოიყენებს სათავად-აზ-ნაურო სკოლაში ნასწავლს ოთხი წლის განმავლობაში ლათინურს და ორი წლის განმავლოაში ბერძნულ ენებს! სადა სამართალი და ცოტაც არის საქმის და საზოგადოების წარმატების სიყვარულია, იქ სულ სხვაფრივ მოიქცეოდნენ. იკითხავდნენ: რა უფლება გვაქვს ბავშვი რვა წელიწადი სკოლაში ვიყოლიოთ, მეხუთე კლასისთვის ვამზადოთ და სიკეთის დროს ვუთხრათ: რა ვქნათ, არსად ვაკანსია არ არის და შენ თითონ მოუარე შენს თავს. ჩვენ შენთვის მეტი აღარა შეგვიძლიან-რაო.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ, რადგან ამ ჟამად სკოლაში მეხუ-თე კლასი არის. მერე მეექვსე და შემდეგი კლასები იქნება და, მაშა-სადამე, თუ მერვე კლასის შემდეგ არ მოხდა, აღარ მოხდება ის გაუბედურება მოსწავლეებისა, რომელიც აქამომდე ხდებოდა. დავუბრუნ-დეთ ჩვენს მოსამზადებელს სკოლას. ჩვენა ვსთქვით, რომ იგი უნდა ამ-ზადებდეს ბავშვებს მოსამზადებელს და პირველ კლასში შესასვლელად ყოველ გვარ სასწავლებელში; სკოლაში, ჩვენი აზრით, მარტო ისინი უნდა დარჩნენ პირველ კლასში, ვინც ან ეგზამენი ვერ დაიჭირა, ან დაი-ჭირა და ვაკანსია არ შეხვდა. ამ ბავშვებს სკოლამვე უნდა უპატრო-ნოს — ან მაშინვე სხვა სადმე ქალაქში გაგზავნოს, ან ლათინურის და ბერძნულის მაგივრად ის ასწავლოს, რაც ცხოვრებაში უფრო გამოა-დგება. ეცადოს სამოქალაქო და საბაღოსნო სკოლაში მისცეს სად-მე და, ნუ გამიწყრებიან ბრწყინვალე თავადიშვილები, სახელოსნო

სკოლაში მაინც, რადგან სირაჯებთან ბოთლების რეცხას პატიოსანი ხელოსნობა სჯობიან, თუ დაგვეთანხმებიან. და თუ სამეურნეო სკოლაც გვეღირსა, მაშინ ხომ იქ შეგვეძლება იმ ბავშვების გზავნა, რომელნიც ვერსად სასწავლებელში ვერ შევლენ რაიმე მიზეზისა გამო; სულ რომ არა იყოს-რა, შრომას მაინც შეეჩვევიან და იმ მიწას მაინც გაიცნობენ, რომელმაც იგინი უნდა აცხოვროს.

მაშასადამე, უმთავრესი მიზანი მოსამზადებელი სკოლისა ის უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება ბევრი შეგირდები შეიყვანოს სახელმწიფო სასწავლებელთა პირველს და მოსამზადებელ კლასებში. მაგრამ ეს არა კმარა; ბავშვი გიმნაზიაში მიაღებინოთ და მერე უთხრათ, ახლა შენ იცი, სადაც გინდა, იქ იცხოვრეო, როდესაც დედ-მამა სოფელში ჰყავს და ქალაქში ბინა არსად აქვს,—ისეთივე დაღუპვა არის მოსწავლისა, როგორადაც მეოთხე კლასის შემდეგ ბრძანება: წადი და სადაც გენებოს, იქ შედი, ჩვენ მოგამზადეთ და რადგან კავკასია არსად არის, ჩვენი მოვალეობა უკვე გადახდილი გვაქვსო. არა, იმ ბავშვს, რომელსაც ქალაქში ბინა არა აქვს, იმავე მოსამზადებელ სკოლასთან ერთად ბინაც უნდა ჰქონდეს, რომ ვიდრე კურსს გაათავებდეს, იქ იცხოვროს სათავად-აზნაურო პანსიონში. ვისაც კი ქალაქში მოსწავლე შვილი ჰყავს, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამაზედ უკეთესს ვერას დააარსებდა ჩვენი თავად-აზნაურობა, რადგან ამით თავიდან აიცილებდა შეუწყვეტელს საზრუნავს მოსწავლეთათვის შესაფერი ბინის მოძებნისას ტფილისში. ქართველები ვერა სწავლობენო—ამბობენ. ქართველებისთანა კარგად არავინ სწავლობს, ოღონდ ბინა ჰქონდეთ შესაფერი. და განა ბევრი დაიკვეხებს—ჩემი შვილი კარგ ბინაზედა მყავსო, შეტადრე სათავად-აზნაურო სკოლაში მოსწავლე ბავშვების მშობლები? თითქმის ვერავინ. გარედან მოსიარულე ბავშვები ყველანი შეუძლებელთა შვი-ნი არიან, ზამთარ-ზაფხულ დაფხრეწილი ხალათის და ჩუსტების ამარა მოსიარულენი და ბინის ფასსაც, რასაკვირველია, ასევე ღარიბად გადაიხდიან. უმრავლესობა ღარიბ ხელოსნებთან ჰპოვებს ბინას, სადაც სულ სხვაფრივ მიმდინარეობს ცხოვრება და სხვა მისწრაფებით არიან გატაცებულნი. რა უნდა შეიძინოს იქ ბავშმა, რაც უნდა კარგად სწავლობდეს სკოლაში?

სკოლაში შეძენილს სწავლას ერთი-ათასად სჯობნის ბინაზედ ნასწავლი და გაგონილი ცხოვრების მაგალითები და არამც თუ თვითონ ფუჭდება ბავშვი და სწავლას უარობს, თავის ამხანაგ პანსიონერებზედაც ავს გავლენას იქონიებს. კიდეც რომ მიაღწიოს მეოთხე კლასს, მერე კი თავს აღარ შეიწუხებს, გაჰკრავს სოფლისკენ და... ვაი იმ სოფლის ბრალი, სადაც ის დაბინავდება. კინტოური სიმღერები, და ოხუნჯობა, კინტოური ქცევა და ლაპარაკი, არგანის ხმები და დუქნური ლექსები—აი რას შეიტანს იგი სოფელში. უსაქმურად ეგდება თავისი დღენი, თუ გასასყიდი და დასაგირავებელი აქვს რამე. თუ არა-და ხომ სულ ერთია იმისთვის, მშიერი აქ იქნება თუ სადმე ციმბირში? სადაც მოახელებს იქ აიღებს; ვისაც მოეწონება, იმას წაართმევს! სწავლა იმას არა აქვს, ზნეობრივი მაგალითები იმას არ უნახავს, წმინდა არაფერი გააჩნია და რას შეიტანს ჩვენს უბედურ სოფელში გარყვნილების და გახრწნილების გარდა? პატიოსანი მუშაკი სოფელს გამოურბის და ქალაქში შიმშილს რჩეობს სოფელში თავისუფალ ბატონად ცხოვრებასა, ამბობენ. სოფელს კი არა, პატიოსანი მუშაკი ჩვენი თავად-აზნაურობის ამ ახალს ტიპს გამოურბის, რომელიც თავის გავლენით სოფელსაც რყვნის და გლეხ-კაცსაც.

დასკვნათ, იტყვიან. ვეცადნეთ სწავლა-განათლება მივცეთ ჩვენს შვილებს, უნივერსიტეტში თუ არა, გიმნაზიაში მაინც; გიმნაზიაში თუ არა, სამოქალაქო სასწავლებელში მაინც, რომ დამთავრებული ჰქონდეთ რამე, რომ ცხოვრების საღსარი არსად დააკლდეთ. ვეცადნეთ ისე მოვიხმაროთ სწავლაზედ გადადებული ჩვენი ბანკიდან ფული, რომ რაც შეიძლება მეტს სარგებლობას გვაძლევდეს იგი და შუა გზაზედ არავის ვტოვებდეთ. მაშინ არც საყვედური გვექნება რამე და არც სათხოვარი. მაშინ ჩვენ თითონ ვეცდებით ჩვენს ნაწარმოებს ბაზარი გავუჩინოთ და მით ავიცდინოთ ის ჩარჩი, რომელსაც ნახევარ ფასად მიაქვს ჩვენი ჭირნახული. გზების გაყვანა, ბაზრის მოპოვება, ჩარჩების აცდენა, მეურნეობის გაუმჯობესობა მარტო სწავლას შეუძლიან და ერთი-ათასად მეტს სარგებლობას მისცემს თავად-ზნაურთაც და ქვეყანასაც, ვიდრე ათ თუმან ვალზედა ოთხი მანეთის მაგივრად სამისა და ათი შაურის შეტანა ბანკში. თუ

სათხოვარი გვაქვს რამე, მარტო ერთს უნდა ვთხოულობდეთ: ნუ გამოგვწირავთ მამაპაპეულ მამულს და რადგან ჩვენ ვალს ველარ ავდივართ, ოპეკა დანიშნეთ და ისე გადაიხადეთ ვალი. ჩვენთვის კი, რომ შემდეგში მაინც შევძლოთ მამულის მოვლა, ჩვენთვის სკოლები დააარსეთ, რომ არც ერთი ჩვენი შვილი უსწავლელი არა რჩებოდეს. თუნდა ისიც ვითხოვოთ, რომ უმამულო თავად-აზნაურნი სახელმწიფო მამულზედ დაასახლონ, თუნდა კიდევ სხვა ბევრი რამ... უმთავრესი ის არის, ჩვენს თავს ჩვენვე მოვუაროთ და ჩვენს გაჭირებას ჩვენვე ვუპატრონოთ. თუ შეგნება არ გვექნება, ვერც ნაწყალობებს გამოვიყენებთ და თუ შევიგენით ჩვენი გაჭირებული მდგომარეობა, ჯერ გვიან არ არის, იქნება სათხოვარიც არა გვექნეს-რა.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია.

გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი.

# ქართველთა ამხანაგობის

## გამოცემანი

(ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ ბაღის კუნჭულში).

| | |
|---|---|
| | მ.—კ. |
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1—20 |
| იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერივე ყდით (თითო) | 2—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „—80 |
| იგივე მშვენიერი ყდით | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | „—15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი | „—30 |
| ბჟელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | „—40 |
| იგივე შვენიერი ყდით | „—90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I | 1—20 |
| იგივე ტომი II | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით | 2—50 |
| იგივე ტომი III | 1— „ |
| იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 3— „ |
| ჩანგი | 1— „ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | „—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| იგივე ტომი II | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე | „—75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე | 1—50 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1—50 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით | 1— „ |
| იგავ-არაკნი, მისივე | „—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 2—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯ.-ორბელიანისა | „—25 |
| საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი | „—40 |
| მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „—40 |

| | |
|---|---|
| აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა . . . . . | 1— „ |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . | 1—60 |
| დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადია . . . | „—25 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . . . | „—30 |
| სიბრძნე ბალავარისი . . . . . . . . | „—30 |

---

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი

# ბრჭყალები

დრამა პოლ ერვიესი, თარგმანი ფრანგულიდან

**ი. მაჭავარიანისა**

ფასი ექვსი შაური

გამოვიდა და ისყიდება

ქართველთა ამხანაგობის გამოცემანი.

# ცეცხლითა და მახვილითა

ისტორიული რომანი

გ. სენკევიჩისა

თარგმანი

**გ. ყიფშიძისა**

980 გვ. ფასი 1 მან. 60 კაპ.

---

# დასტურ-ლამა

**თ. ნ. დადიანისა**

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ფასი **25** კაპ.

ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის, ან ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, **30%** დაეთმობა.

# 1897

# „მოამბე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეოთხე)

### გ ა მ ო ვ ა   ი მ ა ვ ე   პ რ ო გ რ ა მ ი თ

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში. . . | **10** მან. | **6** მან. | **4** მან. |
| საზღვარ გარედ . . . . . | **13** მან. | **7** მან. | **5** მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—**4** მან., 1 აპრილამდე—**3** მან. და 1 სექტემბრამდე—**3** მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე **№ 13**.

**წიგნის მაღაზიებს,** რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის **ათი შაური,** ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, **არაფერი დაეთმობათ.**

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* **„Моамбе“**.

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი, დაუთმოს **რვა მანეთად წელიწადში.** ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში **ოთხი** მანეთი შემოიტანოს და **ორ-ორი** მანეთიც მარტში და აგვისტოში.

**რისიძამ** მამაგულაშვილი ავთანდილ †, უსუფაშვილი ასლანა, ამათ გარდა თავად სულ ამ კეიზის კაცნი და მერმე ზემო ღთისმშობლის დეკანოზს ონოფრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ქჴს უდ. ვენაკი ერთპირი ქვემო-მკარი ორლო-ბემდი ††, ზეით რუ და ბოლო ჭალა [ ].

მეორე გვერდის აშიაზე სწერია:

ამისი სამძღვარი ქვეითი ორლობე, ზეით უქუას ვენახის ბოლო, თავს ჯანიაშვილის ვენახის ბოლო, რაც ჩაიტანს. ††.

პირველი გვერდის მშიაზე:

ქ. მე შანშიაშვილი ქაიხოსრო ამისი მოწამე ვარ [ ]. ქ. მე შანშიაშვილი ნაზარა [ ] ამისი მოწამე ვარ.

---

**257.** ნასყიდობის წიგნი, 32×24,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მორგვალო მხედრულის ხელით. ნიშნებათ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თავში ვრცელი შესავალი, სულ 13 სტრიქონი, განგებ გამოვტოვეთ.

**1716.** ...ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცილებელი ნასყიდობის წიგნი მოგეც მე მირზაშვილმა ზალიამ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩემისათა, თქვენ დოლმაზაშვილებს დავითს, როსტომს, მანდენასა და დოლმაზასშვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომ ჩემის ნება-მყოფლობით მოგყიდე ჩემი სამკვიდრო ვენაკი **ქვემო-საკუნძრისა**, სამძღვარი მისი: ერთი გვერდი **სამწევრისის** ორლობის გზა, ერთი გვერდი ჩემის განაყოფის ულუხანას ვენაკი; ბოლო ადიაშვილის ვენახი, ზემო უსუფაშვილის სამძღრამდი, თავის საწნახლითა. ავიღე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, გქონდეს და გიბედნიეროსთ ღმერთმა. არიან ამისი დამხდურნი და მოწამენი თავად ღმერთი და ყოველნი მისი წმიდანი, კაცთაგან თქვენი განაყოფი, ბეჟან და ქაიხოსრო [1], კიდევ თქვენი განაყოფი ნაზარა [1], ჩვენი სოფლისა: დუშია, ალიხანა, მურადა, მირიანა;

[1]) წარწერა მუსულმანურია.

ალავერდაშვილი ესტატა, ალიხანა; გოგიაშვილი მირიანა, ბეგთაშა; ულუხანაშვილი თამაზა და სულ ერთობილნი ჩვენი მეზობელნი ამისი დამხდურნი და მოწმენი არიან. მე ბოლნისის სიონთა ღთისმშობლის დეკანოზას ონოფრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ქკს უდ †. |ოქრო პირ|

განის აშიაზე:

ქ. მე შანშიას შვილი პაპ ამისი მოწამე ვარ. ამისი |პაპ| მე პაპუნა ამისი მოწამე ვარ. †.

---

**258.** ნასყიდობის წიგნი, 38×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებად თითოეულის სიტყვების შემდეგ იხმარება ზოგჯერ ორ-ორი და ზოგჯერ სამ-სამი წერტილი.

**1726, მარტის 12.** ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისაჲთა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი ჩვენ მახარაშვილმა სეხნიამ და შვილმა ჩემა ზურაბამ და ძმისწულმა ზაალამ, ჩემა ბიძაშვილმა ისმეილამ, თქვენ დოლმაზაშვილს მანდენას და პაპს და გაბრიელას, მონხარის, ასე რომე დაგჭირდა, დიდის დაჭირებისათვინ მოგყიდე შანშვიაშვილებისაგან ნასყიდი მიწა, კოჩის მიწა, ქვემო საქცევი ბოლნელის ხოდაბუნი, ზემო საქცევი კაციაშვილის მიწამდინ, ქვეითი გვერდი დიდი შარამდინ, ზეითი გვერდი შენს მიწამდინ, მოგყიდე და ავიღე ფასი, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა, ავიღე ფასი თამამ-ქაბალათ, აღარ დარჩა-რა არცა ერთი იოტის ფასი, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ყველა კაცისაგან შემოუდევარი. თუ ამ მიწას შემოგედაოს ვინმე ან ბატონი, ყმა, ან ჩემი სახლის-კაცი, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, კაცთაგან ჩვენი მამასახლისი ტერ-კირაკოზა †, ბიძინაშვილი მურადა †, კაკიაშვილი ბეჟოა †, ასლაშვილი მანდოა †, ფირაზაშვილი მარქარა †, და ემინაშვილი ვართანეზა †, და მე ალავერდაშვილს ზალს დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი |მონა ღისა მემანდარბაში ალავერდა|. დაიწერა: მარტის: თორმეტ: გასულს: ქკს: უიდ. † † † †.

განის აშიაზე:

ამისი მოწამე შანშიაშვილი პაპა [პაპა], ზავრაშვილი ბექან †, ჩოგნაშვილი ნაზირი პაპოა, ბირბიჩნელი ერქომაზაშვილი დოლმაზა [ქ. დოლ მაზისა].

---

**259.** სიგელი, 21×18,6 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება თითო წერტილი.

**1749 ღვინობისთვის 27.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა და შეწევნითა ბოლნისისა სიონთა ღთისმშობლისათა ესე წიგნი გიბოძეთ ჩვენ ქართლის მთავარ ეფისკოპოზ ბოვნელმან, ბატონმა ტიმოთე, თქვენ დოლმაზიშვილს გაბრიელსა, ბახუტასა, ძმასა თქვენსა სვიმონს, ზურაბსა და კაცუასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომე ძველთაგან სიონთა ღთისმშობლის ყმისგან ასლამაშვილისაგან [1]) მამული გქონდათ ნასყიდათა და კიდეც გაგვეცვალათ, სამუქმოთ სხვა მამულიც მიგეცათ, რადგან სხვა მამულიც მიგეცათ და ნასყიდი იყო, ჩვენც მოკითხული ვქენით და არას ბოვნელს თქვენთვინ კულუხი არ გამოერთმევინა, და ჩვენც ეს წიგნი გიბოძეთ: არამ ბოვნელმა თქვენ ამ მამულის კულუხსა არც გედეოს და არცა გთხოოს, არამ ბოვნელმა ამისად შლად ვერ ხელ ყოს. ვინც ეს მოგიშალოს ისიმც განიკითხვის ღდესა მას დიდსა განკითხვისასა, ამისთვის რომე ბევრი მოკითხული ვქენით და არ გამოგრთმეოდა და არც ეთხოვნათ შენთვინ კულუხი. ღთნ გიბედნიეროს და მოგახმაროს. ღვინობისთვის კზ, ქკს ულზ—ა, ქრისტეს აქათ ჩღმთ. მთავარეპისკოპოსი ტიმოთე (ხელჩართულად).

განის აშაიზე სხვა ხელით:

ქ. მე შანშიაშვილი იარალი ბატონი ბოლნელისაგან ამ საქმის მოკითხვაში გარიგებაში დამხდური ვარ, მოწმეც ვარ. [ ].

---

1). ეს სიტყვა მერმეა ხაზ ზემოთ დაწერილი.

**260.** ნუსხა ჯარში წასასვლელის ყმებისა, 20,5×14 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება თითო წერტილი. ყოველ ახალს სტრიქონს თავში უზის ასო ქ, რომელსაც ჩვენ არ ვიმეორებთ, ხოლო მათ მაგიერ უსვამთ ციფირებს.

**1789, ოკტომბრის 6. გიორგი სალთხუცის ყმა ჯარში წამსვლელნი ესენი არიან:**

1. ეუვისშვილი შერმაზან
2. დათუნა ეუვისშვილი
3. ამისი სახლისკაცი გიორგი
4. ბერი
5. ურინტაშვილი გოგია
6. ნასყიდაშვილი ნინია
7. კარჭული პაპუა
8. მამულიშვილი აბრამ
9. ამისი სახლისკაცი ზურაბა
10. ნადირაშვილი ხატია
11. ამბროსე
12. ზაალი
13. შარმაზანისშვილი გლახა
14. იორამიშვილი როსებ
15. ომსარა
16. ბერისშვილი ზუნია
17. ხატიასშვილი გლახა
18. მიქელა
19. ადოსშვილი ოსია

ქ. მე გზირი ივანე მეფის ირაკლის მუხანათი ვიყო, თუ ამის მეტი კაცი ჯარში წამსვლელი იყოს ხატიანთი[1]), და ათის თუმნის გამღებიც ვიყო. ოკტომბრის გ, ქკს უოზ.

---

[1]) ხ ატიანთი ესე იგი ხატის-სოფლიდგან, რომელიც მდებარეობს ბოლნისის ხეობაში.

**261.** ანდერძი მდივნის ავთანდილ ბეგთაბეგიშვილისა, 33,5×23,7 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. აქიქ ხუცური ასომთავრულები ურევია. შეიცავს ერთ თაბახს ორათ გაკეცილს თხელის და მტკიცე ქაღალდისას. ნიშნებათ ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი, ხოლო ახალი სტრიქონების წინ ორ-ორი წერტილი.

**1896, ივლისის 25.** თთუესა ივლისსა კე, ქკს უპდ.

ჩე ცოდვილი ბეგთაბეგიშვილი მდივანი ავთანდილ უკანასკნელისა მიმყცოვანებისა და სიბერისა ჩემისა ჟამსა ესრეთ ვსწერ წინაშე ღისა და წინაშე სულიერის მამისა და მოძღურისა ჩემისა, გორის ეკკლესიის წმიდის სტეფანეს კრეზულთაგანისა, ტერ-გეურქასამებრ უკანასკნელისა ანდერძისა.

ოჲდეს უსჯულო ალა-მამად-ხან მოადგა ტფილისს და აღაოხრა და მოწვა სრულიად, მაშინ იავარ-ვიქმენ ყოვლითა საცხოვრებელითა ჩემითა მათგან და დაიწვა სახლიცა ჩემი, და მეცა მათგან ტყვე ვიქმენ, და გაკურვებულითა რკინითა წყლულება მძვინვარედ დადებულ, კნინღა ცოცხალ მპოვეს თვისთა და შვილმან ჩემმან. გორის ქალაქს მოვაწიე და მუნ სნეულებას მივეცი. მოუწოდე მოძღვარსა ჩემსა ზემოხსენებულს ტერ-გიურქას და აღვაწერინე ჭეშმარიტებით, რომელი წიგნები მამულისა და ან სხვა მეფეთაგან წყალობა გვქონდა, რომელიც მახსოვდა, ზედახედვითა ღისათა აღვსწერე ესენი:

ქ. **უწდევს** ხერხეულიძეებისაგან ნასყიდი ერთი საკომლო, რომ ოთარა საყვარელიძის შვილი ესახლა, ის მამული მამის ჩემისაგან ნასყიდი იყო და ჩვენი კაცი დავასახლეთ.

ქ. **დუმაცხოს** თეიმურაზ ხერხეულიძისაგან მოსყიდული ერთი საკომლო კობერიძისა ვენაკით, სასახლით და სახნავის მიწით.

ქ. აქავ დუმაცხოს კიდევ ხერხეულიძეებისაგან მოსყიდული ნინიაშვილი თავისის მამულით, ვენახით, სასახლით და სახნავით.

ქ. აქავ დუმაცხოს კიდევ ხერხეულიძეებისაგან მოსყიდული ბასილა და ადამა თავიანთის მამულით, ვენახით, სასახლით

და სახნავით და ეკლესიაშიაც ისინი ხუცობდენ, გვარათ კო-პაძეები.

ქ. **ნაბახტევს** დავით თარხნის, ზაალის მამისაგან, მოსყიდული **ზემოუბანში** ვედრების ღის-მლობლის ჩამოსწვრივ, კაცი კი არ ესახლა და მამული იყო ერთი საკომლო, ვენახით, სასახლით და სახნავით და იმ მამულზედ მამა ჩემმა ოსმალობას ჩვენი კაცი ლომაშვილი დაასახლა.

ქ. კიდევ დავით თარხნის მამის ზაალისაგან მოსყიდული იშხანაშვილი თავის ვენახით, სასახლით და სახნავით **ქვემოუბანს** აკოფაშვილის წინ ესახლა, იქავ ნაბახტევს.

ქ. რამაზიანთგან მოსყიდული **გუგუდის ქედზედ** საირმე ხოდაბუნი, რომ მამა ჩემმა ორჯერ კიდეც მოახვნევინა.

ქ. **გაყას** ჩვენი განაყოფის ზაქარიასა და სულხანისაგან მოსყიდული ლამბარაშვილი გიორგი თავის მამულით და წისქვილით.

ქ. აქავ **გაყას** ჩვენის განაყოფის ზაქარიასაგან მოსყიდული ჩვენის ბალის გვერდზედ საქვენაქროდ ორის დღის მიწა ხარაზისშვილის ნაქონი.

ქ. **მუხისს** რამაზასშვილის ლევანისაგან მოსყიდული ქლიბაძის მამული,

ქ. თარხნისშვილს ზაალს და იმის შვილს დავითს ჩვენი ოცი თუმანი ემართათ თამასუქით და **ნაბახტევს** იმათი წილი მამული გვეწერა გირაოთ, მამული იმათვე უნდა სჭეროდათ, და ჩვენთვის თუმანზედ ორი შაური სარგებელი უნდა ეძლიათ. იმ ჟამიდამ ამ ჟამამდე არც სარგებელი მოგვცემია და არც თავნი. ამას წინათ კურთხეული ჩემი ძმა სულხან რომ ცოცხალი იყო მე და იმან მოციქულად ნახუცრისშვილი ქაიხოსრო მიუგზავნეთ თარხნისშვილს სოლომონ მეითარს, თამასუქიც უჩვენეთ და ის თეთრი ვთხოვეთ, სოლომონს ერთი სრული პასუხი არ მიეცა რა. იმ ხანებში ჩემი ძმა სულხან მიიცვალა და მცირეს ხანს უკან ქალაქი მოოხრდა და თამასუქი იქ დამეკარგა.

ქ. სხვა ჩვენის ჩამომავალის საოჯახო წიგნები მეფეთაგან, დედოფალთა და უფლისწულთაგან ბოძებული წყალობის წიგ-

ნეპი სახელოებისა, ყმისა და მამულის სიგლები, ესენი ჩემს ბიძაშვილს სოლომონსა აქვს. ამ მიზეზით, რომ ყიზილბაშობას არეულობა რომ მოხდა, მაშინ მამაჩემმა ჩამოიტანა ის წიგნები, რომ სოფელში არ დამეკარგოსო და თავის ძმას ყარან მდივანს მოაბარა. მას დღეს უკან ის წიგნები იმასთან დარჩა და აქვს დღესაც, მაგრამ რადგან წესდებულება და კანონი ძველი არის, რომ უფროს ძმას უნდა ჰქონდეს, მამა ჩემმა, უფროსმა ძმამ მოაბარა უმცროს ძმასა და მობარებული ისევ უნდა ჩემს შვილებს მოაბარონ სამართლით.

ქ. ჩვენის განაყოფის ზურაბის, დავითისა და ფარსადანის წილი მამული ჩემმა ძმამ სულხანმა რომ იყიდა, იმ მამულის სყიდვა არც მკითხა და არც კაცი მოუგზავნია და ნიკოლოზ აბაშიძე მოეგზავნა და როგორც შემოეთვალა იმ მამულის საქმე, მისს სიმაღლეს ჩვენ კელმწიფე დედოფალთან ლაპარაკი გავლილია ჩემის ბიძაშვილის სოლომონის დასწრებით.

ქ. მე და ჩემმა ძმამ სულხანმა ქ. ცხინვალს და რუისს მამულები რომ გავიყავით, იმ მამულების საუფროსო უნდა მოეცა და ჩემს ძმის სულხანის კელწერილიც მეჭირა და დავკარგე.

ქ. მე ალექსის ძემან დეკანოზმან სოლომონ აღვწერე გორის პირი ესე და ანდერძებრი წერილი. ავთანდილ მდივნის მოძღვარი ზემო-ჴსენებული ტერ-გიორქა მოვიდა, თითონ დაეწერა ავთანდილ მდივნის სიტყვითა, და მე გადამაწერინა, თთუესა ივლისსა კე, ქკს ჳპდ.

სხვა მომსხო ხელით:

ქ. მე ცოდვილი ბეგთაბეგისშვილი ავთანდილ ჭეშმარიტებით მღთის წინაშენ ვწერ ამას ჩემის ხელითა და ეს ზემო წერილიც ჩემის სიტყვით დავაწერინე. ავთანდილ (ხელჩართულათ).

კიდევ სხვა ხელით:

ქ. მე ულირსი ცოდვილი მონა ტერ-გეორქა ღთს წინაშენ [ვსწერ], რომ ეს წერილი ბატონი ავთანდილ მდივნის სიტყვით დავაწერინე და მეც ჭეშმარიტებით ხელს ვაწერ.

**262.** განჩინების წიგნი სოფელი ცედანის შესახებ, 59×17 სანტიმეტრი, დაწერილია მოსქო ქაღალდზე ნუსხური მხედრულის ხელით. ნიშნები არა აქვს. ეს და ამას ქვემოთ მოყვანილი ოთხი განჩინების წიგნი გადმოვვცა ბ-მა ა. აბაზაძემ და იქიდან გადმოვსწერეთ. დედნები უკან დაუბრუნეთ.

**1768, ფებრვლის 4.** ქ. აბაზაძე სოლომან და ზაალ მახვილაძის ცოლი და შვილი **ცედანაზედ** და იქ მსახლობელს გლეხზედ ლაპარაკობდნენ. მისმა სიმაღლემ მეფემ ირაკლიმ ამათი სამართალი ჩვენ მდივანბეგებს გვიბძანა. ესენი ერთათ ვალაპარაკეთ და წყალობის წიგნებიც გაუსინჯეთ. აბაზაძემ ელენე დედოფლის წყალობის წიგნი წამოაყენა, რომ **ცედანა** სოფელი და მას შიგ მსახლობელი კაცი აბაზაძისათვის ებოძებინა, ასე აცხადებდა. მახვილაძესაც Ϭქონდა (sic) ელენე დედოფლის წყალობის წიგნი და **ცედანა** სოფელიც შიგ ეწერა, მაგრამ აბაზაძემ სოლომან მეორედ მეფის ირაკლის წიგნი წამოაყენა, რომ **ცედანს** სოფელს სამკვიდროდ მამულად უცხადებდა და მახვილაძის წიგნზედაც უფრო ახალი იყო. ძველის დავთრისაგანაცა ღიღათი მოვიკითხეთ, დავთარში **ცედანა** სოფელი აბაზაძეზედ ეწერა და იქ მსახლობელი გლეხნი, ვინც იმ ჟამში ყოფილიყვნენ, ეს გლეხები ლომიძე დათუნა კომლი ერთი, თავი ბ; ლომიძე ზაზუტა კომლი ერთი, თავი ბ; ლომიძე ზაქარია კომლი ერთი, თავი ბ; ამისი განაყოფი ლეკვია კომლი ერთი, თავი ა; პავლე ხუცესი კომლი ერთი, თავი ა; სამართლით **ცედანა** სოფელი და მას შიგან მსახლობელი გლეხი აბაზაძე სოლომანს დარჩა, მახვილაძე ველარ ედავება, ფებერვლის **დ**, ქკ̃ს **უნგ**. | ბეჭედი მდივან ბეგის იოვანე ორბელიანისა |[1]) | მონა ღთისა ამი ლახვარის შვი ლი მოურავი იესე | | ქაიხოსრო |[2]) | ფარსადან |[3])

თავში განჩინებას აქვს შემდეგი წარწერანი:

ქ. ჩვენ მეფე სრულიად საქართველოისა მეორე ირაკლი ვამტკიცებთ განჩინებასა ამას, მარტის გ, ქკ̃ს **უნგ** | ერეკლე |[4]).

---

[1]) ამ ბეჭდის სრული წარწერა არ განირჩევა.
[2]) ქაიხოსრო მდივანბეგი გვარათ იყო მოურავისშვილი.
[3]) ფარსადან მდივანბეგი გვარათ იყო ციციშვილი.
[4]) სრული წარწერა ბეჭედისა ისეთია როგორც № 189.

ამას შემდეგ სხვა ხელით:

ქ. მისის სიმაღლის ჩვენის ძმის მეფისაგან და მსაჯულთაგან დამტკიცებულსა ამ განაჩენსა საქართველოს პატრიარხი მეფის ძე ანტონიც ვამტკიცებ. კათალიკოზი (ხელჩართულათ).

განის აშიაზე შემდეგი წარწერანია სხვა-და-სხვა ხელით:

ქ. ჩვენ საქართველოსა და კახეთისა დედოფალთ დედოფალი, დადიანის ასული, პატრონი დარეჯან ვამტკიცებთ განაჩენსა ამას, მარტის იტ, ქკს უჩგ | დარეჯან |[1]).

ქ. ჩვენ მრჩობლთავე სამეფოთა უფლის წული, მეფის ძე გიორგი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. მარტის ლა, ქკს უჩგ | მეფის ძე გიორგი |.

ქ. ჩვენ ბატონიშვილი ლევან ამ განჩინებას ვამტკიცებთ | |[2]).

---

**263.** განჩინების წიგნი. ამ განჩინების წიგნის ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში. ნიშნებათ აქა იქ იხმარება ზოგჯერ თითო და ზოგჯერ ორ-ორი წერტილი. ამ წიგნში ორი განჩინებაა მოქცეული; ერთი ეკუთვნის 1778 და მეორე 1779 წელს.

**1778, ივნისის 11.** ქ: აბაზაძე ბექანისშვილი ივანე და მისი შვილი დავით ჩიოდა. მისის სიმაღლის მეფისათვის არზა მიერთმია: ჩემს განაყოფებს სოლომონს და ზურაბის შვილებს ჩემი მამული უჭირავთო, და სამართალი ეთხოვა. მის სიმაღლეს მეფეს მათის შვილებისათვის ებძანათ იულონისა და ალმასხანისათვის: ესენი ალაპარაკეთ და სამართალი უსაჯეთო. მისის სიმაღლის მეფის შვილებს ჩვენ მსაჯულთათვის ებძანათ. ჩვენ მოვიყვანეთ ესენი და ვალაპარაკეთ. აბაზაძემ სოლომონ და ზურაბის შვილებმან დავით და ლეონ ძველი წიგნები წარმოადგინეს სანატრელი დედოფლის ელენესი, მეფის ერეკლე პირველის დედასა სიგელით ებოძა ალაბეგაშვილი. **შინდარას** კახიაშვილები, **თმის** ქლენტი და ლიპარტაშვილი. **ცედანი** მისის კომლეურით. ესენი მტკიცის წერილით ებოძათ. ამის

---

[1]) სრული წარწერა ბეჭდისა ისეთია, როგორც № 208.

[2]) წარწერა ბეჭდისა ისეთია, როგორც № 203.

შემდგომად მეფეს ერეკლე პირველის წიგნი ჰქონდათ ამათვე ბატონის დედის ჩვენის სიგელის გაახლებას გვეაჯენითო და გვიბოძებიაო, რაც ბატონს დედის ჩვენს ებოძებინაო, და რაც ლალანიძეს მამული, გლეხნი, მიწა-წყალი, წისქვილი ჰქონდაო, სამკვიდროდ გვიბოძებიაო. აბაზაძეს სოლომონ და დავით ამაზე ჩიოდნენ; **უთხვას** ბლიაძეები ამ ლალანაძესაგან წართმეული გვქონდაო და ამ წიგნით მეფეს ერეკლე პირველს ისევ ჩვენთვის უბოძებიაო და ეს წიგნი მისის სიმაღლის მეფე ერეკლე მეორისაგან დამტკიცებული იყო, და ესეც აღეწერა ბოლოს: დაგვიმტკიცებია, თუ ამის გასამტყუნებელი წიგნი არ მოიტანესო. ვკითხეთ ბეჟანისშვილს ივანეს: ამის წინაალმდეგი წიგნი უნდა მოგვიტანოო. ივანეს ხელთ ასეთი წიგნი არა ჰქონდა-რა ამას წინა[ა]ღდგომოდა და ამას ამბობდა: წიგნები მაქვსო, ვიპოვნი და მოვიტანო, და სიტყვით ამბობდა, მე მჭერიაო. ესენი უპასუხებდენ: მძლავრებით და დრო შემოგდებით გეჭირაო; თორემ ჩვენი სამკვიდრო იყო და არისო. და ერთი ბარათიც იყო ძველი. ალაბეგაშვილს კოშკზე დადებით საუმცროსოდ ზაალის შვილებს უცხადებდა. და ერთი ბარათიც ჰქონდათ ამ ივანეს მამის ბეჟან მდივნისაგან მიწერილი, თავის ნაცვლისათვის მიუწერია: ბატონის ბძანება არისო, ეგ **ლომამე ამ დათუნას მაზარეთ. დათუნა სოლომონის მამას რქმევია.** და ამას ამბობდენ, ამის მეტი ლომიძე ჩვენ არა გვყოლიაო. და ეს ლომიძე **ცედანელი** იყო. ამ ბარათზედ ბეჟანის ბეჭედი აჯდა. ამ მეფეების სიგლები მისის სიმაღლის მეფის ერეკლე მეორისა და დედოფლისაგან და მათის შვილებისაგან ყოველთაგანვე დამტკიცებული იყო. რომელსამე დროს ეს **ცედანი** სოფელი მახვილაძეს მისცემოდა და სიგელიც ჰქონდა და მეფე ერეკლე მეორესაც ებოძებინა მახვილაძისათვის, და ამ ჟამს ამ სოლომონ აბაზაძეს ეჩივლა: ჩემი მამული **ცედანი** უჭირავსო. მისს სიმაღლეს მსაჯულთათვის ებძანა **იოანე მდივანბეგისა ორბელიანისათვის, იესე მდივანბეგის ამილახვარისათვის, ქაიხოსრო მდივანბეგის მოურავისშვილისათვის და ფარსადან მდივანბეგის ციცისშვილისათვის.** ამათ სამართალი ასე მიეცათ: მარ-

თალია მახვილაძესაც ჰქონდა წყალობის წიგნიო, მაგრამ აბაზაძეების უფრო ახალი იყო და დავთარშიაც ამათზე ეწერაო ცედანი და იქ მსახლობელნი ლომიძეებიო. და აბაზაძეებისათვის დაენებებინათ და ეს განაჩენი მისის სიმაღლის მეფისა, დედოფალისა და მათის შვილებისაგანაც დამტკიცებული იყო. ათს წელიწადს შემდგომად ივანე ბეჟანისშვილმა უჩივლა ჩემი ყოფილაო. სოლომან და დავით უპასუხეს. უსამართლოდ გჭერიაო, თორემ ბარათითაც ჩვენიაო, მეფეთ წყალობითაცა და ჩვენ უფრო დიდს ხანს გვჭერიაო და როსცა მოგვრევიხარ, შენ მაშინ დაგიჭერიაო. ჩვენ ეს განუჩინეთ: სამი თვე პაემანი მივეცით ივანე აბაზაძეს. თუ ამ სამს თვეზედ ასეთი წიგნი რამ მოიტანა, რომ მოსამართლის გული დააჯერა, ხომ სამართალი მიეცემათ. თუ წიგნი ვერა მოიტანა-რა, მეფეების წიგნები ამათ ხელთა აქვსთ და მისის სიმაღლის მეფე ერეკლე მეორისაგან ასეა დამტკიცებული: დამიმტკიცებია, თუ ამის გასამტყუვნებელი წიგნი არა მოიტანოს-რაო; თუ მოიტანა სამართალი მიეცემა. თუ არა და ეს პაემანი გავიდა და არ მოიტანა, ველარას მიეღავება ივანე ამათ, და დარჩება სოლომონს და ზურაბის შვილებს. ჩვენ ასე გავარჩიეთ და ნება მათის სიმაღლისა არის. ივნისის ია, ქჳს ჳჟგ.

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ერეკლე მეორე ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ივლისის იბ, ქჳსა ჳჟზ.

ქ. ჩვენ, დედოფალი ქართლისა და კახეთისა დადიანის ასული დარეჯან ვამტკიცებთ აგვისტოს დ, ქჳს ჳჟა.

ქ. ამ განაჩენში რომ პაემანი მივეცით, ივანე აბაზაძეს სამს თვეზე წიგნები უნდა მოეტანა. წიგნები მოსამართლეს წაეკითხა, თუ მოსამართლის გული დასჯერებოდა სამართალი უნდა მისცემოდა. ამ ვადას უფრო ადრე მოიტანა წიგნები როსტომ მეფისა და კიდევ ლეონ მდივანბეგ-ბატონიშვილისა და კიდევ მეფის ბაქარისა, რომელიც ეს წიგნები ამავ მამულებს ნიშნავს. სანატრელს ელენე დედოფლისაგან და მათის შვილის მეფე ერეკლე პირველისაგან ამ სოლომონისა და დავითის მამა პა-

პათ რომ მისცემიათ, ამათართმევენ და ბერუკაშვილებს აძლევენ ამ სიტყვით და ბრძანებით: შენის განაყოფის ამოწყვეტილის დათუნას მამულიო. და მათი შვილი მეფე ირაკლი მეორე თავეთის პაპის მეფე ირაკლი პირველის წიგნს ამტკიცებს და ამავ სოლომონს და დავითს უბოძებს, რომელიც დღეს თერთმეტი წელიწადია, და ამასაც რომ უწერს დაგვიმტკიცებია და და გვიბოძებია, თუ ამის გასამტყუნებელი წიგი არ მოიღესრაო. ამ წიგნებით ის წიგნები, რომელიც სანატრელს ცხონებულს მეფეს დიდს თეიმურაზს და დედოფალს ელენეს და მეფეს ირაკლის უბოძებიათ, ვერ გამტყუნდა. მერე ივანე აბაზაძემ ეს სიტყვა დაუდვა მოსამართლეთ, რომ მართალია ეგ წიგნები აქვთო, მაგრამ მეფის ირაკლი პირველის დროს არ სჭერიათო, და ვისიც მამული მე მეფეების სიგელში მიწერიაო ამოწყვეტილის დათუნასი,—ის დათუნა მაგათის სახლისა არ არისო, ჩემი განაყოფი ყოფილაო. ამაზე მოსამართლეთ იჭვი შეგვივიდა და რადგანაც ძველი ამბავი იყო და მოწამე არცეთის მხრიდამ ასეთი არა ჩნდა, რომ მოსამართლის გული დასჯერებოდა, ფიცი გავაჩინეთ. თუმცა ივანე ამბობდა: სანანტრელს მეფის ვახტანგისა და მეფის ბაქარისა მეფობას აქეთ სამოცი წელიწადია და კიდევ მეტი მე მიჭირავსო; რომ მცილე არავინ მყოლიაო, ფიცი მე მერგებაო. მაგრამ დღეს რადგანაც ეს მამული თერთმეტი წელიწადია სოლომონს და დავითს ხელთ უჭირავთ და ასეთს საქმეზედაც არის ეს ფიცი, რომ ამათ უფრო შეხედებათ, წადგეს სოლომონ და მისი შვილი ავთანდილ, ზურაბ და მისი შვილი—დავით და ლეონ, და ამ ხუთთ ასე დაიფიცონ: დათუნა ამოწყვეტილის მამული რომ გიწერია, ეგ დათუნა ჩემი სახლის კაცი იყოს და შენის სახლისა არ იყოს, და მეფის ერეკლე პირველის მეფობაში სანამდინ ისპაანს წაბრძანდებოდა სულ ჩვენ მამაპაპათ სჭეროდეს, სანამდი ბატონიშვილი ლეონ მდივან-ბეგი გამოგვართმევდა, თუ ასე იფიცეს დარჩება სოლომონსა და დავითს ეს მამულები, და თუ რომ ივანე ან სისხლს დაობდეს და ან სასყიდს, ან სამზითვს, იმაზე კი ელაპარაკოს და სამართლით რასაც შეუვიდეს, გაიტანოს. და თუ

ასე ვერ იფიცეს და არც ის დათუნა ამათის სახლისა ყოფილა და არც მეფის ირაკლი პირველის დროს სჳერიათ, ხელი აღარ ექნებათ, ივანეს დარჩება, და თუ ასე იფიცეს, სოლომონს დავითს და ლეონს დარჩებათ. აღიწერა ივლისის, ა, გასულს, ქკს უჲზ.

---

**264.** დამოწმება ფიცის შესახებ. ამ დამოწმების ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში. ნიშნებათ აქა იქ იხმარება თითო წერტილი.

**1779, ივლისის 16.** ქ. მე გოგია ბარათაშვილი ბედნიერის ხელმწიფის ბძანებით აბაზაძე სოლომანისა და ზურაბისა და იმისი შეილი დავითისა და სოლომანის შვილის ავთანდილისა და ლევანისა ამაზედა ივანე აბაზაძისათვის და იმის შვილი დავითისათვის უნდა შეეფიცნათ. წავიყვანე **სურამს** წმინდის გიორგის **ურთხვის** ზედა უნდა დაეფიცნათ, მივიყვანე დასაფიცებლად ივანე, და იმისმა შვილმა იქ აღარ დააფიცა. მერე ივანე და მისმა შვილმა დავითმა უთხრეს: **ქრცხინვალს** წავიდეთ და **ატოცის** წმინდა გიორგის კარს მივიდეთ და იქ შემომფიცეო. მოვიყვანე ქრცხინვალს წმინდის გიორგის კარზედა, ესენი ეუბნებოდნენ დაგვაფიცეო. საფიცრათ მიიწიეს ივანე და იმისმა შვილმა დავით ამათი დაფიცება ვეღარ გაბედა და აღარც დააფიცა. განაჩენი დარჩა სოლომანსა და ზურაბსა. მე ეს სიტყვა ივანე აბაზაძის და იმის შვილის დავითის სიტყვით დამიწერინებია [გოგია].

ქ. მე ატოცის დეკანოზი ზებედე ამ წერილის მოწამე დამსწრე ვარ: ეს აბაზაძეები ივანემა, დავით ამისმა შვილმა ვეღარა დააფიცა [ზებედე]

ქ. ეს ზემოწერილი მე მურადაშვილმა სტეფანემ დავსწერე გოგია ბარათაშვილის სიტყვითა და აბაზაძე ივანეს სიტყვითა, დაიწერა ამა კათათვის იგ, ქკს უჲზ, ბეჭედი არ მქონდა და ეს ჩემი ხელია †.

**265.** მედიატორეთ განჩინება, 58,5×29,5 სანტიმეტრი. დაწერილია სქელს ქაღალდზედ ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ აქ იქ ნახმარია თითო წერტილი.

**1789, ივლისს 9.** ქ. მისის სიმაღლის დედოფლისათვის მოეხსენებინათ აბაზაძებს ბერუკა შვილებს და ზაალის შვილებს: ამდენი ხანი არის თქვენცა და მოსამართლეთაც თავს გაწყენეთო და ჩვენი სამართალი არ გადაწყდაო, და ახლა ასე ვარჩიეთო, რომ ორორი კაცი გამოვირჩიოთ, ოთხნი კაცი დავსხათ, ჩვენი ლაპარაკი იმათ მოისმინონ და სამართლით უშფოთველად მოგვარიგონ. მის სიმაღლეს დედოფალს ბრძანება მიეცა, თუ მშვიდობიანად ეცდებით მორიგებას, დიაღ კარგი იქნებაო. ამ ორთავ მხარემ ზაალის შვილებმან მე ბეგთაბეგისშვილი მდივანი ბეგთაბეგ და გაბაშვილი ზაზა გამოგვირჩიეს, და ბერუკაშვილებმან მე თურქისტანისშვილი იოანე და მღუდელი შიო აღმოგვირჩიეს. ამ ორისავ მხრით აღმორჩევით და ამათის ნებამყოფლობით ჩვენ ეს ზემო მოხსენებულნი დავსხედით და ვალაპარაკეთ, და ორისავ მხრიდამ ამათი სარჩელი გამოვიძიეთ, და გავშინჯეთ, და რაც წერილები ქონდათ მეფეთგან და ან სხვა, ძველი თუ ახალი წერილები, ყველა აღმოვიკითხეთ და გავჰჩხრიკეთ, და რომელიც დღეს ერთმანეთან სადაო ქონდათ, ესენი იყვნენ: ლომიძე კომლი სამი, ბლიაძე კომლი სამი, კვახიაშვილები, აღაბეგაშვილის მამული, ჟღნეტის მამული და ლიპარტიშვილის მამული. ეს ყმა და მამული ჟამთა ცვლილებით ხან ერთს მხარეს სჭეროდათ და ხან მეორეს მხარეს, რომ ორთავ მხარეთ ძველთაგან ბოძებული მეფეთაგან წერილები ჴელთ ეჭირათ. ეს კაცნი და მამული ზაალის შვილებსაც ეწერათ და ბერუკაშვილებსაცა, ბლიაძებს გარდა. ამათი საჩივარი რომ მოვისმინეთ და წერილები ენახეთ, უფრო სამკვიდროდ უცხადებდა ზაალის შვილებს ბლიაძებს გარდა და რადგან ზაალის შვილებს უცხადებდა, ზაალის შვილებს დარჩათ სამართლით: ლომიძე კომლი სამი; კვახიაშვილები, აღაბეგასშვილის მამული, ჟღნეტის მამული და ლიპარტის მამული, და ბერუკაშვილებს: სანატრელის მეფის ვახტანგის დავთარში ყმად რომ

ეწერნენ ბლიაძები, იმ დავთრის აღმოკითხვით და სამართლით დარჩნენ ბლიაძები ბერუკაშვილებს კომლი სამი. ესენი რომ ასე დარჩათ, ჩვენ ამათის უშფოთრობისათვის და მშვიდობის მყოფობისათვის ასე გაურჩიეთ და მოვარიგეთ ჩვენის სამართლით და იმათის ნება მოცემით. ერთი ბლიაძე, რომელიც ბერუკაშვილებს უნდოდესთ, ზაალის შვილებს უნდა მისცენ, და ამის სანაცვლოდ ზაალის შვილებმან უნდა მოსცენ კვახიაშვილი ივანე თავისის მამულით ბერუკაშვილებს, და ერთის ამოვარდნილის ბლიაძის მამული უნდა მასცენ ზაალის შვილებს ბერუკაშვილებმან, ჟღნეტის შვილის მამულის სანაცვლოდ. ამათის სიგლების ძალით, ამათის ლაპარაკის მოსმენით და ამათის ნება მყოფლობით ესენი ასე მოვარიგეთ, და ამ სამართალს და გარიგებას ორთავ კელი ასე მოაწერეს და ნება დართეს, და ეს სამართალი ასე დავამტკიცეთ და დავასრულეთ, რომ ბერუკაშვილებს დავითას, უთრუთს რევაზს და ამათ ძმებს დარჩათ ბლიაძე კომლი ორი თავეთის მამულით, კვახიაშვილი ივანე თავისის მამულით და ჟღნეტის მამული, და ზაალის შვილებს სოლომანს და ზურაბის შვილს დავითს და ლეონს დარჩათ ლომიძები კომლი სამი თავეთის მამულით, ბლიაძე ერთი კომლი თავისის მამულით, კვახიაშვილის ობოლი თავისის მამულით, ალაბეგაშვილის მამული და ლიპარტის მამული და ერთის ამოვარდნილის ბლიაძის მამული. ესენი ასე დარჩათ და დღეის აქეთ ამათ ერთმანეთან სადაო და სალაპარაკო აღარა აქვსთ რა ძმობის და სიყვარულის მეტი, და ორივ ერთის მაზმუნით განაჩენი დაიწერა. ერთი ბერუკაშვილებს მიეცათ და ერთი ზაალის შვილებს, იულისს თ, ქკს უოზ.

ქ. მე ბეგთაბეგისშვილი მდივანი ბეგთაბეგ ამათს სამართალში ვიყავი, ჩვენის მიხდომითა და ამათის ნება მყოფლობით, რომელი ზემორე აღწერილ არს, ესენი ასე მოვარიგეთ. ბეგთაბეგ (ხელჩართულათ)

ქ. მე გაბაშვილი ზაზა ამათ სამართალში ვიყავ, ჩვენის მიხდომითა და ამათის ნება მყოფლობით, რომელიც ზემორე აღწერილ არს, ესენი ასრე მოვარიგეთ. ზაზა (ხელჩართულათ)

ქ. მე თურქისტანისშვილი იოანე ამათს სამართალში ვიყავ, ჩვენის მიხლომით და ამათის ნება მყოფლობით, რომელიც ზემორე აღწერილი არის, ესენი ასე მოვარიგეთ. იოანე (ხელ-ჩართულათ)

ქ. მისის უგანათლებულესობის მეფის ძის ვახტანგის კარის ხუცესი შიო ამ სამართლის თანა დამსწრე და მოწამე ვარ. შიო.

ქ. მე აბაზაძე დავითს და ჩემს ძმას უთრუთს და რევაზს ამ სამართლის ყაბული გვაქვს. ბეჭედი არ მქონდა, ეს ჩემი ხელი არის. დავით.

განჩინებას თავში აქვს წარწერანი ირაკლისა და დარეჯან დედოფლის ხელით:

ქ. ჩვენ მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე ვამტკიცებთ წიგნსა ამას, ივლისის ით, ქკს **უოზ** [ერეკლე][1]).

ქ. ჩვენ ქართლისა და კახეთისა დედოფალი დადიანის ასული პატრონი დარეჯან ამ აბაზაძების სამართლიანად მორიგებას ასე ვამტკიცებთ, იულისს ი, ქკს **უოზ** [დედოფალი დარეჯან]

განის აშიაზე შემდეგი სხვა და სხვა ხელის წარწერანია:

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოზ-პატრიარხმან, ძემან მეფისა ირაკლი მეორისამან, წარვიკითხე რა გარიგების წიგნი ესე, მეცა თანხმობით დავამტკიცე ნოენბერს კე, წელსა **ჩღპთ**: კათალიკოზი (ხელჩართულათ).

ქ. ჩვენ საქართველოს უფლის წული მეფის ძე გიორგი ამ აბაზაძების ყაბულობით სამართლიანად მორიგებას ასე ვამტკიცებთ, ივლისის იე, ქკს **უოზ**, ორთავეს ყაბულობით [გიორგი].

ქ. ჩვენ ბატონისშვილი იულონ ამ გარიგების წიგნს ვამტკიცებთ, რომ ორთავ იყაბულეს, მოგვიტანეს და დაგვაბეჭდინეს, ივლისის იე, ქკს **უოზ** [ ].

ქ. ჩვენ საქართველოს მეფის ძე ვახტანგ ამ გარიგების წიგნს ვამტკიცებთ, რომ ორთავ იყაბულეს, მოგვიტანეს და დაგვაბეჭდინეს, გიორგობისთვის კზ, ქკს **უოზ** [ ].

ქ. ჩვენ საქართველოს უფლის წული, მეფის ძე ალექსანდრე, ამ აბაზაძების ყაბულობით სამართლიანად მორიგების, ორთავეს ყაბულობით, ასე ვამტკიცებთ, ივლისის იგ, ქკს **უოზ** [ალექსანდრე].